

ა ვ თ ა ნ ღ ი ლ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

ნაკვებები კოცხეთის ისჯოკიიღან

გუბღნი აკად. ე. თაქაიშვილის
ნათელ სსოენას

ა ვ ტ ო რ ი

902.6(3) + 902.6(41)

902.6(395 + 47.922) + 9(47.922)

н 724

А. П. ИОСЕЛИАНИ
ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ

A. P. IOSELIANI
ON THE HISTORY OF ANCIENT
COLCHIS

ნაშრომში ძველი კოლხეთის ისტორიის 'ფონზე, ცენტრიშის ხეობასა და სოფელ ხუცუბანში ახლად მოძიებული არქეოლოგიურ-ისტორიული მასალისა და ქართული საბჭოური არქეოლოგიის მონაპოვართა საფუძველზე, ავტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს ბრინჯაოდან რკინის იარაღის წარმოებაზე გარდამავალი ხანის კოლხეთის სოციალურ-ეკონომიური და იდეურ-მსოფლმხედველობითი გარემოს ზოგიერთი საკითხი. ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქართული წარმართობის საკითხებს: მასში გამახვილებულია ყურადღება ქართული ისტორიოგრაფიის არა ერთი პრობლემისადმი, მაგ., როგორცაა სტრაბონისეული ლევეკოთეას ტაძრის ლოკალიზაციის საკითხი (ნასაყდრალ თეთროსნის მიდამო) და სხვ. ნაშრომს თან ერთვის ტაბულები და საარქივო დოკუმენტები. იგი გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის და დაინტერესებულ მკითხველთა ფართო ფენებისათვის.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნარკვევი საქართველოს შორეულ ისტორიულ სინამდვილეს ეხება. მასში, ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრისა და ავტორის მიერ მოძიებული არქეოლოგიურ-ისტორიული ხასიათის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია კოლხური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვიანი ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდისა, როცა ქონებრივ უთანასწორობათა გაღრმავების გზით კოლხეთში მიმდინარეობდა თემური საზოგადოების რღვევა და კლასების წარმოშობა.

ისტორიულად ეს პერიოდი ნიადაგს უმზადებდა ამ მხარის აღორძინებას და მოწინავე კოლხური კულტურის დამკვიდრებას, რომელიც წინ უსწრებდა ბერძნული კოლონიების გაჩენას კოლხეთში. მოგვიანებით აქ მოსულ ბერძნებს დახვდათ განვითარებული მეტალურგია, „გიორგიანელთა“ ესოდენ დაწინაურებული მიწათმოქმედება და ხელოსნური წარმოება. ბერძნული კოლონიზაციის ხანაში კოლხეთში აღმოცენებულია და უკვე არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზაციის მაღალი ფორმა კოლხეთის სახელმწიფოს სახით, სადაც განვითარებულია საქალაქო ხელოსნური წარმოებისათვის დამახასიათებელი ისეთი დარგები, როგორიცაა მეტალურგია, კერამიკული და საფეიქრო წარმოება. მხატვრული ხელოსნობითა და ფულადი შეურწმობით.

ახლად მოძიებული ზოგიერთი არქეოლოგიურ-ისტორიული, ტოპონიმიკური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს გაარკვიოს ძველი კოლხეთის შემადგენელი ერთი მეტად საყურადღებო მხარის კინტრიშის ხეობის მკვიდრი ქართველი ტომების სოციალურ-ეკონომიური განვითარების შორეული ისტორიული პირობები. მათი იდეურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი და რელიგიური გარემოს ზოგიერთი საკითხი.

ნაშრომში განვითარებული ძირითადი დებულებანი და დასკვნები ემყარება ქართული საბჭოური არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დიდ მონაპოვართ, ქართული კულტურის ნივთიერ-დოკუმენტურ მასალას და პირველწყაროებს, 1944 წელს სოფ. ხუცუბანში ავტორის მიერ ჩატარებულ გათხრებს; ასევე ფართოდაა გამოყენებული სპეციალური ლიტერატურა, პრესა და საარქივო დოკუმენტური მასალები¹, რომელშიაც ასახვა პოვეს როგორც ამ მხარის ისტორიულმა წარსულმა, ასევე იმ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომელთაც XIX ს. მეორე ნახევარში მცხეთასა და სოფ. ხუცუბანში ჰქონდა ადგილი.

ირკვევა, კოლხური ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ადრიდანვე განვითარება საფუძველი ხდება ამ მხარის ეკონომიკისა და კულტურის დიდი აღმავლობისა და ყოველივე ეს ვლინდება არა მხოლოდ ხელოსნობისა და მიწათმოქმედების აღორძინება-განვითარებაში, არამედ კოლხურ მეღვინეობაშიც. ტომთა მიერ დაგროვილ საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ ცოდნა-გამოცდილებაში, რომელიც დასაბამს აძლევს თავის მხრივ ცოდნის სხვა ახალ ზოგიერთ დარგთა ჩასახვა-განვითარებასაც. ეს უკანასკნელი კი ასევე მეტალურგიიდან მომდინარეობს და თავის მხრივ კოლხურ ტომებში სწორედ ეს გარემოებანი განაპირობებდნენ ცისა და ციურ მნათობთა კულტის დამკვიდრებასთან ერთად ასტრონომიული ცოდნის ზოგიერთი ელემენტებისა და მნათობთა მოძრაობის შესწავლის საფუძველზე დამყარებული კალენდრის შემუშავებას ისევე, როგორც ზღვისპირეთში მიჯრით მცხოვრებ კოლხურ მოსახლეობაში ზღვაოსნობის ოდითგანვე განვითარებას. კოლხეთში არგონავტების „სტუმრობა“ არ უნდა ყოფილიყო ცალმხრივი მოვლენა. ზღვაოსნობაში კარგად გაწვრთნილი ძველი კოლხები ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებთან და ქვეყნებთან, ცხადია, ადრიდანვე ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. სწორედ ამგვარი ურთიერთობის კონკრეტული გამოხატულება შეიძლება ყოფილიყო ბერძენი პირატების მიერ კოლხეთიდან „ოქროს ვერძისა“ და მშვენიერი კოლხი ქალის, გრძნეული მედეას გატაცება.

რაც შეეხება ძველი კოლხების მსოფლმხედველობისა და რელიგიურ რწმენათა აღმოცენება-ჩამოყალიბების ხანგრძლივ ისტორიულ

¹ ესენია: I. ღონისძიებანი და საინსტრუქციო მითითებანი. საქართველოში XIX ს. 30-იანი წლებიდან არქეოლოგიური ძეგლების მოძიების, შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა თუ გათხრილი მასალების დაცვისა და თავმოყრის შესახებ (იხ. გვ. 368—374). II. საარქივო დოკუმენტების ერთი ნაწილი მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ XIX ს. 70-იან წლებისა, საიდანაც ეყრება საფუძველი პირველ არქეოლოგიურ მეცნიერულ გათხრებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამერიკაკავსიასა და კავკასიაშიც კი (იხ. 375—391), მესამე დანართში შეტანილია დოკუმენტები, რომლებიც სოფ. ხუცუბანში XIX ს. არქეოლოგიურ გათხრებს და მისი შედეგების ისტორიას ასახავენ (იხ. გვ. 391—394).

პროცესს, იგი ნაჩვენებია კონკრეტული ფაქტიური მასალის შესწავლის საფუძველზე, რომელიც წარმართებოდა პოლითეიზმიდან მონოთეიზმის განვითარების გზით. ნაშრომში მოცემულია წარმართული კოლხური სატაძრო კულტურულ-ეკონომიური კერების, მათი საკულტო შინაარსის გარკვევის ცდა და ასევე ახლადმოძიებულ მასალებზე დაყრდნობით სტრაბონისეულ ლეგკოთეას ტაძრის ლოკალიზაციისა ნასაყდრალ თეთროსანის მიდამოებში, რომელიც კინტრიშის ხეობის შემადგენელ სოფ. ხუცუბანში იმყოფება (ქ. ქობულეთიდან 3 კილ. დაშორებით).

ესოდენ დიდი ისტორიული კულტურის. ათეულსაუკუნოვანი წარსულის მქონე სოფელი დღესაც სრულიად კანონზომიერად საბჭოთა საქართველოს განახლებული ცხოვრების ავანგარდში დგას. ლენინის ორდენოსანი სოფ. ხუცუბნის მშრომელები მთელ რესპუბლიკაში ინიციატორებად გვევლინებიან სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის განმტკიცებისათვის.

ნაშრომში აღძრული პრობლემების ერთი ნაწილი პირველად ისმება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ავტორი არ ფიქრობს, რომ აქ აღძრული ამ რიგის საკითხები ერთნაირი სიღრმითა და დამაჯერებლობით იყოს გაშუქებული და გადაჭრილი. ამის მიზეზი კი თვით პრობლემის სირთულეში მდგომარეობს და არა მასში, რომ ავტორი შრომას მოერიდა და გვერდი აუარა მათი გადაწყვეტის საქმეს¹.

ძველი კოლხეთის, ისე როგორც იბერიის სამეფოს და მთლიანად საქართველოს ისტორიის საშენი მასალა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე დიდი რაოდენობით დაგროვდა. მათი წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრებისა და არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკისა და მეცნიერების სხვა დარგთა მთელი კომპლექსის სწრაფი განვითარების შედეგად ქართული ისტორიოგრაფია ასევე ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. ქართველ მეცნიერთა დიდი შრომით შექმნილმა ამ მდიდარი მემკვიდრეობის განზოგადებამ გაზარდა და გააფართოვა ისტორიკოსთა ამოცანები: — უფრო ღრმად და ახალ მეცნიერულ ასპექტებში მოითხოვა განხილვა ქართველოლოგიის არა ერთი პრობლემისა. ამ პრობლემების სწორი, მარქსისტული მეთოდოლოგიით გადაჭრისათვის კი ახლა, ვიდრე ოდესმე, უფრო მკვიდრი ნიადაგიც შემზადდა; საყოველთაოდ აღიარებული გახდა, რომ განვითარების ახლანდელ ეტაპზე საქართველოს ისტორიის რომელიმე პრობლემის მეცნიერულ დონეზე გადაჭრა მთელი ამ მემკვიდრეობის გამოყენებისა და განსჯის გარეშე შეუძლებელიცაა.

¹ წიგნი ილუსტრირებულია სათანადო ჩანახატებით და ტაბულებით, რომელნიც 1944 წელს სოფ. ხუცუბანში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს, სავილე დოკუმენტაციებს და მათ კომპლექსს ასახავენ. აქედან ტაბულები მხატვარ კლ. კუესს, ხოლო წიგნის მთლიანად მხატვრული გაფორმება შად. ქავუჯაძეს ეკუთვნის.

ჩენი ეს ცდაც ამ საერთო საქმეს პასუხობს და წინამდებარე ნაშრომში თუ მცირედ წვლილს მაინც შეიტანს ამ საერთო, დიდ მუშაობაში, ავტორი თავის მიზანს მიღწეულად ჩათვლიდა.

ამიტომ ყოველივე აქ აღნიშნულის ჩამწვდომ კოლეგისა და საქმით დაინტერესებული მკითხველის სამართლიან შენიშვნას ავტორი კვლავაც მადლობით მიიღებს და ჭეროვნადაც ვაითვალისწინებს თავის შემდგომ კვლევით მუშაობაში.

ნარკვევზე მუშაობის პროცესში თავიანთი რჩევით დიდი დახმარება გამიწიეს აკადემიკოსმა ე. თაყაიშვილმა და ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა; ნაშრომში განვითარებული ძირითადი დებულებანი სხვადასხვა დროს განსახილველად გამოტანილი იყო სამეცნიერო საჯარო სხდომებზე; მაგ., პირველად 1946 წ. ივნისში მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში აკად. ს. ჯანაშიას თავმჯდომარეობით და 1953 წ. მაისში ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე აკად. ნ. ბერძენიშვილის თავმჯდომარეობით წაეკითხე მოხსენება ხუცუბნის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, უკანასკნელად 1968 წლის 7 ივნისს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოების საჯარო სხდომაზე კი აკად. გ. ჩიტაიას თავმჯდომარეობით წაეკითხე მოხსენება თემაზე: „ნასაყდრალ თეთროსანის ისტორიიდან“ („ლეკოთეას ტაძრის ლოკალიზაციის საკითხისათვის“). აქ დასახელებულ მეცნიერებს და მთელ კოლექტივს, ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად, უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

წიგნზე მუშაობის პროცესში და მისი საჯაროდ განხილვის დროს თავიანთი აზრის გაზიარებით დახმარება გაგვიწიეს არქეოლოგებმა: ბ. კუფტინმა, ნ. ხოშტარიამ, ი. გძელიშვილმა, გ. გობეჯიშვილმა, დ. ხახუტაიშვილმა, ტ. ჩუბინიშვილმა, ვ. ართილაყვამ და გ. ლორთქიფანიძემ; ეთნოგრაფებმა: ვ. ბარდაველიძემ, გ. ჩიტაიამ, ს. მაკალათიამ, ასევე ფოლკლორისტმა მ. ჩიქოვანმა, ისტორიკოსებმა: ი. სიხარულიძემ, ნ. ლომოურმა, ხ. ახვლედიანმა, გ. გოზალიშვილმა, ნ. ხაზარაძემ, ქ. ჩხატარაიშვილმა და ასტრონომმა გ. თევზაძემ; ხოლო ნაშრომის კორექტურის წაკითხვით გ. გოზალიშვილმა, გ. ხახუტაიშვილმა და ლ. სანიკიძემ ასევე დიდად შეგვიმსუბუქეს ტვირთი, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებთ. ამასთანავე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, მადლობის გრძნობით აღვნიშნო ის ხელშეწყობა და დახმარება, რომელიც ამ ნაშრომის გამოცემის უზრუნველყოფისათვის აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობისა და ქ. ქუთაისის № 5 სტამბის ხელმძღვანელობამ და მათმა მუშაკებმა გაგვიწიეს.

შესავალი

უძველეს ისტორიულ ცნობებს — წყაროებს, ძეგლებსა და თქმულებებს — კოლხეთის შორეულ წარსულზე, ლეგენდარული ოქროს ვერძისა და „ოქროთი მდიდარი კოლხების მეფე აიეტის“ შესახებ¹, რასაკვარველია, თავისი კვებარითი ისტორიული საფუძვლები უნდა მოეპოვებოდეს. ძველი კოლხეთის ძლიერების, მისი კულტურის მოწინავეობის დამადასტურებელია ასევე შორეული, მაგრამ მეტად ძალაღმბიერი ღაღადისი (რომლის ექიმ მოგვიანებით, — ა. წ. VI საუკუნეში, ბიზანტიელ მწერალ აგათიასთანაც კი ჰპოვა გამოძახილი) მასზე, რომ კოლხთა ჩამომავალი „ლაზები ამყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომანზე მეტად მოაქვთ თავი, — შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ...“² — შენიშნავს ამ ხალხისადმი თანაგრძნობით აღსავესე უცხოელი ავტორი.

რა მკვიდრ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დამყარებული კოლხთა და მათი მემკვიდრე-ჩამომავალი ლაზების ეს ისტორიულად საფუძვლიანი სიამაყე, რომელსაც უცხოელი მწერალი ასე თანაუგრძნობს და ადასტურებს კიდევ!

კოლხეთის ძლიერებისა და სიმდიდრის წყაროს, მის სიმბოლურ „ოქროს ვერძს“, რომელმაც სახელი გაუთქვა მას ანტიკურ-ბერძნულ-რომაულ სამყაროში. წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა, კერძოდ, დაწინაურებული კოლხური მეტალურგია, რომლის წარმოების ხერხები მიუწვდომელ საიდუმლოებად რჩებოდა ძველი ბერძნული სამყაროსთვისაც კი. რკინა-ფოლადის მაღალხარისხოვანი სამეურნეო და საომარი იარაღების ფართოდ წარმოება და გამოყენება სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობასა და თავდაცვის საქმეში, როგორც ეს უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენებით ირკვევა, ძველი კოლხეთის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების მკვიდრი საფუძველი უნდა გამხდარიყო.

¹ ასე იწოდებოდა კოლხეთის მეფე აიეტი ბერძენთა მიერ შეთხზული ეპიტაფიით, რომლის ავტორობა არისტოტელეს მიეწერება (იხ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არკონაეტების თქმულებაში, თბილისი, 1964, გვ. 294).

² გეორგიკა, III, 50.

დიდი ტრადიციების მქონე კოლხური ბრინჯაოს მეტალურგია, რომელიც თავისი ტექნიკურ-ოსტატური დამუშავებითა და მაღალი ხელოვნებით უბადლო და უზადო იყო, II ათასწლეულის ბოლოს რკინის ხანას უთმობს ადგილს. რკინის წარმოება ამიერიდან, თანდათანობით, კოლხეთში ფართო ხასიათისა ხდება. წინა ანტიკური ხანის რკინის წარმოების კერების—რკინის სადნობი ქურების, ნარჩენი წიდებისა და თიხის საბერველი მიღების ნაშთების³ დიდი რაოდენობით აღმოჩენამ საქართველოს, ვერძოდ, ისტორიული კოლხეთის შემადგენელი აკარის ტერიტორიაზე დამზადებული რკინის სამეურნეო და საომარ იარაღთა სიმრავლემ ზემოაღნიშნული ნათლად დაადასტურა და, შეიძლება ითქვას, მეცნიერულადაცაა უკვე დასაბუთებული ქართულ არქეოლოგიაში⁴.

ახლა აღარავინ დაობს იმაზე, რომ კოლხეთში ადრე დამკვიდრდა „ეპოქა რკინის მახვილისა, და ამასთანავე რკინის გუთნისა და ცულისა. ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა — უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში“⁴.

³ И. Гзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии. Тб. 1964, გვ. 47. გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისი საფეხური, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 213; მისივე, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები, გვ. 198—199. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სმმ, XXV, თბილისი, 1961, ნ. ხოშტარია—Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. I, 1955. ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. ს.ხ., 1954, დ. ხახუტაიშვილი, კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლები, I, 1964. დ. ქორაძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965 და სხვ.

⁴ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, მარქსისა და ენგელსის რჩეული ნაწ., ტ. II, 1950, გვ. 374. ფ. ენგელსი აქ რკინის იარაღთაგან რკინის მახვილსა და რკინის გუთანზე ამხვილებს პირველ ყოვლისა ყუჩადლებს. კოლხეთის სინამდვილეში ნაპოვნი რკინის ანალოგიური იარაღებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი შეიძლება იყოს ხტუბანში 1944 წელს აღმოჩენილი რკინის მახვილები და შუბი, რომელიც უადრესად მაღალი ტექნიკითაა დამუშავებული. ამით ნათლად დასტურდება ბრინჯაოს მდიდარი მეტალურგიული ტრადიციების შემონახვა კოლხეთის სინამდვილეში და მისი შემოქმედებითად ვაგრძელება რკინის იარაღთა წარმოებაზე გადასვლისას (იხ. ა. იოსელიანი, საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950, № 2, გვ. 22, სურ. 4). რაც შეეხება ე. წ. „გუთნურ მიწათმოქმედებას“, იგი ქართველ ტომებში, ბ. კუფტინის აზრით, ჯერ კიდევ III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან იდგამს ფეხს, ავტორი თავის ამ საყურადღებო მოსაზრებას აყარებს საფარში ნაპოვნი სპილენძის საკინძზე უღელშებმული ხარის თავის გამოხატულებაზე (იხ. მისი Триалети, I, Тбилиси, 1941, ასევე ო. ჭაფარიძის ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 89. მისივე ქართველი ტომების ისტორიისათვის, გვ. 241). თავისთავად ცხადია, კოლხეთ-

ხუცუბანში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის სამეურნეო და საომარი იარაღ-საჭურველი, საკულტო, მორთულობისა და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები გვიხასიათებენ კოლხეთის მკვიდრთა სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას, მათი საწარმოო ძალები-სა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების დონეს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისისათვის.

ხუცუბნის სამაროვნები ბრინჯაოსა და რკინის იარაღებთან ერთად ძვირფას მასალას იძლევიან კოლხეთის მკვიდრთა მაშინდელი იდეოლოგიისა და რელიგიური მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად. წარმართული მსოფლმხედველობის მეცნიერულად შესწავლისათვის ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებთან ერთად, თუ რაოდენ ღიბი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ ძეგლებს, ცხადია, არ საკმარისებს განმარტებას. ხუცუბნის არქეოლოგიური ძეგლები, შეიცავენ რა საკულტო და კულტმსახურების დამახასიათებელ უაღრესად საყუროდებო მასალებს, სრულ საფუძველს იძლევიან ამ მიმართულებით კვლევა-ძიების სწორად წარმართვისა და მშობლიური ისტორიის მთელ რიგ ბუნდოვან, ან გაურკვეველ საკითხებზე ზოგიერთ პრინციპულ მოსაზრებათა გამოთქმისათვის.

ივ. ჭავჭავიძე იღობდა, რომ „ქართულ-ქართველური წარმართული პანთეონი ისევე, როგორც ზოგადი ენა და კულტურაც, მხოლოდ ერთი რომელიმე ტომის შექმნილი არ უნდა იყოს. ამიტომ საგულისხმოდ იყო და საჭიროც არის, რომ გამორკვეულიყო, თუ სახელდობრ რომელ ტომს რა წვლილი აქვს შეტანილი“ ამ საერთო საქმეში.

ჩვენ შევეცადეთ ხუცუბნის არქეოლოგიურ-ისტორიული ძეგლები-სა და ტოპონიმიკური მონაცემების შესწავლის საფუძველზე, ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების გამოყენებით, ასევე გაგვერკვია კოლხეთის შემადგენელ ამ კუთხის მკვიდრთა მიერ განვითარების გარკვეულ საფეხურზე შემუშავებული წარმართულ-რელიგიური მსოფლმხედველობისა და საკულტო წეს-ჩვეულებათა ზოგიერთი მომენტი, რომელიც უმთავრესად მთვარის კულტთან ყოფილა ასევე დაკავშირებული.

ისტორიულ, ნივთიერ და წერილობით წყაროებთან ერთად ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური და ფოლკლორული მასალა ხშირად ერთადერთი, მეტად თავისებური და უაღრესად დიდმნიშვნელოვანი წყაროა. აკად. ივ. ჭავჭავიძე ამგვარ მასალას საქართველოს ისტო-

ზიაც გუთნური მიწათმოქმედების ეს ტრადიცია რკინის ხანაში განვითარებული რკინის იარაღებით უმაგალითოდ უნდა დაწინაურებულიყო.

⁵ ივ. ჭავჭავიძე, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1950. გვ. 184.

რის საშენ მასალად მიიჩნევადა, მაგრამ ამასთანავე ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალათა სპეციფიკურობის გამო, მისი კრიტიკულად გამოყენების შესახებ დასძინდა: „უეკველია, ხალხურ მესხიერებას და ზეპირსიტყვიერებას უძველესი ხანის ზნე-ჩვეულებანი, მსოფლმხედველობა და რწმენა, ზღაპრები და თქმულებები, ლოცვა-სავედრებლობითი წარმოსათქმელები და წარმართული ხანის სიმღერა შემონახული აქვს. მაგრამ, თუ წერილობითი ძეგლებიც კი დროის გავლენის სიღრუხიერეს ვერ გადაურჩა, წარმოუდგენელაა, რომ ზეპირსიტყვიერების სახით დაცულს გადმოცემასა და ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდის უცვლელად მოედწია და სხვადასხვა დროის და წრის შენაერთი ადგილების არაერთი ფენით არ იყოს აქრელებულ-შეცვლილი“⁶.

ქართული საბჭოური არქეოლოგია, 1930-ან წლებიდან, მკვიდრ მეცნიერულ საფუძვლებზე დადგა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით; ასევე აღორძინდა ქართველოლოგიის სხვა დარგები მისი თანამებრძოლებისა და მოწაფეების, — აკად. ა. შანიძის, აკად. გ. ანგლედინის, აკად. გ. ჩუბინაშვილის, აკად. ა. ჩიქობავას, აკად. ს. ჯანაშიას, აკად. ნ. ბერძენიშვილის, პროფ. გ. ნიორაძის, აკად. გ. ჩიტაიას, აკად. შ. ამირანაშვილის, პროფ. ვ. ბარდაველიძის, პროფ. მ. ჩიქოვანის, პროფ. ს. მაკალათიას და სხვათა ლეაწლით. ქართულ საბჭოურ საისტორიო მეცნიერებასთან ერთად დაწინაურდა ქართული ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა, ფოლკლორი და ისტორიული გეოგრაფია.

მკაცრი მოთხოვნის სიმალღეზე ასული ქართული არქეოლოგიური მეცნიერების წინსვლა ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგებისა: გრძელდება და უკვე დაგროვილი მდიდარი არქეოლოგიური ფაქტიური მასალა მეცნიერულ ახალ განზოგადებას ელოდება. მთავარი მანკი ისაა, რომ ამგვარი მოთხოვნის მეცნიერულ სისწორეში ღღეს არავინ ეკვობს. აღარავინ დაობს იმაზედაც, რომ არქეოლოგია არ შეიძლება მხოლოდ ნივთმცოდნეობამდე იქნეს დაყვანილი და მეცნიერების ეს დარგი ისტორიული განვითარების საერთო პროცესისგან იზოლირებულად შეისწავლებოდეს. ამის შესახებ ხომ ჯერ კიდევ აწ განსვენებული ბ. ა. კუფტანი სავსებით გარკვევით წერდა: „საბოლოოდ არქეოლოგი თავის ობიექტებს იმდენად რეალურ კრილებს როდი უფარდება, რამდენადაც ყველა ცნობილი კონკრეტული ფაქტის საფუძველზე უფარდება მეცნიერულად აბსტრაქციაქმნილ სისტემას, აგებულს არა მარტო არქეოლოგიური, არამედ აგრეთვე ისტორიული, გეოგრაფიული, ეთ-

⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 184.

ნოგრაფიული, ლინგვისტური და სხვ. მასალების გათვალისწინებით⁷ ჩვენი აზრით ეს საყურადღებო მოსაზრება ერთგვარ ორიენტირსაც იძლევა მეცნიერულ მუშაობაში. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი რჩევას იძლეოდა კვლევის პროცესში არ უგულვებელგვეყო და არ დაგვეიწყებოდა ძირითადი ისტორიული კავშირები, თვალი მიგვედევნებია ყოველი საზოგადოებრივი მოვლენის, სოციალური ფაქტის გენეზისისა და მისი განვითარების პროცესისადმი მთელ მანძილზე, ისტორიული მიდგომა ასევე უდავოდ აუცილებელია და საჭირო ნივთიერი კულტურის ძეგლების მეცნიერულად შესწავლისათვის. არქეოლოგია, როგორც დამოუკიდებელი საისტორიო მეცნიერება, სწავლობს საზოგადოების წარსულს ნივთიერ წყაროებზე დაყრდნობით, ეს უკანასკნელი იმით განსხვავდება წერილობით წყაროთაგან, რომ ისინი საკმაოდ სრულყოფილია და უფრო ობიექტურად ასახავენ საზოგადოების საწარმოო განვითარების დონეს შრომის იარაღების სახით, მეურნეობის ფორმას და საწარმოო ურთიერთობის ტიპს. არქეოლოგიური ძეგლი ან კომპლექსი არქეოლოგ მკვლევარისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის წყაროა, ვიდრე ისტორიკოსისათვის ახალი არქივი, ან ისტორიული წერილობით ძეგლთა კომპლექსიც კი.

განვითარების ამ ეტაპზე ემპირიული მასალის თეორიულად განზოგადება პირველი რიგის ამოცანად იქცა, — «Выдвижение на первый план теоретических проблем — явление вполне закономерное. свидетельствующее о том, что археологическая наука переживает сложный переходный период от эмпирического этапа развития к синтетическому».⁸ ჩვენის მხრით კი დავუმატებდით, — არა მხოლოდ არქეოლოგიის, არამედ საერთოდ ისტორიულ მეცნიერებათა მთელ რიგ სხვა დამხმარე დარგებზეც ეგევე ითქმის.

ტოპონიმიკურ მასალას საქართველოს შორეული ისტორიულ-გეოგრაფიული სურათის აღსადგენად, უდავოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის მკვლევართა ერთ ნაწილს სავსებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ „არც ტოპონიმიკურ მასალას ვდებთ დიდ პატივს და ზოგჯერ, სახელდახელოდ თუ წამოვიშველიებთ ხოლმე და ამავე დროს ისტორიულ მუშაობაში საჭირო წყაროების მწვავე ნაკლებობას ვუჩივით“. ნ. ბერძენიშვილი ამასთანავე იძლევა ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების, არა მხოლოდ დამხმარე, არამედ შემადგენელი

⁷ ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი ერა. თბ., 1949, გვ. 107.

⁸ Ю. Н. Захарук. Ленинское теоретическое наследие и археологическая наука, Ленинские идеи в изучении истории первобытного общества, рабства, и феодализма, М. 1970 გვ. 7 (сборник ст.).

დარგის განსაზღვრას და სწორად შენიშნავს, რომ „მისი საგანი გეოგრაფიულ პირობათა ბუნებრივი ცვლის ისტორია კი არ არის, არამედ ადამიანის შემოქმედების ისტორია ფიზიკურ გეოგრაფიულ არეში“.⁹ წინამდებარე ნარკვევში კონკრეტული ტოპონიმკური მასალის გამოყენების ცდა მოცემულია ისტორიული ხასიათის ძირითად წყაროებთან მისი შეჯერების გზით.

ნაშრომში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება კინტრიშის სეობის ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე ტოპონიმზე, რომელთაგან ნასაყდრალი თეთროსანი (და მასთან დაკავშირებული რიგი მიკროტოპონიმები) ხუცუბნის არქეოლოგიურ კომპლექსთან და სტრაბონისეულ ლევკოთეას საყდართან მიმართებაში განსაკუთრებულ შინაარსს იძენს და შეუქს ფენს კოლხეთის შორეული ისტორიის ზოგერთ საკითხს; კერძოდ, სოფ. ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნახევარსფეროზე ასახული ცის თაღი, ქართულ (კოლხურ) წარმართულ ღვთაებათა პანთეონში მთვარის კულტის იკონოგრაფიული გამოხატულების ერთ-ერთ ძეტად საყურადღებო ცდას უნდა წარმოადგენდეს.

მთვარის ღვთაებიდან ქრისტიანობაზე გადასვლა ქართველ ტომებს არა ერთბაშად, არამედ მთელ რიგ გარდამავალ პოლითეისტურ ღვთაებათა რწმენა-თაყვანისცემის საფეხურებრივი გავლის გზით მოუხდათ, რომელთაგან, როგორც ეს მეცნიერულად აღიარებულია, უპირველესი ადგილი თეთრმა ანუ წმინდა გიორგიმ დაიკურა. ხალხმა წმ. გიორგიზე გადაიტანა თავისი წარმართული ღვთაების თაყვანისცემის ბევრი ელემენტი და, ბუნებრივია, ამიტომაც იგი შემორჩა ქრისტიანობას მასთან შერწყმის გზით.

ხუცუბანში დატული თეთროსანი (თეთრი ანუ წმინდა გიორგის სახელობის ნასაყდრალი) ძველთაქველ ქართულ, წარმართულ, ადრე სიმდიდრით სახელგანთქმულ, სტრაბონისეულ ლევკოთეას მთვარის საკულტო სამლოცველო საყდარს ენდა წარმოადგენდეს. ირკვევა, რომ ამ უქველესი ქართული წარმართული ადგილობრივი ღვთაების საყდარის, თეთროსანის სახელი, ბერძნებმა თარგმნეს, გადააბერძნულეს და მას ლევკოთეა უწოდეს (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ).

აკად. ს. ყაუხჩიშვილის დასაბუთებული მოსაზრებით ამგვარ ფაქტიურ მოვლენას მრავალი ანალოგია მოეძებნება; ბევრი ადგილობრივი ქართული გეოგრაფიული სახელი — ტოპონიმები და ჰიდრონიმები ბერძნებმა ქართულიდან ბერძნულად გადათარგმნეს: მაგ.: „ცხენის წყალი“ ჰიპოსად, ვარდციხე — როდოპოლისად, ნოქალაქევი — არქეო-

⁹ ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. I. 1964, გვ. 8.

პოლისად, და სხვ. მაგალითად, ყვირილა — ბოას-ად, ზმნისაგან „ყვირი“ და სხვა¹⁰. სწორედ ასევე უნდა მოპყრობოდა სტრაბონი ქართულ ადგილობრივ წარმართულ საყდარ თეთროსანს და ეთარგმნა იგი „ლევკოთეად“ („ლევკოს“ — თეთრს ნიშნავს, ხოლო „თეა“ — ქალღვთაებას ბერძნულად). სტრაბონის დროს ეს საყდარი თავისი წარსული დიდებისა და სიმდიდრის მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენდა კოლხეთის დაქვეითებისა და ამ დიდებული ტაძრის მრავალგზის გაძარცვის შედეგად.

ძველი კოლხეთის ფრიქსესდროინდელი (სტრაბონის ცნობით თითქმის ფრიქსეს მიერვე დაარსებული) თეთროსანი — ლევკოთეა, ძვ. წ. 1-ლი ათასწლეულის ადგილობრივი საკულტო მოვლენაა, ამიტომ ქრონოლოგიურად მისი არსებობის დასაბამი ხუცუბნის არქეოლოგიურ ძეგლებსა და არგონავტების ლეგენდასთან ისტორიულად გარკვეულ ნიმართებაში უნდა იმყოფებოდეს. სტრაბონი ლევკოთეას (თეთროსანის) აღწერისას, ისე როგორც კოლხეთისა და აბერიის მრავალ სხვა ისტორიულ ფაქტიურ მოვლენათა გადმოცემისას, თავის გეოგრაფიაში ძველი ცნობებით და მასალებით სარგებლობდა, რომელთაგან იგი ზოგიერთს ასახელებს კადეც. სტრაბონი, ისე როგორც სხვა ბერძენი წყაროები, ქართულ გეოგრაფიულ, ისტორიულ-ტოპონიმიკურ სახელებს თარგმნიდა.

ტოპონიმ თეთროსან — ლევკოთეას იგივეობის ნათელსაყოფად, ნივთიერ-არქეოლოგიურ და ენობრივ მასალასთან ერთად, ნაშრომში გამოყენებულია მთვარის მოქცევის ციკლზე დამყარებული ქართულ-წარმართული კალენდრის ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე ზოგი მონაცემებიც; ასევე ქართული ფოლკლორული მდიდარი მემკვიდრეობა და მისი კლასიკური ძეგლი — საგმირო-მითოლოგიური ეპოსი ამირანის შესახებ და სხვა. ამირანიანი წარმართულ ქართველ ტომთა ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიურ-მსოფლგაგების ამსახველი კეშმარიტი ენციკლოპედიაა, მისი პირველი დაუწერელი „ქართლის ცხოვრება“, ამიტომაც მასში თავისებური ასახვა უნდა ეპოვა

¹⁰ ს. ყაუხჩიშვილი, პროკოფი კესარიელი საქართველოს შესახებ (ბრძოლა პეტრას გარშემო), საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, თბ., 1933, გვ. 129 და 132.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი როდოპოლისის ლოკალიზაციის დადგენისათვის დასძენდა „სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ქალაქის ბერძნული სახელწოდება მივიჩნიოთ ერთ-ერთი ადგილობრივი სახელწოდების თარგმნად: ბერძნულ-ბიზანტიელთა პრაქტიკაში ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელწოდებათა თარგმნა იშვიათი მოვლენა არაა („პაპოს“ — ცხენის წყალი, „ბოას“ — ყვირილა, „ნესოს“ — ისულა და სხვა). როდოპოლისი ქართულად ნიშნავს — „ვარდის ქალაქს“ — „ვარდის ციხეს“. (იხ. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მესამე, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და განმარტებებით, თბ., 1936, გვ. 309).

(და, ვფიქრობთ, ჰპოვა კიდევ) უძველეს ქართულ წარმართულ რელიგიურ სამყაროს, კერძოდ, მთვარისა და თეთრი გიორგის სახელთან განუყრელად დაკავშირებულ მოვლენებსაც.

ცნობები (პირველ-წყაროები, ძეგლები) ძველი აღმოსავლეთის და მის შემადგენელ კოლხურ-იბერიულ სამყაროს ისტორიულ დიდ კულტურულ ტრადიციებზე XIX საუკუნემდე უაღრესად შეზღუდული და ბევრ შემთხვევაში სუმბურული იყო. ერთადერთ წყაროდ ამ უძველესი კულტურული სამყაროს ისტორიის შესასწავლად აღიარებული იყო ბიბლია და ბერძენ მწერალთა, — ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონის ცნობები, რომლებიც ცოტას იუწყებიან იხეთი დიდი წარსულის მქონე ხალხების შესახებ, როგორც იყვნენ: ძველი სუმერები, ბაბილონელები, ასურელები, ეგვიპტელები, ურარტუელები, ხეთები და სპარსელები. ისტორიულ სანდო წყაროთა უქონლობის გამო ასევე ძალიან ცოტა ვიცოდით კოლხეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურის და სახელმწიფოს შესახებ, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა ძველ აღმოსავლურ კულტურულ სამყაროში. ბიბლიურ ცნობებზე — არსებითად ლეგენდა-გადმოცემებზე დამყარებული ამ ხალხებთან ფანტასტიკური ისტორია შესაძლებლობას არ იძლეოდა მეცნიერებებს განესხვავებინა ლეგენდა ისტორიული სინამდვილისგან. ამ სიბნელეს ბოლო მოეღო XIX — XX სს. და მხოლოდ არქეოლოგია აღმოჩნდა ერთადერთი მეცნიერება, რომელმაც სინათლე შეიტანა ამ ბინდგადაკრულ, დავიწყებამდე მისულ ისტორიაში. გათხრების შედეგად აღმოჩნდა საშეფო სასახლეები და საყდრები, ფარაონთა საფლავები, ხორსაბადსა და ნინეფიაში, ბაბილონში, სუზაში, მესოპოტამიისა და სირია-პალესტინის სხვა ძველ ქალაქებში; აქვე იპოვეს წერილობითი დოკუმენტები, ბიბლიოთეკები და არქივები. აღმოჩნდა, მაგალითად, 25 ათასი თიხის ფილა ლურსმულად დაწერილი ქ. ნინეფიაში, რომელთა შორის იპოვეს ეპოსი გილგამეშის შესახებ, ჰამურაბის კანონები სუზაში და სხვა. ამ აღმოჩენებისა და ლურსმული დამწერლობის გაშიფრვის საფუძველზე ფარდა აეხადა ძველ-აღმოსავლურ სამყაროს უკუნითმოცულ ისტორიას და ფაქტიურად დავიწყებულ იხეთ ხალხთა მალალ კულტურას, როგორც იყვნენ: სუმერები, ასურელები, ბაბილონელები, ქალდეველები, ხეთები, ურარტუელები და მათი მონათესავე კოლხი-იბერიელები, ფინიკიელები, არამეელები. და სხვა. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ახალი შინაარსი შესძინა ბიბლიას. ბევრ შემთხვევაში შეავსო და დადასტურა ბიბლიაში დასახელებულ ქალაქებსა და ხალხებზე ლეგენდარული გადმოცემები და ამდენად იგი ერთგვარ ისტორიად გადააქცია, რომელსაც ამ ქალაქთა ნანგრევები ათეულ საუკუნეებით ფარავდა.

ამ აღმოჩენებით ნათლად მტკიცდება, რომ ძველ აღმოსავლურ ხალხთა ადათები, კანონმდებლობა და რელიგია განუყრელ კავშირში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, რამაც პირველად ბიბლიაში კპოვათა ვისებური ასახვა. მაგალითად, კარგად ცნობილი ათი მცნება და მოსეს კანონები ჩამოყალიბდა მესოპოტამიაში ჰამურაბისეულ უძველეს კანონმდებლობათა საფუძველზე; ასევე ბიბლიური მოძღვრებანი სამყაროს გაჩენის, ისე როგორც თქმულებანი წარღვნის შესახებ და სხვა ესქატოლოგიური წინასწარმეტყველებანი მომდინარეობენ ბაბილონური მითოლოგიიდან; აქედანვე იღებენ სათავეს საიქიო ცხოვრების დაყოფა სამოთხედ და ჯოჯოხეთად, წაწყმედილთა და ცხოვრებულთა ადგილსამყოფელად, რომელიც შემდეგში ახალ პირობებში, ოსტატურად იქნა გამოყენებული ქრისტიანობის მიერ და ბევრი სხვა.

ყოველივე ამის საფუძველზე მეცნიერებას შესაძლებლობა მიეცა ეთქვა, რომ ბიბლიაში გადმოცემული ამბები მხოლოდ ლეგენდები და ფანტაზიები როდია, არამედ მომცველია ბევრი ისტორიული ნამდვილი ამბისა, რომ იგი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ყველაზე ადრინდელ, ყველაზე ვრცელ წყაროდ და მსოფლიო ლიტერატურის ჭეშმარიტ შედეგად ელიარებინა.

ძველი აღმოსავლური, ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური სამყაროს კოლხეთთან მრავალსაუკუნოვანმა კავშირ-ურთიერთობამ სათანადო ასახვა პოვა მათ მდიდარ მწერლობაში.

ამატომ შემთხვევითი არაა, რომ კლასიკური ფილოლოგიის დარგის გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ადრიდანვე იწყებენ აღმოსავლურ და ანტიკურ მწერალთა ცნობების კვლევას საქართველოს ძველი ისტორიის შესასწავლად; თ. ბაგრატიონის, დ. ბაქრაძის, ვ. ლატიშვიის, კ. განის, გრიგოლ წერეთლის, ს. ყაუხჩიშვილის, გ. წერეთლის, გ. მელიქიშვილის თაოსნობით და მათი მოწაფეების დეაწლით კი მეცნიერების ეს დარგი ჩვენში დაწინაურდა. მაგ., ქართულ ენაზე მეცნიერული გამოკვლევითა და კომენტარებით ითარგმნა პეროდოტე (თ. ყაუხჩიშვილი), ბერძენი ლოგოგრაფოსები (ნ. ლომოური), ქსენოფონტი (თ. მიქელაძე), ჰიპოკრატე (თ. ყაუხჩიშვილი), აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ (აკ. ურუშაძე), არიანე (ნ. კეკელიძე), სტრაბონი (თ. ყაუხჩიშვილი), ამიანე მარცელინე და სხვათა ნაშრომები; ასევე ითარგმნა ბიზანტიელ მწერალთა მდიდარი მემკვიდრეობა საქართველოს შესახებ (ს. ყაუხჩიშვილი, ალ. გამყრელიძე, და სხვ.).

ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებზე და პირველწყაროებზე ამჟამად მთელი ინსტიტუტი მუშაობს, სადაც საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი დაქვემდებარებული სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითადი პრობლემები, ინსტიტუტში გამოქვეყნებული წყარო-

ები და გამოკვლევები დიდ დახმარებას გვიწევდა. ძველი კოლხეთის ჩვენთვის საინტერესო პრობლემებზე მუშაობის პროცესში.

წინაანტიკური, ისე როგორც ანტიკური და მისი შემდგომი ხანის საქართველოს, და საკუთრივ კოლხეთის, ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა წერილობით წყაროებთან ერთად არქეოლოგიურ გათხრებსა და კვლევა-ძიებას განეკუთვნება.¹¹ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა ციხისძირში და ქობულეთ-ფიჭვნარში (ნ. ხოშტარია, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე), ურეკში (ნ. ხოშტარია, ო. ჯაფარიძე), ბათუმში (ნ. ბერძენიშვილი, დ. ხახუტაიშვილი), ფოთის სანახებში (თ. მიქელაძე), სოხუმსა და მის ახლო მიდამოებში (მ. ივაშჩენკო, მ. ტრაპში, ალ. კალანდაძე და სხვ.), ბიქვინთაში (ა. აფაქიძე), ოჩამჩირეში (ბ. კუფტინი, მ. ივაშჩენკო); ამასთანავე განხორციელდა გათხრები ზღვიდან საკმაოდ მოშორებულ კოლხეთის ბარისა და მთის რაიონებშიაც, რომელთაგან წინაანტიკური და უფრო გვიანი ხანის კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რიონის აუზში — მთიან რაქაში (ბ. გობეჯიშვილი) და ბარის რაიონებში, — დაბლა გომში (ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია), ვანში (ნ. ხოშტარია, ო. ლორთქიფანიძე), ქუთაისში (ოთ. ლორთქიფანიძე), ყვირილის ხეობის აუზში — ითხვიანში (რ. აბრამიშვილი), საჩხერეში (ო. ლამბაშიძე), ცხენისწყლის ხეობაში (გ. გობეჯიშვილი) და მრავალ სხვა ადგილას ჩატარებულ გათხრებს ამ გათხრებმა და მეცნიერულმა გამოკვლევებმა შუქი მოფინეს სიბნელით მოცულ კოლხეთის ისტორიის რიგ საკითხს.¹²

¹¹ შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კოლხეთის არქეოლოგიურად შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. თუ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროები, მაგ., ყირიმში არქეოლოგიურად ჭერ კიდევ რევოლუციამდე რამდენადმე მაინც შესწავლილი იყო ფარმაკოვსკის, ლატიშევის, როსტოვეცისა და სხვათა მიერ, იგივე შეუძლებელია ითქვას მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის, კერძოდ, კოლხეთის შესახებ; ამიტომ სამართლიანად იყო აღნიშნული სრულად საკავშირო არქეოლოგია 1945 წლის თათბირზე, რომ «На кавказском побережье также как и в дореволюционную эпоху, археологическая деятельность антиковедов была совершенно недостаточной»; 1883 წ. კოლხეთში არქეოლოგიური გათხრების ნებართვაითხოვ კენრის შლიმანმა საკუთარი ხარჯებით, რაც მეფის რუსეთის წიერ უარყოფილ იქნა; მხოლოდ სამამულო ომის შემდგომ პერიოდში ქართველ არქეოლოგთა კოლექტივმა დიდი მუშაობა ჩაატარა ძველი კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის (იხ. Материалы к Всесоюзному археологическ. совещанию, М., 1945, გვ. 55).

¹² აქარა — ქობულეთის, კერძოდ ფიჭვნარ-ციხისძირის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, ჩვენს მიერ ზუკუნის მიდამოებში მიკვლეულ არქეოლოგიურ კომპლექსთან ერთად, დახმარებას გვიწევს კინტრიშის ხეობისა და მისი შესართავი ზღვისპირა ადგილების აღრიხედელ, წინაანტიკური ხანის ისტორიული სინამდვილის

კოლხეთის დაბლობის, კერძოდ, რიონის ქვემოწელის, უჭველესი, საკმაოდ დაწინაურებული კულტურის საივანეთების გასათვალისწინებლად გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს პროტოკოლხური კერამიკა, რომელიც ჭერჭერობით მიკვლეულია ძველთაძველ გორა-ნამოსახლარებზე; ენგურისა და ტეხურის ხეობებში, სოფ. რეკამი — ნაოხვამუს მიდამოში, დიხა-გუძებზე, ნოსირასა და ქვალონის დიხა-ზურგაზე. აქ აღნიშნული პროტოკოლხური კერამიკული ძეგლები, რომლებიც ივ წ. II ათასწლეულით თარიღდებიან¹³, ხასიათდება კოლხურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სპეციფიკური ფორმითა და ორნამენტით.

ქალაქის მიდამოებში გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ძეგლები და ნამოსახლარები იქნა მიკვლეული. აღმოჩნდა ლეგათისხისაგან დამზადებული ორსაგდულიანი ყალიბის ნაწილი, მინიატურული კოლხური ცულის ყალიბი, ლითონის სადნობი ქურის საბერველის ნაშთები და სხვ.¹⁴, რომლებიც ნათლად ადასტურებენ იმ დიდსა და მდიდარ მეტალურგიულ ტრადიციებს, რომლებმაც კოლხეთი ძლიერ და მდიდარ — „ოქროს ვერძის“ მფლობელ ქვეყნად აქცია. მოგვიანებით, გეოლოგიური პირობების შეცვლის გამო, ეს მხარე დაქაობდა და ადამიანი დიდი ხნით გაეცალა მას. ქართული არქეოლოგიური მეცნიერების წარმომადგენელთა ეს მდიდარი მონაპოვარი სათანადოდ გათვალისწინებული და გამოყენებულია ჩვენს ნაშრომში.¹⁵

ქობულეთის მიდამოთა და საერთოდ კოლხეთის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიღევნებათ წარმოდგენილი უძველესი ზღვისპირა

მეცნიერულად შესწავლისთვის: ამიერიდან შეიძლება ითქვას, რომ ხუცუბნის არქეოლოგიური ძეგლების გათვალისწინების გარეშე ფიქვენარ-ციხისძირის, ასევე კინტრიშის ხეობის და მთლიანად აპარისა და კოლხეთის სხვა არქეოლოგიურ აღმოჩენათა გააზრება და შესწავლა მეცნიერულად გაუმართლებელიც კი შეიძლება იყოს.

¹³ ნ. ხ. მ. ტ. ა. რ. ი. ა., კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი, იხ. საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. VI, №6, 1945, გვ. 467—473. Б. А. Куфтин. — Материалы по археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, გვ. 161, გ. ნორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიშვის მოამბე, X; 1941, თბ., გვ. 324.

¹⁴ თ. მ. ი. ქ. ე. ლ. ა. ძ. ე., ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის, 1961, 1962, 1963 და 1964 წ. მუშაობის შედეგები—ანოტაციები.

¹⁵ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროების შესწავლის საქმეს ემსახურება, ასევე სტატიების კრებული: «Археология и история Боспора», т. II, 1962. «Археологические исследования средневекового Крыма, Киев. 1968. «Античная история и культура средиземноморья и причерноморья». Л., 1968 (Сборник статей). კრებულში მოთავსებული 45 სტატიიდან კოლხეთს მხოლოდ 3 ეხება, ესენია: Л. А. Ельницкий, По поводу Сухумидской стелы, Д. Г. Капанадзе и Н. Г. Шенгелия, Триморфия геката с колхидской дидрахины V века до н. э. О. Д. Лордкипанидзе, Торгово-экономические и культурные взаимоотношения античного мира с Колхидой в эпоху эллинизма.

დიუნები ამ ბოლო დროს სპეციალური კვლევა-ძიების ობიექტი გახდა. ამ უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ მათი ერთი ჯგუფი 2500 — 3000 წლის წინათაა წარმოქმნილი.¹⁶ ქობულეთის ქვეყანა, მისი ზღვისპირეთის, ასევე ისპანის — ახლა დაქობებული ტორფნარის ვრცელი ადგილები, დასახლებული ყოფილა ადრითგანვე, — ადრეულ ბრინჯაოდან ვიდრე რკინის ხანის დასაწყისამდე, როცა ის არ წარმოადგენდა ქაობნარს. ეს მხარე თავისი ეკონომიკითა და კულტურით, რასაკვირველია, ასევე მოიცავდა კინტრიშის უმდიდრეს ხეობასაც.¹⁷

ქობულეთის წარსულის მოკლე. ისტორიული მიმოხილვა სცადა მ. ხარაზმა¹⁸. რაც შეეხება ტოპონიმ „ქობულეთის“ ავტორისეულ, ერთი შეხედვით საკმაოდ არგუმენტირებულ, ახსნის ერთ-ერთ ცდას (იქ ცდებისაგან განსხვავებით, რომელიც მოცემული აქვთ ვ. დონდუას და ი. სიხარულიძეს), იგი, შესაძლებელია, სადაო იყოს: მისი აზრით თითქოს ქობულეთი, ამ ქვეყანას XVI საუკუნის შემდეგ, ამ მხარის რომელიღაც მფლობელის გეარ-სახელისაგან უნდა შერქმეოდა. ისმის საკითხი, რა ეწოდებოდა ქობულეთის მხარეს XVI ს-მდე? ჩვენც აქ მხოლოდ ვარაუდის სახით გვინდა აღვნიშნოთ, — გეოგრაფიული სახელი ქობულეთი ხომ არაა წარმომდგარი მეგრულ-ლაზურის „ქობალი“-საგან (ხორბალი) „ქვაბლიანი“ „ქობლიანის“ მსგავსად¹⁹. წინამდებარე ნარკვევში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსის აღწერას და ამავე ძეგლის მეცნიერულად დათარიღების პრობლემას, კოლხეთის ამ ისტორიული, სოციალურ-ეკონომიური ერთიანი პროცესის და

¹⁶ ა. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნამოსახლარები ქობულეთის რაიონში. ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, ტ. II, 1964. და მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., 1964. სპეციალურადაა განხილული ძველი ნამოსახლი ფიქვნარის ცნობილი დიუნები.

¹⁷ დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ.; 1966, გვ. 70.

¹⁸ მ. ხ ა რ ა ზ ი, ქობულეთი, „ლიტერატურული აპარა“, 1969, №5, გვ. 69 — 78.

¹⁹ ივ. ჭავჭავიძის დაკვირვებით, „პური“ არც მეგრულში და არც ქანურში არ იხმარება და მეგრულად გამომცხვარი პურისათვის „ქობალი“ და „ქობაი“ არის მიღებული, რომელსაც ხორბლის მნიშვნელობაცა აქვს და ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი პურისა... ქანურშიც, ნ. მარის ლექსიკონის მიხედვით, პურს „ქოვილა“ ან „ქოვილი“ ეწოდება... მაშასადამე, ქანურში ახლა „ქოვილადა“ და „ქოლადა“ ქცეული წინათ „ქობალად“ გამოითქვოდა (იხ. ივ. ჭავჭავიძის საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგ. I, ზეორე გამოცემა, 1930, გვ. 417—418). ივ. ჭავჭავიძის აზრით, პურეული საზოგადოდ, ან მასი რომელიმე ჭიშის სახელის მიხედვით გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნის შესახებ, ძველ ქართულ წყაროებიდანაც შეიძლება

რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსის სწორად გააზრებისათვის, სხვა მასალებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ხუცუბნის არქეოლოგიურ მასალასაც განეკუთვნება. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები (d. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნა). გვიანი ბრინჯაოდან ადრეულ რკინის ხანაზე გარდამავალ რთულ პერიოდს მოიცავს. ესაა ხანა, როცა კოლხეთში თემური წყობილების რღვევის გზით კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება და კლასობრივი ბატონობის ორგანოს, კოლხური სახელმწიფოს ფორმირების პროცესი იწყება.

ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში ს. ჯანაშიამ შეიმუშავა საესეებით დასაბუთებული მეცნიერული კონცეფცია იმის შესახებ, რომ გვიანი ბრინჯაოს ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად არსებობდა ორი კულტურა, — დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული, ანუ კოლხური და იბერიული კულტურა, რომლებიც შემდგომში ორ ქართულ ეთნიკურ ელემენტთა ერთობად — კოლხურ და იბერიულ კულტურათა ერთობად გვევლინება: ამ კონცეფციამ თავისი ახალი დასაბუთება პოვა იმ დიდი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებით, რომელიც საქართველოში 1940-იანი წლების შემდეგ გაიშალა.

ყოველი გარდასული ეპოქის კულტურის წიაღში კონკრეტული ეთნიკური კოლექტივი იფარება, რომლის წევრებიც გარკვეულ ენაზე შეტყუვლებდნენ და ქმნიდნენ ამ კულტურას. მკვლევარის ამოცანაა, დაადგინოს ამ კოლექტივის ვინაობა. ქართველმა მეცნიერებმა, არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით და მეცნიერული მემკვიდრეობის კრიტიკულად გაანალიზების გზით, დაასაბუთეს, რომ ქართველი ხალხის წინაპრები ჯერ კიდევ ძვ. წ. III და II ათასწლეულის მიჯნაზე ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს და მის სამხრეთით მდებარე

არა ერთი მგალითი მოგვეტანა. იგი, მაგ., ასახელებს IX ს. ძეგლში გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მითითებულ შავშეთის სოფლის „დოლის ყანის“ სახელს, რომელიც დოლის პურის ჭიშიდანაა წარმოებული, (იხ. გვ. 417). კოლხეთში ჯველთაგანვე ფართოდ მისდევდნენ პურის მოყვანას. მაგ. ქსენოფონტის ცნობით, ბერძნებმა, აიღეს რა მოსინიკების ქალაქი, მათ სახლებში იპოვეს ბევრი პური, რომელიც სარდაფებში ქონიათ შენახულიო, ნიკოლოზ დამასკელის შრომებით (64 წ. ძვ. წ.) მოსინიკები თავიანთ პურს თანასწორად უყოფდნენ მათ ქვეყანაში მოსულ უცხოელებსო, Плутинев, 1—2, გვ. 456. აღნიშნულს ადასტურებს ფიკვენარის მიდამოებში მდინარე ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე დაკული ტოპონიმებიც „ნაპურვალა“ და ნაპურვალას ბორცვის სახით, რაც მეტად საყურადღებო მოვლენაა და გასათვალისწინებელიც.

²⁰ საქართველოს ისტორია, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს და ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ავტორობით, 1945: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, ტ. I, კ. მელოქიშვილის რედაქციით.

მიწაწყალზე²⁰; დიდი მნიშვნელობის პრობლემაა ასევე კოლხეთის სამეფოს განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპების დადგენა, ანუ მისი ისტორიის პერიოდიზაცია.

თ. მიქელაძე კოლხეთის სამეფოს ისტორიის ახალ პერიოდიზაციას იძლევა, რომელშიაც ამასთანავე წარმოდგენილია კოლხური კულტურის ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოების. — მისი დღემდე მიღებული ძირითადი თარიღებისა და პერიოდებისადმი ერთგვარი კრიტიკული მიდგომა, მის ნაშრომში მოცემულია ხელახალი გადათარიღების უდავოდ ანგარიშგასაწევი ცდაც. იგი კოლხეთის ისტორიას სამ პერიოდად ყოფს, ესაა: „ძველი სამეფოს პერიოდი ძვ. წ. XIII—VIII სს. შუა სამეფოს პერიოდი ძვ. წ. VI—I სს. და ახალი სამეფოს პერიოდი ა. წ. I—VI სს.“²¹.

ავტორი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მიღებულ პერიოდიზაციას, კერძოდ, გვიანი ბრინჯაოს ეპოქის ძვ. წ. I-ლი ათასწლეულით დათარიღებას არ იზიარებს. იგი ამ თარიღს 500 წლით წინ სწევს. მისი აზრით „ძველ კოლხური სამყაროს ისტორიული პერიოდის ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნად მისთვის დამახასიათებელი გვიანი ბრინჯაოს კოლხურ კულტურით მიჩნეულ უნდა იქნეს XV ს. ძ. წ. ან კიდევ შესაძლოა XVI ს. ბოლო“.²² კოლხეთის ძველი სამეფო ე. წ. კულხა კი წარმოგვიდგება დაახლოებით ისეთივე ტიპის სახელმწიფოებრივ გაერთიანებად, როგორც იმდროინდელი ძველ-აღმოსავლური სამხედრო დემოკრატიული სახელმწიფოები აყვინენ.

კოლხეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებასა და სი-ოცხლის უნარიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ ძველი აღმოსავლეთის დამპყრობლებმა არა ერთგზისი ცდის მიუხედავად ვერ შეძლეს საბოლოოდ გაეტეხათ და შემოემტკიცებინათ კოლხთა ქვეყანა, რომელიც ოდითგანვე გზას უღობავდა ამ დიდ ქვეყნებს შავ ზღვაზე ანუ „ზემო ზღვაზე“ გასასვლელად²³.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის სამეფოს არსებობის ქრონოლოგიურ დასაწყისად თ. მიქელაძე ძვ. წ. XVI საუკუნეს იღებს და, სავსებით მართებულად, ახ. წ. VI საუკუნის ნახევრამდე ანგარიშობს.

ძვ. წ. VI საუკუნე ნამდვილად დიდი გარდატეხის, შემობრუნების პერიოდია, კოლხეთის ისტორიაში ჩნდება ლითონის ფული, ვერცხლის მონეტა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე კოლ-

²¹ Т. Микеладзе, Исследования по истории древнейшего населения Колхиды и Юго-восточного Причерноморья, тб., 1969, автореферати. გვ. 96.

²² იქვე.

²³ გ. მელიქიშვილი, შვიი ზღვა ძვ. წ. XIII—XII—სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში, იხ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 26.

ხურ თეთრადაა ცნობილი. კოლხური თეთრის გავრცელების არედ ძირითადად კოლხეთის დაბლობი ზღვისპარეთი — კოროხისა და რაონის ხეობებია აღიარებული, ტრაპეზუნდიდან ლიხთ-იმერეთის ჩათვლით ვიდრე სოკამდე. კოლხური თეთრის მოჭრა კოლხეთის სამეფო ხელისუფლების პერეოგატივის უდავო დადასტურებაა.²⁴

კოლხეთის სამეფო უძველესი დროიდან საკმაოდ რთულ პირობებში, აგრესიულად განწყობილი მეზობელი დამპყრობი ქვეყნების მეტნაკლებ გარემოცვაში ინარჩუნებს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და თვითმყოფ კულტურის განვითარების საკუთარ გეზს: იგი ქედს არ უხრის როგორც წინააზიურ დიდ სახელმწიფოებს, ასევე არ ითქვიფება დასავლურ ელნიურ იდეურ-პოლიტიკურ მძლავრ კულტურულ მიმდინარეობაში.²⁵

ახალ საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს ადგილს ლაზიკის სამეფო იკერს. ლაზიკის სამეფო წარმოადგენს ერთ ეტაპს კოლხეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთიან ისტორიულ ხანგრძლივ პროცესში. ლაზიკის სამეფო ამასთანავე ასრულებდა წამყვან როლს კოლხეთის სამეფოს აღდგენის საქმეში, მან საბოლოოდ ძირითადად აღადგინა კოლხეთის ძველი სამეფოს საზღვრები, თუმცა არასრულად, როგორც ეს მენაქდრეს ცნობებასა და სხვა მასალებზე დაყრდნობით საბუთდება.

მეტად საგულანხმოა, რომ თვით ლაზები თავიანთ თავს კოლხების ჩამომავლად, ხოლო ლაზთა სამეფოს კოლხეთის ძველი სახელმწიფოს მემკვიდრედ თვლიდნენ: ასეთი საზოგადოებრივი აზრი კი იმდენად ფეხგადგმული ყოფილა ლაზიკაში, რომ ა. წ. VI საუკუნის უცხოელი მწერალი აგათია იძულებული გამხდარა თავის ანალებში ამ ფაქტის საგანგებო ფიქსირებაც კი მოეხდინა.

ა. წ. V ს. ანონიმი ავტორის ცნობით, კოლხეთის სამეფოს საზღვრები, რომელსაც იმ დროს ლაზები და ეგრისელები იცავდნენ. იწყე-

²⁴ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ.; 1969; გ. დონდუა, კოლხური თეთრი, იხ. ძველის მეგობარი, 1970, კრებული ოცდამესამე.

²⁵ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდი ტრადიციების მქონე კოლხები რომაელთა მმართველობას ვერ შეურიგდნენ, რაც სისტემატურ აჯანყებებში ვლინდებოდა; მაგრამ, რაკი ვერ შესძლეს რომაელთა გაძევება, თანდათანობით დაკარგეს პოლიტიკური პეგემონია თავიანთ ქვეყნებში და კოლხეთის საშეფო ხელისუფლება თანდათანობით კოლხების მონათესავე და მისი სამეფოს ქვეშევრდომ შემადგენელ ძლიერ ტომზე — ლაზებზე გადადის. შექმნილ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ხდება თვით კოლხეთის სახელმწიფოს სახელწოდების შეცვლა და რომაელები (რომაულ-ბერძნული წყაროები) მას კოლხეთის ნაცვლად ლაზების სახელმწიფოს — ლაზიკას, ან ლაზიკეს უწოდებენ, რადგან მეფეს ლაზებიდან ირჩევდნენ.

ბოდა დიოსკურიიდან (სებასტოპოლიდან) და ვრცელდებოდა ვიღარე მდინარე აფსარამდე.

ე. წ. ახალი სამეფოს პერიოდი (I—VI სს.), რომელიც კოლხეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანას მოაცავდა, წარმოადგენს კოლხეთის ისტორიის დასასრულს. ა. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიელების მიერ ლაზიკის სამეფო ხელისუფლების მოსპობით ლაზეთ-კოლხეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, სწყვეტს თავის არსებობას. ქართული სახელმწიფოებრიობის და კულტურის განვითარების ისტორიაში ამიერიდან ახალი ხანა იწყება — ხანა დამპყრობ ბიზანტიელების, არაბების და თურქ-სელჯუკიანთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის, მისი შემადგენელი ტომების გაერთიანების ვზით სამამულო ომისა დამოუკიდებლობისათვის და ახალი ძლიერი ფეოდალური ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის, ეს საუკუნოვანი გმირული ბრძოლები დამთავრდა ქართველი ხალხის სრული გამარჯვებით, ფეოდალური საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ დამკვიდრებით.

ძველი კოლხეთის შემადგენელ ერთ მეტად დიდმნიშვნელოვან კერას კინტრიშის ხეობა წარმოადგენდა. ამ ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები და არქეოლოგიური მონაპოვარი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა არა მარტო ერთი ლოკალური ხეობის, არამედ ძველი კოლხეთის ისტორიის გარკვეულ პერიოდზედაც და ამდენად მისი განზოგადებისათვის სრული საფუძველი არსებობს. კინტრიშის ხეობისა და სოფელ ხუცუბნის ძეგლებმა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან—აჭარის შემოერთების პირველსავე დღეებიდან მიიპყრო ქართველ მოღვაწეთა ყურადღება. ამიტომ ნაშრომში საჭიროდ მივიჩნიეთ შევჩერებულნიყავით მათ მემკვიდრეობაზე სოფელ ხუცუბნის არქეოლოგიურად შესწავლის საქმეში.

განყოფილება კირველი

კინტირის ხეობა — კოლხური კულტურის თვალსაჩინო კერა

ც ა ნ ი 1. არქეოლოგიური აღმოჩენების ისტორიისათვის კინტირის ხეობასა და სოფ. ხუტუბანში

ხუტუბნის არქეოლოგიურმა ძეგლებმა აღრიდანვე, რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლის ომის დროიდან მიიპყრო ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება, ხოლო ამ მხარის თურქთაგან გამოცხნის შემდეგ. ეს ყურადღება ბევრად გაღრმავდა და იგი არასოდეს არ შენელებულა. მაგრამ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ინტერესი ხუტუბნის უძველეს სამაროვანთაღმ 1944 წლის აღმოჩენების შემდეგ განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით გაიზარდა. ამდენად ხუტუბანი, ჭერხობით მაინც, საბედნიერო გამონაკლისად რჩება აჭარის სინამდვილეში ამ მხარის არქეოლოგიურად შესწავლის თვალსაზრისით.

ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ აჭარა-ქობულეთის, ისე როგორც მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება დიდად ჩამორჩა ამ მხარეში ოსმალთა თითქმის სამსაუქუნოვანი, დამანგრეველი ბატონობის შედეგად. ცოტა რამ იწერებოდა აჭარის შესახებ ამ პერიოდში. ქართული ისტორიული მეცნიერების ეს ჩატეხილი ხიდი გამრთელებას მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, რაც რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ბრძოლით მოხერხდა ამ მხარის გამოსხნა და დედასამშობლო საქართველოსთან შემომტკიცება.

აჭარა-ქობულეთის მშობლიურ საქართველოსთან შემოერთების

შემდეგ გასული საუკუნის 80-იან წლებიდან განახლდა ამ მხარის ისტორიის და არქეოლოგიის შესწავლა, — იწყება ძველი ქართული ისტორიოგრაფიული, ვახუშტისეული ტრადიციების აღდგენა: აქარის შემოერთებამ, თბილისთან ბათუმის რკინიგზის მაგისტრალით დაკავშირებამ და ბათუმის დიდი სამრეწველო-სანავსადგურო კვანძად გადაქცევამ განაპირობა ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფად განვითარება და ამ მხარის ახალ საფუძველზე აღორძინება.

აქარა-ქობულეთის მატერიალური კულტურის და ისტორიის შესწავლის საქმეში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები — ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინა წლები, როცა სამეცნიერო მიზნებით ამ მხარეში თურქთა ბატონობის სანაშვივე დ. ბაქრაძემ¹ და გ. ყაზბეგმა² იმოგზაურეს: მას შემდეგ კი, რაც აქარა-ქობულეთი დაუბრუნდა საქართველოს, მისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით დაინტერესდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გოგებაშვილი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე და დ. კლდიაშვილი. ცნობილი მეცნიერები: ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. უმიკაშვილი, ზ. კიკინაძე, ი. ყიფშიძე და სხვ.³ გაზ. „ღროების“, „ივერიის“ და საერთოდ, ქართული პერიოდული პრესის მესვეურები და ქართველი საზოგადო მოღვაწეები მუდამ დაუცხრომელ ინტერესს იჩენდნენ ავბედობით შერყეულ, მშობლიურ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ასაღორძინებლად.

ამ მხარეს ამიერიდან ასევე ყურადღებით ეკიდებოდნენ რუსთა გამოჩენილი მეცნიერნიც. რა თქმა უნდა, მათ სხვა მიზნებიც ამოძრავებდათ, მაგრამ ამ კუთხის წარსულის შესწავლაში მათაც შეიტანეს ერთგვარი წვლილი. მათგან, მაგალითად, გრაფინია უვაროვამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სამეცნიერო მიზნებით მოვლო, არა ერთი ძეგლი მოიხილა და ზემო აქარაში არქეოლოგიური მცირე დაზვერვით ვათხრებიც კი ჩაატარა (სოფ. აგარაში).⁴

შემოერთებული მხარის მრავალ სოფელთან ერთად 1879 წლიდან ხუცუბანმაც მიიპყრო სიძველეთმოყვარულ მეცნიერთა ყურადღება. ეს განაპირობა იმ შემთხვევითმა აღმოჩენამ, რომელიც საზოგადო

¹ Д. Ба к р а д з е, Краткий очерк Гурин, Чуруксу и Ачаре. Извест. Кавказск. отд. ИРГ общ. Т II, 1873; მისივე კაპიტალური ნარკვევი Археологическое путешествие по Гурин и Ачаре, 1878, პეტერბურგი.

² Г. К а з б е к, Три месяца в Турецкой Грузии. 1875.

³ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 36; გაზ. „ივერია“, 1877—78 №№ და სხვ. ი. გოგებაშვილის რჩეული ნაწ. სრული კრებ. ტ. II, გვ. 267 და მრავალი სხვა.

⁴ У в а р о в а, Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшегия, Путевые записки, часть II, 1891, Л. 221.



გ. წერეთელი



ს. მესხი



გ. კაიკაციშვილი



თაყაიშვილი



დ. ბაქრაძე

მოღვაწის და პატრიოტის გულო კაიკაციშვილის სახელს უკავშირდება. სოფ. ხუცუბანსა და სოფ. ქობულეთს შორის მდინარე კინტრიშზე სამხედრო ხიდის მშენებლობის პროცესში იგი წააწყდა ბრინჯაოს ცულებს, რომელთაგან ერთი „დროების“ რედაქტორ სერგეი მესხისა-
ცივის გადაუცია.

ამ ექსპონატმა უმაღლეს მიიქცია გ. წერეთლის ყურადღება. გ. წერეთელი ამასთანავე დაინტერესებულა ციხისძირის მიდამოების სხვა ძეგლებითაც, სადაც თურქ მესანგრეებს თითქო უპოვიათ ქვის კუბო, რომელშიც ყოფილა „золотые и серебряные вещи“ და გამოუტაცნიათ თურქ მესანგრეებს. გ. წერეთელი ასევე ეხება სოფ. კვირიკეში აღმოჩენილ მარმარილოს კუბოს. მას თითქო ყოველივე ეს შეუსწავლია და შესაფერისი ადგილი დაუთმია კიდევ. თბილისში გამართულ არქეოლოგთა მესუთე ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში გ. წერეთელი აღნიშნავდა: «Окрестности Цихиз-Дзири близ с. Квирике, где при производстве фортификационных работ турками в мишувшую войну открыт был мраморный гроб с надписью на мраморной крыше. Крышу выломали турки а найденные в гробу золотые вещи расхитили. Я об этом сообщил в местных газетах, там же найдено было несколько бронзовых вещей. Между прочим один бронзовый топор, хорошо сохранившийся очень красивой работы, был подарен местным жителем редактору грузинской газеты «Дрозба» — С. С. Месхи»⁵.

ჩვენ არ ვიცით რა ცნობებს და წყაროებს ემყარებოდა გ. წერეთელი. როცა მას ეს საკითხი მესუთე არქეოლოგაურ ყრილობაზე მსჯელობის საგნად გამოჰქონდა, მაგრამ საფიქრებელია, თითქო ამავე ფაქტზე უნდა მიუთითებდეს ა. ვ. კომაროვიც, რომელიც 1882 წელს წერდა: В 1879 г близ того места, где в прошедшую войну русскими войсками был построен мост через реку Кинтриши между селениями Хуцубани и Кобулети, урядник Гулахмед Намаз оглы нашел два бронзовых топора, которые передал редактору газеты «Дрозба», г-ну Месхи»⁶. გულ-ახმედ ნამაზ ოღლი ეს ამ მხარას მკვიდრი გულო კაიკაციშვილია, რომელიც დაინტერესებული იყო ამ კუთხის წარსულით. არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ს. მესხს ამ მხარიდან არა ორი, არამედ სამი ბრინჯაოს ცული გადასცა გულო კაიკაციშვილმა.

⁵ Протоколы подготовительного комитета к пятому археологическому съезду. Москва, 1881. გვ. 37-51, და 337.

⁶ А. В. Комаров, «Краткий обзор последних археологических находок в Кавказском крае», Известия Кавказского общ-ва истории и археологии, вып. 1, 1882 г. Тифлис, გვ. 2. ავტორი ერთი ცულის მაგიერ ორ ცულს ასახელებს.

ქართველ მოღვაწეთა დაინტერესებით და წახალისებით ქობულეთის მკვიდრი გულო კაიკაციშვილი შემდეგმოდო იხენდა ინტერესს ამ ადგილის სიძველეებისადმი. ა. კომაროვის იმავე მიმოხილვიდან ვცხოვრობთ, რომ ხუტუბანშივე, იმავე კაიკაციშვილს 1881 წლის შემოდგომაზე. მდინარე-კინტრიშის ნაპირის ჩამონგრევის შედეგად. კვლავ უპოვნია: «Два целых бронзовых топорики, две сломанные фибулы и бронзовую грубую фигуру льва, которую находчик по тяжести принял за золотую и очистил с нее окись; кроме того найдено несколько бус из ониссов и стекла и небольшой горшочек, имевший форму тигеля, но с ручкой».⁷

⁷ ა. ვ. კომაროვი, დასახელებული ანგარიში. გვ. 3.

წინ იყო კომაროვი, რა აკავშირებდა შას ხუტუბნის სიძველეთან? რუსმა გენერალმა ალექსანდრე ბესარიონის ძე კომაროვმა (1830—1904) კავკასიაში 30 წელი იმსახურა. 1880 წ. გენერალ-ლეიტენანტის წოდებით იგი დანიშნული იყო კავკასიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს უფროსად («Начальником военно-народного управления»), სადაც 1883 წლამდე დაყო. იგი ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას და სწორედ ამ პერიოდში შეისწავლა ხუტუბნის ძეგლი. იყო კავკასიის ეთნოგრაფიის და სიძველეთა მოყვარული. ითვლებოდა ამ სახის ნივთთა ცნობილ კოლექციონერად. ასევე აგროვებდა პალეონტოლოგიურ კოლექციას და ამდიდრებდა კავკასიის მუზეუმის ფონდებს. მას გამოქვეყნებული აქვს რიგი წერილებისა ეურნ. «Сборник сведений о кавказских горцах» დაღესტნის ადათობრივ სამართალზე (იხ. выш.), ფოკლორისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე (იხ. выш. II, VII—VIII) და მათ, როგორც მასალას, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ა. ვ. კომაროვი მონაწილეობას იღებდა თბილისში მოწყობილ არქეოლოგიურ ყრილობის მუშაობაში. სწორედ ყრილობის წინ გულო კაიკაციშვილთან ერთად გულდასმით აწარმოებდა ხუტუბნის სიძველეთა შესწავლას. ა. ვ. კომაროვის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, უფრო დაწერილებით იხილეთ მისი ნეკროლოგი დაბეჭდილი ეურნ. «Известия Кавказского отдела И. М. П. Русск. Геогр. Общ-ва». 1905, ტ. XVIII, გვ. 266—268. ა. ვ. კომაროვის მოღვაწეობის ზოგიერთ მომენტზე ჩვენ აქ იმიტომ შევჩერდით, რომ ამ დროს ბათუმში მოღვაწეობდა აგრეთვე მეორე კომაროვი—კონსტანტინე ვასილის ძე კომაროვი, რომელსაც იგი ეყუთვნის ეს დამსახურება.

გათხვინებო ხუტუბანში ამ უკანასკნელის დავალებით, მართალია, არ ჩაუტარებიათ, მაგრამ თვით კომაროვმა ამ მხარის ისტორიაში უდავოდ კარგი კვალი დასტოვა: მისი სახელი დაკავშირებულია როგორც თურქ დამპყრობთაგან გამოსხსნისათვის ბრძოლებში-აქტიური მონაწილისა, ასევე ახალი მმართველობის ორგანიზაციასთან ან მხარეში და მუჰაჯირული მოძრაობის საკითხებთანაც კი.

გენერალ-მაიორმა ა. ვ. კომაროვმა, როცა იგი ბათუმის სამხედრო გეზერნატორად იმყოფებოდა, ახლად შემოერთებულ აჭარა — ქობულეთის მკვიდრთ. რომლებიც მოტყუებით მუჰაჯირებად გარბოდნენ თურქეთში, მიზარათა მეტად საყურადღებო მოწოდებით და განუმარტა ხალხს ახალი რუსული წყობილების მიზანდასახულება, რითაც აშხლი თურქი აგენტების პროვოკაციები, კორიბი, შეანდამ მხარის წევრი მამადლიანი ქართველი მოსახლეობის შრომობიური კუთხიდან აყრისა და მუჰაჯირად თურქეთში გადახვეწის მძლავრი მოძრაობა. ამ შესანიშნავი დოკუმენტის სრული ტექსტი გამოქვეყნებული აქვს თედო სახოკიას თავის მოგზაურობათა

სანწყუხაროდ. ა. ვ. კომაროვი არათერს ამბობს, თუ რა ბედი ეწვია ამ ნივთებს, ოღონდ იქვე გვაუწყებს, რომ მან სთხოვა და სახსრებიც მისცა გულო კაიკაციშვილს იმ მიზნით, რათა ამავე ადგილას ჩაეტარებინა ჩიკრე გათხრები. ასეც მომხდარა და ამ გათხრების შედეგად აღმოჩენილა საფლავები, რომლებშიც გულო კაიკაციშვილს უნახავს ბრინჯაოს შემდეგი ნივთები: 1) Кинжал с рисунком посередине, состоящий из трех полосок насеченных вкось параллельными бороздками и с отверстием для прикрепления к рукоятке; 2) обломок длинного ножа; 3) фибулы; 4) цельная поясная пряжка-гладкая; 5) три обломка поясных пряжек с рисунком состоящим из рядов кружков в рамке лошадиных голов; 6) обломки гладких тонких браслетов; 7) спиралькообразной формы 8) две выбитые из тонкой бронзы овалы чашки с отверстием в середине; 9) булава с массивной головкой, покрытой рисунком ланит в виде елки и с сквозным отверстием; 10) остроконечный обух от топора; 11) три куска бронзы плоских из оникса, положительно похожих на найденные в Казбегии; 12) стекл. бусы; 13) обломки железного кинжала. Батумский военный губернатор Алексей Михайлович Смекалов весьма любезно обещал свое содействие исследованию этого могильника» დასძენს ა. კომაროვი⁸. 1882 წელს დაბეჭდილ ცნობას ხუცუბანში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთების შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შესწავლისა და შემდგომი ძიების გაგრძელებისათვის.

ხუცუბანში 1880-იან წლებში აღმოჩენილი კაიკაციშვილისა და კომაროვისეული არქეოლოგიური კოლექციის ადგილსამყოფელი ჯერჯერობათ გარკვეული არ არის. ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ საქართველოს მუზეუმის ფონდები, მისი კატალოგები, მაგრამ ირკვევა, რომ ეს კოლექცია აქ არ უნდა მოხვედრილიყო, თუმცა კომაროვი, როგორც კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. ამ საზოგადოების დებულებათ, ვალდებული იყო კავკასიის მუზეუმში წარედგინა ხუცუბანში აღმოჩენილი ნივთები: დებულებაში ვკითხულობთ: „...все предметы древности, приобретенные об-вом передаются в Кавказский музей“.⁹ ცნობილია ისიც, რომ გენერალი კომაროვი კავკასიიდან კოლექციებს მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს უგზავნიდა. გამოსარკვევია, დატულია თუ არა იქ ეს ნივთები, რომლებიც ხუცუბანში აღმოჩნდა 1881 წელს.

წიგნში. შსვე მოტანილი აქვს 1878 წ. თბილისში მოწყობილ აქარელ მამბალიანთა აზუგიო შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვათა გამონაკრები ადგილები.

⁸ Известия Кавказского общества Истории и археологии, издан. под редакцией Д. З. Бакрадзе и Е. Г. Вейденбаума, Тифлис, вып. I, 1882, Журнал Мин-ва Народного просвещения, ССХХ 1884.

⁹ Кавказский календарь, 1882, гв. 302—303.

აქ ჩამოთვლილ ძეგლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს მიერ 1944 წელს მოპოვებულ მასალასთან მიმართებაში. ამ კოლექციიდან დღემდე მკვლევართა სპეციალური შესწავლის ობიექტად მხოლოდ ბრინჯაოს ცულები იქცა. ო. ჯაფარიძე, ა. კომაროვის დამოწმებით, წერს: „აღბათ, პირველი ტიპის ცული უნდა იყოს ხუცუბანსა და ქობულეთს შორის აღმოჩენილი ცული მანვილი ყუთი“¹⁰, ეს ვარაუდი სწორი უნდა იყოს. ამავე ტიპის ცული მოვიპოვეთ ჩვენც ხუცუბანში 1944 წლის გათხრების დროს. ხუცუბნის არქეოლოგიური ძეგლებით დაინტერესდა ფრანგი ეურნალოგი და სიძველეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც მცირე გათხრაც კი ჩაუტარებია ხუცუბანში, მაგრამ ერთი ცულის მეტი ვერაფერი უპოვნია.

ე. თაყაიშვილი, სავსებით სწორად, საყვედურით იხსენიებს არქეოლოგიის უცხოელი მოყვარულის თვითნებურ თხრას ხუცუბანში, მაგრამ მურიეს მიერ აღმოჩენილი ცულის ნაცვლად ხანჯლის ფრაგმენტს ასახელებს. ასევე უზუსტობა შეინიშნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის საანგარიშო მოხსენებაში ჟან მურიეს ხუცუბანში ყოფნის დროის განსაზღვრამაც.¹¹

ხუცუბნის ძეგლებმა თავის დროზე გრიგოლ გურიელის ყურადღებაც მიიქცია. არკვევა, რომ ამ განათლებული და გავლენიანი პიროვნების ინტერესი ამ მხრივ, პირველად, გულო კაიკაციშვილს აღუქარავს.¹² უნდა ვიფიქროთ, რომ კომაროვის წერილთან ერთად გრ. გურიელსაც შეეძლო ხუცუბნის ძეგლებზე პეტერბურგიდან დაბრუნებული ე. თაყაიშვილის ყურადღება გაემახვილებინა. ახალგაზრდა მკვლევარი ე. თაყაიშვილი და გრ. გურიელი 1891 წლის ზაფხულში ეწვივნენ კიდევ ხუცუბანს. მათ ზედაპირულად მოიხილეს აღმოჩენების ადგილი და რამდენიმე საყურადღებო ნივთიც მოაპოვეს, კერძოდ, 3 ცალი მძივი, სოლო 30 ასეთი მძივი და 1 ცული, აქვე ნაპოვნი (ბრინჯაოსი) გურიელისათვის საჩუქრად მიურთმევიათ ხუცუბნელ გლეხებს. ე. თაყაიშვილი გვაუწყებს, რომ ძლიერი წვიმის გამო 2 საათის შემდეგ იძულებულნი ვიყავით გამოვბრუნებულიყავით ხუცუბნიდან და არაერთად გათხრები არ გვიწარმოებიაო. რაც შეეხება ბრინჯაოს ცულსა და

¹⁰ ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI, 1950, გვ. 50.

¹¹ ეს ანგარიში დაცულია ლენინგრადში, იხ.—Рукописный архив ЛОИМК Ленинградское отделение института материальной культуры, АН СССР дело археологической комиссии № 57, 1896. იხ. Г. Д. Гуринелин, Записки о древних развалинах Грузии (Озург. уезда Турецкой Грузии, обществ. Т. VI, в II, 1894, გრ. გურიელი ერთ-ერთი პირველი არქეოლოგი იყო, რომელმაც ამ მხარის სიძველეების შესწავლას სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა.

¹² იხ. ე. თაყაიშვილის ანგარიში (იხ. დანართი, გვ. 394).

„სერდოლიკის“ მძივებს, ე. თაყაიშვალს წამოუღია გურიელისაგან და მისივე სახელით წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის გადაუცია მომავალი მუზეუმის ფონდებისათვის.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ 1891 წ. ე. თაყაიშვილის ხუცუბანში ჩასვლის მთავარი მიზანი მხოლოდ დაზვერვის და არა გათხრების ჩატარება იყო.

ამის შესახებ ე. თაყაიშვილი თავის ანგარიშში სავსებით გარკვევით წერს «ИЗбрав это место для раскопок, я имел целью выяснить — имеем ли мы тут дело с случайным погребенным или целым рядом могильников подобного же содержания»¹³.

საყურადღებოა ის ფაქტაც; რომ გურიელს და თაყაიშვილს 1891 წ. ხუცუბანში მოგზაურობისას თან ხლებიათ გულო კაიკაციშვილი, რომელიც კარგად იცნობდა ამ სამაროვნებს.

ე. თაყაიშვილმა გათხრების ჩატარება აქ მხოლოდ 5 წლის შემდეგ მოახერხა. იგი კვლავ გ. კაიკაციშვილის თანხლებით ეწვია ხუცუბანს 1896 წლის 8 ივლისს და შეუდგა გათხრებს. ხუთი წლის განმავლობაში როგორც ე. თაყაიშვილი წერს, ბევრი რამ შეეკლილიყო ამ ადგილას. მდინარე კინტრიში უფრო მაახლოვებოდა სამაროვნებს. თაყაიშვილს გათხრები, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მდინარის მარჯვენა ნაპირიდან დაუწყია. ჯერ კიდევ ა. კომაროვი შენიშნავდა კაიკაციშვილის ინფორმაციით და ახლა ე. თაყაიშვილიც მიუთითებს, რომ მდ. კინტრიშის ჩამონგრეული ნაპირები არ უჩვენებდა კულტურული ფენის არავითარ კვალს; ამასთანავე გარეგნულად ამ მიდამოს არავითარი ნიშანი არ მოეპოვებოდა იმისათვის, რომ კაცს გუმანი აეღო ძველი საფლავების ადგილთა მიგნებისათვის. თაყაიშვილი აქ, როგორც ჩანს, უმთავრესად გულო კაიკაციშვილის, ამ ადგილის კარგი მკოდნის გამოცდილებაზე იყო მინდობილი. მას მდინარის ნაპირიდან დაუწყია გათხრა და იქვე მახლობლად (2 არშინზე მეტი დაშორებით, არშინისა და 10 ვერშოკის სიღრმეზე) უპოვნია კულტურული ფენა. სადაც შეინიშნებოდა მიცვალებულთა გვამების დაწვის კვალი, — ნაცრისა და ნახშირების ნარჩენებს შორის მიმოფანტული ბრინჯაოსა და რკინის ნივთები¹⁴.

ე. თაყაიშვილს აქვე უნახავს ქვის იარაღის რამდენიმე ნატეხი, რკინის ხმლის ტაოის ნატეხი, ბრინჯაოს დანის ნატეხი და კერამიკის ნაშთები. ე. თაყაიშვილი თავის ანგარიშში, გულო კაიკაციშვილის ცნობაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ 1881 წელს ნაპოვნი და კომაროვის მიერ აწერილი ნივთებიც სწორედ ამ ადგილებში ყოფილა ნაპოვნი. ე. თაყაიშვილმა ბოლომდე მიიყვანა 1881 წელს დაწყებული თხრა იმ

¹³ ე. თაყაიშვილის ზემოთ დასახელებული ანგარიშის ტექსტი იხ. აქვე დანართში.

¹⁴ ზომის ერთეულები ე. თაყაიშვილის ანგარიშიდანაა უცვლელად მოტანილი.

დიდი სამარხისა, რომელიც კაიკაციშვილის გადმოცემით, რიყის ქვით გარშემორტყმულ წრეში ყოფილა მოთავსებული. გათხრა ე. თაყაიშვილს (არსებითად დაზვერვითი ხასიათისა) ამის შემდეგაც საკმაოდ დიდ ფართობზე გაუგრძელებია, მაგრამ როგორც ის თავის ანგარიშში აუწყება, სამარხების ვერავითარი კვალიც კი ვერ უპოვიათ.

იგი თავისი ანგარიშის დასასრულს გადაჭრით დაასკვნის: „по всему видно, что тут могильников нет, а было одно случайное погребение бронзового периода, которое обнаружилось в 1879 г.“¹⁵ ე. თაყაიშვილის ეს ვარაუდი არ დადასტურდა. 1944 წელს ხუტუბანში სწორედ ამ ადგილებში აღმოჩნდა ძვირფასი ძეგლები გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანისა.

ასეთია ის დიდი მეცნიერული ინტერესი და საქმისადმი სიყვარული, რაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ე. თაყაიშვილმა გამოიჩინა ხუტუბნის არქეოლოგიური ძეგლებისადმი. მისი და ა. კომაროვის ანგარიშები ხუტუბანში ჩვენს მიერ შეგროვილ მდიდარ გადმოცემებთან ერთად ძვირფასი წყაროა ამ საკითხების შესასწავლად.

ამრიგად, ხუტუბანში რეკოლუციამდე არა ერთხელ აღმოჩენილა არქეოლოგიური საგნები ასეთი თანამიმდევრობით:

1. 1879 წ. გულო კაიკაციშვილმა შემთხვევით იპოვა ბრინჯაოს 2 ცული.

2. 1881 წლის შემოდგომაზე მან იმავე ადგილზე მდინარის ნაპირის ჩამონგრევის გამო იპოვა ბრინჯაოს ორი ცული, ორი მშვილდსაქინძი, ზრინჯაოსაგან ჩამოსხმულა ლომის ფიგურა, რამდენიმე მძიჭი, თიხის პატარა ქვევრი სახელურით.

3. კომაროვის დავალებით გულო კაიკაციშვილმა ამავე ადგილებში აწარმოვა გათხრები და აღმოაჩინა მთელი კომპლექსი საგნებისა 14 ერთეულის რაოდენობით, რომელიც აღწერალი აქვს კომაროვს.

4. 1880-იან წლებში აქვე გათხრები აწარმოვა ფრანგმა არქეოლოგმა ჟან მურიემ, რომელსაც, ე. თაყაიშვილის ცნობით, უპოვნია ბრინჯაოს ხანჯლის ნატეხები, მაგრამ ირკვევა, რომ მას სხვა საგნებიც უპოვნია, მათ შორის ბრინჯაოს კოლხური ცული.

5. 1891 წ. ხუტუბანში, როგორც აღინიშნა, წინასწარი დაზვერვითი

¹⁵ «На этом месте рылся француз Мурье, который нашел только обломок бронзового книжала». სინამდვილეში მურიეს აქ კოლხური ცული უნაბავს, მან გაპოპეყუნა კიდევ ცნობა თავის ნაშრომში. ე. თაყაიშვილის დასახელებული ანგარიშით ის უნინიშნელო მასალა, რაც უპოვნია ხუტუბანში, პეტერბურგში ვესლეოვსკისთვის გაუგზავნია, ხოლო იქიდან 1899 წ. 27 იანვარს თბილისის მუზეუმში ე. ღმრუჯავნიათ. სამწუხაროდ საქართველოს სახ. მუზეუმის სათანადო ფონდებში ე. თაყაიშვილის მიერ ხუტუბანში მოპოვებული ამ მასალის არავითარი კვალი არ პოვება.

მუშაობა ჩაატარა ე. თაყაიშვილმა და თავადმა გრ. გურიელმა. მათ ერთი ბრინჯაოს ცული და სარდიონის ოცდაათი ცალი მძივი საჩუქრად წილეს ხუცუბნელთაგან (ასეთი მძივების გაჩუქების შემთხვევას. 1944 წელსაც ჰქონდა ადგილი ჩემი იქ მუშაობის დროს).

6. 1896 წ. ე. თაყაიშვილმა ხუცუბანში ჩაატარა გათხრები კაიკაციშვილის მონაწილეობით, მაგრამ არსებითად ვერაფერს მიაგნო (იხ. მისი ანგარიში). დამახასიათებელია ისიც, რომ ყველა ამ აღმოჩენის გზამკვლევი, უშუალო მონაწილე და წამომწყები გულო კაიკაციშვილია, ზთელი ამ 20 წლის მანძილზე, იგი ახლდა და ეხმარებოდა ე. თაყაიშვილსაც.

უკანასკნელად, 1944 წელს ხუცუბანში გათხრები ჩვენს მიერ იქნა ჩატარებული. 1959 — 1961 წლებში კი აქვე ქვის ხანის დამახასიათებელი საგნები მოიძიეს ი. გძელიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ლ. ნიბერიძემ.

ხუცუბნის ძეგლებს დიდი ზიანი მიაყენეს ე. წ. „კაიკილების“ მაჩიებლებმა, რომლებიც სამარხებში აღმოჩენილ სარდიონის მძივებს („კაიკილებს“) შაკიკის „სამკურნალოდ“ იყენებდნენ. ამიტომ ამ მძივებს ფასი დაედო, სხვა არქეოლოგიურ საგნებს კი როგორც უსარგებლო სპობდნენ.

მაგ., ხუცუბნელმა კოლმეურნე რამაზ ბერიძემ გადმოძევა: „მოწითალო კაიკილებს და შავ გიშრის მძივებს ნაწვიმარზე მდინარე კინტრიშში სწირად ვნახულობდით; როგორც კი წყალი მოთხრიდა მიწას, გიშრის კაიკილები მზეზე სკდებოდა, ხანდახან ვნახულობდით რკინისა და სპილენძის ნატეხს, წითელ კაიკილებს კაი ფასი ქონდა. 30 ცალი თუმნად იყიდებოდა ძველად, თუმანი დიდი ფული იყო.

1914 წ. ჩვენმა სიძემ, იბრაიმ ქოროლიმ (იგი რიზედან იყო ჩამოსახლებული ბათუმში), რომ გაიგო ასეთი მძივები იყო მიწაში ჩაფლული, რამდენიმე კაცით დაიწყო თხრა, კარგა ხანს თხარა, ხანდახან ჩვენც ვეხმარებოდით. ნახა ბევრი კაიკილები, დაყანგული რკინის საგნები და სპილენძის ნატეხები (დალურჯებული), აგრეთვე ქოთნების და ხანჭლების ნატეხები და ბევრი სხვა, მაგრამ ჩვენ ისინი რად გვინდოდა. კაიკილებს ვეძებდით და ყველა გადავაგდეთ“.

ხუცუბნელმა მოხუცმა კოლმეურნემ მურად ვასაძემ კიდევ უფრო საინტერესო ფაქტი გადმოძევა: „ეს მიწა-წყალი ჩემი საკუთრება იყო. მამა-პაპიდან აქ ბავშვობიდანვე ვნახულობდით შავ და წითელ შაკიკის კაიკილებს (ასე უწოდებენ სარდიონის და გიშრის მძივებს — ა. ი.). სპილენძისა და რკინის ყანგიან ნატეხებს და ბევრ სხვა ასევე. ფული არ ყოფილა. ამ ნივთებს წყლის პირას კინტრიშში ვნახულობდით. მე რომ ბაღანა ვიყავი, იყვენ თავრობის ხალხი და მიწა გათხარეს, ნახეს რაღაცეები და წაიღეს. ისინი თხრიდეს იქით მოშო-

რებით 20—30 ნაბიჯზე, ახლა რომ წყალი (კინტრიში) მიდის. ის მიწე-
ბი სულ წყალმა წაიღო. აქეთ კი თქვენ რაც გათხარეთ, არავის უთხრია
და არც ვიფიქრებდით, თუ რამე იქნებოდა, „შაკიკს“ წინად ვთხრი-
დით წამლად, თავის სატკივარისაა. აგრეთვე „შაკიკი“ იყიდებოდა
კაი ფასად (შაკიკს ისინი ხუცუბნის უძველეს სამარხებში ნაპოვნ
სარდიონის მძივებს ეძახიან და დღესაც სწამთ, რომ თავის ტკივილს
ეს „შაკიკი“ არჩენს. იკეთებდნენ შუბლზე, ასეთებს ხუცუბანში 1940-
იან წლებში მრავალს შეხვდებოდით).¹⁶

სარდიონის მძივებით შაკიკის, ანუ თავის ტკივილის მკურნა-
ლობაზე ხალხში აქ ასეთი შელოცვაც კი გადარჩენილა:

„შაკიკი შემოპარულა
დაბლა სათიბის ბოლოს,
ისე ცელდა თიბასა,
როგორც ხარი თივასა,
გაუწყრა წმინდა გიორგი
და გაიპარა დილასა“.

გადმოგვცა ხუცუბნელმა ფედოსი ხინიკაძემ.

ასეთი მძივები სხვა ძეგლებთან ერთად მრავლად აღმოჩნდა 1944
წლის გათხრების დროს. ისინი გათხრის შედეგად აღმოჩენილ სხვა საგ-
ნებთან ერთად სათანადო აღწერით გადაეცა აჭარის სახელმწიფო მუ-

¹⁶ სარდიონით თავის ტკივილის—შაკიკის „მკურნალობა“ აღმოსავლეთ საქართვე-
ლოშიც ყოფილა შემონახული. საბას ლექსიკონში ასეთ განმარტებას ეხვდებით:
„სარდიონი ესე თვალი სისხლის ფერი, სენთა ჰკურნავს“. (იხ. საბა ორბელიანი, ლექ-
სიკონი—ამეთეისტომი—ანთრაკი).

ამ მოსაზრებას უფრო დამაჯერებლად ხდის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული
იესე ოსეს-ძე ბარათაშვილის „სამდივნო წიგნში“ შემონახული თითქმის მსგავსი
„შაკიკის შელოცვა“, — აი მისი ტექსტიც:

შაკიკი შემოჩვეულა სათივისა ბოლოსა,
ისე სკამდა რკინასა
როგორც ხარი თივასა.
მაცხოვარი შემოვიდა,
გაიარა დილასა. — ბერუქას
შაკიკი მშვიდობით!

(იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H 133,4 გვ. 262).

XVI—XVII საუკ. ხუცუბნის თეთროსანში ლაზარე ხაეთასის მიერ გადაწერილ
კურთხევანს მოეპოვება საყურადღებო მინაწერები, (იხ. კ. კეკელიძის სახ. ქართულ
ხელნაწერთა ინსტიტუტის H 3027 ხელნაწერი). და იქ, სადაც ხუცუბანია მოხსენებუ-
ლი, შეტანილია „ლოცვა შაკიკისა“ — სახელთა ღ-თა ჩვენსა ზემო ტბა დგან
ღვინისა. ზედა დგანს ვერცხლის ტაბაკი. ზედა ძეს სამი ძივის კაკალი: ერთი თეთრი,

ზეუმს, სადაც დაცულია ამჟამად და მონოგრაფიულადაა გამოტანილი პუდმივ გამოფენაზე.¹⁷

ხუტუბანში ნაპოვნმა ნივთებმა სპეციალისტების ყურადღება აღრიდანვე მიიპყრო. ისინი ამ ძეგლს მუზეუმის გზამკვლევებსა და ცალკე ნაშრომებში ეხებიან¹⁸, მაგ., კოლექტიური ნაშრომის „საქართველოს არქეოლოგიის“ ავტორები ჩვენი არსებითად ინფორმაციული წერილებისა და დასკვნების საფუძველზე მოკლედ აღნიშნავენ: „სოფ.

ერთი წითელი, ერთი შავი. თეთრმან თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, შავი ზედ დარჩა.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ძველად სარდიონის ქვას იყენებდნენ შაკიკს, თავის ტკივილის სამკურნალოდ. ძველ საქართველოში ქვები გამოყენებული იყო არა მარტო იარაღ-საპურელის. არამედ საკულტო ნივთებისა და საგნების, ზოგჯერ კერპების შესამკობად. ამასთანავე ირკვევა, რომ იგი გამოიყენებოდა სამკურნალო მიზნებითაც. საბა ორბელიანი სარდიონის სამკურნალო თვისებებზე გარკვევით მიუთითებს, იგი სხვა ქვებსაც ეხება, მაგ., „ამეთისტროში წითელი და იის ფერია, იაგუნდს ჰგავს, პარონისა სამოსელთა ათორმეტნი ესე თვალნი ესხდნენ. ამეთისტრომი, ანთრიკაქტი, ოქროს ქვა. პატროსანი სამარაგდე, საფირონი, სარდიონი, ფრჩხილი (28,17 გამოსვლათა). ეს თვლი წითელია, ზანილოგენის ქვეყანასა იპოვების, ამ თორმეტსა თვალთა, რომელი პარონის სამოსელზე ისხდეს, სახელი ეს წერიან წმინდათ წერილში ფერიცა და, სადა იპოვებოდა, ადგილიცა, მაგრამ ახლა აღარც იპოვება და ძნელად სადმე აქუსთ დიდდთა მეფეთა. ანთრაქი (დაბადება) ეს თვალნი ნაკვერცხლის ფერია, ღამე ცეცლებრ ელავს. დია ძვირფასია და ძნელად საშოვარი, აფრიკეთს იპოვების“ (იხ. ლექსიკონი). პატროსან თვლებზე პროფ. ნ. ქოიავას მოეპოვება სპეციალური ნარკვევი — „შოთა რუსთაველის პოემის ძვირფასი ქვები“. (იხ. ენიმქის მოამბე, თბილისი, 1938, გვ. 69—70).

17 ამის შესახებ აპარის სახ. მუზეუმის დირექტორი ხ. ახვლედიანი წერს: „ა. იოსელიანის მიერ 1944 წელს სოფელ ხუტუბანში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბრინჯაოს ნივთებთან ერთად ნაპოვნი რკინის ზოდები და რკინის იარაღები, რომლებიც ცალკე კარდაშია გამოფენილი. მიეკუთვნება გვიან ბრინჯაოს და აღრეული რკინის ხანას“ (ხ. ახვლედიანი, აპარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი, ბათუმი, 1958, გვ. 21).

ხუტუბანში მოპოვებული არქეოლოგიური მასალისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა ს. ჯანაშიამ. მენციერებათა აკადემიაში 1946 წ. წარვადგინე მოხსენების თეზისები და წავიკითხე ინფორმაციული ხასიათის მოხსენება. სათანადო ჩანახატების მთელი კომპლექტი, და თანდართული ჩვენი მოხსენების თეზისები წარდგენილი იქნა და ინახება ისტორიის ინსტიტუტში.

1945 წ. დაიბეჭდა ხუტუბანის გათხრების შესახებ ჩვენი მოკლე ანგარიში (გახ. „საბჭოთა აპარა“, 1945, № 197, გვ. 3), ხოლო უფრო ვრცელად 1950 წ. გამოქვეყნებულ წერალში „საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხისათვის“, (იხ. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950, № 2).

18 ნ. ხოტუბანია, ციხისძირი. თბილისი, 1962, გვ. 31; ო. ჭაფარიძე კოლხური ტელი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI—X,

ხუცუბნის გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის სამარსებში მოპოვებულია სამი კოლხური ცული, სეგმენტური იარაღი, ორნამენტიანი სარტყლის ფრაგმენტი, ხატის უღელი. სერდოლიკის მძივები და სხვა.¹⁹ დანარჩენებზე აქ აღარ შევჩერდებით.

თ ა ვ ი II. კინტრიშის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

მდინარე კინტრიშის ხეობა და მასში შემავალი სოფ. ხუცუბანა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქობულეთის რაიონს მიეკუთვნება. ხუცუბანი მდებარეობს ქ. ქობულეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რკინიგზის სადგურიდან 5 კილომეტრამდე დაშორებით. სოფელი გაშენებულია შავი ზღვის დაბლობიდან ოდნავ ამაღლებულ ადგილას, რომელაც თანდათან მალღდება მდინარე კინტრიშის სათავისაკენ, ჭაჩათისა და ხინოს მთების მიმართულებით.

ხუცუბანს სამხრეთიდან ჩამოუდის მდინარე კინტრიში, რომელიც მოზრდილ ხეობას ჰქმნის. სოფელი მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს და უმთავრესად დაქანებულ ფერდობზეა გაშენებული. მდინარე კინტრიშის მარცხენა მხრიდან ხუცუბანს სოფ. სამება ესაზღვრება, ჩრდილოეთით პატარა სოფელი გვარა (წინათ გვარა ხუცუბანში შედიოდა) და პატარა მდინარე აქვა, აღმოსავლეთით—სოფ. ქობულეთი, დასავლეთით კი ნაკაიძეების უბანი, ნასაყდრალ თეთროსანას მიდამოების ჩათვლით.


ქალაქი ქობულეთი და მისი მიდამოები, მახლობელი სოფლები და მათ შორის ხუცუბანი მთლიანად დიდა შავი ზღვისპირეთიდან. ზღვიდან მონაბერი ორთქლით ნაჯერი ქარები დიდ ატმოსფერულ ნალექებს იწვევს და სსრ კავშირში იგი ნალექთა პოლუსად ითვლება. წლიური ნალექი აქ 2365 მმ აღემატება, ხოლო ჩაქვში 3000 მმ აღწევს. ასეთი კლიმატური პირობები და ნოყიერი ნიადაგი სუბტროპიკული კულტურების — ციტრუსოვანთა, ჩაის და სხვათა განვითარებისათვის ამ მხარეს ბუნებრივ ორანჟერეად ქმნის.

თბილისი, გვ. 50; ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, წ. II, ბათუმი, 1959, გვ. 108 და სხვ.

¹⁹ საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 147.

კინტრიშის ხეობაში დაცული ელინისტური ხანის მონოლითურ ორგანოფილებიან ქვიშაქვებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ფეოდალური ეპოქის ქვის სამითაფიანი ხიდი. თალიანი ხიდი აგებულია ნასრიმელეში (ვარჯანაულ-ტყემალაძის მიდამოში). მეორე სოფ. ცხემეანში და მესამე კილდეკარის წყალზე (კინტრიშის მარჯვენა შენაკადი). ხიდები თაღოვანი წრიული ფორმისაა. აგებულია თლილი ქვით მდინარის ვიწრო, უმეტესად კლდოვან ბურჯებზე. საზოგადოდ აქარა ფეოდალური ეპოქის თაღოვანი ქვის ხიდებით ყველაზე მეტად მდიდარია და მათი ნაშთები დღესაც საკმაოდაა გადარჩენილი თითქმის მის ყველა კუთხეში.²³

კინტრიშის ხეობის ღირსშესანიშნოაბათა შორის ჩვენს პირობებში კინტრიშის ნაკრძალი იპყრობს ყურადღებას, ნაკრძალის ტერიტორია დიდია, იგი ვრცელდება მცირე აკარის ქედზე. მისი ქვედა საზღვარი ქ. ქობულეთიდან 30 კილომეტრის დაშორებით იწყება და ვრცელდება ხინოს მთამდე ზღვის დონიდან 450—2600 მეტრის ფარგლებში და



1. მდ. კინტრიშზე აგებული თლილი ქვის თაღოვანი ხიდი.

²³ მაგ., მდ. აკარის წყალზე დანდალოს ხიდის მსგავსი ხუთამდე ხიდი დაცული.

უპირავს 700 ჰექტარი ფართობი. ნაკრძალის ტერატორია მდინარე კინტრიშის წყალშემკრებ აუზში იმყოფება და ხასათდება ციცაბო ფერდობებით. ნაკადულებით დასერილი მთაგორიანი და მცირედ დავაკებული რელიეფით. აქაა გვანცას, კალვას, პერანგას და სარბიელას მთები. მდინარე კინტრიშის სიგრძე 50 კილომეტრამდე აღწევს, რომლის შენაკადებია სოფ. ზერაბოსელში — ხეცნარა, ჭიხვარულა, აზშილაი, სამარცხევი, უყვი და სროხატყილელე, სოფ. ხეცნარში — ჩურულმულა და სკურიალელე, სოფ. დიდვაკეში — ჯილიკარის, ბეშელეთის, საჭინკეს, ჩარხილეს, საბადური და სხვა პატარა მდინარეები, სოფ. ქათამურში — ნაბელავი, სოფ. წარაკვეთში — ლურღუმი, დიდლელე. მოსალთა — ხევი, აკვანაი და მემედალას ლელემდინარეები, სოფ. ზემო ხინოში ჩერული, კუისლელე, ხერწილაი, ჭანჭურა, ფუტურა და საკირე ლელემდინარეები, სოფ. ხუცუბანსა და ქობულეთს შორის ერთვას ურთის ლელე და სხვა პატარა ნაკადულები, რომლებიც სათავეს ციგ წყაროდან იღებენ. ნაკრძალი მისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მდიდარია ფლორითა და ფაუნით.²¹

ერთი შეხედვით არც თუ ისე დიდმა მდინარემ, კინტრიშმა, დიდი ნაღებების გამო, დროდადრო იცის აღიდება და წინათ ამ ხეობის მკვიდრთ მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. კინტრიშის წყალი სუფთაა და ცივი. იხმარება სასმელადაც. მასში უხვად არის კალმახი, ორაგული, ქაშაყი, წვერა და თევზთეთრა (ეს უკანასკნელი ზღვიდან შემოდის, 15 კილომეტრზე ზემოთ უფრო მაღლა ვერ მიდის). მდინარის შუაწელს ზემოთ გავრცელებულია კალმახი და ორაგული.

ხუცუბანი ქობულეთის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე საკოლმეურნეო სოფელია.

სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მასობრივად დაწერგვამ და გავრცელებამ, ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა და კოლმეურნე გლეხობის დაუზარელმა შრომამ საესებით შეუცვალა სახე სოფელს.²²

ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების გამო ხუცუბანი უხსოვარი დროიდან ყოფილა დასახლებული. სოფ. ხუცუბნის სამარხებში

²¹ ა. გორდელაძე, კინტრიშის ნაკრძალი, ბათუმი, 1970 წ.

²² ხუცუბნელ მცხოვრებთა პატრიოტიზმზე მრავალი შეიძლება თქმულიყო. ჩვენ თავის დროზე, რაკი შესაძლებლობა გვქონდა მონოგრაფიულად შეგვესწავლა სოფელი და კოლმეურნეობა, მასალაც ბლომად დაგვიგროვდა და განზრახული გვაქვს ცალკე ნარკვევი მიუძღვნათ აჭარასა და მთელ საქართველოში ამ სახელმწიფო სოფელს და კოლმეურნეობას, სადაც გარდა მამაკაცებისა 20-დე ქალია სოციალისტური შრომის გმირი. მონოგრაფიის ტექსტი დაეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. (განახლებული ხუცუბნის შესახებ იხ. შ. ჯაფარიძე, ორდენოსანი ხუცუბანი, ბათ., 1969).

ბრანჯაოსა და რკინის იარაღებთან ერთად აღმოჩნდა ახალი ქვის ხანის (ნეოლითის) კაეისა და ობსიდიანის რამდენიმე ცალი იარაღი. ზოგჯერ ნებით ი. გძელიშვილმა (1960 წ.), ნ. ბერიძენიშვილმა და ა. რამიშვილმა (1961 წ.) ბერიძეების უბანში, იქვე, სადაც ჩვენ ვაწარმოეთ გათხრები, ქვის ხანის კულტურის ძეგლთა მთელი კომპლექსი იპოვეს. 1944 წელს წარმოებულ არქეოლოგიური გათხრები მდიდარ მასალას იძლევიან ზუცუბნის უძველეს მკვიდრთა კულტურის, ყოფა-ცხოვრების და რელიგიის შესწავლისათვის, ძვ. წ. II და I ათასწლეულთ მიჯნაზე, როცა ისინი ჭერ კიდეც ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალ სფეროზე იდგნენ.

კინტრიშის ხეობის მეცნიერული აღწერა პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა მოგვცა. ოღონდ სახელწოდება კინტრიში ხინოთია შეცვლილი. „ხეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი, — აქა ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილდღემენი, კარგს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთისა ჭოროხამდე... ამ ხინოს მდინარის სამხრით, მთის ძირს, არს აჰვის ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს ალამბარი სასახლე შენი, გურიელთა. ფრიად მშვენიერს ადგილს. კვალად ალამბრისა და აჰვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჰარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი.“²³

მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა,²⁴ მოტანილ ამონაწერში მოცემულია კინტრიშის ხეობის შესანიშნავი დახასიათება.

ვახუშტი ხინოს ხეობას ვენახ-ხილიან და მოსავლიან მხარედ თვლის, მას ამასთანავე „მაგარს და მთებრს“ უწოდებს, ე. ი. ბუნებრივად და ხელოვნურად გამაგრებულ ადგილად მიიჩნევს. ვახუშტი ზუსტად ახასიათებს ხინოს „დიდშენ გუმბათოვან“ ეკლესიას, სადაც ეპისკოპოსი ხინოწმინდელი იჯდა და თანაც იძლევა მის სამწყსოს საზღვრებს, რომელიც სამხრეთით მდინარე ჭოროხამდე ვრცელდებოდა.

ვახუშტი ხინოსწყლის ხეობაში, ორ ისტორიულ ნაგებობაზე ამახვილებს ყურადღებას, ესაა: „აჰვის ციხე კარგი“ და „ალამბრის სასახლე შენი, გურიელთა, ფრიად მშვენიერ ადგილს“. მაგრამ იგი ცდებდა, როცა ამ ნაგებობებს, „ხინოს მდინარის სამხრით“ მიიჩნევს; ასევე ცდებდა იგი, როცა წერს, რომ „ალამბარსა და აჰვის სამხრით

²³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 175.

²⁴ ვახუშტის შეცდომებზე დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერაში ჭერ კიდეც დ. ბაქრაძე მიუთითებდა (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჰარაში, გვ. 17—18).

დის მდინარე ქობულეთისა“²⁵ როცა ისინი ჩრდილოეთით მდებარეობენ;²⁶ აქ ისეთი 'შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვახუშტი „ხინოს მდინარესა“ და „მდინარე ქობულეთს“ შორის იგივეობის ნიშანს თითქო არ უნდა სვამდეს.

კინტრიში ხინოს მთიდან მოედანება. მისი სიგრძე 50 კმ აღწევს, მოემართება დასავლეთისაკენ და ერთვის ზღვას ქალაქ ქობულეთის შიდამოებში. მისი დიხება ქმნის მეტად ლამაზ და ნაყოფიერ ხეობას, გაშენებულს მრავალი სოფლით²⁷.

ვახუშტი ბატონიშვილი მდ. კინტრიშს არც ერთხელ არ იხსენიებს: ნაცვლად კინტრიშისა თავის „გეოგრაფიაში“ „ხინოს წყალს“ და „ქობულეთის მდინარეს“ ასახელებს.²⁸ დიმიტრი ბაქრაძის აზრით, ხინოს წყალი თითქმის მდ. კინტრიშის ძველი სახელია.²⁹ რაც სწორი არ არის. და საფიქრებელია კი პირიქით. მდინარე კინტრიშში მრავალსახელოვანია, — მას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში უწოდებდნენ ასევე „ხინოს წყალს“, „ქობულეთის მდინარეს“ და ბოლოს „ჩურუქსუს“, თურქთა ბატონობის ხანაში.

მკვლევარი, პროფ. ალ. ლლონტი მდინარე კინტრიშს და მდ. ხინოს

²⁵ ვახუშტი ბაგრატიონის დამოწმებით კინტრიშის ანუ მდინარე ქობულეთის შესართავთან „ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქით და ნავთსადგური ფრიად კეთილი“. ა. იანიშვილი მდინარე კინტრიშის მრავალ სახელიანობას (კინტრიში—ქობულეთის მდინარე, ჩურუქსუს, ხინოს წყალი) ეპყვევებ აყენებს და დაასკვნის, რომ მცირე ქალაქ ქობულეთისა და ციხისძირ-პეტრას შორის ჩამდინარე „დებეა-კინტრიშ-აქვას შესართავთან... არ უნდა ყოფილიყო ნავსადგური“. მაგრამ აქვე შენიშნავს, რომ ეს არ გამოირიცხავს სინამდვილეს, რომ გვიან საუკუნეებში აქ მართლაც ყოფილა ნავთსადგური „ფრიად კეთილი“. ჩვენის აზრით მდინარე კინტრიშის შესართავში ციხისძირსა და ქალაქ ქობულეთს შორის ძველთაგანვე ნავთსადგურის არსებობა ექვს ქვეშ არ უნდა იქნეს დაყენებული. ა. იანიშვილი, ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის, იხ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971, გვ. 78—87.

²⁶ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 175.

²⁷ ეს სოფლებია: გვარა, კვირიკე, სამება, ხუცუბანი, ქობულეთი, კოხი, კონდილი, ქაბათი, ზარაბოსელი, ზემოხინო და სხვ. ზ. კიკინაძე სულ 35 სოფელს ასახელებს ამ ხეობაში.

²⁸ იხ. ვახუშტი, აღწერა, გვ. 175.

²⁹ Краткий очерк Гурин, Чуруксу и Аджарин. Известия Кавказск. отдела р. г. общества. т. II. 1873.

მდ. კინტრიში გამოდის ხინოს ზემო სოფლიდან, წერაკვეთიდან და ერთვის შავ ზღვას. მისი შენაკადებია სოფ. ხუცუბანთან კინკიშა, სოფ. ქობულეთში სეუოდა, სოფ. კოხში ქობრუნა, სოფ. ვარჯანულში ვინალე, სოფ. ზერაბოსელში ხეცნარეს ღელე და სხვ. ესაა კინტრიშის ხეობა.

სხვადასხვა მდინარეებად მიიჩნევს. მისი აზრით „ხინო (მდინარე) გურიაშია, ხოლო კინტრიში (მდინარე) ქობულეთის მხარეში.“³⁰

სახელწოდება „ხინოს წყალი“ კინტრიშის ისტორიული სახელწოდება არ შეიძლება იყოს. იგი ჩვენის აზრით მას შემდეგ უნდა შერქმეოდა, რაც ხინოს სათავეში დაარსდა ხინოს საეპისკოპოსო საყდარი (ე. ი. X—XI საუკუნიდან) და იქ დაჯდა ხინოწმინდელი. ივ. ჭავჭავიძის კინტრიშს მეგრული წარმოშობას ტოპონიმად მიიჩნევდა და მას ქსენოფონტის (V—IV საუკ. ძვ. წ.) „ანაბაზისში“ მოხსენებულ მდინარე კინტრიტესთან აიგივებდა.³¹

როცა ქსენოფონტი კოლხური ტომების განსახლებას გვიხასიათებს, სხვათა შორის, ეხება კარდუხების ტომს და იქვე შენიშნავს: „მათ მიწა-წყალზე მდინარე კინტრიტე სდისო“, და ეს მდინარე მიჯნავს კარდუხებს მეზობელ ტომთაგან. ამ ცნობამ თავის ადრინდელ ნაშრომში აკად. ივ. ჭავჭავიძის ასეთ კატეგორიულ დასკვნამდე მიიყვანა: „ბერძნული, კინტრიტე. უეკველია, ქართულ კინტრიშს უდრის.“³² მაშასადამე, მისი აზრით, ძვ. წ. V—IV საუკუნეებში კინტრიშის ხეობა დასახლებული ყოფილა კარდუხთა ტომით.

ქსენოფონტის ცნობით. მდინარე კინტრიში მიედინებოდა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ კარდუხებსა და არმენებს შორის „მათ ერთმანეთისაგან ყოფდა მდ. კინტრიტა, რომლის მახლობლადაც კარდუხებთან ომის გამო, არმენების მხარეზე სოფლები არ იყო (ანაბაზისი IV, 4, i).

უფრო გვიანდელ წერილობით წყაროებში, მაგალითად, არიანესთან, კინტრიში მართლაც „კინასა — აკინასის“ სახელით უნდა იხსენიებოდეს,³³ არიანე მდ. ჭოროხსა და რიონს შორის ასახელებს ოთხ მდინარეს. ესენია: ბათისი, აკინასე, ისისი და მოგარისი; არიანე ამ მდინარეთა ერთმანეთისაგან ლაშოროების მანძილსაც მიუთითებს. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა მკვლევართ, მაგ., ჯერ კიდევ დიუბუა დე მონერეს და სხვებს, გამოეთქვათ მოსაზრება, რომ არიანეს მიერ დასახელებული 4 მდინარის შესატყვისი მდინარეები რიონსა და ჭოროხს შორის არის: ჩაქვის წყალი, კინტრიში, ჩოლოქი და ნატანები, ისევე.

³⁰ იხ. ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი I, თბ., 1971, გვ. 28—29.

³¹ ივ. ჭავჭავიძის, ქართველი ერის მოკლე ისტორია, წ. I, ქუთაისი, 1912, გვ. 58.

³² ივ. ჭავჭავიძის, ქართველი ერის მოკლე ისტორია უძველესი დროიდან I-ლ საუკუნემდე, ქრ. შემდეგ, ქუთაისი, 1917, გვ. 24.

³³ ი. სიხარულიძის დაკვირვებით, არიანემდე სახელწოდება კინტრიში არ ვხვდებ (იხ. მისი ტოპონიმიკა, II, გვ. 106).

როგორც იგივე აკამფსეას შესატყვისად — ქოროხი, ფაზისის — რიონი³⁴ და სხვ.

შავიზღვისპირეთის მკვიდრი ტომების შესახებ შემონახული ძველი ბერძნული ცნობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქსენოფონტას (444—354) „ანაბაზისი“. ქსენოფონტა ათიათაჲი შემომრისაგან შემდგარი ლაშქრით გაიარა, საკუთარი თვალთ ნახა და აღწერა ეს ტერიტორია.

ქსენოფონტის ცნობით, ამ მხარის მკვიდრნი — „კარდუხები, ხალხები, ხალდეები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები და ტობარენები და მოუკიდებელნი იყვნენ და არ ემორჩილებოდნენ სპარსეთის მეფეს“. საყურადღებოა ისიც, რომ ამ კომპაქტურ ქართველური მოდგმის მოსახლეობას სხვა ავტორები „ფაზიონელებად“ და „სასპერიელელებად“ ნიიჩნევენ³⁵.

გამოთქმულია სავარაუდო მოსაზრება, რომ უძველეს ასურულ ძეგლებში სალმანასარ I (XIII ს.) დროს მოხსენებულ ადგილებზე მცხოვრები „კატმუხი“, „კუტმუხი“ შესაძლოა გვიანა კარდუხები იყვნენ, ხოლო მდინარე „კენტრიტი“-ს ავტორი თანამედროვე ბოსტანუსთან აიგივებს³⁶.

ქსენოფონტი კარდუხების დახასიათებისას დააქვეს. რომ ისინი არმენიელების მეზობლად ჩრდილოეთის მხარეზე იმყოფებიან და ამ ორ ქვეყანას ერთმანეთისაგან მდინარე კენტრიტი ჰყოფდაო. ბერძენთა დაქირავებულმა ლაშქარმა გადალახა ეს მდინარე, გაიარა 30 ფარსანგი (დაახლოებით 150 კმ) და მიაღწია „მდინარე ტოლებოიმდე“, სადაც იწყება „დასავლეთ არმენიაო“. აქ, ჩვენის აზრით, შესაძლებელია ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთმანეთში რყო არეული, მით უმეტეს არსებობს მოსაზრება, რომ ეს ადგილი ქსენოფონტის თხზულებაში ეკუთვნის არა ქსენოფონტის, არამედ სხვა პირს³⁷.

გ. მელიქიშვილის ვარაუდი ჩვენთვის იმ მხრივია საინტერესო, რომ ცნობა კარდუხთა ტომის შესახებ თითქო ძვ. წ. XIII საუკუნით თარიღდება. გვიანდელი (ქსენოფონტის დროინდელი) კარდუხთა ადგილსამყოფელის განსაზღვრისათვის ჩვენ აქვე მოვიტანეთ ივ. ჭავჭავაძის მოსაზრება. როგორც ირკვევა, ძველთაგანვე კენტრიშის ხეობა და მისი სანახები მეგრულ-ქანურ ტომებით იყო დასახლებული, რაც ტოპონიმიკური მონაცემებითაც კარგად დასტურდება.

³⁴ ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1961, გ. კვკალაძის თარგმანი და კომენტარები, გვ. 37 და 67 — 68.

³⁵ Ксенофонт, Анабасис, книга V, თავი 7, §25.

³⁶ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 107—109 და 226.

³⁷ М. И. Максимова, Ксенофонт, Анабасис, 1951, № 286.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ამ მხარის „ბევრი სოფლებისა და მდინარეების სახელების მნაშენელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგალითად: მთა ჯიხანჯირი (ჯიხა-ციხე), ჭუმთა, ჭყონაგვარი (ჭყონი-მუხა), მდ. ოჩხამური (ო-ჩხამური, ჩხომითევი), როგორც ოკალმახე, მდ. კინტრიში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო“³⁸. და აქვე დასძენს „ხალაბები, ტიბარენები, მოსანიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველა ისინი (მათ შორის კარდუხებიც — ა. ი.) ქართველ ტომებს ეკუთვნოდნენ“³⁹.

ძვ. წ. I ათასწლეულში და მის შემდეგ, ადრეული ანტიკური ხანის დასაწყისში, კინტრიშის ხეობისა და ქობულეთის მხარის დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრად ხუცუბანი, ფიჭვნარი. ჩოლოქის და ურეკის მიდამოები წარმოგვიდგება. აღნიშნულის დამადასტურებელია არქეოლოგიური აღმოჩენება ამ ადგილებში; საყურადღებოა ანტიკური მონეტების დიდი განძები (სინოპური დრაქმები, რომელთაგან 127 ძვ. წ. IV ს. თარიღდება). 1953—1956 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც ნ. ხოშტარია ხელმძღვანელობდა, მის მიერ უკვე გამოქვეყნებული წინასწარი ანგარიშებიდანაც საკმაოდ სიცხადით ჩანს, რომ ფიჭვნარ—ჩოლოქის და ურეკის მიდამოებში ადამიანს ენეოლითის ხანიდან დაუწყია ცხოვრება. ანტიკური ხანის დამდეგს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება აქ იმდენად განვითარებულა, რომ აღმოცენებულა საქალაქო ცხოვრება მისთვის დამახასიათებელი ხელოსნობით, მეთევზეობით და სხვ. მათ გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონიათ როგორც კოლხეთის მეზობელ რაიონებთან, ასევე უცხო ქვეყნებთან. ამას ადასტურებს უცხოური და კოლხური მონეტების (თეთრი) დიდა სიმრავლე. ხოშტარია ფიქრობდა, რომ აქვე იჭრებოდა კოლხური ფული⁴⁰. აქ ქართველ ტომებთან ერთად დასახლებული იყვნენ ბერძნებიც. ქალაქის მოსახლეობაში სოკრალ-ქონებრივი დანაწილება შორს იყო წასული⁴¹.

ფიჭვნარის ნაქალაქევის ძველ სახელწოდებად ჩვენში „პითია“

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, 56.

³⁹ იქვე, გვ. 50.

⁴⁰ ნ. ხოშტარია, ციხისძირი, გვ. 36.

⁴¹ დ. ხახუტაიშვილი, საინტერესო არქეოლოგიური გათხრები, გაზ. „საბჭოთა აპარა“, № 34, 1957. ფიჭვნარის ნაქალაქარი მდებარეობს მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე ზღვისპირად. გათხრების შედეგად აქ აღმოჩნდა შავლაქიანი კერამიკის ფრაგმენტები, აქვეა ტაპონიმი „ნამქედლური“ და „კოლხური — პითოსების“ — კერამიკული საწარმოს ნაშთები. მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა 1951 წ. სინოპური 127 ცალი ვერცხლის დრაქმები, ხოლო 1952 წ. კოლ-

მიიჩნეოდა. მაგრამ ნ. ლომოურმა სადავოდ მიიჩნია ეს მოსაზრება. ნ. ლომოურის დაკვირვებით მკვლევარი აქ შეცდომაში შეუყვანია ამი-
ანე მარცელიანეს ერთ-ერთ გამოცემაში შეტანილ შესწორებას, რომე-
ლიც თავის რუსულ თარგმანში გადმოუტანია კულაკოვსკის⁴². ამა-
თანავე ნ. ლომოურმა გამოთქვა მოსაზრება „Portus altus“ შესახებ,
რომელსაც ადრე იგი (ს. ყაუხჩიშვილის კვალად) ბათუმთან აიგი-
ვებდა, ახლა მას ფიქვნარის ნაქალაქევს უკავშირებს; ეს მო-
საზრება საინტერესოა, თუმცა ფიქვნარის ნაქალაქევის ძველი სახელ-
წოდება მაინც საძიებელია.

ელნისტური ხანის ძეგლთაგან კინტრიშის ხეობაში განსაკუთრე-
ბით საინტერესოა ზენითის მონოლითურ ორგანყოფილებიანი საწნახე-
ლი. ამ საწნახელის სიგრძე 10 მეტრს აღწევს, სიგანე—2,4 მეტრს, ხო-
ლო სიმაღლე 2.1 მეტრს (დაუზიანებლად 3—4 მეტრს) აღემატება.
ნ. ხოშტარია მას ანტიკური ხანის ძეგლად მიიჩნევდა⁴³. დაახლოებით
ასეთივე ტიპის საწნახელს, რომელიც უფლისციხეში, კლდეშია გამოკ-
ვეთილი, მკვლევარი დ. ხახუტაიშვილი ძვ. წ. IV—III საუკუნეების ძეგ-
ლად მიიჩნევს და საკვებით მართებულად დასძენს, რომ „ასეთი ძველი
ტრადიციის პირობებშია გასაგები ქსენოფონტის ცნობა, რომ ძვ. წ.
IV საუკუნეში კარდუხები ღვინოს სპეციალურ ორმოებში ინახავდნენ“
(ანაბაზისი, V. 2.22). ხოლო ტიბარენები, ამ ქვეყანაში მიღებული წე-
სის მიხედვით. გაუზავებელ ღვინოს ყანწებით შეექცეოდნენ (ანაბაზი-
სი, VI, 1.4)⁴⁴. ეს ფაქტი ამ მხარის მკვიდრთა სამიწათმოქმედო მალალი
კულტურის დამადასტურებელია.

საქართველო ვაზის კულტურის და მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-
ერთ თავდაპირველ სამშობლოდაა აღიარებული⁴⁵. არქეოლოგიური მო-
ნაცემები კარგად ადასტურებენ ამ სინამდვილეს⁴⁶. ძვ. წელთაღრიცხ-
ვას I ათასწლეულში ქობულეთ-ჩაქვის ზღვისპირეთის ზოლი რომ

ხური თეთრის 261 ცალისგან შემდგარი დიდი ვანძი. ეს მხარე ძვ. წ. I-ლი ათასწ-
ლეულის დასაწყისისათვის საქმაოდ დაწინაურებული ჩანს მიწათმოქმედებასა და
ხელოსნობაში—სელის ქსოვაში (ქსოვილიანი კერამიკა), კერამიკულ წარმოებასა
და მეთევზეობისათვის ბადის დამზადების საქმეში, ხოლო განსაკუთრებით დაწინაუ-
რებულია ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიულ წარმოებაში.


⁴² ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962,
გვ. 80—81.

⁴³ ნ. ხოშტარია, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 32—33. ხ. ახვლედიანი, ნარკვე-
ვი აქარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944, გვ. 148.

⁴⁴ დ. ხახუტაიშვილი, ახალი მასალები ელნისტური ხანის ქართლის ქალა-
ქების მეურნეობის ისტორიისათვის, „მოამბე“, 1963, გვ. 117—119.

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935.

⁴⁶ გ. ცქიტიშვილი, მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში არქეო-
ლოგიური მასალების მიხედვით, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის
შრომები. ა. ბოხრაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, თბ., 1963.



სოფ. ზენითის მონოლითური საწნახელის ფოტო და გრაფიკულ გამოხატულება ანაზომითურთ.

მკიდროდ ყოფილა დასახლებული, ამას ადასტურებს კოლხურ ნამოსახლართა აღმოჩენა: ჩაქვისა და სოფ. ბუქნარს⁴⁷ შორის ციხისძირსა⁴⁸ და ქობულეთში; სამებაში, კოხში⁴⁹, ფიქვნარში⁵⁰, ხუცუბანში და სხვ.

ქობულეთის დაბლობის ჩრდ. გაგრძელებაზე მდ. სუფსის შესართავი და ურეკის მადამოები წინა და ადრე ანტიკურ ხანაში აგრეთვე მკიდროდ იყო დასახლებული⁵¹. უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენებით ამრიგად ყოველგვარი საფუძველი ეცლება დრომოქმულ, მცდარ კონცეფციას იმის შესახებ, რომ კოლხური დაწინაურებული კულტურა თითქო ბერძნული კოლონიზაციის გავლენის ნაყოფი იყო და შექმნილი არა მკვიდრი მოსახლეობის მიერ.

კოლხეთის არქეოლოგიურმა შესწავლამ ნათელყო, რომ ბერძნულ კოლონიებს აქ დახედათ მაღალ სოციალურ-ეკონომიურ საფეხურზე მდგარი მკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც დაწინაურებული სოფლას მეურნეობისა და მეტალურგიული წარმოების საკმაოდ დიდი ტრადიციები ჰქონდა⁵².

როგორი უნდა ყოფილიყო ძველი კოლხეთის ტომური შედგენილობა და მათი განსახლებას რამდენადმე კონკრეტული არე.

ძველი კოლხური ტომობრივი შემადგენლობა—გაერთიანებებისა და მათი საცხოვრებელ ადგილთა ლოკალიზაცია და დაზუსტება იმ მეტად ძუნწი და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო წყაროების საფუძველზე, რომელიც ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ-რომაულ ანალებსა და ლიტერატურულ ძეგლებს შემოუწინაბაგთ, არაერთგზის უცდიათ საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართ, მაგრამ ეს ცდები, იმის გამო, რომ მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებზე იყო აგებული და საქართველოს ამ ისტორიული (ლოკალური) ადგილების არქეოლოგიურ მონაცემებს არ ემყარებოდა, ხშირ შემთხვევაში ჰიპოთეზური იყო. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მაშინ საქართველოს არქეოლოგია ახლად იდგამდა ფეხს. ახლა ვითარება შეიცვალა. გათხრების შედეგად დაგროვილი მასალა დიდ დანმარებას უწევს ისტორიულ მეცნიერებას მკვიდრი ტომების, ისტორიის შესწავლაშიაც.

⁴⁷ აღ. რ ა მ ი შ ე ი ლ ი. ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რ-ში, ზსკიბ 111, 1964.

⁴⁸ ნ. ხ. ო. შ. ტ. ა. რ. ი. ა., ციხისძირი, 1962.

⁴⁹ ა. კ. ა. ხ. ი. ძ. ე., მასალები აღმოს. შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მასალები, I, თბ., 1964.

⁵⁰ აღ. რ ა მ ი შ ე ი ლ ი., ძველი სადგომები ფიქვნარის დიუნაზე, სდსამ, გვ. 17—28.

⁵¹ ით. ლ. ო. რ. თ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 47.

⁵² ნ. ლ. ო. შ. ო. უ. რ. ი., კოლხეთის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1962.

ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, კოლხეთის მთელ რიგ ტომობრივ გაერთიანებათა შორის იყვნენ ჰენიოხებიც. ივ. ჯავახიშვილი „შესაქმეთა წიგნის“ — „ენოხში“ — ჰენიოხთა სახელწოდებას ხედავდა და მას ჰანურ ტომად მიიჩნევდა.⁵³ ამავე მოსაზრებისა პ. ინგოროყვა.⁵⁴ ნ. ხოშტარია მის მიერ შესწავლილი არქეოლოგიური მასალებით ცდილობს ამ ტომთა ადგილსაცხოვრისის უფრო ზუსტ ლოკალიზაციას და დაასკვნის, რომ „ციხისძირიც ჰენიოხებს ეკუთვნოდათ“⁵⁵.

ციხისძირი კინტრიშის ხეობას ეკვრის სამხრეთ-დასავლეთიდან. თუ ჰენიოხთა ადგილსაცხოვრისის ასეთი ლოკალიზაცია სწორია, მაშინ ხუცუბანშიც და მის მიდამოებშიც ეს ტომთა საგულელებელი; ყურადსაღებია ისიც, რომ ს. ჯანაშია ქობულეთის სამხრეთ მიდამოებში გულისხმობდა ბერძნულ-რომაულ წყაროებში დადასტურებულ ზიდრიტთა ტომის ადგილსაცხოვრისს.⁵⁶

მრავალფეროვანია კოლხეთის ქართველურ ტომთა შემადგენლობის სახელწოდებანი. მოგვიანებით ფლავიუს არიანე ამის შესახებ წერს: „ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხების ტომი, რომელიც უგულადესია... ესენი მეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებსა... მათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანჭიალეა. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ზიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან“ (იხ. გვ. 42), ე. ი. ეს მხარე ახ. წ. II საუკ. იბერიის სამეფოს გავლენას სფეროში მოექცა და უკვე მასთანაა მჭიდროდ გაერთიანებული.

1953 წ. არქეოლოგიურმა დაზვერებებმა ნ. ხოშტარიას საფუძველი მისცა აღენიშნა, რომ უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ციხისძირი და მისი ცენტრი, სადაც ციხის ნანგრევებია, წარმოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს.⁵⁷ მაგრამ იმის გამო, რომ ა. წ. I საუკუნემდე ბერძნულ-რომაულ წყაროებში ციხე და ქალაქი პეტრა არ იხსენიება, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ პერიოდში მხარე ცნობილია

⁵³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I. 1913, გვ. 32.

⁵⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 122, 124, 135.

⁵⁵ ნ. ხოშტარია, ციხისძირი, 1962, გვ. 43. ჰენიოხების ადგილსაცხოვრისის შესახებ საბუნებისმეტყველო გამოკვლევა გამოაქვეყნა მ. ინაძემ (იხ. მანაშაძის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, მსკ, ნაკვ. 31, თბ., 1955, გვ. 13 — 20).

⁵⁶ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენაშის მოამბე, თბ., 1937, გვ. 23.

⁵⁷ ნ. ხოშტარია, ციხის ძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, (დაიბეჭდა თეზისები და მიხსენდა ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე საშუალო სესიას, 1953 წ.).

ფითიას სახელწოდებით, რომელსაც თითქო შეესაბამება სახელი ფიქვენარი და მოაცავდა ქობულეთის რაიონის ზღვისპირა ზოლს და სხე.⁵⁸ მოგვიანებით, რა თქმა უნდა, პეტრა-ციხისძირი ამ მხარის დადი ცენტრი ხდება. ყალიბდება პეტრას სახელწოდების საეპისკოპოსო კათედრა; ცნობილია, რომ ლაზთა ეპისკოპოსი — იოანე პეტრელი და თეოდორე ფაზისელი 652 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ და ეს ეპისკოპოსები ხელს აწერდნენ კრების გადაწყვეტილებას.⁵⁹

თუ როდის დაარსდა და სად იმყოფებოდა პეტრა საერთოდ და ჯერძოდ პეტრას საეპისკოპოსო კათედრა, მისი ციხე და ქალაქი, მეცნიერებაში ამ საკითხზე კარგა ხანია აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

პეტრას საეპისკოპოსო კათედრა პირველად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საეკლესიო ნუსხებში ე. წ. ეკთესისებშია მოხსენიებული, რომელსაც VII საუკუნით ათარიღებენ.⁶⁰ აქ პატრიარქთა და მიტროპოლიტთა სიაში მოხსენებულია (ოცდამეშვიდედ) მიტროპოლიტი, ლაზიკის ეპარქიისა — „ფასიდის მიტროპოლიტი“, რომლის სამიტროპოლიტოსაც „ექვემდებარება ოთხი ქალაქი, ე. ი. ოთხი ეპისკოპოსი; როდოპოლისის ეპისკოპოსი; საისინთა ეპისკოპოსი; პეტრას ეპისკოპოსი; ზიგანევთა ეპისკოპოსი“.⁶¹ როდოპოლისის ანუ ვარდციხისა და პეტრას საეპისკოპოსოს ადგალსამყოფელი ჩვენთვის ცხადია; რაც შეეხება საისინთა საეპისკოპოსოს, მას ცაიშის საეპისკოპოსოდ (ოდიშში) მიიჩნევენ.⁶² ხოლო ზიგანევის საეპისკოპოსოს ლოკალიზაციას ილორის სანახებში ახდენენ.⁶³ თუ რა დიდა ადგილი ეკავა და რა დიდ როლს ასრულებდა პეტრა VI საუკუნის ლაზიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მის საშინაო და საგარეო ურთიერთობაში, ეს კარგადაა ცნობილი და ამაზე არ შევჩერდებით. ამ პერიოდში საეპისკოპოსო კათედრები, როგორც ეს ქართლის მაგალითზე ვიცით, ქვეყნის „სოციალური და პოლიტიკური აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული, ხოლო „ლაზიკაში არსებულ ოთხ ბერძნულ საეპისკოპოსო კათედრიდან, ერთი პეტრაში იმყოფებოდა“.⁶⁴

⁵⁸ ნ. ხოშტარია. ციხისძირი, 1962, გვ. 35. დ. ხახუტაიშვილი, საინტერესო არქეოლოგიური გათხრები, „საბჭოთა აპარა“, № 34, 1957 წ.

⁵⁹ Ю. Кулаковскнй, История Византии, III, გვ. 227—278.

⁶⁰ გეორგიკა, IV, გვ. 124, ს. ყაუხჩიშვილის რედ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 234.

⁶¹ გეორგიკა, იქვე, გვ. 140.

⁶² გეორგიკა, IV, 2, გვ. 188; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 230.

⁶³ პ. ინგოროყვა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 231.

⁶⁴ ს. ჭანაშვილი, შრომები, ტ. 1, გვ. 20 და 41. ი. სიხარულიძე ფიქრობს, რომ მონათმფლობელი ხანიდან ქვემო გურჯისტანის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო ციხისძირი, რომელიც ბიზანტიურ მწერლობაში პეტრას სახელწოდებ-

პეტრას საეპისკოპოსო იურისდიქცია და გავლენა. როგორც ეს ცნობილია, დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მასში „შედიოდა გარდა ბათუმის მხრისა გურია-აჭარისა, აგრეთვე ჭანეთი-ლაზია და საისეს მხარე“.⁶⁵ უცხოური საისტორიო წყაროები ქრისტიანული საეკლესიო ცხოვრების განახლებას და გაძლიერებას ლაზებსა და ჭანებში იუსტინიანე მეფეს უკავშირებენ; მაგ., პროკოფი კესარიელის ცნობით იუსტინიანე მეფემ „ქრისტიანეთა ეკლესიაც განაახლა ლაზიკეში — ძველიც იყო და ნაგებობაც დაზიანებულიყო“. მასვე აბაზგიაში ახალი ტაძრებიც აუგია, ზოგი წარმართნიც მრუქტეცია. „მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები“.⁶⁶

ამ პერიოდში ქალაქი პეტრა-ციხისძირი ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, საეპარქო-ეკონომიური და რელიგიური ცენტრი ხდება კოლხეთის მემკვიდრე ლაზიკისა; პეტრას საეპისკოპოსო კათედრა მოგვიანებით, ციხისძირ-პეტრადან ხინოში გადადის. თუ როდის მოხდა ეს, ამაზე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ იგი თითქოს დასავლეთ საქართველოს, ეგრის — აფხაზეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში განხორციელდა. როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, „ორ აქტს შორის — პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საეკლესიო რეფორმაციას შორის. ორგანული კავშირია; საეკლესიო რეფორმაცია — ეს იყო მეორე აქტი, შემდგომი საფეხური დასავლეთ საქართველოს კულტურული ემანსიპაციისა“.⁶⁷

ამიერიდან, დასავლეთ საქართველოს მღვდელთმსახურებაში გაბატონებული ბერძნულის ადგილს ქართული ენა იკავებს და სხვ. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ვერ გავიზიარებთ პ. ინგოროყვას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს ამავე პერიოდში პეტრას საეპისკოპოსო კათედრამ არა ხინოში, არამედ თითქოს ქუთაისში გადაინაცვლა.

ზითა ცნობილი. როგორც არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის უკვე ერისთავის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო (იხ. მისი ტოპონიმია, წ. II, გვ. 68). დ. ხახუტაიშვილის აზრით, ამ მხარის ანეთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი არა ციხისძირი, არამედ ქობულეთის ფიქვენარია (ფიქვენარ-ჩალოქი). სავარაუდებელია, აქ ძვ. წ. VI—V საუკუნეებში წარმოქმნილია საკმაოდ მძლავრი ქალაქური ტიპის დასახლება, როგორც ეს არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა (იხ. ჟურნალი „მოამბე“, 1960, № 1, გვ. 300). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფიქვენარ-ციხისძირი არსებითად ერთი კულტურულ-ეკონომიური გარემოა და ისინი მთლიანობაში უნდა განვიხილოთ, მიუხედავად იმ დიდი სპეციფიკურობისა, რაც თითოეულს მოეპოება.

⁶⁵ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

⁶⁶ გეორგიკა, 2, გვ. 135; 200.

⁶⁷ პ. ინგოროყვა, გეორგი მერჩულე, გვ. 231 — 232.

სადაც ასევე როდობოლის — ვარციხის კათედრაც გადმოუტანიათ⁶⁵. ეს უკანასკნელი ტერიტორიულად მართლაც დაკავშირებული იყო ქუთაისთან და ასეთი აქტი თითქო ბუნებრივ პროცესად ჩანს იმ დროისათვის. მაგრამ ეს არ ითქმის პეტრაზე, მისი მაშინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო.

ნ. ხოშტარია ფიქრობს, რომ „ციხის სახელწოდება პეტრა, ქალაქი პეტრა და კათედრა პეტრა, ერთი და იგივე რაიონის — ქობულეთის ნაწილებია. მისი აზრით, ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრა არ შეიძლება ციხისძირში ყოფილიყო. კათედრა პეტრა, ისევე როგორც ქალაქი პეტრა, შესაძლებელია, არსებობდა ქობულეთის სანაპირო ზოლსა და მის მახლობელ სოფლებში, სადაც ეკლესიები უნდა ყოფილიყო (სამება, თეთროსანი, ხუცუბანი), ასევე ბობოყვათში, სადაც ბიზანტიური მონეტები აღმოჩნდა 1956 წ.. რაც ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს“⁶⁶.

კინტრიშის ხეობაში ქრისტიანული და წინაქრისტიანული საკულტო-საეკლესიო გეოგრაფიულ პუნქტთა სახელების სიმრავლე მართლაც რომ დამაფიქრებელია. როგორც აღინიშნა, ამ მხარეში დღესაც უხვად არის შემორჩენილი წარმართულ-ქრისტიანული საკულტო ტობონი-მიკა, კარგად ცნობილი სოფლები — ქვედა სამება, ზედა სამება, ასევე ორი (ქვედა და ზედა) სოფელი კვირიკე, ხუცუბანი, თეთროსანი და სხვ. ამათგან შორს არაა ასევე სოფ. კოხი, წმ. ელიას გორა, სოფ. კონდიდი (იგივე რკონი მუხის ხის კულტთან დაკავშირებული სახელი), მუხანესტატე და ბევრი სხვა, რომლებიც ერთ ხეობაში რყოფებიან, ერთმანეთს ესაზღვრებიან და ერთ გარემოს წარმოადგენენ.

ეს და ამის მსგავსი ბევრი სხვა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, წარმართულ-ქრისტიანული საყდრები და ნასაყდრები, რომლებიც თეთროსანის ირგვლივ იყრიან თითქოს თავს, ვერ მოსპო თურქთა საუკუნოვანმა ბატონობამ, მისმა მაჰმადიანურმა ფანატიკურმა რელიგიამ და დღესაც კინტრიშის ეს მომხიბლავი ხეობა, ღია ცის ქვეშ გადაშლილი, დიდებული მუზეუმის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს მნახველზე.

ამ მეტად საყურადღებო ტაქტს, და ასეთ გარემოცვაში შემუშავებულ ტრადიციას, დაკავშირებულს ამ მხარის საკულტო-რელიგიური ცენტრების (დიდისა და პატარას) ასეთ სიმრავლესთან, ჩვენის აზრით, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პეტრას საეპისკოპოსო ცენტრის .ლოკალიზაციისათვის, რომელიც VI საუკუნის მეორე ნახე-

⁶⁵ პ. ინგოროყვა, გიორგი შერჩულე, გვ. 249.

⁶⁶ ნ. ხოშტარია, ციხისძირი, გვ. 35.

ვარში ჩამოყალიბდა და ორ საუკუნეზე მეტ ხნის განმავლობაში კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.⁷⁰

ზოგი ახალი მასალა ხუცუბან-თეთროსნის
ვიპრობოვარონიმიკიდან და სინოს სავისკოპოსო
სააღრის ისტორიის შესახებ

ტოპონიმიკური მონაცემები, თუ საზოგადოდ ძვირფასი საშენი მასალა და სანდო წყაროა ისტორიისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იგი ისეთი დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. მან მეზობელ ხალხებთან და სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და მტერ-პოყვრობის მეტად რთული გზა განვლო. ეს განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე ითქმის, საიდანაც საუკუნეების მანძილზე საქართველოს არაერთი დამპყრობელი ესხმოდა თავს, სწორედ ამ მხარეში სამას წლამდე ბატონობდა ოსმალეთი. ამ გარემოებამ თავისი უარყოფითი გავლენა მიახდინა საქართველოს სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთი რაიონების ტოპონიმიკაზე. კერძოდ, ანალოგიური ხასიათის გავლენა განიცადა კინტრიშის ხეობის ადგილთა სახელებმა.

ქართული ტოპონიმიკის შერყვნას, გადაგვარებას და მოსობას ოსმალთაგან მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე მრავალი ფაქტორი განაპირობებდა, რომელთაგან მთავარი იყო ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება, თურქული ენის დიდი გავლენა და ოსმა-

⁷⁰ პეტრასგან სავისკოპოსო კათედრის გადაადგილება სხვაგან X საუკუნეში რომ ხდებოდა, თითქოს არ უნდა იყოს სადავო, მაგრამ სად იქნა ეს კათედრა გადატანილი, ამაზე აზრთა სხვაობა საკმაო ხანია არსებობს. მაგალითად, X საუკუნის შემდეგ პეტრას კათედრის მაგიერ ზოგჯერ სოტერიოპოლის სავისკოპოსო კათედრაა დასახელებული, რომლის ადგილსამყოფელად ასევე მიჩნეულია ქობულეთის მხარის ზღვისპირა ზოლი და მისი მიდგამი ადგილები (Л. Мелнксет-Бекоев, Древнейшая Пицунда у Пои́та Евкени́ского. «Записки Кавказского отдела импер. Русского Географического общества», книга XXIX, вып. 4, გვ. 63). რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და მწყემსთა შორის მოხსენებული არაა ხინო და ხინოწმინდელი, ეს იმით აიხსნება, რომ ეს მხარე სამცხე-საათაბაგოს არ განეკუთვნებოდა ამ დროს, ამასთანავე, ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში შედიოდა მისი მოსაზღვრე მტბევარის სამწყსო, რომელიც მოიცავდა დახატულას, შავშეთს, მიკიხინს ვიდრე აჭარა დანდალომდე. დანდალოს ქვემოთი აჭარა, კინტრიშის ხეობის ჩათვლით, ხინოს სავისკოპოსოს საგამგეო უნდა ყოფილა, რომელიც უშუალოდ ქუთათელთან ყოფილა დაკავშირებული. იხ. Д. Бакрадзе «Археологические путешествия по Гурии и Ачаре» С.-Пб, 1887, გვ. 81—82; П. Иоселиани, «Описание города Тифлиса», 1886, გვ. 52—60.

ლეთის მთავრობის გამათურქებელი პოლიტიკა. შემოერთების შემდეგ კი აქ ოფიციალურ ენად რუსულის შემოღება და სხვ.⁷¹ საქართველოს სამხრეთის რაიონების შემოერთების შემდეგ ოფიციალურმა ცარიულ ტულმა ენამ, რასაკვირველია, თავისი ღრმა კვალი დააჩნია ამ მხარის ტოპონიმშიც. თურქეთში მუჰაჯირების მოტყუებით გადახევეწამ გაიორგნა ქართული სოფლებს დაცარიელება, რასაც თან მოჰყვა ამ მიწათნობების ტოპონიმთა საწუდამოდ გაქრობა. იმის შედეგად, რომ სოფლები გაუკაცურდა და იქ ჩამოსახლებული იქნა თურქეთიდან ლტოლვილი ქრისტიანი სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი ხალხები, ეს ადგილები „პუსტოპოროენად“, ან „კაროვკად“ გახდა ცნობილი. აქ მოსული ელემენტი მისთვის საერთოდ გაუგებარ, ან დავიწყებული ტოპონიმის მაგიერ ქმნის ახალს, ცხოვრება თავიდან იწყება და ქართულის ადვილს. უმეტესად. უცხოური ტოპონიმი იწყებს ფეხმოკიდებას.

მართალია, აქარაში ქართული ტოპონიმთა ძირითადად მაინც ინარჩუნებს თავის სახეს, მაგრამ იგი იბღალბება.

რასაკვირველია, ვერც კინტრიშის ხეობას და სოფ. ხუტუბნის ტოპონიმთა ასცდა მთლიანად ამგვარ უკულმარფ გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩვენ ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, ხუტუბანი კომპაქტურად დასახლებული ძველი ქართული სოფელია. რაც შეეხება ამ სოფლას სახელს, იგი, ასევე მრავალმხრივ საყურადღებოა.⁷²

ძველი ქართული ტოპონიმი — „ხუტუბანი“, „ხუცისა“ და „უბნისგან“ შემდგარი კომპოზიცია. ამ ტერმინს საფუძვლად „ხუცი“, „ხუცისი“ უდევს, რომელიც ქართულში „ბერის“ სინონიმად გვევლინება.⁷³ იგი ძველად გამოხატავდა ხევის ან თემის მეთაურის სახელს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალებით, მაგ. ხევსურულ თემში „ხუცისი“ ან „ხევისბერა“ დაბის, თემის, ხევის სამოქალაქო და საკულტო საქმეთა გამგებელ-გამკითხავი მეთა-

⁷¹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, გვ. 26.

⁷² სახელი „ხუცი“. ანუ „ხუცისი“ და აქედან წარმოებული ტოპონიმი ხუტუბანი აღრქმისტიანულ-წარმართული ხანის მოვლენაა, რომლის ვადმონათები ღვსაყ დატულია ხევსურეთში. იქ «Главным служителем Хати является Хуц или хуцис» (იხ. ვ. ბარდაველიძის შრომა: «Опыт социалогического изучения хевсурских верований» з. 16). ხოლო ავტორისავე მოსაზრებით «Хевсурские хуцы являются преемниками прорицателей кадагов, т. е. кадаги на известной ступени общественного развития оформились и превратились в хуцов». (იხ. იქვე დასახ. შრომა, გვ. 17).

⁷³ თ. ეთრდანიძე, ქრონიკები, II, გვ. 2.

ურია.⁷⁴ ქსნის ერისთავთა მატთანეში „ძველი ერისთავთაში“ სწორედ ამგვარი შინაარსითაა ნახმარი ტერმინი ხუცი, როცა ერისთავობას მძიმებელი როსტომი „ხუციანდაბაჲ-ძედ,“ ანუ თემის უფროსის ძედ იწოდებოდა.⁷⁵

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველთაგანვე დაცული ქართული წეს-ჩვეულებანი, ცნებები და ტოპონიმები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, მის ხეობებსა და დაბა-სოფლებს შემოუნახავს, გარკვეულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის — შვირე კავკასიონის, გურიისა და აჭარის მთიან ადგილთა ხეობებსა და დაბებში დაცულ წეს-ჩვეულებებთან და ისტორიული მნიშვნელობის ცნებებსა და ტერმინებთან.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ხუცუნ-ს სახელწოდების ხალხური ახსნაც არსებობს, რომ იგი თითქოს „ხუცის ბანი“-საგანაა წარმომდგარი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. „ხუცუნ-ნი“ ასევე თითქოს „ხუციშვილების უბანს“ უნდა ნიშნავდეს, მაგრამ საინტერესოა, რომელი ძველი სოფლის უბანი იყო ის და როგორ და რა პირობებში იქცა დამოუკიდებელ სოფლად. ამ საკითხების გადაწყვეტას სპეციალური ისტორიულ-გეოგრაფიული ძიება სჭირდება. ამჟამად კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზულ ძველად სოფ. ხუცუნანი შედიოდა და ითვლებოდა თეთროსან-ლევკოთეას შემადგენელ ერთ-ერთ უბნად, სადაც, საფიქრებელია, ამ ტაძრის კულტის მსახურნი (ხუცები) ბინადრობდნენ.⁷⁶

ხუცუნის გარემომცველი სოფლების სახელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი წარმართული ისტორიული ტოპონიმები, როგორიცაა „კოხი“, „გვარა“, „ქობულეთი“ და სხვა. რაც შეეხება „სამეზას“, იგი ქრისტიანული სახელი უნდა იყოს. იგი სოფელში არსებულ წმინდა სამების სახელობის ეკლესიასთანაა დაკავშირებული. „გვარა“ ხშირად გვხვდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში. საფიქრებელია, რომ იგი მეცხოველეობასთან დაკავშირებული (სადოვრის) აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელი იყო. რაც შეეხება „კოხს“, ასეთად იწოდება ქვის ერთ-ერთი ჯიში. „კოხი ქვაა, რომელიც ცეცხლში არ სკდება“ (საბა ორბელიანი). სოფლის ამ სახელწოდებას ყურადღება მიაქციეს ქვის ხანის სპეციალისტებმა. ნაშრომში

⁷⁴ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 10, 1952.

⁷⁵ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, გვ. 163 და სხვ., სადაც „ძველი ერისთავთა“ სპეციალური განხილვა მოცემულია.

⁷⁶ ცნობები „ქადაგის“ შესახებ და ქადაგის ფუნქციების მეცნიერული ანალიზი აკად. ი. ჯავახიშვილს მოეპოვება თავის ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“. წიგ. 1, გვ. 45—47.

„ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში“ ვკითხულობთ: „საყურადღებო ჩანს ტოპონიმი კოხი (სოფ. ქობულეთის მეზობელი დასახლება ხეობის შედეგებით), ეს სოფელი მომავალში ქვის ხანის ნაშთების მაძიებელთა ექსპედიციის ობიექტი უნდა გახდეს.“⁷⁷ ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს რიგ სოფლებში დღესასწაულობდნენ „კოხინჯრობას“, რომელსაც რელიგიური ხასიათი ჰქონდა, და იგი, საფიქრებელია, წარმართობის დროინდელი ტაროსის (ამინდის — კოხი — სეტყვა) და მოსავლიანობის დღესასწაულთან იყო დაკავშირებული.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ასევე სოფელ ხუცუბნის ადგილთა და მდინარეთა სახელები. დღემდე აღწერილია ხუცუბნის 21 ტოპონიმი და ჰიდრონიმი. ესენია:

- | | |
|---------------|------------------------------|
| 1. თეთროსანი | 12. საქათმია |
| შუბალაური | 13. კოკოტია |
| 3. ობოღირი | 14. კოჩალია |
| 4. ბნელიღელე | 15. ურიების სასაფლაო |
| 5. სახტარი | 16. გაძირულა |
| 6. საქორია | 17. მუქიბისეული |
| 7. სათიკნა | 18. აბანოდელე |
| 8. თაგვეთი | 19. გორდელაძნების ოჯახი |
| 9. ბოხვაური | 20. ყადის ეზო |
| 10. ჭეფირი | 21. ქარმანაული ⁷⁸ |
| 11. წყალთაშვა | |

ადგილზე მუშაობის შედეგად კიდევ რამდენიმე ტოპონიმი აღმოჩნდა. ესენია: 1. გენერლის საფლავი: ასე ეწოდება 1877—1878 წლების ომში დაღუპულ მეომართა, ანუ ძმათა სასაფლაოს. 2. ნაურვალი, 3. ურიის ღელე. 4. მაჭახლები. 5. აშორეს ღელე, და 6. ნამჭედლები.

ჩამოთვლილ ტოპონიმებს და ჰიდრონიმებს გარდა პირველ რიგში ჩვენ ყურადღებას თეთროსანი იპყრობს, რომლის მიდამოებში დღესაცაა დაცული წმ. გიორგის საყდრის ნანგრევები. თეთროსანს და მის მიდამო ადგილებს, ირკვევა, ძველად საკუთარი მიკროტოპონიმთა მოე-

⁷⁷ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., 1964, გვ. 10.

⁷⁸ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგ. 11, ბათუმი, 1959, გვ. 55—56.

პოვეზოდა, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმემ მოაღწია და დღემდე არც კი ყოფილა აღწერილი. ესენია:

1. თეთროსნის ღელე — ჩუდის თეთროსნის წასაყდრალს მარჯვენა მხრიდან.

2. თეთროსნის პლაკე — ეწოდება თეთროსნის ღელის გასასვლელ დიდ ბრტყელ სიბ ქვას, რომლითაც გზა შედიოდა თეთროსანში.

3. თეთროსნის საცივები — თეთროსნის მიდამოებში არსებულ წყაროთა საერთო სახელწოდება.

თეთროსნის ტყე — ასე უწოდებენ თეთროსნის მიდამოებში 1940-იან წლებამდე დაცულ ტყეს; ირკვევა, რომ ვიდრე მიწის რეფორმა გატარდებოდა, ამ ტყეს, როგორც წმინდა ადგილს, საგანგებოდ პატივობდა თეთროსნის აღმოსავლეთით მცხოვრები ოსმან ესელიძე. ეს ტყე, გადმოგვცა დრმა მოხუცმა ოსმან ესელიძემ, — გაწმენდილი და სულ გასუფთავებული იყო. დიდ ხეივნებში მოწყობილი იყო დასასვენებელი ადგილები, წყაროს თავებთან ხალხი მიდიო-



2. თეთროსნის საყდრის ნანგრევები სოფ. ხუტუბანში.

და. მოწყობალი იყო ბილკები, გზები, იქ ხის მოჭრა კი არა, ბუნებრივად წაქცეული ხის, ან მისი ტოტის გატანაც კი არ შეიძლებოდა. თეთროსანის კუთვნილი ფართობი, ხუცუბნელ ოსმან ესელიძის და ღურსუნ ომერაძის ჩვენებით, 30 ჰექტარს აღემატებოდა. ეს ტერატორია ვრცელდებოდა აჭყვის წყლის მარცხენა ნაპირსა და თეთროსანის ღელეს შორის, ნასაყდრალ ხუცუბნის დასავლეთიდან (სოფლის ბოლოს), სოფ. გვარის საზღვრამდე.⁷⁹

თეთროსანის წმინდა გიორგის სახელობის ნასაყდრალმა, რომელიც ადრე დიდის პოპულარობით სარგებლობდა მთელ ამ მხარეში, მეტისშეტად დაზიანებულ მდგომარეობაში მოაღწია ჩვენამდე. 1944 წლისათვის ძველი ეკლესიის ნანგრევებში იყო ჩაფლული და გადარჩენილი იყო მხოლოდ ორი კედლის ფრაგმენტი: შედარებით უკეთ შემონახულა ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის ნაშთი (სიგრძე 7 მეტრამდე, სიმაღლე 6,5 მეტრამდე), ხოლო ბევრად ცუდად—ჩრდილო-დასავლეთის კედელი (სიმაღლე 4,5 მეტრამდე); ნასაყდრალი თეთროსანის კედელი ნაგებია რიყის ქვით, ხოლო სარკმლის ზემოთ დატანებული აქვს თლილი ქვები. კედელი სქელია, 2 მეტრამდე აღწევს; იგი ადრე თლილი და მოჩუქურთმებული ქვებით ყოფილა შემოსილი, დღეს კი გადარჩენილ კედლებსაც თლილი ქვის ეს პერანგი შემოძარცვული აქვს. ნასაყდრალს ემჩნევა, რომ იგი ბევრჯერ დანგრეული და განახლებული უნდა იყოს. 1720-იან წლებში თეთროსანის საყდრამ თურქთა შემოსევებისა და ნასთან დაკავშირებული ბრძოლების შედეგად არა ერთგზის განიცადა ნგრევა-აოხრება. საყდარი არქიტექტურულად შესწავლილი არაა, არც გათხრები ჩატარებულა ამ მიდამოებში და როცა ერთი და მეორეც განხორციელდება, მაშინ ჩვენ სრულყოფილი წარმოდგენა გვექნება ამ ძეგლის შესახებ.

თეთროსანი ძველ კოლხეთში წინაქრისტიანული ხანის წარმართული საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო. რაკი თეთროსანი ახლანდელ სოფ. ხუცუბან-გვარის მიდამოებში დაცულ ნასაყდრალ ადგილებს კი არ ეწოდებოდა მარტო, არამედ თეთროსანის ნასაყდრალის ირგვლივ მდებარე დიდი ფართობის მიწა-წყალსაც, ამიტომ საფიქრე-

⁷⁹ სიხარულიძის დასახელებულ ნაშრომს. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დღებითი შეფასება მისცეს. გამოქვეყნდა დ. ხალუბაძის საინტერესო რეცენზია ამ ნაშრომზე, სადაც კრიტიკულ ნაწილში მიიღებოდა „ტომონიმიკურ აღწერილობაში“ გამორჩენილ ტომონიმებზე. ზოგიერთი ტომონიმის აღწერის ანდა ამა თუ იმ ტომონიმთა პუნქტობრივი ლოკალიზაციის უზუსტობის საკითხებზე და სხვ. (რეცენზია დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების მოამბეში. 1960 წ. № 1, გვ. 295—302). რეცენზენტი ეხება ხუცუბან-თეთროსანის მართ დაშვებულ მსგავს მოვლენებს.

ბელია, ძველად სოფელი გაშენებული უნდა ყოფილიყო თეთროსანის ირგვლივ და ამ სოფელს, როგორც აღვნიშნეთ, ნაცვლად ხუტუბნისა. ძველად როგორც თეთროსანის სატაძრო სამფლობელო თემს, თეთროსანი უნდა რქმეოდა; სოფელმა დროთა განმავლობაში თეთროსანის საყდრის მიდამოებიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით წამოიწია, ხოლო მოგვიანებით, ქრისტიანობის აღორძინების პერიოდში, სოფლის ცენტრმა გადმოინაცვლა გორაკზე, სადაც ამჟამად ბაჭელიძეების უბანია და იქ საყდარი იქნა აგებული. ეს ადგილი ხდება ქრისტიანული კულტმსახურების კერად, ხუტუბნის უბნად და სოფლის წარმართულ-რელიგიური სახელწოდებაც „თეთროსანი“, სავარაუდოა, „ხუტუბნით“ იცვლება.

ორივე შემთხვევაში დასტურდება, რომ სოფ. ხუტუბანი—თეთროსანი კოლხეთში მიჩნეული ყოფილა წმინდა ადგილად — საკულტო და სატაძრო დანიშნულების ერთ-ერთ თვალსაჩინო ცენტრად. ამდენად, სრულებით არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ძველი მესხეთის შემადგენელ ტაო-კლარჯეთთან ერთად აჭარა-ქობულეთი, კინტრიშის ხეობა და მისი მიდამო ადგილები — ციხისძირი-ხინო, საშუალო საუკუნეებში სამონასტრო მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო კერად ხდებიან საქართველოში. გაცხოველებულ სამონასტრო მშენებლობაში, ბუნებრივია, აჭარას, კინტრიშის ხეობას (და მის სახელმწიფოებრივ თეთროსანის საყდარს) აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო. ფაქტიურად იგი ამით ერთგვარად აგრძელებდა (თუმცა სუსტად) იმ დიდ ტრადიციებს, რომლებიც ამ მხარეს, როგორც ჩვენ ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, უხსოვარ. დროიდან (წარმართობის ხანიდანვე) ჰქონდა; ქრისტიანობის პერიოდშიც ყოველივე ეს თავისებურად გამოვლინდა, — თეთროსანის საყდარი კვლავაც დიდ საგანმანათლებლო კერად დარჩა.

სახელწოდება „თეთროსანი“ ძველი ქართული წარმართულ-რელიგიური ტოპონიმია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონისეულ „ლეგკოთას“ შესატყვისი და მისი ადგილსამყოფი უნდა იყოს: არსებითად კი იგი თეთრი გიორგის, ე. წ. წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელია და, რასაკვირველია, შემთხვევით არაა, რომ თეთროსანის საყდარიც წმინდა გიორგის სახელობა-საა.

თეთროსანი, ამრიგად, წმ. გიორგის მეორე ახალ ეპითეტად წარმოგვიდგება თეთრი გიორგის გვერდით.

ფშაურში დღესაც დაცულია თეთრონი ცხენის მნიშვნელობით და თეთროსანა ვისაც, ან რასაც თეთრი, ღია ფერის სხეული აქვს (იხ. განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 367).

თეთროსანი თეთრის მატარებელს ნიშნავს, აქ თეთრ — ძირი და -ოსან — სუფიქსი ქართულია ძირითაც (თეთრ-) და სუფიქსითაც (-ოსან). ქართულში დაცულია ამ სუფიქსით დაბოლოებული არაერთი ტოპონიმი: მაგ., ბროლოსანი — (სოფ. ზემო და ქვემო ბროლოსანი, ხაშურის რაიონში, წაღლის სას. საბჭოში), ასევე სოფ. ორქოსანი (ლენინგორას რაიონში, წინაგარის სას. საბჭოში) და სხვ. (იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1961. გვ. 218, 279, და 453).

ჩვეულებრივ მეტყველებაში „ოსან“-ზე დაბოლოებული სიტყვები ქართულში ხომ დიდი რაოდენობით გვხვდება, ასეთებია: თაოსანი (თავოსანი), ნაოსანი, ტყაოსანი, შუბოსანი, ნიღბოსანი, ნიჩბოსანი. ჰარმაგოსანი, დაზგოსანი, კარგოსანი, ბარგოსანი, ფრიადოსანი, ნაბღოსანი, მშვილდოსანი, ქედოსანი, მძღვოსანი, ჩანთოსანი, ფრთოსანი, ხელოსანი, წითლოსანი, შაოსანი, კალმოსანი, ცხენოსანი, გვირგვინოსანი, ჯვაროსანი, კალაროსანი, იბჯროსანი, ბროლბადახშოსანი, კაპარქოსანი, ხალხოსანი და სხვა (იხ. ინვერსიული ლექსიკონი, თბ., 1967, ბ. ფოჩხუასა და მ. ჰაბაშვილის რედ.).

ტოპონიმი თეთროსანი დაცულია ისტორიულ ქვემო გურიაში, ქობულეთის ქვეყანაში (ახლანდელი აქარის ასსრ), სადაც ქართულთან ერთად ადრე მეგრულ-ქანურიც იყო გაბატონებული. მეგრულ-ქანურში თეთროსანი, თეთრ- — ძირი და -ოსან — სუფიქსი არ დასტურდება საერთოდ (ასევე არც ნაწარმოები ფუძის შემადგებლობაში, იხ. არნოლდ ჩიქობავა, ქანურ მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 235. ასევე ნ. მარის, ი. ყიფშიძის ს. ელენტის და სხვ. ნაშრომები). რაც შეეხება სევანურს, აქ ჩვენ გარდა ამისა, რომ ასევე ვხვდებით (ქვემო სევანეთში: დაცულ) თეთროსანის ნასაყდრალს, ტოპონიმი თეთროსანი სევანურ ენაშიაც პოულობს ასახვას. აქ თეთრის აღმნიშვნელია სევანური „თუეთნე“, „თეთნე“ თეთრი, „ნათუეთნე“ „სითეთრე“ (იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 245). ყოველივე ეს კი, უდავოა, გარკვეულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს თეთრულთან.—მარადიული თოვლით დაფარულ თეთრ მთასთან — თეთროსანის მნიშვნელობით და სხვა.

ამრიგად, თეთროსანი ქართული ტოპონიმი ძირითაც (თეთრ-) და სუფიქსითაც (-ოსან). რომელიც თავის პარალელს რამდენადმე სევანურში პოულობს. (აქაზე ჩვენ საუბარი გვაქვს ქვემოთ—სოფ. ჯახუნდარში დაცულ ნასაყდრალ თეთროსანთან დაკავშირებით, იხ. გვ. 169—170).

როცა ვუკვირდებით ხუცუბნის და საერთოდ ამ მხარის მდიდარ

ტოპონიმიკას, ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება, სახელდობრ ის, რომ არა მარტო სოფ. ხუცუბანსა და მის მეზობელ მთელ რიგ სოფლებს, არამედ ცალკეულ სოფლის ბევრ ტოპონიმს წარმართული და ქრისტიანულ-რელიგიური სახელები ეწოდება. ესენია, გარდა ხუცუბან-თეთროსანისა, ორი სოფლის სახელი; მაგ., სამება (ქვედა და ზედა); აღსანიშნავია ისიც, რომ ზედა სამებაში დაცულია ტოპონიმი „თეთრაულა“ (ბუჩქნარი) და „თეთრობი“. კინტრიშის სათავეებთან „თეთრობის მთა“ (სამოკაოი ადგილები), რომელაც გარკვეულ კავშირში უნდა იყოს ხუცუბან-თეთროსანთან.

ჩვენი აზრით, ასევე წარმართულ-რელიგიური სახელებია მიკრო-ტოპონიმები — ელიასგორა (დღესასწაული ელიობა), მწიური, სოფ. კვირაკე და სხვ. ხის კულტის გადმონაშთებზე მეტყველებს ქვედა საცებაში დაცული ტოპონიმი კონდილი, გვარაში — დიდმუსა. ასევე განსაკუთრებით სოფ. მუსხა-ესტატე და ახვ.

დაზუსტებას მოითხოვს თეთროსანის ადგილმდებარეობა, მისი საზღვრები. იმის გამო, რომ იგი ისტორიულად ორი სოფლის, ხუცუბანისა და გვარას, საზღვარზე მდებარეობს და ოდითგანვე გაურკვეველობა იქმნებოდა, ზოგი გვარაში ათავსებდა თეთროსანს და ზოგიც ხუცუბანში. მაგ., ზ. კიკინაძე თეთროსანს გვარასა და ხუცუბანს შორის ათავსებს „სოფ. გვარას ხუცუბანს ზევით.“⁸⁰ თ. სახოკია თავის მოგზაურობაში არ აზუსტებს თეთროსანის ადგილმდებარეობას და ზოგადად აღნიშნავს, რომ „ჩურუქსუშია ცნობილი თეთროსანის ეკლესიაო.“⁸¹ დ. ბაქრაძე თეთროსანს სოფ. გვარას ცნობილ ეკლესიად მიიჩნევს.⁸²

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეზობელი სოფლების საზღვრები უამთა ვითარებაში, გარკვეული პირობების გამო, ხშირად იცვლებოდა, მაშინ არაა გასაკვირი, რომ თეთროსანი ხან გვარაში და ხან კიდევ ხუცუბანში შემავალ საყდრად იხსენიება. მაგ.,

⁸⁰ ზ. კიკინაძე, თავდგირიძეთა გვარის ღალატი და ალი-ფაშა თავდგირიძე, ახალსენაკი, 1896, გვ. 29.

⁸¹ თ. სახოკია, გურია-აქარა, შგზავრის წერ-ლები, 1892, „მოამბე“, წერილი X, გვ. 35.

⁸² Д. Бакрадзе, Археологич. путешествие, გვ. 16 და 215.

ი. სიხარულიძეს თეთროსანი ზოგჯერ სოფ. გვარაში, ვა. ზოგჯერ კი ხუცუბანში შეაქვს და არა ერთგზის მიუთითებს სოფ. „გვარისთავის წმინდა გიორგის ეკლესიას“. ი. სიხარულიძეს 1959 წელს გამოცემულ თავის „ტოპონიმიკაში“ თეთროსანი წასაყდრალი სოფ. ხუცუბანში აქვს შეტანილი (იხ. გვ. 55) და ასახელებს მას „ხუცუბანის ეკლესიად“ (გვ. 108). თუ რა საფუძველზე მოახდინა ავტორმა ასეთი ვადაადგილება თეთროსანისა სოფ. ხუცუბანიდან გვარაში (და არა გვარისთავში), ამის განმარტება მას არა აქვს მოცემული.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი „სამკურნალო წიგნად“ მოღებული, თეთროსანა ხუცუბანში ათავსებს.⁸³

ჩვენ ისეთ შემთხვევებთანაც გვაქვს ხოლმე საქმე ამ მხარეში, როცა სოფელი შუაზე იყოფოდა ისტორიული პირობების გამო. მაგ., სოფ. ქაქუთი, აკი და სხვ., ხოლო სოფ. სარფი ხომ დღესაც ორადღა გაყოფილი? მსგავსა მაგალითები უპარავია.

XVI—XVII საუკ. თეთროსანში კურთხევანის გადაშწერი ლაზარე სავთასის მანაწერი იხსენიებს ხუცუბნის წმინდა გიორგის საყდარს. ბუნებრივია, ყოველივე ეს საქართველოს სხვა ძლიერ საყდრებთან ერთად ხუცუბნის თეთროსანში გაჩაღებულ დიდ სამწერლო მოღვაწეობაზეც მეტყველებს.⁸⁴ აქ თეთროსანშია გადაწერილი და უბადლო მინიატურებითაა შემკული დავითნი XIII—XIV სს., რომელიც თეთროსანის წინამძღვარს გერმანოზს XVI საუკუნეში გადაუწერია გურიელის ხელშეწყობით.⁸⁵

თეთროსანი ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით სოფ. ხუცუბნის ტერიტორიაზეა. თეთროსანში გადაწერილი წიგნები, თეთროსანის მრავალი ხატი ამ საყდრის მიტაცება-დაქცევის შემდეგ გურიაში გადაუტანიათ. მაგ., აქეთში დაცული მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატები თეთროსანიდან იყო წამოღებული.

XIX ს. მეორე ნახევარშიაც კი. დ. ბაქრაძის ცნობით, მრავალი მაკმაღიანი ნასაყდრალ თეთროსანზე სალოცავად მოდიოდა.⁸⁶

ხუცუბნის ტოპონიმიდან ი. სიხარულიძის მიერ მოტანილია „ურბის სასაფლაო“ (მინდორია) (იხ. გვ. 56). ხუცუბნელები ამ ადგილზე ორ ტოპონიმურ პუნქტს განასხვავებენ, „ნაურვალს“ (მინდორია) და „ურჭლელს“ (პატარა ღელე). ჩვენ გათხრები სწორედ ამ უკანასკნელი პუნქტის მიდამოებში ჩავატარეთ და. ბუნებრივია, რომ ამ ადგილთა ტოპონიმიკურმა მონაცემებმა, სხვა მასალებთან ერთად, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჭერ კიდეც 1944 წელს.

(იხ. მისივე აქარის მატერიალურ-ეკლტურის ძეგლები, ბათუმი, 1962 გვ. 57). დ. ხახუტაიშვილი თავის რეცენზიებში უსაყვედურებს ი. სიხარულიძეს და აღნიშნავს, რომ „ტოპონიმი თეთროსანა“ (წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები) ეკუთვნის არა სოფ. ხუცუბანს, როგორც ეს წიგნშია აღნიშნული, არამედ სოფ. გვარას (იხ. დასახ. რეცენზია, გვ. 229).

⁸³ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი მ, ხელნაწერი № 819.

⁸⁴ ი. ხ. ფონდი №202! (ახალი აღწერით H 75).

⁸⁵ А. П. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре, Тб., 1964.

⁸⁶ Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, გვ. 90.

სახელწოდება ამასთანავე სახელწოდება „მაჭახლები“. აქარაში ცნობილია მაჭახლის ხეობა, რომელიც განთქმული იყო თოფ-იარაღის წარმოება-თ. წინათ, შესაძლებელია, იგი საერთოდ იარაღის წარმოებით იყო სახელმძღვანელო. შესაძლებელია ადგილობრივ მკვიდრთა ანალოგიური საქმიანობით დამკვიდრდა ხუცუბნის მიდამოებში ეს სახელი. მაგ., თოფის კუსტარულად მკეთებლები ხუცუბანში უკანასკნელ 1940-იან წლებამდე იყვნენ. საყურადღებოა აგრეთვე სახელი „ნამკედლო“, რომელსაც ხუცუბანში დიდი ტერიტორია უჭირავს. მკვიდრთა გადმოცემით. „ნამკედლოს“ 30 ჰექტარი სივრცე უჭირავს და იტყვიან: „აქ მკედლების ქალაქი ყოფილა სულ ძველად და მერე ომს გაუნადგურებიაო“ (რამაზ ბერიძე და სხვ.). სახელწოდება „მაჭახლები“ და „ნამკედლო“ ამდენად ერთმანეთს უკავშირდებიან. ამას მხარს უჭერს გათხრების შედეგად ნაპოვნი მკედლოური ხელოსნობის დამადასტურებელი ნივთებიც და იარაღებთან ერთად აღმოჩენილი რკინის ზოდები. ეს გარემოებანი კი გვაფიქრებინებს, რომ სოფ. ხუცუბნის ერთი მთავარი უბნის უძველესი სახელი შესაძლებელია იყო „მკედლების უბანი“ (აქედან „ნამკედლო“ და „ნამკედლები“) „მკედლები—მემკედლები“ (ამირანი).

რაც შეეხება საკითხს თეთროსანი ხუცუბანში მდებარეობს თუ გვარაში, ჩვენ ვფიქრობთ, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ისტორიულად, კერძოდ, იმ პერიოდისათვის, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ასეთი ტერიტორიული დაყოფა, რა თქმა უნდა, არ არსებობდა და ყოველივე ამას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

ტოპონიმი „მუჭიბის ბოლი“ ანუ ის ადგილი, რომელიც მუჭიბის სეული, მისი ნამემკვიდრევი იყო. სოფლის საყანე ადგილია, იგი მდინარე კინტრიშის ნაპირს გასდევს, იმ ადგილებში, სადაც გათხრები ჩატარდა. აქ დაცულია უძველესი ნაგებობის ნაშთები, რომელსაც „მუჭიბის ციხეს“ უწოდებენ. მის შესახებ თქმულებაცაა დაცული, რომლის მიხედვითაც ეს მუჭიბი თითქო საქვეყნო გამრიგე ან ერისთავი — ფეოდალი უნდა ყოფილიყო. იგი ფეოდალური ეპოქის გმირადაა წარმოდგენილი, ზოგჯერ კი როგორც თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი. შემდეგში ამ კუთხეს თურქმა დამპყრობლებმა „როდოლოების უბანი“ უწოდეს, რადგანაც ეს გვარი მოშენდა და დასახლდა აქ. რაც შეეხება სახელწოდება „ბოხვაურს“, იგი ასევე თურქულია და წარმოდგენს ყოველად უცენზურო გამოთქმას. აი ნიმუში თურქული ტოპონიმიკის შემრყენელი ბუნების გავლენისა საქართველოსგან მიტაცებულ იმ ადგილებში, თუმცა ეს ტოპონიმი გვარ ბოხვაძისგან შეიძლება იყოს წარმოებული.

ხუცუბნის გვიანი ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა

აქვს ტოპონიმს — „გენერლის საფლავი“, რომელიც სოფლის ბოლოს ამღლებულ ბორცვზე იმყოფება. ფაქტიურად ეს არის 1877—1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომში, ციხისძირის ბრძოლებში გმირულად დაღუპულ რუს-ქართველ მეთაართა ძმათა სასაფლაო, რომელზედაც 1898 წელს მშენებელი ძეგლი აღმართავთ. ძმათა სასაფლაოს მოეპოვება ორი წარწერა. რომლებიც 1944 წელს ჩვენ ასე ამოვიკითხეთ: «Дорогим товарищам, павшим в бою 18 января 1878 г. при Сихисдзири. Сооружен в 1902 г. обществом офицеров 164-го пехотного Закавказского полка в командование подполковника барона Ребиндера. «Мир праху Вашему! Положившие душу свою за друга своего», ხოლო მეორე წარწერაზე ვკითხულობთ:

«Братская могила 76-ти нижних чинов 2-го Кавказского стрелкового батальона убитых 18-го января 1878 г. от родного батальона дорогим товарищам. 18 января 1898 г. в командовании батальоном полковником Линдау».

როგორც ირკვევა, ძმათა საფლავში ორი პოლკის დაღუპული მეზობლებია დაკრძალული, ამიტომ 1898 წ. აგებულ ძეგლს მოგვიანებით 1902 წ. მემორიალური დაფა გაუკეთა ზაქათალის 164 ქვეითა პოლკის ოფიცერთა საზოგადოებამ.²⁷

რას უნდა ადასტურებდეს ყოველივე აქ აღნიშნული გეოგრაფიული და ტოპონიმური ზოგიერთი მონაცემი? მოტანილი ფაქტები თითქო იმაზე უნდა მეტყველებდნენ, რომ ეს ადგილები უძველესი დროიდან მკვიდროდ დასახლებულ და ეკონომიურად დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობის დარგებთან — მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად ამ მხარის მკვიდრნი ფართოდ მისდევდნენ ლითონის დამუშავებას, ხოლო მელითონეობისა და მკვდლობის მძლავრად განვითარება დიდი პირობა უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მკვიდრო დასახლებისათვის. ასევე ძველთაგანვე მისდევდნენ კანტრიშის ხეობაში მევენახეობას; ამას ადასტურებს სოფ.

²⁷ 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში მდ. კანტრიში წარმოადგენდა ფრონტის ხაზს, ხოლო სოფ. ხუტუბანი—რუსი და ქართველი მეთაურების ერთ-ერთ პლაცდარმს. სოფ. ხუტუბანში აღმართული ძეგლი რუსი და ქართველი მეთაურების ძმათა სასაფლაოა, რომლებიც ციხისძირთან ცხარე ბრძოლებში დაეცნენ. ამ ძეგლის კეთილმოწყობას, მის გაწმენდას ეკალბარდისაგან მიეცა ხუტუბნელ მკვიდრთა ყურადღება ჩემი იქ მუშაობის პერიოდში (იხ. ძეგლის ფოტოსურათი). ხუტუბანში 1944 წელს 90—100 წლის მოხუცებს შეხვდებოდა კაცი. მათ ახსოვდათ რუსეთ-თურქეთის ომი, მომწერენი აუგნენ მუჰაჯირობისა, ხოლო ზოგი იმათგანი მუჰაჯირობიდან დაბრუნებული (მაგ. ნემსაძე, ღუმბაძე და სხვ.) და კარგად ახსოვდათ ძველი, იმდროინდელი ამბები, აგრეთვე მამა-პაპათაგან გადმოცემულიც. ეს გადმოცემები გულისხმობს ჩვეუწერეთ და ამ ჩანაწერთა ცალკეული ადგილები გამოვიყენეთ კიდევ ამ ნაშრომში.

ზენითის მონოლითური საწნახელი ერთიან ქვისაგან გამოკვეთილი სოფ. სუცუბნის მიდამოებშივე, როგორც ჩვენ ამაში ქვენოდ დაგრწმუნდებით. არსებობდა წარმართული ტაძარი თეთროსანი (სტრაბონისეული ლეუკოთეა), რომელსაც, სავარაუდოა, თავის ქურუშთა კასტისათვის მძღაფრო სატაძრო მეურნეობა უნდა ჰქონოდა, დაჰყარებულ თეთროსანის



3. ძეგლი წარწერით რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომში ცისისძირისა და კინტრიშის ხეობისათვის ბრძოლებში დღესულ რუს და ქართველ მეომართა შმათა სასაფლაოზე.

ტაძრის მსახურ-მონების შრომასე, ამ მოსაზრების დასაბუთების ცდა
ჩვენ ამ ნაშრომის სათანადო ცალკე თავში გვაქვს მოცემული.

აქარა-ქობულეთი თურქეთს ერთდროულად არ დაუპყრო; ქობულეთი მან მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევარში იგდო ხელთ.

ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის ხანაში ქობულეთი გურიის სამთავროში შედიოდა. ქობულეთის მხარე გვიანდროდულურ ხანაშიაც ქვემო გურიად იწოდებოდა, რომელშიაც ერთიანდებოდა ქობულეთის, ჩაქვის, ხინოს, ასევე კახეთის სხვა სხვა მიწათმფლობელები. მათი საეკლესიო ცენტრი კვლავ ხინოში რჩებოდა, სადაც ხინოწმინდელი იჯდა.

ისტორიულად მხარის ადმინისტრაციული ცენტრი ქობულეთი იყო, ამიტომ გეოგრაფიული ტერმინი ქობულეთი ფართოდება და თითქმის მთელ ქვემო გურიას ფარავს. ასე რომ თანდათანობით ჩოლოქისა და ჩაქვის წყლის ხეობებში მოქცეული მიწა-წყალი ქობულეთის მხარის შემადგენლად, ხოლო მისი მკვიდრი მოსახლეობა ქობულეთელებად იწოდება. ამ მხარის გურიიდან ჩამოცილებისათვის ბრძოლები XVII საუკუნიდან იწყება და XVIII საუკუნემდე გრძელდება; სოფ. ვანისქედის საყდრის ეამგულანას კვიცილოსზე დაყრდნობით, თურქების მიერ ბათუმის მიტაცებას და ბაქრადე 1726 წლით ათარილებს.⁸⁸ მტერი წინ მოიწვედა და XVIII საუკუნის 60-იან წლებში იგი ხელთ იგდებს ქობულეთისა და კინტრიშის ხეობის ზღვისპირა სანახებს. 1769 წ. 12 ოქტომბერს მურავიოვის მიერ გრაფ. ნ. ი. პანინისადმიგაგზავნილ მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ამ მხარის ზღვისპირულ სიმაგრეებში, ციხისძირსა და ქობულეთში, უკვე თურქული გარნიზონები დგანან.⁸⁹ მაგრამ ამ პერიოდში ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ კინტრიშის მთელ ხეობაში გაბატონებას და ხინოს საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებას. ამ მიზნის მიღწევისათვის მტერს დაახლოებით ერთი ათეული წელი დასჭირდა. ამის შესახებ მამია გურიელი 1804 წელს ასეთ ცნობას გვაწვდის: „ციხის ძირს აქეთი სოფელი ქობულეთი (და) ხინო ოცი წელია რომ მამაჩვენს დააკლდა“.⁹¹

⁸⁸ იმერეთის სამეფოს ცნობილი მოღვაწე ზურაბ წერეთელი პ. პოტიომკინისადმი 1784 წელს წარდგენილ მოხსენებაში მდ. კინტრიშის მაგიერ, (ალბათ შეცდომით) ასახელებს „კინტრიშს“. Бутков, Материалы, т. II, გვ. 139.

⁸⁹ Д. Б а к р а д з е, Археологическое путешествие, л. 209.

⁹⁰ Ал. Ц а г а р е л и, Грамоты, т. I, СПб, 1891, გვ. 73.

საბა თავის მოგზაურობაში წერს: რომ კონსტანტინეპოლიდან „...მაისის ცამეტს წამოვედით... ერთი ქანეთის ათინელი რეიზი იშოვეს, ოღბასი მარჩილი მისცეს: ესენი ქობულეთის გურიას გაიყვანეთ, და გურიელს მამაბარეთ. და ამათი წიგნი წოგვიტანეთ, შვიდობით მოსვლისა“. ამრიგად საბას მოგზაურობის დროს გურიელია ამ მხარის მფლობელი (იხ. ს. ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, 1940, ს. იორდანიშვილის რედ. გვ. 148).

⁹¹ А х т ы, т. II, გვ. 539.

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მამია გურიელის ცნობა იმის შესახებ, რომ თურქებმა დაიპყრეს ციხისძირის აქეთი სოფელი ქობულეთი და ხინო. ე. ი. 1780-იან წლებამდე თურქები კინტრიშის ხეობაში ციხისძირის აქეთ ვერ წამოსულან. 1780-იან წლებში კი მათ სოფ. ქობულეთიდან მოკიდებული ხინოს ჩათვლით მთელი ხეობა მოუტაცნიათ და გაუქმებიათ ხინოს საეპისკოპოსო კათედრაც.⁹² მტერი ამის შემდეგ გურიისაკენ მოიწევდა⁹³.

სამწუხაროდ, ხინოს საეპისკოპოსო საყდრის როგორც დაარსებისა და გაუქმების პირობების, ასევე ამ საყდრის მოძღვართა ვინაობისა და მათი მოღვაწეობის შესახებ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება.

მას შემდეგ, რაც ამ მხარეში ნოგახაურობისას დ. ბაქრაძემ ხინო აღწერა და მასზე მასალები შეაგროვა, თითქმის ერთი საუკუნე გავიდა და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ კვლევა-ძიება თითქმის ოდნავადაც კი არ წასულა წინ.⁹⁴ მრავალი საუკუნის მანძილზე მოქმედ ხინოს კათედრიდან მხოლოდ ოთხ ეპისკოპოსს ვიცნობთ. დ. ბაქრაძის ცნობათ, ხინოწმინდელები იყვნენ:

1. მაქსიმე, გიორგი III გურიელის დროს (1684),⁹⁵
2. ეფრემი ართუმელაძე, მამია III გურიელის და გიორგი IV დროს (1727),⁹⁶
3. იოანე, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის დროს⁹⁷.
4. დავით წერეთელი ასევე ატარებდა ხინოწმინდელის ტიტულს XIX ს.⁹⁸

⁹² ი. სიხარულიძის მოსაზრება, თითქოს XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან სოფ. ხინო და მისი საყდარი ციხისძირ-ქობულეთის სიმაგრეებთან ერთად უკვე დაპყრობილი პქონდათ თურქებს, ვფიქრობთ, არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს (იხ. მისი ტომონიკა, წ. II, გვ. 9). ხინომდე—კინტრიშის ხეობის სათავეებამდე, თურქებს ამ დროისათვის არ მიუღწევიათ. 1760-იან წლებში ისინი მხოლოდ კინტრიშის ხეობის ქვედა დინებას, ციხისძირ-ქობულეთისა და მის მიდგამ ადგილებს დაეპატრონენ. ეს ფაქტი სხვა მასალებთან ერთად კარგად ჩანს მურავიოვის წერილიდან გრაფ პანინისადმი, და მამია გურიელის აქ მოტანილი ცნობიდანაც. ამასთანავე არსებობს საბუთი, საიდანაც მტკიცდება, რომ ხინოს საყდარი მოქმედია და მას ხინოწმინდელი მართავს XV!II ს. 70-იან წლებში. ამას ადასტურებს 1771 წ. 7 აგვისტოს შედგენილი გიორგი გურიელის შეწირულების წიგნი უდაბნოს მონასტრისადმი, რომლის დამტკიცებას იოანე ხინოწმინდელი დასწრებია სხვა იმდროინდელ მოღვაწეებთან ერთად. (იხ. Д. Бақраძе, Археол. путешеств., გვ. 307).

⁹³ დ. ბ. ბ. ა. ძე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX ს. პირველ მესამედში (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 6).

⁹⁴ Д. Бақраძе, «Арх. путешеств.,» გვ 292, 393.

⁹⁵ იქვე, გვ. 295, 296, 336.

⁹⁶ იქვე, გვ. 92, 236—238, 300, 307, 309.

⁹⁷ იქვე, გვ. 92.

⁹⁸ იქვე, გვ. 307.

იოანე ხინოწმინდელად იწოდება ზემოდ დასახელებულ 1771 წ. 7 აგვისტოს უდაბნოს მონასტრისადმი გიორგი გურიელის შეწირულების წიგნის დამტკიცების მოწმეთა შორის.⁹⁹

მისი გვარი არაა ცნობილი. იოანე იყო ხინოს უკანასკნელი ეპისკოპოსი და მის დროსვე მოხდა ხინოს კათედრის გაუქმება. იოანეს შესახებ ე. თაყაიშვილს ცაგერის საყდრის ხელნაწერებშიც უნახავს ცნობა.¹⁰⁰

იოანე ხინოწმინდელად იწოდება ასევე XVIII საუკუნის 80-იანა წლების საბუთებში. მაგალითად, იოანე ხინოწმინდელის 1780 წლის შეწირულების წიგნში სხვათა შორის ჩვენ ვკითხულობთ: „როდესაც ჩვენ ხინოწმინდელად დავიდგინეთ, ის ხინო-წმინდა და მისი შემავალი ერი თათართ მიიმძღავრეს და... მის ძალით ჩვენს ეკლესიაზედ მისვლა ვეღარ უძლეთ და ბატონის მეფის სოლომონის წყალობით გამოჩინებულს ამ წმინდა ეკლესიაზედ დავიდგინეთ და ჩაოდენი შესაძლებელი იყო აქა ვსცხოვრობდით“.¹⁰¹

ჩვენის აზრით, 1780 წლის წინა ხანებში, მეფე სოლომონ I-ის ნითითებით, ხინოდან მისი წამოსვლის შემდეგ იოანეს ცოტა ხნით უმოღვაწეა გამოჩინებულში, ხოლო აქედან მაქსიმე კათალიკოსისა და გიორგი გურიელის შეთანხმების საფუძველზე იოანე ხინოწმინდელი ჭუმათის ეპისკოპოსად განუწესებიათ. ამის შესახებ გიორგი გურიელის 1780 წლის პირობის წიგნში აღნიშნულია: „...მრავალს უდროობისა და ქვეყნის აოხრებისაგან... ჭუმათის ეკლესია უეპისკოპოსოდ იყო

⁹⁷ Д. Б а к р а д з е, «Арх. путешеств.», гв. 307.

¹⁰⁰ იგი დაცული ყოფილა სულთა მატეანეში, სადაც მოხსენიებული იყვნენ მე-18 ს. დასასრულის და მე-19 ს. დასაწყისის გამოჩენილი საერო და სასულიერო მოღვაწენი. იგივე სია ცალკე ამოწერილი მწვანე ქაღალდზე საყდრის კედელზე ყოფილა მიკრული. ამ ისტორიული მნიშვნელობის პირთა სიაში დასახელებულია I ცოცხალნი და II მიკვალბულნი სამღვდელონი და III მიკვალბულნი საერონი. სამღვდელონთა შორის იხსენიება რიგით მე-10 ხინოწმინდელი იოანე. გარდაცვალებას თარიღი არა ჩანს, ოღონდ ე. თაყაიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ მე-10 სტრიქონში იხსენიება ხინოწმინდელი, ე. ი. ხინოწმინდის ეპისკოპოსი, და იქვე დასძენს: „ხინოწმინდა არის ქობულეთის მახლობლად, ბათუმის ოლქში“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ., პარიზი, 1937, გვ. 61 და 62). საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 1347 ხელნაწერი წიგნი მარბეანი 1791 წ. გადაუწერია „მწერალ კობახიძე გიორგის ძე მწერალი გიორგისათა“. იქვე მინაწერში აღნიშნულია, რომ „კობახიძე იყო ხინოს ხინოწმინდელთან“. ე. ი. ხინოში სამწერლობო სკოლა იყო. ამრიგად ირკვევა, რომ ხინოს საყდარში სათანადო სამწერლობო მოღვაწეობას ჰქონდა ადგილი. ჩვენ ვიცით ასევე, რომ XIII—XIV საუკუნეში თეთრისანში დავითნი მოხატეს.

¹⁰¹ სრული ტექსტი ამ შეწირულების წიგნისა იხ. დ. ბაკრაძის ზემოთ ღვასხ. ნაშრ., გვ. 237.

და ჩვენ გვეჭირა. მერამე ამ საქმისათვის მობრძანდა მათი უწმინდესობა აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე და გველაპარაკა, რომ ეკლესიაზედ მღვდელმთავარი დაგვედგინებია და რადგან ჯეროვანი და მართებული იყო, ჩვენც ფრიად ვცნეთ და ვეცადეთ და მათი უწმინდესობას მორჩილ-ვექმენით და დავადგინეთ მღვდელ-მთავრად... იოანე პირველ ხინოწიანდლათ იყო კურთხეული, მარა მისი ეკლესია და მამული ყველა თათარს ეპყრა და ეს უეკლესიოდ იმყოფებოდა. და აწ ამ ეკლესიაზედ დავადგინებია ბატონი კათალიკოზი მაქსიმეს ბრძანებით¹⁰².

ჩვენთვის ცნობილი არაა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ჭეშმათში იოანეს მოღვაწეობა, ისევე როგორც არაა ცნობილი მისი გარდაცვალების თარიღი.

გვიან ფეოდალურ საქართველოში, შინაგანი ბრძოლებას შედეგად, ქობულეთის მხარე მეტწილად გურიელს მორჩილებდა. ქაიხოსრო გურიელს, საბატონო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ, რკინის ზოდების ჩვენთვის უცნობი რაოდენობა ჰქონია, რომლიდანაც აჭვის წმ. გიორგის საყდრისათვის შეუწირავს, XVIII ს. 60-იან წლებში 3 კომლი კაცი და ასევე — „გაუჩენია (იგულისხმება ყოველწლიურად) სხუა ჩვენის ბაჟისაგან ხუთი ოყა რკინა“. აჭვის წმინდა გიორგის საყდარი მდებარე მდ. აჭის წყლის მიდამოებში, ეს ხომ თეთროსნის საყდარია.¹⁰³ აჭვის საყდარს იხსენიებს ივ. ჯავახიშვილი, როგორც ამ მხარის უმნიშვნელოვანეს საყდარს.¹⁰⁴ თეთროსანს კი არც ივ. ჯავახიშვილი იცნობდა.

ვახუტში ბატონიშვილი თეთროსანს ვერ იცნობს და არც ასახელებს, ისევე, როგორც უცნობია მისთვის მდ. კინტრიში და ყოველთვის ხინოს წყალს უწოდებს.

თეთროსანი მდინარე აჭის მარცხენა ნაპირის ამალღებულ ბორცვზე მდებარეობს. ისტორიული მნიშვნელობის სახელგანთქმული საყდარი აჭის მიდამოებში სხვა არ არსებობს, მაშასადამე, დასტურდება, რომ გურიელს თეთროსანისათვის შეუწირავს და „გაუჩენია“ ხუთი ოყა რკინა და სხვა შეწირულებანი.¹⁰⁵

¹⁰² საქართველოს ცენტრ. სახ. ისტორ. არქივი, ფ. 1448, საქ. № 615.

¹⁰³ Д. Б а к р а д з е. «Арх. путешеств.» გვ. 192.

¹⁰⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 44.

¹⁰⁵ კუთხისის მუზეუმში დაცულ მე-15—16 საუკ. ერთ საბუთში სხვათაშორის ჩვენ ვკითხულობთ: „იყიდე თორმეტისა რკინისა პური ასრე, რომელ ლიტრა პური ერთისა რკინისა იყო და ჩვენა ოროლი მოგეცით, ერთი თოფი მოგეცით და

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქობულეთ-ბათუმის შემოერთებისა და აქედან ოსმალ დამპყრობთა განდევნისათვის ფართო გეგმებს ისახავს და ენერგიულადაც იბრძვის იმერეთის სამეფო ხელისუფლება მეფე სოლომონ I-ის, დიდად წოდებულის, მეთაურობით. სწორედ ამ დროს სოლომონ I იმერეთის რჩეული ლაშქრით ქობულეთ-ჩაქვის მხარეში შეიჭრა, დაამარცხა მტერი ჩაქვის ბრძოლაში, მაგრამ ზურგიდან ფოთის ფაშას და მოლაღატე თავადთა ერთობლივი ძალებით თავდასხმამ ჩაშალა სოლომონის გეგმები. მისი ეს გამარჯვებაც უშედეგო აღმოჩნდა, სოლომონი სასტიკად დამარცხდა; იგი სულ მალე გარდაიცვალა.

ქობულეთის ქვეყანა თურქთაგან ტყვეთა გატაცების სფეროს რომ ადრეც წარმოადგენდა, ამას ადასტურებს არქანჯელო ლამბერტი, რომელიც აღნიშნავს ქვემო გურიაში ოსმალთა მძლავრობის შედეგად ტყვეთა გაცხოველებულ ვაჭრობას და დასძენს: „გურიელის სამთავროში, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ახლო ქალაქებიდან — რიგზე, გონიო და ტრაპიზონიდან, მოდის მრავალი თურქი ვაჭარი“.¹⁰⁶

ქობულეთის სახელწოდებით კინტრიშის ხეობაში ორი პუნქტია ცნობილი: ერთი ქვემო ქობულეთად იწოდება, ხოლო მეორე—ზემო ქობულეთად. ქვემო ქობულეთს უწოდებდნენ ახლანდელ ქ. ქობულეთს, რომელიც მე-18 ს-ში ყოფილა „მცირე ქალაქსავეით“ და ჰქონია ნავთსადგური,¹⁰⁷ ხოლო ზემო ქობულეთი ხუტუბნის მეზობელი სოფელია.

ქვემო ქობულეთი არა მარტო ოსმალთა ბატონობის პერიოდში, არამედ ბევრად უფრო ადრეც კინტრიშის ხეობის ადმინისტრაციული ცენტრი ხდებოდა. ოსმალთა თურქთა ბატონობის დროს იგი კაზის ცენტრია და დამპყრობელი მას ჩურუქ-სუს ეძახდა.

მოკლე ხანში დამპყრობთა ძალმომრეობით მოხდა ქობულეთის გამაჰმადიანება. ამ მხარის დაპყრობიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ (1873 წ) დ. ბაქრაძე თავის მოგზაურობაში წერდა: «Чуруксу или Кобулету в прошлые времена входил в состав Гурин и население его... не так давно обращено в мусульманство»¹⁰⁸.

ორი წყვილი ფაფური და სამისა რკინისა მარილი“ (იხ. „საისტ. მოამბე“, წ. II, გვ. 257). აქვის, იგივე თეთროსანის საყდრისადმი გურიელის მიერ ყოველწლიურად გაჩენილი 5 ოყა რკინა, უდავოა, ასევე დიდი ღირებულების საქონლის გამოშვებები უნდა ყოფილიყო.

¹⁰⁶ ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 71.

¹⁰⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 275.

¹⁰⁸ Д. Бахрадзе, Археологическое путешествие по Гурин и Ачаре,

თურქეთში რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას, სამხედრო ლენების გაუქმებაც მოყვა და გლახობამ ამიერიდან მიწების იჯარით აღება იწყო. მაგრამ გლახობის მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესებულა. გაძლიერებული ხარკი, გადასახადებს გლახობა უხდოდა არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ალა-ბეგებს, ფაშებსა და კულტის მსახურთ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხარკი მაქსიმალურად გაიზარდა. მაგ., 1877—1878 წწ. ქობულეთის მოსახლეობა ოსმალეთის მთავრობას უხდოდა მიწის შემოსავლიდან 71.106 ყურუშს, საერთო გადასახადს 11.659 ყურუშს და მთელ რიგ სხვა სახის გადასახადს. მხოლოდ სოფ. ხუცუბნის მოსახლეობა ამავე წლებში თურქეთის მთავრობის ჯარის შესანახად 416 ყურუშს იხდიდა, ხოლო სხვა სახის გადასახადებში — 995 ყურუშს.¹⁰⁰

თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ არა ერთხელ აძხედრებულან აჭარა-ქობულეთის მკვიდრნი, მაგრამ მათი გამოხსნა მხოლოდ რუსეთის დახმარებით მოხერხდა.

1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის გადამწყვეტ ღლებში და ომის დამთავრების შემდეგაც რუსეთის სარდლობამ მუჰაჯირობაზე დამდგარ ქობულეთისა და აჭარის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით, სადაც ნათქვამია: „...რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა მოსპოს ერთმანეთს შორის არსებული მტრობა, სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან, ჰოი, ძენო კეთილშობილი ქართველის ტომისანო“¹⁰¹.

ონი 1877 წლის 12 აპრილს დაიწყო. ბალკანეთში, მდ. დუნაიზე პირველად რუმინეთის საზღვრები გადალახა რუსეთის ჯარმა, ამავე დღიდან ამოქმედდა კავკასიის ფრონტი. ქობულეთის რაზმმა 12 აპრილსვე გადალახა საზღვარი მდ. ჩოლოქზე. ზღვის სანაპირო ზოლს გენ. შერემეტიევი, ხოლო მთიან ადგილებში ბრძოლებს გენ. დანიბეკოვი წარმართავდა, რომლებიც ციხისძირთან უნდა შეერთებულიყვნენ. 15 აპრილს სოფ. მუხაესტატე, ხოლო 20 აპრილს სოფ. ხუცუბანა დაიკავა რუსეთის მხედრობამ. 2 თვემდე მოუნდა ლაშქარი ციხისძირის მისადგომამდე მიღწევას. ხუცუბანი ერთ-ერთ დასაყრდენ კერად იქცა. 11 ივნისს დაიწყო იერიშები ციხისძირისათვის. აქ რუსებმა 1000-ზე მეტი კაცი დაკარგეს, წარმატებას კი ვერ მიაღწიეს. ასევე 2 მაისს აფხაზეთში გადასხმულმა თურქეთის დესანტმა დიდ წარმატებებს მიაღწია, დაიპყრო ტერიტორიის 1/3 და ქობულეთის რაზმს ზურგიდან დაემუქრა, რიონის მხარის გამაგრება აუცალვებელი გახდა.

12 ივნისს დაიწყო ქობულეთის რაზმის უკან დახევა, იგი გამაგრდა

¹⁰⁰ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგ. II, ს. ჯიქიას რედ., 1941, გვ. 3—4.

¹⁰¹ საქართველოს ცენტრ. ისტორიული სახ. არქივი, ფ. 485, საქ. 465, ფურ. 77.

მუქაესტატეს მალღობებზე. რაზმის მოქმედება 1877 წ. უშედეგოდ დამთავრდა. სიმაგრე ციხისძირი 1878 წ. 18 იანვარს სასტიკი ბრძოლით ექნა გამოხსნილი.

გ. წერეთელი წერს: „წითლად შეიღება კინტრიშის მდინარე, ადამიანთა გვამები უწყვეტლევ მოტივტივებდნენ აღიდებულ მდინარეზე; კინტრიშის გამოღმა მხარე 28 ვერსი სიგანე და 30 საგრძე ქობულეთი სულ გატიალებული იყო, ხელისგულივით მოწმენდილი, მდიდარი სოფლების მაგიერ აქა-იქ ტიტველა ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი, ხალხი სადღაც გადახვეწილიყო, მხოლოდ აქა-იქ შიმშილით მოწაწკანე ძაღლები ნაოხარ სოფლებში დაძრწოდნენ... მიწა კაცის სისხლით იყო შეღებილი და ორღობეები კაცის ლეშით საესე. ტყე მოჭრილი, სოფლები გადამწვარი, სულ ერთიანად დანგრეული, მოსახლეობა კი ხუთიათას სულამდის კლდე-ღრეში და უცხო ქვეყნებში გადახიზნული. ამგვარ მდგომარეობაში ჩაბარდა ჩვენს ქვეყანას მთელი ქობულეთის მაზრა“.

აქარა—ქობულეთში 1881 წლიდან მეფის რუსეთმა გააუქმა წინათ არსებული საგადასახადო სისტემა, შემოიღეს საკომლო 2 მანეთიდან — 10 მანეთამდე.¹¹¹ 1883 წლიდან მიწები სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის, ცარიზმი არ ზრუნავდა ხალხის ინტერესებისა და მხარის კეთილდღეობისათვის. კოლონიურ ჩაგვრას თან ახლდა ადგილობრივი ბეგებისა და აღების მიერ გლეხობის ზღვარდაუდებელი ექსპლოატაცია.

მეფის რუსეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ყოფილი ქვემო გურია ორ უბნად ნაწილდება. იქმნება გონიოსა და კინტრიშის უბანი, უკანასკნელი აერთიანებდა ვრცელ ტერიტორიას მდინარე ჩოლოქიდან ბათუმ სოუქსუს ახალშენამდე, ხოლო გონიოს უბანი ამ ადგილებიდან მოკიდებული მდ. ჭოროხამდე ვრცელდებოდა. 1917 წლიდან ყალიბდება მაზრები. კინტრიშის უბანი ქობულეთის მაზრად გარდაიქმნა, ხოლო გონიოს უბანი გონიოს მაზრად რჩებოდა; საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, ვიდრე ისინი მოგვიანებით რაიონებად არ გაერდაიქმნა, ძველი ადმინისტრაციული დაყოფა უცვლელი რჩებოდა.

¹¹¹ აბ. წ უ ლ ა ძ ე, ძმური სიტყვა ქართველ მაჰმადიანებს 1915, გვ. 145—147.

ვიდრე კინტრიშის ხეობის ძეგლების და კერძოდ სოფ. ხუცუბნის 1944 წ. არქეოლოგიური აღმოჩენების განხილვაზე გადავიდოდეთ. საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ ძველი კოლხეთის ისტორიული განვითარების ძირითად მოვლენებზე. რომელთა გარეშე ალბათ გაძნელებოდა თვით ამ ძეგლთა ისტორიული მნაშენელობის მეცნიერულად გააზრება.

კინტრიშის ხეობა, მისი შემადგენელი სოფ. ხუცუბანი უძველეს დროიდან ყოფილა დასახლებული; განსაკუთრებით საყურადღებოა ფაქტი, რომ საქართველოს ნეოლითურ ძეგლთაგან ხნოვანების მიხედვით (აღწერილი ნეოლითის სახით) პირველი ადგილი ანასეულთან ერთად განეკუთვნება ხუცუბნისა და ქობულეთის ნეოლითურ ძეგლებს. სოფ. ხუცუბანსა და ქობულეთში დაცულ ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ობსიდიანისა და კაეის ქანებისაგან დამზადებული იარაღები, რომლებთანაც კერამიკულ ნაწარმს ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით¹². ირკვევა, ამ მხარეში მომდევნო ისტორიულ ეპოქებში ცხოვრება არახოდეს არ შეწყვეტილა. აღნიშნულს კარგად ადასტურებს ბრინჯაოსა და რკინის იარაღების წარმოების დიდი კერები, რომლებსაც არაერთგზის ვხვდებით ამ ადგილებში მისთვის დამახასიათებელ საომარ და სამეურნეო იარაღებთან, საოჯახო-საყოფაცხოვრებო, მორთულობისა და კულტ-მსახურების საგნებთან ერთად.

ამრიგად, კინტრიშის ხეობა მხოლოდ ბუნებრივი პირობებით როდია წარმტაცი და მდიდარი. იგი განსაკუთრებით მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით, რომლებიც საყურადღებო წყაროა ლეგენდარული კოლხეთის და მის შემადგენელ კინტრიშის ხეობის შორეული წარსულის მეცნიერულად შესწავლის საქმისათვის.

კოლხეთი თავისი დიდი ისტორიული წარსულით, ასევე ძველი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროსთანაა დაკავშირებული; ამიტომ, რასაკვირველია, შემთხვევითი არაა, რომ აღმოსავლურმა უძველესმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა ძირითადი ისტორიული ცნობები კოლხეთის შესახებ. მაგალითად, ძველ აღმოსავლურ წყაროებით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. XIII საუკუნიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის დიდი ნაწილი დღემდე თურქეთის მფლობელობაშია, არსებობდა ადრე კლასობრივი გაერთიანებები დიაოხის (ტაოხი, ტაო) და კულხას (კოლხეთი) სახით, ხომელიც საფუძველი ხდება ისტორიული განვითარების გარკვეულ

¹² Л. Н е б и е р и д з е, Неолит западного Закавказья, Автореферат, 1967, გვ. 7—8.

საფეხურზე კოლხეთის სამეფოს წარმოშობისათვის. თავისთავად ცხადაა, რომ ძველი კოლხეთის სამეფოს წარმოშობას წინ უძღოდა რთული ისტორიული სოციალურ-ეკონომიური პროცესები კოლხური მონათესავე ტომთა ეთნიკური კონსოლიდაციისა.

ჯერ კადევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებისათვის იქამდე ღრმავდება კოლხური მოსახლეობის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი და ფართოვდება კოლხური კულტურის არეალი, რომ ყალიბდება მისი ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის მომცველი საკმაოდ ვრცელი ტერიტორია; ესაა დღევანდელი დასავლეთ საქართველო მთლიანად და თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთის რაიონები.

არქეოლოგიური მონაცემებით „მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქების კულტურის მკვიდრო კავშირი დასავლეთ საქართველოსთან უძველეს ეპოქაში (ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. II ათასწლეულიდან)“ დადასტურებულად ითვლება. ორდუსა და ანატოლიის ზოგიერთ სხვა რაიონებში ნაპოვნი ბრინჯაოს არქეოლოგიური ძეგლები თითქმის ემთხვევა კოლხურ-ყობანური ამავე ეპოქის კულტურის ძეგლებს. „შრომის იარაღები (ისევე როგორც საკურველი) თავის უახლოეს პარალელს ფორმითაც და დანიშნულებითაც პოულობს კოლხეთში“.¹¹³ ნ. მარი კი ენობრივი მონაცემების შესწავლის საფუძველზე შავი ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროს სინოპედან ანაბამდე ჭან-მეგრელებით დასახლებულ მხარედ მიიჩნევდა.¹¹⁴ სინოპე, რომელიც ძვ. წ. 183 წლიდან პონტოს სამეფოს დედაქალაქად ითვლებოდა. (აქ დაიბადა მითრიდატე ევპატორი), თავისი სტრატეგიულ-ეკონომიური მნიშვნელობით მეტად თვალსაჩინო პუნქტი იყო. ამიტომაც პონტოს სამეფოს დედაქალაქად შემთხვევით არ იქცევა. ამ მხარის ტომთა შემადგენლობაში თავისი მდიდარი მეტალურგიული ტრადიციებით განსაკუთრებული ადგილი კვლავინდებურად ხალიბებს განეკუთვნებოდა.¹¹⁵

კოლხური კულტურა წარმოადგენდა ქართველი ტომების კულტურას, რომლის გავრცელების არეში უნდა ეცხოვრა, აგრეთვე, აფხაზურ-ადიღურ და შეიძლება კიდევ ზოგიერთ სხვა ტომს.¹¹⁶ „ღიაოხებიც“, რომელთაც ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლები ჰქონდათ ურარ-

¹¹³ М. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, გვ. 21.

¹¹⁴ Н. Марр, Термин «Скиф», Яфетический сборник, I, Петербург. 33-105, 1922.

¹¹⁵ გ. გოხალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 90.

¹¹⁶ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 68, 80.

ტუს სამეფოსთან, კოლხეთის კულტურის შემოქმედი ძირითადი ქართველი ტომებია, რომლებსაც მოგვიანებით ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი „ტაოხებს“ უწოდებს და ეს ისტორიული სახელი საქართველოს ერთ-ერთ ოლქს, ტაოს დღემდე შემორჩა. თუ რაოდენ ძლიერია დიაოხი ნაირის ქვეყნებს შორის, ამას კარგად ადასტურებს ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის ძვ. წ. 1112 წლის წარწერა პრიზმაზე ნაირის ქვეყნებისა და „ზემო ზღვის“ ნაპირების დალაშქვრის შესახებ. ძვ. წ. XII—IX საუკუნეებში კოლხეთი აღმავლობით ხასიათდება, რაც რკინის წარმოების განვითარების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. მოსახლეობის სწრაფი კონსოლიდაციის გზით ყალიბდება საკმაოდ ძლიერი კოლხური სახელმწიფო, რომელიც წარმატებით ეწევა ბრძოლებს ისეთ დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებასთან, როგორიც იყო ურარტუ და ასურეთი.

კოლხური კულტურის შემოქმედი, ისე როგორც კოლხური სამეფოს შემადგენელი მოსახლეობა გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში ქართველი ტომებისაგან შედგებოდა. ქართველსა, მეგრელ-ქანებსა და ნაწილობრივ სვანებს შორის ამ დროს ენობრივი განსხვავება უმნიშვნელოა, ან თითქმის არ არსებობდა. ძველი კოლხეთის სამეფო გაერთიანება ისტორიულად ქართველი ტომების უძველესი და მაღალი კულტურის სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, რომელმაც მთელი თავისი სიდიადით ბერძნულ თქმულებებსა და მითებში ჰპოვა ასახვა.

ჰეროდოტესთან კოლხეთის უძველეს სახელად აია კოლხიდაა მიზნეული. ირკვევა, რომ აია ამ ქვეყნის უძველესი სახელი უნდა იყოს, ხოლო კოლხიდა კი უფრო ახალი. აქედან შეიძლება იყოს წარმოებული „არგონავტიკაში“ მოხსენებული ამ ქვეყნის, კოლხეთის ძლიერი მეფე აიეტის სახელი—იბერიაში მეფობის ფუძემდებლის ქართლოსის (და ქართლის) მსგავსად. ძველ ბერძნულ ანალებს კოლხეთის ამ ლეგენდარული-მეფის აიეტის ეპიტაფიაც შემოუნახავს, რომელიც განისვენებს კოლხეთში. იქ ვკითხულობთ: „... აიეტი ოქრომრავალი კოლხების მეფე აქ გააპატროსნა ღმერთების ყველაფრის დამთრგუნველმა ბედისწყრამ“¹¹⁷.

ძველი კოლხური კულტურის დაწინაურებისა და მისი დონის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოუნახავს სხვა ბერძნულ წყაროებს. მაგალითად, აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III საუკ.) თავის არგონავტიკაში კოლხებს ისეთ ხალხად ახასიათებს, „რომლებსაც შეამორჩინია მამებისაგან დანატოვარი ნაწერები — კირბები (სამწახნაგოვანი დაფები — რუკები), რომლებზედაც წყლისა და ხმელეთის ყვე-

¹¹⁷ ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ. 1944, გვ. 294.

ლა გზა და საზღვარი არის აღნიშნული“ (იხ. მასი „არგონავტიკა“, გვ. 279—281).

ეს ცნობა მრავალმხრივად საყურადღებოა. იგი პირველ ყოვლისა გვანაშნებს არა მხოლოდ კოლხური რუკების აოსებობაზე იმ შორეული ეპოქისათვის, არამედ იმაზეც, რომ წარმართული ხანის ძველ კოლხეთს საკუთარი დამწერლობაც შესაძლოა ჰქონოდა (ვ. სიჟინავა. ძველი კოლხეთის ისტორიიდან. ბათ., 1953).

მდიდარი ბერძნული ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჰეროდოტეს ცნობებმა კოლხეთის შესახებ ყველაზე უძველესია. იგი პარალელს ავლებს კოლხებისა და ეგვიპტელების გარეგნულ მსგავსებაზე. ჩვენის აზრით ჰეროდოტე ამაში უნდა გულისხმობდეს ამ ორი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნისა და ხალხების კულტურის მსგავსებას, მათა დონის სიახლოვეს და არა მათ ფიზიკურ (თმის ფერის და სხვ.) მსგავსებას.

მოგვიანებით სტრაბონთან ეს მსგავსება ძველი ბერძნული და კოლხურ-იბერული წარმართული ტაძრების, მისი მმართველი ქურუმების უფლებრივ მდგომარეობასა, სატაძრო მეურნეობასა და კულტმსახურების მართვის ფორმებში ვლინდება. ბერძენი მწერლები ასევე აღწერენ კოლხეთის ქალაქებს. მაგ., აპ. როდოსელი კოლხეთის დედაქალაქად ქუთაისს მიიჩნევს და „კუტაი“-ს სახელწოდებით იხსენიებს. ქალაქს ეგვევ სახელი უნდა რქმეოდა არგონავტების მითის დროიდან.

ბერძენი ავტორის აზრით, იაზონი თავისი ამაღლით ზღვიდან აყოლია მდინარე ფაზისს (რიონს), შესულა კუტაისს, სადაც კოლხეთის მეფის აიეტის ნასახლე და ოქროს საწმისი იმყოფებოდა. უკანასკნელის მოტაცებაში არგონავტებს კოლხეთის მეფის ასული ულამაზესი მედეა დაეხმარა. ასეთია ლეგენდა, მაგრამ ერთი კი ცხადია, ძვ. წ. III საუკუნეში ქუთაისი იმდენად მნიშვნელოვანი ქალაქია, რომ აპოლონიოს როდოსელს შესაძლებლად მიაჩნია ქუთაისას, როგორც კოლხეთის დედაქალაქის, არგონავტების მითთან დაკავშირება, — მეფე აიეტისა და ოქროს საწმისის ადგილსამყოფელად გამოცხადება.

ძველი კოლხეთის სამეფოს, ხოლო მოგვიანებით, ლაზიკის კულტურულ-ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრები, მართალია, დროთა მსვლელობაში იცვლებოდა, მაგრამ ყველაზე უმნიშვნელოვანესია და გამძლე აღმოჩნდა: ქუთაისი, ვანი, ფაზისი (ფოთი), ცხუმი (სოხუმი), ბიჭვინთა, ფიჭვნარა, ციხისძირი, თეთროსანი (ლევეკოთეა), ჭყონდიდი, არქეოპოლისი, ბათუმი, ილორი, შორაპანი, ვარდციხე, მთლიანად რიონ-ცხენისწყლის ხეობა — მოგვიანებით მუხერისად წოდებული და ასევე ჭყონის ხეობის ბევრი ადგილი, რომელიც დღემდე თურქეთის მფლობელობაში რჩება. ამათგან ქუთაისი ძველი კოლხეთის დედაქალაქადაა აღიარებული. მართალია, ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის დედაქალაქი თითქოს იყო არა ქუთაისი,

არამედ ვანი. (უფრო ადრე აკად. ნ. მარს ასეთად არტანუჯი მიაჩნდა), რაც, ჩვენის აზრით, კვლევა-ძიების ამ ეტაპზე მაინც მოკლებულია დამაჯერებლობას.¹¹⁸

კოლხური სამეფო კიმერიელებისა და სკეითების შემოსევის შედეგად დაეცა. ამიერიდან ქართველი ტომების — ქართების, მეგრელებსა და სვანების განკერძოებისა და გასხვავების პროცესი გაძლიერდა. იმ ბოლომოუღებელი ომებისა და საწარმოო ძალების განადგურების რთულ პირობებში, რასაც ადგილი ქონდა სამხრეთში, ძვ. წ. VIII—VII სს. წარმოქმნილ მძლავრ სახელმწიფოსთან მიდიასთან კოლხეთის ახლო, არსებითად დაქვემდებარებული ურთიერთობა დადასტურებულად ითვლება. აქემენიდების მფლობელობაში მე-19 სატრაპიაში მოყვნიენ სამხრეთ კოლხეთის მკვიდრნი — მოსინიკები, ტიბარენები, მაკრონები, მოსხები და მარები, რომლებიც სპარსელებს „ნებაყოფლობით“ სამხედრო ბეგარასთან ერთად 300 ტალანტს უხდიდნენ ყოველწლიურად.


ჰეროდოტე აღწერს რა ბერძნების წინააღმდეგ სალაშქროდ გამზადებული სპარსების მეფის ქსერქსეს ლაშქრობებს, ასახელებს კოლხებს, მოსხებს, მაკრონებს, მოსინიკებს და სხვებს, და მოგვითხრობს მათ შეიარაღებაზე (VII, 78, 79).

ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში შექმნილ გარკვეულ საგარეო პოლიტიკურ და საშინაო ვითარებაში კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროებზე აღმოცენებას იწყებს ბერძნული ახალშენები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ ანტიკურ სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის დამყარების საქმეში. ამ ურთიერთობის დამადასტურე-

¹¹⁸ ს. კაკაბაძე, უძველესი ქართული ქალაქი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 5; ალ. ბოხოჩაძე, კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობის საკითხისათვის ძვ. წ. IV—III სს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIV, № 2, 1967, გვ. 547 — 552. ძველი კოლხეთის კულტურული და ეკონომიური ცენტრები, მისი ნაქალაქარ-ნასოფლარი და ნამოსახლარი ადგილები მხოლოდ დაბლობზე, დაქაობებულ ადგილებში როდია სავარაუდო და საქმზნი, არამედ ზღვისპირეთის ამადლებულ საცხოვრებლად ხელსაყრელ მიდამოებსა და დაბლობ-დაქაობებულ ადგილებიდან საკმაოდ დაშორებულ ზეგნებსა და მის შემადგენელ ხეობებში. აქარა-ქობულეთის და სერთოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე ისტორიულად არსებულ და ამ ბოლო დროს კვლევა-ძიებით მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლთა უდიდესი ნაწილის განლაგების ძირითადი ცენტრები აქ აღნიშნულს დამადასტურებელია, მაგ., ზღვის სანაპირო ისეთი მძლავრი ცენტრების გარდა როგორც იყო სამსუნი და ტრაპეზუნდი, აფსაროსი, ბათუმი და ციხისძირ-თეთროსანი, ფითია (ფიჭვნარი), ფაზისი და ცხუმი, ასევე კარგად იყო ცნობილი ზღვისგან მოშორებული ცენტრები: ვანი, ქუთაისი, ვარციხე, დიდად დაწინაურებული მხარე მუხურისისა, შორაპნის, კუონდიდის, არქეოპოლისისა და სხვათა ჩათვლით. აღნიშნულს ასევე კარგად ადასტურებს ქობულეთ-ბათუმის მიდამოებში განლაგებული ძეგლები, კინტრისის ხეობისა და საკუთრივ ხუცუბნის ძეგლები, რომლებიც ზღვიდან ოდნავ დაშორებითაა განლაგებული.



კოლხების დასახლება ჰაიოკრატეს მიხედვით (თვითიველ კომპლექსს
ნაგებობისას ირგვლივ არხები უვლის)
(არქიტ. გ. ლევევს რეპროდუქციით).



კოლხურ-მოსინიერი დასახლება ქსენოფონტის მიხედვით.



კოლხური კოშკის კონსტრუქცია ქსენოფონტის მიხედვით.
(არქიტექტორ გ. ლევაეას რეპროდ.).

ბელია ბერძნული მონეტების აღმოჩენა კოლხეთში, მაგ. პანტიკაპეიონური და სინოპური მონეტების აღმოჩენა ქობულეთში.¹¹⁹ ოქროს სტატერისა ვანში და სხვ.; VI—IV საუკუნეებში კოლხეთში ადგილობრივ დიდი რაოდენობით იჭრებოდა ვერცხლის მონეტა კოლხურ თეთრად წოდებული და სხვ.

უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის გორაზე (მდ. ყოროლის წყლის შესართავის მარცხენა ნაპირზე) საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ძვ. წ. I ათასწლეულიდან აქსაკმაოდ დაწინაურებულია საზოგადოებრივი ცხოვრება ისე, რომ ბათუმს ძვ. წ. VII ს.—დან ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა აქვს დამყარებული საბერძნეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებთან.¹²⁰

ძვ. წ. IV საუკუნის მდგომარეობა აწერილი აქვს ბერძენ მწერალს ქსენოფონტს. მისი ცნობით კოლხეთი მრავალტომიანი იყო და ეს ტომები მისდევდნენ სელის მოყვანასა და ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ჩაცმულობისა და იარაღის შატარებელნი ყოფილან. მაგ., ხალიბებს სელის ჩაჩქანი და პაჭიკები ეცვათ, წელზე მახვილი ერთყაათ, ატარებდნენ 15 წყრთიან შუბებს, ხოლო მოსინიკებს ჰქონიათ ტყავავადაკრული დაწნული ფარი, შუბა ისეთივე როგორც ხალიბებს. ყველა მემომარი ატარებდა პაფლანონიურ რკინის ცულს, თავზე ტყავის ჩაფხუტები ეხურათ და ტანზე ნაქსოვი ეცვათ.

ქსენოფონტის დროინდელი კოლხეთი ჩვენ მდიდარ და მრავალდარგოვანი მეურნეობის მქონე ქვეყნად გვევლინება. ქსენოფონტის ლაშქარს კოლხეთის სოფლებში უნახავს წინა წლით მოწეული ხორბალი და გაულეწავი ახალი წლის მოსავალი, მეფუტკრეობის პროდუქტები, ქილებში დამარილებული თევზი და ზღვის ღორის ქონი, ხილისა და წაბლის ნაყოფთა საკმაო მარაგი. მეღვინეობაც დაწინაურებული ჩანს ამ მხარეში და მოსახლეობაც მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. სოფლები გაშენებული ჰქონიათ როგორც დაბლობზე, ისე ამადლებულ ფერდობებზე, საცხოვრებელ სახლებსა და სხვა სახის ნაგებობებს, მაგ., ზღუდეებს, სიმაგრეებს და თავშესაფრებს, ხის მასალისაგან აგებდნენო. კოლხური საცხოვრებელი სახლის ტიპის აღწერა მოიპოვება იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის თანამედროვე რომაელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ნაშრომში... „ათი წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“.¹²¹

¹¹⁹ В. Голенко, Кобулетский клад серебряных монет серед. IV в. до Н. Э. С. А. XXVIII, 1957.

¹²⁰ ა. ი. ნ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ბათუმის უძველესი ისტორიისათვის, იხ. კრებული კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 69 — 75; ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, 1965:

¹²¹ იხ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1945, ტ. 6, № 6, ლ. სუმბაძის

ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, რომელიც 1960 წელს კინტრიშის ხეობაში მოუშაობდა, სოფ. ჭახათში ვიტრუვიუსის მიერ პირველ საუკუნეში აღწერილი კოლხურ საცხოვრებელ სახლთა გენეტიკურად დაკავშირებული ნაგებობის ფიქსირება მოახდინა. იგი ნაშენი ყოფილა გაუთლელი ძელებისგან ურთიერთში ჩაქედვით, რომელიც პირამიდული სახურავით გვირგვინდებოდა. კინტრიშის ხეობის მკვიდრნი ამგვარ საცხოვრებელ სახლს „კუმტურა“-ს უწოდებდნენ. ავტორი ანზოგადებს ამ კონკრეტულ ფაქტს და დასძენს, რომ „კინტრიშის ხეობაში თავის დროზე გავრცელებული ყოფილა კუმტურას ტიპის სახლები“, (იხ. თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელთა ისტორიიდან, თბ. 1967, გვ. 205)

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ძვ. წ. VFI—IV საუკუნეებში დიდი რაოდენობით შემოპქონდათ ძველ ბერძნულ სამყაროდან ე. წ. ქიოსური, ლესბოსური, სამოსური, პანტიკაპეის და სხვა ტიპის ამფორები, ამას ადასტურებს ბათუმისა და ფიქვენარის ანტიკური ხანის ნაქალაქარ ადგილებში აღმოჩენილი ამფორები, რომელთაც იყენებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტარად.

კოლხეთის ზღვისპირა ზოლი და მისი მიდგამი ადგილები ძველთაგანვე სახელმძღვანელო ყოფილან სამეურნეო, საეკონომიკო და საკულტო კერამიკის წარმოებით. ამას კარგად ადასტურებს ადგილობრივი კოლხური „უავისფერთიხისგან“ დამზადებული კერამიკის ქურჭელი — უმეტესად ამფორები. მათ იყენებდნენ მკვრივ და თხევად პროდუქტთა შესანახად — ღვინის, თევზის, მარცვლეულისა და სხვ. ამ სახის ქურჭელი ყიდვა-გაყიდვის საგანსაც წარმოადგენდა¹²², ხეცუბანში აღმოჩნდა წინაანტიკური ხანის კოლხური კერამიკა, რომელიც ადგილობრივად

ნარკვევი „კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვის მიხედვით“, გვ. 491—500. ავტორის აზრით, ხის ძელებისაგან აგებული კოლხური დარბაზი გვირგვინით ე. წ. კოლხური „კამართაა“ გადახურული, რომელიც ზემოდან გვირგვინის შუაში დატანებული სარკმლითაა განათებული. და ქართული დარბაზის პროტოტიპად გვევლინება.

საცხოვრებელი სახლების უძველესი ფორმებია შემონახული მთიან კავკასიაში — სვანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში; აქ სახლის შემადგენელი აუცილებელი ელემენტია თავდაცვის ნაგებობა — ციხე ე. წ. მურყვან სვანურად, რომელსაც ხევსურები „ციხე-სახლს“, თუშები „ჩარდახიან სახლს“ უწოდებენ. (ამ ფაქტს პირველად ივ. ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. იხ. მისი „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“ თბ., 1946).

ქსენოფონტის „ანაბაზისზე“ დაყრდნობით არქიტექტორმა გ. ლუქავამ გაარკვია, რომ საცხოვრებელი ასეთივე ბინები ძვ. წ. IV საუკუნეში გავრცელებული ყოფილა კოლხურ მკვიდრ ტომებში სახელდობრ მოსინიკებში და სხვ., რომელიც თავის გამოხატულებას მოგვიანებით პოულბარ, ვიტრუვიუსის აქ დასახლებულ ნაშრომშიც. გ. ლუქავამ ამასთანავე ქსენოფონტისა და პიპოკრატეს აღწერის მიხედვით სცადა შეედგინა ჩანახატები კოლხურ-ფაზისური დასახლების ტიპების ე. წ. ციხე-სახლების სახით (იხ. ჟურნ. მაცნე, 1971, № 3, გვ. 90).

¹²² И. Б. Зеев, Керамическая тара, Босфора МИА, 83, 1960, გვ. 1098
ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966, გვ. 138.

დამზადებული და ირკვევა, ფართოდაც გამოიყენებოდა. ამ პერიოდში კოლხ და ბერძენ ხალხებს შორის გაჩაღებულია ალებ-მიცემობა, — გაჰქონდათ პური, ხე-ტყე, ბეწვეული, თევზი, ოქრო და სხვა ლათონის ნაწარმები, ასევე ქსოვილი, უმთავრესად სელისა, რომელიც თავისი ხარისხით უბადლო ყოფილა და ბევრად სჯობდა ეგვიპტურსაც კი; გაჰყავდათ მონებიც. კოლხეთში უმთავრესად ფუფუნების საგნები შემოდრიოდა, რომელთა მომხმარებლად, საგულისხმებელია, კოლხეთის გავლენიანი პარები უნდა ყოფილიყვნენ.¹²¹

დაახლოებით ამავე პერიოდიდან კოლხურ ქალაქურ ცენტრებში დაწინაურდა ხუროთმოძღვრება, არქიტექტურა, აღმოცენდა კედური ხელოვნება და განსაკუთრებით დაწინაურებულია კერამიკული წარმოება. VI საუკუნეში ათენში გაკეთებულ ჰიდრიაზე მოიპოვება ბერძნული წარწერა—„კოლხმა მე გამაყეთა“, ან კიდევ ბერძნულ ამფორაზე ასეთი წარწერა: „ეგვიპტოემ გააყეთა, კოლხმა მოხატა;“ აგრეთვე ყუბანში ნაპოვნი ფიალა წარწერით — „მე ვეკუთვნი აპოლონ წინამძღოლს ფაზისში რომ არის;“ ასეთი შინაარსის მატარებელი წარწერები სხეაც იპოვება.¹²⁴

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება; რომ აქ კოლხი ტყვე მხატვარი მონა კოლხია, რომლის საკუთარი სახელი დავიწყებული ჩანს. იგი ათენში ტყვედ მოხვედრილა და შემდეგ თავისი ნიჭის წყალობით გამოუჩენია თავი ხელოვნებაში.¹²⁵

პონტოს სანაპირო ქვეყნებიდან ბერძნები პროდუქტებთან ერთად მონებსაც ყიდულობდნენ. მაგ., ათენის მარმარილოს ფიქალზე დაცული ნაყიდი მონების სიაში (ძვ. წ. 415—414 წწ.) მოხსენებულია კოლხი მონა, რომელიც 153 დრაქმადაა დაფასებული.¹²⁶

მაგრამ დრო შეიცვალა. კოლხეთი დიდი ხნის მანძილზე საომარი მოქმედებათა ასპარეზად ხდება, ქვეითდება მისი სახელმწიფოებრიობა.

ძვ. წ. I საუკ. დასაწყისში პონტოს სამეფო, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის დროს იმდენად გაძლიერდა, რომ თავის მფლობელობაში მოაქცია ე. წ. „მცირე არმენია“, კოლხეთი და ბოსფორის სამეფო.¹²⁷

¹²³ თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ სეციკალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს. იხ. ანტიური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966. ამავე საკითხს ეხება ნ. ლომოური ნაშრომში „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია“, თბ., 1962.

¹²⁴ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქა:თული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 88; მ. ი. რ ო ს თ ვ ე ვ, Скифия и Босфор. II, 1925, გვ. 571.

¹²⁵ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ, 1951, გვ. 11.

¹²⁶ Б. Н. Граков, Материалы по истории Скифии и в греческих надписях, ВДИ, 3, 1939, гв. 290.

¹²⁷ სასტიკი ბრძოლების შედეგად მითრიდატე VI ევპატორმა გატეხა კოლხების წინააღმდეგობა. რომელი მწერლის აბიანეს (II საუკუნ. ძვ. წ.) ცნობით, „მითრიდა-

სომხეთას მეფე ტიგრანის თავისი დაპყრობითი ზრახვებით ასევე მითრიდატეს მოკავშირე ხდება. იგი ავრცელებს თავის მფლობელობას პართიის მიერ აღრე დაპყრობილ ადგილებზე, იკავებს სირიისა და კილიკიის დიდ ნაწილს, იერთებს სოფენეს და აზერბაიჯანის ნაწილს. იბერიის სამეფო და ალბანეთიც ამ დროს გაძლიერებულ სომხეთისა და პონტოს სამეფოსთან მოკავშირეობენ.

მითრიდატე VI ამის შემდეგ ისწრაფვის ფრიგიისა და კაპადოქიის ხელში ჩაგდებისათვის, მაგრამ მას გზა რომაელებმა გადაუღობეს. მითრიდატე VI რომაელებმა სამგზის, — ერთხელ სულამ, მეორედ ლუკულუსმა და უკანასკნელად ძ. წ. 66 წელს პომპეუსმა დაამარცხეს. მისი იეფობა ემხობა, ხოლო მითრიდატე VI სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს.¹²⁸

მითრიდატე VI შვილი ფარნაკი ძე. წ. 48—47 წლებში კოლხეთს სამართავად მოქმედების ახალ ასპარეზად აქცევს; იგი იბრძოდა პონტოს სამეფოს აღდგენისათვის. ისწორედ ამ წლებში კოლხეთის მთელ რიგ კულტურულ-ეკონომიურ უძველეს ცენტრებთან ერთად ორგზის დაინგრა დიდებული ქალაქი ვანი და აოხრდა კოლხეთის სხვა ქალაქები და დაბასოფლები.

კოლხეთის მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა და დაიძაბა. ამ პერიოდში ჯერ მითრიდატე VI ევბატორის, ხოლო შემდეგ ბოსფორისა და პერგამონის შემოსევის შედეგად კოლხეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი გაწყდა, მისი სახელმწიფოებრიობა კი იმდენად მოიშალა, რომ დასუსტებული ქვეყანა ასევე მეზობელ მთიელთა და გადამთიელთა შემოჭრა-ჩამოსახლების ასპარეზად ხდება. მაგ., ჩრდილოეთ კოლხეთის ზღვისპირეთში, სტრაბონის ცნობით, მთიდან ჩამოსახლებულა აღიღეური ტომები ჯიქების, პენიოხების და სხვათა სახით. ისინი კოლხეთის ცენტრალურ დაბლობ ადგილებშიაც ცდილობენ თავიანთი გავლენის გავრცელებას ნადავლის გაზრდის მიზნით. მთიელთა მოწოლას კოლხეთის მდიდარ დაბლობ ადგილებისაკენ ასევე ადგილი ჰქონდა სამხრეთის ზღვისპირეთის მთიანეთიდანაც. ისინი კარგად სარგებლობენ პონტოს სამეფოს დაცემისა და რომაელთა დამკვიდრების შემდეგ კოლხეთის

ტემ დამორჩილა მრავალი მეზობლად მყოფი ტომები, მათ რიცხვში გულადი ტომი კოლხებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი ზღვის პირას» В. Латышев, Известия древних писателей, греческих и римских, о Скифии и Кавказ, т. 1, 2 გვ. 526. სტრაბონის უწყებით კი მას შემდეგ, რაც მითრიდატე კოლხეთში დამკვიდრდა, «კოლხეთის გამგებლად. თუ მოურავად ნიშნავდა თავის ახლობელ მეგობართაგანს და მათ შორის იყო აგრეთვე დედარემის ბიძა, ძმა პაპი ჩემისა მოათენიო». (იხ. Lat. 1, 137), მაგრამ, როგორც ეს აღინიშნა, მითრიდატეს ბატონობა კოლხეთში დიდხანს არ გავრცელებულა, იგი რომაელებმა შესცვალეს, და აქ პომპეუსმა დაამკვიდრა თავისი ბატონობა. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, პონტოს სამეფო, 1956.

¹²⁸ Г. А. Лордкипанидзе, История древней Колхиды, Тбилиси, 1970.

ადგილობრივი ხელისუფლების კიდევ უფრო დასუსტება-დაქვეითებით. მაგრამ ძველ მმართველთა წინააღმდეგობას აწყდებიან კოლხეთის მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად, ლაზები აქ უკვე თითქოს სხვა ტომებზე უფრო მეტად აქტივობდნენ (თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც ნ. ლომოურისა).

ძვ. წ. I საუკუნის მიწურულს ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების გამო იბერიის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის ინტერესთა დაახლოება იმდენად ღრმავდება, რომ იგი „მეგობრობასა“ და ერთგვარ ურთიერთ „დახმარება-ხელშეწყობაში“ გადაიზარდა. ამიერკავკასიაში იბერიის სამეფოს გავლენა იზრდება, იგი იბრუნებს არა მხოლოდ ადრე სომხეთისგან მიტაცებულ ქართულ პროვინციებს, არამედ იბრძვის სომხეთში თავისი გავლენის გაძლიერებისათვის. იბერიის მეფე ფარსმანი თავის მფლობელობას შავ ზღვაზე გასვლით ქოროხის სეობამდე აღართობს.

კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ამ პერიოდში ჩვენ ცოტა რამ ვიცით. სტრაბონის ცნობით, იქ ცენტრალური ხელისუფლება შერყეულია, ქვეყანა დანაწილებული და ჭერ კიდევ პონტოს სამეფოს მფლობელობაშია, რომელიც რომის სავასალოდ ითვლებოდა.¹²⁹ ა. წ. I საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებითად იცვლება ადრინდელი ვითარება. რომის იმპერატორი ნერონი პონტოს სამეფოს სპობს და კოლხეთთან ერთად მას რომის პროვინციად გადააქცევს, რამაც მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ტაციტუსის ცნობით, სწორედ ამ რეფორმას უნდა გამოეწვია ანიკენტის დიდი აჯანყება, რომელმაც ტრაპიზონში იფეთქა.¹³⁰

¹²⁹ კოლხეთში შეჭრილმა პომპეუსმა აქ თავისი კეთილის მოსურნენი ვერ პოვა, იგი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა და ხალხის გულის მოსაგებად რომაელებმა სამეფო კოლხეთისა ერთბაშად თითქო არ მოსპეს; მხარის ზემდგომად დააყენეს არისტარხი, რომლის მიერ მოჭრილმა ფულმა ჩვენამდე მოაღწია და ატარებს ასეთ წარწერას: ΑΡΙΣΤΑΡΧΟΝ ΤΟΝ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΕ—კოლხეთზე ზემდგომი არისტარხისა“. მიუხედავად ამისა კოლხეთი, რომის ბატონობას ვერ ეგუებოდა. მაგ. იულიუს კესარის დროს (24 წ. ძ. წ.) კოლხეთი ამხედრებია რომაელთა ბატონობას და ამის შედეგად საქმე იქამდე გართულებულა, რომ რომაელებს ხელმეორედ მოუხდათ მისი დაპყრობა. (Mat. II, 618—620); იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა კოლხთა განდგომას, რომაელებს მიემართათ ყველ დროის დამპყრობელის საიმედო ხერხისათვის „divide de impera“ — დაყავი და იბატონე, ამიტომ მოკლე ხანში ნაცვლად ერთისა კოლხეთში ოთხი „სამეფო ჩნდება: ლაზთა, აფშილთა, აბაზთა და სანიკებისა (Mat. I, 222); ისე, რომ პომპეუსის დროინდელ კოლხეთის ერთი ზემდგომის -- არისტარხის ადგილას ა. წ. 134 (ადრინაე კეისრის მეფობაში), უკვე ოთხი გამგებელი ზის. მართალია, ამ „ოთხ სამეფოთაგან“ ყველაზე მეტად დაწინაურებული და აღზევებული ლაზთა სამეფოა, მაგრამ კოლხეთის დანარჩენი „მეფეები“ ინიშნებოდნენ არა ლაზთა მეფისაგან, არამედ რომის კეისრებისაგან.

¹³⁰ გ. გ. ო. ზ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. კ. ქართველური ტომების აჯანყება რომის წინააღმდეგ, I საუკ. თბილისის სახ. უნივერსიტეტიც შრ., XXXVII, 1940, გვ. 131—132.

ლაზები ა. წ. I საუკუნეში შედარებით უფრო კომპაქტურად ჰორონის შესართავთან მარჯვნივ ბინადრობდნენ. მათი გავლენა კოლხეთის ბარის რაიონებზე იმდენად გაძლიერდა, რომ იგი უპირისპირდება ჩრდილოეთის მთიანეთიდან კოლხეთის ბარად ჩამოსულ მთის მოსახლეობას აბაზგების და აბშილებისა და ზოგ სხვა ტომთა სახით.

კოლხეთის მდგომარეობა ა. წ. II და III საუკუნეებში არ შეცვლილა. ბრძოლა კოლხეთში შეიძლება ითქვას მეტ-ნაკლებად გრძელდებოდა უმთავრესად მკვიდრ მოსახლეობასა და მთიდან ჩამოსულ უცხო ტომებს შორის. ამ ბრძოლებში დაწინაურდნენ ლაზები, რამაც ნიადაგი მოუშხადა ლაზიკის დიდი სამეფოს წარმოშობას.

რომაული გავლენა ამ მხარეში საოკუპაციო შეიარაღებული ძალით ხორციელდებოდა. მაგ., ფლავიუს არიანეს ცნობით 131 წელს აბსაროს—გონიოს ციხეში, ფაზისში და დიოკურიაში რომაელთა საგარნიზონო ნაწილები იდგნენ. ყველაზე მეტად აბსაროსი, ანუ გონიო (ჰოროხის შესართავთან) ყოფილა გამაგრებული, როგორც დიდმნიშვნელოვანი სტატეგიული პუნქტი. აქ, მაგ., ხუთი კოპორტა მდგარა (კოპორტა 500—600-მდე მეომარს აერთებდა). დიდი გალავნით გარშემორტყმულ ხალხმრავალ ქალაქში მოწყობილი ყოფილა ჰიპოდრომი, მოქმედებდა თეატრი და სხვ. ეს დიდებული ქალაქი და ციხე-სიმაგრე VI საუკუნის ავტორის პროკოფი კესარიელის მოწმობით უკვე დანგრეული იყო. თუ რაოდენ დაწინაურებული ყოფილა გონიო ანტიკურ ხანაში ბერძნულ-რომაულ წყაროებთან ერთად, ეს კარგად დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა.¹³¹ ეს ნგრევა-აოხრება, ბუნებრივია, ასევე კოლხეთის სხვა პუნქტებსა და კერძოდ კინტრიშის ხეობაზედაც ვრცელდებოდა.

დაქვეითების გზაზე დამდგარი კოლხეთი რომის ექსპანსიის პერიოდში, მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა, ეკონომიურად მაინც საკმაოდ ძლიერი ქვეყანა იყო. სტრაბონის ცნობით, იმ დროს მდ. რიონზე სახომალდო მიმოსვლა ყოფილა გაჩაღებული და ამასთანავე 120-მდე ხიდი აგებული (XI, 3. 4). კოლხეთი იბერიასთან, შორაპნის ციხის ზემოთ, ვიდრე მტკვრის ხეობამდე, საურმე და საქარავნო გზებით იყო დაკავშირებული, მტკვრისა და რიონის ხეობებით იბერიისა და კოლხეთის მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდებოდა ანტიკური სამყარო და შორეული აღმოსავლეთი. სხვათა შორის მითრიდატე ევპატორი თავისი ძლიერი ფლოტის ასაგებ მასალას კოლხეთიდან ეზიდებოდა.¹³²

¹³¹ ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დ. ხ ა ხ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, რიონის წარმოების უძველესი კერა ჰოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აბსაროსში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, თბ., 1964.

¹³² იხ B. Латышев, გვ. 139—140 და 196—197.

მიუხედავად იმისა, რომ რომის ბატონობის დროს კოლხეთი დასუსტდა და დაქუცმაცდა პოლიტიკურად (მაგ. 134 წ. არიანეს ცნობით, კოლხეთი ოთხ ცალკე სახელმწიფო ერთეულად იყო დანაწილებული), მესამე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჩრდილოეთის ხალხების ორგანიზაციის, ლაშქრობა შავი ზღვის სანაპიროებზე ფაზისელებმა გმირულად მოიგერიეს. მათ დაიცივეს ქალაქი ფაზისი, არტემიდეს ტაძარი სასახლითურთ მომხდურ გოთთა ურდოებისაგან.¹³⁴

კოლხეთში, რომელიც ახალ საუკუნეებში ლაზიკადაა წოდებული, მეოთხე საუკუნიდან დიდი საგანმანათლებლო კერა, საკმაოდ სახელმწიფო რიტორული სკოლა, ანუ აკადემია მოქმედებს, რაც, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიური განვითარებითა და მდიდარი კულტურული ტრადიციებით უნდა ყოფილიყო გაპირობებული.¹³⁴ ამ სასწავლებელში, რომელიც მუშათა ტაძრად იწოდებოდა, განათლებას ღებულობდა არა მხოლოდ ადგილობრივი კოლხი ახალგაზრდობა, არამედ ცივილიზებული საბერძნეთის ბევრი გამოჩენილი პირიც. მაგ., აქ, კოლხეთის რიტორულ სკოლაში ჭაბუკობისას უსწავლია საბერძნეთიდან მოვლენილ თემისტოისს, ჯერ მამას ევგენიოსს და მამისავე რჩევით შვილს, კარგად ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსს თემისტოისს¹³⁵ (317—388).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ შესანიშნავი სკოლის ტრადიციებზე უნდა აღზრდილიყვნენ ლაზიკის ისეთი სახელმწიფო რიტორები, ქართული მკვერმეტყველების კემშარტი მშვენივანი, როგორც იყვნენ საყოველთაოდ ცნობილი აეტი და ფარტაზი (VI ს.). რომლებიც ქართული მკვერმეტყველების სათავეებთან დგანან¹³⁶. ისინი ლაზიკის სახელოვანი მეფის გუბაზის თანამებრძოლნი და გმირი მეფის პოლიტიკის ერთგული დამცველნი იყვნენ.

¹³³ იხ. Платьшев, გვ. 790—791.

¹³⁴ მართალია, რომელთა მძლავრობის შედეგად კოლხები ჰკარგავენ ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურებას, მაგრამ იგი მოგვიანებით ლაზების ხელში გადადის და ქვეყანაც ამიერიდან ლაზიკად იწოდება თუმცა ბერძნულ-რომაულ წყაროებში მას დიდხანს შერჩა ძველი სახელი — კოლხეთი და. შეიძლება ითქვას, არასოდეს იგი დავიწყებდნენ არ მისივემია. მაგ., ფსევდო არიანე V ს. ა. წ. დასძენს, რომ „ლიოსკურიდან, ან სებასტოპოლიდან მდ. აბსარამდე უწინ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვა ლაზები“-ო (Πατ. 1,275).

აკად. ნ. მარის დაკვირვებით, ტერმინი „ლაზ“ არის ელინისებული ფორმა „ზანების“, ან იგივე „ზანების“ ქვეყნის ზოგადი სახელისა, რომელიც, მისივე აზრით, სენაური „ზანარ“-ის, ან „ზან“-ის, საფუძველზეა წარმოდგარი (იხ. მისი «Креещение армян, грузин, абхазов и аланов» (зво МРЛО Т. X. VI, გვ. 165—166, მისივე Из. поездки в Турецкий Илестан, СПб 1900. 570).

ლაზთა სამეფოს ეკონომიური ძლიერებისა და პოლიტიკური გავლენის შესახებ, მის კავშირზე ბიზანტიასთან საყურადღებო ცნობები საკმაოდ შემოუწინაზეთ იმავე რომაელ და ბერძენ მწერლებს. მაგ., პროკოფი კესარიელი გვაუწყებს:

IV საუკუნის პირველსა და მეორე ნახევრის მიჯნაზე კოლხეთში შემოდის და ვრცელდება ქრისტიანული სარწმუნოება. ხოლო მეხუთე-მეექვსე საუკუნის მიჯნაზე კოლხეთში ფეოდალიზმი საბოლოოდ იმარჯვებს.¹³⁷ ეს გარდამავალი ეპოქა კოლხეთის ისტორიაში მრავალი სისხლიანი ეპიზოდითაა აღსავსე, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის ნივთიერი გაღატაკება და რაოდენობრივად შემცირება. სწორედ ამ გარდამავალ პერიოდს დაემთხვა კოლხეთში რომაული და სპარსული აგრესია. რომაელები და სპარსელები რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე ეცილებოდნენ ერთმანეთს კოლხეთში გაბატონებას, ამიტომ ეს მხარე დიდი ხნის მანძილზე მძაფრი საომარი მოქმედების ასპარეზს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამგვარი და ესოდენ ხანგრძლივი რთული ისტორიული პირობებისა, კოლხეთის ძველი ტრადიციების გამგრძელებელი ლაზთა ქვეყანა არ დაცემულა და რამდენადმე ინარჩუნებდა კიდევ მდგომარეობას და საკუთარ მამაპაპათა ღირსებებს.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი ზგათია სქოლასტიკოსი (536—582 წწ.) ლაზებს, რომლებიც ძველი კოლხების მემკვიდრეებად თვლიდნენ თავიანთ თავს, ასე ახასიათებდა: „ძლიერსა და ლამაზ ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული თავისი სიმღადრით, სიუხვითა და ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც

„ლაზები მეფეები ბიზანტიაში გზავნიდნენ ელჩებს და მეფის თანხმობით უნათესავდობდნენ დარბაზისაგანთ და შოჰყავდათ იქიდან ქალები ცოლებად“ (გეორგიკა, I, გვ. 126). აგათია სქოლასტიკოსის დახასიათებით კი „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზეც მბრძანებლობენ... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონით სახე მიუციათ“ (იხ. ბიზანტ. მწერ. ცნობ. ტ. III, 50—51). ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უმშვენიერეს კუთხედ მათ მიერვე მიჩნეულია „მუხურისა“, რომელიც ცხენისწყალსა და რიონს შორის მდებარეობდა. იგი დაახლოებით წყალტუბოს, ქუთაისის, წულუკიძის, სამტრედიის და გვეგუქკოის რაიონების დღევანდელ ტერიტორიას მოიცავდა ლაზიკის ქვეყანაში (სამეფოში).

¹³⁵ ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1949. გვ. 350—357

¹³⁶ ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული მწვერმეტყველება, თბ., 1958, გვ. 100, 105—115 და 316. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968 (წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე), ო. ლორთქიფანიძის რედაქციით.

¹³⁷ ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით — „ქრისტიანობის საშუალებით ბიზანტიელებმა ბევრი ლაზი და ქანი გააბერძნეს და ქართველებს საბოლოოდ მოსწყვიტეს... რომ ხალხები, ტიბარენნი, მოსინიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-განურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფილისი, 1913, გვ. 48—50).

მიწა-წყლის სიქარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზიანა და სიქვედით“.¹³⁸

V—VI სს. ლაზიკა ირანისა და ბიზანტიის დაპირისპირების პლაცდარშია ამიერკავკასიაში. მტერი ასევე ლაზიკაშიც შემოიჭრება. 523 წელს ლაზთა მეფე წათე იუსტინიანეს თხოვს დახმარებას იწყება ირან-ბიზანტიის ხანგრძლივი ომები.

საუკუნოვანმა ომებმა ლაზიკა დიდად დაზარალა.¹³⁹ ლაზთა სამეფოც ამიერიდან ფაქტიურად სწყვეტს თავის არსებობას.

ბაგრატიონების განთქმული საშეფო საგვარეულო, რომელიც ძველთაგანვე მამა-პაპით კოროხის ხეობაში, სპერს (ისპირს) მკვიდრობდა, მერვე საუკუნიდან სათაეში ჩაუდგა საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების საქმეს. ამ დიდი პოლიტიკური აქტის განხორციელებაში განსაკუთრებით თავი ისახელა ტაო-კლარჯეთის მპყრობელმა დავით კურაპალატმა და მისმა ნაშვილებმა ბაგრატმა, რომელიც გაერთიანებული საქართველოს მეფედ იწოდა.

თ ა ვ ი IV. კინტრიშის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები

1. ძვის ხანა

აღამიანთა უძველესი ნამოსახლარ-ნაკვალევი კინტრიშის ხეობაში პირველად ხუცუბანში ალი ბერიძის კარმიდამოში აღმოჩნდა, კაეისა და ობსიდიანის იარაღების სახით.¹⁴⁰ 1960 წელს ამ ძეგლის შესწავლას შეუდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია. 1961 წელს გათხრებიც ჩაატარა იქ და საყურადღებო მასალა გამოვლინდა. ამავე ექსპედიციამ ქვის ხანის ანალოგიურ ნამოსახლარს მიაკვლია აგრეთვე ხუცუბნის მეზობელ სოფელ ქობულეთში (ქესკინ ნინაშვილის საკარმიდამო)¹⁴¹.

ხუცუბნისა და ქობულეთის ქვის ხანის ამ ნამოსახლარებზე იარაღთა ოთხი ტიპი გამოიყოფა: საკრისები, სახვრეტები, დანები და საფხეკები.¹⁴²

¹³⁸ გეორგიკა, ტ. III, გვ. 50—51.

¹³⁹ ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ნ. ბერძენიშვილის სახელ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, I, თბ., 1968, გვ. 18.

¹⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, თბილისი, 1964, გვ. 8.

¹⁴¹ იქვე, გვ. 9—10.

¹⁴² იქვე, გვ. 11.

იარაღთა დამუშავების ტექნიკის მიხედვით ეს ძეგლები განეკუთვნებიან მიკროლითების ფაზას, რომელიც მკიდროდ არის დაკავშირებული მეზოლითთან.¹⁴³

ამ ძეგლების შესწავლით გამოირკვა, რომ ძველი ქვის ხანის ზედა საფეხურის მიწურულისათვის ხუცუბნის ტერიტორიაზე ადამიანს ყველაზე დელუვიურ ნიადაგებზე უცხოვრია, რომელზედაც დალექილა უკვე გამჭრალი ცხოვრების კვალი, ხოლო დროთა ვითარებაში ნაშთებს ჰუმუსური ფენა გადაფარებია.¹⁴⁴

ხუცუბნის სამაროვნებში ასევე ჩვენ ვიპოვეთ კაეის იარაღები — ოსტატურად დამუშავებული კაეის ისრის წვერისა და შუბის წვერის სახით. აქვე აღმოჩნდა ობსიდიანის შედარებით პრიმიტიულად დამუშავებული მცირე ზომის იარაღები, რომელთა სახეობის განსაზღვრა მხელდება (იხ. ტაბ. VI).

სოფელ ქობულეთისა და ხუცუბნის არქეოლოგიურ კომპლექსში დიდი რაოდენობით გვხვდება ვულკანური ჯიშის ობსიდიანისაგან გაკეთებული იარაღები; კინტრიშის ხეობასთან ასეთი მასალის ყველაზე მახლობელი საბადო არსიანის ქედზეა დადასტურებული. ასეთივე ობსიდიანი გვხვდება აგრეთვე თათარავანის ტბის შიდაპირშიც (საქეცალისტა დაკვირვებით, კინტრიშის ხეობის მეზოლითელ მცხოვრებთ ობსიდიანი თაფარავნიდანაც უნდა ეზიდათ და არსიანიდანაც).¹⁴⁵

ეს გარემოება მეტად საინტერესოა და იმის საბუთია, რომ კინტრიშის ხეობა უძველესი დროიდან მკიდროდ იყო დაკავშირებული იატორიულ თრიალეთთან.



შემდგომი ხანის ძეგლებიდან კინტრიშის ხეობაში მრავლად არის წარმოდგენილი ბრინჯაოს იარაღები. მათგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ზენითის განძი, რომელშიც შედის ბრინჯაოს ცულები (დაცულაა აქარის სახელმწიფო მუზეუმში). ამ ძეგლებს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანებს მიაკუთვნებენ.¹⁴⁶

კინტრიშის ხეობასა და მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მრავლად არის აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები და ასევე ადრეული რკინის ხანის დამახასიათებელი ნივთები. იმისათვის, რომ აღმოჩენილი ნივთების სამეცნიერო მნიშვნელობა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი, საჭიროა ამ მხარის როგორც ბრინჯაოს, ასევე რკინის ხანის სხვა დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს ძეგლთა კომპლექსის გათვალისწინებაც.

¹⁴³ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, I, თბილისი, 1964, გვ. 16.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 10.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 11.

¹⁴⁶ ლ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 116.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში, როგორც ცნობილია უფრო წინ წავიდა საწარმოო ძალთა განვითარების პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება დიდ სივრცეებზე ერთგვაროვანი კულტურის არეების ჩამოყალიბება. საქართველო — ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოს ხანაში ყალიბდება ბრინჯაოს მეტალურგიის რამდენიმე რაიონი. ერთი ამთავანი მოიცავს მთელ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს და მის გარეთაც გადის ჩრდილოეთით (ჩრდ.-აღმოსავლეთით) და სამხრეთით (სამხ.-დასავლეთით). გვიანი ბრინჯაოს „კოლხური ცული“ ვრცელდება უზარმაზარ არეზე (ქალაქ ორლუდან ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიამდე).¹⁴⁷

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთანავე დადგენილია, რომ საკუთრივ კოლხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოს ეპოქაში არსებობდა ბრინჯაოს წარმოების რამდენიმე ძირითადი კერა, ესენია: ქოროხის აუზი. აფხაზეთი. რაქა-ლეჩხუმი საჩხერე და სხვ.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების ფარგლები დიდია და. საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიით არ შემოიფარგლება, ეს კულტურა აქარის გზით ფართოდ იკავებს გზას მესხეთ-ჯავახეთში (ზემო ქართლში),¹⁴⁸ ერთი მხრით, ხოლო საჩხერისა და რაქის გზით შიდა ქართლში ვიდრე არაგვის სანაპიროებამდე.¹⁴⁹ აღორძინებულმა კოლხურმა კულტურამ ასევე კავკასიის მთის სამხრეთ ფერდობიდან გაიკაფა გზა როგორც ჩრდილოეთის — ჩრდილო კავკასიის ფერდობებსა და ყობანის მხარეში,¹⁵⁰ ასევე სამხრეთითაც — ძველი მესხეთის ტერიტორიასა და მისი მიდგამი ადგილების ვრცელ სანახებში.¹⁵¹ იყო დრო, როცა ყუბანურად მიიჩნევდნენ კოლხური კულტურის მთელ ამ უმდიარეს მემკვიდრეობას. მაგრამ მეცნიერებს საკმაო საბუთი დაუგროვდათ ამ გაუგებრობის გასაქარწყლებლად. ჩვენი მიზანია შევჩერდეთ კინტრიმის ხეობასა და აჭარა-ქობულეთის უმნიშვნელოვანეს ძეგლებზე.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამოებში საერთოდ და კერძოდ ბათუმისა და ქობულეთის მხარეში, ბრინჯაოს გვიანი

¹⁴⁷ იხ. გ. მელიქიშვილის მოხსენების „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხები“ თეზისები, თბ., 1954, გვ. 10—11.

¹⁴⁸ აღ. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი, უღის განძი, გვ. 60—61.

¹⁴⁹ დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 147; გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, გვ. 194.

¹⁵⁰ Б. В. Тихов, Позднебронзовая культура Пнахиского бассейна, Сталинград, 1957, гв. 135.

¹⁵¹ კ. ბიტელის დასახელებული ნაშრომი.

ეპოქის საყურადღებო განძები და ნივთებია აღმოჩენილი. ამ აღმოჩენების უმეტესი ნაწილი შემთხვევითი ხასიათის იყო და უპასპორტონია, მათი გათხრა სამეცნიერო მიზნებით არ წარმოებულა. ამიტომ ნაპოვნი ნივთები ან დაიღუპა, ან კიდევ მისი წარმოშობის და სადაურობის შესახებ ცნობები მხოლოდ გაკვრით მოგვეპოვება.¹⁵² მაგალითად, დღემდე ბათუმ-ქობულეთის მიდამოებში ბრინჯაოს ნივთთაგან ნაპოვნია: ბრინჯაოს „საომარი ჩუგლუგი“¹⁵³ ბათუმის აღმოსავლეთით მდინარე ბარცხანის სანაპიროზე; და ასევე სამება-ციხისძირის კოლექცია.¹⁵⁴

ე. პახომოვის ცნობით, თუ რა აღმოჩნდა ამ იარაღთან ერთად, ამის შესახებ არაფერი იციან და ეს ნივთები დაღუპულად ითვლება.¹⁵⁵ სოფ. მახინჯაურში, ზღვის სანაპიროზე, უნახვათ ბრინჯაოს შემდეგი იარაღები: თოხი, სეგმენტური იარაღები, კოლხური ტიპის ცულის ჩამოსახსმელი ყალიბი. თუ სად ინახება ეს ნივთები, ჯერჯერობით გაუგებარია და ისინიც ალბად დაღუპულად უნდა მივიჩნიოთ.¹⁵⁶ 1914 წ. ბათუმის მიდამოებში და სოფელ სალიბაურში აღმოჩნდა ბრინჯაოს ობიექტების შემცველი განძი. დღეს არც ამ განძის ადგილსამყოფელი ვიცით. არსებობს მოსაზრება, რომ სალიბაურის ამ განძის აღმოჩენის ადგილზე უნდა ყოფილიყო უძველესი მეტალურგიული სახელოსნო.¹⁵⁷

¹⁵² დ. ქოჩიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965. ავტორი სპეციალურად სწავლობს ბრინჯაოს ნივთებს და განძებს უძველესი დროიდან გვიანი ბრინჯაოს ხანამდე, ეტაობრიადად, როგორც საქართველოს სახელმწიფო და რაიონულ მუზეუმებში დაცული ფონდების მიხედვით (იხ. გვ. 10—47), სათანადო საილუსტრაციო მასალების მოტანის საფუძველზე (იხ. ტაბ. I—XVI), ასევე არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვითაც (იხ. გვ. 47—49). ავტორი, მაგალითად, სავანგებოლ ჩერდება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ისეთ განძებზე, როგორცაა: ურეკის (იხ. გვ. 10, 43, 47), ქობულეთის (გვ. 13), ერგეს (გვ. 13—14, 28); ზენითის (გვ. 16, 22), ორდუს (გვ. 19), ყარადერეს (გვ. 20), ბობოყვათის (გვ. 21), ციხისძირ-სამების (გვ. 23), ჩაქვის (გვ. 41), ბათუმის (გვ. 41), წყავროკას (გვ. 46) ბრინჯაოს კულტურის განძები. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ ისეთებზე შევჩერდებით, რომელთაც ზოგჯერ გვერდი აქვს ავლილი და, ჩვენის აზრით, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწვეიცაა და ყურადღების ღირსიც.

¹⁵³ А. А. И с с е н, К вопросу о древн. мет. меди на Кавказе М. П. 1936 გვ. 118. ეს ნივთები დატულია ბათუმის მუზეუმში და სხვა არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად საავიანთ ნაპრომებში გამოიყენეს არქეოლოგებმა ბ. კუფტინმა, ო. ჯაფარიძემ, დ. ქოჩიძემ და სხვ.

¹⁵⁴ სამება-ციხისძირის ბრინჯაოს კოლექციის შესახებ იხ. არქეოლოგიური მასალების კატალოგი, II, თბ., 1955, გვ. 21—27, ტაბ. VII—VIII—IX.

¹⁵⁵ А. А. И с с е н, Из истории древн. мет. меди на Кавказе, л. 118, გვ. 14.

¹⁵⁶ ამ განძის შესახებ ცნობა დატულია. Известия Кавказск. отдела Русского географического общ-ва, т. XXII, 1914, გვ. 451.

¹⁵⁷ იხ. «Кавказ» 1915, 3 იანვრის № 2-ში და არა 8 იანვრის, როგორც ამას შეგდომით წერს ბ. კუფტინი. იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1944, XII, გვ.

გასული საუკუნის მიწურულში ჩაქეშა, პოპოვის მამულში, აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღთა განძი (მათ შორის დაზიანებული ცულები, სამაჯურები და სხვ.), რომლებიც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში გადაიგზავნა.¹⁵⁸ რაც შეეხება ასევე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს სოფ. სამებაში, სოფ. ზენითში, ციხისძირში და სხვ., მათი ინვენტარის ძირითადი ნაწილი დაცულია აჭარის ასსრ სახ. მუზეუმში.¹⁵⁹

აჭარის შემოერთების შემდეგ შექმნილი ხელსაყრელი პირობები ხელს უწყობდა ამ მხარის არქეოლოგიურად შესწავლის საქმეს. რკინაგზის გაყვანა, ბათუმის ნავსადგურისა და ახალი ტიპის ქალაქის მშენებლობა, ზღვისპირეთის საუკეთესო ადგილებზე კერძო აგარაკების მშენებლობის გახშირება, ბუნებრივია, დაკავშირებული იყო მიწის დიდ სამუშაოსთან და არქეოლოგიურ ძეგლთა მრავალ შემთხვევით აღმოჩენებთან, რომელთა დიდი ნაწილი უყურადღებობის გამო, რასაკვირველია, ნადგურდებოდა. ჩვენ აქ ციხისძირისა და მისი მიდამოების დამახასიათებელ ერთ ტიპურ მაგალიტს მოვიტანთ.

მაგალითად, მიწის სამუშაოს შესრულებისას ციხისძირის მიდამოებში, ისე როგორც ამ მხარის სხვა ადგილებში, გვიახი ბრინჯაოს კულტურისა და ანტიკური ხანის მრავალი საინტერესო ძეგლი გახდა ცნობილი, რომელთა აღმოჩენა რკინიგზის ბათუმ-სამტრედიის ხაზის მშენებლობას ახლდა თან (უფრო ადრე, როგორც აღინიშნა, ასეთი ძეგლების აღმოჩენა რუსეთ-თურქეთის ომის დროს მოხდა). ეს აღმოჩენები კერძო აგარაკების მშენებლობისას მიწის სამუშაოებთანაა დაკავშირებული; მაგ., პრომორცევის ყოფილ ნაკვეთზე აღმოჩნდა ბრინჯაოს განძი, რომელიც საქართველოს მუზეუმში ინახება. აქვე მოგვიანებით ბოლგარსკის ყოფილ აგარაკზე აღმოჩნდა ბრინჯაოს განძი, რომელიც ინახება ბათუმის მუზეუმში. ამ განძში შედიოდა:

378) მოთავსდა ცნობა: интересная находка да ара «археологическая находка (призовой) эпохи», როგორც ამას გვაუწყებს ბ. კუტუჩინი (იხ. დასახ. შრომა გვ. იქვე), აქ უნახავთ რამდენიმე ფული ბრინჯაოს სამეურნეო განძი, თოხები; იგი ქუთაისში კერძო პირისაგან შეუძენია პახომოვს. ამ თოხების სიპატარავე პახომოვს ადკირებინებს, რომ შეიძლება «в них орудиями пользовались для обрядных целей». ამასთანავე კორესპონდენტი ფიქრობს, რომ «кладовщик или наткнулся на место древней мастерской, как это было при находках сел. Салибаури и Пихидзир». სინამდვილეში ადგილი განძის აღმოჩენისა უცნობია.

¹⁵⁸ იესენი ფიქრობს, რომ იგი ბათუმის მიდამოებში უნდა ყოფილიყო აღმოჩენილი იხ. მისი «К вопросу»...

¹⁵⁹ პახომოვის აზრით, ქუთაისის მახლობლად (იხ. ОАК — 1846 წ., გვ. 126, 238—239, 450) ეს განძი გაიფანტა და დაიღუპა. მცირე ნაწილი ამ განძისა ბაქოს მუზეუმში ყოფილა დაცული.

კოლხური ცული, შვიდი ბრტყელი იარაღი (რომელთაგან ხუთი დაზიანებულია) და სპილენძის მრგვალი ფორმის 21 ზოდი.¹⁶⁰

ყურადღებას იქცევს გლეხების მიერ შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლები. მაგ., სოფ. ზენითში მიწის ხენის დროს წააწყდნენ თიხის ქილას, რომელშიც აღმოჩნდა ოთხი კოლხური ცული, ოთხი თოხი, წალდი და ნამგლას ნატეხები. დამახასიათებელია, რომ აქვე ქილაში აღმოჩნდა სპილენძის ზოდები.¹⁶¹ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქვე აღმოაჩინეს ელინისტური ხანის ქვის მონოლითური საწინ-ხელი.

ციხისძირში 1927 წ. აღმოჩნდა თიხის კურკელში ჩალაგებული ანალოგიური განძი — ერთი ბრინჯაოს ცული, ცხრა სეგმენტური იარაღი, აქვე გამოვლინდა სპილენძის ზოდებიც.¹⁶²

კოლხური ცული აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. ალაშბარში, მახინჯაურში, რომლებიც ზენითის და ზოგ სხვა შემთხვევით ნახულ კულექციებთან ერთად დაცულია ბათუმის მუზეუმში.¹⁶³

სოფ. ყარადერეში (ახლანდელი ვანთიადი, ბათუმის რ-ნი) ასევე შემთხვევით უპოვნიათ ბრინჯაოს იარაღების მეტად საინტერესო კომპლექსი, რომელშიც შედიოდა: წალდი, თოხი, სეგმენტური იარაღი, ჩუგლუგი და სხვ.

სოფელ ერგეში (ბათუმის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით უპოვნიათ გვიანი ბრინჯაოს ხანის კომპლექსი, სადაც 10-მდე ცული აღმოჩნდა, ხოლო სოფ. ეკალაურში (ჩორჩანის მიდამოებში) ასევე შემთხვევით ნაპოვნ განძებში ბრინჯაოს ზოდებთან ერთად აღმოჩნდა: ორი ცული, სამი თოხი და ორი წალდი, ასეთივე განძი აღმოჩნდა სოფ. ზედა ჭოჭოში (სარახიას გორაზე), რომელიც შეიცავს რამდენიმე ზოდს და ხუთ კოლხურ ცულს. ანალოგიური ცულები ნაპოვნია სოფ. ვერნებში (ხულოს რ-ნი), სოფ. პირველ მაისში (ძვ. საღორეთი) და სხვ.¹⁶⁴

აჭარის ტერიტორიაზე სპილენძის ძველთაძველი მრავალი წვრილი საბადო იპოვება, ასეთებია: ბობოყვათის ბზნის წყლის (ქობულეთის

¹⁶⁰ ნ. ს. შ. ტ. ა. რ. ი. ა., ციხისძირი, გვ. 31; А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии... гв. 222—223; ხ. ახვლედიანი, აჭარის მუზეუმის გზამკვლევი.

¹⁶¹ А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известие ГАИМК, выпуск 120, 1935, гв. 120.

¹⁶² იესენის დასახ. ნაშ., გვ. 122.

¹⁶³ გ. კუფტინი თვის ნაშრომში Археологические раскопки в Триалети (თბილისი, 1941, გვ. 18, სურ. 19) მიუთითებს და სურათიც მოაქვს შახუნცეთიდან ჩამოტანილი და აჭარის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ცულისა.

¹⁶⁴ ი. ს. ხ. ა. რ. ი. ა., აჭარის მატერ. კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962, გვ. 11.

რაიონის), სკურდის, ზემო ხინოს, მარადიდის და სხალთის, რომლებიც ესლანდელ პირობებში მოკლებულია სამრეწველო გამოყენებას. მაგრამ, თუ რა როლს ასრულებდნენ ისინი ძველად, ამ მხარის არქეოლოგიურად შეუსწავლელობის გამო, ჩვენ ვერ არ ვიცით.¹⁶⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, დამყარებული უასლოეს არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, იმის შესახებ, რომ აქ დასახელებულ საბადოებზე დაკრძნობით „აქარის ტერიტორიაზე არსებობდა მეტალურგიული წარმოების ორი ლოკალური რაიონი, ორი ძირითადი კერა, სხვა მცირე სახელოსნოები: ერთი — კოროხ-აქარის წყლის ქვემო წელზე და ბათუმის ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ადგილებში, მეორე — ქობულეთის დაბლობზე მდ. კინტრიშის და ჩაქვის წყლის აუზსა და მის მასლობელ ადგილებში.¹⁶⁶

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმავე აქარის ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც ერთაანი ძველი მესხეთის შემადგენლობაში შედიოდა, ამასთანავე არსებობდა მეტალურგიული წარმოების კიდევ არაერთი, ლოკალური რაიონი, უნდა ყოფილიყო უძველესი მეტალურგიული წარმოების უაღრესად საყურადღებო კერები.

იმასათვის, რომ აქ აღნიშნული ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, ჩვენ აქ საქართველოდან სადღეისოდ მოწყვეტილ ართვინის დიდი მეტალურგიული ტრადიციების ნათელსაყოფად მოვიტანთ უტყუარ ჰაარქივო დოკუმენტებს, რომელიც XIX ს 80 — 90-იან წლებიდან ამ მხარეში განახლებული მეტალურგიული წარმოების მდგომარეობას შეეხება. ამ საბუთებით კოროხის ხეობის და ართვინის მხარის ბრინჯაოს წარმოების ძველი მეტალურგიული ტრადიციები პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამკვდარია თურქი დამპყრობლებს შემოსევათა გამო. აქ მეტალურგიული წარმოება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყებს რა აღორძინებას, ამიერიდან ძველთაძველი საბადო კვლავ აღდგა და ექსპლოატაციაში იქნა შეყვანილი. ამიტომ, გეოლოგები მხოლოდ ერთი აზრისანი არიან, როცა თავიანთ ანგარიშებში წერენ, რომ «В Артвинском округе, изобилующем месторождениями меди». აღნიშნულს ახალი ფაქტები ამტკიცებენ.¹⁶⁷

¹⁶⁵ А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. зс. გვ. 44 — 47.

¹⁶⁶ დ. კ. ო. რ. ი. ძ. ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 124.

¹⁶⁷ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ცნობებით ართვინის ოლქის წიაღისეული საბადოები, რომელთაგან ცარიზმის დროს ზოგი უკვე ექსპლოატაციაში იმყოფებოდა, შემდეგია:

რა თქმა უნდა, აქ მოტანილი ართვინის წიაღისეულ სიმდიდრეთა დასახელება არაა ამომწურავი და იმდროინდელი საძიებო გეოლოგიური ტექნიკის გამომხატველია, მაგრამ იგი სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ უარყოფით პროფ. იესენის წარმოდგენა კავკასიისა და, კერძოდ, ამ მხარის უძველეს საბადოთა რაოდენობის შესახებ. მაგ., ა. იესენი ფიქრობდა, რომ «Всего на Кавказе включая ныне Турецкий Чорохский край числилось 410 медных месторождений» «в группе Аджарской, Чорохской, вместе 110».¹⁶³ სინამდვილეში კი მხოლოდ ართვინის ოლქშია 323 ასეთი საბადო აღრიცხული. რა თქმა უნდა, ა. იესენის ცნობა უზუსტოა და მოტანილი ახალი მასალებით უნდა გასწორდეს.

ართვინის მიდამოებში არქეოლოგ კ. ბიტელის მიერ ნაპოვნი გვიანი ბრინჯაოს იარაღები ტიპიურია და ასეთი აღმოჩენები თვით ავტორისავე განცხადებით სისტემატური ხასიათისა ყოფილა ამ მხარეში. იგი წერს: „კავკასიაში მდიდარი მადნეულის საბადოების წყალობით: ჩვენ ვპოულობთ ბრინჯაოს ბრწყინვალე კულტურას. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელობა ართვინში აღმოჩენილი იმ არქეოლოგიური ნაშთისა, რომელიც ჩვენ მივიჩნიეთ როგორც მადნეულის ოსტატის მასალა“.¹⁶⁹ ამრიგად კ. ბიტელიც კი ართვინის განძს კავკასიას და საქართველოს უკავშირებს.

ჭოროხის აუზის უძველესი მეტალურგიული ტრადიციები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩაახშო თურქ-დამპყრობთა ამ მხარეში მძლავრობამ, როგორც ითქვა, ახალ საფუძველზე იწყებს აღდგენას. XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში შეიქმნა კავკასიის სპილენძის დამამუშავებელი საზოგადოება, რომლის უმთავრეს ბაზად ართვინის ოლქი იქცა. ამოქმედდა სპილენძის უძველესი, ცნობილი საბადოები, როგორცაა ძანძელის, ჭინკათხევის, მამწვარას, ნაფუზრე-

მარგანეცის საბადო	74 ვერცხლის	საბადო	33
ტყვიის	69 მარმარილოს	"	1
თუთიის	35 ოქროს	"	35
გრაფიტის	40 ნახევარმეტალის	"	49
სპილენძის	—323		

იხ. საქართველოს ცენტ. სახ. არქივის ფონდი 264/97, საქ. 1131, ფურც. 38 — 44 რეგ. შტეინის ანგარიში.

¹⁶⁸ A. A. Иессен, Из истории древней металлургии Кавказа, 1935, გვ. 3.

¹⁶⁹ კ. ბიტელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები (ენიშქის მოამბე, ტომი II, გვ. 257—266, 1938, თბილისი), ჭარბულად თარგმნა ს. ჟიჟიაშვილმა.

ვის, სოსვენის, ლომაშენის, ზედა და ქვედა ბოგნარის, სოფ. პოროსეთის, ირსას, კვარცხანას, ხოდის, ბერთას და სხვ.¹⁷⁰

დასახელებულ მოქმედ საბადოებზე მუშაობის პროცესში, როგორც ამას სამთო ინჟინერ შახ-გული მირზას 1901 წ. ანგარიშიდან ვტყობილობთ, «Часто встречаются старые выработки, в которых находят иногда еще оставленные старинные инструменты»¹⁷¹.

ჩვენ არ ვიცით რა სახის „ძველ იარაღებს“ პოულობდნენ მაშინ, მაგრამ, საფიქრებელია, რომ აქ ძველი კოლხი მეტალურგების ბრინჯაოს საწარმოო იარაღთან უნდა გვექონდეს საქმე. სამთო ინჟინერი შახ-გული მირზა 1901 წ. თავის სხვა ანგარიშში სხვათა შორის გვაუწყებს: «По всему округу довольно часто встречаются отвалы от старых работ. Видно, что в прошлые века горнопромышленники брали руды с выходов месторождений и тут же плавил их примитивными способами на черную медь». (იხ. დასახელებული ანგარიში). მადნის სიმრავლესთან ერთად აქ დამახასიათებელია მისი თავისებური, დამუშავებისათვის მეტად ხელსაყრელი განლაგება, რომლის შედეგად პრიმიტიული იარაღებითაც კი თავისუფლად შეეძლოთ მადნის მოპოვება. შახ-გული მირზას ცნობით, ძანძულის საბადოებსა და ჭინკათხევის საბადოში «Древние работы коренных жителей края шли по сравнительно мягкой жиле, более богатой медью в отдельных небольших кусках, который как исключение бывало до 25 % меди».

«Самая богатая часть это — верхняя. Тут вся масса является проникнутой жилами, прожилками и вкрапленностями медной руды». და დასასრულს დასძენს «В долине р. Чорохи и ее притоков обильно наделены полезными ископаемыми, особенно медными рудами».¹⁷²

მოტანილ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, უაღრესად საყურადღებო სურათი იხატება იმ შორეული ისტორიული რეალური ვითარების აღსადგენად, რომლითაც ხასიათდებოდა ართვინის სამეურნეო ცხოვრება, მისი ბრინჯაოს პერიოდის მეტალურგია, რომელიც სპილენძის უაღრესად მდიდარ, ზედაპირულად კარგად გამოვლენილ საბადოებს ეყრდნობოდა. სწორედ ამიტომ, ჰოროხის აუზი იბერიულ-კოლხურ ერთიან სამყაროში უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ისეთ გეოგრაფიულ ადგილს, სადაც ხდებოდა იბერიულ-მესხური და კოლხური უმდიდრესი კულტურული ტრადიციების სინთეზი, ამასთანავე იგი წარ-

¹⁷⁰ იხ. საქ. ცენტ. საისტ. არქ. ფონდი 264/97, საქ. 4452, 1131, ფურ. 42.

¹⁷¹ საქართველოს ცენტ. არქივის ფონდი, 264/97. საქ. 3694.

¹⁷² იქვე.

მოადგენდა ამ კულტურულ-ეკონომიური გარემოს ერთგვარ მასაზრდო-ებელ ისტორიულ სათავესაც. თრიალეთური ძველი სამყაროს დიდ ყორღანების ბრწყინვალე კულტურის შემოქმედად ქართულ-ზანსურ ცნობებია აღიარებული (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე).

არტანუჯი, ტაო-კლარჯეთი, სამსხე, აჭარა ფეოდალურ ქრისტიანული კულტურის აკვნად შემთხვევით კი არ გამსდარა, არამედ ამისათვის პრეკრისტიანული წარმართული ხანიდანვე მომდინარე ისტორიული ტრადიციები არსებობდა; შეიძლება ამიტომ ანიჭებდა ნ. მარც არტანუჯს არქეოლოგიურად საქართველოს ისტორიისათვის ისეთსავე მნიშვნელობას, როგორც ნაქალაქარ ანისის სომხეთის ისტორიისათვის. ყოველივე ამას კი დასაბამს აძლევდა ძვ. წ. XII—XI საუკუნეთა მიჯნაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი კოლხურ ტომთა მსხვილი გაერთიანება, რომელიც „კოლხას“ და „კულხას“ სახელითაა ცნობილი.¹⁷³

ბიტელი ართვინში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების — კოლხური ცულების, თოხების, სეგმენტური იარაღების, შენადნობთა ზოდების და სხვათა ადგილსამყოფელის დახასიათებისას დასინჯნს, რომ ეს საგნები უძველეს მალაროში უპოვნია, სადაც ხდებოდა სპილენძის ნედლეულის მოპოვება, ასევე წარმოება. ბიტელი წერს: „ეს ნივთები ნაპოვნია მალაროს შიგნით — თაროზე. მალაროს აქვს პატარა ნაპრაღი. ერთი ნივთი მალაროს კარის წინ არის ნაპოვნი, ხოლო დანარჩენი მალაროს შიგნით. მალაროს მიდამოებში იმყოფება ციხე. არსებული გადმოცემით, ეს ციხე აუგია ერთ ქართველ ქალს, რომელსაც თამარ დედოფალი რქმევია. გლეხების თქმით, ამგვარი ნაშთები კიდევ მოიპოვება.“¹⁷⁴ აშკარაა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ბრინჯაოს წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერასთან.

საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ჯერიტორიიდან ძველი კოლხური ბრინჯაოს წარმოების დამადასტურებელი ძეგლები ართვინს გარდა მიკვლეულია ორდუსა და ყარსის მიდამოებში.

ლაზისტანში მოგზაურობის დროს ნ. მარც უნახავს ბრინჯაოს კოლხური ცული.¹⁷⁵

კოლხური ბრინჯაოს წარმოებისათვის დამახასიათებელ ორდუს განცხ სტეფ. პრევეორსკიმ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა.¹⁷⁶

¹⁷³ გ. მელიქიშვილი, «Напри—Урарту», Тбили., 1954: მისივე, К истории древней Грузии..., გვ. 181—186.

¹⁷⁴ კ. ბიტელი, დასახელებული შრომა, გვ. 257.

¹⁷⁵ Н. Я. Марр, Из поездок в Турецкий Лазистан, «Известия Академии наук», т. IV, серия VI, 1910.

¹⁷⁶ Stef. Przeworski, den Cnottefund von Ordu Archiv orientali VII, Praha, 1935, გვ. 58.

რომელშიაც ორდუს განძს ძვ. წ. XII საუკუნით ათარილებს. ართვინის ეგლს კ. ბატელი ძვ. წ. II ათასეულის შუა ხანით ათარილებს.¹⁷⁷

თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ამ ტერიტორიაზე ასეთი შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს ძეგლები და განძები ართვინისა და ორდუს მიდამოებში, ისე როგორც სხვა ადგილებში, უდავოა. სხვათაგან ბევრი უნდა იყოს, მაგრამ ამ ძეგლთა შესწავლის შესაძლებლობას ქართული არქეოლოგია სადღეისოდ მოკლებულია.

რახე მეტყველებს ყოველივე აქ აღნიშნული? იგი ახალი მასალებით ადასტურებს მეცნიერებაში კარგა ხნის წინათ უკვე აღიარებულ ჰემმარიტებას, რომ ჰოროხისა და კინტირის ხეობა — საზოგადოდ აქარა და განსაკუთრებით ართვინის მხარე, წარმოადგენს მეტალურგიის ერთ-ერთ დად აქვანს ადრე ბრინჯაოს ხანიდანვე. ქართული არქეოლოგიური ძეგლით უაღრესად მდიდარ ართვინის მხარის მეცნიერული შესწავლის დრო, როგორც აღინიშნა, ჯერ არ დამდგარა.

საბჭოთა წყობილების პერიოდში აქარის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, როგორც გეგმაზომიერი, ასევე შემთხვევითი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, საყურადღებო მასალა დაგროვდა. ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და გაიზარდა კადრები. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული როგორც რევოლუციამდე. ასევე საბჭოთა წყობილების პერიოდში მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში, მაგრამ ბევრი რამ შესასწავლია.

მაგ., ციხისძირის მიდამოებშივე აღმოჩნდა შესანიშნავი მეტად მდიდარი განძი, რომელთა შორის ოქროს ნივთებიც იყო დაცული. საინტერესოა, რომ ამ კოლექციაში ვსვდებით გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთებსაც და ჭურჭელსაც.¹⁷⁸ ციხისძირშივე ნაპოვნია ბრინჯაოს ზოდებთან ერთად ჩამოსასხმელი ხელსაწყოებიც.¹⁷⁹

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის მიერ 1953 და 1956 წწ. ფიქვნარში, ქობულეთის ზღვისპირა ზოლში, ე. წ. „ნამკედურზე“, ხ. ნოშტარის ხელმძღვანელობით მოეწყო არქეოლოგიური გათხრები. გათხრებმა ძველ კულტურულ ფენებთან ერთად გამოავლინა ძვ. წ. I ათასწლეულის და ასევე მომდევნო პერიოდის საყურადღებო მასალები.¹⁸⁰ სხვა მასალებთან ერთად აღმოჩნდა კერამიკის გამოსაწვავი ღუმელი და იქვე დამზადებული თიხის ქვევრები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყ-

¹⁷⁷ კ. ბ ა ტ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 265.

¹⁷⁸ ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, 1962, გვ. 33.

¹⁷⁹ ნ. ა ხ ვ ლ დ ი ა ნ ი, აქარის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი, ბათუმი, 1958, გვ. 41.

¹⁸⁰ ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, ბათუმი, 1962, გვ. 31—32.

რობენ როგორც საკულტო ძეგლები, ასევე აღმოჩნდა დოქები, ჯამები და სხვ. ფრაგმენტები, თიხის რქისებური სადგარებით, რომლებიც დაცულია ბათუმის მუზეუმში. ჭაროხის აუზსა და კინტრიშის ხეობის კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1942 და 1948 წწ. ურეკის არქეოლოგიური გათხრები.¹⁸¹ ურეკსა და ხუცუბანში აღმოჩენილი შუბები ტიპოლოგიურად ზედმიწევნით გვანან ერთმანეთს. ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან როგორც დამზადების ტექნიკით, ასევე ადგილმდებარეობითაც.

ნ. ბერძენიშვილს მიზნად ჰქონდა დასახული მისივე ხელმძღვანელობით, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან ერთად, საფუძვლიანად შეესწავლა აჭარის არქეოლოგია. წამოწყებულ იქნა გათხრები ციხისძირში, ბათუმსა და ქობულეთის მხარეში შემავალ მთელ რიგ უბნებზე. არ შეიძლება დაეკვივებაც კი მასში, რომ ასეთი გეგმაზომიერი და ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევითი მუშაობა, რომელიც ახლა ხორციელდება აჭარაში დიდი წარმატებით დაგვირგვინდება.

3. ადრეული რკინის ხანა

საკაცობრიო საერთო პროგრესისა, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ისტორიაში ლითონის, განსაკუთრებით, რკინის გამოყენებამ ქეშმარიტად რევოლუციური როლი შეასრულა. ამიერიდან „ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა,—ამბობს ენგელსი,—უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში... რკინის წყალობით შესაძლებელი გახდა მემინდვრეობა ვრცელ ფართობებზე, ტყით დაფარული ვრცელი ადგილების გაკაფვა და დამუშავება. რკინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მკრელი იარაღი მისცა, რომელსაც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროს ცნობილი ლითონი.“¹⁸²

ლითონის და, კერძოდ, რკინის დამუშავების ისტორიის მრავალი აქტუალური პრობლემა მთელი თავისი ცხოველმყოფელობით ჭერ

¹⁸¹ Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки. Материалы по археологии Грузии и Кавказа, თბილისი, 1955, ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გვიან ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XI, გვ. 89—125.

¹⁸² ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწ., ტ. II, თბ., 1960, გვ. 374.

კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი; კერძოდ საკითხი იმის შესახებ, თუ სად მიაგნეს და როდის მიეცა დასაბამი, ანდა რომელი ხალხების მიერ იქნა თავდაპირველად წამოწყებული მელითონეობა, დღესაც ბურუსითაა მოცული. მართალია, მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, მელითონეობის უძველესი ცენტრები ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ქვეყნებში უნდა აღმოცენებულიყო თავდაპირველად,¹⁸³ მაგრამ ზედღებებით თუ სად და რომელი ტომების მიერ კვლავ ბუნდოვანებათაა მოცული და პრობლემატურია.

ცნობილი ინგლისელი არქეოლოგის გ. ჩაილდის აზრით: *Сознательное применение металлургии отмечает реальный культурный горизонт, с которого можно было бы начать новый раздел, как это принято в традиционной археологической периодизации*». ¹⁸⁴ ჩაილდი ამასთანავე ცდილობს მოხაზოს ის ადგილები, სადაც ისტორიულად ჩაისახა ეს „შეგნებული მეტალურგია“ და იგი საცხვებით მართებულად ასეთად ძველ აღმოსავლეთს მიიჩნევს. ჩაილდი წერს: «Имеются действительно положительные основания думать, что сознательная металлургия возникла к востоку от Тигра значительно раньше 3000 года до р. х., не раньше 2000 года до р. х. в Ирландии и Богемии и на пять столетий позднее в области Урала и в Китае».¹⁸⁵

საბჭოთა მეცნიერის ე. ჩერნიხის აზრით, თუ ევროპა შედარებით ღარიბია სპილენძის საბადოებით, სამაგიეროდ «Кавказ-Урал обла- дают достаточно мощными богатыми медными месторождениями». მაგრამ ვინაიდან «Наиболее богатыми легкодоступными месторождениями являются, несомненно, З а к а в к а з с к и е...»¹⁸⁶, ამიტომ, ავტორის დასკვნით, ეს გარემოება ძველთაგანვე განაპირობებდა ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებას სწორედ ამ მხარეში.

ძველ აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ ძეგლებზე დამყარებული სპეციალური ლიტერატურა ლითონის წარმოებაში დაწინაურებულ ტომებს შორის წინა აზიისა და კავკასიის უძველეს მკვიდრთაგან ასახელებს ხეთებს, თუბალებს, მუსკებს, ხალბებს და სხვ.; კოლხურ და იბეროულ-კავკასიური შოდგმის ამ ხალხთაგან მუსკებს და თუბალებს, მაგ., ასურელ დამპყრობთათვის ჯერ კიდევ

¹⁸³ Reallixon der Vorgeschichte. III, Eisen, გვ. 62.

¹⁸⁴ В. Г. Чаильд. Археологические документы по предистории науки. журн. Вестник истории мировой культуры, 1957, № 2, გვ. 56.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 56.

¹⁸⁶ Е. Н. Черных, История древнейшей металлургии восточной Евразии, М. 1966, ძველი და უძველესი მეტალურგიული კერების შესწავლას ჩვენთვის მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა როდი აქვს, იგი უშულოდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ შემდგომ წინსვლასთან, მისი მეტალურგიული ბაზის გაფართოებასთან, მისი ახალი კერების დანერგვასთან. შავალითისათვის საკმარისია

ძვ. წ. IX საუკუნიდან მოკიდებული (სალმანაპარ II-ის და ტიგლათპილასარ VII-ის ზეობის დროს) ხარკის სახით ლითონის საკუთარი ნაწარმი უძლევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან ერთად.

ქართველურ (თუბალები, კოლხები, მესხები) ტომთა მეტალურგიაში დაწინაურებაზე ასევე უტყუარ ცნობას გვაწვდის დაბადება (შესაქმეთა IV და წინასწარმეტყველი იზეკიელი XXVII), რომელსაც უფრო მოგვიანებით მხარს უჭერს ბერძნულ-რომაული წყაროებიც. მაგ., ფსევდო არისტოტელე, აპლონიოს როდოსელი და სხვ. ქსენოფონტის ცნობით (ანაბაზისი. V, 5), რომელმაც თავისი თვალთ იხილა ის ადგილები და ხალხები, რომლებზედაც ის წერს, ვტყობილობთ, რომ მელითონეობაში სახელგანთქმული „ხალიბნი მცირერიცხოვანი და მოსინიკების ქვეშევრდომი ხალხი იყო, რომელთა მეტი ნაწილი რკინის მადნების დამუშავებით ირჩენდა თავს.“¹⁸⁷ უფრო მოგვიანებით ამავე ცნობებს იმეორებს სტრაბონი თავის გეოგრაფიაში.¹⁸⁸ ბევრად უფრო ძველი, გვიანი ბრინჯაოს ხანის, ვითარების ამსახველი უნდა იყოს „არაგონავტებში“ დაცული ცნობება ოქროს საწმისისა და სპილენძის რქა-ჩლიქებიან ხაბებზე. როგორც ირკვევა. ზარს მიწათმოქმედებაში იყენებდნენ იმ დროს კოლხეთის მკვიდრნი.

ლითონის წარმოების ეს ძველთაძველი ტრადიციები გვიან ფეოდალურ საქართველოშიაც განაგრძობდა არსებობას და შეიძლება ითქვას იგი არასოდეს არ ჩამკვდარა, მაგალითად, არქანჯელო ლამბერტის მითითებით. იმერეთის მთებში არის კიდევ რკინის მადნები იმდენი, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება და მხოლოდ რკინას იღებს მადნებიდან და ამ რკინისაგან აკეთებს სხვადასხვა ნაელებს.¹⁸⁹

ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურის საქართველოში გაჩენა-დამკვიდრებას ადრე უცხო მხარიდან ხალხთა გადმოსახლებით ხსნიდნენ. მაგ., ი. შანტრი იმ აზრისა იყო, რომ ადრეული რკინის ხანის კულტურა კავკასიაში საზოგადოდ შემოიტანეს სამხრეთ მესოპოტამიიდან მოსულმა ნარევი მოდემის ხალხებმა. რ. ვირხოვის აზრით, კი ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გადასვლა აქ მოხდა თითქო ერთბაშად ძვ. წ. XI—IX სს. შუა აზიის ხალხთა გავლენით. ეაკ დე-მორგა-

ითქვას. რომ ტამიუნტის მახლობლად მოქმედი სპილენძის უმსხვილესი წარმოების ალმოდოსკის და კარამაზარსკის ნახეირადმეტალის საბაოეობი მიკელეული და აღნიჩილ ჩქნა უძველესი დამუშავებას ეგრების მიხედვით, რომელთაც მრავალი საუკუნის წინათ არაბები აწარმოებდნენ. (XI) Н. Коробков, Руководство к изучению древних и старинных рудных разработок. Москва, 1934.

¹⁸⁷ В. Л а т ы ш е в. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, СПб, 1833. გვ. 3.

¹⁸⁸ იქვე: გვ. 158.

¹⁸⁹ ვ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, საქეგარლას . ლწერა, თარგმ. ი. ქეონიასი, 1938, გვ. 190.

ნის შეხედულებით, ბრინჯაოს კულტურა საქართველოსა და კავკასიაში თითქო ჩინეთიდან იქნა შემოტანილი. ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიამ საფუძვლად გაიხადა ქართული კულტურის ადგილობრივი განვითარების იდეა და გააბათილა ამგვარი მცდარი შეხედულებანი. მან დაასაბუთა, რომ ლითონის წარმოების ადრეული ეტაპები ორგანულ-ტიპოლოგიურ კავშირშია იარაღის წარმოების ადრინდელ და მის შემდგომ საფეხურებთან: ამით კი ნათელყო ადგილობრივი მკვიდრი ქართველი ტომების როლი ამ უწყვეტი კულტურის განვითარების საქმეში.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია. ბ. კუფტინის სპეციალური გამოკვლევები, რომლებიც ჯერ კიდევ 30—40-იან წლებში ქვეყნდება და ყოველგვარ ნიადაგს აცლის მიგრაციის თეორიებს; საბჭოური არქეოლოგია მტკიცედ იცავს საქართველოსა და კავკასიაში ადგილობრივი კულტურის უწყვეტი განვითარების იდეას. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ბ. კუფტინის ნაშრომი „К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии“.¹⁹⁰ ავტორი ქართული კულტურის უძველეს კერად სამხრეთ კავკასიას მიიჩნევს და დასძენს, რომ „აღარავითარი საფუძველი აღარ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ამ კულტურის ცენტრები სადღაც შორეულ მესოპოტამიასა და მცირე აზიაში ვეძიოთ. სწორედ სამხრეთი კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც“.¹⁹¹

ივ. ჯავახიშვილი წერილობითი პირველწყაროებისა და არქეოლოგიური (იმ დროს მეტად მცირე) მასალის შესწავლამ მიიყვანა სავსებით მართებულ დასკვნებამდე, რომ „... ქართველურ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საბატიო ღვაწლი მიუძღვით ძველი განათლებული კაცობრიობის წინაშე. რკინის, განსაკუთრებით, ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა. პირველად ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ.“¹⁹²

ეს მოსაზრება თითქო სიცხადით დაადასტურა ამ ბოლო დროს,

¹⁹⁰ საქართველოს საბ. მუზეუმის მოამბე „X X B. თბ., 1944. Б. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 4—5.

¹⁹¹ ბ. კუფტინი. ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ.: 1949, გვ. 37.

¹⁹² ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1928, გვ. 20—21.

მართლაც ხალიბური რკინის მაღალი თვისებების შესახებ ანტიკური წყაროები ბერს საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან. მაგ. სტრუვანე ბიზანტიელის ცნობით, „ხალიბთა ქვეყნიდან გააქვთ რკინა, რომელსაც სიმაგრეს უქებენ“, ფსევდო არისტოტელე კი გვაუწყებს — „მხოლოდ ეს ერთი რკინაა, როგორც ამბობენ. ეხნეს არ იყიდებო“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, ტ. II, გვ. 288).

განათხარ მასალებზე დამყარებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა. ეს გამოკვლევები აღიარებენ, რომ ბრინჯაოსა და რკინის იარაღები ეველთაგანვე მუშავდებოდა ადგილობრივი მღაღარი და ადვილად მოსაპოვებელი საბადოების დამუშავების ბაზაზე, თვით ადგილობრივი ტომების მიერ. სპეციალურ ლიტერატურაში ამასთანავე აღიარებულია ისიც, რომ რკინის იარაღებს წარმოების ტექნოლოგიას ქართველი ტომები ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს და I-ის დასაწყისში დაუფლებიან.

ამ დებულებათა საწინააღმდეგო შეხედულებებია გამოთქმული ცნობილი არქეოლოგის ბ. პიოტროვსკის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში; მაგ., ავტორის აზრით, რკინის წარმოება საქართველოში და ამიერკავკასიაში არ ჩასახულა ადგილობრივი ბრინჯაოს მეტალურგიის ბაზაზე, პიოტროვსკი საქართველოს და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ რკინის და ასევე ხშირად ბრინჯაოს იარაღებსაც კი შემოტანილად მიიჩნევს არა მარტო სამხრეთიდან — წინააზიიდან, არამედ ჩრდილოეთიდან. სკვითეთიდანაც კი. ავტორის რწმენით, თითქოს მცხეთის გათხრებითაც კი მტკიცდება, რომ იქ ნაპოვნი ლითონის იარაღები დაკავშირებულია — „... с одной стороны со скифами, а с другой — с урартами . . . », რომ მცხეთაში « . . . еще во время раскопок Ф. Байерна в могиле № 592 был найден бронзовый наконечник стрелы архаического скифийского типа»¹⁹³

ბ. პიოტროვსკი არ კმაყოფილდება აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემთა ამგვარი გააზრებით, იგი დასავლეთ საქართველოსაც ეხება და კოლხურ კულტურას ყობანურს უწოდებს:

«Кимрии двигались по западному Кавказу, по черноморскому побережью, т. е. по той территории, которая была занята однородной культурой бронзового века, кобанской культурой . . . »¹⁹⁴ და სხვ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩრდ. ოსეთის სოფ. ყობანში შემთხვევითმა არქეოლოგიურმა აღმოჩენამ (და შემდეგ გათხრებმა) მართლაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები და ადგილის მიხედვით მას „ყობანური ცულები“ უწოდეს. ამიტომ იყო, რომ დიდხანს, კოლხეთში მოგვიანებით აღმოჩენილ მსგავს ცულებს, ნაცვლად კოლხურისა, ყობანურს უწოდებდნენ. მხოლოდ 1930-იან წლებიდან ჩატარებული კვლევით ნ. ივანჩენკოს, ი. შეშჩანინოვის,

¹⁹³ Б. Б. Пиотровский. Археология Закавказья (с древнейших времен до I тысячелетия до н. э., Курс лекций) М., 1949., გვ. 116-117.

¹⁹⁴ Б. Б. Пиотровский. Археология Закавказья, გვ. 121, უახლოესამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კიმერიელების და სკვითების შემოსევა საერთოდ არ შეხებია კოლხეთის სამეფოს. (იხ. თ. მიქელაძის საღოტროლო დისერტაციის ავტორეფერატი, 1969, გვ. 91).

ა. იესენის, პ. უშაკოვის, ს. ჯანაშიას, ბ. კუფტინის და სხვ. მიერ დასაბუთებულ იქნა, რომ ყობანის კულტურა გეოგრაფიული გავრცელებითაც და წარმოქმნითაც კოლხური ბრინჯაოს კულტურაა არსებითად.

ს. ჯანაშია, ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როცა არქეოლოგიური მასალა მეტად მცირე რაოდენობით იყო მოძიებული, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინაო ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა.“¹⁹⁵ ბიოტროვსკის მოსაზრებას, როგორც დავაწმუნდით, ეწინააღმდეგება ქართული არქეოლოგიურა მასალა, მისი უამრავი ძეგლები და მათ შორის ხუცუბნის სამაროვანთა ბრინჯაოს და რკინის იარაღთა მდიდარი კომპლექსიც.

ადრე ფიქრობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოდან „ადრეული რკინის ნივთების შემცველი კომპლექსები ძალზე მცირეა, განსაკუთრებით კი მისი სამხრეთი რაიონებიდან, სადაც როგორც ჩანს, რკინის წარმოება ჩრდილოეთთან შედარებით უფრო ადრე ჩაისახა და სწრაფი ტემპითაც განვითარდა“.¹⁹⁶ ასეთ პირობებში აპარისა და, კერძოდ, კინტრიშის ხეობის ადრეული რკინის ხანის ამსახველი ძეგლების გამოვლენას, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობა ენიჭება.¹⁹⁷

რკინის წარმოების დაწყების ერთ-ერთ ცენტრად ქვემო ქართლის ტერიტორიას თვლიან (ბეშთაშენის სამაროვნები და სხვ.) და იქ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით რკინის წარმოების დასაწყისად ძვ. წ. XIV ს. მიიჩნევენ.¹⁹⁸ მათი აზრით, „ძვ. წ. XII—XI საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე რკინის ფართო ათვისების ხანა იწყება.“¹⁹⁹ მაგრამ კოლხეთში საერთოდ, კერძოდ ჩვენს გათხრილ მასალათა მიხედვით, რკინის ათვისება, ძ. წ. XIII საუკუნისათვის უნდა იწყებოდეს. თამაზად

¹⁹⁵ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, გვ. 240.

¹⁹⁶ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მეზეუმის მოამბე, XXIII, თბ., 1961, გვ. 294.

¹⁹⁷ ი. სიხარულიძის ნაშრომში „აპარის მატერიალური კულტურის ძეგლები“ რკინის ხანაზე მსჯელობისას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არსებითად ლაპარაკია მხოლოდ ხუცუბანში ჩვენს მიერ მიკვლეულ რკინის უბზე და მახვილებზე, როგორც ადრეული რკინის ხანის ძეგლებზე; მოგვიანებით ი. გველიშვილის ხელმძღვანელობით მიკვლეული იქნა მრავალი რკინის სადნობი ს: ხელოსნო: ავტორის აზრით, „აპარის ტერიტორიაზე რკინის ხანის იარაღების სიმცირე მიწაში რკინის სწრაფი ენაგვა-შლით უნდა აიხსნას“ (იხ. გვ. 16). მაგრამ, ჩვენის აზრით, მხოლოდ ეს არ არის არსებითი. აპარში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ადრეული რკინის ხანის შემცველი კომპლექსების სიმცირე, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ რაიონებიდან, მხოლოდ ამ მხარის არქეოლოგიურად შეუსწავლელობით, ან სუსტად შესწავლით შეიძლება აიხსნას.

¹⁹⁸ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

¹⁹⁹ იქვე, გვ. 356. რკინის ათვისების ხანად ჩვენის აზრით ძვ. წ. X ს. შემდგომი ეპოქა შეიძლება იყოს.

შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთი ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების უძველესი კლასიკური ქვეყანაა და ამიტომაც სავსებით ბუნებრივია ის ფაქტი, რომ აქ აღრე გაიფურჩქნა რკინის იარაღების წარმოება, რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღთა კეთება. რკინის ათვისება-გამოყენება საფუძველი ხდება ძველი თემური სოციალურ-ეკონომიური წყობის რღვევისა და საზოგადოების კლასებად დაყოფისა; ამიერიდან იწყება ქალაქების ჩასახვა და საქალაქო ცხოვრება, ჩნდება ხელოსნობის ახალი დარგები და ძლიერდება ვაჭრობა, რაც აღმავებს საზოგადოების კლასობრივ ანტაგონიზმს და მისი ზრდის საფუძველზე კი ყოველგვარი პირობები იქმნება (მზადდება) სახელმწიფოს, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანოს, ჩამოყალიბებისათვის.

ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დიდ წარმატებებს მიაღწია, საერთოდ, ლითონის და, განსაკუთრებით, რკინის მეტალურგიული ცენტრების მიკვლევისა და მეცნიერულად შესწავლის საქმეში; მან ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ ლიტერატურულ წყაროებში შემონახული საამისო ფრაგმენტული ცნობები ნივთიერი არქეოლოგიური მონაცემებით გაამდიდრა.²⁰⁰

უძველესი ისტორიული წყაროების თითქმის ამომწურავი შესწავლის შედეგად და საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მეცნიერებაში უკვე საყოველთაოდ განზტკიცდა აზრი, რომ ქართველურ ტომებს რკინის მადნეულობის აღმოჩენასა და მისი დამუშავების საქმეში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით. „რკინის, განსაკუთრებით ფოლადის, მომზადებაც ბერძნებს, როგორ ეტყობა, პირველად ქართველი ტომებისაგან შეუსწავლიათ“.²⁰¹ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ფოლადის ბერძნული სახელიდანაც ჩანს: „ხალვიფს, ხილივბდიკოს“ ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო.²⁰²

ძვ. ბერძენი მწერლები ხომ თვითონვე აღიარებენ, რომ საუკეთესო ხარისხის სპილენძის, რკინისა და ფოლადის ნივთები სწორედ

²⁰⁰ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. XXII—B, გვ. 293—382, ტაბ. 20. ასევე კოლექტიური ნაშრომი საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, (გობეჯიშვილი, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისები, „საქართველოს არქეოლოგია“, გვ. 213), იხ. გველიშვილის მთელი რიგი ნაშრომები და სხვ.

²⁰¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ: 1, 1913. გვ. 79.

²⁰² იქვე.

კოლხეთიდან გაჰქონდათ. ივ. ჯავახიშვილი იქვე დასძენს, რომ თითბრის სახელები ზოგიერთ ევროპულ ენაში, მაგალითად, გერმანულად Messing (ასევე ანგლოქსაქსურად, პოლონურად და სხვ.) მოსიენე, ანუ მოსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. ირკვევა. მოსინიკები თითბრის განთქმული ხელოსნები ყოფილან. ამ მადნის სახელი „თითბერი“ ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთ-ფერი“-ს, ე. ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართ. თთუეი) ფერ მადანს.²⁰³

ქართველი ხალხის ამ საყოველთაოდ სახელმძოვნილი მეტალურგიული კულტურის დაწინაურებაში დიდი როლი შეასრულა სამხრეთ საქართველომ; მაგ. კოროხის ხეობა არა მხოლოდ ბრინჯაოს, არამედ ასევე რკინის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და დაწინაურებული კერა უნდა ყოფილიყო რიონის, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობასთან ერთად.

ბ. მარის აზრით, მდ. კოროხის აუზში და არა რიონზე, მოსახლეობდა, როგორც ჩანს, ტომი, რომელმაც შექმნა ძველი კოლხიდა. კოლხეთის მეტალურგია,²⁰⁴ რაც ცალმხრივად ასახავს სინამდვილეს ბ. მარის აზრს იზიარებს, იესენი, იგი წერს: „По данным Страбона только Месхи могут быть отнесены к территории Закавказья и со значительной долей вероятности, областью их распространения следует признать район Аджаро-Чорохской группы медных месторождений и древних разработок».²⁰⁵

ბ. მარის დაკვირვებით ქართული სიტყვა რკინა „კინა“ ჰანებისა და ლაზების სატომო სახელწოდების გამომხატველი უნდა იყოს, რომელთა შესახებაც ცნობა ბიბლიას შემოუენახავს „თუბალ კინის“ სახით და ასახელებს მათ ისეთ ტომად, რომლებიც იყვნენ „კვერით ხურო მკედელი რვალისა და რკინისა.“

აქ მოტანილი მოსაზრებანი ემყარებრდა მხოლოდ აღმოსავლურ და ბერძნულ-რომაულ წყაროებს და არა არქეოლოგიურ მონაცემებს. მაგალითად, ძვ. წ. IX ს. ლურსმული დამწერლობის ასურულ ძეგლებში მოხსენიებულია გადასახდელ ლითონზე და გადახდელია ქაროველი ტომები — მეშენი და ტაბალები. კერძოდ, ცნობილმა დამპყრობელმა სალმანასარ მეორემ ძვ. წ. 837 წელს ტაბალების ქვეყანას სხვათა შორის ხარკად დაადო „ვერცხლი, ოქრო, ტყვია, თითბერა და რკინა“.

დაბადების I წიგნში (შესაქმეთა ე. 22) დატულია ცნობა, რომ მკედლობა ტაბალების მოგონილი ხელობა იყო;

²⁰³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1913, გვ. 79.

²⁰⁴ იხ. „სამაჰმადიანო საქართველო“, კრებული, 1915, გვ. 27.

²⁰⁵ A. A. Иессен, Из истории древн. мет. Кавказа, გვ. 198—199.

ანტიკური ხანის ძველ ბერძნულ ლიტერატურულ წყაროებში ფართო მხარდაჭერას პოულობს იეზეკიელის (ძვ. წ. VI საუკუნის) ცნობა ქართველ ტომთა—თობელისა და მოსოხთა მიერ ფინიკიაში მათი ლითონის ნაწარმის სავაჭროდ გატანის შესახებ. მაგ., ფსევდო არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.) ეხება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომის — ხალიბის სამეურნეო საქმიანობას, მათ დიდ წარმატებას რკინის მოპოვების საქმეში და წერს: „გად-ეოგვეცემენ ხალიბური და ამისური რკინის სრულიად თავისებურ წარმოებაზე... მათი რკინა ბევრად სჯობს სხვებისას“ და სხვ.

მომდევნო პერიოდის მწერალ აპოლონიოს როდოსელთან ვტყობილობთ, რომ რკინის მოპოვება ხალიბების პროფესიულ საქმედ ქცეულა. იგი წერს. „ხალიბები... არც მიწას ამუშავებენ ხარებით, არც რაიმე ტკბილ ნაყოფს აშენებენ, არც ჯოგები ძოვენ ნამიან საძოვრებზე, თხრიან რა რკინის შემცველ მძიმე მიწას, ისინი ცვლიან მას (რკინას) საზრდოზე, არასოდეს არ დგება მათთვის დილა ახალი შრომის გარეშე. შავ ქვარტლსა და ბოლში ასრულებენ ისინი თავიანთ მძიმე სამუშაოს.“

ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიამ, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული გათხრებით სამუშაოების საფუძველზე, ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ წერილობით წყაროებში მოცემული ცნობები. ქართველ ტომთა რკინის მეტალურგიის დიდი ტრადიციებას შესახებ, ნივთიერ-არქეოლოგიური აღმოჩენებით დაადასტურა. მაგ., ითხვისის არქეოლოგიური გათხრების დროს ლითონის დამუშავების კერებთან მარგანეცის დამუშავებული ფენისა და მასალის აღმოჩენამ დაბადა არც თუ საფუძველს მოკლებული ჰიპოთეზა, რომ კიათურის მარგანეცის ათვისება სახელგანთქმული ხალიბური ფოლადის მისაღებად კოლხი მელითონეების მიერ ზედმიწევნით ადრეულ ისტორიულ ეპოქაში უნდა დაწყებულიყო.

ითხვისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით აქ აღმოჩენილი სახელოსნოების — ლითონის სადნობი ქურებისა და უამრავი ქვის უძველესი როდინებისა და დოლაბების შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია სავარაუდო ხასიათის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ანტიკური ხანის, ოსტატები — ხალიბები მტკიცე ფოლადის მისაღებად მარგანეცის მადანს ხმარობდნენ“ და ამ უკანასკნელის წარმოების ერთ-ერთი დიდი კერა ითხვისში უნდა ყოფილიყო.²⁶⁰

ამრიგად მარგანეცის გამოყენების ცდა ხარისხოვანი ფოლადის მისაღებად კოლხი მეტალურგების ისტორიულ ტრადიციად შეიძლება

²⁶⁰ გ. წერეთელი, ითხვისი — ნაქალაქარი, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, 13 ივნისი, № 24.

ჩაითვალოს. ჩანს ეს ცოდნა და პრაქტიკა დიდხანს ხალიბთა მონოპოლიად რჩებოდა, რომელსაც ძველი ბერძნები ნატურის თვალთ შეჰყურებდნენ და ვერ გაეგოთ ამ ცოდნის საიდუმლოება. ეს ფაქტი, ჩვენის აზრით, თავისებურად აისახა თითქო ქართულ ამირანიანში.—ამირანის ხმლის წრთობასთან დაკავშირებულ თქმულებაში.



4. კოლხური რკინის საღნობი ქურა-სახელოსნო (რეპროდუქცია).

არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მონაპოვარს ძველ წერილობით წყაროებთან ერთად ქართველურ ტომთა მაღალი მეტალურგიული კულტურის, კერძოდ ხარისხოვანი ხალიბური ფოლადის წარმოების საქმეში, კარგად ადასტურებს ქართული ეთნოგრაფიული მასალა. ეთნოგრაფი ნ. რეხვიაშვილი თავის მეტად საყურადღებო ნარკვევში „წედური ფოლადი“ აღნიშნავს, რომ „რკინის ტექნოლოგიური დამუშავების ფრიად საყურადღებო წესი. — რკინის მადანში შავი ქვის შერევა ფოლადის მისაღებად — სარკინეთის სინამდვილეში, საფუძვლიანად სცოდნიათ და ამ ხერხს „რკინის-კაცები“ საკმაოდ ყოფილან დაუფლებულნი“. ავტორი მდიდარი ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ „რაჭაში“, სარკინეთში დამოწმებული ფოლადის დამზადების ხსენებული ხერხი უცილობელს ყოფს, მ დებულებას, რომ საუკეთესო ხარისხის რკინა-ფოლადის დამზადება ძველ ბერძნებს ქართველურ ტომთაგან შეუთვისებიათ.²⁰⁷

თვით ბერძენი მწერლის ფსევდო-არისტოტელეს (IV ს. ძ. წ.) აზრით, ხალიბური ფოლადის მაღალტექნოლოგიური თვისებების საიდუმლოება მასში მდგომარეობდა, რომ იყენებდნენ ქვიშას, რომელიც აქ მდინარეს ჩამოაქვსო. მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს

²⁰⁷ ნ. რეხვიაშვილი, წედური ფოლადი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაპე, ტ. IV, № 8, 1943, გვ. 834.

ზღვისპირეთის მიდამოების მაგნეტიტის ქვიშა, რომელსაც ასევე ფართოდ იყენებდნენ კოლხეთის მკვიდრნი სარისხოვანი ლითონის დასამზადებლად.



ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია კერძოდ ადრეული რკინის ხანის და საერთოდ რკინის წარმოების ცენტრების შესწავლის საქმეში.

რკინის მეტალურგიაზე გადასვლით, მართალია, იწყება რკინის ხანა, მაგრამ რკინა გვიან ბატონდება. ადრეული რკინის ხანის საგნები, მისი ზოდებიც კი ჩვენ აჭარის სინამდვილეშიც გვიანი ბრინჯაოს კომპლექსში შერევით გვხვდება, რაც იმას ადასტურებს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს რკინის წარმოების დასაწყის სტადიასთან და ორი ხანის — ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალ პერიოდთან, რომელიც თავისი სოციალური შინაარსით ნიადაგს ამზადებდა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

ახლად მიკვლეული არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება, რომ აჭარა და საერთოდ ქოროხის ხეობა რკინის მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ყოფილა უძველესი დროიდანვე. ამას ადასტურებს ამ ადგილებში რკინის სადნობი ქურების აღმოჩენა და იქვე დამზადებული სამეურნეო და საომარი რკინის იარაღები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აქ რკინის იარაღებთან ერთად ვხვდებით ბრინჯაოს იარაღებსა და საგნებს, ანუ გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელ ნივთებს.

1944 წელს ხუცუბანში აღმოჩენილი ძეგლი სწორედ გვიანი ბრინჯაოდან ადრეულ რკინის ხანაზე გარდამავალ პერიოდს განეკუთვნება აჭარის სინამდვილეში, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. II ათასეულის დასასრულით და I ათასეულის დასაწყისით თარიღდება. ამდენად ხუცუბნის ძეგლი ჩვენ გვეხმარება სწორედ ამ გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგი კანონზომიერების დადგენაში.

არქეოლოგები განასხვავებენ ადრეული რკინის ხანას რკინის ფართოდ ათვისების ხანისაგან და, საკვებით მართებულად, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ადრეული რკინის ხანის დამახასიათებელი ნივთები ნაკეთებია ადგილობრივი გვიანი ბრინჯაოს მიხედვით, რომლებიც ურთიერთთან გენეტიკურ-ტიპოლოგიურადაა დაკავშირებული ისევე, როგორც ეს ნეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანის იარაღთა წარმოებაში შეინიშნება.

რკინის აღმოჩენისა და ათვისების დაწყების მტკიცება მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით, მისი წარმოების კვალისა და ნივთიერ-არქეოლოგიურ მონაპოვართა გამოკვლევის გარეშე ცალმხრივია; მკვიდრ საფუძველს ჰქმნის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის ისეთი ვითარება, როცა ლიტერატურული წყაროები და არქეოლოგიური გათხრებით მონაპოვარი ნივთიერი მასალა შესატყვისობაშია და ერთმანეთს ავსებენ. ამ უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე საქართველოს სინამდვილეში რამდენადმე სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბრინჯაოსა და რკინის წარმოების შესწავლის საქმეში. თუმცა ეს საქმე ჯერ მაინც დასაწყის სტადიას არ გასცილებია.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიციებმა ზუთი წლის მანძილზე (1959—1963 წწ.), დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში ძვ. წ. X—VII სს.- 100-მდე რკინის წარმოების ქურა-სახელოსნოს ნაშთი აღმოაჩინა, ხოლო ამათგან რამდენიმე პუნქტში გათხრებიც ჩატარდა. მაგ., ქობულეთის რაიონის ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის, სოფელ ლედვასა, სოფ. ცეცხლაურსა, სოფ. კვირიკესა, ბათუმის რაიონის კარნალის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე და სხვ. გათხრებს ი. გძელიშვილი ხელმძღვანელობდა.²⁰⁸

ამ ადგილებში არქეოლოგიური გათხრები მიზნად ისახავდა რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების შესწავლას; წინასწარი ანგარიშით გამოირკვა, რომ ლედვას ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქურა-სახელოსნო უძველესია და თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. რაც შეეხება ჯიხანჯურსა და კარნალში აღმოჩენილ ქურა-სახელოსნოებს, ისინი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებისაა. გამოირკვა, ისიც, რომ რკინის გამოდნობა სანახევროდ მიწაში მდგარ ქურებში ხდებოდა და ნედლეულად იყენებდნენ ადგილობრივ ცეცხლგამძლე თიხას და მაგნეტიტურ ქვიშას, რომლითაც მეტად მდიდარია საქართველოს ზღვისპირეთის ეს მიდამო.

ი. გძელიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა გათხრებმა (რამდენადაც წინასწარ მონაცემებზე შეიძლება დაყრდნობა) გამოარკვია, რომ ჩოლოქის ხეობაში, ძველი კოლხეთის შემადგენელ ამ მხარეში, რკინის გამოდნობის საიდუმლოებას მეტად ადრე, სამი ათასი

²⁰⁸ ი. გძელიშვილი, ქართველთა წინაპრები—რკინის უძველესი მეტალურგიის პიონერები. იხ. უფრ. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 4, აპრილი, 1963, გვ. 19—22; ი. გძელიშვილი, აპარაში 1960—1961 წწ. აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები, კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, 1, თბილისი. 1964, გვ. 29—42. მისივე Железнодорожное дело в древней Грузии, 1964, გვ. 93—94.

წლის წინათ, გასცნობიან და რკინის წარმოების, მისი გამოღობა-დამუშავების მთელი რიგი უბნები შეუქმნიათ ამ მხარეში. ხუცუბნის მეზობელ სოფლებში ჯერჯერობით ასამდე საწარმოო ქურა-სახელოსნოა გამოვლენილი ჭიხანჭურის, ცეცხლაურის, ლაითურის, ანასეულის, სოფ. ლელვას, ნარუჯას საბჭოთა მეურნეობებისა და სხვ. ადგილებში: მაგ., კოროხის აუზში 1961 წ. დაზვერვის შედეგად, გონიოსა და ჭარნალის მიდამოებში ასევე აღმოჩნდა მთელი რიგი რკინის საწარმოო ახალი პუნქტები.

ნიეთიერი კულტურის ძეგლებზე დამყარებულ ამ ფაქტს უპარესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს უძველესი და საერთოდ კულტურის ისტორიისათვის.²⁰⁹

სპეციალისტების დასკვნით, სენანეთის რკინის საბადო (ქუბერის თემის) ახ. წ. X—IX საუკუნეებში მოქმედ საწარმოდაა მიჩნეული.²¹⁰ ეთნოგრაფმა ნ. რეხვიაშვილმა თავის საყურადღებო გამოკვლევაში დასავლეთ საქართველოს სინამდვილიდან (უმთავრესად რაჭა-ლეჩხუმის მაგალითზე) მიაკვლია რიგი „სარკინეთებისა“, ე. ი. ადგილები, სადაც რკინას აწარმოებდნენ და ცალკე საგვარეულონიც კი „რკინის კაცებისა“ რკინის მოხელეთა, რაც ამ ხელობათ მცხოვრებთ ნიშნავს.²¹¹

რკინის უძველესი მეტალურგიული ცენტრი მიკვლეულია აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში, რკინის საღობი ქურა-სახელოსნოების სახით, — ესენია სოფ. ქვემო ბოლნისის მიდამოები (ძვ. წ. XIII—VII საუკ.), სოფ. ბოლნის-ხაჩინის მახლობლად, რომელთა ძველ შახტებში მიწის ზედაპირიდან

²⁰⁹ ამ ადგილებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობაზე ჩვენს პრესაში დღემდე უმეტესად მხოლოდ საგანთო ინფორმაციული ხასიათის წერილები გამოქვეყნდა. მაგ., И. Гзелишвили, Ценные находки у берегов Чолохи, газ. «Веч. Тбилиси» 6, VI, 60;

დ. ხახუტაიშვილი და ა. ინაიშვილი, ქართული მეტალურგიული კულტურის საყურადღებო ძეგლები, გაზ. „საბჭოთა კურა“, 1962, 25 აგვ, № 170. გაზ. „თბილისი“, 22 V, 1962, № 119;

И. Гзелишвили, Тамара — Центр древнейших поселений (Итоги археологических исследований в Аджарии); ი. გველიშვილი, ჩოლოქის „ნამკედღურის“ ბორცვისა და რკინის ძველი მეტალურგიის საკითხი (გაზ. „ქობ. კომ. მურნე“. № 105, 1959 წ.) 7/IX). „მეტალურგიის უძველესი კერა“, „გაზ. „კომუნისტ“-ტ“, 15 XI, 1957, „საქართველო სამთო წარმოებისა და მეტალურგიის კერა“, გაზ. თბილისი, 30, III, 1959, № 75.

²¹⁰ Б. Е. Деген-Ковалевский, Из истории железного производства Закавказья. По материалам раскопок Чуберской железоплавильни в Сванетии. Известия, ГАИМК. 120. М., 1935. გვ. 333—34.

²¹¹ ნ. რეხვიაშვილი, მკვლელობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 8:

50 მეტრის სიღრმიდან ამოჰქონდათ დასამუშავებლად მადანო ნასოფლარ გონბათის საბადოდან ა. წ. XII—XIII სს.; მადნის გამოსაწვავი და სადნობი დიდი ქურები. სოფ. ხაჩინის და სოფ. ჩაფარისა და თეთრი წყაროს, სოფ. არდისუბანში და სხვა ადგილებში არსებობდა ასევე რკინის უძველესი სადნობი ქურა-სახელოსნოები.

ამ აღმოჩენათა სინათლეზე, რასაკვირველია, ბევრად უფრო სანდო ღდება ძველ-აღმოსავლური და ბერძნული წერილობითი ცნობები და ახლებურად ისმის მთელი რიგი პრობლემები სოციალურ-ეკონომიური განვითარების იმ დიდი აღმავლობის გასარკვევად, რომელიც ქართველმა ტომებმა კოლხეთისა და იბერიის სამეფოების წარმოქმნამდე გაიარეს. როგორც ირკვევა, ყოველივე ეს გაპირობებული იყო საწარმოო ძალების მძლავრი განვითარებით, რომლის წამყვან ელემენტად რკინის წარმოების ესოდენ მრავალი კერა გვევლინება.

ჭოროხის ხეობა კერძოდ, და სამხრეთ საქართველო საერთოდ ისტორიულად უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ისეთ გეოგრაფიულ გარემოს, სადაც ხდებოდა სინთეზი იბერიულ-მესხური და ძველი კოლხური კულტურული ტრადიციებისა. ამასთანავე იგი წარმოადგენდა ამ ორი კულტურული წრის გაერთიანება-შერწყმის მასაზროლებელ ისტორიულ სათავესაც.

ჭოროხის აუზის სწორედ ამ ძველთაძველი მეტალურგიული კულტურის შემადგენელი ნაწილია კინტრიშის ხეობის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ხუცუბნის მიდამოებში 1944 წელს (ხოლო ბევრად უფრო ადრე, გ. კაიკაციშვილის, კომაროვის და ე. თაყაიშვილის მიერ) აღმოჩენილი ბრინჯაოს და რკინის იარაღები, ზოდები, მორთულობისა და საკულტო დანიშნულების სხვა საგნები; ეს ნივთები საყურადღებოა როგორც კოლხური. გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის მეტალურგიის ცენტრებისა და გავრცელების არეთა დადგენის თვალსაზრისით, ასევე ჭოროხის აუზში შემავალ ტერიტორიულ განშტოებათა. და ადგილობრივ მკვიდრი მოსახლეობის მეტალურგიული კულტურული დონის ვასათვალისწინებლად.²¹²

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ფ. ენგელსი ადამიანის სამსახურში რკინის ჩადგომას მიიჩნევს ყველაზე უმნიშვნელოვანესად „ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში“²¹³. კოლხური სამყაროს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური დაწინაურების მკვიდრი საფუძველი იყო ადრეულად აქ განვითარებული ლითონის, კერძოდ, რკინის წარმოება.

²¹² ა. ი. ს. ე. ლ. ა. ნ. ი., საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხთათვის, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950, №2.

²¹³ ფ. ე. ნ. ე. ლ. ს. ი., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 223.

ქობულეთის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ძვირფასი მასალა შეგვძინა კოლხეთში რკინის წარმოების უძველესი კერების, რკინის საწური ძველი ქურების მიკვლევით, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I-ის დასაწყისით თარიღდებიან.²¹⁴

თ ა ვ ი v. სოფ. ხუცუბნის არქეოლოგიური ძეგლები

I. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ხუცუბანში

დიდი სამამულო ომიდან ახლადდაბრუნებული ვიყავი, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობისაგან საპატიო დავალება მივიღე:—ცნობილ მეცნიერებთან ერთად მეც მიმელო მონაწილეობა იმ დროს ერთ-ერთი პირველი რიგის მუშაობაში, რომელიც ითვალისწინებდა რესპუბლიკის მოწინავე ტიპურ კოლმეურნეობათა მონოგრაფიულად შესწავლას. ჩვენ წილად გვხვდა აქარა და აქარის სარკქო კომიტეტთან შეთანხმებით, შევეუდექით სოფ. ხუცუბნის შესწავლას ისტორიულ-ეკონომიური თვალსაზრისით.

1944 წ. აგვისტოში დავიწყე მუშაობა სოფ. ხუცუბანში; ამ მოწინავე საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიკისა და ახალი ყოფის შესწავლის პროცესში, ცხადია, დავინტერესდით მისი ისტორიული წარსულით და განვითარების ისტორიული პირობებით. ჩვენთვის ცნობილი იყო ბექდური ზოგი ლიტერატურული მასალა და XIX ს. პრესაში დაცული მცირე ცნობები, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ხუცუბნის არქეოლოგიურ ძეგლთა აღმოჩენებს შეეხება. ადგილობრივ მოსახლეობაში კი ეს ფაქტი თითქმის დავიწყებული იყო. დავრწმუნდით, რომ ხუცუბნელთ კაიკაციშვილ-კომაროვისეულ აღმოჩენებზე არაფერი ახსოვდათ.

მუშაობის პროცესში არაერთ ხუცუბნელ კოლმეურნეს შევნიშნე შუბლზე გაკეთებული სარდიონის მძივები. როცა შევეკითხე, რა დანიშნულება აქვს ამ მძივებს-თქო, მიპასუხეს: „ეს მძივები შაკიკის (თავის ტკივილის — ა. ი.) წამალია და ვისაც თავი ასტკივდება, გაიკეთებს თუ არა, ტკივილი ესპობაო“. მძივებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, ვიცოდი, რომ ისინი ძველი იყო, დამზადებული სარდიონის ქვისაგან.

²¹⁴ ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საწთო წარმოების და მეტალურგიის უძველესი კერა ბოლნისში, მოხსენების თეზისები, 1959, და მისივე, ქობულეთის რკინის საწური ქურები, გვ. 23—24.

მათ შვეკეთხე. საიდან პოულობთ-თქო, მიპასუხეს: „მდინარე კინტრიშის ნაპირას, ნაურვლის ლელეს შესართავში მდინარისაგან გამოთხრილ მიწაში ვპოულობთ ამ კაკილებს. იგი მდინარეს მოაქვს და რიყეზედაც ვხვდებით“-ო. ამასთანავე ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა დასძინა: „იმ ადგილას სპილენძისა და რკინის დაქანგული იარაღებიც ჩნდება, მაგრამ ისინი ვის რად უნდაო“. ამგვარმა გადმოცემებმა ცხადი გახადა, რომ ეს მძივები და დასახელებული სპილენძისა და რკინის ნივთები უძველეს სამარხთა ინვენტარი უნდა ყოფილიყო. ამ მიდამოებში ჩვენთვის ცნობილი იყო 1881 წ. და უფრო ადრეც არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის ფაქტი, დავინტერესდით და გულდასმით დავათვალიერეთ ეს ადგილი. იქ გარეგნულად არაფერი არ შეინიშნებოდა. მდინარისპირა ძველი სამარხებიდან თითქოს უკვე ყველაფერი განადგურებული და წალეკილი იყო მდინარე კინტრიშისაგან. ერთი შეხედვით ამ ყოვლად უნუგეშო. გარეგნული შთაბეჭდილების მიუხედავად ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ დაგვეზვერა ეს ადგილი, მოგვეხდინა მცირე მასშტაბის საცდელი გათხრა.

ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ „ნაურვალზე“, რომელიც მდებარეობს იქ, სადაც „ურიის ლელე“ მდ. კინტრიშს შეერთვის. აქ იმ დროს არსებულ პატარა წისქვილიდან დასავლეთით ოდნავ ამღლებული ადგილი. იყო. მის აღმოსავლეთით ნაურვლის ლელე მიედინება, ხოლო სამხრეთით — კინტრიში, რომლის ნაპირებზე წითელი აყალო მიწაა და არავითარი კულტურული ფენის კვალიც კი არ შეინიშნებოდა.

1944 წლის 24 აგვისტოს დილიდანვე შევუდექით შოენის გაწმენდას და გათხრას.²¹⁵

გასათხრელი ობიექტის გაწმენდის შემდეგ გავაკეთეთ საცდელი თხრილები 1,5—2 მეტრის სიღრმეზე, რათა სწორი ორიენტირება აგველო გასათხრელი ადგილებისა, დაგვეზუსტებია კულტურული ფენების არსებობისა და განლაგების არე, მდინარე კინტრიშისა და ნაურვალის ლელის შესართავთან დავიწყეთ გათხრა კინტრიშის მარჯვენა ნაპირიდან ჩრდილოეთის მხრით. 10 სანტიმეტრის სიღრმიდან იწყება წითელი აყალო თიხის ღრმა ფენა. პირველი დღის გათხრებმა არავითარი რეალური შედეგი არ მოგვცა. აყალო მიწის თხრას ისიც აძნელებდა, რომ იგი შეკრული იყო მიწაში ღრმად წასული ხეების ფესვებით. მეორე დღეს, კინტრიშის ნაპირიდან 5 მეტრის დაშორებით, 2 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა რიყის ქვიშით გარს შემორტყმული ორმო—სამარხი. იქვე აღმოჩნდა ნახშირის და ნაცრის ფენა, ღამწვა-

²¹⁵ ადგილთა შერჩევა-დაზვერვაში მებმარებოდნენ მამულ მკაენაძე და ხუსეინ სტამბოლიშვილი (იხ. ტაბ. I).

გათხრილ სამარხებში ვიპოვეთ ორნამენტით შემკული და უორნამენტო კურკლის ფრაგმენტები (იხ. ტაბ. VII და XI).

რი რამდენადმე გაფხვიერებული მიწის შავი და ზოგჯერ მოწითალო ფერის მასა, რომელშიაც აქა-იქ ბრინჯაოსა და რკინის იარაღების ფრაგმენტებიც ვრია.

ორმო—სამარხში ნიადაგის ზედაპირიდან 2,5 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა სამარხი, რომელიც ნაგები იყო რიყის ადგილობრივი ქვებით.

ძეგლის გათხრაზე სულ 25 დღე ვიმუშავეთ (10 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე); ყოველდღიურად 7 — 8 მუშით და სულ 8 სამარხი გავთხარეთ. გათხრების შედეგად აღმოჩნდა: ბრინჯაოსა და რკინის იარაღთა კომპლექსი, რომლებსაც თან ახლდა დამახასიათებელი კერამიკა, რკინის რამდენიმე ზოდი და ბრინჯაოს გამდნარი, უფორმო წილები; აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები, შუბისპირები, სეგმენტური იარაღები, ბრინჯაოს ნივთთაგან საყელურები, სამაჯურები, საკულტო საგანი ცის თალის გამოხატულებით, ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები გრეხილი ხაზოვანი მოხატულობით, ბეჭდები და სხვ...

საფლავში ასევე შეგვხვდა რკინის ზოდები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამასთანავე სამარხში აღმოჩენილი ნეოლითური კაჟისა და ობსიდიანის რამდენიმე იარაღი, მათგან ყურადღებას იპყრობს კაჟის ორი შუბის პირი (1960—1961 წწ. ამავე მიდამოებში, როგორც აღვნიშნეთ, აღმოჩნდა ნეოლითის სხვა იარაღიც). აღმოჩნდა დიდი რაოდენობის სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მძივები, მაგ.: სარდიონის, ეგვიპტური პასტის, გიშრის, მინისა და სხვ.; მძივების ფორმებია: მრგვალი, რომბისებური, კონუსური, ბრტყელი, 5 — 6 წახნაგა, ბოლოკვეთილი, ბოლომოუკვეთელი, კასრისებრი და სხვ. სამარხებში ნაპოვნ მძივთა სახეობანი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია (იხ. ტაბ. X). რკინის იარაღთაგან აღმოჩნდა: ისრისა და შუბის პირები; რკინის მშვილდ-საკინძები და სხვა ნაწილები. (იხ. ტაბ. VII და IX). გათხრილ სამარხებში ვიპოვეთ ორნამენტით შემკული და უორნამენტო კურკლის ფრაგმენტები (იხ. ტაბ. II და III).

დანიშნულების მიხედვით ხუცუბნის სამარხთა ინვენტარი შეიცავს:

1. სამეურნეო და საკულტო თიხის კურკელს, 2. იარაღ-საკურეგელს, სამეურნეო იარაღებს, 3. რკინის ზოდებს • და 4. საკულტო დანიშნულების საგნებს.

ამ მასალებით ირკვევა, რომ სოფ. ხუცუბნისა და, საერთოდ, კინტრიშის ხეობის მკვიდრნი ცხოვრობდნენ ისეთ ისტორიულ ეპოქაში, როცა რკინა თანდათანობით ცვლიდა ბრინჯაოს იარაღებს და მისი იშვიათობის გამო, ზოდების სახით, თან აყოლებდნენ საფლავში მელითონე ოსტატებს.²¹⁸

²¹⁸ საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი ღონისძიებებით წარ-

ხუცუბნის მასლობლად ჩოლოქის ხეობაში და მის მეზობელ სოფ-
ლებში. ლედვაში, ჭინანჯურში. ცეცხლაურში და სხვა ადგილებში.
როგორც აღვნიშნეთ. ი. გმელიშვილის მიერ აღმოჩენილია რკინის
სადნობი ქურებით (რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I-ის
დასაწყისით თარიღდება) დასტურდება, რომ ამ ადგილებში ბინა-
რობდნენ კოლხური ლითონის ოსტატები და ფართო მასშტაბით
იყო გავრცელებული რკინის წარმოება. რასაც განაპირობებდა ზღვის-
პირა ზოლში მაგნეტიტის ქვიშის არსებობა. ირკვევა, რომ ლითონის
წარმოების ნედლეულ ბაზად ასევე გამოყენებული იყო სოფ. ცეცხ-
ლაურში დიდი რაოდენობით არსებული ცეცხლგამძლე თიხა, ხოლო
როგორც საწვავი მასალა, ამ მხარის ტყის დიდ მასივებში ოდითგანვე
დაცული ხე-ტყის მაგარი ჭიშები.

ხუცუბანში აღმოჩენილი რკინის ორი შუბი და დაზიანებული
ბრინჯაოსა და რკინის ისრის ფრაგმენტები, კარგად დაძუშავებულ
კაყის ბოლოყუნწიან შუბთან და კაყისავე ქუსლამოღარულ დიდი
ისრის (თუ შუბის) წვერთან ერთად, რომლებიც თავიანთი ფორმით,
განსაკუთრებით კაყის შუბი და რკინის შუბი, მეტად მკვიდრო გე-
ნეტიურ ტიპოლოგიურ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან, საგრძ-
ნობლად ავსებენ ამ ხარვეზს და ამასთანავე მიუთითებენ უაღრესად
არსებითა მნიშვნელობის მოვლენაზე, სახელდობრ მასზე, რომ კა-
ყისა და რკინის შუბთა მწარმოებელი მოსახლეობა ისტორიულად
უწყვეტი ავტოქტონური, არსებითად ერთი და იგივე ეთნიკური ელემ-
ენტია, რომელიც შესანიშნავად აგრძელებს და ინარჩუნებს შუბის
წარმოების ძველთაძველ ეპოქაში შემუშავებულ ტრადიციას სავსე-
ბით ახალ, რკინის ადრეული წარმოების ხანაში (იხ. ტაბ. XXIII. სურ.
1, 2).

გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურ ქართული კულტურის გავრცე-
ლების სამხრეთი რაიონი, არქეოლოგთა აზრით, სადღეისოდ ნაქ-
ლებადაა შესწავლილი;²¹⁷ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ვარაუდით
მარცხ შესაძლებლად მიაჩნიათ „ზოგი რამის თქმა“²¹⁸, რომ „კოლხური
კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი, წამყვანი მეტალურ-
გიული ცენტრი დღევანდელი ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო“.²¹⁹
ეს უდავო ფაქტია, მაგრამ ამ ზოგადი დებულების კონკრეტულ არ-
ქეოლოგიურ მასალებზე გაანალიზებას ასეთ დასკვნამდე მიჰყავს
მკვლევარი: „კოლხური კულტურის სამხრეთ რაიონებიდან დღემდე

მოებულმა გათხრებმა, როგორც აღვნიშნეთ, ქობულეთის მიდამოებში აღმოაჩინეს
რკინის სადნობი ღუმელები და წარმოების ახალ-ახალი კერები.

²¹⁷ საქართველოს არქეოლოგია, გვ. 150.

²¹⁸ იქვე.

²¹⁹ იქვე, გვ. 147.

თითქმის სრულიად უცნობი ჩანს ამ კულტურის უფრო ჩრდილო რაიონებისათვის დამახასიათებელი შუბის პირები, თუ არ ჩავთვლით შუბის პირის ერთ ნატეხს ვაკიჯვრის განძიდან²²⁰ ირკვევა: „კოლხური კულტურის სამხრეთ ნაწილიდან დიდი რაოდენობითაა მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ამიტომაც შესაძლოა, რომ კოროხის მეტალურგიული ცენტრიდან მაშინ უპირატესად ამ რიგის იარაღები გამოდიოდა და იგი ალბათ თავის ნაწარმს კოლხური კულტურის სხვა რაიონებსაც აწვდიდა.“²²¹ სოფ. ხუცუბნის აღმოჩენები არ უპერს მხარს ასეთ ვარაუდს.

უნდა ითქვას, რომ წიგნში „საქართველოს არქეოლოგია“ ხუცუბნის მასალა ძალიან ღარიბად არის გამოყენებული. სოფ. ხუცუბნის გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის სამარხებში მოპოვებულია სამი კოლხური ცული, სეგმენტური იარაღი, ორნამენტური სარტყლის ფრაგმენტები, ხატისუღელი, სარდიონის მძივები და სხვ. ვკითხვლობთ სახელმძღვანელოში.²²² აქ არაფერია ნათქვამი ხუცუბნის რკინის ისეთ საომარ იარაღებზე, როგორცაა უაღრესად საყურადღებო, ტექნიკური დამუშავებით მეტად შორს წასული შუბის პირები და მისი ფრაგმენტები, ოთხწახნაგა ხიშტი, აკინაკები და სხვ. იარაღები. ხუცუბანში საბრძოლო იარაღთაგან ბრინჯაოს ცულებს გარდა ვხვდებით რკინის დანებს და დაზიანებულ სხვა სახის რკინის იარაღებსაც, რომელთა შორის, საფიქრებელია, მშვილდისრის კომპლექტისაგან გადარჩენილი რამდენიმე ცალი ისრის პირიც იყოს.

ხუცუბნის სამარხის იარაღ-საქურველთა დიდი უმრავლესობა გელჩართული ბრძოლისა და სატყორცნი საბრძოლო მოქმედებისათვის არას განკუთვნილი. ჩვენს ყურადღებას აპყრობს ხუცუბანში მოპოვებული შუბების პირები და განსაკუთრებით შუბის ბუნის წამოსაცემელი სატარე ხვრელების ნაირსახეობანი, მათი სამ და ოთხწახნაგოვანი ფორმები, რომლის მსგავსსაც ჩვენ დღემდე იშვიათად თუ მოვხვდებით. ეს გარემოება კი იმას ადასტურებს, რომ ამ კუთხის მეტალურგებს სიახლეს კი შეუტანიათ შუბის წარმოების საქმეში. დაახლოებით იგივე ითქმის ოთხწახნაგა რკინის ხიშტისა და სხვა სახის ანალოგიურ საბრძოლო იარაღებზეც, რომლებიც აქ თავის დროზე ბლომად უპოვიათ გ. კაიკაციშვილს, ე. თაყაიშვილს და ადგილობრივ „შაიკის სამკურნალო მძივთა“ მაძიებელთ.

²²⁰ საქართველოს არქეოლოგია, გვ. 150.

²²¹ იქვე, გვ. 151.

²²² ა. აფაქიძე, ნ. ზ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, კ. კილანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჭაფარიძე, ნ. ხოშტარია, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 147.

თუ თვალს გაეყოლებთ გათხრილი საფლავების მთელ კომპლექსს, საფლავთა გათხრის თანმიმდევრობას და მათში აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარის განლაგებას. ასეთი სურათი წარმოგვიდგება.

№ 1 სამარხის ინვენტარი იყო: რკინის შუბის პირი (იხ. ტაბულა XXIII, სურათი 1—2), რკინის ხმლის პირი (იხ. ტაბ. XXV, სურ. 1—3) და კერამიკის ნატეხები (საერთო სიღრმე 2 მ.).

№ 2 სამარხში აღმოჩნდა გიშრის 30 ცალი მძივი განსხვავებული ზომისა და ფორმისა (იხ. ტაბ. XXIX, სურ. 1, 2, 3), ხატის უღელი (იხ. ტაბ. XVI), კერამიკის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნამტვრევები, რომელთა შორისაც აღმოჩნდა მძივები (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 3 და 8), 10 ცალი სარდიონისა განსხვავებული სიდიდისა და ფორმის. სამარხის სიღრმე 2 მეტრი იყო.

№ 3 სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ცული და სეგმენტური იარაღი (იხ. ტაბ. VIII, სურ. 1 და ტაბ. XIV, სურ. 2), ბრინჯაოს სამაჯურის მსგავსი ნივთი, გიშრის მძივები 15 ცალი (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 2) და 10 ცალი სარდიონის მძივი სხვადასხვა სიდიდის (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 8, 15 და 17), კერამიკის ნამტვრევები, ორნამენტირებული და უორნამენტო (იხ. ტაბ. XI, სურ. 2—10). სამარხი ორი მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

შედარებით მდიდრული და მრავალფეროვანია ნივთთა სიმრავლით № 4 სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან დიდი ოსტატობით დამზადებული ცის თაღისებური გამოხატულება, (ტაბ. XXI, სურ. 1), მეტად ფაქიზი ნაკეთობის ბრინჯაოს ბალთის ფრაგმენტები, რომელიც საგანგებო გრებილი ნატეფური ხაზებითაა მოხატული (ტაბ. XX, სურ. 1), ამავე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული (იხ. ტაბ. XII—XIII), ბრინჯაოს დიდი სამაჯურის მსგავსი ნივთი (თუ ჟულის ნიშანი) (იხ. ტაბ. XV, სურ. 1): შედარებით დიდი ყალიბის რკინის მახვილის პირის ფრაგმენტები (იხ. ტაბ. XV, სურ. 2) შვილდსაყინძთა რკინის ურავმენტები (ტაბ. XXVII, სურ. 1—6), სარდიონის სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის მძივები 20 ცალამდე (იხ. ტაბ. XXVIII—XXIX, სურ. 15, 17), ამდენივე ვიშრისა. კერამიკა შედარებით მდიდრული — ამფორის ფორმის მოთეთრო საკულტო ჭურჭელი ქვევრისებური ფორმისა (იხ. ტაბ. VII—XI) და ორნამენტირებულ ჭურჭელთა ფრაგმენტები (იხ. ტაბ. XI, სურ. 1—10), რომელიც 2 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა.

№ 5 სამარხში, 2 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ბეკდის ფორმის ბრინჯაოს რგოლები, ბრქვეიალა გარსით დაფარული (იხ. ტაბ. XVIII, სურ. 1—3), ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. XXII, სურ. 2), სარდიონის

სხვადასხვა ფორმისა და ზომის 40 ცალამდე შივი (იხ. ტაბ. XXIX, სურ. 1, 4, 8, 13 და 17), კერამიკა როგორც ორნამენტოვანი, ისევე სადა, უორნამენტო, აქვე აღმოჩნდა კაჟისგან დამზადებული შუბის და ისრის წვერები და ობსიდიანის ანატეცები (იხ. ტაბ. VI, სურ. 1, 2, 3, 4, 5, 6).

იქვე № 4—5 საფლავებს შორის ვიპოვეთ საშუალო ზომის ბრინჯაოს სამაჯური (იხ. ტაბ. XVI, სურ. 2, ტაბ. XVII, სურ. 1, 2) და ფულის გამოხატველი ბრინჯაოს პატარა ზოდისებრი უფორმო ნიშნები (იხ. ტაბ. XIX, სურ. 1—3.). № 4 და № 5 სამარხებიდან ოდნავ მოშორებით, 1 მეტრის მანძილზე, წაეაწყდით სამარხს (№ 6), რომელშიც აღმოჩნდა მხოლოდ ბრინჯაოს იარაღი, კერძოდ, ცული (იხ. ტაბ. XIII, სურ. 2), სეგმენტური იარაღი (იხ. ტაბ. XIV, სურ. 1). აქვე აღმოჩნდა კერამიკის მეტად უხეში და უსწორო ფრაგმენტი, დიდი ზომისა, უორნამენტო, (იხ. ტაბ. VII, სურ. 1, 2, 3, 4).

№ 7 სამარხში, რომელიც რამდენადმე დაშორებით იყო აღნიშნულთაგან დასავლეთის მხრივ, აღმოჩნდა რკინისა და ბრინჯაოს იარაღი, სეგმენტური იარაღი (იხ. ტაბ. XIV, სურ. 3), მეტად თავისებური რკინის მახვილი, რამდენადმე ოთხკუთხოვანი ფორმისა (იხ. ტაბ. XXV, სურ. 1), რკინის ისრის პირი (იხ. ტაბ. XXIV, სურ. 1), მძივები გიშრისა და სარდიონის (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 7, 8, 10, 18, 19) 25 ცალამდე. აღმოჩნდა კერამიკის მრავალი ფრაგმენტი, ორნამენტიანი და უორნამენტო (იხ. ტაბ. II, სურ. 11).

№ 8 სამარხში, ოდნავ დაშორებით, აღმოჩნდა რკინის გაურკვეველი ფორმის ზოდები 4 ცალი (ტაბ. XXVI, სურ. 1, 3, 4), რკინის შვილდსაკინძის ფრაგმენტები (იხ. ტაბ. XXVII, სურ. 1—7), კერამიკის ორნამენტიანი ფრაგმენტები (იხ. ტაბ. X, სურ. 1, 2, 3), უორნამენტო კერამიკული დიდი სასმისი (იხ. ტაბ. IX, სურ. 1) და პატარა ზომის ქოთნის ფრაგმენტები (იხ. ტაბ. VIII, სურ. 1). აქვე სამარხში აღმოჩნდა გიშრის მძივები 30 ცალამდე, სხვადასხვა ზომის (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 19) და სარდიონის მრავალი მძივები არათანაბარი ზომისა (იხ. ტაბ. 10, სურ. 5, 6, 8, 11) 30 ცალი და რკინის მახვილი (იხ. ტაბ. XXV, სურ. 3). გარდა ამისა, აღსანიშნავია თითქმის ყველა სამარხში ნახშირის დანაცრებული ფერფლისა და დამწვარი ფხვიერი მიწის გროვების სიმრავლე და ნივთთა განლაგების ერთგვარი უწესრიგობა. მაგ. მძივები ზოგჯერ საფლავში დაცული იყო ისე, თითქო აცმული იყო გაუბნეველად, ზოგჯერ კი გაბნეული იყო; სამაროვნებში ადამიანის ჩონჩხის არავითარი ნაშთიც კი არ იყო. გათხრილი სამარხები, როგორც აღინიშნა. ორმო—სამარხები იყო.

ა). ც უ ლ ე ბ ი (ტაბ. XII—XIII). კოლხური ცულის ერთმანეთისაგან ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული რამდენიმე ვარიანტი არსებობს წინათ თუ ამ ტიპის იარაღში 6 ვარიანტს განასხვავებდნენ, არქეოლოგმა ო. ჯაფარიძემ 6 ტიპის მაგიერ სამი ტიპი და 2 ქვეტიპი გამოყო.²²³ ამასთანავე მიუთითა თითოეული ტიპის გავრცელების ძირითადი რაიონება სველ-კოლხურ ერთიანი კულტურის საერთო ფარგლებში. კოლხური ცულის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თითქმის ყველას ბოლოებშივეიწროებული ოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი და წახნაგოვანი ტანი აქვს. ტანის მოყვანილობით ირჩევიან: სწორტანიანი (ტაბ. XIII, სურ. 1) და ოდნავ მოხრილტანიანი (იქვე, ტაბ. XII, სურ. 2); პირის მოყვანილობით—ორფრთიანი (იქვე, სურ. 1) და ცალფრთიანი (იქვე, სურ. 2); ყუის მოყვანილობის მიხედვით: ორფერდოვანი (იქვე, სურ. 1) და ყუაყვერიანები (იქვე, სურ. 2).

ჭოროხის აუზში გავრცელებული იყო I და II ტიპის კოლხური ცული. ძირითადად მხოლოდ I ტიპის ცული.²²⁴ ხუცუბნის ბრინჯაოს ცულები კარგად ადასტურებს ამ ფაქტს, აქ სწორედ I და II ტიპის კოლხური ცული აღმოჩნდა, რომელთაგან 2 ცული I ტიპს განეკუთვნება, ხოლო 1 ცული—II ტიპს. ეს უკანასკნელი სავსებით მთელია და უნაკლო, ხოლო პირველი ტიპის 2 ცულს ყუა ოდნავ დაზიანებული აქვს. აქ დასახელებული ცულები ზომით და ზოგი სხვა ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განვიხილოთ სათითაოდ.

მესამე (ტაბ. VIII, სურ. 1) ორ დანარჩენზე უფრო დიდია, ორფრთიანი გორდა პირი ოვალური მოყვანილობის აქვს, ცული სწორია და გაშოტილი, რომლის საერთო სიგრძე 19 სმ უდრის, ნიღრისა და გორდა პირის ჩათვლით. სატარე ოვალის სიმაღლე 5 სმ-ია, ხოლო სიგანე 3,7 სმ ცული ორფერდა ყუიანია, მისი სიგრძე 4 სმ-ია, სისქე კი 0,3 სმ უდრის. ცულის გორდა პირის სიგანე 8 სმ-ია. ყუიდანვე დაყვება ორ-ორი მსხვილი ნაწიბური, რომლებიც ბოლოს განიერდებიან და უერთდებიან ცულის პირის უგანიერეს დაბოლოებებს ერთმანეთისაგან 8 სმ. დაშორებით.

მეორე ტიპს განეკუთვნება ზემოაღწერილი I ტიპის კოლხური ცული. მხოლოდ იგი უფრო პატარაა პირველზე და უფრო ლამაზიც გარეგნულად. ცული სწორტანიანია, მისი მთლიანი სიგრძე 16 სანტიმეტრს არ აღემატება. ოვალური მოყვანილობის სატარის სიმაღლე

²²³ ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—B, 1950, ის. სურ. 1, გვ. 41.

²²⁴ საქართველოს არქეოლოგია, გვ. 151—152.

4 სანტიმეტრია, სიგანე კი 3 სმ; იგი ასევე ორფერდა ყუიანია, რომლის სიგრძე 3 სმ, ხოლო სისქე 0,21 სმ ეთანაბრება. ორფერტიანი გორდა პირის უფართოესი სიგანე 6,5 სმ უდრის. ცულის ყუიდან ეშვება ქვე-მთ ხუთი წიბური ხაზი, რომლებიც სატარე ოვალური გულის შუა წელში თანდათან ვიწროვდებიან და ბოლოს ქრებიან.

(ტაბულა XII — სურ 2) ეს ცული განეკუთვნება II ტიპის ყუაკვე-რიან კოლხურ ცულს. მას აქ აღწერილი ცულებისაგან განსხვავებული ფორმა აქვს. პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ბევრად მაღ-ლა დგას, ფორმით ნაკლებ ლამაზია, მაგრამ სახმარად მოხერხებული და უფრო გამოსადეგი. ცული სწორტანიანია, რომლის სიგრძე 17,5 სმ უდრის. ოვალური სატარე მილი სიმაღლით 3,7 სმ-ია, სიგანით კი 2,3 სმ. სატარე ოვალური ხერგლის ბოლო კიდური ხაზები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზედა ყუასთან მოკლეა—2 სმ, ქვედა მოგრძო 2,4 სმ. აქვეა შუაზე საკმაოდ ჩაღრმავებული ადგილი, ალბათ ტარის უკეთ დამაგრების მიზნით (თუ ჩაღრმავება სატარე მილში I-ს ზემოთ ყუის მიმართულებით ჰქონდა, ამ უკანასკნელს სრულიად მოპირდაპირე მხარეზე აქვს). იგი ოდნავ მოხრილია ცულის ცალფერტიანი გამკვეთით, გორდა პირი წაზიდულია შიგნით, ტარისკენ, რომლის უფართოესი სიგრ-ძე 6 სმ უდრის და იგი ნახევარწრეს კი არ ჩამოგავს როგორც ეს I ტიპის ცულებს აქვს, არამედ დაახლოებით წრის 1/4-ს. ყუიდან ეშვება ორივე მხრივ პარალელური ხუთ-ხუთი ხაზი, ოთხ-ოთხი ღარი, რომლებიც სატარე მილის შუა წელში ოდნავ განიერ-დებიან, ბოლოკიდურებში კი ვიწროვდებიან. მათი სიგრძე უდრის 8 სმ. ისინი გამკვეთ პირამდე არ ეშვებიან. აგრეთვე ცულის შუბლიდან და მის მოპირდაპირე მხარეზე ეშვება ორი ხაზი, პირველის სიგრძე 15 სმ-ია, მეორესი კი 12 სმ.

ბ) ს ე გ მ ე ნ ტ უ რ ი ი ა რ ა ლ ე ბ ი (ტაბ. XIV, სურ. 1, 2, 3). სა-მარხებში აღმოჩნდა სამი ცალი სეგმენტური იარაღი. პირველი ორი ნაკლებ დაზიანებულია, ხოლო მესამე კი იმდენად, რომ მისი ფორმის აღდგენა ძნელდება. ბრინჯაოს ანალოგიურ იარაღებს ხში-რად ხვდებიან. ერთიანი აზრი მათი სახელწოდების შესახებ დღესაც შეუძლებელია: ზოგი ნიჩაბს, ზოგი ასტამს, ზოგი თონს, ზოგი ბარს, ზოგი მედაბანის ხელსაწყო-იარაღსა და ზოგიც წყვილცულას ეძახის. ამის მიზეზი მათ ფორმათა სხვადასხვაობისაგან წარმომდგარი დანიშ-ნულების მრავალსახეობაც შეიძლება იყოს.

პირველი (ტაბულა XIV, სურ. 3) ზომით ყველაზე უფრო დიდია, ოღონდ მეტად დაზიანებული, სიმაღლე დაახლოებით 8 სმ-ია, სიგანე დაახლოებით 7,5 სმ (დაუზიანებლად კი მისი სიგანე, ალბათ, 12—13 იქნებოდა), სატარე არეს სიგანე 3 სმ, სიმაღლე 3.5 სმ, ხოლო სისქე დაბოლოვებისა 0,4 სმ არ აღემატება. სეგმენტური იარაღის ბოლო-

კიდური მხრები ზემოდანაა ამოზნექილი და ზემოდანვე დაშვებული ხაზი როგორც გამკვეთი პირისაკენ, ასევე სატარისკენ რკალის ფორმას იღებს. სატარეს არეში რკალი რამდენადმე უახლოვდება სწორ კუთხეს. ფორმა ბრტყელი აქვს და გადაკრავს პატინა. მეორე სეგმენტური იარაღი (ტაბ. XIV, სურ. 2) ანალოგიურა ფორმისაა, მაგრამ უფრო ფაქიზი და ტექნიკურად უკეთ დამუშავებული. სატარე შედარებით ვიწრო აქვს და ბოლო კიდური მხრები მეტად განზიდული, იგი დაზიანებულია თითქმის ნახევრად. ამ სახით მისი სიმაღლე 6,5 სმ-ია, სიგანე — 7,7 სმ, დაბოლოების სისქე — 0,3 სმ. აქ წარმოდგენილი 1 და 2 სეგმენტური იარაღი მთლიანად ემსგავსება როგორც ზომით, ასევე ფორმით ციხისძირში, ზენითში და ქობულეთის მხარეში აღმოჩენილ ანალოგიურ იარაღებს. და მაჩვენებელია, სხვა მასალებთან ერთად, კოლხური ბრინჯაოს კულტურის გარკვეული საფეხურისა.

მესამე სახის სეგმენტური იარაღი (ტაბულა XIV, სურ. 1), სიდიდით დაახლოებით II-ის ოდენაა. აქ წარმოდგენილი და ართვინის მხარეში აღმოჩენილი, კ. ბიტელის მიერ შეცდომით „წყვილცულად“ წოდებული, ანალოგიური იარაღები ტიპოლოგიურად ერთისა და იმავე ხალხის კულტურული დონის და მეტალურგიული ტექნიკის ამსახველია და II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება.

გ). სამაჯურები და ხატისუღლები (იხ. ტაბ. XV, XVI და XVII, სურათებით). სამარხებში შევხვდით განსხვავებული სიდიდის, ფორმისა და წონის ბრინჯაოს სამაჯურებს და ხატისუღლებს, რომლებსაც, საფიქრებელია, კოლხური თეთრის გაჩენამდე საქონლის საყოველთაო ექვივალენტის, ფულის როლიც უნდა შეესრულებინა კოლხეთის უძველეს ქართველურ შვიდრ ტომთა საკმარად დაწინაურებული სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების სარბიელზე. განვიხილოთ თითოეული:

I. ყველაზე უდიდესი ზომის (იხ. ტაბ. XV, სურ. I) თითქმის აბსოლუტური სისწორით შემორკალურ მავთულის წრეს წარმოადგენს. მისი სიგრძე 38 სმ-ია, დიამეტრი—2,6 სმ. მავთულის დაბოლოებანი ერთმანეთს არ უერთდებიან. მათ შორის მანძილი 3,3 სმ-ია. მავთულის ბოლოები თანდათან წვრილდება და გააჩნია ძლოკვის კუდის ფორმა. იგი უნაკლოა, კარგად შენახული.

II (ტაბ. XVI, სურ. 2) I-თან შედარებით უფრო პატარაა, ოდნავ დაზიანებულია, მავთულს აქვს აგრეთვე წრის ფორმა. საერთო სიგრძე 27 სმ-ია, სიმაღლე 1,6 სმ. დაბოლოება განსხვავებულია პირველისაგან; მრგვალი მავთული აქ ტყდება და თავი ზემოთკენ ამოკაუჭებული აქვს, ისე, რომ პატარა 0,2 სმ. ნახვრეტიც კი იქნება. მანძილი მავთულის დაბოლოებათა შორის 3,5 სმ-ია.

III მეორესთან შედარებით ცოტათი უფრო პატარაა (ტაბ. XVI, სურ. 1), თუმცა მისი ზუსტად გაზომვა არ ხერხდება დაზიანების გამო ($\frac{1}{4}$ ნაწილი მავთულისა დაკარგულია). ფორმით მთლიანად ისეთავეა, როგორც ზემოთ აღწერილი (მეორე). ორივეს თავმოკაუჭებული ერთი დაბოლოება აქვს. აქლია მხოლოდ მეორე დაბოლოება, მაგრამ უდავოა იგი მსგავსი იქნებოდა პირველისა.

IV. წრებაზოვანი მავთულის (ტაბ. XVII, სურ. 1) სიგრძე 25 სმ-ია, მავთულის დიამეტრი — 1,3 სმ. მანძილი დაბოლოების თავებს შორის 3,5 სმ სიგანით და ამოკაუჭებულია, რომლის ნახერტი 0,5 სმ-ია.

V. (ტაბ. XVII, სურ. 2) განსაკუთრებით პატარაა, წვრილი წრისებრივი, რომლის სიგრძეა 10,5 სმ, სიმსხო — 0,7 სმ. დაბოლოებანი, მართალია, დაზიანებული აქვთ, მაგრამ ჩანს, რომ ფორმით 1-ს უახლოვდება, ე. ი. თავი მოკაუჭებული ჰქონია.

დ. ბ ე ქ დ ე ბ ი — ს ი კ ი ლ ე ბ ი თ უ რ გ ო ლ ე ბ ი (ტაბ. XVIII, სურ. 1—3, 3 ცალი). ისინი იმდენად პატარებია ზომით, რომ ექვს ბადებს, იყენებდნენ მათ ბეჭდად, თუ საომარი იარაღის ჩამოსაკიდ რგოლებად.

I. პირველს გააჩნია წრებაზის ფორმა საგრძით 5 სმ. მავთულის დიამეტრი 0,6 სმ-ია, დაბოლოებული თავები უბრალოდ გადაკვეთილი აქვს და ერთმანეთზე ოდნავ გადაბმული. გარედან ბრჭყვიალა ფერი გადაჰყარავს, რომელიც გარსად ჰქონია გარედან შემოვლებული. სინესტიისა და სხვა პირობების შედეგად მიწაში ეს გარსი დაზიანებულა, ადვილად ეცლება.

II. მეორეც დაახლოებით ასეთივე ფორმისა და სიდიდისაა.

III. ემსგავსება ორ ზემოთ აღწერილს მხოლოდ უფრო ცუდადაა შენახული.

ე. ბ რ ი ნ ჯ ა ო ს უ ფ ო რ მ ო ნ ა კ რ ე ბ ი (იხ. ტაბ. XIX, სურ. 1, 2, 3). მეტად საინტერესოა ფულის მსგავსი პატარა ბრინჯაოს ფრაგმენტები.

I. მოგრძო, ბრტყელი მარცვლის ფორმა აქვს (სურ. 1), სიგრძე 2 სმ, სიგანე—1 სმ. ნაპირებში თანდათან თხელდება. შუა ადგილას უფრო სქელია. გარედან ჰქონია ბრჭყვიალა ლურჯი გარსი, რომელიც მხოლოდ ერთ პირზეა შემორჩენილი, მეორე ნაპირზე გადასულია. საფიქრებელია რაიმე ნიშანი, ან რაიმე გამოხატულება. ყოფილიყო კიდევ ზედ.

მეორე ნაპერი ფორმით (სურ. 2) ემსგავსება პირველს, მაგრამ უფრო დაზიანებულია. შედარებით მრგვალია, 1, 2 სმ სიდიდის, გარსი გადაცლილი აქვს.

მესამე ნაპერი უფრო სქელია და მოგრძო (სურ. 3); სიგრძე 2,2 სმ,

სიგანე 1 სმ, სისქე 0,4. აგრეთვე დაზიანებულია და ამდენად უფრო დაწვრილებით მასზე მსჯელობა ამ შემთხვევაში შეუძლებელია.

ვ). ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ს ა რ ტ ყ ლ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი და მ ი ს ი ნ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა (იხ. ტაბ. XX, სურ. 1). ამგვარი სარტყლის (ბალ-თის) ნაწილები აქვე 1881 წელს კაიკაციშიელსა და კომაროვსაც უპოვ-ნიათ. სარტყელი იმდენად დაზიანებული იყო, რომ ჩვენამდე მხოლოდ ნამტვრევებმა მოაღწია. საფიქრებელია, რომ სარტყელი შემკული უნ-და ყოფილიყო საკულტო რიტუალური, სარწმუნოებრივი მოტივებით. სარტყლის ამ ფრაგმენტსაც ასევე გარკვეულ იმნიშვნელობა ენიჭება ქართული ხელოვნების ისტორიის არქაული პერიოდის გასაშუქებლად. იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

სარტყელი თხელია, სისქე 0,1 სმ. მისი სიგრძე-სიგანის აღდგენა და-ზიანების გამო შეუძლებელია. მასზე ამოტვიფრულია გრეხილი ხაზე-ბი, რომლებიც, სავარაუდოა, წყლის სტიქიის გამომხატველი უნდა იყოს; ხოლო ამ გრეხილ საზებზე გარს მოვლებული ნიშანი „V“ შეიძ-ლება მცენარეს (ხეს) გამოხატავდეს. „V“ ნიშანთა შემდეგ არშიის მსგავსად ნაპირებამდე დატოვებულია 0,5 სმ მოუხატავი ადგილი. „V“ ნიშნები ერთმანეთისაგან თანაბრადაა დაშორებული—0,2 სმ-ით და მათი თანამიმდევრობა სწორ ხაზს ჰქმნის.

1881 წ., მ-ვალითად, კომაროვს ცხენის თავის გამოხატულებაც უპოვია სუცუბანში აღმოჩენილ ბალთებზე. საფიქრებელია, ამ ტიპის ბალთებთან უნდა გვეკონდეს ჩვენ საქმე ამ შემთხვევაშიაც. აქ აღსანიშ-ნავია კიდევ ის მომენტი, რომ „A“, „B“ და „C“ გრეხილ-ხაზოვან მხატვრობაში შემდეგი სახის სახეობა შეიმჩნევა. „A“ გრეხილები ერთმანეთისაგან თითქო ოდნავ განშორებულია, ვიდრე ეს „B“ ფრაგ-მენტებში იგრძნობა. კიდევ მეტი, „C“-ს გრეხილი ოდნავ მეტია სიმს-ხოთი „A“-სა და „B“-ზე. ეს გარემოება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ამ სარტყლის ეს ფრაგმენტები მის განსხვავებულ ნაწილთა ერთი მთლიანი კომპოზიციური მოხატულობანია. ეს საკათხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ზ). ც ი ს თ ა ლ ი ს ე ბ რ ი ც ი უ რ მ ნ ა თ ო ბ თ ა გ ა მ ო მ ხ ა ტ ე ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ნ ა ხ ე ვ ა რ ს ფ ე რ ო ; საკულტო დანიშნუ-ლების კოსმიური თემატიკის წარმომსახველი ნივთი (იხ. ტაბ. XXI, სურ. 1). იგი ყურადღებას იპყრობს არა მარტო თავისი მხატვრული სი-ფაქიზითა და დამუშავების მაღალი ტექნიკით, არამედ მას, როგორ სა-კულტო ძეგლს, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უძველე-სი კოლხეთის მკვიდრთა მსოფლგაგების, მათი რელიგიური აზროვნები-სა და ღვთაებათა წარმართული პანთეონისათვის. ამ ძეგლზე ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით, რადგან მას ქვემოთ ვეხებით ქართული წარმარ-თობის საკითხებთან დაკავშირებით.

საფლავებში დაცული რკინის ინვენტარი.

ა). რკინის შუბი (ტაბ. XXIII, სურ. 1), დასახელებული შუბი თავისი დანიშნულებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური საბრძოლო იარაღი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც კოლხი მოსახლეობის შეიარაღების საკმაოდ გავრცელებული სახეობაც. ამგვარ შუბებზე არაერთგზის მიუთითებენ ძველი ბერძენი მწერლები.

ხუცუბანში აღმოჩენილი რკინის შუბის პირს დიდი ზანდაზმულობის მიუხედავად, ემჩნევა ფხიანობა. შუბის ორღესულა წვერი სამკუთხედის მოყვანილობისაა, შუბი ძალითაა გადაღუნული, შუბის პირის სიგრძე 17 სმ აღემატება. შუბის ტარის სიდიდე კარგად ჩანს შუბის მასრის დიამეტრით. შუბი შეკრულმასრიანია. მასრის ნახვრეტი ოთხწახნაგოვანი მოყვანილობისაა 2 სმ დიამეტრით, რომელსაც სამანქვლე ნახვრეტები არ მოეპოვება. ამ უკანასკნელს, საფიქრებელია, სცვლიდა სწორედ ეს წახნაგოვანი მოყვანილობა, რომელშიაც ტარის ბოლოს ისე აქდევდნენ, რომ არ ჰქონოდა ბრუნვის საშუალება.

ხუცუბანში აღმოჩნდა უფრო დიდი ზომის მეორე შუბის პირის მხოლოდ მასრის ფრაგმენტი (იხ. ტაბ. XXIV, სურ. 2). შუბი შეკრულმასრიანია, მასრა კონუსური, წელში გამოყვანილი ფორმისაა. სამანქვლე ნახვრეტები არც ამ შუბზე უნდა ყოფილიყო. პირველი და მეორე შუბის სატარე ბუნეის კონსტრუქცია განსხვავებულაა — პირველი მასრის ნახვრეტი ოთხწახნაგაა, მეორე მრგვალი კონუსური ფორმისაა.

ერთ სამარხში აღმოჩნდა პატარა ზომის დაფნის ფოთლის მსგავსი რკინის ნივთი, რომელიც შესაძლოა, ისრის პირი იყოს (ტაბ. XXIV, სურ. 1), რომლის სიგრძე 5,5 სმ არ აღემატება. მისი ბუნეი და სატარე ხვრელი იმდენად მცირე მოცულობისაა და ისეა დაზიანებული, რომ ძნელდება მსჯელობა რა ფორმისა იყო. აქ აღმოჩნდა შუბის ფრაგმენტები, გადარჩენილია მხოლოდ წვერი.

დასასრულ, რკინის შუბების განხილვისას აქ გარკვევით შეიძლება აღინიშნოს, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო ზომითა და ფორმით, არამედ ტექნიკური დამუშავების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ, როგორც დავრწმუნდით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბუნეის სატარე ხვრელების მოყვანილობა და ფორმა.

ბ). მახვილები და სატევრები (იხ. ტაბ. XXV, სურ. 1, 2, 3). საფლავებში აღმოჩნდა რკინის სხვა საომარი იარაღებიც. იმათგან (სურ. 2) ინტერესს იწვევს დიდი ყალიბის საომარი მახვილი, რომელიც ბრტყელპირიანია, სიგანით 4 სმ. მარტო ტარმუქის სიგრძე 14 სმ-ია. გაკეთებულია მასიური რკინისაგან, რომლის შუაგულის სისქე 1,2 სმ. უდრის. ტარზევე კარგად ჩანს ტარმუქის და წელზე

ჩამოსაკიდი სამანქვლე ნახვრეტის მოყვანილობა. საშწუნჯაროდ. ეს დიდი ყალიბის მახვილი მეტად დაზიანებული აღმოჩნდა.

სატევრის (სურ. 1) ფრაგმენტები დიდად დაზიანებულია. სატევრის სიგრძის ზუსტად აღდგენა შეუძლებელია. ეტყობა კი, რომ ბოლომახვილია. განსაკუთრებით საინტერესოა ტარის დაბოლოება და რკინის მადნის მასივით ტარმუქის დამზადების ტექნიკა.

განსაკუთრებით საინტერესოა ხიშტის ფორმის ოთხწახნაგა საძგერებელი (სურ. 3), გრძელი მახვილი. საძგერებელი ხიშტი მასიურია, რკინისგანაა დამზადებული. ორი ნაპირი შედარებით მეტადაა გაგანიერებული, ორი კი ნაკლებ (შეფარდებით 2 სმ 1 სმ): ანალოგიური იარაღების ფრაგმენტი (მხოლოდ უფრო დიდი ზომისა) რაოდენობით უდრის—5.

ამასთანავე ჩვენს ყურადღებას იქცევს რკინის ერთი იარაღის ფრაგმენტი, რომელიც ოვალური ფორმისა უნდა ყოფილიყო. ლესული პირის მოპირდაპირე მხარეზე ის თანმიმდევრობით სქელდება და შუა ნაწილში ადამიანის ხელის მტევნის სიგანის ოდნავ ჩაჭრილი არე უფითარდება. ამ დაზიანებული იარაღის ასეთი მოყვანილობა გვაფიქრებინებს, ხომ არ იყო იგი ხელზე წამოსაცმელი საბრძოლო იარაღი?

სამარხებში აღმოჩნდა რკინის ზოდები (იხ. ტაბ. XXVI, სურ. 1—4). იგი აღმოჩნდა მოზრდილი კერამიკული ფრაგმენტებისა და სხვა ნივთთა გვერდით. (აქვე იხ. სამარხების თანმიმდევრობით აღწერა); აქ ყურადღებას იპყრობს ზოდთა განსხვავებული სიდიდე. მე-2 და მე-3 სიდიდით: უახლოვდებიან ერთმანეთს, ხოლო პირველი ორივეზე საკმაოდ დიდია, უკანასკნელი მე-4 კი ყველაზე უმცირესი. შესაძლოა სამარხი მელითონე ხელოსნისა იყო.

გ). შვილდსაკინძები (იხ. ტაბ. XXVII, სურ. 1—7) დამზადებულია რკინის მასალისაგან, ისინი მეტად დაზიანებულია. მიუხედავად ამისა გარკვეული წარმოდგენის შემუშავება მაინც ნათლად ხერხდება.

პირველს (იხ. სურ. 10) აკლია მხოლოდ დასაბნევი ნემსი. მომწვილდული ზედა ტანის „A“ და „B“ დაბოლოებანი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ „A“-ს დაბოლოებაზე უნდა დამაგრებულიყო ფიბულის ღია პირი, ხოლო „B“-ს ამოკატეხებულ ნახვრეტში მოძრავი (წვეტანი) ღერძი მუდმივად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ინტერესს იწვევს შვილდსაკინძის ფრაგმენტები (ტაბ. 4—9). აქ რამდენიმე შვილდსაკინძის ფრაგმენტი: 6, 8 და 9 ფრაგმენტი ერთი სახის შვილდსაკინძის ნაწილები შეიძლება ყოფილიყო, 4 და 7—მეორესი, ხოლო 5 კი მესამე განსხვავებული სახისა. აქ დასახელებული I ტიპის შვილდსაკინძის 3 ფრაგმენტი ადასტურებს, რომ ეს შვილდსა-

კინძი ერთიანი მავთულისაგან ყოფილა დამზადებული ზამბარაკულად. რაც შეეხება მეორე და მესამე ტიპის შეილდსაქინძის ფრაგმენტებს, აქ სხვა თავისებურებასთან ვვაქვს საქმე. მე-4—5 და 6 ფრაგმენტთა დამხასიათებელი ისაა, რომ შეილდსაქინძის ისედაც წვრილ მავთულს შუა ნაწილში წვრილი ნახვრეტი გასდევს. მაგალითად, მე-5 ფრაგმენტს აღნიშნულს გარდა, დაკორძებებიც ეტყობა.

მ ძ ი ვ ე ბ ი

ა). ს ა რ დ ი ო ნ ი ს მ ძ ი ვ ე ბ ი (ტაბ. XXVII). ხუცუბნის სამარ-ნებში, ბრინჯაოსა და რკინის მასალებთან ერთად, 100 ცალამდე სარდიონის განსხვავებული ფორმისა და ზომის მძივი აღმოჩნდა, ამთგან 15 ცალი ოვალური ფორმისა, 10 ცალი ექვსწახნაგა, 7 ცალი ხუთწახნაგა, 13 ცალი ოთხწახნაგა, 13 ცალი ე. წ. ზარასებრი, ბოლო უწნწახვრეტილი, 9 ცალი მომრგვალო კასრისებრი, 6 ცალი რუმბისებრი, 9 ცალი ცრემლისებრი, 5 ცალი ცილანდრული. 5 ცალი ბიკონუსური, დანარჩენი—მრგვალი, ე.წ. მანდარინისებრი. საუკეთესო ხარისხის დიდი და მცირე ზომის ეს მძივები წითლად ღვივის. წარმოდგენილ მძივთა ტექნიკური დამუშავება, მათი ნახვრეტების ფორმათა ნაირსახეობანი და გეომეტრიული სახეები საიუველირო ხელოვნების დაწინაურებასა და პროფესიულ ხელოსნური შრომის სპეციალიზაციაზე მეტყველებს.

ბ). გ ი შ რ ი ს მ ძ ი ვ ე ბ ი 105 ცალამდე აღმოჩნდა, მაგრამ ფორმათა ნაირსახეობანი ამ სახის მძივებში ბევრად ღარიბია. ისინი კარგად იყვნენ შენახულნი, მაგრამ ჰაერსა და მზეზე ადვილად სკდებიან.

უმთავრესად ფორმის მიხედვით ვარჩევთ სამ ჯგუფს, ესენია: I. მსხვილი (ტაბ. XXVIII, სურ. 19), მრგვალი ფორმის ბოლოკვეთილები და ლამაზად გაპრიალებულები. მძივებს ნახვრეტები შედარებით წვრილი აქვთ და კიდურებსა და შუა წელში თანაბარი ზომისაა. ამ ტიპის ყველაზე უფრო დიდი მძივი კაკლის ოდენაა. ზედაპირი შავად პრიალებს, გამოყვანილია სიმეტრიულად. ზოგიერთს შავი გარსი გადასცლია და მოათეთრო ფერი გადაჰკრავს. II უფრო წვრილი და მუცელგამობერილი ფორმისანი არიან (ტაბ. XXVIII, სურ. 12), ბოლოებმოკვეთალები და სწორნახვრეტიანები.

გ). ნ ა რ ე ვ ი ფ ო რ მ ი ს ა და მ ა ს ა ლ ი ს მ ძ ი ვ ე ბ ი. გარდა აღნიშნულისა, აღმოჩნდა 4 ცალი სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივი, ისინი სათანადოდ მოითხოვენ დახასიათებას. განვიხილოთ თითოეული:

I. თეთრი, პატარა, ეგვიპტური პასტისაა, და აგურისებრი ფორმისა, რომელსაც ორი წვრილი ნახვრეტი გააჩნია. ასეთი მძივი აღმოჩნდა ერთადერთი ცალი (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 9).

II. მოზრდილი, განიერნახვრეტისანი (0,4 სმ), ოდნავ დაზიანებული. მრგვალ მუცელგამობერილი, გაურკვეველი ქვის მასალისაგან დამზადებული. ხასიათდებიან ერთნახვრეტით, ფერი აქვს გამკვირვალე. ოდნავ მოთეთრო, გარედან მონაცრისფერო შავი. იგი მეტად არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლებელია ისიც სარდიონის ქვისაგან იყოს დამზადებული.

III. აღმოჩნდა მუქი მოწითალო, შავი, ლურჯი და მწვანე ფერის, ზრტყელი და მწვანე ფერის, ბრტყელი და განიერი ნახვრეტისანი პატარა ზომის მძივები (ტაბ. XXVIII, სურ. 4, 5, 6).

IV. შავი, პატარა ზომის, მოზრდილ ნახვრეტისანი (იხ. სურ. 10), მუცელი ზომისაზე მეტად გამობერილი და შუა ადგილს წრის მსგავსი ხაზი უვლის. აქვს შავი ფერი (იხ. სურ. 11).

ყველა აქ დასახელებულ მძივთა საერთო დამახასიათებელი თვისებაა სიფაქიზე, სიმეტრიულობა და სახეობათა სიმრავლე, რომელიც მაღალმხატვრულ იუველირულ ხელოვნებამდე აღწევს.²¹⁵

კ ე რ ა მ ი კ ა

საფლავებში ბევრი იყო კერამიკული ნაწარმი (იხ. ტაბ. VII, VIII, IX, X, XI), მაგრამ, სამწუხაროდ, იმათგან არც ერთი მთელი არ აღმოჩნდა. ზოგის აღდგენაც კი შეუძლებელი ხდება. მიუხედავად ამისა, ფრაგმენტებიც საერთო წარმოდგენას იძლევა მათ მრავალფეროვნებასა, მდიდრულ ასორტიმენტსა და დამუშავების ტექნიკაზე. კერამიკული ნივთებიც განირჩევიან ერთმანეთისაგან როგორც ფერით, ასევე დამუშავების ტექნიკით. მაგ., აღმოჩნდა კერამიკული ფრაგმენტები შავი, წითელი, მოთეთრო, ყავისფერ პრილა ფერებისა, ზოგი მათგანი დამუშავებულია მეტად პრიმიტიულად უორნამენტოდ და უხეშად. მცირედი ნაწილი ისე ფაქიზად და მოხდენილი ორნამენტით არის დამუშავებული, რომ მათი დამზადება საჭიროებდა უდაოდ განსაკუთრებულ დახელოვნებას და კულტურის მაღალ დონეს. ნივთების უდიდესი ნაწილი პრაქტიკული დანიშნუ-

²²⁵ სიდიდეთა მრავალსახეობით ხასიათდება როგორც გიშვრი, ასევე სარდიონიც. ამათგან უდიდესი. კაკლის ოდნავ (იხ. სურ. 19 და 16), გიშვრიც და სარდიონიც თანდათანობით პატარავდებიან.

ფორმათა სიმრავლე და ნაირსახეობა სარდიონის მძივებში ბევრად მეტია, ვიდრე გიშვრის მძივებში. ეს იქნებ სარდიონის მეტგამკლეობით აიხსნას (იხ. სურ. 1, 2, 8, 13, 16).

თუ გიშვრის მძივები ყველა ბოლოკვეთილია (ტაბ. XXVIII, სურ. 12, 19), ასეთს ჩვენ სარდიონის მძივებში არ ვხვდებით, გარდა სამი ცალი ექვსკუთხა მძივისა (ტაბ. XXVIII, სურ. 1, 2, 3).

მძივთა წარმოების ხელოვნება შუასაუკუნეების საქართველოშიც ყვაოდა. მის შესახებ ცნობას ჩვენ ვხვდებით XVIII ს. იესე ირსეს ძე ბარათაშვილის შემუშ-

ლები უნდა ყოფილიყო, ნაწილი კი საკულტო. მაგალითად, საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო ამფორის მსგავსი საცრემლე (ტაბ. IX, სურ. 2) და სხვა.

ხუცუბანში აღმოჩენილი ძეგლისათვის დამახასიათებელია კერამიკული მასალის მრავალფეროვნება. პირველი, რასაც არ შეიძლება მიეჭეს ყურადღება ისაა, რომ სამარხებში ჩვენ ვხვდებით როგორც უხეშად დამუშავებული კურკლეულის ნატეხებს, ასევე მეტად მოხდენილი პატარა ზომის საოჯახო და საკულტო კურკლეულსაც, რომლებიც სათანადო ჩარხის გამოყენებითაა დამზადებული: მცირე ზომის კარგად გამომწვარი და მოხატული კურკელი ფაქიზადაა დამუშავებული, რომელთაც მოწითალო და შავი მოპრიალებული ზედაპირი აქვს. ისინი უმეტესად შემკულია ორნამენტით; ნამტკრევებად ქცეულ კურკელთაგან ყურადღებას იპყრობს პატარა შავპრიალა ქოთანი თავისი ლამაზად გამოყვანილი სათითო საყურეებით, კერამიკული სასმისი და საკულტო კონუსურიძირიანი (ტაბ. VIII, X, XI, სურ. 1 და 2) კურკელი.

საფლავებში აღმოჩენილი დიდი ზომის კურკელთა დამზადების დაბალი ტექნიკური დონე გვაფიქრებინებს, რომ ისინი ხელითაა ნაძერწი და სამეთუნეო ჩარხი მისი დამზადებისათვის არ გამოუყენებიათ (იხ. ტაბ. VII, სურ. 1, 2, 3, 4). გვერდით ჩვენ ვიპოვეთ მეორე რიგის კურკელი, რომლითაც კარგად ირკვევა, რომ კერამიკულ ხელოსნობას აქ განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია კურკლეულის ჩარხზე გამოყვანის ტექნიკის გამოყენების საფუძველზე.

თიხის კურკლის წარმოება მკიდროდაა დაკავშირებული მიწათმოქმედების და ბინადარი ცხოვრების აღმავლობის გარკვეულ დონესთან — ენისა და მისი წიაღისეული სიმდიდრის. დამუშავების განვითარებასთან, ამ გზით ინერგება მეტალურგიული კულტურა; წარმოების ამ დარგის განვითარებასთან ერთად იცვლება ადრინდელი რელიგიური მსოფლგაგება და შეხედულება ბუნებასა და საზოგადოებაზე, მკვდლობა და მეტალურგიული კულტურა, როგორც ეს შენიშნულია ზრდის და ხელს უწყობს ზეცისა და ციურ მნათობთა კულტის განმტკიცებას.

არებში, რომელიც გვაუწყებს: „დავთვალე მსხვილი ბუდე შური კრიალესვაში და მეფე ერეკლეს მივართვი“, „ხელით ნაქნარი გულმაც იამოსო“. — დასძენს იესე. გელათის ვიღამოებში ცნობილი გიშრის მძივთა წარმოება ხომ ძველთაგანვე დიდად იყო განვითარებული. (იხ. იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი. თბილისი, 1950, გვ. 45, ა. იოსელიანის რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით).

ხუტუბნის ორმოსამარხები. ნაგებია მდ. კინტრიშიდან ამოტანილი რიყის ქვებისაგან.

ხუტუბნის ორმოსამარხები მორიგეობით იყო განლაგებული მდინარე კინტრიშის ნაპირის ე. წ. ურიისლელეს შესართავთან. სამარხთა ინვენტარი საკმაოდ მდიდრულია, მაგრამ მათში, როგორც წესი, ადამიანის ძვლები არც ერთ შემთხვევაში არ იქნა დადასტურებული.

ხუტუბნის ორმოსამარხები განეკუთვნებიან გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ შორეულ ისტორიულ ეპოქას.

მსგავსი ორმოსამარხები საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმარაოდ აღენობითა მიკვლეული.²²⁶

ა. კომაროვი თავის მიმოხილვაში მხოლოდ გაკვრით ეხება დასაფლავებას წესს²²⁷ და კმაყოფილდება ნაპოვნი ნივთების ჩამოთვლით, ე. თაყაიშვილმა, ჩვენდა საბედნიეროდ, შეავსო კომაროვის ანგარიშის ეს დიდი ხარვეზი. მან კაიკაციშვილთან ერთად 1896 წელს ხუტუბანში მნიშვნელოვანი ვერაფერა იპოვნა, მაგრამ დიდი სამსახური გაუწია მეცნიერებას ხუტუბნის ძეგლის შესწავლის საქმეში იმ მხრივ, რომ კაიკაციშვილის მიერ შემთხვევით მონაპოვარი ნივთების ადგილსამყოფელი სიზუსტით აგვიწერა და შეეხო დასაფლავების წესის ზოგ საკითხს. იგი წერს: «На расстоянии 2 аршин 5 вершков от речки на глубине 1 арш. 10 вершков можно было проследить признаки трупосожжения в виде пепла остатков углей и примеси расплавленных бронзовых вещей между углями. Найдены в верхних слоях почвы и обломки глинобиточной посуды»²²⁸. მიცვალეულთა გვამის დაწვის, ანუ კრემაციული სამარხების კვალს ჩვენ აქ ვერ შევხვდით. მართალია, ადამიანის ჩონჩხი სამარხებში ვერ ვიპოვეთ, მაგრამ, მსგავსი სინამდვილე კოლხეთის უძველეს სამარხთათვის არაა უჩვეულო მოვლენა. ხუტუბანში ჩვენ ორმოსამარხებთან გვეკონდა საქმე.

²²⁶ Я. Гуммель, Раскопки в Нагорно-Карабахской автоном. обл. в 1938 г., Изв. Аз. фил. АН СССР т. II, гв. 84.

²²⁷ ა. ვ. კომაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

²²⁸ ე. თაყაიშვილის ანგარიშიდან (იხ. დანართი).

მიცვალეულთა კრემაცია ქართველურ ტომთათვის უცხო არ ყოფილა. კრემაციულნიშობიანი სამარხები ქერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულიდან შეინიშნება.

ხუცუბნის სამარხებში არ შეინიშნება საკულტო სამსახურებრივი ნაგებობის კავშირა თვით სამარხებთან, როგორც ეს რელიეფურად ჩანს, მაგ., ცხინვალის ნაცარგორის ქეგლებში, მაგრამ აქ გარკვევით დასტურდება, რომ სასაფლაო სავსებით გამოიწვლია საერთოდ სამოსახლო ადგილისაგან. ხუცუბნის ორმოსამარხებში ჩაყოლებული საკულტო საგნები და მათი ადგილმდებარეობის დადგენა მაინც იძლევა ერთგვარ საფუძველს იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იქ დასაფლავებულ პირთა წოდებრივ-სოციალურ მდგომარეობაზე და რელიგიურ შეხედულებებზე.

ცის თაღის გამოსახულებიან ნივთთან, გარდა მცირე საკულტო: ცალყურა ამფორა-ქვევრისა, ბლომად აღმოჩნდა თიხის კუტრკლის ნატეხები²²⁹.

ხუცუბნის წარჩინებულ მეომართა ორმოსამარხებში, სადაც საკულტო ნივთები და სამკაულები ან სრულებით არ არის ან მეტისმეტად უმნიშვნელო რაოდენობითაა, სამაგიეროდ, გარკვეული მიზეზის გამო, დიდი რაოდენობითაა იარაღ-საქურველი: სატევრები, ცულები, შუბები, დაშნები, ხანჯლები.

ხუცუბნის სამაროვნების მიხედვით მაშინდელი დაკრძალვის წესების დასადგენად იმ მასალების საფუძველზე, რაც იქ აღმოჩნდა, ძნელია დასკვნების გაკეთება, ძნელია იმიტომ, რომ სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულთა არააძ. თუ ჩონჩხი და მისი ნაწილები აღმოჩნდა, რომელთა განლაგებას შეუძლია ერთგვარი წარმოდგენა მოგვეცეს დაკრძალვის წეს-ჩვეულებაზე, არამედ ხუცუბნის სამაროვნებში ჩვენ საერთოდ ვერ ვხვდებით იქ დაკრძალულთა ჩონჩხის ნაწილებს.

აღნიშნულთან ერთად საინტერესოა ს. ზვამბაიას დაკვირვება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს მეხი მოჰკლავდა, არ მარხავდნენ მიწაში, არამედ ჩაასვენებდნენ კუბოში და

დასაფლავების ამ წესისათვის მზადდებოდა საკმაოდ ვრცელი მოედანი, რომლისათვისაც ქვას იყენებდნენ. საგანგებოდ გამოიწვლილი სექციები საერთოდ ძნელად, ან სულ არ შეინიშნება მისი დაზიანების გამო, მათ არ შერჩენიათ სახურავი და სამარხთა დამხრობაც ნებისმიერია და მისი განსაზღვრა შეუძლებელი ხდება. ხუცუბანში ასეთს ჩვენ არ ვხვდებით.

მიცვალებულის გვამის კრემაცია დადასტურებულია თრიალეთში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში და ბრილში I ათასწლ. დამდეგს. ასეთივე წესია დატული ველურ ტომებში. (საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 155).

²²⁹ კომაროვის აღწერის მიხედვით, აქვე ხუცუბანში 1881 წ. უბოვნიათ ბრინჯაოს სწორედ ასეთი თაღი, — თიხის ცალყურა ამფორასთან ერთად. ეს გარემოება კი მეტად საყურადღებოა და დიდმნიშვნელოვანი არგუმენტი ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად. დაწერილებით ჩვენ ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ინახავდნენ, სანამ მარტო ძვლები დაჩეხებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ აბარებდნენ მიწას და უხდიდნენ მოსაგონებელ პურობას.²²⁰

ძველ კოლხეთში ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დასაფლავების აღნიშნული წესის გარდა, მრავალი სხვა წესი არსებობდა. მათ შორის გვამის დაწვაც და მათი ურნებით დამარხვა.²²¹

მ. ივაშჩენკოს ცნობით, აფხაზეთში სოფ. ეშერსა და ზღვისპირეთში მეორადი დასაფლავების წესიც ყოფილა,²²² ასევე დასაფლავება ქვევრებში და სხვ., რომელთა შესწავლა სპეციალურ კვლევას მოითხოვს. კოლხეთის მკვიდრთა შესახებ ცნობები მოცემული აქვთ ბერძენ-რომაელ მწერლებს. მათი ცნობებით დასტურდება, რომ კოლხეთი მრავალტომიანი ქვეყანა იყო და ცალკეულ ტომს ან რამდენიმე ტომთა გაერთიანებას საკუთარი რელიგიური რწმენა და დასაფლავების წესი ჰქონდა.

ძველ კოლხეთში, ჯერ კიდევ არგონავტების შემოსვლის პერიოდთან რომ წესად უნდა ყოფილიყო დასაფლავების ამგვარი წესი ზოგიერთ ტომში მაინც, ამას წერილობითი წყაროებიც ადასტურებს.²²³

ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ ხეცსურეთში გასულ საუკუნემდე მოღწეული იყო არა თუ ტომური ადათები, ტომური ხატ-ღვთაებებიც კი. ვაჟა წერს: „თვითეულ თემს ჰყავს საკუთარი ხატი გარდა საზოგადო ხატისაო“. საფიქრებელია, მრავალტომიან ძველ კოლხეთში აღგილი უნდა ჰქონდეს მსგავს მოვლენას, სწორედ ამ თავისებურებებზე არა ერთგზის შეჩერებულა აგრეთვე აკად. ივ. ჭავჭავაძე. რასაკვირველია, ეს ტომური სიჭრელე. როდი უარყოფს ერთი საზოგადო უზენაესი ღვთაების არსებობას, ციურ მნათობთა უმთავრესი ღვთაების. — მთვარის კულტის სახით. უდავოდ წარმართულ მნათობთა კულტის თაყვანისცემის გადმონაშთაა ქრისტიანული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ უკვდავება და სამოთხეა „ზეცაში“, სადაც მხოლოდ „ღირსეულნი“ შევლენ, უღირსნი კი ქვესკნელში „ქვეყანაში“, ჯოჯოხეთში მოხვდებიან. შესაძლებელია № 4 სამარხში აღმოჩენილ ნახევარსფეროსა და ასევე კაიკაციშვილისა და კომაროვის მიერ ნაპოვნ ანალოგიურ ნახევარსფეროებს სალოცავი ხატის დანიშნულება ჰქონდათ,

²²⁰ С. Звамбана, Абхазская мифология и религиозные поверья, «Кавказ». 1855, № 81. М. Иванченко, «Исследование археологических памятников материальной культуры в Абхазии» 1935, გვ. 69—72, მოსკოვ Кувшинские могильники в Западной Грузии, С.А. XIII, 1950.

²²¹ იხ. ნ. ზომტარაის ნარკვევი ენციკის მასალებში, 1941. ნაკ. 11, გვ. 70 — 77.

²²² იხ. «Материалы к изучению культуры Кавказа», 1941, ნაკ. II, გვ. 56—57.

²²³ აკოლონიოს როდოსელი, არგონავტოკა, 125; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 172.

რომ თეთროსან-ლეეკოთეას მიდამოებში ბრინჯაოს ცის თაღის საკულტო-იკონოგრაფიული ამგვარი გამოსახულების დამამზადებელი სპეციალური საწარმოც კი შესაძლოა არსებულებო.

4. ქაგლის ღატარიღებინათვის

ხუცუბნის 1944 წლის გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური კომპლექსის დათარიღებას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამავე სოფელში უფრო ადრე, შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური საგნების მეცნიერულად გააზრებისათვის. ხუცუბნის ძეგლის დათარიღებას რამდენადმე ართულებს ის მდგომარეობა, რომ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის საგნებთან ჩვენ წაეაწყოდით ნეოლითური ხანის კაყის იარაღს, თუმცა ასეთი შემთხვევები არქეოლოგიაში არც თუ იშვიათი მოვლენაა.

დავიწყოთ ამ უკანასკნელით. ხუცუბანში გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანის იარაღ-საჭურველთან ერთად აღმოჩნდა რამდენამე ცალკაყის იარაღი და ამასთანავე კაყისა და ობსიდიანის უფორმო ანატეციები. ეს უკანასკნელნი სამარხში შემთხვევით მოხვედრილის შთაბეჭდილებას სტოვებს.

კაყის იარაღთაგან ყურადღების ღირსია ბოლოყუნწაანი შუბისპირი და ისარი, რომლებიც ტიპოლოგიურად გენეტიურ კავშირშია კოლხურ ბრინჯაოსა და რკინის ასეთივე დანიშნულების იარაღთან (იხ. ტაბ. I, სურ. 1 და 2).

კაყისა და ობსიდიანის ამ იარაღს ხუცუბნის ძეგლის დათარიღებისათვის, იქ სადაც რკინის იარაღებია დაცული, ჩვენ არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. სულ სხვაა კაყისა და ობსიდიანის იარაღის მნიშვნელობა მაშინ, როცა იგი ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებთან ერთად გვხვდება. ესაა პერიოდი, როცა ბრინჯაოს მწარმოებელმა ტომებმა „იცოდნენ ლითონის დამუშავებაც, გარდა რკინისა, ამიტომ ჯერ კიდევ ვერ ელეოდნენ ქვის იარაღს“.²³⁴ ე. ი. მას, საფიქრებელია, ჯერ კიდევ ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე გვიანი ბრინჯაოს პერიოდში საფლავის ინვენტართა შორის აღმოჩენილი კაყისა და ობსიდიანის იარაღებთან. აქ ადათობრივ საუკუნოვანი ტრადიციის ინერციულ გაგრძელებასთან უნდა გვქონდეს მხოლოდ საქმე და ისიც საკულტო წარმართულ-რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით, თორემ ნეოლითის ეს იარაღები ამ პერიოდში ოდნავადაც ვერ ასახავენ რეალურად არსებულ მოქმედ საწარმოო ძალებს და მასთან დაკავშირებულ წარმოებით ურთიერთობას.²³⁵

²³⁴ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა თბილისი, 1938, გვ. 28.

²³⁵ Труды XII археологического съезда, г. Г. 187—188.

გვიან ბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოსა და რკინის იარაღებთან ერთად ზშირად ხედებიან კაეისა და ობსიდიანის იარაღს. ამ სახის ძეგლები ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ბლომად უნახავთ კავკასიისა და ყირიმის ტერიტორიაზე.²²⁶ ასეთი მაგალითები არა ერთი გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზეც. ბ. კუფტინმა გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ინვენტართან ერთად სამარხებში იპოვნა ობსიდიანის და კაეის იარაღები, მაგ., კაეისკბილებიანი ნამგალი²²⁷. ობსიდიანი და კაეს ძირითადად ისრის პირების დასამზადებლად იყენებდნენ. ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით ჩვენ დვანის სამარხებში. ს. შაკა-ლათიას იქ ბრინჯაოს და რკინის იარაღებთან ერთად კაეისა და ობსიდიანის ანატკეცებიც უპოვნია.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლას აქ აღარ შევეუდგებით. ოღონდ არ შეიძლება არ მივეუთითოთ იმ ფაქტზე, რომ ხუცუბანში. იქვე მახლობლად, სადაც ჩვენ გათხრები ვაწარმოეთ, ბერიძეების უბანში 1960 წ. ი. გძელიშვილმა აღმოაჩინა ნეოლითის პერიოდის ამსახველი ძეგლი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხუცუბანში საქმე გვაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების უწყვეტ პროცესთან.

ასეთი თანამიმდევრობის და გენეტიური კავშირის დადგენას ქვის, ბრინჯაოს და რკინის იარაღების განვითარებაში, თუ კი ეს კავშირი დამტკიცდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება კოლხეთის მკვიდრთა კულტურის ისტორიისა და ეთნოგენეზის მთელი რიგი, შეიძლება ითქვას, დღემდე სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

რაც შეეხება ხუცუბანში აღმოჩენილ კაეის იარაღს იმ სახით, როგორადაც ისინი ჩვენ ვიპოვეთ. გადამქრელი მნიშვნელობა არ ენიჭება ხუცუბნის არქეოლოგიური კომპლექსის დათარიღებისათვის. სამწუხაროდ ხუცუბნის სამაროვანთა დათარიღება არ უცდიათ არც კაიკაციშვილსა და კომაროვს, არც ჩვენს სახელოვან არქეოლოგს ექვთიმე თაყაიშვილს.

ახლა განვიხილოთ ხუცუბნის გვიანი ბრინჯაოს ხანის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს საგანთა რაობა და მისი მნიშვნელობა ამ ძეგლის დათარიღების თვალსაზრისით.

გვიანი ბრინჯაოს ხანის საწარმოო იარაღების გაუმჯობესება შორს მდის რკინის დამუშავების დაწყებასთან ერთად. საერთოდ დიდი კონსტრუქციული ცვლილებები ხდება საომარი და სამეურნეო იარაღების დამზადებაში, წარმოების ტექნიკაში, მათი სრულყოფის მიზნით. უღამი-

²²⁶ А. С. Уварова, Каталог собрания древностей, გვ. 35.

²²⁷ Б. А. Куфтин, Археологич. раскопки в Тризлетн, Тб., 1911, გვ. 141—149.

ლიანი ცულები შეცვალა ახალი ტიპის კოლხურმა ცულებმა, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მკვიდრი ტომების მონაპოვარი უნდა იყოს, მისი გავრცელების არედ მოკლე ხანში იქცა მთელი დასავლეთ საქართველო და ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო ფერდობები.²²⁸ საქართველოში ნაპოვნია ამგვარი ცულის ყალიბები, მასი წარმოების მძლავრი კერებიტურთ. კოლხურ ცულებთან ერთად გვიანი ბრინჯაოს პერიოდში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სეგმენტური იარაღები, თოხები, წალღები, ნამღები, მრავალი სახის საომარი იარაღი, საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთები.

კოლხური ცული თავისი დანიშნულებით გამოიყენებოდა როგორც სამუშაო, ასევე საბრძოლო იარაღად, ამასთანავე იყო სარიტუალო და სადღესასწაულო დანიშნულების ცულები, შემკული სხვადასხვა ორნამენტითა და მხატვრული სცენების გამოსახულებით.

გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის წამყვანი ტაპებიდან განსაკუთრებით დამახასიათებელია სეგმენტური იარაღი, რომლებიც მკირე ზომის ბარის მოყვანილობასაა. ხუცუბანში ამგვარი იარაღი საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა, ოღნავ დაზიანებული სახით (ტაბ. XIV, სურ. 4 — 6). ანალოგიური ტიპის სეგმენტური იარაღი ნაპოვნია ხუცუბნის ახლო მიდამოებში (ციხისძირში, ზენითსა და ჩაქვში) აღმოჩენილ განძთა შორის, ბრინჯაოს თოხებთან და ცულებთან ერთად.

ხუცუბნის სამაროვნებში დიდი ადგილი უჭირავს ტანსაცმლის მორთულობასთან დაკავშირებულ საგნებს და სამკაულებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები (ტაბ. XX, სურ. 2). იგი წარმოადგენს ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ, თხელი ფურცლებისაგან შედგენილ დიდ ლენტს (მასი სიგანის დადგენა არ ხერხდება, რადგან გადარჩენილია მხოლოდ ნაპირები) ამოტვიფრული ტალღისებრი გრენილი ხაზებით. სარტყელი ბრინჯაოს ხანის სასწავლო ხელოვნების უდავოდ ერთი საუკეთესო ნიმუშია იმ სახითაც კი, როგორადაც მან ჩვენამდე მოაღწია. ხუცუბნის სარტყელი თავის პარალელს უნდა პოულობდეს თრიალეთში, ბრილსა და მცხეთაში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყლებთან, რომლებიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდებიან.²²⁹

ხუცუბნის სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები მრავალმხრივია საინტერესო: ამ ფრაგმენტებით, მართალია,

²²⁸ ი. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XVI, გვ. 35 — 89.

²²⁹ იხ. საქართველოს ისტორია, გვ. 24 — 25.

ძნელად ხერხდება სარტყლის თავდაპირველი სახით აღდგენა, მაგრამ ის ნაწილები, რაც გადარჩენილია, საფუძველს იძლევა ამ ძეგლის რესტავრაციისა და მასზე რამდენადმე მთლიანი წარმოდგენის შემუშავებისათვის. ხუცუბნის სარტყლის მოხატულობა განსხვავდება როგორც თრიალეთისა და სამთავროს სარტყელთა მოხატულობისაგან, ასევე ყობანის სამაროვნებში ნაპოვნ ბრინჯაოს სარტყლის შემკულობისგან, რომლებზეც ნადირობის სცენებია წარმოდგენილი. ამ უკანასკნელთა დამახასიათებელია ასტრალურ ნიშნთა და ფანტასტიკური ცხოველების ფრიზული კომპოზიცია, სადაც ცხოველები წარმოდგენილია ერთ მწკრივად გარკვეული მიმართულებით, სხვა შემთხვევაში კი ორ და ზოგჯერ სამჯერად მწკრივად. ამ მხრივ ტიპურია ბრინჯაოს სარტყელი თრიალეთიდან. ამ სარტყლებზე გამოსახულია: ჭიხვი, ირემი, ცხენი, ხარი, ძაღლი, გველი, თევზი, ასევე ასტრალური ნიშნები მონადირე აღამიანებით. ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახულ რქოსან ცხოველთა რქები თავისი მოხატულობით ემსგავსება ახალ მთვარეს და ხშირად მათზე ფანტასტიკური ცხოველებიც — ფასკუნჯი, ცხენ-ხარი, ორთავიანი სხედასხვა ცხოველებიცაა წარმოსახული.

ცხოველების განლაგებაში იგრძნობა კომპოზიციური კანონზომიერება, სიმეტრიისა და რიტმის კანონების ცოდნა²⁴⁰. ამის კარგი დამადასტურებელია თრიალეთის სარტყელი, რომელიც სპეციალისტების აზრით, ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით თარიღდება. სარტყელზე წარმოდგენილი ფანტასტიკური არსებანი და ასტრალური ნიშნები უძველესი ხანის რელიგიურ-მაგიურ კონცეფციათა სიმბოლოებს უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე საგულისხმოა, რომ სამთავროს სარტყლის კომპოზიციური მთლიანობა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მაშინდელი საზოგადოების სოციალურ ორთიერთობაზეც. მაგ., ცხენოსანი მხედრის გვერდით, რომელიც ირემს ისარს სტყორცნის, ქვემო მწკრივში უმხედრო ცხენია გამოხატული მონადირის ცხენის მარჯვდად. ამასთანავე კომპოზიციის მეორე მწკრივში უიარაღო მხედარია წარმოდგენილი, როგორც თითქოს დამხმარე და დაქვემდებარებულ პირი ცხენოსანი მხედრისა. აქ როგორც ჩანს მხატვარმა მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლის ნადირობის სცენა წარმოადგინა, რომელსაც დამხმარე პირი და მარჯაფი ცხენი ასლავს. ე. ი. კლასობრივი საზოგადოება ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე თავისი დამახასიათებელი თვისებებით მხატვრობის სფეროშიაც იჩენს თავს.

ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ ძეგლთა აღწერისას ჩვენ შევწერდით ბრინჯაოს სარტყლის მხატვრულ ელემენტებზე. მისი ორნამენტაციის ძირითადი მოტივი ტალღისებრივე კლაკნილი ხაზებია,

²⁴⁰ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961, გვ. 37.

რომელიც (შესაძლოა ზღვის ტალღებს ესადაგებოდეს) მოჩარჩობებულია გეომეტრიული კუთხისებური მწკრივის სახის პარალელური ორნამენტებით.

შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის სარტყელები უაღრესად დიდი მნიშვნელობის ძეგლებია. ისინი საყურადღებოა ძველი იბერიულ-კოლხური ადრინდელი პერიოდის ისტორიის მეცნიერულად შესწავლისა და სრულყოფით გაშუქებისათვის. იგი ახალი საყურადღებო არგუმენტი შეიძლება იყოს იმ დებულებისათვის, რომ ბრინჯაოს სარტყელის ხელოვნება, მისი მოხატვა ფართოდ იყო ცნობილი სამხრეთ კავკასიის მკვიდრ უძველეს ქართულ ტომებში. ირკვევა, მოგვიანებით ურარტუელებმა ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობისაგან გადაიღეს მდიდრულად მოხატული სარტყლების დამზადების ტრადიცია. შეიძლება ითქვას, რომ ხუცუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ძეგლები ახალი მასალებითა და შინაარსით კიდევ ერთხელ ადასტურებენ. რომ კოლხეთს ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე ბრინჯაოს წარმოებაში პირველი ადგილი ეჭირა; ამასთანავე ბრინჯაოს სარტყლის მოხატულობანი, დიდი რაოდენობის ცულებთან და სხვა საგნებთან ერთად, იმის ნათელი დადასტურებაა, რომ კოლხური ბრინჯაოს ეპოქის ხელოვნების ეს მდიდარი ტრადიციები, მოგვიანებით, საფუძვლად უნდა დადებოდა სკვითურ ხელოვნებაში განვითარებულ „ცხოველთა“ სტილს, სხვა ანალოგიურ მოვლენებთან ერთად. რომელსაც წინათ ხეთურის²⁴¹ და ურარტული კულტურის ტრადიციებზე აღმოცენებულად მიიჩნევდნენ.²⁴²

ბრინჯაოს სამკაულთაგან ყურადღებას იპყრობს ძველი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამაჯურები, ხატისუდელი და ბეჭდები, რომლებიც შემადგენელი ელემენტები იყვნენ გვიანი ბრინჯაოს პერიოდის კოლხეთის მკვიდრი მოსახლეობის ჩაცმულობისა, იმ ვითარებაშიც კი, თუ დადასტურდება, რომ აღნიშნული სამაჯურები ასევე გამოიყენებოდა და ასრულებდა ფულის (მონეტის) ფუნქციასაც.

ხუცუბნის 1944 წელს აღმოჩენილ არქეოლოგიურ კომპლექსთან ერთად ყურადღებას იპყრობს გენერალ კომაროვის მიერ 1882 წელს გამოქვეყნებული მოკლე ცნობა ხუცუბანში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების შესახებ. გენ. კომაროვს სხვა ნივთებთან ერთად უბრალოდ დასახელებული აქვს ბრინჯაოსაგან დამზადებული ორი ნივთი, ესენია გ. კაიკაციშვილის მიერ ხუცუბანში ნაპოვნი

²⁴¹ Б. В. Фармаковский. Арханчский период в России, вып. II, 1916, гл. 75, 78.

²⁴² М. И. Ростовцев, Эллинизм и Иранство, II, гл. 45.

ლომის ჩამოსხმული ფიგურა და ცხენის თავის გამოხატულებანი ქამრის ბალთებზე ამოტვიფრულ წრეებში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს მიერ აქვე ნაპოვნ ბრინჯაოსავე ზოგნივთებთან დაკავშირებით. ამჟამად ეს ნივთები კოლხური ხელოვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით შესანიშნავია და მეტად საყურადღებო. ამგვარი ფიგურები და გამოხატულებანი მეტ-ნაკლებად ანტიკურ ხანაშიაც იჩენს თავს.²⁴³

სამარხში ნაპოვნ ბრინჯაოს ცულებს, სეგმენტურ იარაღებს, და სხვ. ამ ეტაპზე მხოლოდ სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონდეს. ეს საცხებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა ისტორიულად საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა საფეხურზე ტექნიკური გაუმჯობესება პირველ რიგში მხოლოდ სამხედრო-საომარი დანიშნულების იარაღის წარმოების სფეროს ეხებოდა და აქედან ეს გაუმჯობესება თანდათანობით ვრცელდებოდა სამეურნეო იარაღთა წარმოებაზე. იარაღ-საჭურველთა წარმოების დარგი ტექნიკურად მუდამ წინ უსწრებდა ამ უკანასკნელს. ეს ისტორიული კეზმარიტება შესანიშნავი სიციხადით მტკიცდება ხუცუბნის მაგალითზე. რომლის არქეოლოგიური მასალით ირკვევა, რომ საზოგადოებას ამ დროისათვის ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია საწარმოო ძალთა განვითარების იმ საფეხურისათვის, როცა რკინისაგან შეეძლოთ სამეურნეო იარაღის წარმოება, რადგან მთ განკარგულებაში რკინა ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითაა. ამიტომ ეტყობა რკინას დიდი ეკონომიით იყენებენ. იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ წარჩინებულ მემართა და უვავლენიანებს, შეძლებულ ფენათათვის, მათთვის ესოდენ საჭირო იარაღ-საჭურველთა გარკვეული რაოდენობით დასამზადებლად. ამჟენად რკინა მისი უშუალო მწარმოებელთათვის სიმდიდრისა და განძის სინონიმური მნიშვნელობის საგნად ხდება. სწორედ ამიტომ არაა შემთხვევითი ის მოვლენა, რომ რკინის ზოდები ხუცუბნის სამარხებში განძის სახითაა წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოში რკინის იარაღებს ამ პერიოდისათვის მეტად იშვიათად ვხვდებით. ალ. კალანდაძემ აფხაზეთში იპოვნა რკინის ადრეული ხანის ნივთები. ურეკში ბრინჯაოსთან ერთად რკინის იარაღებიც აღმოჩნდა.

ხუცუბნის სამარხებში აღმოჩენილი რკინის იარაღები — სატევრება ნიშტი და შუბის პირები განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა და სპეციალური შესწავლის ღირსია, რკინის იმ ზოდებთან ერთად, რომლებიც ბრინჯაოს ნივთებთან შერევით იყო წარმოდგენილი. აქ

²⁴³ ო. ლორთქიფანიძე და რ. ფუთურიძე. ვანის სეგანძური, ახალი აღმოჩენები, დაიბეჭდა ვახ. „კომუნისტში“ 1968 წ. 6 თებერვლის ნომერში. აქვე მოტანილია კირქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავები.

აღმოჩენილი რკინის ოთხი ზოდის ერთმანეთისაგან თახმამდევრული განსხვავება (წონით და ამდენად გარეგნულადაც), ჩვენის აზრით, ასევე არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. რკინა ამ დროს იშვიათია, იგი სიმღადრის ყველაზე ძვირფასი და ამდენად საკუთრების საკატორფორმაა.

აკად. ე. თაყაიშვილმა ჩვენთან საუბარში და შემდეგ, თავის რეცენზიაშიაც, ჩვენი ნაშრომის აღრინდელ ვარიანტზე მკუთითა, რომ სამარხში აღმოჩენილი რკინის ეს ზოდები იმაზე მიუთითებს, რომ აქ ჰქვდელი უნდა ყოფილიყო დამარხული.²⁴⁴



ხუცუბნის სამაროვანთა დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აქ აღმოჩენილ კარგად გამომწვარ თიხის ქურკელს, ხელით ნაძერწი ქურკელის (მოწითალო, უხეში) ნატეხებს და დიდი რაოდენობით მძივებს. მძივები ყველაზე უფრო მოძრავია, დიდა ასორტიმენტის მქონე და ფართოდ გავრცელებული საქონელი ყოფილა ძველ ქართულ ტომებს შორის. ჩვენ აქ ვხედებით სარდიონის, გიშრის, ეგვიპტური პასტის და სხვა მასალისაგან დამზადებულ სხვადასხვა ფორმის და ზომის მძივებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიდი გემოვნებით დამუშავებული სარდიონის მძივები, რომლებიც ასევე ფართოდაა გავრცელებული თრიალეთის მდიდრულ სამარხებში.

ყურადღებას იპყრობს ხუცუბნის სამარხებში ნაპოვნი სარდიონის ექვსწახნაგა მოგრძო ფორმის მძივები, რომლებიც თავის პარალელებს სოფ. გოხნარის სამარხებში აღმოჩენილ მძივებთან პოლოზენ.²⁴⁵ ანალოგიური ექვსწახნაგა სარდიონის მძივები ნაპოვნი რკინის ნივთებთან, ბრინჯაოს ბრტყელყუნწიან ისრის პირებთან, შავპრიალა

²⁴⁴ ე. თაყაიშვილის რეცენზია ჩვენი ამ ნაშრომის პირველ ვარიანტს შეეხება, რომელიც 1947 წელს დაიწერა. თაყაიშვილი დიდი ინტერესით და ყურადღებით მოეკიდა ხუცუბანში აღმოჩენილ ძეგლს, გაეცნო მის დოკუმენტურ მასალას, ჩვენს ნაკვეთთან ერთად და მოგვცა უაღრესად საყურადღებო შენიშვნები. თაყაიშვილის ამ შენიშვნებმა ჩვენი ყურადღება უფრო გაამახვილეს ქართული წარმართობის საკითხებზე; თაყაიშვილის ყველა შენიშვნა, ისევე როგორც ე. თაყაიშვილის ანგარიში ხუცუბანში 1891—1896 წ.-ში, მისი მუშაობის შედეგებზე, მეტად ძვირფასი მასალა იყო ჩვენთვის, რომლებიც ამ ნაშრომის 1-ლი ვარიანტის გადამუშავებისას ბევრ სხვა ანგარიშგასაწევ მოვლენებთან ერთად გავითვალისწინეთ. ე. თაყაიშვილმა მოიგონა ხუცუბანში მის მიერ ჩატარებული გათხრების შესახებ შედგენილი ანგარიშები, რომლებიც ლენინგრადის არქივის საცავებში ვიპოვეთ.

²⁴⁵ ო. ჯ ა რ ი ძ ე, 1959 თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიშა, იხ. ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ანოტაციები. თბილისი, 1960, გვ. 15 — 17.

თიხის ქურქელთან და მოწითალო ქურქლის ნატეხებთან ერთად ბეშთაშენის № 1 ორმოსამარხში,²⁴⁶ გოხნარ-ბეშთაშენის ოვა-
ლური ექვსწახნაგა სარდიონის მძივები, სხვა მასალასთან ერთად,
ე. წ. XIII — XII სს. ფარგლებში ექცევა.²⁴⁷ ხუცუბნის სამაროვნის ინ-
ვენტარაც როგორც ითქვა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლოს განე-
კუთვნება, ე. ი. ქრონოლოგიურად ისინი ერთმანეთს ემთხვევა.

ხუცუბნის სარდიონის მრგვალი მძივები დასავლეთ საქართველოს
სინამდვილიდან თავის პარალელებს პოულობს ეშერის (აფხაზეთა).
ასევე სოფ. ნოსირისა და სოფ. ფარცხანაყანეის მასალასთან, რომე-
ლიც ჯერ კიდევ 1868 წელს იპოვნეს. ეს მასალა შემდეგში აღწერა.
უეაროვამ,²⁴⁸ მაგრამ შეცდომით იგი ძოწად (გრანატად) მიიჩნია.

ნოსირში შემთხვევით ნაპოვნ განძში ძვირფას ნაკეთობათა შორის
უნახავთ სტილიზებული ლომის თავი.²⁴⁹ ეს ფაქტი ასევე პოულობს
თავის პარალელს ხუცუბანში. ჩვენ, თავის აღგილზე, კომაროვის
ცნობაზე დაყრდნობით, აღნიშნული გვაქვს, რომ ხუცუბანში 1681 წ.
ასევე ნაპოვნი იყო ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლომის ფიგურა, მაგ-
რამ მას როგორც ითქვა ჩვენამდე არ მოუღწევია.

სარდიონის მძივები გვიანი ბრინჯაოს ხანას დამახასიათებელ სხვა
ინვენტართან ერთად ჩვენ უდეს განძშიც გვხვდება. აქვე მსგავსად ხუ-
ცუბნისა, მცხეთის № 286 ორმოსამარხშიც გვხვდება ადრეული რკი-
ნის ხანის ნივთები. უდეს განძის თარიღად ასევე ძვ. წ. XIII და XII
საუკუნეების მიჯნას მიიჩნევენ.²⁵⁰ ამავე პერიოდს მიაკუთვნებენ ვანსა
და ყობანში აღმოჩენილ რკინის ინკრუსტირებულ აბზინდებს. განსა-
კუთრებულ ინტერესს იწვევს წინწყაროს ამავე პერიოდის სამაროვნის
№ 6 და № 60 სამარხები, სადაც ბრინჯაოსა და რკინის იარაღებთან
ერთად ისე როგორც ეს ხუცუბნის მაგალითზე აშკარავდება, სამარხში
დიდი რაოდენობის სარდიონის მძივი აღმოჩნდა: მაგ. № 60 სამარხ-
ში — 610 ცალამდე — ოვალური ექვსწახნაგა, ბიკონუსური, ზარი-
სებრი, მანდარინისებრი, ცილინდრული, მომრგვალო, კასრისებრი.

²⁴⁶ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941. л. 65.

²⁴⁷ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის აბზინდების საკითხისათვის აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 320.

²⁴⁸ П. С. У в а р о в а. Коллекция Кавказского музея, т. V, Археология, Тифлис, 1902. გვ. 109-110. Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети. გვ. 134, карт. 131.

²⁴⁹ ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133, სურ. 129.

²⁵⁰ ტ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1957, გვ. 93. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის აბზინდების საკითხისათვის აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე, მუზეუმის მოამბე XXIII — B, 1961, გვ. 326.

ასევე იპოვეს სხვადასხვა ფორმისა და ზომის პასტის მძივები თეთრი, მწვანე, ცისფერი.

წინწყაროს № 6 სამარხში ბრინჯაოს და რკინას ნივთებთან ერთად აღმოჩნდა 110 ცალი სარდიონის მძივი: ოვალური, ექვსწახნაგა, ბიკონუსური, ზარისებრი, მომრგვალო, კასრისებრი, მანდარინისებრი და 1 ცალი ბლოკისებრი თეთრი პასტის მძივი²⁵¹. სარდიონის მძივთა ნაირსახეობებისა და ფორმების მთელი ეს კომპლექსი მრავლად ვლინდება ხუცუბნის სამარხში (იხ. ტაბ. XXVIII, სურ. 1—15). აქაა წარმოდგენილი თითქმის ყველა ის სახეობა სარდიონის მძივებისა, რომელსაც ჩვენ წინწყაროს № 6 და № 60 სამარხებში ვხვდებით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხუცუბნის ძეგლებთან ერთად წინწყაროს დასახელებული სამარხებიც ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულით თარიღდება.

ხუცუბნის სამაროვნებში ნაირსახოვან მძივთაგან რაოდენობით ყველაზე მეტი გიშრის მძივებია აღმოჩნდა. ამ სინამდვილეს თავისი ამხსნელი მიზეზებიც უნდა მოეპოვებოდეს. გიშრის მძივების წარმოებას ქართველ ტომებში გარდა იმისა, რომ უხსოვარ დროიდან მისდევდნენ, ისე როგორც მელითონეობის განვითარებას, მკვიდრ ბაზას უქმნიდა ადგილობრივი საბადოების არსებობა. გიშერს ქართველი ტომები ძვ. წ. XII საუკუნიდან ამზადებდნენ; გიშრის წარმოების უძველესი და ყველაზე დიდი საბადო და კერა ძველ ოკრიბაში (ტყიბულის რაიონში) არსებობდა. გიშრის დამუშავების ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. გიშრისაგან ამზადებდნენ ყელსაბმელებს, სამაჯურებს, მასრებს, ბეკდის თვლებს, ბეკდებს, მძივებს, ცხოველთა ქანდაკებებს, ჯვრებს, სკვნილებს.²⁵² ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილი გიშრის მძივები ოკრიბის მკვიდრთა დამზადებული უნდა იყოს ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე. ოკრიბაში დამზადებული გიშერი ძველთაგანვე ფართოდ ვრცელდებოდა არა მხოლოდ ისეთ მეზობელ ადგილებში, როგორც კინტრიშის ხეობა და კოლხეთის სხვა შემადგენელი ადგილებია, არამედ მის საზღვრებგარეთაც. მძივი, იველთაგანვე, ყველაზე ხელსაყრელ, ერთ-ერთ საქსპორტო სააღებ-მიცემო საგნად ითვლებოდა; ამიტომ მეგიშრეობაში ფართოდ დაოსტატებულ ოკრიბელებს წიაღისეულ სხვა სიმდიდრესთან ერთად გიშრის სამკაულები დიდი რაოდენობით უნდა ეწარმოებინათ. გიშერი, ქარვის მძივებთან ერთად, ქალის მზითვის დიდი კომპონენტი იყო ძველ საქართველოში, გიშერი ძვირად ფასობდა. XIX საუკუნის მხო-

²⁵¹ ბ. კუ ფ ტ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, თბ., ტაბ. XXXIII.

²⁵² ნ. რ ე ხ ე ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული გიშერი, იხ. ძეგლის მეგობარი, კრებ. 24,

ლოდ 1841 წ. გიშრის წარმოება წელიწადში 20000 მანეთას წმინდა მიაგებას იძლეოდა დასავლეთ საქართველოდან მისი ექსპორტის საფუძველზე.²⁵³

ტანსაცმელთა მოკაზმულობასთან დაკავშირებული საგნებიდან ხუცუბნის ძეგლში ასევე ყურადღებას იპყრობს სამარხში აღმოჩენილი რკინის მშვილდსაკინძები, რომლის საკინძი ნემსი მშვილდის დეროს ნაწილია. მშვილდსაკინძები კოლხურ, დასავლურ-ქართული ტიპისაა. იგი მართალია საკმაოდ ემსგავსება ბერძნულ საკინძს, მაგრამ ადგილობრივი, ძველი კოლხურა მეტალურგიული კულტურის პროდუქტი შეიძლება იყოს მსგავსად სხვა საგნებისა.

ხუცუბნის მძივებთან ერთად, ამ ძეგლის დათარიღებისათვის ხელმისაწვდომია აქ აღმოჩენილი 6 რკინის მშვილდსაკინძი, რომლებიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის და საერთოდ კოლხური კულტურის დამახასიათებელია. ფიქრობენ, რომ მშვილდსაკინძეები აქედან მთელს კავკასიაში უნდა გავრცელებულიყო. მაგ., იგი ნაპოვნია სამთავროს მიდამოებში ბაიერნისეულ № 591 ორმოსამარხში და სხვ.

მშვილდსაკინძები საქართველოსა და კავკასიაში არქეოლოგების დიდ ნაწილს ბერძნული კულტურის გავლენის ნაყოფად მიაჩნია²⁵⁴. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებობდა მშვილდსაკინძთა გავრცელების თარიღი, რომელიც ძვ. წ. X საუკუნის ჩარჩოებში თავსდება. ამ პერიოდში კი საზოგადოდ იმდენად იზრდება სასაქონლო-საეაქრო ურთიერთობა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ტომთა შორის გაცხოველებულ აღებ-მიცემობასთან, არამედ ეს ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში ბევრად სცილდება ადგილობრივ ტომურ ფარგლებს და უცხო ქვეყნებთან საეაქრო კონტაქტებში იჩენს თავს. სისტემატური გაცვლის პროცესი თავისთავად ბადებს და გამოყოფს მონეტის ფუნქციის შემსრულებელ მთელ რიგ საგნებს, მათ შორის რკინისა და ბრინჯაოსაგან დამზადებულ სხვადასხვა ზომის და წონის რგოლებს. რომელთაც ზოგჯერ არქეოლოგები საყელურ-სამაჯურებად მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილმა ბრინჯაოს ასეთმა რგოლებმა თავის დროზე ჯერ კიდევ დემორგანის ყურადღება მიიპყრო. მან შენიშნა, რომ შეუძლებელია ყველა ბრინჯაოს საკისრე რგოლი (ხატისუღელი), ან სამაჯური ყოფილიყო. მხოლოდ

²⁵³ ნ. რეხვიასვილი, ქართული გიწერი, იხ. ძეგლის მეგობარი, კრებ 24, გვ. 25.

²⁵⁴ რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 329. ამის მოტივად მოტანილია ის, რომ ბერძნები კოლხეთის ზღვისპირეთს ადრე უკავშირდებიან; ეს ფაქტი კარგადაა დასაბუთებული ასევე თ. მიქელაძის სპეციალურ შრომაში, — ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის. საქართველოს ისრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 11, 1960 გვ. 169—172.

თავისი დანიშნულებით, რადგან მათი სიდიდე გარკვეული პროპორციით იზრდება. მაგ., უმცირესი იმათგან 8,200 გრამს იწონის, შემდეგ გვაქვს წონით ამაზე თითქმის ზუსტად 2-ჯერ, 3-ჯერ, 4-ჯერ, 5-ჯერ, 6-ჯერ, 10-ჯერ უფრო მეტი სიმძიმის რგოლები. უმცირესი ერთეულის სახით აქ, მასსადამე, გამოდის 8,200 გრამი, რომელიც როგორც დემორგანმა შენიშნა, ძალზე ახლო დგას ძველ აღმოსავლურ, კერძოდ ასურულ, წონის ერთეულთან — სიკილასთან, რომელიც 8,415 გრამს უდრიდა. ამიტომაც დემორგანმა დაასკვნა, რომ აქ ჩვენ ერთგვარ ფულის ერთეულთან უნდა გვექონდეს საქმე და არა სამაჭურებთან.²⁵⁵

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ხუცუბნის მასალები. ბრინჯაოსა და რკინის სხედასხვა ზომის და წონის ასეთი რგოლები, რომელთაც, როგორც დავრწმუნდით, ფულის ერთეულების გამომხატველად მიიჩნევენ, მიუთითებენ იმაზე, თუ რაოდენ განვითარებული იყო ამ პერიოდში ვაჭრობა. სამწუხაროდ, ქართული ნუმისმატიკის მკვლევართ ამ მიმართულებით დღემდე არავითარი კვლევა-ძიება არ უწარმოებიათ, თუმცა ნივთიერი მასალა გათხრითი მუშაობის საფუძველზე ამ უკანასკნელად დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული.

გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხეთში განვითარებულია არამარტო საშინაო ადებ-მიცემობა, არამედ ამ ქვეყნის მკვიდრნი, საფიქრებელია, უცხო მეზობელ ხალხებთანაც არიან ჩაბმულნი სააღებმციემო სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში. ქართველური ტომების ისეთი ნაწარმი, როგორიც ხალიბური რკინა და ფოლადი იყო, ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ-დასავლურ სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მეზობელ უცხო ქვეყნებთან ქართველ ტომთა მკვიდრო-ეკონომიურ კავშირზე მიგვითითებს ასევე კალანარევი ბრინჯაოს ნივთების დიდი რაოდენობით დამზადების ფაქტი, მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიაზე კალას მადნის საბადო არ არსებობს; ამიტომ, ბუნებრივია, იგი ამიერკავკასიის მეზობელი რაიონებიდან ან უცხო, უფრო შორეული ქვეყნებიდან უნდა შემოეზიდათ. აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოს სამაროვანთა ფენებში კალის ზოდების აღმოჩენა უცხო ქვეყნებთან კოლხეთის მკვიდრთა სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელი საყურადღებო ფაქტია.²⁵⁶ ძველი ბერძნული წყაროები უფრო მოგვიანებით ამგვარ ურთიერთობაზე ხომ საკმაო ცნობებს გვაწვდიან და გვიდასტურებენ.

²⁵⁵ წყაროს ვიყენებთ ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მიხედვით, 1, 1928, გვ. 15—16. კოლხეთში მოგვიანებით არსებულ საწონ ერთეულთა შესახებ იხ. Г. А. Лордкипანიძე, К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, გვ. 100—103.

²⁵⁶ ბ. კუტუნი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, 1949, გვ. 32.

სპილენძისა და კალის შენადნობს „კლასიკური“ ბრინჯაო ეწოდება, რომლისათვისაც ქართველურ ტომებს მიუღწევიათ ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანის მეტალურგიულ წარმოებაში. ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ბრინჯაოს გამოსადნობად საჭირო კალა საქართველოში ადგილობრივ კი არ იწარმოებოდა, არამედ, როგორც ითქვა, შემოჰქონდათ სხვა ქვეყნიებიდან ზოდებად ალებ-მიცემობის გზით.

მთას რაკის არქეოლოგიური შესწავლა მრავალ სხვა ანალოგიურ ადგილთან ერთად უტყუარ საბუთს იძლევა იმისას, რომ მეტალურგიული ცენტრები აღორძინებას იწყებენ ლითონის ნედლეულით მდიდარ მაღალმთიან, ზოგ კლდოვან ადგილებში, რომლებიც უაღრესად მკაცრი ბუნებრივი პირობებით ხასიათდებოდნენ. ასეთი დიდი ცენტრი აღორძინებულა რიონის ზემო წელში, ძველი კოლხეთის შემადგენელ სოფ. ლების მიდამოებში, სადაც აღმოჩნდა დიდ საბადოთა უძველესი მაღაროები, რომლებიც ზღვის დონიდან 1500—2000 მეტრის სიმაღლეზე, უღრან ხევებსა და მაღალ მთიან უგზო ადგილებში იმყოფება და მ თვის განმავლობაში მჭაფრი ზამთარი სუფევს.²⁵⁷ სწორედ ასეთ ადგილებში აღორძინებული მეტალურგია. მეცხოველეობასთან ერთად ხელს უწყობდა ბარში მიწათმოქმედების განვითარებას გაუმჯობესებული იარაღებით — ცულით, თოხით, სახვნელათა და ნამგლით.

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემებით დადგენილია, რომ სახვნელი იარაღი შექმნეს წინააზიის უძველესმა აბორიგენებმა, რომლის შემადგენლობაში ქართველი ხალხის წინაპრებიც შედიოდნენ. ქართული ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე მეცნიერულად დადგინდა სახვნელი იარაღის არა მხოლოდ წარმოქმნის დრო და განვითარების ძირითადი ეტაპები. არამედ ის როლიც, რომელიც ქართველმა ტომებმა სახვნელის სრულყოფის საქმეში შეასრულეს.²⁵⁸

ბუნებრივია, ლითონის იარაღების მომხმარებელი, მის მწარმოებელ ტომთან ერთად, მეზობელი სხვა, უმთავრესად ბარში მცხოვრები, ტომებიც იყვნენ და მათ შორის საქონლის უშუალო გაცვლასაც უნდა ჰქონოდა ადგილი. სატომთაშორისო ალებ-მიცემობის გაცხოველება ზრდის და აფართოებს ამ მეტალურგიულ ცენტრებში დამზადებული პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობას, თანდათან უფრო მასი-

²⁵⁷ გ. გო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 53

²⁵⁸ გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, ტფ., 1930, გვ. 286. მისივე „რაკული სახვნელი“, „ენციკის“ მოამბე, ტ. I, თბ., 1937.

ურს ხდის ხელოსნობის ამ დარგს, ალებ-მიცემობასთან ერთად ხელს უწყობს ტრანსპორტის საშუალებათა განვითარებას, და ხაადაგს აცლის იმ ტრადიციას, როცა ლითონის დამუშავებას ლოკალური ხასიათი ჰქონდა და მდნეულ საბადოთა მოპოვებას მიდამოებში ვითარდებოდა. ლითონის დამუშავება კოლხეთში ფართოდ ვითარდება. ხშირად თვით ლითონის ზოდი ხდება ალებ-მიცემის საგნად.

ამ საფუძველზე ყალიბდება გვიან ბრინჯაოს დასავლურ-ქართულ კულტურაში მსხვილი და წვრილი ლოკალური კერები. დამახასიათებელია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ერთი მთლიანი კოლხური მეტალურგიული კულტურის საერთო განვითარების ფონზე და მის მიხედვით. კოლხური მეტალურგიის წამყვანი ფორმების შესწავლის ასეთ ლოკალურ რაიონებად, რამდენადაც ამის საფუძველს მოპოვებული მასალა იძლევა, მეტ-ნაკლებად გვევლინება აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და კოროხის აუზი.²⁵⁹ აქვე გასათვალისწინებელია იმერეთის (საჩხერის და სსხვ.) რიგი პუნქტებისა.



კოლხური გვიანი ბრინჯაოს კულტურის არეების ჩამოყალიბებას ვრცელ ტერიტორიაზე წინ ხანგრძლივი ისტორიული გახვითარება და ღრმა სოციალურ-ეკონომიური პროცესები უსწრებდა. საზოგადოებრივი განვითარება ამ ეტაპზე იმ დონემდეა მიღწეული, როცა კარბი პროდუქტის გაცვლა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ცალკე სატომოებს შიგნით და მეზობელ ტომებს შორის ბევრად შორსაა წასული და ეკონომიური საფუძველია შემზადებული აქ არსებულ ტომთა კავშირების კონსოლიდაციისათვის. ერთგვაროვანი კულტურის მატარებელი მონათესავე ტომთაშორისა ამ კავშირების ჩამოყალიბებისათვის სოციალურ-ეკონომიური საფუძველების შექმნა. სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს გაერთიანება მშვიდობიანი გზით ხდებოდა. რა თქმა უნდა, ტომთა დიდი კავშირები აწარმოებდნენ ხშირ, მტაცებლურ ომებს, ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას დიდ ტერიტორიაზე.

„მოსახლეობის მზარდი სიმკვიდროვე აიძულებს ადამიანებს უფრო მტკიცედ შეკავშირდნენ, როგორც შიგნით, ისე გარეთ. მონათესავე ტომების კავშირი ყოველგან აუცილებელი ხდება; სულ მალე აუცილებელი ხდება აგრეთვე მათი შეერთება და ამით ტომების გათიშული ტერიტორიების შეერთება ხალხის საერთო ტერიტორიებად... მხედართმთავარი. საბჭო, სახალხო კრება შეადგენენ სამხედრო დემოკრატიულ, განვითარებული გვაროვნული საზოგადოების ორგანოებს.

²⁵⁹ საქართველოს არქეოლოგია, გვ. 141.

ეს დემოკრატია სამხედრო იმიტომ, რომ ომი და ორგანიზაცია ომისათვის, ახლა ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება... მტაცებლური ომები აძლიერებენ როგორც უმადლესი მთავარსარდლის, ისე ხელქვეითი სამხედრო მეთაურების ძალაუფლებას... მთელი გვაროვნული საზოგადოება თავის წინააღმდეგურად იქცევა: ტომებია ორგანიზაციიდან, რომელიც თავის საკუთარ საქმეებს თავისუფლად აწესრიგებდა, გვაროვნული წყობილება მეზობლების ძარცვა-გლეჯისა და ჩაგვრის ორგანიზაციად იქცევა“.²⁵⁰

ისეთ ისტორიულ ვითარებაში, როცა ომი და ორგანიზაცია ომისათვის მეზობელ ტომთა დამორჩილებისა და მისი დოვლათის მიტაცებისათვის თათქო „წარმოების“ დარგი ხდება, რასაკვირველია, შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება ამ ეპოქის ამსახველ სამარხებში, კერძოდ ხუცუბანში და ასევე ურეკშიც დიდი რაოდენობით აღმოჩენილი საბრძოლო იარაღების — შუბების, მახვილების; სატევრების, ხიშტების, ისრისპირების, საომარი ცულებისა და სხვათა სიმრავლე.²⁵¹ ამავე პერიოდის სამარხები უკვე საკმაოდ ამკლავებენ ქონებრივი უთანასწორობის არსებობას, და ეს უთანასწორობა უპირველეს ყოვლისა ვლინდება სამარხში მეტ-ნაკლებად ჩაყოლებული საბრძოლო იარაღებით, საყოფაცხოვრებო, საკულტო და სხვა სახის ნივთებით. მკვეთრად ჩანს გვაროვნული არისტოკრატის გამოყოფის პროცესი. ცალკე შექმნილი ოჯახებისა და გვარების არსებობა, მაგ., ძვ. წ. II ათასეულის დასასრულს რაჭაში (ბრილი) აღმოჩნდა სამარხები მდიდრული და ღარიბული თანჩაყოლებული ნივთებით, ხოლო მათ სიმდიდრეს ძირითადად განსაზღვრავდა ანტიმონიანი ბრინჯაოს ცულები, შუბები, სატევრები და სხვა სახის საბრძოლო და საყოფაცხოვრებო სამკაულები.²⁵²

ძველ კოლხურ სამაროვანთა გათხრისას, ისევე როგორც შემთხვევით აღმოჩენილ განძებში, იშვიათად გვხვდება საომარი იარაღების ისეთი სახეობანი, როგორიცაა: შუბები, სატევრები, აკინაკები, მახვილები, ისრები და სხვა სახის იარაღები.²⁵³

ხუცუბანის სამაროვნებში კოლხური ცულის რამდენიმე სახეობასთან ერთად, როგორც აღინიშნა, საკმაოდ რაოდენობით აღმოჩნდა რკინის და ბრინჯაოს საომარ იარაღთა ზემოთ დასახელებული სახეობები.

²⁵⁰ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 376—377.

²⁵¹ Н. В. Хоштария. Археологическое исследование в Уреки. Мასალე-ბა საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1935.

²⁵² გ. გ. ბეჭიშვილი, დასახ. ნაწრომი, გვ. 57 — 58.

²⁵³ დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

რკინის წარმოებაზე გადასვლასთან ერთად ღრმავდება სოციალური დიფერენციაცია და ჩნდება კლასები.

კლასობრივი საზოგადოების გაჩენის გამოსაკვლევად ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საზოგადოებაში ზედმეტი პროდუქტის წარმოქმნა, ანუ გარკვევა იმისა, თუ როგორ პირობებში ახორციელებენ საზოგადოების წევრები თავიანთი საარსებო აუცილებელი მინიმუმის დაკმაყოფილებასა და ზედმეტი, ანუ გარდამეტი პროდუქტის წარმოებას. ამ ზედმეტი პროდუქტის წარმოება და მისი მნიშვნელოვნად ზრდა მეცხოველეობის, მიწათმოქმედებისა, და ხელოსნობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე გახდა შესაძლებელი; ხოლო ზედმეტი პროდუქტის გამოყენება ამ პერიოდში გაბატონებული კლასის პირადი მოხმარების გარდა, პირველ ყოვლისა, ტაძრების, სასახლეებისა და საკულტო სამარხ ნაგებობათა მშენებლობაში იჩენდა თავს, რომლებსაც ჩვენამდე ისტორიული ძეგლების სახით მოუღწევია.

გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში სოციალური დიფერენციაციის ადრე დაწყებული ეს პროცესი, გაპირობებული საწარმოო ძალებისა და მისი შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობით, ხასიათდება ტომური კარჩაკეტილობის რღვევით, საწარმოო-ეკონომიური და გაცვლითი ურთიერთობის გაღრმავებისა და კავშირების გაძლიერებით.

ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე ნიადაგი მზადდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების დიალექტის და კულხას (კოლხეთის) სახით და მის მეზობელ სხვა ტომთა გაერთიანებებისა.²⁶¹

ირკვევა, რომ ეკონომიური განვითარების საფუძველზე ტომთაშორის სააღმშენებლო ურთიერთობის განვითარებამ, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების დაახლოებამ ბოლო მოუღო სამთამადნო ბაზასთან და მის მახლობელ მიდამოებში დამზადებული ნაწარმის ვიწრო ლოკალურ მოხმარებას, სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ აღებ-მიცემობის საგნად აქცია პროდუქტის ეს სახეობაც და გასაღების საკმაოდ ვრცელი ბაზარი მოუპოვა მას. განსაკუთრებით ეს ითქმის გვიანი ბრინჯაოს „კოლხური ცულის“ გავრცელებაზე იმ დიდ ტერიტორიულ არეზე, რომელიც ქ. ორდუდან მოკიდებული მთელ დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალს მოიცავდა.

ხუცუბანში მოპოვებული მასალებით ერთგვარად მაინც დასტურ-

²⁶¹ Г. А. Мелникшвили, К истории древней Грузии, тб., 1959, გვ. 200-203.

დება, რომ ძველი კოლხეთის შემადგენელი ეს მხარე შემოქმედება-
თად მონაწილეობდა ისტორიული განვითარების იმ მეტად ღრმა სო-
ციალურ-ეკონომიურ საერთო პროცესში, რომლითაც ხასიათდებოდა
ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გადამავალი კოლხური სინამდვილე.
ხუცუბნის სამაროვანთა კომპლექსში კოლხური კულტურის ამ
საერთო ისტორიული განვითარების დამადასტურებელი მოვლენების
გვერდით ერთი მეტად დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურე-
ბაც შეინიშნება. სახელდობრ ის, რომ სამარხებში იარაღ-საჭურველთა
და მორთულობის საგნების გარდა აღმოჩნდა ძველი კოლხური წარ-
მართული სარწმუნოებრივი კულტმსახურების დამადასტურებელი
მეტად საყურადღებო ნივთიერი ძეგლები, რომელთაც ასევე დიდი
მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ღვთაებათა პანთეონის გათვალისწინება-
დადგენისათვის და კოლხური მოსახლეობის მსოფლმხედველობრივი
მრწამსისა და საზოგადოებრივი აზრის სწორად გაგებისათვის.

არქეოლოგიური აღმოჩენები და მთელი რიგი სხვა ისტორიულ-გე-
ოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები ამ მხარისა გვაფიქრე-
ბინებს, რომ ხუცუბნის ორმო სამარხებში გამოჩენილ მეომრებთან და
მხედართუფროსებთან ერთად დაკრძალული უნდა ყოფილიყო კულ-
ტის მსახური ქურუმებიც, მათი სამსახურებრივი საკულტო დამახა-
სიათებელი ინვენტარი. ამაში ხუცუბნის არქეოლოგიურ კომპლექს-
თან ერთად გვარწმუნებს კერძოდ № 4 სამარხი და მასში აღმოჩენილი
საკულტო ძეგლები, რომელთა მსგავსი საგნები, როგორც აღე-
ნიშნეთ, ადრეც უპოვნიათ აქ. სწორედ ამ საგნობრივ სინამდვილეს და
უძველეს ტრადიციებს უნდა ეყრდნობოდეს ხუცუბნის ძველი წარმარ-
თული ტაძრის (თეთროსან-ლევეკოთეას) არსებობის ფაქტი და უდავოა
მასთან დაკავშირებული სატაძრო მეურნეობა, რომელსაც საფიქრებე-
ლია, ამ ტაძრის ქურუმთა კასტა განაგებდა და ფლობდა.

თუ როგორ პირობებში და ისტორიული განვითარების რა საფე-
ხორზე უნდა აღმოცენებულიყო მნათობთა (მთვარის) კულტის თავყა-
ნისციებაზე დამყარებული აღნიშნული ტაძარი ძველ კოლხურ სინამდ-
ვილეში, ამის გარკვევის ცდა და ნივთიერ-ლიტერატურული წყარო რამ-
დენადმე არსებობს, მაგრამ რა მიმართებაში და დამოკიდებულებაში
შეიძლება იყოს № 4 სამარხში აღმოჩენილი ცის თალის ემბლემურად
გამოხატული ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ძეგლი თეთროსან-ლევეკოთეას
ტაძართან. როგორი უნდა ყოფილიყო კოლხური სამყაროს ამ ტაძრის
საკულტო დანიშნულება და მდგომარეობა, როგორც სტრაბონამდე,
ასევე მომდევნო ისტორიულ ეპოქებში. რა საფუძველზე შეიარქვა
სტრაბონმა თეთროსანს ლევეკოთეა და სხვა, სპეციალურ კვლევა-ძიებას
მოითხოვს. აქ აღძრულ საკითხებს ჩვენ ქვემოთ ვიხეზებით და განვიხი-
ლავთ ნაშრომის იმ თავებში, სადაც ხუცუბნის წარმართულ ტაძარ-
თეთროსან-ლევეკოთეას იგივეობის შესახებ გვაქვს მსჯელობა.

**ხუცუბნის სამარხთა საკულტო ძეგლები და ქართული
წარმართული პანთეონის ზოგიერთი საკითხი**

**თავი VI. თეთროსნის წარმართული საყდრის საკულტო
დანიშნულებისა და სტრაბონისეული ლევკოთიას ტაძრის
ლოკალიზაციის გამო.**

1. ხუცუბნის სამაროვნეაში აღმოჩენილი გუმბათოვანი ბრინჯაოს
ნახაპარსფაროს ადგილისათვის ქართულ წარმართულ პანთეონში

ხუცუბნის სამაროვნის №4 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს
ნახევარსფერო საკულტო დანიშნულების ფრიად საყურადღებო ძეგ-
ლია, რომელიც მნათობთა კულტისა და მნათობთა მოძრაობის მა-
შინდელ ცოდნაზე დამყარებული კოლხური კალენდრისა და ასტრო-
ნომიული შეხედულებების ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა.
კი შეიძლება იყოს, როგორც ჩვენ ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ქართველ ტომებს ისტორიული განვითარების ადრეულ საფეხურ-
ზე წარმართულ, პრეჰისტორიულ ხანაში პანთეისტურ და ტოტემურ
მსოფლმხედველობაზე დამყარებულ რელიგიურ სისტემათა გა-
მომხატველი ღვთაებანი ჰყავდათ; ამ ღვთაებათა გამომხატველ საკულ-
ტო დანიშნულების არქეოლოგიურ ძეგლს ჩვენამდე საკმაოდ მოუღ-
წევია. ასეთებია, მაგ., ითიფალური ქანდაკებანი სტეფანწმინდიდან
და ზეკარიდან¹. მცირე ქანდაკებანი², ბრინჯაოს სარტყლის მოკედი-
ლობა სამთავროდან³, ვერცხლის თასი თრიალეთიდან⁴ და სხვ. ქართ-
ულ წარმართულ ღვთაებათა შესახებ წერილობით ძეგლებშიაც
საკმაოდ ვხვდებით ცნობებს, რომელთა შესწავლას პირველად ნ. მარ-
მა მიაქცია ყურადღება.⁵

პანთეისტური რელიგიური მსოფლმხედველობა ისტორიულად წინ
უსწრებდა ტოტემურს, ამ გარემოებამ განსაზღვრა არქაული ხელოვ-

¹ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1944,
ტ. პულა 1, !2. 13.

² ი ქ ე ე. ტაბულა 15.

³ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1944,
ტ. პულა 3.

⁴ ი ქ ე ე. ტაბულა 7.

⁵ Н. Я. Марр. Боги языческой Грузии по древнегрузинским источ-
никам. 1902.

ნების ასტორიული განვითარების გარკვეული სტადია, მისი თემატიკა, სიუჟეტი და სტილი.⁶

რაც შეეხება პანთეისტურ-კოსმოსურ და კოსმოგონიურ — ასტრალურ რელიგიურ სისტემის გამომხატველ საკულტო ძეგლებს. ისინი ჭერჭერობით ნაკლებადაა გამოვლენილი (ამ მხრივ რამდენადმე ყურადღებას მაიკოპის თასი იქცევს).⁷

ამ ხარვეზს ერთგვარად უნდა ავსებდეს კინტრიშის ხეობაში აღმოჩენილი წერტილებით არშიამოვლებული მოხატული ბრინჯაოს ზემოთდასახელებული ნახევარსფერო. როგორც ჩანს. მასზე დამახასიათებელი ასტრალური ნიშნებით ასახულია „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა“ მთვარითურთ, რომელიც ნახევარსფეროს გუმბათის ზენიტში ამოჭრილი შარავანდოვანი ნახვრეტითაა წარმოდგენილი. ეს ძეგლი ნივთიერ საბუთად შეიძლება გამოდგეს იმ დებულების სასარგებლოდ, რომელიც ივ. ჯავახიშვილის შრომებშია გამოთქმული და რომლის მიხედვითაც პრეკრისტაიანულ საქართველოში არსებობდა ციურ მნათობთა კულტი, რომელთაგან მთვარე უზენაეს ღვთაებად იყო მიჩნეული.

ვინაიდან „მთვარის მსახურება და თაყვანის ცემა — მხოლოდ ღამით შეიძლებოდა“⁸, ამიტომ ჩვენი ძეგლიც ღამის ზეცას უნდა ასახავდეს. ივ. ჯავახიშვილს, როგორც ცნობილია, გამოკვლეული აქვს საქართველოში მთვარის ღვთაებისადმი თაყვანისცემის გადმონაშთები, რომლებიც ნათლად შემონახულან კახეთში, (აწყურის „თეთრი გიორგობის“ დღესასწაულის სახით), რაჭაში („გერისთაობის“ დღესასწაულში) და სხვ., ივ. ჯავახიშვილს ამასთანავე დადგენილი აქვს, რომ დაახლოებით შუა აგვისტოდან „მთვარის აღვსებასთან“ დაკავშირებით ყოველ წლიურად იწყებოდა „მთვარის ხატობა“ და მისი ღვთაებისადმი თაყვანისცემა.⁹

რაკი არსებობდა „მთვარის ღვთაება“ და „მთვარის ხატობა“, რა თქმა უნდა შეიძლებოდა ყოფილიყო მთვარის საგნობრივი გამოხატულებაც, როგორც ღვთაებისა, რომელსაც საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა მთვარის თაყვანისმცემელ ქართველ ტომებში.

ცის თაღისა და ციურ მნათობთა გამომხატველი ბრინჯაოს ანალო-

⁶ В. В. Бардавелидзе, «Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен», Тб., 1957. მანვე შეისწავლა თრიალეთის ვერცხლის თასი, მასზე გამოხატული რიტუალური სიუჟეტებით;

Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941.

⁷ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, თბ., ტბ. 1, მაიკოპის თასი და მასზე გამოხატული კომპოზიცია, ტბ. 1.

⁸ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, კვ. 50.

⁹ ი ქ ვ ე, გვ. 48.

გიური ნახევარსფეროს კიდევ ორი ცალი უპოვნაათ აქვე ხუცუბნის სხვა უძველეს სამარხებში გასული საუკუნის 80-იან წლებში. ხუცუბანშივე შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური საგნების კომპროვისიულ სიაში, მაგ., დასახელებულია — «Две вышитые из тонкой бронзы овалыные чашки с дырками по середине»¹⁰. ჩვენთვის უდავოა რომ ეს ბრინჯაოს ისეთივე ნახევარსფერო უნდა იყოს, რომლის მსგავსიც 1944 წელს აღმოჩნდა იმავე ხუცუბანში და ახლა აჭარის ასსრ სახ. მუზეუმშია დაცული. ძნელია კომპროვის ამ ძუნწი და სქემატური აღწერიდან, ვიდრე თვით ეს არქეოლოგიური საგნები არ იქნება მიკვლეული, გადაჭრით ამის თქმა, მაგრამ აღწერა ამის სრულ საფუძველს იძლევა. ასეთ ვითარებაში ჩვენი ძეგლის, მისი შესწავლის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ამ ძეგლის ხელოვან-შემოქმედი თავისი წარმართულ-რელიგიური მრწამსით თითქოს ცდისეულად მისწვდა ზეცისა და მთვარის როგორც ღვთაების იდეას და სცადა მისი საგნობრივად წარმოსახვა. მხატვარი ამ მეტად დიდი პრობლემის გადაწყვეტას ახერხებს რეალისტური მხატვრული ხერხებით. იგი თითქო აღწევს ზეცის და ციურ მნათობთა ერთგვარ რეალურ წარმოსახვას, ბუნებრივია მინიატურულ, მაგრამ საოცრად რეალურ ფორმაში.

ხუცუბანში აღმოჩენილ კოსმიურ, ასტრალურ ნიშანთა გამოხატველი თალი (თუ თაღები), მცირე ზომის ნახევარსფეროს ფორმისაა, რომელსაც გარს არშია უვლის, ბრინჯაოსაგან დამზადებული ეს ნახევარსფერო ზეცის გამოხატველი უნდა იყოს, მთელი ნახევარსფერო არშიითურთ ორივე მხრიდან წერტილოვანი ნაქდვევი კოპებითაა შემკული. ამ წერტილების რაოდენობა სულ 900 ერთეულს აღწევს, ისინი ერთი ზომის და ერთმანეთთან თანაბრად დაშორებულ სიმეტრიულ ხაზებადაა განლაგებული. ნახევარსფეროს ზენიტზე ოდნავ გადახრით (ისე როგორც აღვსილა მთვარე ზენიტზე ზაფხულში სამხრეთითაა გადახრილი) გაკეთებულია მოზრდილი ნახვრეტი (დაახლოებით 2 სმ რადიუსის) ოდნავი ჩაღრმავებით; უკანასკნელს გარს უვლის სანტიმეტრნახევრის სიგანის ცარიელი არე, საფიქრებელია, შარავანდელის გამოსახატავად, გარს შემოსდევს წერტილოვანი წრე, და ამ წრიდან ირგვლივ, ყველა მიმართულებით. (ორივე მხრიდან) არშიებამდე ეშვება 16 რადიუსის ფორმის, ასევე წერტილოვანი ხაზი. გუმბათის ზენიტთან ეს ხაზები ერთმანეთს უახლოვდებიან, ხოლო არშიასთან კი საკმაოდ შორდებიან.

ამრიგად, გუმბათისებური ნივთა უნდა წარმოსახავდეს ზეცას ღამით, მისი დიდი და პატარა ასტრალური ნიშნებით, რომელთაგან მთვარეს, როგორც ქართველთა ღვთაებას, სათანადო ადგილი უჭი-

¹⁰ Известия Кавказского общества истории и археологии, Тифл., вып. 1882.

რავს „უქვემოესა ცასა შინა“ (საბა ორბელიანი, ლექსიკ.). საფიქრებელია, რომ ნახევარსფეროს ზენიტზე მთვარე მარტო ნახვრეტის სახით არ იყო გამოხატული, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია, არამედ მთვარის, როგორც ღვთაების ნათლად გამოხატვის მიზნით ნახვრეტში საგანგებოდ გამკვირვალე პატიოსანა ქვაც კი შეიძლება ყოფილიყო ჩასმული.

წარმართულ საქართველოში უფრო მოგვიანებით ღვთაების ან კერპის შთამავონებლად წარმოსახვის მიზნით იყენებდნენ არა მარტო ძვირფას ქვებს, არამედ სხვადასხვა ძვირფას და ფერად ლითონებსაც კი; ამის დამადასტურებელ წერალობით ცნობას ჩვენ ვხვდებით წმინდა ნინოს ცხოვრებაში არმაზის კერპის აღწერის სახით: „დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა ამისა ეცვა ჭაქვი ოქროისა და ბივრიტი...“¹¹ მაშასადამე, კერპის (ღვთაების) ძვირფასი თვლებათა და ლითონებით შემკობა, ამ ცნობითაც უდავოა. საფიქრებელია. ანალოგიურ მოვლენას ძველ ქართულ ხელოვნებასა და რელიგიურ წარმოდგენებში თავისი ისტორიული ტრადიცია უნდა ჰქონოდა და იგი ვრცელდებოდა მთვარის ღვთაებაზეც¹². ქართულ წარმართობაში მთვარის ღვთაების იკონოგრაფიულ წარმოსახვას, სანამ იგი კაცღვთაების გამოხატულებას მიიღებდა და ბოლოს წმ. გიორგის ღვთაებას დაუთმობდა ადგილს, რამდენიმე საფეხური უნდა გაეელო. ჩვენი ძეგლი კი მთვარისა, და ცაურ მნათობთა ღვთაების უძველესი იკონოგრაფიული გამოხატულება უნდა იყოს, ე. ი. იმ პერიოდის, როდესაც ქართული ხელოვნება კოსმიური კონცეპციის საფეხურზე იდგა. წარმართ ხელოვნანს გამოსახატა ობიექტი, მთვარე, კოსმიური სინამდვილიდან მოუწყვეტლად, ზეცაზე მთლიან კომპოზიციაში უნდა ჰქონდეს გამოხატული. ამ თვალსაზრისით, ეს ძეგლი უნიკალური ძეგლია, ამიტომ იგი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. ჩვენ აქ გვაინტერესებს ეს ძეგლი მხოლოდ ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონთან დაკავშირებით, როგორც მთვარის ღვთაების უძველესი გამოხატულება.

აქ წინასწარ შეიძლება მხოლოდ მიუუთითოთ იმ ფაქტზე, რომ ხუცუბნის № 4 სამარხში მიკვლეული ნახევარსფერო, მისთვის დამახასიათებელი ასტრალურ-სიმბოლური ნიშნებით, მნათობთა კულტთან დაკავშირებული მოვლენაა, რომელიც კოსმიურ მაშინდელ წარმოდ-

¹¹ Э. Такайшвили, Описание рукописи. ტ. II, გვ. 752.

¹² ამას მოწმობს სოფ. ფლავისმანში აღმოჩენილი თიხის სასმისი, რომელსაც ძირში დატანებული აქვს ნახვრეტი (ჰუპრუტანი) და მასში ჩასმულია გამკვირვალე ობიექტის ანატეკეი. ასეთ „სარკმლიან“ სასმისს, როგორც წესი, უკავშირდებიან სინათლის ღვთაებას. (ს. მაკალათია „ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი“ საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, თხზ., 1930 წ., გვ. 233—234. სურ. 16).

ვენაზე უნდა იყოს დამყარებული. იგი დამადასტურებელ პარალელურებს პოულობს როგორც სხვა ძეგლებშიც, ასევე სპეციალურ საეცნიერო ლიტერატურაში. კარგადაა ცნობილი, რომ «Круг, колесо, даже арка, свод и т. д. — в своей исходной форме имела кос-



5. მნათობთა შექმნა — ყანჩაეთის ეამგულანით (1674 წ.).

мическое содержание — обозначали небо и солнце с их дериwатами... к символам солнца или луны следует добавить астральные символы, например изображение звезд...¹³» ხუტუბნის სამაროვანში ნაპოვნი სფერო მსგავს მოვლენებთან მიმართებაში ახალ


¹³ В. И. Равдоникас, Элементы космических представлений в образах наскальных изображений. «Советская археология», IV, 1937 гв. I. ამასთანავე, მეტად საგულისხმოა არქეოლოგიურ მეცნიერებაში დადასტურებული ფაქტი იმის შესახებ, რომ: «В громадном количестве известных круглых подвесок в форме прорезных дисков, несомненно являющихся изображением солнца». ჩვენის აზრით, ხუტუბანში აღმოჩენილი ცის თალი აქ აღნიშნულის საილუსტრაციო მეტად საგულისხმო მასალაა. (იხ. В. Б. Пиотровский, Археология Закавказья, გვ. 93).

შინაარსს იძენს; იგი შესანიშნავ პარალელებს პოულობს ძველ კოლხურ ტრადიციასა და ხალხის ყოფაში შემონახულ მატერიალურ კულტურის ძეგლებშიც.

ამ მხრივ ქართული დედაბოძიანი სახლების, ძველი ქართული ბურ-რებისა და ხეზე გამოყვანილ, უმეტესად წრიულ ორნამენტულ¹⁴ მოხატულობათა გვერდით ჩვენს ყურადღებას იპყრობს წყალტუბოს რაიონის სოფ. ცხუნჯურსა, დედალაურსა, ჩუნეშსა და სხვაგან ოდითგანვე დამკვიდრებულ ქვისმთლელ საგვარეულოთა მიერ ტრადიციულად დამზადებული და მთელ რიგ მეზობელ სოფლებში ფართოდ გავრცელებული კიშკრის ქვის სვეტებისა და საფლავის ქვების მოხატულობანი ციურ დიდ და პატარა მნათობთა სიმბოლურ-ასტრალურ ნიშანთა გამოხატულებით. მოგვიანებით კიშკრის ქვების ასეთ მოხატულობებს მთელ რიგ შემთხვევებში ქრისტიანული ემბლემით,—ჭვრით, ხოლო უკანასკნელ ხანებში ხუთქიმიანი ვარსკვლავით ამკობენ.¹⁵

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კიშკრისა და საფლავის ქვებზე გამოხატული ასტრალური, რამდენადმე სტილიზებული ეს ნიშნები ძველთა-ძველია და კოლხური წარმართული მსოფლმხედველობის ტრადიციისაგან მომდინარეობს; იგი აღმოცენებული და გავრცელებული უნდა იყოს ციურ მნათობთა კულტის გავლენით და მისგან წარმომდგარი კოსმიურ შეხედულებათა საფუძველზე¹⁶ (იხ. ტაბულები).

გეომეტრიული ფორმები გამოხატული სისტემაში უაღრესად ძველია, იგა პალეოლითის ხანიდან მომდინარეობს და მას მუდამ გარკვე-




6. კიშკრის ქვის სვეტის მოხატულობის დეტალი (წყალტუბოს რ-ნი სოფ. ცხუნჯური).

¹⁴ გ. ჩიტიია, ლაზური ორნამენტა. ენიშის მოკმბე. X. 19:1.

¹⁵ ცნობა მოტანილია სამეცნიერო მიზნებით იმერეთში ჩვენი მოვზაურობის დღურიდან (მასალები დატულია ჩვენს პირად არქივში).

¹⁶ აკად. ნ. ბერძენიშვილის წყალტუბოს რაიონის ზოგიერთ სოფლებში მოვზაურობის დროს ყურადღება მიუქცევია ანალოგიური ფაქტებისათვის და შენიშნავს: „ჩქობუნის ნაეკლესიარზე (11) ეზოა საფლავებით... ეს სასაფლაო შესანიშნავია. (ასევე კვილიშორის სასაფლაოც, როგორც ჩანს ამ ქვეთ მდლიარ რაიონ-



7. საფლავის ქვის მოხატულობა, ასტრალური ნიშნები და ქვის ჭვარი წრეზე ამოკვეთილი (წყალტუბოს რ-ნი სოფ. ჩუნეში).

ში ქვაზე მუშაობა ტრადიციულად დარჩენილა. ასეაო მითხრეს კურსებში. მამა-
 ჰაბით უხსოვარ დროიდან ქვის მთლელები არიან. ალბათ გელათიყ მათ ააშენესო...
 ეს არ ვიცი, მაგრამ ჩვენმა ეთნოგრაფებმა, რომ ეს დარგი აქ უნდა შეისწავლონ

ული აზრობრივ-სიმბოლოური მნიშვნელობა ენიჭებოდა, — „ძველი რელიგიური სიმბოლიკის შესწავლას დიდა ტრადიციები მოეპოვება. უკვე დიდი ხნის წინათ დადგინდა ძველი სიმბოლოების — წრე, ჯვარი, სვასტიკა, სამკუთხედი, — მნიშვნელობა, ეს ფორმები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.“¹⁷

სარტყელი წრედ იკვრება. ქართველ ტომებში წრესთანაა დაკავშირებული საწესო ისეთი მოქმედებანი, როგორცაა — წრის შეკვრა, წრეული შემოვლა, წრეული მოხაზვა, რაც ბოროტი ძალების გზის გადაღობვას გულისხმობს.

წრეს, ბორბალს და თაღს თავის გამოსავალ, საწყის ფორმებში რომ კოსმიური შინაარსი ჰქონდა და გამოხატავდა ზეცას თავისი დერივატებით, აღრიდგანვე იყო შენიშნული მეცნიერთაგან. მაგ. ე. ჰანის აზრით, აქ დასახელებული საგნები, — მზეს, მთვარეს მიმსგავსებული ეს დისკოები, პირველყოფილ კოსმოგონურ შეხედულებათა ბატონობის პირობებში მზისა და მთვარის ემბლემებადაც იქნენ მიჩნეულნი და ამდენად, თავისებურად, სათაყვანებელი ობიექტებიც გახდნენ.¹⁸

ამ დებულებასთან მიმართებაში, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მასალებთან ერთად, ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული მხატვრობის ტრადიციები, რომელიც ყანჩაეთის ეამ-გულანის (1674) მოხატულობას შეუნახავს მნათობთა შექმნის მხატვრულ-ლევგენდარულ რელიგიურ რწმენით წარმოსახვისათვის (იხ. სურ. 5).

ხუტუბნის №4 სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ნახევარსფერო რომ მნათობთა კულტის საგნობრივი ხატება უნდა იყოს ძველ კოლხურ სამყაროში, ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი მატერიალური კულტურის

უდავოა). ჩქიუბნის საფლავის ქვების მსგავსი შე სხვაგან არ შემხვედრია“ (ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის, (იხ. ქუთაისის მუზეუმის მასალები, თბ., 1968. გვ. 27—28). სოფ. უუმისთავი, ქვილიშორი, ცხუნჯური, დედამოლოური და მისი მიდგამი ქვით მდიდარი სოფლები, დიდი კერა უნდა იყოს ქვით ხურობის. ამ დარგის ძველთაძველი ქართული ტრადიციები, ასევე მეტ-ნაკლებად დღემდე შემორჩენილია ქ. ქუთაისსა, კურსებსა, გელათსა და ქვით მდიდარი რიგ სხვა ადგილებსა და სოფლებში, რომელთა მიერ დამზადებული ქვის სვეტები, საფლავის ქვები, საეხველეები, ქაქის საწნეხი, ე. წ. ხარხინი, წყლის როფები, კის გვიმები, ოდა სახლისა და საშზარეულოს, სასიშინდოსა და კიშკრის სვეტები და ბევრი სხვა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საგნები შორს ვრცელდება იმერეთის ვაკის რაიონებში. თვით ქუთაისის ძველი უბნები ხომ ქვით ხურობის ცოცხალი ძეგლია. სახელი „ქუთაისი“ მსგავსად „ქვაისისა“ ხომ არაა „ქვისგან“ წარმოებული?

¹⁷ К. А м б р о з. Раннеславянский культовый символ. С. А. № 3, М., 1965, стр. 14.

¹⁸ E. Hahn, Heilige wogen et Ethn, XXII, 1895, II., 3.

ძეგლები და ძველი ქართული მხატვრული ტრადიციებიც უქპერენ მხარს სხვა მასალებთან ერთად. ამდენად მოსაზრებებს, რომელიც ამ პრობლემასთან დაკავშირებითაა განვითარებული, მეცნიერულად დამაჯერებელს და საბუთიერს ხდიან.

2. ნასაყდრალ თეთროსანისა და სტრაპონისაჟლი ლეჟკოთმას ტაძრის იმეზვიანის საკითხისათჳის

სოფ. ხუცუბნის ჩრდ. დასავლეთით, ნაკაიძეთა უბანში სოფ. გვარასა და ხუცუბანს შორის დაცულია ნასაყდრალი თეთროსანი; ასე უწოდებენ ოდნავ ამალლებულ ადგილს და მის მიდამოებში შემორჩენილ ძეგლის ნანგრევებს.

ნასაყდრალ თეთროსანის მიდამოება წინათ მკიდროდ ყოფილა დასახლებული. 1944 წლისათვის კი ეს ადგილი ზშირი ტყითა და ძეგნარით იყო დაფარული. თეთროსანს ჩრდილოეთის მხრიდან მდ. აკყუა და სამხრეთით — მდ. კინტრიში ჩამოუღის. ბორცვის შუა ადგილს კვითყირით ნაგები უძველესი შენობის ნანგრევებია, ამიტომ ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ადგილს მარტო თეთროსანს კი არ უწოდებენ, არამედ აგრეთვე ზშიოად „თეთროსანის საყდარს“, ან ზოგჯერ „თეთროსანის სალოცავს“. ადგილობრივი გლეხების გადმოცემით აქ ძინწის დამუშავების დროს უნახავთ ქურჭლის მრავალი ნატეხი, ლითონის საგნები და ოქროს მონეტაც კი. არქეოლოგაჟურად ამ მიდამოების შესწავლა, ეკვი არაა ახალ ძვირფას მასალას შეგვეძენს მომავალში. ხუცუბნელი, ხანში შესული მუსულმანი გლეხები ამ ადგილს მოწინებით ეპყრობოდნენ. იგა წმინდა ადგილად ქონდათ მიჩნეული; იქ არ მოიკრებოდა ხე, არ შეიბილწებოდა თეთროსანის ადგილი; აქ დრო და დრო შესაწირავიც მიქონდათ კვერცხისა, ქათმისა და ვერცხლის, ან სპილენძის მონეტათა სახით.

ამ გარემოებამ იმთავითვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება და საგანგებოთ შევისწავლეთ ასევე თეთროსანთან დაკავშირებული ხალხში შემონახული გადმოცემები.

ადგილობრივი გლეხების შეხედულებით, თეთროსანის საყდარი სულ ძველია, ხოლო ხუცუბნის „ნაეკლესიარ ნასაყდრალი კი ახალი“. ასე გაგვიგონია მამაპაპიდან, თორემ ახლა აღარავინაა, რომ ეს ახსოვდესო. ისინი ჩვეულებრივ ჯამეების ამბებს უფრო კარგად იცნობდნენ იმ დროს, ვიდრე საყდრებისა და ნასაყდრალებისას.

ხუცუბნელ მოხუცებს ყველა ამ ნასაყდრალ ადგილთა შინში და ზატივისცემის გრძნობა საზოგადოდ შერჩენიათ, თორემ მისი სამსახური, გარდა ზოგი რისმეს შეწირულებისა, აღარ ახსოვთ. სამაგიეროდ ამ წმინდა ადგილისადმი სამღვთო სამსახურს დღესაც აგრძელებენ

ქრისტიანი კვირიკელი ბერძნები, ბათუმისა და გურიის მკვიდრი ზოგი მორწმუნე. მიუხედავად იმისა, რომ სოფ. კვირიკეში და სხვაგანაც საყდარი არსებობს, ყოველწლიურად, შუა აგვისტოში, მოდიან თეთროსნის ნასაყდრალზე, ღამეს იქ ათევენ ლოცვაში და მსხვერპლის შეწირვაში. ვისაც მძინე ავადმყოფი ჰყავს, თან მოჰყავდათ, ავედრებდნენ იმ რწმენით, რომ ავადმყოფი განიკურნებოდა სენისაგან და სხვ., საყდრის შენობა აქ არ არსებობს, მორწმუნეებს ნანგრევები მოუწმენდიათ და სანთელს უნთებენ, მსხვერპლს სწირავენ და მასზევე ლოცულობენ¹⁰ მაგალითად, სოფ. კვირიკედან ურბებით, ან ფეხით სალოცავად მოსულ ქრისტიან ბერძნებს გააჩნიათ: საკუთარი საყდარი თავიანთ სოფელში, მაგრამ სალოცავად მოდიან აქ. რით უნდა ავხსნათ ასეთი ვითარება? რატომ მოდიან ისანი სუცუბნის ნასაყდრალზე? ეს ფაქტი საგულისხმოა. თეთროსნის საყდარი მკვიდრი, გამუსულმანებულნი მცხოვრებლების შეხედულებით ძველისძველია და ძლიერი, სასწაულთმოქმედი, მიუხედავად იმისა, რომ აღარავის ახსოვს ეს საყდარი მოქმედა და დაუნგრეველი; სუცუბნელთა ცნობიერებით ამ საყდრის ძალა უაღრესად დიდია, მაგრამ მაჰმადიანური სარწმუნოებით მასში ლოცვა მათ ეკრძალებათ.

ნასაყდრალ თეთროსნისთან დაკავშირებული უძველესი საკულტო წეს-ჩვეულებების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ „თეთროსნობის“ დღესასწაული თავისი პირვანდელი სახით იმავე შინაარსისა უნდა ყოფილიყო, რაც სტრაბონის მიერ აღწერილი აწყურის „თეთრი გიორგობისა“, რომელიც მთვარის ღვთაების ტაძრად ითვლებოდა კახეთში.

თეთროსნის ხატობა წელიწადის იმავე დროს, აგვისტოს შუა რიცხვებშია როგორც კახეთში აწყურის „თეთრი გიორგობა“, რაქაში „ნაციხურობა“, და სხვ., — ღამის თევა აქაც სავალდებულო ყოფილა.

აქ აღწერილი ვითარება, სხვა საგულისხმო ფაქტებთან ერთად, და თვით ადგილისა და საყდრის სახელწოდება „თეთროსანი“, მეტად საყურადღებო მოვლენად გვესახება. უპირველეს ყოვლისა, მათ მნიშვნელობა ენაქებათ პრექრისტიანული, წარმართული კოლხეთის ზოგიერთი ისტორიული პრობლემის შედარებითი შესწავლისათვის, ქართული წარმართობის შესახებ არსებული მასალების გათვალისწინების საფუძველზე.

ივ. ჯავახიშვილს გამოკვლეული და დასაბუთებული აქვს, რომ

¹⁰ სოფ. ხუცუბანში 1944 — 1945 წლებში ჩენი მეშაობის პერიოდში შესაძლებლობა გვქონდა დავსწრებოდით თეთროსნობის ამ დღესასწაულს. აქ აღნიშნული ჩენი თვლით ნახულია, ხალხში საუკუნეებით შემონახული და წეს-ჩვეულებათა გადამონაშთის სახით გადარჩენილი იყო ამ 30 წლის წინ, რაც აისახა ამ ნაშრომში.

„ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გეორგის, ძველი წარმართობისდროინდელი მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“.²⁰

როგორც ვიცით, მთვარის ღვთაების თაყვანისცემისა და ვედრების წეს-ჩვეულებები ზუსტად აქვს აღწერილი სტრაბონს: ამ ჩვეულებებმა გასულ საუკუნემდე თითქმის უცვლელად მოაღწია კახეთში, — სოფ. აწყურის ცნობილ თეთრ-გიორგობის დღესასწაულის სახით. ანალოგიური მოვლენები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დადასტურდა, მაგ., რაჭაში, სამეგრელოში და სხვ.

თეთროსანის ნასაყდრალის მიდამო ხუტუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკულტო თაღის და ტოპონიმ თეთროსანის შესწავლასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო სტრაბონისეულმა ლევკოთეას ტაძარმა, მისი ლოკალიზაციის საკითხმა. სტრაბონი წერს: „მოსხების ქვეყანაში ნდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ია მდიდარი იყო... სოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“.²¹

სტრაბონის ცნობით ლევკოთეას სამისნო სამლოცველო თითქმის ფრიქსეს აუგია, როგორც საკუთარი სამისნო. ფრიქსე ანტიური სამყაროს ლეგენდარული პირია, ჩვენ არ ვიცით მისი მოღვაწეობის და საცოცხლის წლები. იგი მხოლოდ იმითაა ცნობილი, რომ გაიქცა თავის სამშობლოდან (ბეოტიიდან) კოლხიდაში, სადაც შეირთო იქაური მეფის ქალი ქალკიოპე.²²

ლევკოთეა, რომელიც სიმდიდრით იყო სახელგანთქმული, პირველად გაუძარცვავს ფარნაკეს,²³ რომელიც ბოსფორის მეფე იყო (63—47 წწ.) და მეორედ მითრიდატე პერგამონელს,²⁴ პერგამონის მეფეს, რომელიც ძვ. წ. 47 წელს იულიუს კეისარს ბოსფორის მეფედ დაუნიშნავს, ამრიგად, წინათ სიმდიდრით სახელგანთქმული ლევკოთეა გაუძარცვავთ და დაქვეითების გზას დადგომია ძვ. წ. I საუკუნეში. ლუკიანე სამოსატელი ასეთ სამისნო სამლოცველოებს ხალხის მოსატყუებელ საწარმოებს უწოდებს. ბერძნულ-რომაული სინამდვილის გამოსახატავად ლუკიანეს თავის სატირულ ნაწარმოებებში „ღმერთების გასაუბრება“ — აპოლონი ყოვლისმცოდნედ ყავს გამოყვანილი, ის „მშვილდოსანიცაა, კითარაზე დამკვრელიც, ექიმიც და მისანიც, გაუხსნია სამისნო საწარმოები ერთი დელფოში, მეორე კლაროსში,

²⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 45.

²¹ სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1957, გვ. 124.

²² იქვე გვ. 18, 19, 20, 46, 71, 124, 201, 247.

²³ იქვე, გვ. 117, 127, 142, 215, 246.

²⁴ იქვე, გვ. 27, 124, 142, 215, 246.

მესამე დილმეში და ატყუებს ყველას, ვინც კი მას მამართავს... ამ გზით ის საკმაო სიმდიდრეს იძენს... თუმცა მას, აპდენი ტყუილის ზოქმელს, უკვე კბილი გაუსინჯეს იმათ, ვინც უფრო შეგნებულა...²⁵.

სტრაბონს ლევკოთეას ტაძარი სამისნო-სამლოცველოდ აქვს წარმოდგენილი ბერძნულ-რომაულ სინამდვილესთან მიმსგავსებით, გამოუძიებლად ქართული ადგილობრივი ყოფისა, — აპდენად მისი მოსაზრება ყოვლად დაუჭერებელია. ლევკოთეა ქართული წარმართული დიდი ტაძარი იყო, სადაც მკვიდრი ქართველი ტომების მიერ მთვარის ღვთაების საკულტო-რელიგიური სამსახური სრულდებოდა და ირკვევა ისიც, რომ ეს ტაძარი კოლხეთში იმყოფებოდა.

პირველად თეიმურაზ ბატონიშვილმა შენიშნა, რომ ქართული წარმართული ყველაზე უმნიშვნელოვანესი კერპთმსახურებათი ტაძარი, შემკული ყოველგვარი სიმდიდრით, კოლხეთის მხარეში იმყოფებოდა — „ქართველებს აქვნდა წესი კერპთმსახურებისა სრულიად სხვითა ხატითა და ჩვეულებითა... უძველესთა შინა დროთა და ტაძარი მისი იყო ფრიადითა სიმდიდრითა შემკობილ სამზღვარსა ზედა კოლხიდისა და აფხაზეთისასა ბიჭვინთას“.²⁶ საეკვო არაა, რომ მდიდარი ტაძრები კოლხეთში სხვაც არსებობდა.

სტრაბონი გვაუწყებს, თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (ე. ი. სადაც ლევკოთეა იმყოფებოდა) სიმდიდრით, და დასძენს, რომ ამაზე მითიური იაზონის და ფრიქსეს ლაშქრობანი მიგვითითებენო.²⁷ ამრიგად სტრაბონისათვის სრულიად უცნობია ლევკოთეას დაარსების ნამდვილი ისტორია. იგი მხოლოდ მითიურ დოგმებზე დაყრდნობით, კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის ადრეულ, არსებითად ლეგენდარულ, ამბებს უკავშირებს ლევკოთეას დაარსების ამბავს და საე-

²⁵ ციტირებულია ს. ყაუხჩიშვილის ნაშრომიდან ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 337.

ლუკიანე თავის ნაწარმოებებში ერთნაირად ხდის ნიღაბს როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ სექტას. მათ მღვდელთმსახურთა ცრუ მოძღვრებას და ანგარებით აღსავსე ყოვლად უხამს მოქმედებას ხალხის მოსატყუებლად. ფ. ენგელსი მის ამ ღვაწლს დიდად აფასებს, იგი ლუკიანე სამოსატელს „კლასიკური საბერძნეთის ვოლტერს“ უწოდებს და დასძენს: „იგი თანაბარი სკეპტიკურობით უყურებდა ყოველგვარ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და ამიტომ არაერთი საფუძველი არ ჰქონდა არც წარმართული რელიგიის თვალსაზრისით, არც პოლიტიკის თვალსაზრისით, ქრისტიანობისათვის სწვანაირად ეცქირა ვიდრე სხვა რელიგიური სექტისათვის. პერიოთ, იგი ყველას დასცინოდა მათი ცრუმორწმუნეობის გამო, — იუპიტერის თაყვანისმცემელთ დასცინოდა არა ნაკლებ, ვიდრე ქრისტეს თაყვანისმცემელთ“ (ე. მარქსი და ფ. ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937, გვ. 126; ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1939, გვ. 7.)

²⁶ თ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორია ივერიისა, პეტერბურგი, 1848, გვ. 84.

²⁷ ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, გვ. 124.

ბებით გამორიცხავს თვით კოლხური მკედრი მოსახლეობის როლს ამ სახელგანთქმული ტაძრის ფორმირების საქმეში, რაც ჩვენის აზრით, სრულად უსაფუძვლოა. სინამდვილეში კი სტრაბონისეული ბერძნული ლეეკოთია კოლხური ძოვლენაა, ამ მხარის მკვიდრთა რელიგიური წარწამსისა და კრედოს საკულტო დაწესებულებაა, რომელსაც ასევე საკუთარი ქართული სახელწოდება მოეპოვებოდა. ჩვენ ვფიქრობთ. სტრაბონისეული ლეეკოთია ხელოვნურად გადაბერძნულებული ქართული მოვლენაა, რომ ლეეკოთიას ტაძარი ჩვენთვის კარგად ცნობილი თეთროსნის საყდარი უნდა იყოს, რომელაც ტრადიციულად ყველაზე მეტ სათაყვანებელ საყდრად დარჩა გვიან ქრისტიანობის ისტორიულ პერიოდებშიაც კი.

ბერძნებს ძველთაგანვე, როგორც აღვნიშნეთ, წესად ჰქონდათ კოლხეთას, ასევე ბევრი სხვა „ბარბაროსი“ ხალხის ენაზე დაფუძნებული ქვეყნის საკუთარ გეოგრაფიულ სახელწოდებათა არა უტკვლელად შემონახვა-დაცვა, არამედ მათი თარგმნა-გადაბერძნულება. მაგალითად, ძველი კოლხეთის სახელგანთქმული ქალაქი, რომელიც ჟამთაშვლელობაში ნაქალაქევად იქცა და მეგრულ ენას „ნოქალაქევის“ სახელით შემოუნახავს, ბერძნებმა, როგორც აღვნიშნეთ, „არქეოპოლისად“ თარგმნეს, ვარდციხე — „როდოპოლისად“ და მრავალი სხვა. ბერძნები კოლხეთის მდინარეებსაც კი უტკვიდნენ სახელებს: მაგალითად, მდინარე ყვირილას „ბოა“-დ იხსენიებენ, ცხენისწყალს „პიპოსად“ და სხვ²⁶, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ანტიური სამყაროს და მისი პირველწყაროების მკვლევართ, სტრაბონისეული ლეეკოთია სავესებით მართებულად ადგილობრივ, კოლხურ საკულტო-რელიგიურ სინამდვილესთან აქვთ დაკავშირებული და სტრაბონისეული ლეგენდარულ-ზღაპრული ამბები მხოლოდ ბერძენ კო-

²⁶ ბერძნებმა შავი ზღვის სანაპიროთა კოლონიზაციის ეპოქაში აბორიგენთა გეოგრაფიული სახელების დიდი ნაწილი შეცვალეს, მაგრამ კოლხეთში ამ მხრივ მიზანს მთლიანად ვერ მიადწიეს. იქ, სადაც ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, ანუ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე, ეს გავლენა შედარებით ნაკლებია, ხოლო ჩრდილო სანაპიროებზე კი ეს სახელები თითქმის მთლიანად ბერძნულითაა წარმოდგენილი. (იხ. Гаїдукович, Боспорское царство, გვ. 30). ამის მიზეზი ისაა, რომ ბერძენ კოლონისტებს კოლხეთში დახვდათ დაწინაურებული კულტურა.

ამ მხარის ქართული ტოპონიმები საერთოდ უძველესი დროისანია. მათ დიდი გამძლეობა გამოიჩინეს. ამის დამადასტურებელია ა. შანიძის დაკვირვება „ტოპოდოს“ ეტიმოლოგიაზე, რომელიც ხეტურ დამწერლობაში ქართულიდან. ზანურიდან (მეგრულ-ქანურიდან) მომდინარეობს და ორთავე შემთხვევაში ნიშნავს ტბას და ამასთანავე სოფელსაც. А. Шанидзе, К этимологии названия «Тобада», Известия Института языка, истории материальной культуры им. акад. И. Марра, 1937, გვ. 83—86.

ლონიზატორთა ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიათ. მათი აზრით: „ინამდვილეში ამ შემთხვევაში Имеется в виду какое-либо местное курортное божество, отождествленное греческими колонистами с Левкотеей и поставленное в связь с легендой о Фриксе и Аргонаутах».²⁹

ჩვენს ისტორიოგრაფიაში სტრაბონისეულ ლევკოთეასადმი ამ მხრად ყურადღება ნაკლებად იყო გამახვილებული; უმეტესად განიხილავდნენ ამ სახელს წმინდა ფილოლოგიური თვალსაზრისით და კმაყოფილდებოდნენ მისი მექანიკურად უბრალო თარგმანით. ამ ფაქტმა, ჩვენ ვფიქრობთ, თავისი გამოხატულება საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოშიც კი პოვა, სადაც ვკითხულობთ: „მესთ“ მხარეში ყოფილა სახელგანთქმული „თეთრი — ქალღმერთი“—ს (ბერძნ. ლევკოთეას) ტაძარი, მზე-ქალის სამლოცველო“.³⁰

პირველ ყოვლისა „მესთა მხარე“ ძალზე ზოგადი ცნებაა, რომლითაც არაფრით არ ხერხდება ამ ტაძრის ლოკალიზაცია, მეორე „თეთრი ქალღმერთი“ ქართველ ტომებს არასოდეს ღვთაებად აღიარებული არ ჰყოლიათ და, ბუნებრივია, მის სახელზე არავითარი ტაძარი არ შეიძლება აეგოთ. ეგვე შეიძლება ითქვას უზუსტო თარგმან „მზე-ქალის სამლოცველოს“ შესახებაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში სტრაბონისეული ბერძნული ლევკოთეა მართლაც „თეთრი ქალღმერთის“. ინოს საკულტო სახელთანაა გაიგივებული³¹. ბუნებრივია, ამდენად იგი ყველა შემთხვევაში მდებრობითი სქესის ღვთაებადაა აღიარებული ე. ი. ლევკოთეა „თეთრი ქალღმერთია“; და რაკი ეს ასეა, როგორ შეიძლება მასი ქართული შესატყვისი.—თეთროსანი, მთვარისა და წმინდა გიორგის ე. ი. მამრობითი სქესის ღვთაებად ქცეულიყო?

მართლაც, აქ ერთი შეხედვით მეტად დამაფაქრებელი შეუსაბამობაა, რომელიც თითქო შეუძლებელს ხდის ქართული თეთროსანის სტრაბონისეულ ბერძნულ ლევკოთეასთან გაიგივებას. მაგრამ სწორედ, რომ ერთი შეხედვით.

სტრაბონი ჯერ ერთი, ძირითადად, ძველი გადმოცემებით სარგებლობდა კოლხეთის და კერძოდ, ლევკოთეას (თეთროსანის) აღწერისას. სტრაბონის დროს ლევკოთეას, ძველი წელთაღრიცხვის I-ლი ათასეულის ამ ლეგენდარულ ძეგლს, თავისი დიდება შერყეული ჰქონდა

²⁹ Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ, 1947, стр. 216.

³⁰ საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 88.

³¹ Lewkotea — Левкотеа «Белая богиня» (Культовое имя Ино как морской богини). ინო — ლევკოთეა, ზღვის ღვთაება. ინოს კულტი გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვის მრავალ სანაპირო დაბა-ქალაქებში. რ. Мифологический словарь, 1961, გვ. 104. ფ რ ი ქ ე, რომელმაც გაძარცვა ლევკოთეას ტაძარი. ბერძნული მითოლოგიითვე ამ ფრიქაეს დედინაცვალი—ქალღმერთი ინო (ლევკოთეა) იყო.

საგულისხმოა ასევე, — „გრამატიკულ სქემებს — მამრობითს, მდედრობითს, საშუალო — ქართველურ ენათა შორეულ წარსულში ვერ ვიპოვით: ეს ენები მათ არ განასხვავებდნენ მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებებით (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში 1942, გვ. 255). ქართული და ქართველური ენები გრამატიკულ სქესს არ სცნობენ, ამ გარემოებისა გამო როგორც სტრაბონს, ასევე მისთვის ცნობების მიმწოდებელს, თეთროსანის ქართულიდან ბერძნულად თარგმნისას ბუნებრივია ყურადღება არ მიუქცევიათ სქესისათვის. თეთროსნის შესატყვისი ღვთაებისადმი სახელის მიკუთვნებისას სტრაბონმა, ან მისმა ინფორმატორმა, რაკი „ლევკოს“ ბერძნულად „თეთრის“ აღმნიშვნელია, მექანიკურად დაუკავშირეს ქართველ ტომთა მთვარისა და წმინდა გიორგის სამლოცველო საყდარი თეთროსანი, ბერძნულ ლევკოთეას ტაძარს, და მასთან გააიგივეს. ესეც რომ არ იყოს, ცნობილია, რომ დროთა ვითარებაში ხდებოდა ღვთაებათა სქესის ტრანსფორმაცია მდედრობითიდან მამრობითად ან პირიქით. ამ ფაქტს თავისი ღრმა ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები მოეპოვება.

საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი ისტორია, მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ისტორიული საფეხურების განვითარების შესაბამისად ორგვარ მსოფლმხედველობას წარმოშობს; ერთის მიხედვით, ცხოვრების საწყისად მდედრობითს აღიარებდნენ, მეორისა კი მამრობითს. პირველი შემუშავდა მატრიარქალური, ანუ ღვთაებათაგანული საზოგადოების საფუძველზე, მეორე კი პატრიარქალური ანუ მამათაგანული საზოგადოების პირობებში, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ერთი იდეოლოგია ხელაღებით, რაიმე კომპრომისების გარეშე სცვლიდა მეორეს. კიდევ მეტი — ლოგიკურად ეს დათმობა და შეგუება დროთა ვითარებაში იქამდე მიდიოდა, რომ ბუნებაში გაჩენილი ცოცხალი არსების შემოქმედად მიიჩნევდნენ ორთავე ელემენტს, და მიაჩნდათ — მათი ერთობლიობის და შერწყმა-შეუღლების შედეგად.

წარმართული ქალღმერთების კულტი თავის სათავეს მატრიარქალიდან იღებს. იგი საზოგადოების დაბალი სოციალური განვითარების რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენების პროდუქტია და შეესაბამება პირველყოფილი საზოგადოების იმ საფეხურს, როცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ბინადარ ცხოვრებაზე გადასულ დედაკაცს ეკონომიურად უპირატესობა ქონდა მოპოვებული მონადირე მამაკაცთან შედარებით.

ბერძენთა დიდი ქალღმერთი ათენა სინამდვილეში მიწათმოქმედების მფარველი მატრიარქალური ღვთაება იყო, რომლის პატივსაცე-

მად დიდი ტაძარი ააგეს. სავსებით მართებულად შენიშნავს იტალიელი თანამედროვე მკვლევარი ა. დონინი, როცა წერს: „ეთნოგრაფიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მამრობით ღმერთებზე გაბატონებული დიდი ქალღმერთებისადმი რწმენა გავრცელებული იყო პირველყოფილი საზოგადოების იმ საფეხურზე, როცა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ქალს ჰქონდა მინდობილი. ავტორისავე აზრით მსგავს მოვლენებს „ჩვენ ვხვდებით ხმელთაშუა ზღვისპირეთის ისტორიის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ, მაგრამ უაღრესად საინტერესო მოვლენის მატრიარქატის“³² ეპოქაში.

ქალღმერთების უპირატესობის მამრობითი ღმერთების უპირატესობით შეცვლა, ბუნებრივია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. კლასობრივი საზოგადოების გაჩენის ადრინდელ ეტაპზე „საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი მამაკაცისადმი დაქვემდებარებული ხდება. ასეთი გარდაქმნა რელიგიურ ზედნაშენსაც ეხება. დედღმერთი მითოლოგიაში მამღმერთს უთმობს ადგილს. ესაა ზევსი — ბერძნებთან, იუპიტერი — რომაელებთან“.³³

ძველი აღმოსავლეთის მითოლოგია იცნობს ეფესოს „დიდი ქალღვთაების“ კულტს კაპადოკიაში, რომლის მსახურ ქალთა რიცხვი 6000-ს აღემატებოდა; ამავე ქალღვთაებას ქალაქ ეფესოს გარდა განეკუთვნებოდა ქ. კომანა და რიგა სხვა ქალაქებისა, რომელთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამავე ღვთაების ჯარს წარმოადგენდა და მის მსახურთა შორისაც პირველ ადგილზე ქალები გვევლინებიან. მაგრამ დროთა მსვლელობაში, ისტორიული პირობების შეცვლასთან ერთად, ქალაქ ეფესოს ბერძნების ხელში გადასვლასთან დაკავშირებით. ეს უაღრესად პოპულარული ქალღვთაება ტრანსფორმირებას განიცდის და მის ადგილს მამრობითი სქესის ახალი ღვთაება იკავებს. რომელშიაც შემონახულია თავისი მცირეაზიელი ორეულის ზოგი ნიშანი, რომელიც თავისი ხასიათით თითქო ხეთური წარმოშობისა უნდა იყოს.³⁴

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდებარეობითი სქესის პოპულარული ღვთაება წარმართულ საქართველოში იყო, მაგრამ იშვიათად და ამდენად ამგვარი ტრანსფორმაცია. იმისათვის, რომ იგი ქვეუღიყო მამრობითი სქესის—მთვარის, ან წმინდა გიორგის ღვთაებად, გამორიცხულია“³⁵.

³² А. Дошин, Люди, Идолы и боги. 1962, в. 135.

³³ იხ. იქვე, გვ. 136.

³⁴ А. С а њ с, Хетт или история забытого царства. М., 1902, гл. 71.

³⁵ ქრისტიანული რელიგიით საქართველო მარამ ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყნად ითვლება და საქართველოს განმანათლებლად ასევე ქალი — წმინდა ნინოა აღიარებული, მეტად საინტერესო ფაქტია იმ მხრივაც. რომ ეს ერთგვარი რეაქციაა ახალი ქრისტიანული რელიგიური იდეოლოგიისა, მიმართული წარმართული ტრადიციის წინააღმდეგ.

ამრიგად, უფრო დამაჯერებელია ის ფაქტი, რომ ბერძენ მწერალს, როგორც ამას სწორად შენიშნავს ლატიშევი და სხვა, შეცდომა მოსდის და კოლხეთის ისე როგორც ალბანეთის, ადგილობრივი ღვთაების სახელობის (მთვარისა და შემდეგ წმ. გიორგის) ძველთაძველ ტაძარს, თეთროსანს მექანიკურად თარგმნის და აიგივებს ბერძნულ ლეკოთეას ღვთაებასთან (ამაზე ქვემოთ).

ივ. ჭავჭავაძის სტრაბონზე დაყრდნობით და ქართული წარმართობის შესახებ უმდიდრესი მასალის გაანალიზების საფუძველზე დასაბუთებული აქვს, და დღემდე შეუწყველად ათვლება დებულება, რომ სტრაბონის დროის ქართველი ტომები მის მეზობელ ალბანელებთან ერთად თავყვანს ცემდნენ მთვარეს და მთვარის ტაძარიც კი ჰქონიათ იბერიისა და ალბანიის სანახებში, რომ სოფ. აწყურის თეთრ-გიორგობის რელიგიური წეს-ჩვეულებანი თითქმის იმეორებენ სტრაბონისეულ ე. წ. ალბანელთა ტაძრის მთვარას ხატობის წესს. „მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თავყვანისცემა, ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“.³⁶

3. ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძვლები ლეკოთეას ტაძრის ლოკალიზაციისათვის

დიდი მნიშვნელობა აქვს ლეკოთეას სამლოცველო ტაძრის ლოკალიზაციისა და მისი ადგილსამყოფელის განსაზღვრისათვის ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებს. სტრაბონი ლეკოთეას იმ დროს დაწინაურებული მოსხების ქვეყანაში ასახელებს. იგი წერს: „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო (ლეკოთეა — ა. ი.) სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვს კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“³⁷. სტრაბონის ცნობების მიხედვით მოსხები კოლხების მეზობლად ზღვისპირა მცხოვრებლებია: მოსხთა ქვეყნის დანაწილება იბერებსა. კოლხებსა და არმენიელებს შორის იმაზე მიუთითებს, რომ სტრაბონისეულ მესხთა ადგილსამცხოვრისი თავისი გეოგრაფიით, ისტორიულად მოიცავდა აპარასაც კოროხის ხეობითურთ, და ძველ კოლხურ კულტურულ-ეკონომიურ საერთო რკალში ექცეოდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცნობა ლეკოთეას ტაძრის შესახებ სტრაბონს შეტანილი აქვს კოლხეთის აღწერაში და ეს ფაქტი კიდევ და კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ ლეკოთეას ტაძარი კოლხეთში იმყოფებოდა და კოლხური მოვლენა იყო.³⁸

³⁶ სტრაბონი, გეოგრაფია. ივ. ჭავჭავაძის ქართული ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 59.

³⁷ სტრაბონი, გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., გვ. 125.

³⁸ ამ ფაქტმა თავის დროზე ს. ჭანაშვიას უურადღებო მიიქცია, იგი წერს: „სტრაბონის ცნობით მოსხიეში (მესხების ქვეყანაში) ლეკოთეას ტაძარი ყოფილა აშენებულა, რომელიც ოდესღაც მდიდარი იყო... მესხების ქვეყანა ამ დროს სამ ნაწი-

კოლხეთის აღწერისას სტრაბონი ლეკოთეას, მართალია, მესხე-ზის ქვეყანაში ასახელებს, მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც არ ეწინააღმდეგება, პარიჰით ადასტურებს და აზუსტებს ლეკოთეას ადგილსამყოფელს, გვეხმარება მისი ადგილმდებარეობის სწორად განსაზღვრაში. ისტორიულ-გეოგრაფიული ტრადიციული ნომენკლატურით (რომელიც არასოდეს არ იყო მყარი და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი) კინტრიშის ხეობა და მასში შემავალი ხუცუბან-თეთროსანი მესხების ქვეყანა იყო, რომელიც კოლხურ კულტურულ-ეკონომიურ საერთო რკალში ექცეოდა. დაახლოებით ასეთად ანგარიშობს ამ მხარეს პლინიუს სეკუნდიც. მისი ცნობით მტკვრის ხეობის გადაღმა არის კოლხეთის უდაბნოები. ხოლო ამ უდაბნოების იმ მხარეზე, რომელიც მიზართულია კერასუნის მთებისაკენ, ცხოვრობენ არმენიელები და (მდებარეობს) მესხების ქვეყანა ვიდრე ჰიბერამდე.³⁹

მოსხის მთის და მესხეთის ქვეყნის შესახებ ვახუშტი გვაუწყებს: „წერენ ძველს ლეოლრაფიასა შინა მოსხის მთად, რომელნი არიან მესხის მთანი ირიჯლუსი, თორთომისა, შივაქლუსი და დევაბოინისა და ისპირისა“.⁴⁰ ვახუშტი ცდილობს მეტი სიცხადე შეიტანოს მოსხის მთის ცნების გაგებაში და წერს: „სახელსა მოსხი, ესე იგი არს მესხი, და მთათა დევაბოინისას, ირიჯლუსას, ყალნუსა და ფორთუშისას — მესხის მთა“.⁴¹ ვახუშტი არ კმაყოფილდება აღნიშნულით. და გვაძლევს მესხეთის ზუსტ საზღვრებს—„ხოლო სიგარძე ქვეყნისა ამის არს ქართლის საზღვრებიდან ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჰანე-

ლადა დაყოფილი — არმენიასა, იბერიასა და კოლხებს შორის. რაკი ეს ცნობა კოლხეთის აღწერაშია (ცნობა ლეკოთეაზე. ა. ი.) მოთავსებული და მდებარეობითაც ტაძარი საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიის მახლობლად ყოფილა, ცხადია, იგი კოლხეთის ჰუტუნებია. მამასადამე, კოლხეთშიც ტაძრებს გარკვეული მდგომარეობისათვის მიუღწევიათ. მთ ხელში უკვე დიდ განძებს მოუყრიათ თავი“ (იხ. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 153 — 154); მაგრამ აკად. ს. ჯანაშიამ თავისი ეს უდავოდ სწორი მოსაზრება არამც თუ დაიცვა და განავითარა შემდგომში. არამედ მისივე რედაქციით 1946 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიის კურსში რამდენაღმე გააბათილა კიდევ. იგი წერს: «Обширными землями и большими сокровищами, например: храм Левкопей в Месхетин (южная область Иберии), так широко был известен своим богатством, что не раз подвергался нападениям иноземных царей, пытавшихся завладеть его сокровищами» (История Грузии, ч. I, под редакцией С. Н. Джанашиа, 1946, გვ. 73).

³⁹ ს. კაკაბაძე, საქართველოს უძველესი ტომონიმიკიდან, საისტორიო მოამბე, წ. II, 1925, გვ. I. ლეკოთეას ტაძარს მესხეთში აწყურს უთითებდნენ. აკად. ნ. ბერძენიშვილი პირობითად, რაიმე მტკიცების გარეშე, თათქოს იზიარებს ამ ტრადიციულ შეხედულებას ლეკოთეას ტაძრის ადგილმდებარეობის შესახებ და ისიც, ვარაუდით, ასეთად აწყურის მიდამოებს მიიჩნევს (იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, II).

⁴⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოს, თბ., 1941, გვ. 140.

⁴¹ იქვე, გვ. 124.

თის საზღვრებამდე და განი დევაბოინისა და ირიჯლუს და ყალნუს მთებიდან ლადოსა და გურიის მთებამდე და ზღვამდე; და მზღვრის ქვეყანასა მას: აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა, რომელიც აღეწერეთ და მთა ყარსისა, არტაანკოლასა და ყარსს შორისი. სამხრით მთა წინსენებული, სომხით — ქართლის საზღვარი, რომელი აწ ისახელების ირიჯლუსა და დევაბოინის მთად; ჩრდილოთ მზღვრის მთა ლადო ანუ ფერსათი, და მთა აჭარა-გურიის შორისი და ზღვა პონტო-სი. დასავლეთით მთა აზრუმისა, ეზინგისა და საქართველოს ყელს შუა წავლალი, ანუ რკინის პალოსი, და მისრულ ზღვამდე, რომელი აღეწერეთ ტრაპიზონისა და ქანეთის საზღვარი“⁴².

მესხეთის ქვეყნისა და მოსხთა მთების ადგილმდებარეობის ვახუშტისეული გააზრება, მისივე ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის წინაღობიანდელ წყაროებს ემყარება და ამდენად იგი ასევე სტრაბონის დროინდელ სინამდვილესაც უნდა ასახავდეს. ჩვენთვის აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მესხეთის ჩრდილო საზღვრები აჭარა-გურიის მთებამდე აღწევდა, გადის ზღვაზე. ამდენად კინტირშის ხეობა მთლიანად მესხეთის შემადგენლობაში შედის.

„მესხების ქვეყანაში“ ვახუშტის ამრიგად შეაქვს კოროხის აუზი მთლიანად და მტკვრის სათავეები არტაან-კოლას ჩათვლით, ასევე ერზერუმ-კარნუსა, რკინის პალოსა და ქანეთ ტრაპიზონის საზღვრამდე, რომელნიც იბერიის სამეფოში შედიოდა. ასე იყო ძვ. წ. II საუკუნემდე, ვიდრე მესხეთის სამად დანაწილებით მისი საზღვრები არ შეიცვლებოდა. მაგ. სტრაბონის დროს მესხეთის კუთვნილ სამხრეთ დასავლეთით მდებარე პარიადრისა და ქოძერნეს სანახები, ანუ ტაო და სპერი მოექცა ე. წ. მცირე სომხეთის გავლენის სფეროში, კლარჯეთი და აჭარაკი კოლხეთის, ხოლო არტაანი, სამცხე, ჭავახეთი და სხვა კი იბერიის სამეფოს ფარგლებში დარჩა. ამითაა გამოწვეული, რომ სტრაბონმა ლევკოთეას ტაძარი, რომელიც ადრე მესხეთის სამფლობელოში იმყოფებოდა, კოლხეთის აღწერაში შეიტანა.

ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ლევკოთეას ტაძრის ლოკალიზაციის საკითხი აკად. ს. ჯანაშიას აქ განხილულ დაკვირვებებიდან განსხვავებულადაა წარმოდგენილი და იგი შესხეთშია შეტანილი. ნარკვევებში ვკითხულობთ: „მართალია, ჩვენ განკარგულებაში არაა კონკრეტული მასალა მოსხების ქვეყანაში მყოფი ლევკოთეას დიდი სატაძრო გაერთიანების ზასიათის გასარკვევად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ მხარის მოსახლეობის განვითარების საერთო დონეს, ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ სა-

⁴² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოს, თბ., 1941, გვ. 122.

ტაძრო გაერთიანებას ბევრი რამ ექნებოდა საერთო მცირე აზიისა და სომხეთის სატაძრო გაერთიანებასთან⁴³. ამრიგად ადგილობრივი მესხურ-კოლხური სინამდვილე „კონკრეტული მასალის“ უქონლობის გამო გვერდშევილი რჩება.

ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემებით კინტრიშის ხეობა, სადაც იმყოფება თეთროსანი (ლევკოთეა). სხვადასხვა დროს შედიოდა როგორც კოლხეთის, ასევე მესხეთისა და იბერიის ფარგლებში.

სტრაბონის მიერ ხსენებულ მოსხიკეს იბერიელები, კოლხები და არმენიელები ესაზღვრებოდნენ. დამახასიათებელია, რომ მესხეთზე მსჯელობის დროს სტრაბონს ლაპარაკი აქვს არა მთელ მესხეთზე, არამედ მის მხოლოდ გარკვეულ სანახებზე, სადაც ტაძარი ლევკოთეა (თეთროსანი) მდებარეობდა.

სტრაბონი არ ასახელებს ტაძრის ადგილსამყოფელ პუნქტს, აღნიშნავს მხოლოდ, რომ იგი მდებარეობდა მესხების ქვეყანაში.

მესხები (მუსხები) ძველ აღმოსავლურ საისტორიო წყაროებში ძვ. წ. XII საუკუნიდან მოყოლებული ხშირად იხსენიება. მესხეთის მოსახლეობა მდ. ჰალისის ნაპირებამდე ვრცელდებოდა. ძვ. წ. VI საუკუნიდან კაპადოკია იკავებს მის ადგილს და შლის მესხეთის მთლიანობას. ცნობილი იყო კაპადოკიის სამი ნაწილი. მისი მესამე ნაწილი მესხეთის მთებამდე ვრცელდებოდა, ეს მთები მესხთა ქვეყანას არმენიელებისაგან ჰყოფდა.⁴⁴

მკვლევარი პროფ. გ. გოზალიშვილი მესხების ქვეყანას და კაპადოკიას შორის იგივეობის ნიშანს სვამს და შენიშნავს, რომ კაპადოკიის კომანას და ლევკოთეას ტაძართა ღვთაებანი ერთი და იგივე შეიძლება იყოსო.⁴⁵ პროფ. ა. ხახანაშვილის აზრით, „სკვითთა შემოსევების ეპოქაში... ჩნდება ახალი გეოგრაფიული ტერიტორიის კაპადოკია, მოსხებისა და ტიბარენების უწინდელი ტერიტორიის აღსანიშნავად“⁴⁶.

ამრიგად მესხების და ტიბარენების საცხოვრის ადგილს კაპადოკია დაერქვა. კაპადოკიელები, როგორც ცალკე ეთნიკური ელემენტი არ არსებობდა, იგი კრებითი სახელი იყო. სპარსელები, პეროდორტეს ცნობით,

⁴³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 494—498, 582—592, აკად. გ. მელიქიშვილის რედაქციით.

⁴⁴ Армянская география VII в. Текст и перевод издал К. П. Патканов, 1877, СПб, გვ. 35.

⁴⁵ გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, გვ. 179.

⁴⁶ Х а х а н о в, Древнейшие пределы расселения Грузии по Малой Азии, 1903. Тифлис, გვ. 59.

გერმანელი მეცნიერის კ. კოხის დაუსაბუთებელი ვერაუდით სტრაბონის მიერ აღწერილი ლევკოთეას ტაძარი ახლანდელ ნოქალაქეში შეიძლება ყოფილიყო, — „das heutige Hakolakhebi“ *Могла бы быть Strabon Leucothea* (II, 177). (ამ ცნობაზე ვუთითებ აკად. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომის მიხედვით, იხ. მისი «Вопросы истории искусства». I, Тбилиси, 1970, გვ. 102.).

მართალია, სირიელებს ეძახდნენ კაპადოკიელებს, მაგრამ ისინი არა მკვიდრ, არამედ მოსულ ელემენტთა მხოლოდ ნაწილს შეადგენდნენ.

ელინისტური ხანის კოლხეთის დადი ტაძარი ლევკოთეა — თეთროსანი თავის პარალელს უნდა პოულობდეს მცირე აზიის ისეთ დიდ საკულტო-რელიგიურ სატაძრო თემურ გაერთიანებასთან და ცენტრებთან. როგორადაც გვევლინებიან პონტოს კომანა და ზელა, ზევისისა და აპოლონის ტაძრები კაპადოკიაში, ანატიის ტაძარი არმენიაში და სხვა. აღნიშნული ტაძრები კულტმსახურების გარდა გვევლინებიან მქლავრ ეკონომიურ ერთეულებად, რომლებიც მიწებთან ერთად სხვა სახის დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ და პოლიტიკური გავლენით სარგებლობდნენ.

ქართული ეთნოგრაფიული გამოკვლევებით ახსნილია, რომ ამგვარი სატაძრო თემები აღმოცენდნენ იმ ძველთაძველი სასოფლო თემებისაგან, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ადგილობრივი ღვთაების პატივსაცემად აგებული სამლოცველო ტაძრების ირგვლივ⁴⁷.

ლევკოთეას ტაძარი სტრაბონის ცნობით, „მოსხების ქვეყანაში“ მდებარეობდა. რომელიც სტრაბონის წინამორბედთა (პეროდოტე და სხვ.) ცნობებით, ასევე მოიცავდა დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აჭარა-ქობულეთის ჩათვლით.

სტრაბონის ცნობით, მოსხები კოლხების უშუალო მეზობლებად, ზღვისპირის მკვიდრ მცხოვრებლებადაა მიჩნეული (იხ. მისი „გეოგრაფია“, XI, 2, 14).⁴⁸

სტრაბონის ცნობით მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამადაა გაყოფილი: — კოლხებს, იბერებსა და არმენიელებს შორის, ე. ი. დიდი ქვეყანა მოსხებისა დანაწილებულია.

კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ ამ პერიოდში სომხეთი ახერხებს მეზობელი ქვეყნებრიდან და მათ შორის საქართველოსგანაც რამდენიმე ოლქის დაპყრობას. მაგ., იბერია დროებით I საუკუნეში, კარგავს პარიადრეს, ქოზერნეს და გოგარენეს ოლქებს (სტრ. XI, 14 5).⁴⁹

⁴⁷ ვ. ბარდაველიძე, ხევისურული თემი, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, XI:11. № 8. 1ქ. მისივე. Земельные владения грузинских святыниц. «Советская этнография». 1949. № 1.

⁴⁸ ს. ჯანაშია, შრომები, II. გვ. 226; Г. В. Меликшвили, К истории древней Грузии. თბ. 1959. გვ. 114.

⁴⁹ ივ. ჭავჭავაძის აზრით, ბერძნული „კოტარქენე“ ახლაც შემონახულია „გოდერძის გადასასვლელის“ სახით, არსიანის ქედში რომ არის, და სამცხესა და აჭარას შორის შემართებული გზაა (იხ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I. თბ., 1950. გვ. 261). სტრაბონით, ეს ადგილები სომხეთისათვის — ქოზერნე და აამბისინე უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეები არიან... ეკვრიან იბერიას და კოლხეთს. („გეოგრაფია“, XI, 14, 4).

სტრაბონის ცნობათ, მოსხები კოლხების უშუალო მეზობლები და ამასთან ზღვისპირეთის მობინადრენი არიან.

მესხური ტომების ძლიერება და მისი გავლენის სფეროები ქართლის სამეფოს შექმნის საქმეში კარგადაა გარკვეული. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ქართლის სამეფოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის სახელწოდებაც მესხების ეთნიკურ სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული. მესხური ტომები კულტურულ-ეკონომიური ცხოვრებით ადრე ელინისტურ პერიოდშივე ექვევნიან კოლხურ-იბერიულ ქართული სამყაროს გავლენის სფეროში, რომელსაც მესხები უშუალოდ ემეზობლებიან და შეერწყმიან როგორც ზღვისპირეთთან, ასევე იბერია მცხეთასთან ძველთაგანვე დამკვიდრებული.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსხთა ქვეყანა სამ ნაწილად დანაწილდა, შეიცვალა ასევე მისი მეზობელი არმენიის, იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური რუკაც. არმენია ძვ. წ. I ს. ახერხებს თავისი საზღვრების განვრცობას იბერიისა და კოლხეთის შემადგენლობაში მოქცეულ მესხების ქვეყნის ნაწილზეც ჩრდილოეთით და ეს განვრცობა იქამდე აღწევს, რომ იგრ, სტრაბონის ცნობითვე, ემიჯნება ლევკოთეას (თეთროსანის) სანახებს. თუ არტაშატის სამეფომ ე. წ. „დიდმა არმენიამ“ შეავიწროვა ქართლის სამეფო, დასავლურ სომხურმა გაერთიანებამ — „მცირე არმენიამ“ ასევე შეავიწროვა დასავლურ ქართული მოსახლეობა. მაგ., სტრაბონის ცნობით, მათ მიიმძლავრეს ხალიბებისა და მოსინიკების მიწები—კარენიტის—კარნუს (არზრუმის) ქალაქის ჩათვლით⁵⁰ („გეოგრაფია“ XI, 14, 5).

სტრაბონი ამასთანავე ეხება „მცირე არმენიის“ გავლენის გაფართოებას, რომელსაც შავი ზღვისპირებამდე არ მიუღწევია და დასძენს: ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდეები ვიდრე მცირე არმენიამდე. ეს კი საკმარისად მდიდარი ქვეყანაა. მას, ასევე როგორც სოფენს, მუღამ განაგებდნენ (თავისი) დინასტიები, ესენი ხან ემეგობრებიან დანარჩენ არმენიებს, ხან დამოუკიდებლად მოქმედებენ. მათი ქვეშევრდომები იყვნენ ქალდეები და ტიბარენები“. (XII, 3, 28).

მცირე ანუ „დასავლეთი არმენიის“ მიერ დროებით მიმძლავრებულ დასავლურ ქართულ ადგილთა შკვიდრ მოსახლეობას ძირითადად ხალიბები, იგივე ქანები და სხვა ქართველი ტომები წარმოადგენდნენ, რომლებთანაც აღნიშნული მიზეზის გამო ხდება სომხური ელემენტების შერევა. პლანიუსთან ასეთი ეთნიკური შერევა ამ მხარისა

⁵⁰ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, гл. 52.

„არმენო-ხალიბების“ სახითაა მოხსენებული (IV, 11-12-29). პონტოს სამეფოს გაძლიერებამ (ძვ. წ. II—I სს.) მითრიდატე VI ევპატორის (III — 63) ხანაში ბოლო მოუღო „მცირე არმენიის“ მძლავრობას და იგი, დასავლურ-ქართულ ოლქებთან ერთად, პონტოსადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად იქცა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც პონტოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ცხოვრობდნენ ქართველი ტომები, რომ „ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველი ტომები სწორედ იმ ტერიტორიაზე და იმ ეპოქაში ცხოვრობდნენ, სადაც და როდესაც პონტოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა“, ⁵¹ რომ პონტოს სამეფო შეიქმნა მცირე აზიაში — ქართველი (მეგრულ-ჭანური) და მისი მონათესავე სხვა ტომების მიწა-წყლის ხარჯზე“, ⁵² ამრიგად შავი ზღვისპირეთის ქართველი ტომები წარმოგვიდგება ერთ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებად, რომელიც პონტოს სამეფოდ იწოდებოდა.

ამრიგად პონტოს სამეფოს ისტორია, ასევე შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროს მკვიდრი ქართველი და მისი მოძმე ტომების ისტორია. სწორედ ამ რაიონებში ძველთაგანვე მომდინარეობდა უწყვეტი კულტურული ცხოვრება, სადაც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან, როგორც ეს ცნობილია, წარმატებით აღორძინდა კოლხური მეტალურგია და რომლის სახელიც შორს იყო გაქრილი. ⁵³

შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიან ადგილებში მცხოვრებ დასავლურ ქართულ ტომებს სტრაბონი ასე ახასიათებს: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდეები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, აქვეა მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ უწინდელი კერკეტები, — ამ ადგილებზე გადაჭიმულია სკიდისე, კლდოვანი მთა, რომელიც უერთდება მოსხურ მთებს, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ“. ავტორის ცნობითვე, ამ ადგილების მკვიდრმა მოსახლეობამ პომპეუსს სამი რაზმი ამოუწყვიტა, რომლებიც გადადიოდნენ ამ მთებში“ („გეოგრ.“ XII, 3, 18).

„სკებტუხიებად“ დანაწილებული კოლხეთი მითრიდატე VI-ის დროს პონტოს სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, მაგრამ თუ რაო-

⁵¹ ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, პონტოს სამეფო, 1956, გვ. 3.

⁵² М. М а к с и м о в а, Античные города Причерноморья Юго восточного,

⁵³ საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 58.

დენ ლმობიერი იყო ამ მხარის მკვიდრთა მდგომარეობა და რაოდენ დიდად ფასდებოდა მათი ისტორიული დამსახურება, ამაზე თვით სტრაბონი შემდეგს გვაუწყებს: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ქველად ეს ქვეყანა (კოლხეთი), ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობაზე). ამის შემდეგ მემკვიდრე ზეფეებმა სკვებუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება: იგზავნებოდა მულამ ვინმე მეგობართაგანი მმართველად და გამგებელად ქვეყნისა. ამათგანი იყო მოაფერნეც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან. აქედან იყო, რომ მეფეს მოსდიოდა მეტი წილი ძალების სანაოსნო სამსახურისათვის“ (იხ. „გეოგრაფია“, XII, 1, 2, 18).

სტრაბონის ცნობებიდან საესებით ნათლად ჩანს, რომ ლეკოეთას ტაძარი მდებარეობს სამად დანაწილებულ „მოსხთა ქვეყნის“ იმ ნაწილში, რომელიც „აქვთ კოლხებს“. ამას ისიც ადასტურებს, რომ ლეკოეთას სამლოცველო დახასიათებულია სტრაბონის გეოგრაფიის იმ ნაწილში, სადაც მოცემულია კოლხეთის აღწერა. თავის დროზე ამ ფაქტზე სწორად მიუთითა ს. ჯანაშიამ⁵⁴, ხოლო არმენიელების ჩრდილო საზღვარი გურია-აპარის მთებს უნდა უახლოვდებოდეს.

სტრაბონს ლეკოეთას ადგილმდებარეობა კოლხეთას „მდინარეების ზემოთ“ აქვს დასახელებული. თუ რომელ მდინარეს გულისხმობს დიდი გეოგრაფი, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ნასაყდრალი თეთროსანი მდინარე კინტრიშსა და აქვს შუა იმყოფება ზღვიდან მოშორებით. იბერიის მოსახლეობა და მფლობელობა შავ ზღვამდე ვრცელდებოდა მესხებთან და კოლხ-ლაზებთან ერთად და წმირად ერთ პოლიტიკურ გარემოში იყვნენ გაერთიანებულნი. ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით, ამ ფაქტზე პირველად ივ. ჯავახიშვილმა გაამახვილა ყურადღება. კ. კეკელიძესა და ს. კაკაბაძესთან კამათის დროს — ტერმინ „იბერიას“ სწორად გაგების გამო.⁵⁵ მოგვიანებით თვით კ. კეკელიძეც აღიარებდა, რომ „იბერიული ეთნიკური ელემენტის არსებობა პონტოში არც გეოგრაფიულადაა შეუძლებელი; იბერია პირდაპირი მოსაზღვრე იყო პონტოსი; ჩრდილო-აღმოსავლეთით იბერთა მიწა-წყალი, მესხეთის და ტაო-კლარჯეთის ხაზით, უშუალოდ პონტოს ეკვროდა“.⁵⁶ მანვე დაასაბუთა, რომ ცნობილი ევაგრე (341—399) წარმოშობით იბერიის მკვიდრთაგანი იყო,

⁵⁴ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 152—154

⁵⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერას ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 205.

⁵⁶ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 12—14, თბ., 1960.

ჩომელიც უცხოურ მწერლობაშიც კი პონტოელის სახელითაა აღიარებული.⁵⁷

პლუტარქე პომპეუსის ბიოგრაფიაში, როგორც ეს კარგადაა ცნობილი, აღნიშნავს, რომ კავკასიელ „ტომთა შორის ყველაზე უფრო უდიდესნი აღბანები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს“⁵⁸. იბერთა ტომის განვრცობას დასავლეთით პონტოს სამეფო სამფლობელოზე ადასტურებს გელასი კესარიელიც (39 წ.). იგიც ეხება ქართლის მოქცევას და თავის თხზულებას ამ სიტყვებით იწყებს: „ამავე ხანებში ლმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“⁵⁹.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ქართლის სამეფოს პოლიტიკური გავლენის სფეროშია აღრიდანვე მოქცეული. ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ში სამცხეს ჩათვლით, იბერიის სამეფოს ექვემდებარება ეგრისის, აჭარისა და არგვეთის საერისთაოები.

ქართულ საისტორიო ტრადიციებს ასევე კარგად ესადაგება ნუმისმატიკური ფაქტებიც—მაგ., ძვ. წ. II საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში კოლხური თეთრის მიმოქცევა თითქოს გამქრალია და მის ადგილს იკავებს ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს კოლხურ-იბერიული ოქროს სტატერების ადგილობრივი მინაბადები.

ამ მონეტების მსოფლიოში აღრიცხული ორივე კატეგორიის სულ 130 ცალიდან 80 ცალამდე საქართველოშია აღმოჩენილი, ისინი აღმოჩნდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე შავი ზღვის სანაპიროს ზოლში, იბერიის დასავლეთ მთელ რიგ რაიონებში, ასევე იპოვეს შიდა ქართლში სოფ. ახრისის, გორის მახლობლად, მცხეთის მიდამოებში და სხვ⁶⁰ ორ მონეტას, რომლებიც აღმოჩენილია ტრაპეზუნტსა და სოფ. კინჩხის მიდამოებში (დაცულია საქ. სახ. მუზეუმში), ბერძნული წარწერა მოეპოვება: „მეფე აკის“.—გამოსახულებით (იხ. ტაბ, №9). დ. კაპანაძის აზრით, ესაა კოლხეთის ერთ-ერთი მეფე, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეში შეფობდა.⁶¹ დ. კაპანაძის შეხედულებითვე, ეს მონეტები გარკვეულ ტიპოლოგიურ კავშირშია უდა-

⁵⁷ ქ. ქ ე ლ ი ძ ე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, გვ. 15—17.

⁵⁸ პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, 34, ავ. ურუშაძის თარგმანი, გვ. 117.

⁵⁹ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. იხ. ჟურნ. მიმოხილვები, 1926, გვ. 55.

⁶⁰ დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმისმატიკა, თბ. 1969, გვ. 33.

⁶¹ ი ქ ვ ე, გვ. 34.

ვო ქართული წარმოშობის არისტარხის კოლხელის მონეტასთან (იხ. ტაბულა XXI).⁶² მისივე ვარაუდით ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს ადგილობრივი მინაბადები ქართლში იჭრებოდა.

იბერიის სამეფოს გაძლიერების ხანა შექმნილ საშინაო და საგარეო პირობების შედეგად მომდევნო პერიოდიდან დაიწყო რომთან სამოკავშირეო და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას საფუძველზე. ამ დროს გაძლიერდა ასევე სომხეთში იბერიის გავლენა, აქ მეფედება იბერთა მეფის ძე და სხვ. მაგრამ იბერიის გასვლა ზღვის სანაპიროზე, ცხადია, რომის თანხმობით და ხელშეწყობით შეუძლებელია მომხდარიყო.

სამცხე და აჭარა ისე, როგორც არგვეთი, იბერიის შემადგენელი ერთეული იყო კულტურულადაც. მაგ., სოფ. ბორში და კლდეთში აღმოჩენილ არქეოლოგიურ კომპლექტთა მეტცემეტი სიახლოვე როგორც მცხეთას, ასევე ზღვის სანაპირო ურეკისა და მდ. სუფსის შესართავთან აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებთან იმის დამადასტურებელია, რომ აქ ამ პერიოდში (I-II საუკუნეებში) იბერიის სამეფოს დიდი კულტურული და ეკონომიური გავლენა უნდა ყოფილიყო.⁶³

იბერიის სამეფოს მფლობელობა და გავლენა ა. წ. II საუკუნის დასაწყისშიაც კი ჭოროხის სამხრეთის სანაპირო დინებამდე, ვიდრე ზღვისპირეთამდე ვრცელდებოდა. ლაზთა სამეფოს გავლენის ზრდის შედეგად დასავლეთ საქართველოში იბერიის სამეფოს მფლობელობას ბოლო ედება. ა. წ. IV—VI ს-ში ლაზიკის გავლენა გაძლიერდა, მან ლიხის მთისა და სურამის ქედის კალთებამდე შეაღწია. ლაზებმა აქ ააგეს შორაპნის, სკანდისა და რიგი სხვა სიმაგრეები; ლაზიკის სამეფოს დედაქალაქად იქცა არქეთპოლისი (ახლანდელი ნოქალაქევი), ლაზიკის ძლიერების ხანაში აღორძინდა საქალაქო ცხოვრება, გაჩნდა (ან აღდგა) და დაწინაურდა ქალაქები, მაგ., ფართოდ ცნობილი გახდა მოხერისის აყვავებული მხარე, დაწინაურებული ტელეფისი, როდოპოლისი და მრავალი სხვ., ასევე ზღვის სანაპირო რიგი ქალაქებისა.

⁶² დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

⁶³ Э. Т а к а н ш в и л и. Изв. Кавказского отд. Московского археологического общества, вып. I, Тб, გვ. 90—91. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები“, XII—B, 1944. გ. ც ე ქ ი თ ი შ ვ ი ლ ი, ლიხსიქითა საქართველოში იბერიის საინტიანსოს საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955. 3. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე“, XIV—B, 1947. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო ნ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა, 1955.

ლეონტი-მროველი. მოგვითხრობს რა „ყოველისა ქართლისა და ეგ-
რისის“ პირველი მეფის ფარნავაზის მიერ დაწესებული სამეფოს სამ-
ხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების შესახებ
ცალკე საერისთავოების მიხედვით, დასძენს, რომ „განაწესა ერისთავნი
რვანი, მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარიოვან
ვიდრე არსიანამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის. რომელ არს სამცხე
და აჰარა.“⁶⁴ ქართლოსის უფროსი შვილი მცხეთოსი წილად მიიღებს
ვრცელ მიწა-წყალს „თბილისითგან და არაგვითგან სპერის ზღვამდე“⁶⁵,
რომელმაც თავის სამ შვილთაგან „ოძრხოსს მისცა ტასისკარიოვან ვიდ-
რე ზღუამდე სპერისა ქვეყანა კლდოვანი. ამან ოძრხოს აღაშენა ორნი
ციხე-ქალაქნი, ოძრხე და თუხარისი“.⁶⁶

ამრიგად, ჯერ კიდევ ფარნავაზის დროინდელი იბერიის (ქართლის)
სამეფო გეოგრაფიულად და ადმინისტრაციულ-პოლიტიკურად რამ-
დენიმე ნაწილად იყოფოდა და სამცხე, აჰარა, ისე როგორც მთელი
მესხეთი და კოლხეთი მისი შემადგენელი იყო.

ამრიგად, სტრაბონს სრული საფუძველი ჰქონდა კოლხეთის აღწე-
რისას ემსჯელა ლევკოთეაზე და იგი მესხების ქვეყანაში დაესახელებია.
სტრაბონი ასეც იქცევა, მაგრამ მისთვის თითქოს საეკვოა და იგი თით-
ქოს მერყეობს კოლხეთის, თუ მესხების ქვეყანას შეიძლებოდა ჰკუთვ-
ნებოდა ლევკოთეა.⁶⁷

ყველაფრიდან ჩანს, რომ სტრაბონი კარგად იცნობდა კოლხეთს
და მის მეზობელ მესხეთს. სტრაბონი დასძენს, რომ შემდეგში სკეპ-
ტუხიებად დაყოფილ, დასუსტებულ კოლხეთში მითრიდატე ეგპატო-
რის დროს, ამ ქვეყნის მმართველად იგზავნებოდა მისი ასლობე-
ლნი და ამათგან „იყო მოაფერნიც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან“. ამ-
დენად სტრაბონი უდავოდ ზუსტი ცნობითაა ინფორმირებული და ამ
შემთხვევაში ხუცუბნის თეთროსანის, ივავე ლევკოთეას, ადგილსამ-
ყოფელს ზუსტად უნდა ასახელებდეს.⁶⁸

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის შეცდომებიც. რომლე-
ბიც ანტიკური ქვეყნის გეოგრაფ-მოგზაურებს და მეცნიერებს მოს-
ლით კოლხეთ-იბერიის აღწერისას. ამდენად საკუთარი და გეოგრაფიუ-

⁶⁴ იხ. ქართლის „ცხოვრ“. გვ. 42, ანახ. რედ.

⁶⁵ „ „ „ 6

⁶⁶ „ „ „ 7 „ 6.

⁶⁷ ს. ჩანაშია. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიასთვის
ლენეველესპეროდში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 111, 1742.

⁶⁸ ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, გვ. 125. ამავე კონტექსტში უკრადლებას იყ-
რობს სტრაბონის შენიშვნა, რომ „აქედან (კოლხეთიდან) იყო, რომ მეფეს მოს-
დიოდა პეტი წილი ძალევისა სანაოსნო სამსახურისათვის“-ო. ეს ფაქტი იმაზედაც
პოკუთიობს. რომ ზღვაოსნობაში ოდიდანვე დაწინაურებული ლაზები მითრადატეს
საძლვაო ფლოტში გამოიყენებოდნენ, როგორც საუკეთესო მებრძოლ-მეომრები.

ლი სახელების დასახულებლად არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ადგილობრივ ტოპონიმოკურ მონაცემებს (სხვა ისტორიულ მასალებთან ერთად), მათი მეცნიერულად დადგენისა და დაზუსტების მიზნით. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი სამუშაოს ჩატარება ჩვენს სინამდვილეში. როცა ცნობილია, რომ ბერძენი კოლონიზატორები ბარბაროსებად და ბარბაროსულად თვლიდნენ კავკასიაში ყველას (თავიანთი ენითა და რელიგიებით) და ყოველივე არა ელიანურს და არა ბერძნულს და როგორც აღინიშნა, ზეალეებით თარგმნიდნენ ხშირად ცუდი (შეიძლება ითქვას ყოველად უეარგისი) ბერძნული შესატყვისობით გეოგრაფიულ სახელებსაც, ყოველივე ამას არ შეიძლება არ გაეუწიოთ ჯეროვანი ანგარიში.

სტრაბონის გადმოცემით, მიუხედავად იმისა, რომ ლევკოთეა რამდენჯერმე გაძარცვეს, მაინც ძალიან მდიდარ საყდრად ითვლებოდა. ძველ ბერძნული ლიტერატურული ტრადიციებით. კოლხეთი ზღაპრული სიმდიდრის, „ოქროს ვერძის“ მფლობელ ქვეყნად იყო მიჩნეული ოდითგანვე. ესოდენ მდიდარი საყდარი, როგორადაც სტრაბონი ლევკოთეას ახასიათებს, მართლაც და მდიდარ კოლხურ სამეფოში შეიძლებოდა ყოფილიყო.

თეთროსანის საყდრის ქონებრივად გაძლიერებაში, გარდა ვრცელი და დოვლათიანი მიწა-წყლისა, რომელიც ამ დიდად გავლენიანი ტაძრის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო, საფიქრებელია, დიდი როლი მიუძღოდა ძველ, იმდროისათვის საკმაოდ აღორძინებულ საპატრიოციხე-ქალაქებს: ფიჭვნარის ნაქალაქარს, ფაზისს და მოგვიანებით ციხისქირს.⁶⁹

⁶⁹ ირკვევა, რომ წარმართულ საქართველოში ხუტუნის თეთროსანს (ლევკოთეას) გარდა კიდევ არსებობდა სხვა უფრო ნაკლები გავლენა და ძალის თეთროსანის სახელობის საყდარი. მაგ. სვანეთში ლაშხეთის თემში, ს.ფ. შვედში არსებობს ნასაყდრალი, რომელსაც ასევე თეთროსანი ეწოდება დღესაც. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, მისი გავლენა მთლიანად ლაშხეთის თემზე ვრცელდებოდა და ითვლებოდა ძლიერ საყდრად. აი რას გადმოგვცემს შვედის თეთროსანის შესახებ ლაშხეთის თემის მკვიდრი სოფ. ჯახუნდარიდან ეთნოგრაფი ჯ. ონიანი.

„სალოცავი თეთროსანი მდებარეობს სოფელ შვედში, რომელიც საერთოდ ლაშხეთში ყველაზე ძლიერ სალოცავ საყდრად ითვლება.“

ამ სოფელში ყველაზე მაგარ საქმეზე თეთროსანზე აფრცხენ და მანამავეთ და იქვე თეთროსანის ხატზე სწყველიდნენ ძველი წესით, ან ლოცავდნენ ვისაც ეს ეხებოდა (ახლა ცოტანი მისდევენ ამ წესს). აქ ასვენია ხატი, რომელიც გამოქოწნდათ ამ სოფლის მცხოვრებთ დღესასწაულზე. ეს ეკლესია ხატებით მდიდარი იყო, მაგრამ გაძარცვული იქნა. პირველად სადაც მდებარეობდა ეკლესია თეთროსანი, იქ ნანგრევებად არის მხოლოდ გადაჩენილი, საეკლესიო განთი კი ზეორზე შენობაში გადაიტანეს, რომელსაც თეთროსანი ეწოდა აქვე.“

რიტუალური წესები თეთროსანის ხატთან დაკავშირებით ასეთი იყო: თეთრო-

სტრაბონი ხომ გარკვევით მიუთითებდა, რომ მის მიერ აღწერილი „მთვარის ტაძარი... დიდსა და მკიდროდ დასახლებულ მხარეს ფლობდა“, რომელიც, ბუნებრივია, ტაძრის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო. ჩვენ, რამდენადმე როგორც ეს ახლად მოძიებულნი მასალებით ირკვევა. ანალოგიურ მდგომარეობასთან უნდა გვექონოდნა საქმე თეთროსნის მიმართაც. ცნობილია, რომ ხეცსურეთში XIX ს-ის ბოლოს წმ. გიორგის ხატს საკუთარი ტყე და მამულებიც კი გააჩნდა. ამ ფაქტს თავისი შორეული ტრადიცია და ისტორიული საფუძვლები უნდა ჰქონდეს.

ლევკოთეას შესახებ საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვა პროფ. გ. გოზალიშვილმა. იკვლევს რა კომანას ტაძარს (კაპადოკიაში), იგი წერს: კომანას „დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იყო რა ამ ტაძრის ქურუმები მეფას შემდეგ მეორე პირი, ხოლო ლევკოთეას ტაძრის ასეთივე, ალბათ, შედარებით მცირე მასშტაბის მნიშვნელობა. აშკარად გამოსჭვივის მისი სიმდიდრიდან და იქიდანაც, რომ მას დაცემას სტრაბონი უკავშირებს ამ ქვეყნის დაუძლეურებას“.⁷⁰

ავტორის აზრით, „აღსანიშნავია ისაც, რომ კომანასა და ლევკოთეას ტაძართა უმაღლესი ღვთაებანი ერთი და იმავე ღვთაების სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენს, რაც მესხური პანთეონის მრავალფეროვნებასა და კულტურის სიმდიდრესა და ნაირსახეობაზე მიუთითებს“.

სანის ხატს დიდი მოწიწებით ვაღმოსაყვებდნენ ეკლესიიდან მესიარობის წინა დღეს. სამი კაცი (მონაზვნებს უწოდებდნენ ამათ) იყო გამოყოფილი, რომელთაგან ერთს ორივე ზელით ეკირა ხატი, მეორე კაცს ჭვარი ეკირა ხელში და მესამეს კი — დროშა. ასე დადიოდნენ სოფელ შვედში, თითქმის ყველა მოსახლისას უნდა მისულაყვნენ. ლოცულობდნენ თვითიული მოსახლის კარზე. მღეროდნენ კვირიას სიმღერას (ძველი წარმართული ღმერთის); მონაზვნებს ეკავათ 6 დიდი ტაბლა. თითოეული ტაბლა მოცულობით ძალიან დიდი იყო (სპეციალურად ეძებდნენ დიდ ბრტყელ ქვას ამ ტაბლების გამოსაცხობად). ეს ტაბლები იყო თეთროსანის ხატის სახელობის. იკრიბებოდა მთელი ხალხი ამ დღეს ერთად (სოფ. შვედისა) და შეარჩევდნენ ღონიერ, მოკიდავე კაცს წინამძღოლად (სვანურად „მოთხში“). ამ შეკრებილ ხალხს (ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი—ყველა მონაწილეობდა), რომელსაც სვანურად „სვიმრა“ ეწოდებოდა, მეორე სოფლიდან მოსულნი თუ არ დაემორჩილებოდნენ და არ დაიჩოქებდნენ, გათელავდა „სვიმრა“. მეთაური („მუთხში“) დაეტაკებოდა პირველად მოსულს და წააქცევდნენ რამდენი კაციც არ უნდა მისულიყო მათ სოფელში (ხუმრობის ელფერი ჰქონდა), წოდებრიობის განურჩევლად. დაღამდებოდა და ხალხი იშლებოდა. „თეთნეგვარაგ“-ზე. თეთრი გიორგიზე ლოცვას ხალხში და ფიქს დღესაც გაიგონებს კაცი. „თეთნა“-შ, — თეთრაისი — ზემოსვანეთის (ბაღს ქვემოთ) მთა ადგილის გეოგრაფიული სახელია მსგავსად თეთნულდისა და სხვ. (ცნობა ჩოტანილია სვანეთში სამეცნიერო მიზნით ჩვენი 1947 წ. მოგზაურობის მასალებიდან).

⁷⁰ გ. გოზალიშვილი, მითრიადატე. პონტოელი, თბილისი, 1962, გვ. 177—179.

მკვლევარი საესებით მართებულად ეკამათება სტრაბონს და მასაც შიანია, რომ მესხების ლეგკოთეას ტაძარი ბერძნული ღვთაების სახელზე კი არ უნდა ყოფილიყო აგებული, როგორც ბერძენი გეოგრაფი ფიჭრობს, არამედ ადგილობრივ ქართველ ტომთა ღვთაების სახელობისა. იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ ტაძრის ადგილმდებარეობის საკითხს და დასძენს: „ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ტაძრის ადგალმდებარეობის დადგენას, ამით ჩვენ ხელთ აღმოჩნდებოდა. მესხური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ტაძარი, რომელიც მხოლოდ რომელიმე ცენტრალურ პუნქტში შეიძლებოდა არსებულებოდა.“⁷¹

ასეთი ცენტრალური პუნქტი, როგორც ირკვევა და ვრწმუნდებით, კოლხეთში უნდა ყოფილიყო, როგორც ეს, სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით, აკად. ს. ჯანაშიამ შენიშნა.

მაგრამ თუ სად, კოლხეთის რომელ რაიონში უნდა ყოფილიყო

⁷¹ გ. გოზალიშვილი, მოთრიადატე პონტოელი, თბილისი, 1952, გვ. 177—178. სამეცნიერო ლიტერატურაში ლეგკოთეას საყდრის ადგილმდებარეობა არაა საბუთიანობით დადგენილი (თუმცა საამისო ცდები არსებობს), ამასთანავე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არც ნასაყდრალ თეთროსანისადმი ყოფილა გამახვილებული ყურადღება.

ნასაყდრალ თეთროსანის და მისი ადგილმდებარეობის ლოკალიზაციისადმი მეცნიერული ინტერესი სპეციალისტებს შორის სამწუხაროდ ვერც თეთროსანის დავითნის ქართულმა კლასიკურმა მხატვრულმა მინიატურებმა გააქტიურა, რომელიც VIII—XIV საუკუნეებში შეუსრულებიათ ხელუბნის თეთროსანში და თეთროსნის, საყდრის დანგრევის შემდეგ იგი შემოქმედში, იქიდან კი საეკლესიო მუზეუმში მოხვდა. იგი ამჟამად დაცულია ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონ. H—75).

მართალია, თეთროსანის დავითნი, ისე როგორც ჭრუჭის დავითნი (იქვე, იხ. ფონ. H—1665) თავისი უბადლო მინიატურებით 1921 წ. დიდი ხნით უცხოეთში იქნა გატანილი და მხოლოდ მისი დაბრუნების შემდეგ გაძლიერდა ინტერესი ქართული მხატვრობის ამ უმესანინავესი ძეგლისადმი, მაგრამ დღემდე არ უცდიათ გარკვევა იმისა, თუ სად მდებარეობდა ტერიტორიულად საყდარი თეთროსანი, სადაც გადაიწერა ეს დავითნი და რა ადგილი განეკუთვნებოდა საერთოდ ამ საყდარს ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიულ კერებს შორის. ამის შესახებ ჩვენ ვერ ვხედებით სპიკრო განმარტებას, როგორც ამგვარ პრობლემათა შესწავლისადმი სპეციალურად განკუთვნილ ნაშრომებში (მაგ. პროფ. ლ. მენაბდის, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. 11, თბილ. 1962, და სხვათა), ასევე ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა ფუნდამენტალურ გამოკვლევებშიაც კი, სადაც დიდის გულდასმით და მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა შესწავლილი თეთროსანისა და ჭრუჭის დავითნების მინიატურები (მაგ. შ. ამირანაშვილის, ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961, გვ. 300—302, აკად. გ. ჩუბინაშვილის და ი. სონღულაშვილის შრომებში, ასევე А. А. Шервашидзе. Грузинская светская миниатюра, Тб., 1964. და ბევრი სხვა). თეთროსანის დავითნი, 1946 წ. იქნა პარიზიდან ჩამოტანილი (იხ. საქ. მუხ. „მოამბე“ XIV, 1947, გვ. 441).

ხელდადებით ეს დიდებული ტაძარი, ამას შუქს ფენს კინტრიშის ხეობის ისტორიული არქეოლოგიური ძეგლებას შესწავლა; სოფ. ხუცუბნის სამაროვნებში ნაპოვნ საკულტო ძეგლთა ნასაყდრალ თეთროსანთან მიმართებაში ყოველმხრივ შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სტრაბონისეული ლეეკოთეას ტაძარი ნასაყდრალი თეთროსანია. ამ დებულების უფრო ნათელსაყოფად, როგორც ამაში მკითხველი ქვემოთ დარწმუნდება, არა ერთი ნავთიერ-დოკუმენტური მასალა იქნება მოტანილი⁷².



ლეეკოთეას ტაძრის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობა გრძელდება. მაგ. ვანის ნაქალაქარის განათხარი მასალის მიხედვით, ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, სტრაბონის მიერ აღწერილი ლეეკოთეას ტაძარი ამ ადგილებში ვივარაუდოთო; მაგალითად, ოთ. ლორთქიფანიძე ფრთხილად შენიშნავს: „შეიძლებოდა სტრაბონის მიერ აღწერილ ამ „მდიდარ“ სატაძრო ქალაქად მიგვეჩნია ვანის ნაქალაქარი, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, მდ. სულორის ხეობაში⁷³. უფრო ადრე სოფ. საირხეში წარმოებულ გათხრებთან დაკავშირებით, მკვლევარმა ჯ. ნადირაძემ, მართალია, გამოთქვა მოსაზრება, რომ სტრაბონისეული ლეეკოთეას ტაძარი სოფ. საირხეში შეიძლება ვივარაუდოთო, მაგრამ ამის დასაბუთება არ უცდია და აქვე მოდინახეს მიდამოებში მოგვიანებით წარმოებული გათხრებას შედეგებზე გამოქვეყნებულ წერილშიაც ეს აზრი არ გაუმეორებია.⁷⁴

ცნობილია, რომ ჰეროდოტეს, ასევე ჰეკატე მილეტელისა და სვით სტრაბონის მითითებით „მოსხთა ქვეყანა“ (რომლის მიწაზეც სტრაბონს ლეეკოთეას ტაძარი ეგულებოდა) დღევანდელი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და მისი მიდგამი ადგილებია, ამასთანავე სტრაბონით, ლეეკოთეა იმ დროს სამად დაყოფილ „მოსხთა ქვეყნის“ იმ ნაწილში მდებარეობდა, რომელიც „აქეთ კოლხებს“, სწორედ ამიტომ, რომ სტრაბონი ლეეკოთეას სამლოცველო ტაძარს კოლხეთის აღწერისას ეხება და კოლხეთის აღწერაში ათავსებს (გეოგრაფია, XI,

⁷² ქართლის ცხოვრება, 1, 24.

⁷³ ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „ცისკარი“ 1968, №7, გვ. 140.

⁷⁴ იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 1969, 1 აგვისტო.

2. 17). მაგრამ კოლხეთს გარდა, მესხთა ქვეყანა მიმძლავრებულ პქონდათ ასევე არმენიელებსა და იბერებს; ლევკოთეას ტაძარი კოლხეთში კი მდებარეობდა იმ ადგილს, სადაც არმენიელების მიერ მიმძლავრებული მესხთა მიწა-წყალი ემიჯნებოდა კოლხთა მიერ ასევე მიმძლავრებულ მესხთა მიწებს. ასეთ პუნქტად კი თითქო მესხეთის კუთვნილი კინტრიშის ხეობა და ქობულეთის მხარე წარმოგვიდგება, რომელიც იმ დროს ძვ. წ. I საუკუნეში კოლხთა მფლობელობაში მოქცეულა და სამხრეთიდან ამ ქვეყანას, სტრაბონის ცნობითვე, არმენიელები ემიჯნებოდნენ. ძველი კოლხეთის ვანისა და მითუმეტეს საირხის მიდამოებში ლევკოთეას ტაძრის სავარაუდო ლოკალიზაციის დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ტაძრის სამხრეთის რაიონებს ფლობდა და ემიჯნებოდა არმენიელების ქვეყანა. ჯერ ერთი ეს ადგილები, საირხე და ასევე ვანი, მესხთა ქვეყანად ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემებით არ დასტურდება და არც ყოფილა, მეორეც ის, რომ კოლხეთის ფარგლებში მყოფ ლევკოთეას საყდარს, სტრაბონის ცნობითვე, რაკი არმენიის ქვეყანა ემიჯნებოდა, ამიტომაც, შეუძლებელია, რომ სომხეთ-კოლხეთის, თუნდაც დროებით მიჯნად იმ დროს საირხე და ვანი. — კოლხეთის ეს გული რაიონები მივიჩნიოთ, ასე დრმად ამ ადგილებამდე არმენიელების მფლობელობა მესხთა და კოლხთა ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა განვრცობილი. ცნობილია, რომ სტრაბონისეული ლევკოთეას ტაძრის ლოკალიზაციისას ადრე ვარაუდით მესხეთის, აწყურის ტაძარზე ჩერდებოდა მკვლევარ-ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, (მაგ. ნ. ბერძენიშვილი და სხვ.), მაგრამ ხხალი არგუმენტების მოტანა თავიანთი ამ ვარაუდის დასამტკიცებლად მათ არ უცდიათ.

გ. გოზალიშვილის აზრით, სტრაბონის მიერ აღწერილი მესხეთის და ქალაქ „კომანას ლევკოთეას ტაძრები ერთსა და იმავე მესხურ სამყაროში არის სავარაუდებელი,“ ოღონდ „ერთი საკუთრივ — ანუ როგორც მას სტრაბონი უწოდებს „ზემო კაპადოკიაში“, მეორე კი, „ბონტოს კაპადოკიაში.“ სტრაბონიდან ვიცით, რომ ე. წ. კაპადოკიის ქალაქ კომანაში არსებობდა დიდი ტაძარი⁷⁵. გ. გოზალიშვილი მესხეთის ლევკოთეას ტაძრის შესახებ მსჯელობს კომანას ტაძართან ანალოგიების საფუძველზე, რაც ნაკლებ დამაჯერებელია—ავტორს კომანასა და ლევკოთეას ტაძართა უმაღლესი ღვთაებანიც ერთსა და იმავე პანთეონთან, არტემიდეს კულტთან აქვს დაკავშირებული და შენიშნავს, რომ „კომანას ტაძრის ცხოვრება მეტად მიაგავს კახეთის აწყურის თეთრი გიორგის ირგვლივ ცხოვრებას, რაც მკრთალი სახით

⁷⁵ ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, XI, 8, 9;

დღევანდლამდეა შემონახული“.⁷⁶ იგი არ იძლევა თავის აქ წარმოდგენილ დებულებათა დასაბუთებას და კმაყოფილდება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე მითითებით, სადაც გადმოცემულია მთვარის კულტთან დაკავშირებული აწყურის თეთრი გიორგის სადღესასწაულო წეს-ჩვეულებანი.⁷⁷

გ. გოზალიშვილი აქვე სწორად აყენებს კითხვას: მესხეთის რომელ პუნქტში უნდა ყოფილიყო აგებული ლეკვოთეას ეს ტაძარი და სახელებით მართებულად შენიშნავს: ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ტაძრის ადგილმდებარეობის დადგენას, მაშინ ძველი მესხეთის პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის რიგ საკითხებს ახალი შუქი მოეფინებოდა.

4. ლეკვოთეა-თეთროსნის ტაძრის სამლოცველო ღვთაების ვინაობისათვის

სტრაბონს მესხეთის ლეკვოთეას ტაძარი ბერძნულთან ანალოგიურ ღვთაება ლეკვოთეას სახელზე აგებულად მიაჩნია, მაგრამ როგორც ეს მართებულადაა შენიშნული, უდავოა, რომ იგი ადგილობრივი ღვთაების სახელზე იყო აგებული.

სტრაბონი არ კმაყოფილდება ლეკვოთეას (თეთროსანი) ტაძრის არსებული მდგომარეობის დახასიათებით და მას ისტორიულად განიხილავს; მიუთითებს მის ადრინდელ აღზევებულ მდგომარეობასა და სიმდიდრეზე, რაც, ბუნებრივია, ასევე ქვეყნის ოდინდელ სიმდიდრესა და სიმდიდრეზე მეტყველებს. ამ თვალსაზრისით სტრაბონის ამ სამსახო ქვეყნის პოლიტიკურმა დაცემა-დაქვეითებამ, განაპირობა მისი სამლოცველო ტაძრის ნივთიერად გაღარიბება-გაძარცვა, რომ ოდესღაც ეს სიმდიდრით სახელგანთქმული ტაძარი ჯერ „ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“. და აქვე ავტორი თითქოს გულშემბტკივრულად შენიშნავს, რომ ასეა „როდესაც ქვეყანა დაუძლურდება... მაშინ — ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ლეკვოთეას ტაძარი ადგილობრივი კოლხური ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაების სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული, მაგრამ სახელდობრ რომელი, ეს დღემდე გაურკვეველი რჩებოდა.

ამ საკითხზე გადაჭრით პასუხის გაცემას ართულებს ის გარემოე-

⁷⁶ სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 8, 9; გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ. 1962, გვ. 180.

⁷⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბ. 1960, გვ. 51—53.

ბა, რომ კოლხურ-წარმართული პანთეონი დღემდე არაა გამოკვლეული სათანადოდ; სამწუხაროდ არ შემონახულა საამისო ლიტერატურული წყაროები, ასევე დღემდე ნაკლებადაა გამოკვლეული, სხვა ხასიათის ნივთიერ-დოკუმენტური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა.

იმ მასალებს, რომლებიც სადღეისოდ მოძიებულაა და გამოქვეყნებული წინამდებარე ნაშრომში, მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ სტრაბონისეული ლევკოთეას ტაძარი იყო ძველი კოლხეთის ადგილობრივი უმთავრესი ღვთაების სამლოცველო ტაძარი — ჯერ მთვარის კულტისა და მოგვიანებით წმინდა, ანუ თეთრი გიორგის სახელობის, რომელსაც ქართულად ასევე წარმართული სახელი თეთროსანი ეწოდებოდა და თეთროსანის წმინდა გიორგის სახელობის ნასაყდრალის სახით მოაღწია ჩვენამდე კინტრიშის ხეობის სოფ. ხუცუბნის მიდამოებში.

ეს სახელი ტაძრისა — თეთროსანი, სტრაბონმა თარგმნა ქართულიდან ბერძნულად სიტყვასიტყვით, ისევე, როგორც მაგალითად, მან თარგმნა მდ. ცხენისწყალი — ჰიპოსად და ნაცვლად თეთროსნისა. უწოდა ლევკოთეა. გასათვალისწინებელია ამასთანავე ისიც, რომ ლევკოთეას სახელდებაში ავტორმა ასევე ჩააქსოვა რამდენიმე კოლხური ადგილობრივი ღვთაების თეთროსანის სახელის ბერძნულ შესატყვისობაში გააზრება, მაგრამ ვინაიდან ისიც კარგადაა ცნობილი, რომ სხვადასხვა ხალხების ღვთაებების ერთმანეთთან დაახლოება, ან გაიჯვება როგორც წესი, მუდამ გარეგნული იყო და ზოგიერთი ფორმალური ნიშნით ხდებოდა, ამიტომ რაიმე იდენტიფიკაციასა და დამთხვევაზე მსჯელობაც კი შეუძლებელია.

რა სახისა და რა ხასიათის ღვთაებადაა წარმოდგენილი ლევკოთეა ბერძნულ მითოლოგიაში?

ლევკოთეა ბერძნულ მითოლოგიაში საკმაოდ პოპულარულ ღვთაებად იყო აღიარებული და სტრაბონისათვის კარგადაც ცნობილი. კოლხური სინამდვილის გამომხატველ და სულ სხვა საფუძველზე აღმოცენებული ღვთაების სამლოცველო უდიდეს ტაძარს თეთროსანის ბერძნულ ლევკოთეად აღიარებისას სტრაბონი მხოლოდ ენობრივი (და არა შინაარსობრივი) ნიშნით მიუდგა და იგი გადააბერძნულა უბრალოდ, რაც წესად ჭონდათ ბერძენ მწერლებს. მან თარგმნა ბერძნულის შესატყვისის ქართული თეთროსანი ლევკოთეად, რომელსაც ასევე მსგავსად თეთროსნისა თეთრი ღვთაების (ოლონდ ქალღმერთის) გამომხატველი ცნებაა ნაცვლად მთვარისა და თეთრი გიორგისა.

ჩვენ ამ ნაშრომის სათანადო ადგილს აღვნიშნავთ, თუ როგორ ხდება დროთა მსვლელობაში ღვთაებათა გადასვლა მდებარეობიდან, მამრობითში და პირუკუ, ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლევკოთეა ზღვის ღვთაებაა, ბერძნული მითოლოგიური ვერსიით, ბეოტიის მეფის ასული — ინოდ წოდებუ-

ლი. იგი (ინო-ლევკოთეა) მეზღვაურთა მფარველი და მხსნელია პირველყოფლისა და უმთავრესად: მაგრამ მასზე არსებული მითოლოგიური ვერსიებით ისიც ირკვევა, რომ ინოს ღვთაებას ახასიათებს რელიგიურ-ღვთაებრივი ბუნების მრავალფეროვნება; მაგალითად, იგი ძველ ბერძნულ სამყაროში, ასევე ითვლებოდა ნაყოფიერებისა და მოსავლადობის ღვთაებად, მეღვინეობის, მკვდლობა-მელითონეობის, ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველ ღვთაებად და სხვ.; ლევკოთეა-ინო რომ წყლის ღვთაებაა, ეს კარგად ჩანს როგორც ბერძნული რელიგიური წარმოდგენებიდან მომდინარე სახვითი ხელოვნების ძეგლებიდან, ასევე წერილობითი ძეგლებიდანაც⁷⁸. ბერძნული ლიტერატურის უძველეს კლასიკურ ძეგლში, ჰომეროსის დიდებულ „ოდისეაში“ აირველად იხსენიება ლევკოთეა. იგი ზღვის ღმერთადაა აღიარებული და ზღვის ღმერთებთან განუყრელად დაკავშირებული, ლევკოთეა ჩამომავლობით მეფე კადმოსის ასული იყო და ადრე კოკლამაზ ინოდ იწოდებოდა. ლევკოთეა (იგივე ინო) ზღვის ტალღებში დასალუპავად განწირულ გმირს ოდისევსს მხსნელ ღვთაებად ევლინება, იგი გადასცემს ფარაგს და რჩევას აძლევს ოდისევსს—„აჰა, ხელთუქმნელი ფარაგი; მკერდზე მიიკარი და ზღვის ღელვის ნულა შეგეშინდება... ფარაგი მისცა ლევკოთეამ და თოლიასებრ მყისვე ჩაიძირა აქაფებულ ზღვაში“ (იხ. ოდისეა, თავი V).

გასათვალისწინებელია ასეთი ასპექტიც: სტრაბონი, როგორც ვიცით, ლევკოთეას სახელით და მისი უმდიდრესი ტაძრის⁷⁹ აღწერით, კოლხეთის პანთეონის უზენაეს ღვთაებას ეხება და ახასიათებს მას, როგორც წყლის ქვეყნის ღვთაებას, რომელიც ზღვისპირეთელია. ამ თვალსაზრისითაც თეთროსანის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა და ლევკოთეას ღვთაების ბერძნულ-რელიგიურ ბუნებასთან შეხამება და, კერძოდ თეთროსან-ლევკოთეას სახელთა მთარგმნელობითი იდენტური დამთხვევა საკმაო არგუმენტი და ამოსავალიც კი შეიძლება ყოფილიყო სტრაბონისათვის, რათა თეთროსანისათვის ლევკოთეა ეწოდებინა თავის გეოგრაფიაში.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხეთში წყლის კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული ამ მხარის სპეციფიკური გეოგრაფიული პირობების გამო,⁸⁰ ძველ

⁷⁸ ო. ლორთქიფანიძე, ვანის ქალაქი, იხ. „ცისკარი“, 1968, № 7, გვ. 142—143.

⁷⁹ А. Г. Периханян, Храмовые объединения Малой Азии и Армении, 1959.

⁸⁰ თ. მიქელაძე, ფასიანები... მასალები საქართვე. და კავკ. ისტ. თბილისი, 1955, გვ. 32.

კოლხურ მონეტებზე (ძვ. წ. VI—IV სს. კოლხურ თეთრზე) გამოსახულ ქალის სახეს ღვთაებად მიიჩნევენ სირაკუზელი მონეტის არეტუზას მსგავსად (ა. ზოგრაფი, ს. მაკალათია, დ. ლენგი) და მას წყლის ღვთაებად თვლიან. სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ს. მაკალათიამ დღესასწაულ „მესეფობაში“ წყლის ღვთაების კულტის გადმონაშთიუკი შენიშნა. იგი 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე გრძელდებოდა ავტორის აზრით. „მესეფი იყო წყლის დედა და იგი ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა. მესეფი შეიძლება კაციც და ქალიც ყოფილიყო. თუ ნაბღიანი კაცი მესეფობას ზღვიდან გამოვიდოდა, მაშინ იმ წელიწადს წვიმა და ავდარა იქნებოდა. თუ ქალი ლეჩაქიანი გამოვიდოდა, ის წელიწადი ტაროსიანი იქნებოდა.“⁸¹

ხალხის რწმენით გარდა ამისა წყლის დედა — „წყარიში დედა“ სატრფოს მძებნელი თეთრი ქალიშვილია და ვისაც კი მოხიბლავს, იგი უგონოდ ხდება — „გატაცებული წყლის დედის სიყვარულით“.⁸² წარმართული კოლხური თეთროსანის საყდარი რაკი ისტორიულად ზღვისპირეთში იმყოფებოდა, მესეფი „წყარიში დედას“ კულტთან მისი კავშირი ჩვენ არ გვეჩვენება მაინცა და მაინც შეუწყნარებელ მოვლენად.

კოლხეთში წყლის კულტ-ღვთაების გამომხატველად ასევე მიიჩნევენ იგრისის, რომლის სახელიც მდინარე ინგირს უკავშირდება. იგრისი „თავდაპირველად მხოლოდ ადგილობრივი კოლხი დელი ღმერთი იყო და მხოლოდ შემდეგ, ქართული მითოლოგიის მთლიანი დამუშავების შედეგად, საერთო ქართულ პანთეონში შევიდა.“⁸³ ამასთანავე თუ გათვალისწინებული იქნება ის ფაქტიც, რომ ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩნდა ბრინჯაოს სარტყლის მოხატული ფრაგმენტები, რომლებიც საუბუტურად გრეხილ ტალღოვანი ხაზების ჰარმონიულად წარმოსახვით ზღვას უნდა გამოხატავდეს (იხ. ტაბულა XX), მაშინ ჩვენი ეს სავარაუდო არგუმენტაცია დამაჯერებელი და ბევრად უფრო საბუთიერი ხდება. ამრიგად, სტრაბონს ყველა საფუძველი მოეპოვებოდა იმისათვის, რომ თეთროსანი ეთარგმნა ბერძნული შესატყვისის სახელით ლევკოთეად როგორც ენობრივი შესატყვისობის, ასევე ღვთაებათა დანიშნულების თვალსაზრისითაც, რომელიც თითქო უახლოვდება ლევკოთეას ტაძრის ფუნქცია-დანიშნულებებს, რომელიც ზღვისა და წყლის სტიქიონთანაა დაკავშირებული.

წარმართულ საყდარს თეთროსანს (ლევკოთეას), თავისი ქურუმთა

⁸¹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 331—332.

⁸² იქვე, გვ. 337.

⁸³ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ. 1956, გვ. 68—69.

კ-სტა უნდა ყოლოდა, რომელსაც ასევე გარკვეული უფლებები და გავლენა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ქურუმები დიდი სატაძრო თემების მეთაურებად, სატაძრო მამულებისა და მონების (ჰიეროდულების) ფაქტიურ გამგებლებად გვევლინებიან.

წარმართულ საქართველოში სატაძრო მამულების შესახებ, რომელიც სამეფო და სხვათა შემოწირულების გზით ძლიერდებოდა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ სტრაბონის აღწერით მესხების ქვეყანაში არსებულ ლევეკოთას და იბერიის მახლობლად მდებარე ალბანელთა მთვარის ღვთაების ტაძრების მიხედვით.

იბერიის აღმოსავლეთით მდებარეობდა ალბანური ტაძარი მთვარის ღვთაების სამლოცველოს სახით, რომლის უაღრესად საყურადღებო აღწერა სტრაბონთანაა დაცული. ამ ქვეყნის მკვიდრნი ავტორის ცნობით „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, უპირატესად მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად“.⁸⁴ ქურუმი უწარჩინებულესი კაცია მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდი და კარგად დასახლებული, და (ეს პირი განაგებს) მიწასაც და ტაძრის. მონებსაც (ჰიეროდულებს), რომელთაგან ზოგი შთაგონებულნია და წინასწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მართო დაეხეტება ტყეებში, დააჰყვას ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდ ჰკვებავს. შემდეგ მიიყვანენ მას ქალღმერთის სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებით დაზელილს, სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად მხვერპლად შესწირავენ. მსხვერპლშეწირვას ასეთი სახე აქვს; ერთს უპირავს წმინდა შუბი, რომლითაც

⁸⁴ ს ტ რ ა ბ ო ნ ი ალბანელების მთვარის ღვთაებას. ისე როგორც მისი მეზობელი ბერძენებისას, შეცდომით ქალღმერთად მიიჩნევდა. იგივე შეცდომა მოსდის სტრაბონს კოლხეთის მიმართ, როცა იგი თეთროსანს ლევეკოთად, — მასთის ახლობელ ბერძნული ქალღმერთის ღვთაებად ასახელებს.

ბერძენ-რომაელი მწერლები კოლხეთისა და ასევე იბერიის აღწერისას მათსავე ღვთაებებს ადგილობრივი სახელით კი არ იხსენიებენ, არამედ თვითფულს, ამა თუ იმ კულტის მიმსგავსების შესაბამისად აკლავებდნენ შესატყვისი ბერძნული ღმერთების სახელებს, მაგალითად: მზისას — აპოლონს უწოდებდნენ (ბრძოლისას — არესს, ტყისა და ნადირისას — არტემიდეს), ამიტომ ჩვენ ამ წყაროების საფუძველზე არ ვიცით, თუ რა ადგილობრივი სახელის მატარებელი ღვთაებები არსებობდა კოლხეთში ძველად, რომლებსაც მხოლოდ ბერძნული შესატყვისებით იხსენიებენ წყაროები. კერძოდ, ძველ კოლხეთში მთვარის და მისი ორეული მზის კულტი და ამ კულტმსახურების ტაძარი არსებობდა. ამას ადასტურებს ყუბანის ოლქში აღმოჩენილი ვერცხლის ფილა, რომელზედაც ბერძნულად აწერია: „შე ვარ (ვეყუთვი) აპოლონ წინამძღოლს, რომელიც ფაზისშია.“ ფილა ძვ. წ. V საუკუნარიდებდა. (იხ. Извест. Археологическ. комисии, вып. 1, 1901 გვ. 99-100).

წესია ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ის გამოდის ხალხიდან, არ-
ტყამს გვერდიდან გულში, ისე, რომ ამ საქმეში გამოუცდელი არ არის.
როდესაც დაეცემა (მსხვერპლი) აღიზნება მისობა დაცემის მიხედ-
ვით და საზოგადოდ ცხადდება; ხოლო გვამი მიაქვთ რომელიმე ად-
გილას და მოდიან ყველანი და ეხებიან ფეხით განაწმენდელად“ (XI,
4, 7).

ივ. ჭავჭავაძის ალბანეთის მოსაზღვრე კახეთის თეთრი გიორ-
გის სახელობის ტაძრის, განთქმული თეთრი გიორგის რელიგიური
რიტუალი ხალხურ დღესასწაულში შენიშნა და მეცნიერულად გამოი-
კვლია არსებითად იგივე, რაც სტრაბონს აღწერილი აქვს 20 საუკუნის
წინათ ალბანური მთვარის ღვთაების სამლოცველოს მიმართ. მანვე
დაასაბუთა, რომ მთვარის ღვთაება ძველ ქართულ წარმართულ პან-
თეონში ითვლებოდა უმთავრეს ღვთაებად და მთვარის კულტთან და-
კავშირებული ბევრი წეს-ჩვეულებანი შემორჩა ქრისტიანობასაც კი:
მთვარის ღვთაებიდან გარდამავალ მთელ რიგ კულტ-ღვთაებებში
და პირველყოფლისა წმინდა გიორგის კულტ-ღვთაებაში. სა-
მეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის
შესახებ, რომ სტრაბონის მიერ აღწერილი ალბანეთის ტაძრის მიდა-
მოთა „დიდი და კარგად დასახლებულა“ ადგილები, იგივე ალაზნის-
პირეთი უნდა იყოს, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეში, შიდა კახე-
თის სახით, ქართლის ანუ იბერიის სამეფოში მოექცა. ამიტომ თავის-
თავად ცხადია, რომ ძველი ე. წ. ალბანური მთვარის ღვთაების კულტ-
მსახურების ის წესები, რაც ასეთი გულისხმიერებით აქვს აღწერილი
სტრაბონს და თითქმის „შეუცვლელადაა შემონახული კახეთის აწყურის
თეთრი გიორგობის სადღესასწაულო წეს-ჩვეულებებში, საეცებით
ღამაჭერებელი და ნათელი ხდება“.

თუ იბერიაში სტრაბონის მიერ აღწერილი ე. წ. ალბანეთის მთვარის
ღვთაება მოქმედებდა კოლხთა ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც მოსს-
ების ქვეყნისაგან იქნა მიმძღაერებული, მოქმედებდა დიდი სატაძრო
ერთეული ასევე მთვარისა და მოგვიანებით წმინდა გიორგის სახელო-
ბის თეთროსანის საყდარი, რომელიც სტრაბონმა ბერძნულად ლევკო-
თეად თარგმნა და, მთვარის ალბანური ტაძრის მსგავსად, შეცდომით,
ბერძნული ტრადიციის შესაბამისად, ქალ-ღვთაებად აღიარა.

სამწუხაროდ, სტრაბონი ლევკოთეას ტაძრის აღწერისას არ იჩენს
ისეთივე გულუხვობას, როგორც ალბანური ტაძრის აღწერისას იგრძ-
ნობა. ჩვენს განკარგულებაში არაა კონკრეტული მასალა, რომელიც
წარმოდგენას მოგვცემდა ლევკოთეას ტაძრის კულტმსახურების. სა-
ტაძრო მეურნეობას ბუნებისა და მისი ხასიათის შესახებ. ამიტომ
აპრიორული მსჯელობა ლევკოთეას სატაძრო მეურნეობაზე იმ მასა-

ლებზე დაყრდნობით, რომელიც შემონახულია მცირე აზიისა, კასპიისა და სომხეთის სატაძრო გაერთიანებათა შესახებ, ჩვენის აზრით, ნაკლებად ასახავენ კოლხეთის სინამდვილეს,—ანუ ლევკოთა—თეთროსანის სატაძრო გაერთიანების და მეურნეობის ნამდვილ ბუნებას.⁶⁵

სტრაბონის ცნობები მოითხოვენ კრატეულ დამოკიდებულებას. მაგ. საეკვოა სტრაბონის ცნობა, რომ იბერიაში ქურუმები „მეფის შემდეგ მეორე პირს წარმოადგენდნენ“. როგორც ამას თითქო ადგილი ჰქონდა მეზობელ ალბანეთში. ასევე არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ისინი (ქურუმები) მართავდნენ სამეფოს საგარეო ურთიერთობის საქმეებს.⁶⁶ ქართული სახელმწიფოებრიობა თეოკრატიულ პრინციპზე არასოდეს არ უნდა ყოფილიყო აგებული და კულტის მსახურთა, კერძოდ ქურუმთა გავლენა, საფიქრებელია, სტრაბონის დროს მაინც სამეფოს შიგნით და ისიც უმთავრესად მთიან რაიონებში შემონახულ საგვარეულო ან სასოფლო ტერიტორიულ სათემო კოლექტივებზე ვრცელდებოდა. მეზობელ თემებთან ურთიერთობაში, ბუნებრივია, ყოველი თემი საკუთარ ინტერესებს იცავს და ამ საქმეში ქურუმებს, ხევისბერებს და ხუცებს, ირკვევა, დიდი ფუნქციები ეკისრებოდათ, რომელთა ხელშიაც თავმოყრილი იყო როგორც სამღვთო, ასევე საერო ხელისუფლება.⁶⁷ ამდენად სტრაბონის დროს ქართული სამეფოს წყობილების სინამდვილეში შეინიშნება ადგილობრივი (ლოკალური, მთიანური) თეოკრატიული მმართველობის მხოლოდ გადმონაშთები. კლასობრივი დიფერენცირების პროცესს, ბუნებრივია, თან ახლდა საგვარეულო და სასოფლო თემების დაშლა. სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა განხორციელებუ-

⁶⁵ ჩვენში მაგ. მკვლევართა ერთ ჯგუფს ა. გ. პერხიანიანის, ა. სანოვიჩისა და სხვა ავტორთა გამოკვლევებზე დაყრდნობით, ამგვარი აპრიორი რამდენადმე დასაშვებად მიაჩნიათ (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1970, გვ. 587—591).

⁶⁶ А. И. Болтунова, ВДИ, 1947 № 2, 1550, ნ. ბერძენიშვილი „მომომხილველი“ 111, 1953, გვ. 294.

⁶⁷ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, გვ. 31-36. სტრაბონი ივერიის სამეფოში ოთხი გვარიდან პირველის შემდეგ (რომლიდანაც მეფეებს სვამდნენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს. მეორედ კი ამავე გვარიდან დასახელებული მოსამართლეები და მხედართუფროსები) მეორე გვარად ასახელებს ქურუმებს, „რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე“. მესამე გვარად ასახელებს „მხედართა და მიწათმოქმედთა“ ფენას, ხოლო მეოთხე გვარი არის ხალხი, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. ვინაიდან მაშინდელი როგორც კოლხეთის, ასევე იბერიის სამეფოებში მოსახლეობის უმრავლესობას სასოფლო თემის თავისუფალი პირები შეადგენდნენ, ამიტომ ეს სამეფოები ადრე მონათმფლობელური ტიპის საშენებლო უფრო უნდა იყოს თავისი ხასიათით.

ლიყო სატაძრო მეურნეობის გამოყოფა-განკერძობა სასოფლო-სააღეშო მეურნეობისაგან, რაც ბარის საქართველოში ადრე მომხდარი ფაქტია.

ამ გზით იქმნებოდა და ყალიბდებოდა დიდი სატაძრო მეურნეობები, რომელთა მართვა-გამგეობის საქმე ტაძრის განკარგულებაში — ქურუმთა კასტის კომპეტენციაში იყო. სტრაბონის ცნობით, ძვ. წ. I ს. იბერიის სამეფოს ზოგ ადგილას და, კერძოდ, კოლხთა ქვეყანაში ლევკოთეას (თეთროსანი) მდიდარი ტაძრის სახით უკვე არსებობდა ასეთი მძლავრა სატაძრო მამულები, სადაც ფართოდ გამოიყენებოდა სატაძრო (საღვთო) მონებთან, ე. წ. „პიეროდულებთან“ ერთად სამიწათმოქმედო მეთემის უკვე „ლაოდ“ ქცეული ფენების შრომა (XI, 2, 17). ისე, რომ აქ სატაძრო მამულების მაგალითზე მკვეთრად ვლინდება როგორც მონათმფლობელური, ასევე თავისუფალ მეთემეთა დამონება-დაყმევების წინაფეოდალური ექსპლოატაციას ფორმათა თანაარსებობა, რომელიც ამ ტაძართა და მის მსახურთა გამდიდრებას ემსახურებოდა.

როცა სტრაბონი ლევკოთეა-თეთროსანის ტაძრის გაძარცვა-დაკნინებაზე იუწყება, ბუნებრივია, ამაში ავტორია არა მხოლოდ ტაძარში დაცულ განძეულობათა მიტაცებას გულისხმობს, არამედ, პირველ ყოვლისა, ლევკოთეას სატაძრო მეურნეობის მოშლასა და იმ მხარის დარბევა-აოხრებას, რომელიც ტაძარს ეკუთვნოდა.

სტრაბონის მიხედვით, ალბანეთში მთვარის ტაძართან არსებობდა ქურუმთა კასტა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და იდეურ ცხოვრებაში.⁸⁸ ქურუმთა განკარგულებაში იმყოფებოდა წარმართული ტაძრები და მათი მეურნეობა, სატაძრო მამულები, მონები, და ტაძრის სხვა მსახურები.

ქურუმები რელიგიურ კულტმსახურებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფო ხელისუფლების მართვა-გამგეობის საქმეში. ცნობილია, რომ ქრისტიანობა შუასაუკუნეების მთელ მანძილზე ცდილობდა წარმართობის ამ ტრადიციის გაგრძელებას ე. წ. ცეზარეპაპიზმის სახით. ანალოგიურ ცდებს ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეშიც.⁸⁹

სტრაბონის ცნობით, ქურუმების კომპეტენციაში შედიოდა სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის საკითხები. ქურუმთა კასტის ამგვარ-

⁸⁸ სტრაბონი, გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის რედ. XI, XII.

⁸⁹ С. Н. Какбадзе, Из социалы:о-экономических вопросов средневековой Грузии, см. Известия Кавказского историко-археологического института, т. V, 1927.

რი გველენა ალბანეთის სახელმწიფოს ბუნებრივია, ერთგვარ თეოკრატიულ ხასიათს აძლევდა.⁹⁰

ქურუმთა კასტა, გარდა აღნიშნულისა ერთგვარად სამეურნეო ფუნქციასაც ასრულებდა მთვარის ფაზებისა და კალენდარის ასტროლოგიურად შესწავლით, იმ მიზნით, რომ მიწათმოქმედთათვის ზუსტად განესაზღვრათ სამუშაოთა ვადები და გამხდარიყვნენ მათ ხელმძღვანელ ძალად.

კ. მარქსის შენიშვნით, „იმ აუცილებლობამ, რომ უნდა გამოეანგარიშნათ ნილოსის წყალდიდობის პერიოდები, შექმნა ეგვიპტური ასტრონომია და ამასთანავე მოგვცა ქურუმთა კასტის, როგორც მიწისმოქმედების ხელმძღვანელის ბატონობა“. ამრიგად ქურუმების სამეურნეო ფუნქცია, მათი როლი მიწათმოქმედებისა და მასთან დაკავშირებულ დარგთა განვითარებისათვის გარკვეულა მნიშვნელობის მქონე იყო.

სტრაბონის ცნობით, მთვარის სამლოცველო ტაძარი ქურუმთა სათანადო კასტის შემადგენლობით არა მხოლოდ ალბანეთსა და იბერიაში ყოფილა, არამედ მესხების ქვეყანაშიაც — ლევკოთეას (თეთროსანის) ძველთაგანვე სიმდიდრით სახელგანთქმული ტაძრის სახით. სტრაბონისავე უწყებით, მესხების ქვეყანა იმ დროს სამ ნაწილად ყოფილა დანაწილებული — იბერიას, კოლხეთსა და არმენიას შორის. აკად. ს. ჯანაშიას მართებული შენიშვნით რაკი სტრაბონის ეს ცნობა მოთავსებულია კოლხეთის აღწერაში, ეს ტაძარიც საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიის შემადგენლობაში და თვით კოლხეთის კუთვნილებაში უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, კოლხეთშიაც ტაძრებს გარკვეული მდგომარეობისათვის მიუღწევიათ, მათ ხელში დიდძალ ქონებას და განაწილ მოუყრია თავი, მაგრამ ამ ტაძართა ქონება, ალბათ, მარტო განძით არ გამოიხატებოდა — ისინი აქაც დიდა მამულის მფლობელებიც და კარგად გამართული მეურნეობის პატრონი უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ამას მართებულად შენიშნავს ს. ჯანაშია.⁹¹

სტრაბონი წერს: „მოსხების ქვეყანაში არის ლევკოთეას ტაძარი, რომელიც ააგო ფრიქსემ... თუ როგორ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, გვიჩვენებს მითები, რომელნიც მოგვითხრობენ იაზონას ლაშქრობაზე⁹². თავისთავად ცხადია, რომ აქ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაზეა მსჯელობა.

⁹⁰ Ямпольский, Древняя Албания III — I вв до н. э., Баку 1964.

⁹¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 153—154.

⁹² სტრაბონი, გეოგრაფია, XI, თ. 11, § 17—18. აკად. ს. ჯანაშიამ არგონავტთა იაზონი გაიგივა ქართულ ისტორიულ წყაროებში კარგად ცნობილ აზოსთან — არიან ქართველთა მეფის შეილთან, რომელიც მცხეთის სამეფოს დამპარსებლად აღიარებული.

არაა გამორიცხული. რომ წარმართული საყდარი ლეგოთე (თეაროსანი. და სხვა ტაძრები) და სახელმწიფო ხელისუფლება კოლხეთში, ერთობლივი ძალით მოქმედებდნენ თავიანთი ბატონობის განმტკიცებისათვის.⁸³ თუ სამეფო ხელისუფლება ერთის მხრით დესპოტური ღონისძიებებით იბრძოდა ქვეყნის ერთიანობის დროშით საერთო მფლობელობის ქვეშ გაერთიანებისათვის, იგივე ღონისძიებები განამტკიცებდა ასევე, ღვთაებათა ერთიანი პანთეონის შემუშავებას, რითაც აღწევდნენ ტაძრის მესვეურ ქურუმთა მისწრაფებას ხალხზე საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად; ამიტომ უქმნიან ქურუმები მეფეებს აპოთეოზს ღვთაებრიობის შარავანდედის სახით. ამდენად ერთდერობა. მთვარის კულტის გაბატონება მოსახლეობის დიდ უმრავლესობაზე და ერთმეფობა, რამდენადაც კი ამის განხორციელება ხერხდებოდა, იყო პროგრესული მნიშვნელობის დიდი მოვლენა ძველი კოლხეთის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელიც სელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალთა დაწინაურებას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოდ — და ეს ჩვენ დასამუშავებლად მიგვაჩნია კოლხეთის სამეფოშიაც, — სახელმწიფო და სასაყდრო-საეკლესიო გადასახადები თავდაპირველად არ ყოფილა გამიჯნული ურთიერთისაგან და ორივენი, მეფე და კულტის მსახური წმინდა მამები გაერთიანებული ძალებით, ღმერთის სახელით ეწეოდნენ უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატირებას.

კიდევ მეტი, ძველ ქვეყნებში თავიანთი განვითარების ადრეულ საფეხურზე ძნელად განასხვავებდნენ სახელმწიფო და საღვთო საღაროს და მათი ფულადი, თუ სხვა სახის განძ-სიმდიდრე ერთადაც კი ინახებოდა.⁸⁴

ძველი ბერძნებისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფო საღარო

⁸³ ქართველ ტომებში უხსოვარი დროიდან, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციით, კულტ-ღვთაებათა და მათ უწარჩინებულეს მსახურთა არჩეულობის პრინციპის არსებობაა დადასტურებული. ეს გარემოება კი იმაზე უნდა მტკიცებულდეს, რომ ასეთ პირობებში საქართველოს ამ მხარეში მყარი საფუძველი არ უნდა ჰქონოდა კულტისმსახურთა თეოკრიტულ მტკიცედ (მემკვიდრეობა) ჩამოყალიბებული კასტის არსებობას.

ჩვენის აზრით, კოლხურ წარმართულ სამყაროში ამ მხრივ ერთგვარად განსხვავებულ მდგომარეობასთან უნდა გვეჩინდეს საქმე (იქნებოდა ეს ეგვიპტის, ან სხვა მეზობელ ქვეყნების გავლენით, თუ ისტორიულად ადგილობრივი ტრადიციით შემუშავებული. მაგრამ ლეგოთეა — თეაროსანის საყდრის სტრაბონისეული აღწერა განსხვავებით აღბანეთის ტაძრის კულტისმსახურთა კასტურ ორგანიზაციასა და ქვეყნის სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში მონაწილეობისაგან, ისტორიულად კოლხური სინამდვილის გამომხატველად მაინც ძნელად შეიძლება მივიჩნიოთ.

⁸⁴ П. Гензель, Очерки по истории финиансов, вып. I Древний мир М., 1913.

ზევრად უფრო უცხო და ნაკლებად პოპულარული იყო, როგორც ცალკე ინსტიტუტი. ვიდრე ლკთიურ-სასაყდრო სალარო-საგანძურთა ინსტიტუტი. საყდრებს „ღვთისაგან დაწესებული“ შემოსავლის უამრავი არსები გააჩნდათ, მათ შორის ნაღვლის 10%-იც. ამიტომ იქ დიდძალი ჯონება იყრიდა თავს და ძველთაგანვე სწორედ საყდრები, როგორც წმინდა საღვთო, ხელშეუხებელი და საიმედო ადგილი საქვეყნო სიმდიდრის თავმოყრისა და მისი დაცვის უზრუნველსაყოფ ადგილად ითვლებოდა.

საზოგადოებრივი განვითარების ამ ადრეულ საფეხურზევე, როცა სახელმწიფოებრიობის ფუნქციის ზრდასთან ერთად გადასახადები იძულებითი ხასიათისა ხდება და მუდმივად, წლიდან-წლობით გამეორებულ სახელმწიფოთა ხარჯების დაფარვის საშუალებად იქცევა, ასეთ პირობებში გარკვეული მოსაზრებით, ამ სახსრების აკრეფისას სახელმწიფო და სასაყდრო გადასახადებს შეგნებულადაც არ ანსხვავებდნენ და არსებითად კი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ. სახელმწიფოს დამოუკიდებელი მოქმედება გადასახადის აკრეფისას ღვთის მსახურთაგან მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე უძნელდებოდა და ხშირად არც კი შეეძლო. მაგ. ბიბლიაში შემონახულია (მართალია ყრუდ) ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე დავითი, ხოლო უმეტესად სოლომონი (2 მეფეთა, 24, 1; 2, მეფეთა 3, 6) როცა გაზრდილ გადასახადთა აკრეფას შეუდგა, ხალხში არეულობას უჩენია თავი (3 მეფეთა, 12, 18) და როცა საქმეში ღვთის მსახურნი ჩარეულან და ამ გადასახადისათვის საღვთო-სასაყდრო ხასიათი მიუციათ, ხალხი დაწყნარებულა და ვადასახადიც უმტკივნეულოდ აუკრეფიათ.

მოტანილი მაგალითი, ვფიქრობ კარგად ადასტურებს ისტორიულ სინამდვილეს იმის შესახებ, რომ მეფეები და ქურუმები, როგორც გაბატონებული კლასის უზენაესი წარმომადგენლები, გაერთიანებული ძალით და ღმერთის სახელით მოქმედებდნენ ღრმადმორწმუნე, სიბნეულეში მყოფ ქვეშევრდომი ხალხების დამონებისა და ძარცვისათვის. ეს მაგალითები იმაზეც ნათლად მეტყველებენ თუ რა გზით და რა საშუალებებით იყვნენ ძველ დროში ტაძრები უამრავ განძთა და დოვლიათა მფლობელი. ყოველივე აქ აღნიშნული ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კოლხთა ქვეყანაში სტრაბონისეული სიმდიდრით სახელგანთქმულ ლევკოთა-თეთროსანის გამდიდრების ისტორიულ პირობებზეც, ამ ტაძრის მესვეურ ქურუმთა და კოლხეთის სამეფო ხელისუფლების სავარაუდო ერთობლივ მოქმედებაზეც.

მონარქებს და ქურუმებს, კ. მარქსის მითითებით, ამასთანავე სამოქალაქო და სამხედრო ხარჯების გასტუმრების შემდეგ კიდევ რჩებოდათ საარსებო საშუალებათა გარდამეტი, რომელსაც ისინი მშვენიერ

და სასარგებლო შენობების ასაგებად იყენებდნენ... მათ საშუალება ჰქონდათ იმ მძლავრი მონუმენტების ასაგებად კოლოსალური ძეგლების და უზარმაზარი მასების დასაძრავად, რომელთა ტრანსპორტი განკვიფრებას იწვევს, რაზეც თითქმის მარტო ადამიანის შრომა იფლანგებოდა. ამისთვის საჭირო იყო მუშების სიმრავლე და მათი ღონისძიებათა კონცენტრაცია.

ძველ კოლხეთში, როგორც აღინიშნა, თეთროსანის და სხვა საკულტო ადგილების უძველესი სატაძრო ძლიერი მეურნეობა ქურუმთა და სამეფო ხელისუფლების ერთობლივ მოქმედებათა შედეგი შეიძლება იყოს, როცა სახელმწიფო და სასაყდრო-სალეთო გადასახადები ჯერ კიდევ არ იყო გამიჯნული ურთიერთისაგან; ეს მდგომარეობა სტრაბონის დროს შეცვლილია. ამიტომ ლევკოთეას (იგივე თეთროსნის) საყდრის გადარიბება, ჩვენი აზრით ასევე შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ საყდრის მძარცველთა მოქმედებით, როგორც ამას სტრაბონი აღნიშნავს, არამედ კოლხეთის სახელმწიფო და სასაყდრო საგადასახადო პოლიტიკაში არსებითი მნიშვნელობის ცვლილებათა მოხდენითაც.

ამ ცვლილებათა საფუძველი არა მხოლოდ რომის ექსპანსიასა და უცხო დამპყრობთა მოძალეებაშია დასაძებნი, არამედ კოლხეთის სინამდვილეში წარმართული რელიგიის გავლენის ერთგვარად შერყევასა. ქურუმთა კასტის დაკნინებასა და სამეფო ხელისუფლების გავლენის გაძლიერებაშიც შეიძლება დავინახოთ⁹⁵.

⁹⁵ მაგ. თითქმის დამკვიდრებულია მოსაზრება მასზე, რომ გილგამეში იყო ისტორიული პიროვნება, ქურუმი და სამხედრო ბელადი ურუქისა, ჩვენს ვერსიას 2800—2700 წლით ადრე მცხოვრები. ამას ადასტურებს სუმერული დამწერლობის ძეგლები ძვ. წ. II ათასი წ. წინანდელი, სადაც იხსენიება გილგამეშის ნაგებობა. ირკვევა, გილგამეში ადრე იქცა ლეთიურ გმირად, მის წარმომადგენლად და გილგამეშის შესახებ შეიქმნა მრავალრიცხოვანი ლეგენდები. (იხ. Эпос о Гильгамеше, перевод с акадского И. М. Дьяконова М. — 1. 1951, г. 130).

ქართული (კოლხური) წარმართობის ისტორიიდან

თავი VII. ქართული (კოლხური) წარმართობისა და
თმთროსნის ტაძრის ისტორიის საკითხები

1. განვითარების ძირითადი ისტორიული პირობები კოლითაიზმიდან უროთაიზმზე გადასვლისათვის კოლხურ-იპსიკულ გარემოში

მარქსიზმის კლასიკოსები არა ერთხელ მიუთითებენ იმ ყალბ წარმოდგენებზე. რაც საფუძველია წარმართობის, საერთოდ რელიგიისა და რომელსაც მხოლოდ უარყოფითად ეკონომიური საფუძველი უდევს. იგი აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს, განვითარებას. წინსვლას. ამის შესახებ ფ. ენგელსი, 1890 წ. 27 ოქტომბერს კ. შმიდტს წერდა:

„სხადასხვა ბრუნდ წარმოდგენას ბუნებაზე, თვით ადამიანის აგებულიებაზე, სულეებზე, ბნელ ძალებზე და სხვ. უმეტესად მხოლოდ უარყოფითად ეკონომიური საფუძველი უდევს. ისტორიის წინაღობინდელი ხანის დაბალ ეკონომიურ განვითარებას თან ახლდა თავის დაშატებად, ხშირად თავის პირობად და მიზეზად—ყალბი წარმოდგენა ბუნებაზე... მეცნიერება და ისტორია ამ უაზრობის თანდათანური გაქრობის ან მისი უფრო ახალი, მაგრამ მაინც შეუსაბამობის შეცვლის ისტორიაა“¹. განვითარების დაბალ დონეზე მდგარ ადამიანისათვის მისი პრიმიტიული ცხოვრების პრაქტიკასთან დაკავშირებული ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების ახსნა, ანთროპომორფიზმით ხასიათდება, სდება ადამიანური თვისებების მიწერა-გადატანა გარე სამყაროზე—ცხოველურ, მცენარეულ და ბუნებრივ მოვლენებზე, რაც მრავალმერთიანობისათვის დამახასიათებელ კულტდვთაებებში ვლინდება. ვაჟა-ფშაველა შენიშნავდა ამ ფაქტს შემონახულს ქართველ მთიელთ ყოფაში და აღნიშნავდა, რომ საერთოდ აღიარებულ ღვთაებათა გვერდით თვითეულ თემს თავისი საკუთარი, მის მფარველად მიჩნეული ღვთაებაც კი ჰყავსო. ანთროპომორფიზმი ამ ღვთაებათა

¹ ფ. ენგელსი, ანტიდიუჩინგი, გვ. 210.

დამახასიათებელია. რასაც ვერ კიდევ ღველი ბერძენი ფილოსოფოსები შენიშნავენ (არისტოტელე, ქსენოფონტი, ძვ. წ. IV ს. და სხვ.). მაგ. არისტოტელეს აზრით: «Человек творит внешний вид. и жизненные отношения своих богов по своему собственному подобию» (იხ. Аристотель, «Политика» I, 7). ადამიანებმა შექმნეს თავიანთთვის ღმერთები თავიანთი თავის მსგავსნი, და, ხარებს რომ შესძლებოდათ შეექმნათ თავიანთთვის ღმერთები, ისინი გამოსახავდნენ მათ ხარის სახით. ეინაიდან „რელიგიური ქვეყანა რეალური ქვეყნის ანარეკლია“², ამიტომ ღმერთები ადამიანის ფანტაზიის მიერაა შექმნილი.

ცხოველთა ეპოსს და ცხოველურ ტოტემს, ფანტასტიურ-ჯადოსნურ ამბებს, როგორც ამას არქეოლოგიურ ნივთებზე (სარტყლები, ბალთები, ლარნაკები, ვაზები, ცულები, სარწყულები და სხვ.) მოცემული ნადირობისა და სხვა საყოფაცხოვრებო სცენების ამსახველი გამონახულებები ადასტურებს, ჩვენი წინაპრების შეგნებასა და რელიგიურ წარმოდგენებში მათ დიდი ადგილი უნდა სჭეროდა. ეს გარემოება იმაზეც მიუთითებს, რომ მონადირეობა და მესაქონლეობა მათ ცხოვრებაში თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებდა.

ანიმიზმი სულის კულტია, ღვთაებამდე ამოდლებული — სიზმრის, აწლობელთა სიკვდილ-სიკოცხლის — სულის განტევეებისა და სულის მარადიულ. ღვთიურ ძალად წარმოდგენა. ანიმიზმი ამასთანავე არის პირველი ცდა ბუნების მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის გამონატვის ადამიანის ცნობიერებით. ბუნების მოვლენებს ის ხსნის მითების საშუალებით, რაც აკმაყოფილებს მაშინდელი ადამიანის ცნობიერებას, მაგრამ ოდნავადაც ვერ აბატონებს მას ბუნებაზე. ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე სულის კულტიდან, ანუ ანიმიზმიდან ხდება გადასვლა წინაპართა განდიდებაზე.

ცივილიზებული ადამიანებისაგან განსხვავებით განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარი ადამიანი მართალია უშუალოდ განიცდიდა გარესამყაროს, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების ამ ადრეულ საფეხურზე ადამიანთა განკარგულებაში არაა გარესამყაროს შეცნობისა და მისი მოვლენების მიზეზობრივი ახსნის, მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის დანახვა-შეფასების საშუალებანი; მისი შესაძლებლობა, გამოცდილება და პრაქტიკა შეზღუდულია, ერთფეროვანი და ერთი და იმავე ვარიანტით გადაეცემა ტრადიციით თაობებს; ასეთ პირობებში მოვლენებზე მცდარი და ფანტასტიკური წარმოდგენები მკვიდრდებიან და ტრადიციად რჩებიან. ისინი ხშირად რელიგიური რწმენის ხასიათს ღებულობენ და ყოველგვარი კრიტიკისა და კრი-

² კ. მარქსი, კაპიტლი, I. 1930, ქართული გამოც., გვ. 45.

ტიკული განსჯის გარეშე დგანან. თვით იდეაც კრიტიკისა საზოგადოებაში მეტად გვიან ჩნდება და პრაქტიკაში კი უფრო გვიან მკვიდრდება. თავისთავად განსჯისა და კრიტიკის ეს ელემენტი დიდი იმპულსი ხდება საზოგადოებრივი განვითარებისა.

დავიდ იუმი პირველი იყო, რომელმაც თავის ნაშრომში «Исследование о человеческом уме» შენიშნა და დაასაბუთა კიდევ დებულება იმის შესახებ, რომ აზროვნების თავისუფლება არ შეიძლება იყოს ზღვარდაუღებელი, რომ მას შემოფარგლავს და განსაზღვრავს თვით შესაცნობი მასალა რამდენადაც ადამიანს მისი შეცნობისა და აღქმისათვის ხელი მიუწვდება და საამისოდ მოეპოვება პრაქტიკა და გამოცდილება. იუმი თავისი ამ ფილოსოფიური ამოსავალი დებულების საფუძველზე თავისსავე გამოკვლევაში რომელიც სპეციალურად რელიგიის ისტორიისადმი მიძღვნილი «Естественной истории религии» მორიგ ახალ დასკვნამდე მიდის და სამართლიანად მიუთითებს, რომ თავისი ღმერთების შესახებ ადამიანი ფიქრობს და თვითონვე ჰქმნის მათ ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე თავისი სახის შესაბამისად და ანხორციელებს მასში არსებითად თავისსავე არსებას.

ამრიგად, დავიდ იუმი აზროვნების ისტორიული განვითარების აღიარებით რელიგიასაც ასევე ისტორიული განვითარების პროცესში განიხილავს, იუმმა, შეიძლება ითქვას, მეცნიერულად პირველად სცადა დაესაბუთებინა, რომ რელიგიურ წარმოდგენებს ბუნების ძალებზე უფრო მეტად განვითარების გარკვეულ შემდგომ საფეხურზე სოციალური ძალები და მოვლენები ასაზრდოებენ.

მაგრამ ისტორიული განვითარების გარკვეულ (უფრო მაღალ) საფეხურზე ადამიანის რელიგიურ წარმოდგენათა განმსაზღვრელად გვევლინება არა ის „წარმოდგენანი“, რომელთაც ბუნების ძალები ახდენენ მასზე, არამედ პირველ რიგში თვით საზოგადოებრივი ცხოვრება და მისგან მიღებული შთაბეჭდილებანი.

ჰეგელის იდეალისტური კონცეფციით „ფილოსოფიას და რელიგიას ერთი და იგივე საგანი აქვთ. ორივეს საგანი ჰეგმარიტებაა და, სახელდობრ, ჰეგმარიტება უმაღლესი აზრით, იმ აზრით, რომ ეს ჰეგმარიტება ღმერთია და ღმერთია მხოლოდ ერთადერთი ჰეგმარიტება“.³

ჰეგელი მიმართავდა ღვთისმსახურთ და წერდა: „თუ გსურთ, რელიგიის პრაქტიკა კვლავ გაიფურჩქნოს, მაშინ იზრუნეთ იმისათვის, რომ ზის გონიერ თეორიას კვლავ მივადწიოთ და ნუ გაუწმენდთ თქვენს მოწინააღმდეგეებს (ათეისტებს) თქვენივე ბრძოლის ასპარეზს იმ უგუნური და ღვთისმგმობელი მტკიცებით: რომ ფიქრიც არ შეიძლება რელიგიის

³ ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, ნაწ. I, ლოგიკის მეცნიერება, მ. პაპუაშვილის თარგმანი, თბ., 1962, გვ. 42.

ამგვარ თეორიაზე, როგორც შეუძლებელ რამეზე, რომ რელიგია უბრალო გულის საქმეა...“⁴ ჰეგელისათვის ჰეშმარიტების შემეცნებაა ერთადერთი, რომლისაკენაც იგი მიისწრაფვის, მაგრამ მისი აზრით, „შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს ჰეშმარიტების საკმარისი, თვით საკმარისზე მეტიც, წმინდა თუ ბუნდოვანი სახეები რელიგიებსა და მითოლოგიებში... შეიძლება სიხარული განიცადოს ადამიანმა იმითაც, რომ ამ სახეებში იღუა აღმოაჩინოს და მისგან კმაყოფილება მიიღოს.“⁵ კიდევ მეტი. ჰეგელისათვის „რელიგია ცნობიერების ისეთი ფორმაა, რომელშიც ჰეშმარიტება ყველა ადამიანისათვის, ყოველგვარი განათლების ადამიანისათვის, გასაგებია,“⁶ ჰეგელის აზრით, „აზროვნება განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან და რელიგიის უნარის მქონედ ხდის“⁷ ჰეგელმა, ამრიგად, რელიგიის ფილოსოფიური დასაბუთება სცადა, ამით იგი ებრძვის იმათ, ვისი აზრითაც „ფილოსოფია და რელიგია ერთმანეთს გამორიცხავენ, ანდა ისე გათიშული არიან ერთმანეთისაგან, რომ მხოლოდ გარეგნულად უკავშირდებიან ერთმანეთს“. ჰეგელის რწმენით, „რელიგიას დიხაბაც შეუძლია უფილოსოფიოდ, მაგრამ ფილოსოფიას ურელიგიოდ ყოფნა არ შეუძლია, და ამ უკანასკნელს, პირიქით, თავის თავში შეიცავს.“⁸

ლუდვიგ ფოიერბახმა, სპეციალურად სწავლობდა რა რელიგიის არსს და მის ისტორიას, დიდად გაუსწრო წინამორბედებს და არსებითად მაინც ჰეგელს დაეყრდნო, ხოლო მარქსიზმამდე ამაღლება ვერ შეძლო. იგი ფიქრობდა, რომ „ღმერთების პიროვნებაში ადამიანი ზეიმობს თავისი საკუთარი პიროვნების ზებუნებრივობას, უკვდავებას, დამოუკიდებლობას, შეუზღუდელობას“⁹. რა თქმა უნდა, ეს დებულება მართებულია, მას იზიარებს მარქსიზმიც. ფოიერბახი ასევე სწორი იყო, როცა მიუთითებდა, რომ „ბუნება რელიგიის პირველი საქებაო საგანია, როგორც ამას საფსებით ადასტურებს ყველა რელიგიისა და ხალხების ისტორია“¹⁰. ყოველივე ეს სწორია, მაგრამ ფოიერბახს, მიუხედავად ამისა, თვით რელიგიის არსი აუხსნელი და დაუსაბუთებელი რჩება.

მარქსიზმის კლასიკოსებმა ჰეგელის ფილოსოფიური, არსებითად რევოლუციური სისტემის მანკიერ მხარედ რელიგიაზე მისი მცდარი, ხუცური შეხედულებანი მიიჩნიეს. რიგ სხვა მომენტთან ერთად. ფ. ენ-

⁴ ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, ნაწ. I, ლოგიკის მეცნიერება, მ. პაპუაშვილის თარგმანი, თბ., 1962 გვ. 23.

⁵ იქვე, გვ. 26.

⁶ იქვე, გვ. 19—20.

⁷ იქვე, გვ. 21.

⁸ იქვე, გვ. 20.

⁹ А. Фейербах. Сущность христианства, соч., т. II, гв. 37.

¹⁰ იქვე, გვ. 369.

გელსი ფოიერბახის შეხედულებებთან ანგარიშგასწორებისას მიუთითებდა რომ „უზენაესი არსებანი, რომლებიც ჩვენმა რელიგიურმა ფანტაზიამ შექმნა, ჩვენი საკუთარი არსების ფანტასტიკური გამონაკრთობები არიან“¹¹. მარქსიზმის კლასიკოსებმა არა მარტო გააჩვიეს რელიგიის არსი და ჩამოაყალიბეს მთლიანი კრიტიკულ-რევოლუციური შესეძლებლანი რელიგიის საკითხებზე, არამედ მათვე გვიჩვენეს ის ისტორიული პირობები და სოციალურ-ეკონომიური გარემო, როცა ადამიანი განთავისუფლდება მცდარი რელიგიური წარმოდგენებისაგან. მარქსიზმის ფუძემდებლებმა გენიალურად განსჭვრიტეს ეს და აღნიშნეს, რომ „რელიგიური ქვეყანა რეალური ქვეყნის ანარეკლია მხოლოდ... რეალური ქვეყნის რელიგიური წარმოდგენა მხოლოდ მაშინ გაქრება, როდესაც ადამიანთა ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების პირობები როგორც ერთმანეთთან, ისე ბუნებასთან ურთიერთობა — მათ აშკარა და გონივრული სახით წარმოუდგება“¹².

ქართველ ტომებში ახალი მონოთეისტური რელიგიის, ქრისტიანობის გავრცელებას წინ უძღოდა მთელა რიგი პოლითეისტური ღვთაებების არსებობა, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი მნათობთა კულტს და მოგვიანებით წმინდა გიორგის ღვთაებას ეკრა, მაგრამ ამ უმთავრეს ღვთაებათა გარდა ცალკეულ ტომებში, (უმთავრესად მთაში) არსებობდა წინაქრისტიანული მთელი რიგი სატომო გარდამავალი ღვთაებებისა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ თავისთავადობას და თვით, ქრისტიანობის ბატონობის პირობებშიაც კი რამდენადმე მოქმედ საკულტო ინსტიტუტებად რჩებოდნენ.

ივ. ჭავჭავაძის ასევე აღნიშნავდა, რომ ყოველ ტომს გარდა საერთო ღვთაებისა, თავისი საკუთარი ღვთაება უნდა ჰყოლოდა. მან წარმართული მთვარის ღვთაებიდან ქრისტიანობაზე გარდამავალ, შუალედ, ღვთაებათაგან წმინდა გიორგისა და ზოგიერთ სხვა სახის ანალოგიურ შუალედ ღვთაებებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც წინ უძღოდა, ან განაგრძობდა არსებობას ცალკეულ ქართველ ტომებში ქრისტიანობასთან ერთად მცენარეულ, ან ცხოველურ ტოტემურ-არსებათა ღვთაებად მიჩნევის სახით; ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება ივ. ჭავჭავაძის მოწაფეთაგან მეტად ნაყოფიერად ქართველმა არქეოლოგებმა, ეთნოგრაფებმა და ფოლკლორისტებმა გასწიეს. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ საკითხებზე შევჩერდებით ხეცუბნის არქეოლოგიურ ძეგლებსა და ნასაყდრალ თეთროსანთან დაკავშირებით.

ტოტემიზმი — რელიგიის ფორმაა, იგი ახასიათებს საგვარეულო წყობილებას. მისი საფუძველია ამა თუ იმ გვარის კავშირის რწმენა და

¹¹ ფ. ენ გელსი, დ. ფოიერბახი, გვ. 15—16.

¹² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 46.

წარმოდგენა რომელიმე მცენარის, ცხოველის, ან ბუნების მოვლენისა ტოტემთან. ტოტემიზმის გადმონაშთები ფართოდ შემორჩა მომდევნო ეპოქების რელიგიას — ბერძნულ-რომაულ და ქართულ მითოლოგიას. ტოტემიზმის დამახასიათებელია ანთროპომორფიზმი. ყოველივე ეს კი რელიგიის ადრინდელი საფეხური იყო და ისტორიულად პოლითეიზმის განვითარების მკვიდრ ნიადაგს წარმოადგენდა.

ტოტემისტური კავშირები — ესაა სისხლით ნათესაობაზე დამყარებული ჯგუფები ადამიანებისა, რომლებიც ჩვეულებრივად იწოდებდნენ ამა თუ იმ ცხოველური ან მცენარეული ტოტემის სახელს. ეს გაერთიანება ერთმანეთს შორის სქესობრივ კავშირს მკაცრად კრძალავდა. ამის საფუძველზე ყალიბდებოდა (ხდებოდა ჯოგის გარდაქმნა) მკვიდრო ეგზოგამური, სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც საცოლეს და საქმროს მეზობელ კავშირებში ექებები.

ადამიანთა ტოტემურ გაერთიანებათა კავშირების ზოომორფულ ღმერთებიდან, ან წინაპართა კულტ-სულებისაგან შემდგომი განვითარება ბუნების კულტის დამკვიდრებით ხასიათდება; ისტორიულად ამ უკანასკნელს წინ უძღოდა და მასთან ერთად ეს ზედნაშენური პროცესი ხორციელდებოდა მიწათმოქმედებისა და სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების საფუძველზე. ტოტემურ ღვთაებათა ადვილს (თანდათანობით და არაერთბაშად) ბუნების კულტი იკავებს, რომელთაგან ზეცა, — ციური მნათობნი, — მზე და მთვარე თავიანთი გადამწყვეტი მნიშვნელობით სიცოცხლისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისანი ხდებიან, — სავდრებელ ღვთაებად იქცევიან საზოგადოდ და კერძოდ ქართველ ტომთათვისაც.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის წარმოდგენაში სამყარო ვიწრო და შეზღუდული ადვილი და გარემოა, სადაც მას და მის გარემომცველ არსებებს უხდებათ ცხოვრება და არსებობა. მისთვის ბუნება ესაა საოცრად ზღვარდებული მისივე თვალსაწიერი, რომელიც მოწყვეტილადაა გააზრებული და არა მთლიანობაში რეალურ სამყაროსთან, როგორც იგი სინამდვილეში არსებობს. მაშინდელ ადამიანს ასევე არა აქვს წარმოდგენა როგორც ბუნების, ასევე საკუთარი თავის განვითარების ისტორიაზე, რომელიც მრავალ ათასწლოვან დროში მას თანდათანობით, მაგრამ მეტისმეტად და ნელა უვითარდება. ასევე განვითარების საკმაოდ მაღალი საფეხური იყო საჭირო, რომ იგი ბუნების გაღმერთებისა და კულტის აღიარებამდე მისულიყო. და თავი დაეღწია (მეტ-ნაკლებად მაინც) შეზღუდულ ტოტემურ ზოომორფულ კულტ-ღვთაებათა თაყვანისცემისაგან.

ტოტემური ეს კულტ-ღვთაებანი, რასაკვირველია ბუნების — მნათ-

ობთა კულტის დამკვიდრებით არ ქრებიან, ისინი საოცარ გამძლეობას და სიმბიოზურ შემგუებლობას ამჟღავნებენ იქამდე, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც კი გადმონაშთ-ფერისცვალობათა სახით შემორჩა.

პოლითეიზმისათვის დამახასიათებელი რელიგიურ შეხედულებათა განვითარების დაბალ საფეხურს საფუძვლად ანიმისტური და ტოტემისტური ცრუ რწმენა უდევს, აქ ყოველი არსება გასულდგმულებულია, რომელთაგან ზოგი ფეტიშადაა ქცეული, მაგიური ძალის მქონედ მიჩნეული და კულტად აღიარებული. მცენარეულ და ცხოველურ სამყაროზე ადამიანური თვისებების განვრცობით და გარემოს დამახასიათებელი ტყის, ველის, გამოქვამულის ხეობის თუ მდინარეთადმი თავისი პაქუთარი გამგებლის, ანუ ადგილის დედის მიჩენით მთელი იერარქია იქმნებოდა პირველყოფილ ამგვარ ღვთაებათა პანთეონისა, რომლითაც შებოჭილია მაშინდელი ადამიანი. პოლითეისტურ მითოლოგიურ ღვთაებათაგან ქართველ ტომებში უპირველესი ადგილი კოსმიურ ღვთაებებს — მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს განეკუთვნებოდა, რაც საფუძველი გახდა მნათობთა კულტის მტკიცედ დამკვიდრებისა.

ციური მნათობნი, თავისი ცხოველყოფილობით მიაჩნიათ რა სიცოცხლის წყაროდ და ქვეყნის ნათელმომფენად, ადამიანური თვისებების მქონე ღმერთ-კაცებად ჰყავთ წარმოდგენილი, რომელთაც შვილები. და-ძმა, დედ-მამა და სხვა ახლობელნიც ჰყავთ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მზისა და მთვარის ახლო ურთიერთობაზე — და-ძმობაზე — ქართულ ფოლკლორში შემონახული მემკვიდრეობა; ქართული ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის სათანადო მასალები და სპეციალური გამოკვლევები. ამ ფაქტის დამადასტურებელია, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა და აქ არ შევჩერდებით.

„მოქცევა 2 ქართლისა“ -ს ამგვარი კერპმსახურების შესახებ საყურადღებო ცნობები შემოუნახავს. სადაც ვკითხულობთ: „და ვიხილეთ ერი უცხო უცხოთა ღმერთთა მსახური, ცეცხლისა და ქვათა და ძელთა თავყანისს სცემდეს“¹³, ასევე „რომელნიმე ცასა და სხვანი მზესა და რომელნიმე მთვარესა, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე ფრინველთა და რომელნიმე ქვეყანას და მხეტთა და ნადირთა და ხეთა“¹⁴. პოლითეიზმის საფეხურზე მდგარ ქართველ ტომებში გავრცელებულ ღვთაებათა იერარქიაში პირველი ადგილი მორიგე ღვთაებას ეჭირა, რომელიც წესსა და რიგს აწესებს ამ ქვეყნიერებისა.¹⁵ ასევე მეტად საპატიონია ისეთი ღვთაებანი, როგორცაა: კოპალა, იახსარი, დალი, ლა-

¹³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები. I. 1964, გვ. 120—125.

¹⁴ ქართლის ცხოვრება „მარიაშ დედოფლის ნუსხა“, გვ. 107

¹⁵ ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია I, 1928, გვ. 56.

შარი და სხვა დარგობრივი ღვთაებანი, რომლებიც ურთიერთისაგან სქესითაც განსხვავდებიან. მაგ., დალი ქალღმერთია, რომელიც ქართული ტომების დედამთავრული წყობის საფეხურს შეესატყვისებოდა.

ქართული, ისე როგორც სხვა ძველი ქვეყნების ხალხთა რელიგიური და მითოლოგიური აზროვნება. მათი საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების წინსვლის პროცესის შესაბამისად პოლითეიზმიდან მონოთეიზმის გზით ვითარდებოდა. საოჯახო, საგვარეულო, თუ სათემო წვრილი კულტღვთაებანი თანდათან მცირდებიან; სოციალური და ეკონომიური ურთიერთობის ზრდისა და საზოგადოებრივი კონსოლიდაციის გაღრმავებასთან ერთად; პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების უნიფიცირების პარალელურად ხდება პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლა.

პოლითეისტური, ისე როგორც მონოთეისტური რელიგია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური განვითარების გარკვეული დონის გამომხატველია. პოლითეიზმი პირველყოფილი-თემური, უკლასო საზოგადოების დამახასიათებელია, ხოლო მონოთეიზმი კლასობრივ საზოგადოებას შეესატყვისება; ამიტომ როგორც პირველი, ისე მეორე ადამიანთა საზოგადოების რეალურ-ისტორიული განვითარების პროცესის ზედნაშენური მოვლენაა, რომელიც გენეტიკურად ორ ძირითად საწყისს — ბუნებასა და საზოგადოებას ემყარება.

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის პირველ საფეხურზე თუ რელიგიური წარმოდგენების კომპლექსი ძირითადად ბუნების ძალებით განისაზღვრებოდა, ბევრად მოგვიანებით, ბუნების ძალებთან ერთად, ამ წარმოდგენების მაფორმირებელ ძალად ვვევლინება საზოგადოებრივი ძალები ანუ სოციალური ფაქტორები, რომლებსაც ადამიანთა ეკონომიური და სამეურნეო წყობა განსაზღვრავს. დაახლოებით ეს პერიოდი კი იწყება პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე, ანუ ქრისტიანობასა და ისლამზე გარდამავალი პერიოდიდან. ამიერიდან ბუნების ძალებთან ერთად ამ სფეროში მოქმედ ძალად ვვევლინება საზოგადოებრივი ძალები და ღვთაების სახე წარმოგვიდგება ბუნებისა და ადამიანთა ფანტასტიკურ პერსონიფიცირებულ ძალად.¹⁶

რელიგიური რწმენა, მისი გამომხატველი კულტ-ღვთაებები ნაირსახეობითურთ, უმარტივესი დღესასწაულებითა და რიტუალურ-მაგიურ წეს-ჩვეულებათა პრიმიტიული ფორმებით, პირველყოფილი საზოგადოების პოლითეიზმის გარკვეული დონის დამახასიათებელი მოვლენაა.

„ყველა უძველესი რელიგია იყო პირველყოფილი სატომო რელიგია, ხოლო უფრო გვიან ეროვნული რელიგია, რომელიც თვითეული

¹⁶ Г. Куинов, Возникновение религии и веры в бога, М., 1923.

ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობებიდან იყო აღმოცენებული და მჭიდროდ იყო მასთან შეზრდილი“.¹⁷

მას შემდეგ, რაც დაიშალა პირველყოფილი თემური საზოგადოება, აღმოცენდა კლასობრივი საზოგადოება და მისი ბატონობის ორგანო—სახელმწიფო, პირველყოფილი რელიგიური კულტ-ღვთაებანი თანდათანობით ქრებოდა.

მაგალითად, „ხალხთა პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებებთან ერთად რომის იმპერიამ დასაღუპად გასწირა აგრეთვე მათი განსაკუთრებული რელიგიები“.¹⁸

ქრისტიანობამ წარმართული პოლითეიზმის უამრავ ღვთაებებს დაუპირისპირა მონოთეისტური რელიგიის ახალი ღვთაება და „...უამრავი იუდაური ღმერთი შესცვალა შინაგანად დიფერენცირებული, მისტიკური სამპიროვანი ღვთაებით, ხალხთა მასებში ძველი ღმერთების კულტის აღმოფხვრა კი მხოლოდ წმინდანთა კულტის საშუალებით შესძლო“. მაგრამ საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქრისტიანობამ ამ გამარჯვებას მიაღწია მის წინამორბედ რელიგიათა ტრადიციების არა ხელაღებით უკუგდების გზით, არამედ საუკუნეთა მანძილზე ბევრი მათგანის შემონახვით, მათი გადამუშავება-ტრანსფორმირებისა და შეგუების გზით შესძლეს საკუთარ წმინდანთა კულტისა და მათი დღესასწაულების ახალი სისტემის შექმნა-დამკვიდრება. მაგ. ცნობილია, რომ თვით რომში ქრისტეს შობის დღესასწაული პირველად 354 წელს აღნიშნეს ნაცვლად მიტრას „შობის“ დღესასწაულისა, რომელიც ყოველწლიურად ეწყობოდა. ასევე პელეპონესსა, მაინსა და არკადიაში, — ენგელსის შენიშვნით, —იუპიტერის კულტის სავსებით გაქრობის პროცესმა დაახლოებით IX საუკუნემდე გასტანა.

რით იყო გამოწვეული ასეთი კომპრომისი ქრისტიანობისა პოლითეისტური ტრადიციების წინაშე, რომელიც თითქოს და დრომოკმულად ითვლებოდა? წარმართულ რელიგიას ხალხის ფართო ფენებში დიდი ხნის მანძილზე შემორჩა მორწმუნე მიმდევრები, რომელთათვისაც ქრისტიანობას არ შეეძლო არ გაეწია ანგარიში. ასეთ პირობებში ქრისტიანობას „იმისათვის, რომ რელიგიად გამხდარიყო, მონოთეიზმს იმთავითვე უნდა დაეთმო პოლითეიზმისადმი“.¹⁹

სოციალურ-ეკონომიურ, ისტორიულ განვითარებას ქართველ ტომებში, ისე როგორც სხვაგან, თან ახლდა მათი კონსოლიდაციის პროცესის გაღრმავება დაწყებული გვაროვნული ერთობიდან ვიდრე მისი ერთად (ნაციად) ჩამოყალიბებამდე. ისტორიული განვითარების ეს უაღ-

¹⁷ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, თბ., 1955, გვ. 12.

¹⁸ ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1958, გვ. 35.

¹⁹ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1955, გვ. 55.

რესად ხანგრძლივი პროცესი, თავისი შესატყვისი ისტორიული ეპოქებით. ეტაპებითა და საფეხურებით. ასევე მათი ღვთაებათა შესაბამისი რელიგიური შეხედულებებით ხასიათდებიან. ძველ ღვთაებათა შეცვლა ახლით წარმართებოდა პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ მიმავალი მაგისტრალური გზით, რომელიც გააფთრებული და სისხლიანი. ფანატიკური, ზოგჯერ საუკუნოებრივი ბრძოლით ხორციელდებოდა. სწორედ ამ გზით წარმოიშვა ნაციონალური და ინტერნაციონალური მონოთეისტური ღმერთები²⁰.

²⁰ Г. Кунов. Возникновение религии и веры в бога. Москва-Петербург, 1923, гл. 85.

ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის, საბერძნეთისა და ასევე ქართველ ტომთა შორის აღრე არსებული სხვადასხვა სახის ზომორჩული კულტ-ღვთაებანი სხვა არაფერია, თუ არა უძველეს ტოტემურ გაერთიანებათა მიერ ამა თუ იმ ცხოველის, ან მცენარის ღვთაებად აღიარებისა და მათდამი თაყვანისცემის ისტორიული ფაქტები. მსგავს მოვლენებს ჩვენ ვხვდებით, სხვა ხალხებშიაც, მაგ.

«С особенной ясностью эти тотемистические черты выступают в древне-египетской религии. В долине Нила у каждой областной и местной общины был свой бог-покровитель и даже более: эти боги считались предками и подчитались в образе животных. Так напр., Собак в Омбосе — в виде крокодила, Анубис сенский — шакала, Хнуму (Хиему) элефантский — барана, Гор в Эдфу — ястреба. Гапи в Мемфисе — быка и т. д. Точно так же и древних племенных и родовых богинь мыслили в образе животных: напр., Гатор анутская представлялась в виде коровы. Баст в Бустабисе — кошки, Уазит в Буто — змеи, Нехет Элькаб — Коршуна, Апет в Фивах — бегемота. Конечно, только в древнейшее время этих богов представляли вполне в виде животных, на позднейших изображениях они по большей части представлены в образе людей с головами животных, а на новейших изображениях обычно исчезает и голова животного: только украшение головы рогами быка, коровы или барана, головой или перьями птицы напоминает о прежних представлениях божества в виде животного. — Или же прежнее тотемистическое животное ставят около божества, изображаемого в виде человека: здесь животное является просто как бы символом и гербом божества.

Даже у древних греков, о которых всякий словарь-справочник сообщает, будто их религия представляла не что иное, как чистый идеализированный культ природы, мы на каждом шагу наталкиваемся на воззрения, соответствующие культу душ и предков. Напомним здесь еще раз описание Анда в одиннадцатой песне «Одиссеи».

Правда, в этом культе предков сохранились лишь немногие следы тотемизма. Конечно в древне-греческих мифах боги нередко превращаются в животных и в этом виде совершают свои великие деяния. О прежнем культе тотемистических животных напоминает только то воззрение, что известные животные являются священными символами отдельных богов: так, напр., орел считался священным животным Зевса, павлин — священным животным Герм,

2. წინაპრისტიანული კულტ-ლეთაგანი ქართველ ტომებში კინტორის ხომლის ზოგიერთ ისტორიულ ძეგლთან მიმართებაში

ა. ხის კულტი და სამლოცველო წმინდა ხეები—სოფ. მუხა-ესტატი, (ჰყონდიდისა და ცაცხვის წმინდა გიორგის მსგავსად).

საქართველოში ხის კულტაგან მუხას, როგორც განსაკუთრებული თვისებების მქონე, გამძლე და ამტან მცენარეს, დიდი ადგილი განეკუთვნებოდა. ამის ანარეკლი კარგად შემოუნახავს ძველ ქართულ ტოპონიმებს. აქ, რომ არაფერი ვთქვათ ძველთაძველ მუხის საკულტო ტყეებზე, ჰყონდიდზე და დიდ მუხებზე, უურადლებას იპყრობს კინტორის ხეობაში ადრე დაცული თეთროსნის საკულტო მუხის ტყე და ტოპონიმი სოფ. მუხა-ესტატი, და სოფ. კონდიდი, რომელიც სოფ. რკონის მსგავსად მუხისაგან არის წარმოებული. ანალოგიურ მოვლენებს სხვა ქვეყნებშიაც ვხვდებით; მაგ., ჰომეროსის ეპოქაში ბერძნულ მითოლოგიაში, ისე როგორც კოლხურში ირკვევა, რომ არსებობდა წარმოდგენა ადამიანის საკულტო ხე-მცენარედ განსახიერებისა და დაბადება-გაჩენის შესახებ. ოდისევსის თავგადასავალში ვხვდებით ადგილს, სადაც პენელოპე ეკითხება თავის მეუღლეს, რომელიც მალულად, გადაცმული, შედის სახლში: „დაუფარავად მითხარი, ვინა ხარ შენ? ალბად ძველთაგან ნაქები მუხისაგან არ იქნები წარმოშობილი“ (ოდისეა, XIX, 162—163); აქ საქმე მუხის კულტთან გვაქვს და რწმენასთან, რომ ადამიანი მცენარის ჩამომავალია.

ქართულ ფოლკლორში, ისე როგორც ტოპონიმებსა და ზოგჯერ წერილობით ძეგლებშიაც საკმაოდაა დაცული ხე-მცენარეთა თაყვანისცემის უძველესი ელემენტები, რომელთაგან მუხას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ლაშარობის დღესასწაულს (მკათათვეში) „გალავანში ხევისბერები უჩვენებენ ადგილს, სადაც „ბერმუხა“ მდგარა შეერთებული ცასთან ოქროს შიბით. მუხა მოუჭრევიანებია ზურაბ ერისთავს, რომელსაც ხალხი სულძაღლობით იხსენიებს; დღესაც დიდი ტანჯვა-წვალება უნახავს იმისგან მთის ხალხს, რადგან ამ მუხის მემწეობით იყო, რომ ლაშარის საყდრის ბერი — გიორგი ზეცაში ღვთაებას ჯაჭვის კიბით უკავშირდებოდა მლოცველთა სათხოვარის

лошадь — священным животным Посейдона и т. д. Такое развитие тотемистического животного в животное-символ можно проследить у древних культурных народов не только Востока, но отчасти и центральной Америки. (См. Г. Кунов, Возникновение религии и веры в бога. гл. 55, 56-58).

საუწყებლად. მაგრამ ჭაჭვის კიბემდე იგი აღწევდა გორაზე მდგარ ბერ მუხაზე აღმავალ კიბის მეშვეობით,—„გორაზე მდგა ბერმუხა, ზედ ავდიორი კიბითა!“²¹

ქართულ ფოლკლორში კარგადაა დაცული მასალები, რომელთა მიხედვითაც არსებობს ციური კიბე და ცაზე ამავალი პერსონაჟები, ისინი ზეცას უკავშირდებიან ასევე ოქროს ჭაჭვის, ან ცხოველის — მაგ., ხარის ან ირმის უმავალითოდ დიდი რქების მეშვეობით. მუხა გამძლეობისა და დიდი ამტანობის, უკვდავების სიმბოლოა, ასწლოვან ისტორიულ ნაგებობებს ხშირად შეშორჩენია მუხის ძელები. ქართულ პოეზიასა და რელიგიურ წარმართულ შეხედულებებში სათანადოდ აისახა ეს ფაქტი — შეიქმნა „მუმლი მუხასა“ და მუხის კულტი.²²

დასავლეთ საქართველოში ასევე ფართოდაა ხის და კერძოდ მუხის კულტის გადმონაშთები, როგორც ეს კარგადაა ცნობილი. ჩვენს ყურადღებას იპყრობს კინტრიშის ხეობაში დაცული სოფ. მუხა-ესტატი, როგორც საილუსტრაციო უძველესი ტოპონიმიკური მასალა აქ აღნიშნულია.



ლოცვა, ვედრება ყოველგვარ რელიგიურ რიტუალთა ერთი ძირითადი ელემენტთაგანია, რომლითაც მორწმუნე ღვთაებას მიმართავდა თხოვნით სიკეთის მინიჭებისა და ბოროტების ასაცილებლად. ლოცულობდნენ მალახმეირად, გასაგონად და ასევე თავისთვის — სახალხო კრებისა და ომის წინ, სასამართლოს ან გადაცურვის წინ და ა. შ.; ლოცვისას იხსენიებდნენ ღვთაებათა შესაწირს და სხვ., ლოცვას დიდ მაგიურ მნიშვნელობას და ძალას ანიჭებდნენ და წამდათ, რომ ლოცვა ღმერთს ესმოდა და შესაწირიც ღმერთამდე მიალწევდა, მას მოიმადლიერებდა.

სამლოცველო, ანუ კულტის ადგილსამყოფელად მიჩენილი და მისდაში სავედრებელი ადგილი ადრე გამოქვაბულებში, საკულტო ხესა და ხეივნებში ქონდათ მოწყობილი, მას შემორაგავდნენ და შესვლას კრძალავდნენ, აკრავდნენ გამაფრთხილებელ წარწერებს. თანდათან შიგნით აგებდნენ სამლოცველო ნაგებობებს საკულტო საგნებისა და ქონების შესანახად. ქრისტიანულმა ეკლესიამ — ასეთი ადგილები

²¹ ხალხური სიტყვიერება, III მ. ჩიქოვანი რედ. 1953, წ.

²² იე. ჭაჭაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია I, 1928, გვ. 86—89, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 401—409. მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.

ანგელოზთა და წმინდანთა სამყოფად გამოაცხადა და არა მხოლოდ მლოცველთა; ამიტომ აგებდნენ ყველაზე საუკეთესო ნაგებობას ადრე ხისას, შემდეგ ქვის ნაგებობის სახით. აქ ინახავდნენ ძვირფას საგნებს, სალაროს, არქივს, საბუთებს და მას საგანგებო პირები იცავდნენ. ქონდათ დიდი სიმდიდრე და ეწეოდნენ სახელმწიფო საქმეებში. საყდრის ეზოში ძესულ დამნაშავეებს კანონით არ სდევნიდნენ, მაგრამ არც კვებავდნენ. ამიტომ ასეთი პირი იძულებული ხდებოდა გასულიყო საყდრის მიდამოდან და ბუნებრივია ხელში უვარდებოდა მჭებნელ-მღევართ.

სტრაბონის ცნობით, ალბანეთის სინამდვილეში მთვარის ტაძრის მიდამოები გარშემო ხელუხლებელი დიდი ხეებით ყოფილა დაბურული. ასეთივე ხეები ილ. ზარაფიშვილის ცნობით, რომელსაც იმოწმებს აკად. ივ. ჭავჭავაძე, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ყოფილა დაცული აწყურის თეთრი გიორგის (და ასევე სხვა წმინდანთა) სახელობის უკვე მიტოვებული საყდრების ირგვლივ, ამ ხეთა მოჭრა დღესაც კი ცოფვდაა მიჩნეული ხალხის რწმენით.

რადღეს ცნობით ხევსურეთში წმინდა: გიორგის ხატს საკუთარი ტყე, ე. წ. ჭვარის ტყე, მიწა და საკუთარი მამული ჰქონდა,²³ სტრაბონი ხომ გარკვევით მიუთითებდა, რომ „მთვარის ტაძარი... დიდსა და მკიდროდ დასახლებულს ხატის მამულს“ ფლობდაო.

ეთნოგრაფ ვ. ბარდაველიძეს თავის გამოკვლევებში არა ერთი დამადასტურებელი საბუთი და ხალხში დაცული გადმოცემა აქვს მოტანილი სატაძრო და საკულტო ხეების, ტყეებისა და მამულების არსებობის შესახებ ძველ საქართველოში. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე თეთროსანის მიმართ სოფ. ხუცუბნის მკვიდრთა გადმოცემათა საფუძველზე და დასტურდება, რომ საკუთრივ თეთროსანის სატაძრო ხეივანთა ტერიტორია 30 ჰექტარს აღწევდა. თეთროსანის აღმოსავლეთით მცხოვრებ ოსმან ესელიძის გადმოცემით თეთროსანის ტყეებს საგანგებოდ უვლიდნენ. ეს ტყე მუდამ გაწმენდილი და გასუფთავებული იყო, მორთული დასასვენებელი ადგილებით, წყაროებით, ბილიკებით და სხვა. მასში ხეს ვერავინ მოჭრიდა. გზა მიდიოდა თეთროსანის ღელის პირად და გადასასვლელ ბრტყელ ქვას „თეთროსანის პლაკე“ (გასასვლელი) ეწოდებოდა. ხოლო თეთროსანის ადგილებში წყაროებს ეწოდებოდა „თეთროსანის საცივები“. ამრიგად ირკვევა, რომ 1921 წ. მიწის რეფორმამდე და ცოტა ხანს ამის შემდეგაც ესელიძე ისე უვლიდა თეთროსანის ტყეს, როგორც წმინდა საკულტო და სამღვთო ადგილს. ხუცუბნის-თეთროსანის ტყის შესახებ

²³ Г. Радде, Хевсурия и хевсуры. Записки Кавказского отделения русского географического общества. зз. 203.

დაცული გადმოცემები გვაფიქრებინებს, რომ თეთროსნის სატაძრო მფლობელობის ამ გადმონაშთში შეიძლება ასევე თავშეფარებულ იყოს ტყისა და ხის კულტი, რომელიც წარმართულ საქართველოში აღრიდანვე არსებობდა.²⁴

ხის კულტი საქართველოსა და მეზობელ ხალხებში რომ ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული, ამას წერილობითი წყაროებიც ადასტურებს. პროკოფი კესარიელის ცნობით, აფხაზ-აფშილები თავყვანს ცემდნენ ტყეებსა და ხეებს, რომლებიც მათ ღვთაებებად მიაჩნდათ. წმინდა ნინოს ცხოვრება გვაუწყებს, რომ „სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა (წმ. ნინომ) ვრი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რამეთუ თავყვანის-ცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქუასა და ქელთა“.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მის მთიან რაიონებში ხისა და ტყის კულტი გვიანობამდე შემორჩა. მაგ., სვანეთში კალის საზოგადოებაში დაცული იყო ცად-აწვდილი ხეებით დაფარული ადგილები, როგორც წმინდა და სათაყვანებელი. ამ ადგილებიდან სვანის რწმენით, ნაფოტის გამოტანაც კი ღვთის რისხვის გამომწვევია.²⁵

ასევე იყო ფშავსა და ხევსურეთში, სამლოცველო ხატების გარშემო მდებარე ტყეები სახატო იყო.²⁶ ხალხის რწმენით, კახეთში აწყურის წმინდა გიორგის და ალავერდის ეკლესიების ადგილზე ძველად წმინდა ტყეები ყოფილა გაშენებული. ასევე ითქმის მცხეთის სანახებზედაც. ბაქრაძის ცნობით, ზემო აჭარაში, ის ადგილები, სადაც ძველად ეკლესიები მდგარა, დღეს წმინდა ტყეებითაა დაფარული, რომელთა სელის ხლებას ვერაფერ ბედავს.²⁷ აფხაზეთში, ავაზაკი, რომელიც თავს წმინდა ტყეს შეაფარებდა, არ ისჯებოდა, ეს ხალხს ადათად ჰქონდა მიღებული.²⁸

გორის მაზრაში რკონის ღვთისმშობლის ეკლესიასთან დგას წმინდა ხე ცაცხვი, სადაც ასვენია ქვა-ხატი (სურ. 8), მასზე ამოქანდაკებულია წმ. ცაცხვის ხე, ამ ქვა-ხის ორივე გვერდზე ამოკრილია წარწერა მხედრული ასოებით, სადაც მარცხნივ იკითხება: „ცაცხვის წმინდა გიორგის სახე“, მარჯვნივ კი ამოქანდაკებულია ადამიანის ფიგურა მახვილით სელში წარწერით: „ღედა ღვთისმშობლის ხატი“.

ქვა-ხატს ასევე აქვს წარწერა, სადაც დასახელებულია საზღვრები ცაცხვის წმ. გიორგის ტყის შეუვალობისა, — საფიქრებელია რკონის

²⁴ ქართლის ცხოვრება, მარი ბროსის რედაქციით, 1849, გვ. 78.

²⁵ ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, 1925, გვ. 134.


²⁶ ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 49.

²⁷ Д. Бакрадзе. Краткий очерк Гурии, Чуруксу и Аджарии.

ИКОФГО, т. II, гв. 905.

²⁸ О положении Абхазии в религиозном отношении, «Кавказ», 1868, № 51.

ღვთისმშობლის ეკლესიის მამულისა. ცაცხვი და მისი მახლობელი ტყე, ხალხის მიერ მიჩნეულია წმინდა ტყედ. მოსული ძლოცველები რკონის ეკლესიას მეორე სალოცავად თვლიდნენ, ხოლო „მთავარი მამა-პაპეული კი ცაცხვიაო“.²⁹



3. „ცაცხვის წმინდა გიორგის სახე“ და „სახე ღვთისმშობლისა“, სოფ. რკონის ქვა-ხატზე გამოსახული.

რკონის ქვა-ხატის შესწავლასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მდიდარი მასალის საფუძველზე გამოირკვა, რომ ხის კულტან ჩვენში ყველაზე მეტად დაკავშირებულია წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის სახელები. ეს ფაქტი ფშავის ხევის ბერების ლოცვებში კარგად ყოფილა შემონახული, ისინი სხვათა შორის დიდებით წარმოთქვამენ და იხსენიებენ „გიორგი მუხის ანგელოზს“.

²⁹ ვ. ბარდაველიძე. (ლომა) ხის კულტიხათვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1926 წ, ტ. VII, გვ. 166; ივ. ჭავჭავაძის შვილიძე, ქართული ერის იატორია, ტფილისი, 1913, გვ. 138.

წკალტუბოს რაიონში, სოფ. ცხუნჯურში ჩვენ ჩავიწერეთ იქ დაცული წითელი ხის — ურთხმელის კულტის დამადასტურებელი გადმოცემა. ამ კულტთან დაკავშირებული ე. წ. «მაცხვარის» დღესასწაული წინა დღე იმართებოდა ამ სოფელში მცხოვრებ მხოლოდ ორი გვარის — ქაშიბაძეთა და ჩირგაძეების მიერ (აქვე მრავალი სხვა გვარები ცხოვრობენ). იკრიბებოდნენ დიდი წითელი „ხის მაცხვარის“ — ურთხმელის ძირთან, სადაც პატარა სალოცავი ნიშია მოწყობილი. მოქონდათ ღვინო, ქათამა, ხაჭაპურები, ძროხის ყველი, ეს საკმელი მხოლოდ გაუთხოვარ ახალგაზრდა გოგონების მიერ უნდა იყოს დამზადებული. ლოცვაში მოსაველიანობას და გამრავლებას ექცევა ყურადღება. ასე რომ, მუხასა და ცაცხეთან ერთად წითელ ხეს, ურთხმელსაც სცემდნენ თაყვანს და მას ახლაც „მაცხვარს“ უწოდებენ.

სამეგრელოში სახელმძღვანელო კუონდიდი, — დიდმუხის სალოცავი შეიძლება ტიპურად მივიჩნიოთ, რომელიც უხვად პოულობს ანალოგიებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ფშავში ლაშარის სალოცავის, ცასთან ოქროს შიბით დაკავშირებული „ბერ-მუხის“ დალატით მოკრის ლეგენდა ხალხურ ლექსს ასე შემოუნახავს:

„ირივლა ლაშარის ჯვარმა
ღვთის კარზე თავის პირითა:
„ხმელს გორზედ შედგა ბერმუხა,
მორთული ოქროს შიბითა“³⁰; და სხვ.

ფოლკლორული ლექსი „მუმლი მუხასა“ ხის კულტის აშკარა ამსახველი და მაჩვენებელია.

წმინდა ხეებს ზოგჯერ ჯვრებს უკეთებდნენ. ხის ჯვარი ფართოდ იყო გავრცელებული მთიან რაიონებში, — სვანეთში და თუშ-ფშავ-ხევისურეთის სამლოცველოებში³¹. ჯვარი დროთა ვითარებაში ასევე ოსტატურად გამოიყენებოდა ახალი სარწმუნოების გამავრცელებელთა მიერ წარმართულ ხეთა თაყვანისმცემლობის წინააღმდეგ, ხოლო საკულტო ტყეს და ხეს ამიერიდანაც უნარჩუნდებოდა წმინდა ადგილის ძველი ეპითეტი, სადაც ეკლესიებს აშენებდნენ. ამაზე ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „უამსა ქრისტიანობისასა ნაკერპავეთა მათ მათთა მადალთა და ბორცვთა ზედა ესე-ვითარივე იყო განცხრომა-ლოცვანი. ამისთვის აღაშენეს მათ ეკლესიანი მუნ, ვითარცა აწ განცხრომა სიმღერითა გაათენიან და ესენი ესრეთ“.

**ბ. არწივკაცობაში განსახიერებული არწივის კულტი
დაფნარის უძველეს ლარნაკზე ამოტვიფრული**

ქართველი (კოლხური) ტომების პოლითეისტურ წარმართულ პანთეონში ანთროპომორფიზმის ელემენტები თავის ნათელ გამოხატუ-

³⁰ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა , ლაშარობა, „ივერია“, 1888, №174.

³¹ Р. Эристави, О тушино-пшаво-хеурском округе, записки КОРГО, 33- 98.

ლებას უფრო მეტად ზომორფულ კულტ-ღვთაებათა ნაირსახეობების წარმოსახვაში იჩენს თავს. ეს ფაქტი კარგადაა დადასტურებული ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალებით, რომელთაც მხარს უჭერს ასევე ქართული წერილობითი უძველესი წყაროებიც.

ჩვენ ამჯერად გვინდა მოკლედ შევჩერდეთ კოლხეთის სინამდვილისათვის დამახასიათებელი ერთ მეტად საყურადღებო ასეთ მომენტზე. რომელსაც თავისი განსახიერება არწივკაცობაში უპოვნია და იგი თავის პარალელებს მოგვიანებით, იბერიულ-ქართულ გარემოშიაც პოულობს.

აქ აღნიშნულს კარგად ადასტურებს სოფ. ხუცუბნიდან არც თუ ისე დაშორებით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც 1966 წელს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი სოფ. დაფნარში. ესაა შავპრილა ლარნაკი, რომლის პრილა ზედაპირზე არწივკაცის გამოსახულებაა ამოკაწრული. ეს ძეგლი წინასწარი შესწავლის საფუძველზე და აქვე ჩატარებული დასვერვითი გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამაროვანი, ძვ. წ. V—III საუკუნით



სურ. 9. დაფნარი. შავპრილა ლარნაკი არწივკაცის გამოსახულებით.

თარიღდება, ხოლო სამარხში შემთხვევით აღმოჩენილ ლარნაკზე გამოსახული არწივკაცი ზომორფული ღვთაების განსახიერებაა, რომლის დამახასიათებელია ადამიანის ტანის და მამაკაცური ძალის — ნაყოფიერების სიმბოლო ფალოსის გამოხატულება.³² კოლხური არწივკაცი, სიმბოლოურად, განაყოფიერების ღვთიური ძალის მქონედაა წარმოდგენილი, რომლის პარალელებსაც წერილის ავტორი ეგვიპტურ და ასირიულ ძეგლებშიც პოულობს.

ხელოვნებათმცოდნემ პროფ. დ. ჯანელიძემ დაფნარში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი კოლხური არწივკაცის გამოხატულებით ძველ ქართულ ხალხურ სანახაობრივ ხელოვნებას, — ნიღბის გამოხატუ-

³² გ. ლორთქიფანიძე, იშვიათი მონაპოვარი, დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“, 1966, 1, 21, № 17.

ლებას დაუკავშირა გორში შემონახული ყეენობის არწივკაცობის სახით და მასთან ზოგიერთი პარალელების გავლების საფუძველზე დაასკვნა, რომ „ყეენობის არწივკაცი“ შეიძლება გადმონაშთი იყოს იმ არწივკაცისა, რომლის სახიერება ანტიკური ხანის კოლხურ ლარნაკზე აღმოჩნდა. --- ძველი ყეენობა სქესობრივი განაყოფიერების, შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი ღვთაების თაყვანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია. კოლხური ლარნაკის არწივის ერთერთი დამახასიათებელია ფალოსი. ყეენობაში მოთამაშე ერთერთ ნიღბოსანს ასევე ფალოსის გამომსახველ ხის ასოს, ზოგან კანკის ქვალს ან კონკილას ჰკიდებდნენ და მას ფალოსის გამოსახვატი მნიშვნელობა ჰქონდა.³³

ფალოსის კულტის არსებობა ქართველ ტომებში, ძველთაგანვე კარგადაა დადასტურებული.³⁴ რაც შეეხება გორის ყეენობაში შემონახულ პირარწივკაცის სახის გადმონაშთს, იგი ძველი ქართული წარმართული პანთეონისგან უნდა მომდინარეობდეს.

ეთნოგრაფიულ მასალებთან და ტოპონიმიკურ მონაცემებთან ერთად აღნიშნულს რამდენადმე ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე უკანასკნელად მოპოვებული ზოგი აღმოჩენანიც. მაგ., უფლისციხე — ყაფლანისხევში აღმოჩენილი ნაყოფიერების ღვთაება, ფიქრობენ დიდი დედის ნანას (ბარბარას) სალოცავი უნდა ყოფილიყო, ხოლო უფლისციხეში „ადგილის დედის“, კულტის სამლოცველო. აქვე აღმოჩნდა ქალღმერთის გამოსახულების რელიეფური ქანდაკება და სხვ.³⁵

ფრინველთა მეფე არწივი ქართულ მითოლოგიაში (ამირანიანში), განსხვავებით ბერძნულისაგან (ესქილე, მიჩაქველი პრომეთე),³⁶ ადამიანთა ბედნიერებისთვის თავგანწირულ, ზეციდან ცეცხლის მოტაცებისათვის ღმერთების მიერ დასჯილ, ღმერთებთან მეტროლ გამირებთან — ბერძნულ პრომეთესა და ქართულ ამირანთან არსებითად განსხვავებულ დამოკიდებულებაში იმყოფება. ქართულ მითოლოგიაში არწივი თუ ამირანის მკურნალი, მფარველი და დამხმარე ფრინველია, განსხვავებით ყვავ-ყორნებისაგან. ბერძნული მითოლოგიით არ-

³³ იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 15 (8 აპრილი). დ. ჯანელიძე. არწივკაცი, და ყეენობის არწივკაცობა.

³⁴ ამის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, ასეთებია. ს. მაკალათიას „ფალოსის კულტი საქართველოში“. „მომომხილველი“, 1926. წ. რუხაძე, მასალები მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში (მასალები საქართ. ეთნოგრაფიისათვის, № 1, გვ. 102), ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქართველი ერის ისტორია, 1. გვ. 64—67, მეხუთე გამოც. და სხვ.

³⁵ ხახუტაიშვილი, უფლისციხე, 1964, გვ. 19—25, დ. ჯანელიძე. ქართული თეატრი, 1965, გვ. 4.

³⁶ ესქილე, მიჩაქველი პრომეთე, გვ. 1026—1029.

წივი ღვთაება ზევსის ბოროტი სულია, რომელიც სტანჯავს და შეურიგებლად მტრობს პრომეთეს.³⁷ ქართული თქმულებით არწივს ამირანის ქვესკნელიდან ამოყავს და მომაკვდინებელ კრილობებს განუკურნავს, და თავისი ძლიერი, გაშლილი ფრთებით იცავს და მფარველობს.

„ყორანო, კალის ბოლოსა,
რად არ ჩაავლე თვალია?
ამირანისა სახლ-კარის
თუ არსად სჩანდა კვალია?
— ვნახე და ველარ დავწინე
არწივს ეფარა მხარია“.³⁸

ამრიგად, არწივი ქართულ მითოლოგიაში, ისე როგორც ზეპირსიტყვიერებაში, როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი, გმირობისა და ვაჟკაცობის განსახიერებაა და ადამიანის კეთილმოსურნე არსებადაა წარმოდგენილი. არწივის, არა მარტო ვაჟკაცობის, არამედ მამაკაცური ძალის, — ნაყოფიერების სიმბოლოს ფალოსით — არწივკაცურად გამოხატვა, ისე როგორც ეს დაფნარის ლარნაკზეა ასახული, უაღრესად საყურადღებო მოვლენაა კოლხური წარმართული პანთეონის ზოომორფული ღვთაების ერთ-ერთი სახეობის გასარკვევად.³⁹

გ. პირნათელი ხარისა და თეთრი გიორგის დამოკიდებულების საკითხისათვის

საქართველო მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანაა. მიწათმოქმედების განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამოყენებისათვის ქართველ ტომებს, რომლებიც ასევე შესანიშნავ მელითონეებად ითვლებოდნენ, დიდი შრომისმოყვარეობა გამოუჩენიათ არა მხოლოდ სამიწათმოქმედო გაუმჯობესებელი იარაღების წარმოების საქმეში, არამედ გამწვევი ძალის, — ხარისა და ცხენის მოშინაურებისა და მათი ჯიშების გაუმჯობესებისათვის. ქართველ ტომებში ცხენთან ერთად რამდენიმე ათასწლეულის წინ ხდება ხარის

³⁷ მ. ჩოქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 385.

³⁸ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პეზნა, 1934, გვ. 83.

³⁹ დაფნარში აღმოჩენილი ლარნაკის შესწავლას ზოგი მკვლევარი განსხვავებულ დასკვნებამდე მიყავს — საეკოდ ხდიან არწივკაცობის დამადასტურებელ გამოსახულებას და ამ ძეგლის ფალოსის კულტთან დაკავშირებასაც კი (მაგ. ნ. კილურაძე). ამ საკითხის შესახებ უკანასკნელად გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია ნარკვევები, რომლებიც ქართულ პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა, ესენია: Г. А. Лордкипანიძე, некоторые вопросы религии и культуры античной Колхиды (იხ. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 335—354), ნ. კილურაძე, დაფნარში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები (იხ. საისტორიო კრებული, 11, 1971, გვ. 347—369).

მოშიაურება და მისი გამოყენება, როგორც უმთავრესი გამწევი ძალისა მიწათმოქმედებაში, აქედან ხდება მისი შექრა როგორც კულტის სფეროში, ხალხის ყოფაში და იქ ღრმად დამკვიდრება. ეს ფაქტი კარგადაა დადასტურებული როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემებით; (მაგ. ხარება, ხარხარი, მახარე, იხარე, და მთელი წყება გვართა. — ხარაძე, მახარაძე და სხვ.): იგი თავის პარალელებს სხვა ხალხებშიაც პოულობს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხარის კულტის ზოგი სხვა დამახასიათებელი საგანიც, ქართულ სინამდვილეში (რომელიც თავის პარალელებს სხვა ხალხებშიაც პოულობს) მთვარის, და კერძოდ ახალი მთვარის. სიმბოლური გამონატულების სახეს ობეულობს; აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ ისტორიულად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ხარის კულტი, და მისი დამახასიათებელი კულტმსახურების წესები შეეზარდა და შეერწყო ჯერ მთვარის (მამა ღმერთის), ხოლო შემდეგ წმინდა გიორგის კულტს, დამახასიათებელია, რომ ხარის საკულტო არქეოლოგიურ უძველეს ეგლებს ქართულ სინამდვილეში ახალი მთვარის გარეგნული სახე აქვს. ხოლო ეთნოგრაფიულ ყოფაში ხარის და წმინდა გიორგის კულტმსახურება სიმბოლურად ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

საყურადღებოა ისიც, რომ ამ ფაქტს თავისი გამონატულება ქართულ პალეოგრაფიაშიც კი უპოვია. მაგ. ქართული ანბანის 34-ე ასო „ხ“ (ა. ი.) „ხარის“ მოხაზულობა, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ხარის რქებს გამოხატავს და შეიძლება მთვარის სიმბოლოდაც მივიჩნიოთ⁴¹.

ახალი მთვარის მოყვანილობისაა ხარის ჯერ კიდევ ენეოლითისა და შემდეგ ბრინჯაოს ხანის უძველესი საკულტო გამონატულებანი. რომლებიც თიხისაგან და მოგვიანებით ბრინჯაოსაგან უმზადებიან. მაგ. კერათა რქისებრივად გამოსახვა ნაცარგორაზე⁴² (ცხინვალი), ხიზბავრაში (მესხეთი), ქვაცხელებში (შიდა ქართლში). ჯავახეთში⁴³, ფიქვენარში თიხის რქისებრივი სადგარები, ურბნისი⁴⁴ და სხვ. მსგავს მაასალებს ვხვდებით თიხის საკულტო სამფეხა ფიგურების სახით დაბლაგომში, რომლებსაც ასტრალურ ნიშანთა ანბანებში ახლავს; რაჭაში ნაპოვნი ბრინჯაოს სამფეხა საგნები ხარის გაშლილი რქების სახის

⁴⁰ იუპიტერი (ლათ.-რომ.) ცის ღმერთი, ეთანაბრება ბერძნულ ზევსს ანუ სინათლის ღვთაებას. იუპიტერი იყო წვიმის ღმერთი. მიწათმოქმედთა მფარველი გვალვისაგან. ქანდაკება იუპიტერისა და ზევსის ერთმანეთს ემთხვევა.

⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 230, სურ. 217. ტაბ. XIV, II.

⁴² გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, „მომოზილველი“, თბ. 1951.

⁴³ Н. Чубинишвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбашидзе. археологические разветки южных районов Грузии (Месхети, Джавахети), в 1953-1955 гг. СА № 4, გვ. 126, სულ. 7.

⁴⁴ ა. ლონტი, აღ. ჯავახიშვილი. ურბნისი.

მატარებელია.⁴⁵ აღმოჩნდა ხარის გამოსახულება თიხისაგან დამზადებული „ამირანის გორაზე“ (ახალციხე),⁴⁶ ხოლო მოგვიანებით კი ბრინჯაოსაგან და სხვ. ხოლო რაც შეეხება ივ. წ. VI ს. ქართულ ფულზე, — კოლხურ თეთრზე ხარის გამოსახულებას, იგი ხომ მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა კოლხური სინამდვილისათვის.⁴⁷

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ასევე კარგადაა შემონახული ხარის კულტის გადმონაშთები და იგი უმეტესად წმინდა გიორგის ღვთაებას უკავშირდება. მაგ. სამეგრელოში ყველაზე უძლიერეს ხატ-სამლოცველოს ილორის წმ. გიორგის ეკლესიის შესაწირავად ხარი ითვლებოდა. ს. შავალათიას ცნობით, „ამ შეწირულ ზვარაკების მთელი ჯოგი დგებოდა“. ილორში ხატობა იმართებოდა ორჯერ—23 აპრილს და 10 ნოემბერს. არქანჯელო ლამბერტს მოეპოვება ილორობის აღწერა ანუ „თუ როგორ მოიყვანს წმინდა გიორგი ხარს“. მისივე გადმოცემით, ამის სანახავად ილორობის დღესასწაულზე დასასწრებლად „მარტო ოღიშელები კი არა, აფხაზებიც და სვანებიც ბლომად მოდიან“. და როცა შიგნით გალავანსა და ეკლესიას შუა დანახავენ ხარს... მთელი ხალხი დიდის მოწიწებით მადლობას შესწირავს წმ. გიორგის ამისთანა ხარის მოყვანისათვის... ამბობენ კიდევ, რომ წმ. გიორგი სამჯერ მოიყვანს იმ ხარს ზღვიდან მთაშიო და სამჯერ—მთიდან ზღვამდე და ამ გზით ნაკურთხ ხარს ეკლესიის გალავანში დასტოვებს ხალხის სასარგებლოდ.⁴⁸ როგორც წესი ეს ხარი იყო თეთრი ფერისა. მკვიდრთა რწმენით ილორის ეკლესიაში წმ. გიორგის რადგან მოყავდა მოპარული ხარი, ამიტომ ილორის წმ. გიორგი ხარიპარიად იწოდება.⁴⁹ ხარი და წმინდა გიორგი თითქმის განუყრელნი. იგი ხართან კავშირითაა მიწათმოქმედი. მაგ. ცნობილია მინდვრის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ხევსა და ხევსურეთში. ასეთი ხატი დაცულია სოფ. ქმოტში, რომელიც ბარიდან, ბოდავიდან ამოსულა. ქმოსტელები მინდვრის წმინდა გიორგის ხედებიან ნიშა ხარით ფშავის საზღვარზე, ორწყალთან, სადაც ზვარაკად შეწირული ხარი იკვლოდა ყოველწლიურად ბოდავიდან მოსული ჭვარიონის, ანუ მინდვრის წმინდა გიორგის სამასპინძლოდ.⁵⁰

⁴⁵ В. В. Бардавелдзе, Главное божество древне-грузинского пантеона Гмерти. Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1932, გვ. 317-318, სულ. 16.

⁴⁶ ტ. ნუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, ტ. XI, გვ. 3.

⁴⁷ დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1950, გვ. 26, ტაბ. 1, 6, 7, 8, 9.

⁴⁸ არქანჯელო ლამბერტი — სამეგრელოს აღწერა, ტფ. 1938, გვ. 142—143.

⁴⁹ ს. შავალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1940, გვ. 357.

⁵⁰ გ. ჭალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა საქართველოში, მისივე სადოქტორო დისერტაციო ნაშრომის ხელნაწერი ტექსტიდან. ამ მასალის თავაზიანად მოწოდებნისათვის მადლობას მოვახსენებ პატ. ავტორს.

სამეგრელოშივე გავრცელებული იყო ხალხური სპორტული სინასობა ე. წ. კურული, რომელიც ბუღებთან შეჯიბრებაში ვლინდებოდა. სინამდვილეში, გ. ჩიტაიას ვარაუდით, იგი უნდა ასახავდეს სარის მოთინიერებას. მის გახედნას. იმ ბრძოლის მსგავსად. რომელსაც შუმერების გმირები გილგამეში და ენქიდუ გარეულ ხართან აწარმოებდნენ.⁵¹

მიწათმოქმედებაში დახელოვნებულ გიორგიანელ-კოლხურ მოსახლეობას რასაკვირველია არ შეეძლო ამ დარგში ესოდენ დიდი პოპულარობისათვის მიეღწია ანტიურ სამყაროში, თუ იგი აღრითავნე ხარის, როგორც გამწვევი ძალის გამოყენებას და გაუმჯობესებელი სახენელი იარაღების წარმოებას არ დაუფლებოდა, როგორც ამას კარგად ადასტურებს თქმულება არგონაეტებზე.

ბარის ნაყოფიერ რაიონებში მეცხოვრები მოსახლეობისათვის მეცხოველეობასთან ერთად მიწათმოქმედება გამწვევი ძალის — ხარისა და გაუმჯობესებელი სახენელი იარაღების გამოყენებით სამეურნეო საქმიანობის წამყვან დარგად ხდება.

ვარონი მეცხოველეობის დარგის დიდ მნიშვნელობას იმითაც ასაბუთებს, რომ ასტროლოგიაში ზოგი ციური მნათობისათვის ცხოველის სახელის მიკუთვნება შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. ვარონი წერს: «А если бы скот у древних не был в стольшой чести. то астрологи, описывая небо, не назвали бы светила их именами». ⁵²

საბა-სულხან ორბელიანს თავის უკვდავ ლექსიკონში შეტანილი აქვს აღწერა იმისა, თუ რომელ მნათობს ქართულად ცხოველის რა სახელი ერქვა. საბა ზოდიაქოს განმარტებისას დასძენს „ვერძი თვეს მარტსა 20 მიითვალავს მზესა; კურო აპრილსა 20, თხის რქა დეკემბრისა 23, და სხვ.“ (იხ. ლექსიკონი).

რომაელი ღვთაება იუპიტერი ცის ღმერთია, იგი ეთანაბრება ბერძნულ ზევსს, ანუ სინათლის ღვთაებას. იუპიტერი ისე, როგორც ზევსი მიწათმოქმედთა მფარველ ღვთაებებად გვევლინებიან, ქანდაკებანიც იუპიტერისა და ზევსისა თითქმის ერთმანეთს ემთხვევიან. ქართველ ტომებში ციურ მნათობთა კულტის შემცველი, წარმართული ღვთაების განმსახიერებელი თეთრი ანუ წმინდა გიორგი, ბერძნულ რომაულ ღვთაებათა — იუპიტერისა და ზევსის მსგავსად მი-

⁵¹ გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხიში), ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი II, კ. 1959, გვ. 159—160.

⁵² В а р о н. Сельское хозяйство. перевод с латинского, М. Е. Сергеевко, Изд. АН СССР, М.-Л. 1963. გვ. 71.

წათმოქმედთა მფარველი ღვთაებაა. კიდევ მეტი, მას ასევე დიდი ამაგი და ზრუნვა გამოუჩენია სახვნელი იარაღების გაუმჯობესების საქმეში.

ესელიძის გადმოცემით თეთროსნის წმინდა გიორგის ნიშა ხარს შესწირავდნენ ხოლმე. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევათა მიხედვით თეთრი, ანუ წმინდა გიორგი ქართველთა უძველესი რწმენით გარდა იმისა, რომ მიწათმოქმედ მხვნელ-მთესველთა მკველი და მათი მფარველი ღვთაებაა, მასვე ბევრი უღვწია გაუმჯობესებული სახვნელის — გუთნის გამოგონების საქმეში. „სახვნელის გაუმჯობესებული, დამთავრებული სახეობის გუთნის გამოგონებას ჩვენი ერი თვით ქართველთა წარმართობის ხანის უზენაესი ღვთაების მონაცვლეს, თეთრი გიორგის მიაწერს“⁵³. ხოლო ოსური ხალხური გადმოცემით თეთრი გიორგის მიერ გამოგონებული ეს გუთანი „ქართველმა — ნახა, გააკეთა იმგვარად გუთანი და მისგან სხვებმაც ისწავლეს“⁵⁴ აკად. ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერულად დაასაბუთა ის ღვაწლი და როლი, რაც ქართველ ხალხს საერთოდ სახვნელი იარაღების განვითარებაში მიუძღვის. წმინდა, ანუ თეთრი გიორგის, როგორც ქართველთა წარმართობის ხანის უზენაესი ღვთაების მონაცვლეს, ხალხის რწმენით მზრუნველობა არა მხოლოდ ქართული დამთავრებული სახეობის გუთნის გამოგონებაში გამოუჩენია, არამედ მიწათმოქმედებაში მთავარი გამწვევი ძალის, ხართან მისი განუყრელი კავშირი და ამ ღვთაებისადმი „ხარისპარიას ეპითეტის“ მიკუთვნება გვაფიქრებინებს, რომ წმინდა გიორგიმ ქართველ ტომებს უფრო მეტი მზრუნველობით დაეხმარა ხარის, როგორც გამწვევი ძალის გამოყენებაში იმ დიდ და მძიმე სამიწათმოქმედო — „გეორგიანულ“ მოღვაწეობაში, რომელსაც ასე სახელოვნად უძღვებოდა ეს ტომები: გაუმჯობესებული გუთანი და მისი გამწვევი ძალა—ხარი ქართველი ტომებისათვის ასევე ღვთაება თეთრი გიორგისგანაა თითქო ნაწყალობები;⁵⁵ ისინი ადამიანის შეენახველი, — ცოცხალის პურის მკმეველი და მკვდრის დამმარხველია. ქართული ფოლკლორი ბევრ შემთხვევებში ადასტურებს ამ ფაქტს. კერძოდ ხარის როლსა და ფუნქციაზე თქმულია:

„ორშაბათობით აშენდა ციხე ქალაქი კლდეზედა,
ადამიანის შენახვა ვერავინ იღო თავზედა,
ხარმა თქვა, პირმა ნათელმა, მე დავიწირავ თავზედა...“

⁵³ ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930, თბილისი, გვ. 262.

⁵⁴ გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, გვ. 222.

⁵⁵ იქვე, გვ. 155—269.

ღვთაებათადმი და მისი სახელობის საყდრებისადმი ამა თუ იმ ცხოველის სამსხვერპლოდ შერჩევა ხომ ძველთაგანვე იყო გავრცელებული და მისმა გადმონაშთებმა დღემდეც კი მოაღწია ხალხის ყოფაში. მაგალითად, ჯერ კიდევ მეოთხე ათასწლეულში ჩვენს ერამდე საკულტო ჭურჭელზე ურუკიდან ასახულია საყდრისადმი ხარებას ჯოგისა და თხის ფარის შეწირვის სცენები.⁵⁶

ბ. პიოტროვსკის აზრით, «Роль животных в Урартской религии выступает особенно четко»⁵⁷. ურარტუს სამეფო სასახლის ბევრ სკულპტურულ ძეგლებს შორის გამოირჩეოდა «I бык и I корова со своим теленком, которых отлил Сардур и Ишпуна, царя Урарту».⁵⁸

ურარტუს და სპარსეთის სამეფო სასახლის საკულტო ძეგლებში ხარის გამოხატულებას დიდი ადგილი უჭირავს საერთოდ. აღიშარის სამარხში ჩაყოლებულ დიდ ქვაბს თან ახლდა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ხარის თავი და ფეხები, რომლებზედაც კუბო ეყრდნობოდა, სარდურ მეორის პირად ფარზე ლომი და ხარია გამოხატული. ღვთაება ტეიბაში (ადილეევანის ბარელიეფით) ორივე ფეხით ხარის ქედს ეყრდნობა (იხ. სურ. 1, 40, 61). პირუტყვის მსხვერპლად შეწირვა ღვთაებათადმი ქართველურ ტომებში ძველთაგანვე წესად უყოფილა დამკვიდრებული. მაგ., ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ხევსურეთში გ. ი. რადდეს ცნობით—«В один из таких местных праздников в честь Хакматского святилища режут, иногда 500—600 баранов и от 20 до 40 голов крупного скота».⁵⁹

ღვთაებათადმი ამგვარ შეწირულებებს თან ახლდა ტრადიციით შემუშავებული საკულტო სამსახური და საღვთო უმეტესად დაუწერელი ტექსტების წარმოთქმა⁶⁰.

⁵⁶ Н. Д. Флитнер, Культура и искусство двуречья и соседних стран, Л — М. 1958. გვ. 84.

⁵⁷ Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), М., 1959. გვ. 150.

⁵⁸ Б. Б. Пиотровский, Искусство Урарту, VIII — VI вв. до н. э. Л., 1962. იხ. სურ. 1. 40, 61.

⁵⁹ Г. И. Радде, Хевсурия иб. заниски Кавказского отд. Русского геогр. обществ., Тиф., 1880.

⁶⁰ საღვთო ტექსტებში რელიეფურად ვლინდება ღვთაებათა და მის უვავლნიანეს მსახურთა მხრივ მშრომელთა ექსპლოატაციის, მათი დამონების მოტივი. მაგ., ფშაურ ხუცების მიხედვით, „ხორციალნი“ მორიგე ღმერთს ღვთაებათა „მოსამსახურედ და სადიდებლად გაუჩენია“, რომ მეთემეთა ჯაფა ღვთაებების სასარგებლოდ შრომითა ბევარას წარმოადგენდა, რომლის უღელსაც ისინი ადვილობრივი ჯვარ-ხატის მეურნეობაში გამუდმებით ეწეოდნენ (ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, გვ. 623—624).

ქუთაისის ძველი ნაქალაქარის სანახებში, როინის მარცხენა ნაპირზე. ამ ცოტახნის წინათ აღმოჩნდა ხარის თავის მოწითალო ქვისაგან დაშადებული ორი ქანდაკება, რომლებიც ქუთაისის მუზეუმშია დაცული. ორთავე ქანდაკება წინასწარი დაკვირვებით ძვ. წ. IV — V საუკუნეებში უნდა შესრულებულიყო და აქ ჩვენ ხარისთავიანი ადამიანის ანუ მინოტავრის სკულპტურულ გამოსახულებასთან უნდა გვქონდეს საქმე. რომელიც თავის პარალელს თითქოს კოლხურ თეთრზე გამოსახული ხარისთავიანი ადამიანის გამოხატულებასთან პოულობს.⁶¹

ხარის გამოსახულება კოლხურ თეთრზე გამოწვეული იყო არა მარტო მისი ეკონომიური, სამეურნეო მნიშვნელობით (ე. ი. ხარის, როგორც გამოწვევი ძალის და გაცვლის საშუალების, — საქონლის საყოველთაო ეკვივალენტის მნიშვნელობით), არამედ ხარი ამავე პერიოდში უკვე მთვარის კულტთან დაკავშირებულ არსებადაა აღიარებული და ამისი ერთ-ერთი სინონიმური გამოხატულება მხატვრობაში უკვე არსებობდა, როგორც ძველი აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში, ასევე მისი გავლენით ჩვენშიაც.

ქრისტიანობამ ადგილობრივი წარმართული სარწმუნოების მთლიანად აღმოფხვრა ვერ შესძლო საქართველოს სინამდვილეშიაც. ამისი დამადასტურებელია ბოლნისის სიონისა და რაქაში, სოფ. მთისკალთის წმინდა გიორგის (მრავალძალის) საყდრებზე დღემდე შემონახული ხარის თავის რელიეფური გამოსახულება. ხარის ორი რელიეფური ქანდაკებაა სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, რომელიც მკვლევარ ხელოვნებთამცოდნეთა აზრით წინაქრისტიანულ სანას განეკუთვნება.⁶²

ე. თაყაიშვილი ქვემო სვანეთის, სოფ. ჩუკულის ეკლესიასთან დაკავშირებულ ანალოგიურ წესჩვეულებათა გამო გადმოგვიცემს: „ხალხი აქ დღესაც დადის სალოცავად და დიდის ამბით იხდიან მთავარანგელოზთა დღესასწაულს, განსაკუთრებით აქ დადიან მონადირენი და მოაქვთ თავის ნანადირევის რქები“.

სამონადირეო ეპოსიდან მომდინარე თეთრი ფერის „ნადირობის ღვთაებათა“⁶³ მთვარისა და ხარის კულტთან მიმართებაში მეცნიერულად

⁶¹ ხარის თავის ეს ქანდაკებანი აღმოაჩინა ქუთაისის სახ. მუზეუმის მუშაკმა ლ. ჩიქამ, იხ. ძველის მეგობარი, 22, 1970, მ. ნიკოლაიშვილის ცნობა გვ. 48. ასევე შ. ამირანაშვილის წერილი ძველი ქუთაისის სანახებში (გაზ. „კომუნისტი“ 1976 1 ივლისი).

⁶² საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 111, 1942, № 6, გვ. 611—618. თვით ხარის თავის რელიეფური ქანდაკება იხ. სურათი სვეტიცხოვლისა. იხ. შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“, თბ., 1961 გვ. 160 და მიმყოლი ტაბულები.

⁶³ თ. ოქროშიძე, ხარის კულტის საკითხისათვის ქართველურ ტომებში, ჟურნ. „მნათობი“, 1969, №1. ამასთანავე იხილეთ სპეციალური ნარკვევი, — Г. А. Лордкипანიძე, Животноводство и промыслы античной колхиды. журн. Советская Археология. № 2, 1966 г.

გაზრება, სხვა ფაქტიურ მასალებთან ერთად შექს ფენს წარმართულ ღვთაებათა პანთეონს კოლხეთის სინამდვილეში და კოლხეთშივე მყოფ ლეეკოთეა-თეთროსანის ტაძრის შესწავლა ამგვარ ასპექტშიაც ახალ შინაარს იძენს.

დ. თეთრონისა და თეთრი გიორგის თეთროსანთან კავშირის გარკვევისათვის

ქართველ ტომებში ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცხენი ასევე საკულტო არსებად იქნა აღიარებული და მიჩნეული. საყურადღებოა ისიც, რომ ქართულ ენას ცხენის მრავალი სინონიმი შემოუნახავს. მაგ. ასეთებია: რაში, ტაიკი, ქურანი, მერანი, (ქურიკა — კეცი, მესხ.) ლურჯა, ჰუნე, ბედაური და სხვ.⁶⁴ მაგრამ ქართულ ენობრივ ლექსიკური მარაგიდან თითქმის დავიწყებდას მისცემია ცხენის გამომხატველი ერთ-ერთი წარმართული საკულტო სახელწოდება „თეთრონი“, რომელიც ამ მნიშვნელობით მხოლოდ „ამირანიანს“ შემოუნახავს ჩვენამდე. იქნებ ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ „თეთრონი“ როდი აღნიშნავდა ცხენს საერთოდ, არამედ საკულტო, საღვთო ცხენს⁶⁵.

თეთრონი ბადრის საკუთრებაა. ამირანი ყამარ ქალის მოსატაცებლად ზღვასა და ზეცაში გაიჭრება ბადრისაგან ნათხოვარ თეთრონით. ამირანი მიმართავს ბადრს:

„ბადრო, მათხოვე თეთრონი,
ზღვაში გავიღე ნგრევითა“.

მაშასადამე, თეთრონი ამირანიანში ფანტასტიური ცხენის, რაშის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. მას კაზმავენ, — „შეკაზმე ბადრო თეთრონი“ (იხ. გვ. 111), თეთრონზე ჯდებიან: „ბადრი თეთრონს შემოჯდა“ (გვ. 111). თეთრონს ოფლი სდის და მის მიმართ მათრახს ხმა-რობენ:

„ამ ჩემი თეთრონისთინა.
ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემი მათრახისთინა
ფოჩი არ შემირჩენია“⁶⁶. (იხ. გვ. 112).

⁶⁴ „ონოს“ „ეირის“ ბერძნული სახელია (ბერძნული სიტყვა არ არის, არამედ იგი რომელიღაც აზიური ენიდანაა შეთვისებული. ძველ ქართულში XI ს-მდე. ცხენს „ჰუნე“ ეწოდებოდა, რაც ბერძნულში აზიური ენიდან შეთვისებული ვირის სახელი „ონოსი-ა“ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის შესახებ, გვ. 93—94).

⁶⁵ თ. ოქროშიძე, რაში ქართული ზღაპრისა, ეურნ. „მნათობი“, 1968, № 12.

⁶⁶ „ამირანიანს“ შესავალში შ. ნუცუბიძე თეთრონის განსაზღვრისას წერს: „თეთრონთა ე. ი. თეთრი ღრუბლების მიჯრით შემოვლებული“ რაღაც გაურკვეველი სივრცე (X X, გვ. 11). განსვენებული მკვლევარი აქ კატეგორიული ფორმით განსაზღ-

ერთი შეხედვით შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ზედმეტიც კი შეჩდლება იყოს აქ მოტანილი ჩვენი განმარტება ამირანიანში თეთრონის მნიშვნელობის შესახებ. — ტექსტუალურად ესოდენ ნათლად დადგენილი ფაქტის საკონსტანტაციოდ: მაგრამ ისეთი კოპტეგენტური მკვლევარი, როგორც „ამირანის“ ტექსტის დამდგენი და რედაქტორ-გამომცემელი პროფ. შ. ნუცუბიძე იყო, გვაწვდის თეთრონის ცნების არსებითად დაპირისპირებულ განმარტებას. ამ გარემოებათა გამო სხვა უფრო არსებითი პრობლემების თეთროსანთან დაკავშირებით გვინდა შევჩერდეთ თეთრონის ცნების განსაზღვრაზე. თეთრონი ამ შემთხვევაში როდია ჩვეულებრივი ცხენი, იგი ტოტემური საღვთოსაკულტო ცხენის მნიშვნელობით უნდა გვევლინებოდეს ამირანიანში. ცხენის მოშინაურება და ცხენოსნობა უხსოვარ დროიდან დამკვიდრდა ქართველ ტომებში, ხოლო ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცხენის კულტში გადაიზარდა.

ურარტუს მეფის სარდურის არგიშტის ძის (750—733 წწ. ძვ. წ.) ლურსმული წარწერები მოგვითხრობენ, რომ კავკასიაში მისი ლაშქრობის შედეგად ნადავლის სახით თანამედროვე აზერბაიჯანიდან 3 500, ხოლო კოლხეთის მხარიდან 1500 ცხენი წაიყვანეს. პ. უშაკოვს წარწერაში მოხსენებული კულხა, კატარბა, კირირუხი, ლუბა — საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის და ზღვისპირა რაიონების სახელებად მიაჩნია.⁶⁷

ცხენის ცალკე გამოსახულებას მართალია ბრინჯაოს კულტურის ხანაში ვხვდებით, მაგრამ ცხენოსანი მხედრის ფიგურის გამოსახულება არქეოლოგიური მონაცემებით უფრო გვიან ჩნდება. ფ. ჰანჩარის დაკვირვებით, ეს უკანასკნელი ჩნდება კავკასიისა და წინა აზიის ხალხებში ძ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე, როცა საბრძოლო ეტლებს სცვლის ცხენოსანი მხედარი. საბრძოლო ტაქტიკასა და ტექნიკაში მომხდარი ცვლილების შედეგად ამიერიდან მეფენი და სარდლები სხედან არა საბრძოლო ეტლში, არამედ გაჭენებული ცხენებით უტევენ მტერს.

მკვლევართა დასკვნით, ცხენის გამოსახულებას უმხედროდ, განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, რელიგიურ-სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, როგორც ტოტემს და გვხვდება უფრო ადრინდელ ხანაში,

ერავს „თეთრონს“, რომელიც არაფრით არ ეგუება ამირანის ტექსტშივე დაცულ ასევე კატეგორიულ განსაზღვრას „თეთრონისას“. ტექსტში „თეთრონი“ ყველგან ცხენის მნიშვნელობითაა ხსენებული, როგორც ამაში ჩვენ საფუძვლიანად დავრწმუნდით ზემოთ მოყვანილი ადგილებიდან.

⁶⁷ П. Ушаков. Тао-Кларджия в конце IX и в VIII веке до нашей эры, Тбилиси, 1941, გვ. 162, 168.


ჯიდრე ცხენოსანი მხედრის გამოსახულება. ღროის დიდ მანძილზე ცხენი შედის ქართული ხელოვნების თემატიკაში. იგი ასევე გვხვდება გვიან ანტიკურ ხელოვნებაშიაც.

ქართულ უძველეს წარმართულ ყოფასა და მსოფლმხედველობაში რამდენადაც ეს გამოჩნდება, ცხენს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც საკულტო და საღვთო ტოტემურ არსებას.

აქად. ნ. მარის აზრით, შავი ზღვის პირად მცხოვრები ქართველური ტომების სახელწოდება „ჰენიონები“ შეიცავს ძირს „ჰონე“ (ჰუნე) და ჰუნე (ცხენი), რომელიც ცხენის ტომის აღმნიშვნელ სახელწოდებას უნდა ნიშნავდეს, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი „ნი“ ბერძნულში. (ტაო-ნი, კოლ-ნი, მისივე აზრით) მრავლობითის გამოხატველია.

მრავლადაა დაცული გეოგრაფიული სახელები (უმთავრესად დასავლეთ საქართველოში), რომლებიც სიტყვა ცხენიდან იწარმოებიან, მაგ., მდინარე „ცხენისწყალი“ (უნდა ყოფილიყო „ცანას წყალი“, რადგან იგი სოფ. ცანიდან მოედინება), სოფ. საცხენისი, ცხენთარო და სხვ. მრავალი.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებო მონაცემებს იძლევა არქეოლოგია. ჯერ კიდევ 1902 წ. სოფ. ბორში აღმოჩნდა ვერცხლის თასი ბომონის წინ მდგომი ცხენის გამოხატულებით. თითქმის ანალოგიური გამოხატულების ორი ლანგარი აღმოჩნდა 1942 წ. 23 ნოემბერს არმაზში




10. ბორის ლანგარი ცხენის გამოხატულებით (ერმიტაჟი).
ცხენი ბომონის წინაშე.—ბორის ლანგარი (დეტალი).

წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამ ძეგლთა სპეციალური შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ „სამივე ლანგარზე საკურთხეველის წინაშე კი არ არის გამოსახული შესაწირავი ცხენი, ზვარაკი, არამედ... ცხენი ღვთაებრივი ატრიბუტებით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვით ღვთაება-ცხენის სახითაა წარმოდგენილი“⁶⁸.

ჯერ კიდევ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ქართველი ტომები იწყებენ მოშინაურებული ცხენის გამოყენებას⁶⁹.

ქართველ ტომებში ცხენის კულტი მნათობთა კულტს უკავშირდებოდა. ცხენის მსხვერპლად შეწირვა კი ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო. ამასთანავე არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ მიცვალებულისათვის ცხენის ჩატანება ადრე ასევე წესად ყოფილა მიღებული. ამგვარ ფაქტებს ვხვდებით წინამურში, ღებში, მცხეთაში, კლდეეთში, ბორში და სხვ. ცხენის აკაზმულობა-მოსართავის ნაწილები ნაპოვნია ახალგორში, კლდეეთში და სხვ. ნაპოვნია ცხენისა და მხედრის გამოსახულება-ქანდაკებანი (ცაგერი, ყაზბეგი, ზღუდერი, ღები, ახალგორი, კლდეეთი, დაბლაგომი, ვანი და კაიკაციშვილისა და კომაროვის მიერ — ხუცუბანში.




11. ცხენი ბომონის წინაშე (არმაზის ლანგარი).
ცხენი ბომონის წინაშე არმაზის ლანგარი (ღეტალი).

⁶⁸ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, წ. 1, გვ. 120, ტაბ. 17, 18, 19, 20,

⁶⁹ ი კ ე ე, გვ. 310—311, ტაბ. 59, 60.

ახალგორში ბრინჯაოს ლაგმებთან ერთად აღმოჩნდა ოქროსაგან დამზადებული უნიკალური, რასტით აკაზმული ორ-ორი წყვილი ცხენი⁷⁰. ასევე ვანში აღმოჩენილია უდიდესი ოსტატობით ოქროსაგან დამზადებული ოთხთვალა ეტლში შებმული წყვილი ცხენი და სხვა.

ცხენის კულტის არსებობის ფაქტზე მიუთითებს ასევე ლენინგო-რისა და სოფ. ყანჩაეთის 1960 წლის სამარხთა მდიდრული ინვენტარიც ცხენის აღკაზმულობით. ზღუდერში აღმოჩენილი ცხენის ქანდაკება ფრთიანია, ფანტასტიკურია.



12. ცხენის რახტი ოქროს მორთულობით და საქაელებით ახალგორის ვანძიდან.

ცხენის კულტი ქართულ ტომებში დამოწმებულია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც ცხადად მოწმობს,

⁷⁰ С м и р н о в, Ахалгорский клад, посмертное издание Музея Грузии под ред. Г. Н. Чугушашвили, 1934, გვ. 60, ტაბ. III.

რომ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დამდეგიდან ცხენს სულ უფრო და უფრო წარმატებით იყენებენ როგორც ქვეყნის თავდაცვაში, ასევე მტერზე ლაშქრობაში; ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცხენებისა, თუ ცხენოსანთა მომცრო ფიგურების ბრინჯაოს ბალთებზე, აბზინდებსა და ფურცლოვან სარტყელებზე ამოკაწრული, ცხენიანი ეტლებისა და ცხენების გამოსახულებათა სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ამიერიდან ცხენს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტომთა ცხოვრებაში.⁷¹ ირკვევა, რომ ცხენს იმ დროისათვის დიდი ადგილი დაუმიყვდრებია ქართველ ტომთა ცხოვრებაში და ეს ფაქტი კი თავის ასახვას პოულობს ბრინჯაოსა და რკინის ეპოქის ქართულ ხელოვნებაში.⁷²



13. სამარ ეტლში შებმული ცხენები, ომისა და ნადირობის სცენებით, შესრულებული ჰიდრიის მოხატულობაზე ძვ. წ. VI ს. კოლხი მხატვრის მიერ.

სოფ. ყანჩაეთში აღმოჩენილი მდიდრული სამარხი, რომელიც ახლო დგას ახალგორის განძთან და ალგეთის სამარხებთან, ძვ. წ. V ს-ით თარიღდება. აღმოჩენილი ნივთებიდან ი. ვაგოშიძე ყურადღებას ამაბიძგვლებს იქვე ნაპოვნ საბეჭდავზე, რომლის პარალელებს მკვლევარი ეძიებს წინაანტიკური ხანის ქართული ხელოვნების მცირე ძეგლებში (ბრინჯაოს სარტყელებზე ამოკაწრულ გამოსახულებებში, ბრინჯაოს ქანდაკებებსა, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებსა, ბრინჯაოს პეირველ ბალთებსა და სხვა ანალოგიურ საგნებში). მისივე აზრით, ყანჩაეთის „საბეჭდავზე ასახული უნდა იყოს ადრეკლასობრივი ხანის ქართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები; ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ასტრალური ღვთაების მთვარის მორიგე

⁷¹ ი. ვაგოშიძე, უძველესი ქართული საბეჭდავი ბეჭედი, იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის სამეცნ. სესიის თეზისები. თბ., 1962, გვ. 10.

⁷² ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე, აღ. ქალანდაძე. მცხეთა, აკად. გ. ჩუბინაშვილის რედ. თბ., 1955, გვ. 56—57.

კმერტის გარკვეული იკონოგრაფიული სახე—შუბოსანი მხედარი“. ავტორი შუბოსანი მხედრის ამგვარ იკონოგრაფიულ გამოსახულებას საესებით მართებულად უკავშირებს წმინდა გიორგის ღვთაებას, მაგონამ იგი ვერ იჩენს თანმიმდევრობას, როცა წერს, რომ ეს დაკავშირება თითქოს ქართველ ხალხს ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევის შემდეგ უნდა მოეხდინა და თავისი წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაების თაყვანისცემა წმ. გიორგიზე გადაეტანა. სინამდვილეში წმინდა გიორგის ღვთაება, როგორც მთავარი გარდამავალი ღვთაება მთვარის ღვთაებიდან ქრისტიანობაზე, ბუნებრივია, წინ უძღოდა ქრისტიანობას და იმდენად პოპულარული იყო, რომ ქრისტიანობამ ვერ უარყო იგი და შეიგუა. ცხენზე ამხედრებული შუბოსანი ჰაბუკი სინონიმი წმინდა გიორგის იკონოგრაფიული გამოსახულებებისა და ყანჩაეთის აღმოჩენაც იმას ასაბუთებს, რომ სწორედ თვით წმინდა გიორგი გვევლინება წარმართულ ღვთაებად და წარმართული პანთეონის ერთ-ერთ განმასახიერებლად.

აქ წარმოდგენილ ცნობებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ცხენის თავის გამოსახულებას ბრინჯაოს ქამრის ოვალურ წრეში, რომელიც 1881 წელს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების დროს გ. კაიკაციშვილსა და კომაროვს ხუცუბანში უპოვნიათ, იქ, სადაც ჩვენ ჩავატარეთ გათხრები (თვით ძველი არაა მოღწეული ჩვენამდე, ცნობა დაცულია კომაროვისეულ სიაში), მაშინ კიდევ უფრო ცხადი და დამაჯერებელი ხდება ამ ნაშრომში განვითარებული მოსაზრება ამირანიანის თეთრონის (ცხენის) და ხუცუბნისეული ნასაყდრალი თეთროსანის ერთგვარი კავშირის გამო.

არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, ასევე ძვირფას ცნობებს გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წერილობითი წყაროები, ეთნოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი მასალა.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ბერძენი მწერალი აპოლონიოს როდოსელი (1-ლი ათასწლეულის დასაწყისის შესახებ) გადმოგვცემს, რომ „კოლხეთის დედაქალაქის პირდაპირ, ღვთაების ტაძართან ვრცელი ცხენთსარბიელი ასპარეზი იყო გადაშლილი, რომელსაც გარს მოაჯირი ერტყა, კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბოლასა და მხედრულ შეჯიბრებას აწყობდნენ ხოლმე“. დიონ კასიუსის ცნობით, მეფე ფარსმან მეორე ადრიანე კეისარს (98 წ. 117 წ.) ეწვია რომში. ფარსმან მეფემ, მისმა შვილმა და სხვა წარჩინებულმა ქართველებმა უჩვენეს რომაელებს ეროვნული მხედრული ვარჯიშობა... იმპერატორის ბრძანებით ცხენზე მჯდომი ქართველი მეფის ქანდაკება მარსის მოედანზე აღუმართავთ რომში. თემისტეს (დაახლოებით 317—388 წლები ახალი წელთაღრიცხვით) თავის 27-ე

წერილში ისეთი აზრი აქვს გატარებული, რომ საგულისხმებელია, უკვე მეოთხე საუკუნეში კოლხეთის ახალგაზრდობა იწრთვნებოდა ისრის სროლასა, ოროლის ტყორცნასა და ჯირითში.

VI საუკუნის მწერალ პროკოპი კესარიელის ცნობით, კოლხეთის ჭალაქ აფსარში ადრე არსებულია იპოდრომი (მას მხოლოდ მისი ნანგრევები უნახავს). ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელები ჩოგნით ბურთაობას საქართველოში წმინდა ეროვნულ თამაშობად სთვლიდნენ. არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს რომში გამოცემულ „სამეგრელოს აღწერაში“ წერდა: „სამეგრელოში დროს გასატარებლად ბევრი სხვადასხვა თამაშობაა. მათ შორის ზოგი გავრცელებულია მთელ ქვეყნიერებაზე და ზოგი საკუთრივ სამეგრელოში და საქართველოშია გავრცელებული... საკუთრად იქაური თამაშობა კი ორნაირია: ბურთაობა და ნიშანში შვილდ-ისრის სროლა... ფართო მინდორზე შეიკრიბება რვა, თუ ათიოდე ცხენოსანი საუკეთესო ცხენებით. თვითველ მათგანს ხელში უჭირავს თითო ჩოგანი... ვინც თამაშობას იწყებს, ბურთს დადებს ჩოგანზე და ცხენს გააქენებს, იმას ერთი მეორეზე ყველა დანარჩენები მოსდევენ თავიანთი ჩოგნებით ხელში“ და ა. შ. XVII საუკუნეში საქართველოში მყოფმა იტალიელმა მხატვარმა ჭრისტეფორე კასტელმა რამდენიმე სურათი დახატა ქართული ჩოგნით ბურთაობისა.

იოანე ბატონიშვილის „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, როგორც ვიცით, იწყება დავით აღმაშენებლით, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია: „...ღერბსა ამა მეფისასა შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან მიმავალმან მარტომ ტფილისიდან ქუთაის საშენებლად: ესრეთ რომელ იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან და მოვიდა მეფისანი და ბრძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამის და აღდვა ლაგამი წმიდის გიორგის ცხენსა. რომელიც აწ არს გელათსა შინა... ცხენი ესე მოეცა განგებით, რათა მაღალიდ მოვლიდეს თვისთა ქუეყანათა და განამხნეობდეს მუშაკთა“⁷⁰.

⁷⁰ საქართველოს სიძველენი, ტომი 1, გვ. 120. ამ უწყებასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ხალხური გადმოცემები დავით აღმაშენებელზე, თითქო რაკი ერთდროულად აშენებდა დავით აღმაშენებელი გელათისა და მარტვილის საყდრებს, ხშირად უხდებოდა როგორც გელათში, ასევე მარტვილში სვლა. გზად მას სოფ. ცხუნკურში უხდებოდა გავლა-შესვენება, თავისი თანმხლები ამალით. მეფისა და მისი თანმხლებთა ცხენების აბჯანდიდან გადმოყრილი მიწა თითქო იმდენად ღაგროვილა თანდათან, რომ გორა შექმნილა. ამ ადგილს ეხლაც „აბჯანდგორას“ უწოდებენ და მას წმინდა ადგილად მიიჩნევენ. (მიამბო სოფ. ცხუნკურის მკვიდრმა ნიკოლოზ პარმენის ძე ლორთქიფანიძემ).

გადმოცემით, თამარ მეფეს, როცა იმერეთში მოგზაურობდა ცხენით, თოვლმა მოუსწრო „რაქაში სოფ. ღართან რომ მივიდა, ცხენმა თოვლის ღარის კუთვბა დაი-

ცხენის კულტის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ქართული ეთნოგრაფია. მაგ., გურიაში ჩაწერილი გადმოცემით, ცხენის დღესასწაულად უხსოვარი დროიდან „თედორობა“ ითვლებოდა, რადგან ვითომ თედორემ ხმელეთზე პირველად ამოიყვანა ცხენი წყლიდან, სადაც მანამდე იგი თითქო მუღმივად ცხოვრობდა⁷⁴. ანალოგიური დღესასწაულის ცერემონიალი უფრო სრულყოფილად სამეგრელოში შემოუნახავთ „თევდორობა“, როგორც ცხენის საკულტო დღესასწაული, ეს დეტალურად აქვს აღწერილი ს. მაკალათიას, იგი გვაუწყებს: „თერდობა (თევდორობა) ცხენის სალოცავია და მას სამეგრელოში დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს იხდიდნენ. ცხენის პატრონი ამ დღეს აცხობდა ცხენის ქანდაკებას მთელი მისი შეკაზმულობით: უნაგირით, უზანგით, ალვირით და სხვა. აცხობდნენ აგრეთვე ცხენის ჩონჩოროკის ფორმის კვერებს იმდენს, რამდენიც ოჯახში სული იყო. საღამოს ცხენის ქანდაკებას და კვერებს ხონჩაზე დალაგებდნენ, იქვე სავსე ჭიქით ღვინოს მოათავსებდნენ და გარშემო ხონჩას ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ხონჩასთან პირველად მივიდოდა ოჯახის უფროსი მამაკაცი და იგი შეევედრებოდა წმ. თედორეს ცხენების გამრავლებას და მათ დაცვას ქურდებისა და ნადირისაგან. შემდეგ იგი ზურგზე ხელებდაკრეფილი, ჭიხვინითა და წიხლებს სროლით დაიხრებოდა ცხენის ქანდაკებაზე, მოკბეჩდა მის რომელიმე ნაწილს და ჭიხვინითა და წიხლების ცემით უკანვე გამობრუნდებოდა. მას მიჰყვებოდნენ ოჯახის წევრები და უფროს-უმცროსობის მიხედვით მივიდოდნენ ცხენის ქანდაკებასთან და ჭიხვინითა და წიხლებს ცემით იმავე მოქმედებას შეასრულებდნენ.“⁷⁵

წყო, ამიტომ ამ სოფელს ეს სახელი—ღარი—წოდა. აქედან მიმავალი ერთ ადგილზე გზაში თოვლი ცხენს ბეჭებამდის აუვიდა, ამიტომ ამ ალაგს (ოსურად) ონი უწოდეს. აქედან სოფელ კულაროში მივიდა. თოვლმა ცხენი მოკლა. ამიტომ ამ სოფელს „კვლარი“ დაერქვა... აქედან ჭავში ასულან, აქ ვარსკვლავის გაფრენაზე და დღად იჯარა და ამიტომაც სოფელს „ჭავა“ დაარქვეს. ამის შემდეგ იგი ზეცაში აფრინდა“. (გ. ჭიქინაძე, წმ. თამარ მეფე ქართველ მამამდიანებში შეკრებილი ცნობებით, გვ. 11).

„ოსები ამბობენ, რომ მთვარე თამარ დედოფალიყო. ცისკრის ვარსკვლავის გაფრენამდის მთვარე ცაზედ არ იყოფო. როცა ვარსკვლავი გაფრინდა, მაშინ თამარ მეფეს ძრიელ ჭავრი მოუვიდა და აფრინდა ცაში და იქ მთვარედ იქცაო.“

ქრისტე როცა ამაღლდა, მაშინ მან თავის გვირგვინი ბავრატონთ ერთი გვარის წევრს გადასცაო. მერე ეს გვირგვინი შემეკიდრებოთ თამარ მეფეს ერგოო. შემდეგ თამარის ეს გვირგვინი დაიკარგაო“. (იხ. იქვე, გვ. 46).

⁷⁴ იხ. მაკალათის Народные обычи и поверья грузинцев, СМОМГК вып. 17. 1893, გვ. 47.

⁷⁵ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 310—311. ვანის რაიონში სოფ. ჭყვიშში არსებული წესის შესახებ აწ განსვენებულმა ბესო ტაბიძემ, გადმოცემა: მახსოვს პატარა ვიყავი, როცა თევდორობის დღეს, (დიდ-

მ. ჩიქოვანის ცნობით, ანალოგიური ჩვეულება ლეჩხუმშიაც ყოფილა დატული. იგი გვაუწყებს: „ეს ჩვეულება ლეჩხუმშიაცაა. ცხენის ქანდაკებასა და სხვა ცხოველთა პურით გამოსახულებებს გობში ჩაყრიდნენ და ღვინოს დაასხამდნენ. ბავშვები ქისვინით პირით ამოვიღებდით გობიდან ხშიადის ნაწილებს და ვჭამდით.“⁷⁶

თ. სახოკია გურიაში ცხენის კულტ-მაგიის გადმონაშთის შესახებ შემდეგს გვაუწყებს:

„ლობერის სარებზე თითქმის ყველა მოსახლეს გამოჩინებულ აღავას ჩამოცმული აქვს გამხმარი ცხენის თავები. არ შეიძლება კაცმა ამ თავებს ყურადღება არ მიაქციოს. ეს გახლავს დარაჯი და მცველი აქაური კარმიდამოსი და აგრეთვე, ჰირნახულისა. თუ ვინცობაა ავის თვალის პატრონს შემურდა თავისი მოყვრის ჰირნახული, გინდ კარმიდამო და რაიმე სიბოროტე გაივლო გულში, ცხენის თავის დანახვაზე ყოველივე მის მზაკვრობას ძალა ეკარგება და ნიშანში ამოღებულს მოსახლეს ვერას ავენებს.“⁷⁷ ამასთანავე საყურადღებოა, წესად დამკვიდრებული ჩვევები ცხენის დაქანგული ნახმარი ნალის სახლის ზღურბლზე მიკვრა-ჩამოკიდების სახით—ოჯახი არ გაითვალისწინებოდა. პროფ. მ. ჩიქოვანის ცნობით, ლეჩხუმში ცხენის გამხმარი თავები ჰიშკარზე, ყანაში და კალოზეაც კი იცოდნენ.⁷⁸

არ უნდა იყოს არც ახალი და არც შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ფეოდალურ საქართველოს მეტ-ნაკლებად გავლენიან გვარებს საკუთარი „დადი“ გააჩნიათ, რომელიც ცხენის სხეულზე გარკვეულ ადგილს აღიბეჭდებოდა, როგორც სიმბოლო მფლობელის გვარის გამოხატვისა.⁷⁹

ყოველივე აქ აღნიშნულის გაანალიზებისა და გარკვეული შემაჯა-

მარხვაში) დამე ბებიაჩემი ცოვით გააკეთებდა ცხენს, უღელში გაბმულ ხარებს იმერული კავით და მხენელით. ამას გამოაცხობდა (ზომით პატარებს), გობზე დადებდა სხვადასხვა თესლებს, სიმინდს, ფეტვს, ღომს, ცერცვს და სხვა და ირგვლივ სანთლებს შემოაყოლებდა. გაიტანდა ოჯახის უფროსი ბაბუა დამის 10 საათზე, ჩაიტანდა ბოსტანში და იქ დაიჩოქებდა და ილოცებდა, დაბარუნებდა გობს წაღმა და თესლს მოაყრიდა, მოთესავდა და შემდეგ მოთხინდა, ვითომ ყანაში იყო.

⁷⁶ ცნობის მოწოდებისათვის პროფ. მ. ჩიქოვანს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ;

⁷⁷ იხ. „მოამბე“, 1897. № XII, გვ. 83—84.

⁷⁸ ცნობა ზომაწოდა პროფ. მ. ჩიქოვანმა.

⁷⁹ ს. შავალათია—თავის ნაშრომში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, თბ., 1940, გვ. 196—204 წარმოვიდგენს ცხენის ძირითადი დადების გამოხატულებას და იგი ამ დადობა მეპატრონე გვარების დასახელებასაც იძლევა. მათი არასრული რაოდენობა და სახეობა მხოლოდ სამეგრელოს მაგალითზე 86-ს აღწევს. ადგილი წარმოსადგენია საქართველოში მთლიანად რაოდენ მრავალრიცხოვანი და ნიორსახოვანი უნდა ყოფილიყო ასეთი დადები.

მებელი დასკვნის მიღებისათვის საჭიროა პასუხი გავცეთ კითხვას: რით უნდა ავსხნათ ცხენის ამგვარი კულტის არსებობა და ცხენისადმი ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება ქართველ ტომთაგან მისი ისტორიული განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე?

ქართველი ტომები ვინაიდან თავიანთი ისტორიული განვითარების დიდ (და უაღრესად ძნელ) გზაზე საკუთარ არსებობას ინარჩუნებდნენ აგრესიულად განწყობილ — ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური რომის, სპარსეთის, ბიზანტიის, არაბთა, თურქ-სელჯუქიანთა და მონღოლ-თათართა დიდ სახელმწიფოებთან უთანასწორო თავდაცვითი (განუწყვეტელი) ბრძოლების ვითარებაში, ამიტომ ცხენი ქართველ ტომებში, როგორც მისი თავდაცვის უებარი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საშუალება და დიდი ძალა, იმთავითვე იმდენად საპატიო ადგილს იკავებს, რომ ისტორიულ ადრინდელ ეპოქაში საკულტო შინაარსს იძენს. ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში ცხენზე ამხედრებულნი (კლასობრივი ბატონობის სიმბოლოდ) და ქვეყნის თავდაცვის, რაინდულ-სამამაცო სფეროში საგანგებოდ დასაქმებულ, როგორც ვაბატონებულ კლასის გარკვეულ კასტას, ასევე მეომარ ხალხის ფართო ფენებსაც გამოხატავდა.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ცხენი ქართველ ტომებში, მისი ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე, ფეოდალური ეპოქის ჩათვლით, სამეურნეო უშუალო სამიწათმოქმედო სამუშაოებში, განსხვავებით ხარისაგან, არ გამოიყენებოდა. ყოველივე ამას კი, როგორც ვრწმუნდებით, განაპირობებდა (განსაკუთრებული შინაარსის უაღრესად მტკივნეული) მტრული გარემოცვით გამოწვეული მოვლენები და განუწყვეტელი ომები, რომელიც ქართველ ხალხს თავისი ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა და თითქო ქუდბედითად დაჰყვა თან.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ძველქართული გამოყენებითი ხელოვნება ქარგად იცნობს ბრინჯაოს მოხატულ ქაშრებს, კოლხურ ცულებს და ანალოგიურ ზოგ სხვა საგნებსაც. მათი დამახასიათებელია სიუჟეტები და პლასტიკურად გამოსახული გეომეტრიულ-სპირალური ფიგურები და ორნამენტები⁸⁰. ამგვარ საგნებზე წარმოდგენილ გამოხატულებათა მეცნიერულად სწორი ამოკითხვა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და მკვლევართ, ბუნებრივია, სერიოზული ამოცანის წინაშე აყენებს.

მოხატული ქაშრების, ცულებისა და სხვა ძეგლთა მხატვრულ-ხატოვანი სიუჟეტების სემანტიკური გააზრება მკვლევარის წინაშე პირველ-

⁸⁰ საქართველოს მუზეუმში დაცულ 36 სარტყლიდან ორნამენტებითა და გეომეტრიული ფიგურებითაა მოხატული 7 სარტყელი.

ყოველისა აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ხომ არ შეიძლება აღნიშნულ ძეგლებზე იყოს წარმოდგენილი გარკვეული შინაარსის წარმართულ-მითოლოგიური ციკლი, ან პიკტოგრაფიული წარწერა (საგანის გამოხატვა პირობითი ნიშნებით), რომელიც დამწერლობის წინარე ხანაში, უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებაში გარდამავალ კოლხეთში (ასევე იბერიაში) უნდა შემუშავებულიყო? ანტიკური მწერლობის ძეგლებში მართალია ყრუდ, მაგრამ ხომ მაინც გარკვევითაა მიითქვამება მასზე, რომ კერძოდ კოლხეთის შვედრთ ძველთაგანვე ზოგადად ამგვარი (პიკტოგრაფიული) წარწერანი და რუკებიც ე. წ. კირბების სახით და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლთა მნიშვნელობის შესახებ აზრთა სხვაობა არსებობს (შ. ამირანაშვილი, ვ. ბარდაველიძე, ბ. კუფტინი, ნ. ურუშაძე და სხვ.); მაგალითად, ბ. კუფტინის აზრით, „ქამრებზე მოტანილ წარმოსახულებებში საქმე უნდა გვქონდეს ცხოველურ ბრუნვასთან, როცა ნადირობის სცენები იძენდნენ წმინაარსობრივად სულ სხვა აზრს“⁸¹.

ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა წერილების სერია, რომლებიც მიძღვნილია ძველი ქართული გამოყენებითი ხელოვნების ისეთი ძეგლების შესწავლისადმი, როგორცაა გვიანი ბრინჯაოს ხანის სარტყლები სამთავროდან, თრიალეთიდან და სხვ.⁸²

ამ შესწავლის საფუძველზე, მკვლევარის აზრით, „დგინდება შინაგანი, შინაარსობრივი კავშირი ყველა სტრუქტურის გამოსახულებათა შორის და იქმნება ერთიანი იდეური ჯაჭვი, რომელიც ნათლად გამოხატავს ძველ ქართულ მიწათმოქმედთა ფანტასტიკურ შეხედულებებს ბუნების მწარმოებლური ძალების შესახებ“⁸³.

კოლხეთში თემური წყობილების რღვევა და კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი რკინის იარაღების წარმოების თანდათანობით ზრდის საფუძველზე ხორციელდებოდა. ამ პროცესს თანახლდა გაცვლითი ურთიერთობის გაღრმავებით საქონლის საყოველთაო ექვივალენტის, ლითონის ფულის. — კოლხური თეთრის მოჭრისა და დამწერლობისათვის სათანადო ნიადაგის შემზადება.

კოლხურ-იბერულ სარტყელებზე, კოლხურ ცულებზე, ხუცუბუნის

⁸¹ Б. А. К у ф т и н. М а т е р и а л ы по археологии Кавказа. Тбилиси, 1952, გვ. 56.

⁸² ნ. ურუშაძე. „ბრინჯაოს სარტყელი სამთავროდან“. იხ. ჟურნ.: „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, № 3. მისივე „ძველი ქართული გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლები ძეგლი“, იხ. № 8. და ასევე „ორნამენტული და გლუვზედაპირიანი სარტყლები სამთავროს ნეკროპოლიდან“. იხ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1970 წ. № 12.

⁸³ იხ. დასახ. ჟურნ. № 12, გვ. 73.

თაღოვან ბრინჯაოს ნახევარსფეროებზე ხატოვანი სიუჟეტებისა და პიკტოგრაფიული ნიშნების გამოხატულების გზით თანდათანობით უნდა შემუშავებულიყო ხატოვანი დამწერლობა, საიდანაც გადასვლა ხდებოდა პირობით ნიშნებზე (რომელიც სრულებითაც არ გავს საგნის წინანდელ გამოხატულებებს, მაგრამ აღნიშნავს გარკვეულ საგანს, ან მათ კომპლექსს), — ხოლო აქედან, ანბანის და დამწერლობის შემუშავებაზე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კინტრიშის ხეობაში ბრინჯაოს ქაპრის ორნამენტებთან ერთად აღმოჩენილი ცის თალის სიმბოლური გამოხატულება გარკვეული შინაარსის პიკტოგრაფიული წარწერაა, იგი როგორც საკულტო დანიშნულების საგანი გარკვეულ იდეურ მიმართებასა და კავშირში უნდა იმყოფებოდეს დღემდე ცნობილ როგორც კოლხურ-იბერულ ბრინჯაოს მოხატულ სარტყელებთან, ასევე ცულებთანაც.

ამ უქანასკნელით და ყველა სტრუქტურის გამოსახულებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ დგინდება ერთიანი იდეური ჯაჭვი და კავშირი ქართველი ტომების ერთის მხრივ სამიწათმოქმედო აღრინდელი კულტურისა და მწარმოებლური ძალების ბაზისურ მოვლენათა შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ კინტრიშის ხეობაში აღმოჩენილი ზეცის გამოხატული თალი, მისთვის დამახასიათებელი ასტრალური ნიშნებით, სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს ზედნაშენურ წმინდა იდეურ. რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ აზროვნებას, რომელიც ციურ მნათობთა კულტს უკავშირდებოდა, და მთლიანად ასევე მისგან გამომდინარეობდა სინამდვილეში. მოგვიანებით ამ ტრადიციას თეთროსან-ლევკოთეას ტაძარი აგრძელებდა. სწორედ ამდენად იქმნება მთლიანი სოციალურ-ეკონომიური და იდეური (ანუ ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების) ერთიანი ჯაჭვი, რომელიც უნდა გამოხატავდეს და წარმოგვიდგენდეს ქართველი ტომების განვითარების როგორც ბაზისურ, ასევე ზედნაშენურ მოვლენებს გვიანი ბრინჯაოსაგან რკინის ხანაზე გარდამავალ პერიოდში.

ე. მნათობთა (მთვარის) კულტის გავრცელების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები და მისი კულტმსახურების ზოგიერთი წეს-ჩვეულების შესახებ

ქართული წარმართობის ჰემმარიტიბუნების შესასწავლად ჩვენთვის მთავარია არა ძველი აღმოსავლური ქვეყნების რელიგიურ მსოფლმხედველობრივი გავლენა და მათ რელიგიურ შეხედულებათა ნაირსახეობის ამსახველი ლიტერატურული სქემები, არამედ საკუთრივ ქართული ადგილობრივი სინამდვილე, ხალხში შემონახულ წარმართულ-

რელიგიურ ადგილობრივ ღვთაებებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, დღესასწაულები, რომლებმაც გასაოცრად დიდი გამძლეობა გამოიჩინეს და დღესაც შერწყმულია ქრისტიანულთან. ქართული წარმართობის შესახებ უკვე გამოვლენილი და მეცნიერულად გაანალიზებული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ფოლკლორული თუ სხვა ხასიათის დიდძალი მასალა ნათლად ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის იმ საყოველთაოდ აღიარებულ დებულებას, რომ რელიგიაში ადამიანზე ბატონობს მისი საკუთარი ტვინის ნაწარმოები.

ძველი კოლხური, ისე როგორც იბერული სამყაროს მკვიდრთა აღრიდანვე უნდა ჰქონოდათ შემუშავებული მტკიცედ ჩამოყალიბებული წარმართულ-რელიგიური სისტემა. ეს უკანასკნელი კარგად დასტურდება მთვარისა და საზოგადოდ მნათობთა კულტის საყოველთაოდ არსებობით იბერულ-კოლხურ სამყაროში.

წარმართულ ქართველ ტომებში წლის სხვადასხვა დროს ფართოდ გავრცელებული რელიგიური სადღესასწაულო ღამისთევები სალოცავებში და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, როგორც ეს ივ. ჭავჭავიძემ შენიშნა, მთვარის კულტთან იყო დაკავშირებული. მისი აზრით „მთვარის, ვითარცა მთავარ მუფთისა და ღვთაების, თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“.⁸⁴

მთვარის წარმართულ ღვთაებას და ახალ რელიგიას, ქრისტიანობას შორის მთელი რიგი გარდამავალი ღვთაებები არსებობდა, ამთგან ქართველ ტომებში განსაკუთრებული ადგილი წმინდა გიორგის ღვთაებას ეჭირა, მაგრამ ამ უმთავრეს გარდამავალ ღვთაებას (წმინდა გიორგის) გარდა ცალკეულ ტომებში (უმთავრესად მთაში), მაინც არსებობდა სხვა სახის გარდამავალი ღვთაებანი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ თავისთავადობას და თვით ქრისტიანობის ბატონობის პირობებშიაც კი რამდენადმე მოქმედ კონსერვატულ საკულტო ინსტიტუტებად რჩებოდნენ.

ივ. ჭავჭავიძელი, აღნიშნავდა, რომ ყოველ ტომს, გარდა საერთო ღვთაებისა, თავისი საკუთარი ღვთაება უნდა ჰყოლოდა. მაგრამ მან წარმართულ მთვარის ღვთაებიდან ქრისტიანობაზე გარდამავალ ღვთაებად წმინდა გიორგის ღვთაება მიიჩნია. სხვა სახის ანალოგიური გარდამავალი ღვთაებანი, რომლებიც წინ უძღოდნენ, ან განაგრძობდნენ არსებობას ქართველ ტომებში ქრისტიანობასთან ერთად, სპეციალური კვლევის საგნად გაიხადეს და ახალი მასალებიც მოიძიეს ივ. ჭავჭავიძელის მოწაფეთაგან არქეოლოგებთან ერთად ეთნოგრაფებმა პროფესორებმა ვ. ბარდაველიძემ, ს. მაკალათიამ, მ. ჩიქოვანმა, აღ. რო-

⁸⁴ ივ. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 48—50.

ბაქიძემ და სხვ., ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე შევჩერდებით ლევეკოთას ტაძარსა და ნასაყდრალ თეთროსანთან დაკავშირებით.

ალბანეთის მკვიდრთა წარმართული სარწმუნოების სტრაბონისეული აღწერილობის შედარებამ კახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში თეთრ-გიორგობაში დაცულ სალოცავ წეს-ჩვეულებებთან განამტკიცა რწმენა, რომ ალბანეთსა და საქართველოში ერთნაირად ყოფილა აღიარებული მთავრე უმთავრეს ღვთაებად: „ალბანელნი ღმერთებსავეით თაყვანსა სცემენ მზესა, ზევსსა და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე. პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება. იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე“.⁸⁵ სტრაბონი აქვე გადმოგვცემს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წეს-ჩვეულებებს და სხვ.; სტრაბონისავე ცნობით, მთვარის თაყვანისმცემლები იყვნენ პონტოელებიც. აკად. ივ. ჯავახიშვილი ალბანეთისა და იბერიის საზღვრისპირა ადგილად კახეთს მიუთითებს და ვარაუდობს, რომ სტრაბონისეული მთვარის ტაძარი კახეთში უნდა ყოფილიყო.⁸⁶

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორი ეყრდნობა სოფ. აწყურში დაცულ თეთრი-გიორგის საღვთო-სადღესასწაულო წეს-ჩვეულებების შესწავლას, მის შედარებას სტრაბონის მიერ მოცემულ ალბანეთის მთვარის ტაძარ-ღვთაების რიტუალურ წესებთან და დასძენს:

„საკვირველი მსგავსებაა!... ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის ღღესასწაული, ქართველმა ხალხმა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა, ამ ორმა სარწმუნოებამ ხანგრძლივი ძლიერი გავლენა იქონია ჩვენს ეროვნულ აზროვნებასა და ზნეჩვეულებაზე. მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შენახული უძველესი სარწმუნოების კვალი“.⁸⁷

თეთრი-გიორგობის ღღესასწაულის წეს-ჩვევანი თავის დროზე შეუნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონს ფშაველებში. იგი წერს: „აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი და ღალადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა; და რასა იგი იტყვის... და ჯერ იჩენენ უმეტეს კეშმარტებას“.⁸⁸ მთვარის თაყვანისცემისა და მსახურების კვალი წმინდა გიორგის ხატობაში შენახული იყო ასევე რაჭაში, მრავალ-ძალის წმინდა გიორგის საყ-

⁸⁵ სტრაბონი, გეოგრაფია, XI, პარ. III, 7.

⁸⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1960, გვ. 51.

⁸⁷ იქვე, გვ. 52.

⁸⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 140.

დარში, სამეგრელოში სოფ. სუჯუნაში, სადაც წმინდა გიორგის საყდარი იმყოფება. სენათში წმინდა გიორგის საღვთისმშობლო ძველი წეს-ჩვეულებანი თავის გამოხატულებას პოულობენ „ნაციხურობი“-სა და „ლამპდარი“-ს მთვარისეულ საკულტო წეს-ჩვეულებებში.

თეთრი გიორგის ხატობას, ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ იგი საღამოს იწყება და მთელ ღამეს გრძელდება, როგორც მთვარის ხატობისა; ეს ღვთისმშობლო 14—15 აგვისტოს ეწყობა და მთვარის აღვსებასთანაა დაკავშირებული.⁸⁹ ისე, რომ თეთრი გიორგის ხატობამ, რომელიც ასე კარგად შემორჩა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაიკავა წარმართობის დროინდელი მთვარის, როგორც უმთავრესი ხატობის ადგილი.

ივ. ჭავჭავაძის მთვარის თაყვანისცემის დასასაბუთებლად არ მიაჩნდა საკმარისად იმ დროს მის განკარგულებაში არსებული ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, საკულტო-რელიგიური, მითოლოგიური, არქეოლოგიური და სხვა სახის მასალა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ რამდენიმე კუთხეში იყო შეგროვილი, და დასძენდა, რომ „საჭიროა დამტკიცდეს, რომ მთვარის თაყვანისცემის ნაშთი და კვალი ჩვენს სამშობლოს სხვა კუთხეებშიაც შერჩენილი არის“.⁹⁰

ჩვენი მოსაზრებანი ხუცუბან-თეთროსანის კონკრეტულ ისტორიულ ძეგლებზეა დაყრდნობილი და წარმოადგენს ახალ მასალას ივ. ჭავჭავაძის აქ გამოთქმულ შეხედულებათა დასასაბუთებლად. დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, კინტრიშის ხეობის სინამდვილიდან ირკვევა, კოლხური სამყარო ასევე მთვარის თაყვანისმცემელია.

ცისა და ციურ მნათობთა კულტის წარმოშობასა და ამ კულტმსახურების მთელი სისტემის შემუშავებას, რომელმაც ესოდენ ღრმად კვალი დაამჩნია ქართველ ტომთა მსოფლმხედველობას და რელიგიურ რწმენას, რა თქმა უნდა, თავისი წარმომშობი სოციალურ-ეკონომიური პირობები და ისტორიული გარემო ჰქონდა. როგორც ირკვევა, ძველ კოლხურ სამყაროში საამისო პირობები აღრითვანვე უნდა შემზადებულიყო ამ მხარის მკვიდრ ქართველ ტომთა სამიწათმოქმედო და მეტალურგიულ-ხელოსნური კულტურის თავის დროის კვალობაზე უაღრესად დაწინაურების საფუძველზე.

მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია ისტორიული კვმარიტება, რომ კაცობრიობის ისტორიაში ცის და ციურ მნათობთა კულტის შემუშავებასა და გაღრმავებაში იმთავითვე დიდი როლი უნდა შეესრულებია იმ ტომებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ლითონ-

⁸⁹ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია წ. 1, 1960, გვ. 53.

⁹⁰ იქვე.

ნის მოპოვებისა და მისი დამუშავების საქმეში, შექმნეს უძველესი კერები ლითონის ნაირსახეობათა წარმოებისათვის.⁹¹ ისტორიული წყაროების შესწავლის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ქართველურ ტომებს მადნეულობის დამუშავების რთულ საქმეში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით.

ქართველური ენების მეცნიერულად შესწავლამ უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლას, დიდ ინტერესს იწვევს ამ მხრივ ენათმეცნიერთა დაკვირვება ტერმინებზე: სპილენძი, ოქრო, ვერცხლი და თითბერი—და მათი ეტიმოლოგიები, ახლა მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ ლითონთა დამუშავებას ქართველი ტომები ძალიან ადრე ჰკიდებენ ხელს. და ამ ნიადაგზე მათი სახელწოდება უძველესი დროიდანვე შემუშავებულია და დამკვიდრებულია ქართველურ (მეგრულ, სვანურ, ქანურ) ენებში.

„მეტალურგია ქართველებში იმდენად იყო განვითარებული, რომ ზოგიერთი მათი სახელი სხვა ხალხებს ქართველებსაგან აქვთ შეთვისებული. ბერძნული სიტყვა „ხალიბოს“, რაც „ფოლადს“ ნიშნავს, ხალიბების ტომის სახელისაგან არის ნაწარმოები, ევროპული ტერმინ „ზრონზა“-სა და ქართულ „სპილენძის“ ურთიერთობის მსგავსად“. ამიტომ არაა შემთხვევითი და ახალი აღმოჩენებით ხომ დადასტურდა კიდევ ძველ წყაროებში შემორჩენილი ცნობების სინამდვილე იმის შესახებ. რომ კავკასია უხსოვარი დროიდან აწვდიდა ლითონის ნაწარმს წინა აზიას და სხვ.⁹²

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, იესენმა კავკასიაში ბრინჯაოს დამუშავების გარიჟრაჟად მიიჩნია მესამე ათასეული ჩვენს ერამდე.⁹³

ბ. მარი წერს: „მდ. კოროხის აუზში და არა რიონზე მოსახლეობდა, როგორც ჩანს, ტომი, რომლებმაც შექმნეს ძველი კოლხიდა.“⁹⁴ ამავე მოსაზრებისაა იესენი, როცა იგი წერს: «По данным Страбона только Месхи могут быть отнесены к территории Закавказья и со значительной долей вероятности областью их распространения следует признать район Аджаро-Чорохской группы медных месторождений и древних разработок».⁹⁵

⁹¹ Н. П. Марр. Яфетические элементы..., გვ. 139—145.

⁹² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 20. საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიას რედ. 1940, გვ. 14.

⁹³ იხ. A. em. Talgrer Kaukasus, Fronzeit... der vorgeschichte, V, 216, Berlin.

⁹⁴ И. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии на Кавказе, 23. 138—139.

⁹⁵ იხ. „სამაჰმადიანო საქართველო“, კრებული, 1915, გვ. 27.

⁹⁶ A. Иессен, Из истории древней металлургии Кавказа 1939, გვ. 198.

აკად. ნ. მარი თავის მრავალ მეცნიერულ გამოკვლევაში გარკვევით წერს და ასაბუთებს ამ მხარის მკვიდრთა მეტალურგიულ, ქველთაძველ ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ზედნაშენურ მოვლენებსაც, — კერძოდ შენიშნავს, რომ «Металлургические знания этого района подняли интерес населения к культуре неба»⁹⁶.

ბ. მარის დაკვირვებით, ქართული სიტყვა რკინა — „კინა“ ქანებისა და ლაზების სატომო სახელწოდების გამოხატველი უნდა იყოს. მათ ბიბლია „თუბალ კინს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს იყო ტომი „კვერით ხუროი მკედელი რვალისა და რკინისა“⁹⁷ სწორედ ამ შეხედულებას ასაბუთებენ ივ. ჯავახიშვილი, და ს. ჯანაშია თავიანთ გამოკვლევაში, მაგ., „თუბალ-თაბალ ტიბარენი იბერი“⁹⁸ და სხვ. ასევე აკ. შანიძე ნარკვევში „ტობადოს ეტიმოლოგიისათვის“⁹⁹.

ბ. მარის დაკვირვებით, ქართული სიტყვა რკინა ცას გამოხატავს (იხ. მარის: «Батум Ардаган...», გვ. 37). ალბათ ქართველურ ენათა გავლენით სომხურ ენაში ცის გამოსახატავად იხმარება ტერმინი „ერჯირ.“¹⁰⁰ მაშასადამე, მეტალურგიული წარმოების აღრიდანვე დაწინაურებამ შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთის სანაპიროებზე, უმთავრესად კოროხის ხეობაში, მცხოვრებ ტომებში შექმნა ცის კულტი და მასთან დაკავშირებით კოსმიურ-ასტრალური მსოფლმხედველობა, რომელიც ენას ასე კარგად შემოუნახავს. Устанавливается, что в определенную эпоху на первый план выделяется небо всепоглощающее собою, т. е. небо в современном его понимании, — небо верхнее¹⁰¹.

ლითონის დამუშავება, მკედლობა და მასთან დაკავშირებული ხელოსნობის დარგები თავის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რელიგიურ-მაგიური წარმოდგენებისა და სისტემების შემუშავებით ხასიათდება. ეს მაგიური წარმოდგენები საერთოდ გარკვეულ მატერიალურ ბაზისზეა დამყარებულნი, მაგრამ ამასთანავე მკედლობა და მაგია ისტორიული განვითარების პროცესში იმდენად მთლიანობაშია და უახლოვდება ირთმანეთს, რომ მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან მკვლევართათვის მოუხერხებელიცაა და ზოგჯერ გაუმართლებელიც. ქართული (უმთავრესად კოლხური) ხელოვნების და რელიგიური

⁹⁶ Н. Я. Марр, Батум, Ардаган, Карс—исторический узел межнациональных отношений Кавказа, 1913. тб., გვ. 17—18.

⁹⁷ Н. Я. Марр, Яфетические элементы, გვ. 141—142.

⁹⁸ იხ. ენიშვილი, შოაბე, 1937, გვ. 185—421.

⁹⁹ იხ. ენიშვილი შოაბე, ტ. I, 1937, გვ. 79—88.

¹⁰⁰ Н. Я. Марр — «Яфетические элементы в языках Армении». «Известия» Академия Наук, 1911, გვ. 141—142.

¹⁰¹ И. В. Мещанинов. Закавказские поясные бляхи, გვ. 2

სისტემების ისტორიული განვითარების ადრინდელ საფეხურს კოსმიური თემატიკა და კოსმოგონური წარმოდგენები ასულდგმულევენ. კოსმიური მსოფლმხედველობის შემუშავებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეტალურგიულ წარმოებას, მესოპოტამიის უძველეს მკვიდრთა, არსებითად ბიბლიური კოსმოგონია ხომ ძირითადად განსხვავდება იბერულ — კოლხური მეტალურგიული კოსმოგონური კონცეფციისაგან, რომლის წარმოდგენითაც „ცა მოქედლილია“ („გამოქედლილია მეტალისაგან“), ამის აშკარა ნიშნები ენასაც შემოუნახავს, როგორც უტყუარი საბუთი—„ცა მოიქედა ვარსკვლავებით“-ო, ასლაც ხომ იტყვიანი!

კოსმოსის შემადგენელი მთავარი ელემენტის: ცის, ციურ მნათობთა (მზე, მთვარე და სხვ.) ასტრალური კულტის გამომხატველი მეტად საინტერესო ტერმინი შემოუნახავს ქართველურ ენებს, წარმართული შვიდეულის აღრიცხვაში, მაგ., მეგრულ, ქანურ და სვანურ ენებში ხუთშაბათი ცის დღედ ითვლება.¹⁰² აფხაზურშიაც, ნ. ჭანაშიას დაკვირვებით, აფხაზური „ჩაჩხად ლ“, მეგრულ „ცაშხა დიდ“-ის ე. ი. დიდი ხუთშაბათის გამომხატველია¹⁰³. აკად. ნ. მარის აზრით, „ცა“ აქ ჩვეულებრივი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ხოლო ხუთშაბათი, ზეცის, ცის დღედ და მასთან დაკავშირებულ საკულტო სამსახურის აღმნიშვნელად.¹⁰⁴

ცის კულტი ქართველურ ტომთა ცხოვრებაში და ცნობიერებაში ლითონის წარმოების უძველესი პერიოდიდანვე შემუშავებულა და შემდეგში ღრმადაც გაუღდამს ფესვები. „დიდი ხუთშაბათი“-მთ „ცის დღედ“ ჰქონიათ კიდეც მიჩნეული; ამასთანავე შემთხვევითი არ უნდა იყოს მთელ საქართველოში დარჩენილი უძველესი ჩვეულება, როცა ყოველ დიდ ხუთშაბათს ყველა მკედელი გრდემლზე კვერს დაჰკრავდა; ასევე არაა შემთხვევითი ამირანის თქმულებაში დაცული ანალოგიური ცნობა იმის შესახებ, რომ „წყეული მკედელი დაჰკრავს კვერს დიდს ხუთშაბათს გრდემლს“ და კლდეზე მიჯაჭვული ამირანის გასაწყვეტად დამზადებული ჯაჭვი ისევ სქელდება“. კოსმიურ გმირს ამირანს მკედლობასთან მკვიდრო კავშირი აქვს.¹⁰⁵

რელიგიური დღესასწაული „ბარბარობა“ წარმართული ხანისაა

¹⁰² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 128.

¹⁰³ Н. Джанашия, Религиозные верования абхазов, Хр. вост., т. II, л. 88.

¹⁰⁴ Н. Марр. О религиозных верованиях абхазов. Хр. вост., т. IV, гв. 132. З. Анчабадзе, История Культуры древней Абхазии т. 1964 гв. 113—114.

¹⁰⁵ Н. Я. Марр, Предисловие к «Амран» (осетинский эпос, перевод Д. Чатцва, 1932, гв. 11.)

და ციური მნათობის — მზის კულტის გამომხატველია.¹⁰⁶ ოქროს საწმისის მფლობელი კოლხეთი ჯერ კიდევ ძვ. წ. მეორე და პირველ ათასეულის მიჯნაზე წარმოადგენდა მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ამიტომ არ უნდა იყოს შემთხვევითი ის მოვლენა, რომ მეტალურგიის ეს არქაული ცენტრი გახდა შემოქმედი იმ რელიგიურ-მაგიური კოსმიური კონცეფციებისა, რომელმაც თავისი მკვიდრი გამომხატულება ხელოვნებაშიაც ჰპოვეს და რომლის „დამახასიათებელია კოსმიური თემატიკა“; ამ მოსაზრების დასაბუთებლად დასახელებულ წყაროებთან ერთად, გარკვეული მნიშვნელობა, როგორც ნივთიერ მასალას სხვა არქეოლოგიურ კომპლექსთა შორის, ხუცუბნის ძეგლს ენიჭება (იგულისხმება ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ნახევარსფერო).

მატერიალური კულტურის ეს ძეგლი, როგორც აღვნიშნეთ, საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო, იგი ზეცას და ციურ მნათობთ — მთვარესა და ვარსკვლავებს უნდა გამოხატავდეს. მთვარის ღვთაების ნახევარსფეროზე გამომხატვა ამ ღვთაების უძველესი გამოსახულება უნდა იყოს; იგი წინ უნდა უსწრებდეს მთვარის ღვთაების ადამიანის ფიგურით გამომხატვას, რომლის უძველეს ნიმუშად ქართულ რელიეფურ ქანდაკებაში ჯერჯერობით მიჩნეულია აღბუღალის სტელა¹⁰⁷.

კინტრიშის ხეობაში ნაპოვნი ბრინჯაოს ნახევარსფერო ქრონოლოგიურად ცის, მთვარის და ციურ მნათობთა უფრო ადრინდელი გამომხატულება რომ უნდა იყოს, ვიდრე აღბუღალის სტელა, ამაში გვარწმუნებს მისი მხატვრული არქაულ-კოსმიური კომპოზიცია (კონცეფცია), რომელიც იცვლება განვითარების შემდეგ საფეხურზე. კოლხურ ხელოვნებაში ეს ცვლილება უფრო მოგვიანებით ტოტემურ კონცეფციაში აისახება, რომელიც სხვადასხვა ცხოველთა, ზოგჯერ ფანტასტიკურ გამომხატულებათა, მდიდარ გალერეას ქმნის.

მაშასადამე, აღბუღალის სტელა, ადამიანის ფიგურის სახით წარმოდგენილ, მთვარის ღვთაებას რომ გამოხატავს, უფრო ნაგვიანები პერიოდის ძეგლი უნდა იყოს, ვიდრე ანალოგიური დანიშნულების, მაგრამ უფრო ფართო შინაარსის, არქაულ-კოსმიური კონცეფციით შემუშავებული ცისა, მთვარის და ვარსკვლავთა ნიშნების რეალურად გამომხატველი ხუცუბნისეული ნახევარსფერო. კინტრიშის ხეობაში

¹⁰⁶ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ), თბილისი. 1941.

¹⁰⁷ ამ ძეგლის დათარიღებისას ქრონოლოგიურ საზღვრად აკად. შ. ამირანაშვილი სდებს ძვ. წ. XII საუკუნეს (იხ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII B, 1944, გვ. 128 და მისივე, ქართ. ხელოვ. ისტორია, გვ. 59).

ნაპოვნ ძეგლზე გასაოცარი მარტივი ხერხებითაა მიღწეული ზეცის და ციურ-მნათობთა მინიატურული რეალური წარმოსახვა. ნატურალიზმი, რომელიც აქ აშკარად იგრძნობა, ოდნავადაც არ ზღუდავს ხელოვან ოსტატის შემოქმედებით შესაძლებლობას, მის უნარს.

შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, რელიეფური სტელა ალბულადიდან გამოხატავს ღვთაებას და მას ძველად არმაზი ეწოდებოდა¹⁰⁸. წმინდა ნინოს ცხოვრებაში დაცული არმაზის კერპის აღწერილობაც ადამიანის ღვთაებად გამოხატულების უქვეო დამადასტურებელია. ქრონოლოგიურად ალბულადის ღვთაების გამომხატველი რელიეფური სტელა წინ უნდა უსწრებდეს არმაზის კულტის ქანდაკებას. რაც შეეხება ჩვენს ძეგლს კინტრიშიდან, იგი საფიქრებელია, ორთავეზე ადრინდელია და ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ალბათ, ასეთ ადგილს დაიჭერს.

მნიშვნელობა აქვს საფლავ № 4-ში აღმოჩენილ ამ ძეგლის განხილვას სხვა, იქ დაცულ ნივთთა კომპლექსთან ერთად, მის მდებარეობას სამარხში. მართალია სამარხების უმრავლესობა იმდენად დაზიანებული იყო, რომ ნივთთა განლაგების თავდაპირველი წესრიგის აღდგენა შეუძლებელი გახდა, მაგრამ სხვა სამარხებთან შედარებით № 4 სამარხი ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს. ბრინჯაოს ნახევარსფერო საფლავში ჩატანებულ სხვა ნივთთა შორის შედარებით შუა ადგილას იდო. საყურადღებოა ისიც, რომ ნივთი დამხობილი იყო ისე, რომ ზენიტის ნახევრეტის გადახრის წერტილი სამხრეთით იმყოფებოდა, როგორც სავსე მთვარეს შეიძლება რეალურად ეპიროს ზენიტზე — სამხრეთით ოდნავ გადახრილად. ეს ფაქტი, თუ ძეგლი თავდაპირველ მდგომარეობას ინარჩუნებდა, საინტერესოა, რადგან იძლევა გარკვეულ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ იგი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო საკულტო დანიშნულებისათვის. როგორც ჩანს, ცის ზალისა და მნათობთა ამ მინიატურულ, სიმბოლურ გამოხატულებას თან აყოლებდნენ სამარხში, როგორც საგზალს ამ ქვეყნიდან, იმ რწმენით, რომ საიქიოშიც ადამიანს ზემოდან კვლავ დაჰყურებს ცა და ციური დიდი და მცირე მნათობნი. საფიქრებელია, ეს საფლავი იყო კულტის მსახურისა და მას ჩააყოლეს ეს „ხატი“ — იკონოგრაფიული გამოსახვა ზეცისა.

¹⁰⁸ საქ. მუზ. მოამბე, XI — B, გვ. 127.

**ვ. ყვავილ ბატონებზე იავნანას წარმართულ საგალობელთა
კავშირისათვის კოლხურ საკულტო-ნივთიერ და მხატვრულ-
მინიატურულ ზოგიერთ ძეგლთან**

ქართული ფოლკლორი ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, მისი ფიქრების, განცდების და ვნებათა ღელვის ის ამოუწურავი საგანძურია, რომელშიაც თავს იჩენს კარგად შემონახული და დაცული შორეული ისტორიული მოვლენები — რელიგიური წარმართული სარწმუნეობრივი შეხედულებანი, საწესო საგალობლები და ბევრი სხვა მსგავსი მოვლენა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს იავნანას საგალობელი ყვავილ-ბატონებზე.

ყვავილბატონებზე ძველი ქართული (კოლხური) საგალობლის „იავნანას“ წარმართულ ღვთაება ბარბარესთან, იგივე ბაბილონურ ლაბარტუსთან (ძუ ლომის ეპითეტთან) კავშირი, პირველად ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა და დღეს კარგადაა ცნობილი. ხუცუბნის სამაროვნებში ნაპოვნი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლომის თავები და თეთროსანის საყდარში მოხატული დავითნის მინიატურებში შემორჩენილი ლომის გამოხატულებანი ყვავილ იასთან კი გარკვეულ კავშირში უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან.

ხუცუბნის არქეოლოგიურ კომპლექსში შეინიშნება საგნები, რომელთა საკულტო დანიშნულება აშკარაა და ისინი მეცნიერულ გააზრებას დღემდე შემონახულ ანალოგიური ხასიათის სხვა მასალებთან კომპლექსურ შესწავლაში პოულობენ. ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნაწესო საგალობელი „იავნანა“, რომელიც აწ განსვენებული ვ. კოტეტიშვილის მოხდენილი თქმისა არ იყოს, — ლექსის „ყოველი ცალკე ფრაზა, მთელი მითოსია“.¹⁰⁹

ნანა კეთილი ძალაა, იგი იასთან, მცენარესთან. იხსენიება, მაგრამ „იავნანა“, როგორც საწესო სიმღერა, მთლიანად აღებული ასტრალურ ღვთაებათა საგალობელია, — ნანა მზესა და მთვარეს, დედასა და მამას ეწოდება.

„მზეო დედავ, მამავ მთვარევ,
ვარსკვლავებო — ჩემო მზეო“.

„იავნანას“ ერთ-ერთ (კარბულ) ვარიანტში ვკითხულობთ:

„მთვარე გრეხილად უვლიდა,
ვარსკვლავი დილად უბია“.¹¹⁰

ანდა იგივე სტროფი:

¹⁰⁹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედ., გვ. 324.

¹¹⁰ იქვე.

„მთვარე გრეხილად მოველო
ვარსკვლავი ღილად ეკერა“.¹¹¹

„იავნანასა“ და ე. წ. ყვავილბატონებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ძველადმოსავლური მსგავსი ტრადიციებიც. ასურულ-ბაბილონური რწმენით, ყოველგვარი სნეულება ადამიანებს ავიღთაებისაგან ემართებოდა. ასეთ ავსულთა რიცხვი შვიდი ყოფილა და მათ ისეთი ძალა ჰქონიათ, რომ მთვარის ღთაებასაც კი დასხმიან ერთხელ თავს და მისი სინათლე დაუბნელებიათ (მთვარე დაუბნელებიათ), როცა ვერც ერთმა ძლიერმა ღმერთმა ვერ შეძლო მათთან ბრძოლა და მთვარის გამოხსნა, მაშინ იას მიმართეს უფსკრულში დასახმარებლად, რომელმაც ამ შვიდეულის წინააღმდეგ მარდუკი წარგზავნა. შვიდეულთაგან უბოროტესად მდებდრობითი სქესის ლაბარტუ იყო ცნობილი. ბაბილონელთა წარმოდგენით ლაბარტუს თავი ძუ ლომისა ჰქონდა, მაგრამ ტურასავით გაჰკიოდა და პირიდან გოგორდს აფრქვევდა¹¹².

ხუცუბანში, კომაროვის ცნობით, 1881 წელს, ხოლო უფრო მოგვიანებით ე. თაყაიშვილის დაზვერვების ანგარიშიდანაც ჩანს, იმავე ადგილებში, სადაც ჩვენ გათხრები ვაწარმოეთ 1944 წელს, აღმოჩენილა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლომის ფიგურა. ეს ფაქტი და ხუცუბანშივე ნაპოვნი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ეს ფარისებრ გასხვიოსნებული ნახევარსფერო, რომელიც, როგორც ირკვევა, მთვარის ღთაების და მნათობთა კულტის გამომხატველია, ხომ არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ბაბილონური ლაბარტუს — ძუ ლომის (იგივე ბარბარეს) და მთვარის გამომხსნელ მარდუკის შერკინების სცენის მსგავს, კოლხურ სინამდვილესთან შეფარდებულ, რეალურ გამოსახვასთან?

„იავნანას“ საგალობელის ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მიერაა ჩაწერილი,¹¹³ ამ გადამღებ მთარულ ბა-


¹¹¹ ძველი საქართველო, III, 2 განყ., გვ. 214. აკად. ივ. ჯავახიშვილმა „იავნანა“ და ქართული წარმართული ღთაება ბარბარე, ლაბარტუს, ბაბილონური ძუ ლომის ეპითეტს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ „ყვავილბატონებს“ ბარბარეს სახელთან მჭიდრო კავშირი ჰქონიათ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950. გვ. 199) აკად. ს. ჯანაშიას აზრით, წინა-აზიის უძველესი ღმერთ-ქალის სახელი ნანა, ნინი, შენახულია უძველესი ქართული კერპის სახელში აინინა და შემდეგ იგი ქალის ეროვნულ სახელადაც იქცა (ნინო, ნანა), (გაზ. „კომუნისტი“, 1936, № 294).

¹¹² Б. Т у р а е в, История Древнего Востока, 1935. § гв. 139. ლენინგრადში აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ე. წ. ბროსეს ფონდში დაცულია „ქილიდა და აღმანას“ ხელნაწერი. მასში ჩართულია იგავის მინიატურული ილუსტრაციები, რომელიც თითქო მოთხრობილი იყო ძუ ლომის მიერ.

¹¹³ ანასტ. ერისთავ-ხოშტარია, მოთხრობანი, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 202.

ტონებზე ნათქვამია: „თეთრი ზღვიდან წამოვედითო“. ბატონებს ბალიც ქონიათ, რომელშიც თეთრი თუთა მდგარა,—„ბატონების ბალ-შიაო... თეთრი თუთა ასხიაო“, აქედან ჩანს, რომ ხალხის რწმენით, ამ გადამღებ სნეულებას „ბატონებს“ ზღვაში და ზღვის პირად ჰქონიათ სადგომი. ჩერქეზთა პანთეონში ზღვას თავისი ღვთაება ჰყავდა, რომლის დღესასწაულსაც ზაფხულობით მართავდნენ ზღვის პირად.¹¹⁴

ამავე კონტექსტში საყურადღებოა ისიც, რომ ხევსურელი სახალხო



14. ლომი ყვავილ-იასთან ორი მონადირის გამოხატულებით (დავითნის მონატულობაზე).

¹¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 220.

გმირის დაღუპვა, ხევსურული პოეზიის მიხედვით, ხდება მას შემდეგ, როცა მას აღმოუჩენენ ჯვარის გამოხატულებით მარჯვენა ბეჭზე მზისა და მარცხენაზე — ახალგაზრდა მთვარის გამოსახულებას.¹¹⁵

ამ ძველთაძველ ტრადიციებთან დაკავშირებულ მოვლენებს „იავნანას“ საგალობელთ ბუნებრივია თავისი მხატვრული გამოსახულების ერთგვარი კვალიც უნდა დაეტოვებინა. ჩვენის აზრით, ასეთი კვალი და ასახვა მას უძველესი ქართული მინიატურებით თეთროსანსა და ჯრუჭში მოხატულ დავითნის ფურცლებზე უპოვნია.

სწორედ ასეთი შინაარსისა უნდა იყოს სურათი ლომის ყვავილისა და ორი ფაროსანი მონადირის უაღრესად საყურადღებო გამოსახულებით.¹¹⁶ ეს შორეულ-წარმართული სიუჟეტი ქრისტიანობას წარმართულთან იმით შეუხამებია, რომ ფაროსან მონადირეს შუა ამოზრდილი ყვავილის ერთ-ერთი ღერო ჯვარის გამოსახულებით შეუმკია. მეომრებს ერთ ხელში უპყრიათ და წინა პლანზე აქვთ წარმოჩენილი საკულტო ფარები, რომლებიც თავისებურ პარალელს რამდენადმე ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ცის თაღის გამოსახულებაში შესაძლოა პოულობდეს. ერთ-ერთ მონადირეს ხელი აქვს მითითებული ყვავილისა და ლომის გამოსახულები-საკენ, რომელიც ყვავილთან და საკულტო ფართან ერთად წინა პლანზეა და ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ქართული წარმართობის ისტორიისათვის ეს უაღრესად საყურადღებო გამოსახულება მრავალმხრივ ინტერესს იწვევს და ამ თვალსაზრისით ეს მხატვრული ქმნილება სპეციალური შესწავლის საგანიც შეიძლება ჯავხდეს.

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ბატონების სახელით იხსენიებენ დიდი დედის — ნანას (რომელიც „მზის ღვთაების“, ქალბარბარის მთავარი იპოსტასია) შვილებს, მის მფარველ ღვთაებებს (ვ. ბარდაველიძე), რომლებიც თითქო იწვევდნენ ბავშვთა სახადს — ყვავილბატონებს, წითელას, ყბაყურას და ყივანახველას. ამიტომაც, რომ ბავშვთა ამ სახად სენს საზოგადოდ „ბატონები“ და, ბატონების მობრძანება ეწოდება, ბავშვთა მფარველი ღვთაების გულმოსაგებად სახადის გავლის შემდეგ ზვარაკად დაყენებული ფრინველის და ცხოველის შეწირვა-დაკვლა ხდებოდა; ხოლო დიდი დედის, ნანას კულტის პატივსაცემად იავნანას საგალობელი ბატონების გადალოცვამდე, ანუ ოჯახიდან მის ერთიანად წაბრძანება-გასვლამდე, (თითქმის განუწყვეტლივ სრულდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ საგანგებოდ ყვავილბატონების ნიშნებიც და ცალკე საკულტო სამლოცველონიც კი

¹¹⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურეთი, თბ., 1930, გვ. 16.

¹¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, იხ. H 1665 ხელნაწ. ფურც. 196.

არსებულა ქართველ ტომებში, მაგ., ქსნის ხეობაში სოფ. ასმაჯის თავზე კოდების ხევში დღემდე აღმართულ ქვა-ჯვარს „ყვავილების ნიშს“ ყვავილბატონების ნიშს უწოდებდნენ¹¹⁷.

„იავნანას“ საგალობლის თითქმის ყველა ვარიანტი და ხალხში „ბატონებთან“ დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, რომელთა უმრავლესობა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ შემოუნახავთ, გვაფიქრებინებს, რომ ამ საგალობელთა და წეს-ჩვეულებათა წარმოშობის თავდაპირველ კერად და შემოქმედად კოლხეთი და მისი მკვიდრი მოსახლეობა შეიძლება მივიჩნიოთ.

„იავნანას“ საგალობელში აღნიშნული თეთრი ზღვიდაი წამოსულ ბატონებსა და ასევე მითითებას „თეთრ თუთაზე“ და სხვა, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ამ მრავალრიცხოვან „თეთრებს“ გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ასევე ზღვისპირა საკულტო წარმართულ საყდარ „თეთროსანთან“, ამის ნივთიერ დამადასტურებელს ჩვენ ხუცუბნის სამაროვნებში მართალია ვერაფერს ვხვდებით, მაგრამ აქ ნაპოვნ საკულტო ძეგლებთან „იავნანას“ საგალობლები შესაძლოა გარკვეულ კავშირში იმყოფებოდნენ¹¹⁸.

ტალღისებრი დაწნული სპირალის ხაზოვანი ორნამენტები არქეოლოგების მიერ გაგებულა როგორც წყლის გამომხატველი გრაფიკული ნიშანი. ხუცუბანში აღმოჩენილი დიდი ოსტატობით დამზადებული ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები, სწორედ ასეთი ტალღისებრი წნული ორნამენტებით ხასიათდება; ეს გარემოება გარდა იმისა, რომ ამ საგნის ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს, ადასტურებს, რომ კოლხურ ზღვისპირეთში, გავრცელებული მსგავსი სხვა საგნების წარ-

¹¹⁷ ა. სოხაძე, საპლაცველო ნიშები ქსნის ხეობაში, იხ. ძეგლის მეგობარი, კრებული 24, გვ. 60—62.

¹¹⁸ В и р с а л ა ძ ე, Грузинский охотничий эпос (Автореферат доктор. диссертации) „იავნანას“ საგალობლის რამდენადმე სრული ვარიანტი შემოუნახავს პატარა ლიახვის ხეობის (მარცხენა ნაპირზე) ქორდის მკვიდრთ; აქაა დაცული წმ. ბარბარეს ეკლესია, რომელნიც ყვავილბატონების მფარველ ღვთაებად მიიჩნდათ. ჯორდული ტექსტი იავნანას საგალობელი ჩაიწერა, ყვავილბატონების სამკურნ. წეს-ჩვეულებანი აღწერა და ახლახან გამოსცა ს. მაკალათიამ (იხ. ლიახვის ხეობა, 1971, გვ. 67—70). იავნანას საგალობლის ეს ტექსტი, შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულია. რაც შეეხება მკურნალობის წეს-ჩვეულებას, იგი საეცებით იმეორებს იმავე წესებს, რაც დასავლეთ საქართველოს სინამდვილეშია დაცული. ბარბარეს ეკლესიას ბატონებნახადი თეთრებში გამოწყობილი, თეთრხილაბანდიანი ბავშვები მუხლმოდრეკილი სამჭერ შემოუვლიდნენ და თეთრ ფულს, სწირავდნენ. აქაღ თეთრი საგულისხმო მომენტია. პ-ლი ავტორის მართებული დასკვნით „ქორდის ბარბარე თავისი რიტუალითა და მასთან დაკავშირებული რწმენით, ძველი წარმართობის საყურადღებო გადმონაშთს წარმოადგენს“ (იქვე, იხ. გვ. 72).

მოება გაპირობებული იყო ხალხის ცხოვრების პირობებით. მათი განვითარების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლებითა და უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი მოვლენებით.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით, უაღრესად საყურადღებო მასალას იძლევა ახალი ტიპის კოლხური ლომხატული მონეტების განძი, რომელიც 1913 წ. აღმოჩენილა ზუგდიდის მიდამოებში, ახალსოფელში და დღეს აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული.

ამ განძის შესახებ ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა ნარკვევი¹¹⁹ და მონეტის სურათები, სადაც ვერცხლის კოლხურ ღირდაქმის AS-ზე შწოლარე ლომი, მარჯვნივ თავმიბრუნებული, პირდაღებულია გამოხატული, ხოლო RS-ზე ჩაზნექილ ოთხკუთხედში გამოსახულია რელიეფური ფიგურა, რომელსაც აქვს ხარის თავი და ადამიანის ტანი. გარდა ამისა, ახალ, ჯერ კიდევ უცნობი ტიპის კოლხურ ვერცხლის მონეტის AS-ზე პირდაღებული ლომის თავის პროფილია გამოხატული, ხოლო RS-ზე ჩაზნექილ კვადრატში წინა ფეხებზე წაწოლილი ძუ ლომის თავის პროფილია გამოხატული. ლომხატული მონეტები, რომლებიც ძვ. წ. VI—V საუკუნეებით თარიღდება და, როგორც სამართლიანად შენიშნავს ს. მაკალათია, იშვიათია, — დღემდე რამდენიმეა, (სულ 6 ცალი) დაცული¹²⁰. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ მონეტებს; ყველგან ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი აღმოჩენის ადგილი არ იცოდნენ და დღემდე დადგენილი არ იყო, მიაწერენ კოლხეთს. ახალ სოფელში (ზუგდიდში), აღმოჩენილი ლომხატული მონეტები კი საბოლოოდ ადასტურებენ მათი კოლხური წარმოშობის სინამდვილეს.

ლომების გამოხატულებათა სიხშირე არქეოლოგიურ მონაპოვართა მიხედვით, არა მხოლოდ ნუმიზმატიკური ხასიათის მასალებით დასტურდება, ლომის თავის მარმარილოს ქანდაკებანი აღმოჩნდა საჩხერეში სოფ. საირხეში, ვანის ანტიკური ნაქალაქარის შიდაციხის გალავანთან

¹¹⁹ ს. მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, 1947, გვ. 425 — 428.

¹²⁰ აქედან 1 ცალი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში („Num. Chron.“) 1871, გვ. 168, ტაბ. IV, №5; მეორე ბერლინის მუზეუმში („Num. Zeitschr.“) №4, 1870, გვ. 259, ტაბ. XI, № 4; მესამე ცალი ბოსტონის მუზეუმში („Num. Chron.“) 1893, გვ. 8, 88, ტაბ. VII, № 14; მეოთხე და მეხუთე ინახება ბ. შ. იაკუნიკოვის კოლექციაში. Незданные и редкие древнегреческие монеты, т. I, вып. III, 1909, გვ. 28. Колхидка зап. Грузии Нумизм. Отдел ИРАО შექვესე ცალი პახომოვის კოლექციაშია დაცული. Пахомов, Несколько слов о происхождении рюсика колхиды,

და სხვ. ხუცუბნის სამაროვნებსა და წინწყაროს სამარხებში¹²¹ აღმოჩენილი ლომის თავის გამოსახულებანი, სარტყელთა მოხატულობების ასტრალურნიშნისანი ლომების ხშირი გამოსახულებანი და სხვ. საფუძველს იძლევიან ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში, იგი უკვე შემუშავებული ტრადიცია იყო.

თრიალეთის სამარხებში აღმოჩენილ სარტყელთა ერთი ნაწილის ფანტასტიკური ცხოველები მზის გამოსახულებითაც გამოირჩევიან. მაგ., ლომებს ტანზე ასტრალური ნიშნები ამჩნევიათ, რაც მზის სიმბოლოური გამოხატულების, მზის კულტის — მზის ანუ ქალღმერთის ღვთაების არსებობის დამადასტურებელია.¹²²

ქართველ ტომებში მზის კულტი, მთვარის ღვთაების შემდეგ, ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული და მან ლომის სტილიზებულ კულტ-ღვთაების გამოსახულებასთან ერთად ყველაზე მეტად ცხენის კულტის არსებობაში პოვა ასახვა.¹²³ ამ საკითხზე ჩვენ სპეციალურად ზემოთ გვაქვს მსჯელობა და აქ არ შევჩერდებით; მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ცხენის მოშინაურება და გამოყენება ამიერკავკასიაში ქართველ ტომებშიაც ძვ. წ. II ათასწლეულიდან უნდა მომხდარიყო. ცხენმა უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ურთიერთობის გაფართოების საქმეში; განამტკიცა კავშირი დიდ ტერიტორიებზე დასახლებულ ტომთა შორის, გააძლიერა მათი ეკონომიურ-კულტურული კავშირ-ურთიერთობა და სხვ.

ზ. მითრას კულტი და მისი ქართული პარალელები (მირსობა, მოისარობა, აღერტობა).

მითრა და მითრაიზმი ქრისტიანობის წინამორბედ წარმართულ ღვთაებათა შორის ყველაზე მეტად პოპულარულია ძველ სამყაროში. მითრა სინათლის და ციური მნათობების ღვთაებაა, იგი მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მეშვეობით იცავს სამყაროს ბოროტებისაგან — (სიბნელის ღვთაება არიმანისგან) და დარაჯობს ამქვეყნიურ სიკეთეს (სინათლის კეთილი ღვთაების) აპურა-მაზდის შემწევობით.¹²⁴ მით-

¹²¹ Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии КСИИМК VIII, 1940, гв. 8 — 12. აღ. კალანდაძე, გვიან ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ჯეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 178 — 179.

¹²² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трпалети, Тб., 1941, гв. 51.

¹²³ Ш. Я. Амнранашвили, Две серебряные чаши из раскопок в Армази ВДИ. 1950, № 1.

¹²⁴ ს. შაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქ. მუზეუმის ზოამბე, ტ. III, გვ. 172—173.

რა — ძველი ინდურ-ირანული ლეთაება — სინათლისა და სიკეთის, ბოლოს მზის ლეთაების სინონიმად იქცა. ერთ დროს თქმულებით თითქოს მითრა და მზის ლეთაება ერთმანეთს ებრძოდნენ, რაც ბოლოს მორიგებით დამთავრდა. მითრას კულტი ძველია, იგი აღწერილი აქვს ჰეროდოტეს (V ს. ძვ. წ.). მითრა წმინდა გიორგის მსგავსად ხარს იქერს, იგიც მიწათმოქმედთა მცველ-მფარველი ლეთაებაა. მითრამ ფართო გავრცელება ჰპოვა რომში ჩაყენილ მონების მიერ პომპეუსის დროიდან და ადრე ასევე ვაქრებსა და ჯარისკაცების ფენებში. რომის იმპერიაში. ა. წ. III ს. მითრას კულტი სერიოზული მოწინააღმდეგე გახდა ქრისტიანობისა. მითრას სკულპტურული გამოხატულება კაბუჯი ახალგაზრდაა, რომელიც ხარს კლავს. ან ხარზე დგას ფრიგიულ ტანსაცმელში. ქრისტიანობამ ბევრი რამ მიიღო მითრასგან, მითრას კულტი დაეცა (ახ. წ. VI ს-ში).

ძველ სპარსეთში, კერძოდ აქემენიდების დროიდან მანდიანელობასთან ერთად ფართოდ იყო გავრცელებული მითრას, როგორც მხედართა მფარველის კულტი. იგი ადრიდანვე მკვიდრდება მთელ მცირე აზიაში, კერძოდ პონტოსა და კაპადოქიაში, საიდანაც მსოფლიოს მრავალ კუთხეში იკათავს გზას.¹²⁵

ბოლასკოიში 1906 წელს პ. ვინკლერის მიერ ხეთელ მეფეთა სახელმწიფო არქივში აღმოჩენილ ტექსტებში სხვა ღმერთებთან ერთად მითრაც იხსენიება.¹²⁶ მითითებულია ისიც, რომ მითრაიზმი მცირე აზიასა და კავკასიურ-ხეთურ სამყაროში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იყო გავრცელებული. დასავლეთ საქართველოში დღემდე დაცულია სალოცავი, რომელსაც მეგრელები „მირსობას“, ან „მისრობას“ უწოდებენ, სვანები „მეისარიბს“ და გურულები „მოისარობას“.

„მირსობას“ მეგრელები დიდმარხვის დაწყებამდე იხდიან. ამ დღისათვის საგანგებოდ ასუქებენ ღორს, რომელსაც „ომირსე“ ეწოდება. მირსობა დღეს, ხუთშაბათს (მეგრ. ცაშხა), ოჯახის უფროსი კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებს სამირსო ღორს შემდეგი ლო-

ცვით: ღლარი მირსობაში

მოზოქჭუა!

მაღო ჩქიმი ძილი დოსქუას
ბედი მეჩი, ბენიერო დაარინე,
ირი ალიანი ღო ჩალიანი

დღეს მირსობის მობრძანებავ!

მე და ჩემ ცოლს და შვილს
ბედი მიეცი, ბენიერად ამყოფე,
ყოველი ალიანი და ჩალიანი
(სიავე).

ქოგარაყი ირი უბადო შარას,
წყარს სი ქოთხილე, სქანი

გაუქარვე. ყოველი ავი გზისაგან.
წყლისაგან შენ დაიცავი, შენ

¹²⁵ Н. А. Кун, Предшественники христианства. М., 1922, стр. 123.

¹²⁶ M. Mitteilungen der deutschen Oriengesellschaft, № 35.

ლოცვის დასასრულს ღორს კლავენ და მართავენ რიტუალურ პურის კამას.

უფრო ფართო ხასიათი აქვს ამ წეს-ჩვეულებას სვანურ „მეისარობა-ში“, რაც ორ კვირამდე გრძელდება. აქაც იკვლება საგანგებოდ გასუ-ქებული ღორი, მზადდება საგანგებო ტაბლები ოჯახის თვითეული წევრისათვის და თაბახზე დალაგებული სამეისრო საჭმელის მიღების წინ შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამენ:

ხატ მედსარდაშ, სი ლოძვედ
ი ლოგმეკერ, თერალე მაზიგ
ოგქაბენ, მარყმი ნაშვიდომ
ოგხიდ; კუმაშ ოგფიშირ.¹²⁸

ხატო მეისარისაო, შენ შეგვეწიე
და მოგვეხმარე; თვალების ჭირი
მოგვაშორე,
კაცების მშვიდობით გაგვახარე,
საქონელი გავეიმრავლე.

მირსობა, ისე როგორც ღვთაება მითრა, თვალისა და სინათლის სალოცავია და განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მითრას ემბლე-მად თვალის გამოხატულება იყო მიღებული. მზე და მთვარე მითრას თვალად იწოდებოდა ძველი სომხური ტრადიციით. მითრა ღვთაება მზის სინონიმია. მითრაიზმში, ისე როგორც მირსობაში ღორის, ტახის ტოტემს, მის მსხვერპლად შეწირვას, როგორც წმინდა ცხოველისას, ღიდი ადგილი უჭირავს. ავესტას დებულებით, გარეული ღორი თავისი მახვილი ეშვებით წინ უძღვის ბნელი ძალების დასათრგუნად ეტლით გამოსულ მითრას (გამოხატულებანი). ღორი წმინდა მუხასთან (რკონი) დაკავშირებული ტოტემი იყო და, მზის ღვთაებისადმი შეწი-რული.¹²⁹

წყალტუბოს რაიონის სოფ. ზედა ცხენკურში უკანასკნელ დრომ-დე დაცული იყო ძველი წარმართობის დროინდელი წეს-ჩვეულებანი, რომელიც მირსობის არსებობაზე მიუთითებს, და იწოდება კი. ალურ-ტობად. ამ სოფლის მკვიდრმა 69 წლის მოხუცმა იოსებ გრიგოლის ძე ჯიმშელიეშვილმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ დღესას-წაულებში, როგორც მეალილოვე, შემდეგი გადმოგვცა:

Н. Кобалия. Из мифической Колхиды СМОМПК, вып. XXXII, отд. III, гл. 98.

¹²⁸ Арсен Ошанин. Сванские тексты на лашхском наречии. Мат. по Яфетическому языкознанию, IX. Петроград. 1917, гл. 18.

¹²⁹ ნ. შაკალათია, ახალი წელი საქართველოში, 1927, გვ. 39—50.

ალერტობის ხატის ლოცვა ნაშობევს. იანვარში ეწყობა სუთშაბათობით. ამ დღესასწაულს სოფელი ბუჯის დაკვრით ეგებებოდა და რკინის იარაღის ხმარება ბუჯის დაკვრის შემდეგ არ შეიძლებოდა. დღესასწაულის მოწყობას წინ უსწრებდა სოფლის მიერ არჩეული მეალილოეების მიერ სოფლად ჩამოვლა. მეალილოეები ვაგროვებთ ფულს, კვერცხს და სხვ. ამით ვცილდებით საალერტო ტახს, დიდ სალოცავ ღორს, დაეკლავდით და დავანაწილებდით კომლებზე. ვინც კი ალილოში დადიოდა, გულ-ღვიძლი მას რჩებოდა, აკეთებდნენ ღვიძლისაგან პერკს და მხოლოდ შეილიანს ზიარებასავით აჰმევენენ. უშილო ვერც მღვდელი დააკმევდა პერკს; პერკთან ერთად ღვინოსაც მიიღებდნენ და იტყოდნენ:

„ხატმა ალერტისამან,
„ალერტის მადლა ხეთისაჲ,
წერილნი გავიზაროს და
ზეც ნურაფერი დავიშარცხოს.“

ალერტობის დამთავრების შემდეგ ირჩევდნენ ახალ პარტიას მეალილოეებისას — ვინც უკეთ იტყოდა სამი გვარიდან — კეთილადე, ჭიმშელიეშილი, შვანგირაძე, ამათგან ერთს მისცემდნენ ღორის თავს.¹³⁰

„ალერტობაში“ იმასთან დამატებით, რაც ჩვენთვის ცნობილია მეგრულ „მირსობასა“ და სევანურ „მეისარობაში“, ყურადღებას იპყრობს სამსხვერპლო ღორის ყიდვა სოფლის მიერ წინასწარ არჩეულ მეალილოეთა კარდაკარ ჩამოვლით და ალილოს მოლოცვით შეკრებილი სახსრებით. ასევე დაკლული ღორის დანაწილება მთელ სოფელს შორის ე. წ. პერკის სახით.

ეს გვარი და მისი წევრები ერთობლივად ემსახურებიან ალერტის კულტს, სამეგრელოში კი ოჯახი კლავს საალერტო ღორს. ცხუნკურის ალერტობა ძველთაძველ საკულტო რელიგიურ წეს-ჩვეულებას წარმოგვიდგენს და მისი გადმონაშთები ხალხის ხსოვნაში დღესაცაა დაცული.

აქვე ისიც კარგად ჩანს, ქრისტიანობამ ეს წარმართული მისალოცი, საკულტო კოლექტიური ღონისძიება ალილო, როგორ აქცია ერთეულ ან ჯგუფურ მეალილოეთა პირად შემოსავლის წყაროდ.

რასაკვირველია, ასეთი წეს-ჩვეულებანი სპეციალურ შესწავლას მოითხოვენ. სოფ. ცხუნკურის მირსობა ე. წ. ალერტობა. არსებითად განსხვავდება მეგრულ, სოფ. ალერტის წეს-ჩვეულებისაგან.¹³¹

მითრა, როგორც ზეცის მეუღლე, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დანხარებით ბნელი ძალების დამთრგუნველად ითვლებოდა. ივ. ჯავახიშვილმა ამირანი მითრას დაუკავშირა და ვარაუდი გამოსთქ-

¹³⁰ ჩაწერილია იმერეთში. 1948 წელს. (იხ. ჩვენი მოგზაურობის მასალები).

¹³¹ ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 58—62.

ვა, რომ „შესაძლებელია ქართულ თქმულებაში თავდაპირველადაც გმირის სახელს ბგერა „ჰაე“-ცა ჰქონდა და იქნება „ამიპრან“-ად გამოითქმებოდა, რაც თავის მხრივ „მიპრან“-ს, „ამითრან“ — „მითრას“-ს უდრის-ო.¹³² ალერტობა და მირსობა, არსებითად მითრას კულტის ნაირსახეობად წარმოგვიდგება კოლხურ სინამდვილეში, რომელთა ვადმონაშთები დღესაც შემონახულია.

თ. წიფნაა გიორგი. კულტის გავრცელება, მისი ქრისტიანობასთან შერწყმის ისტორიული პირობები და თეორიულ-ლექსიკონური ტაძარი

გამოკვლეულია, რომ ეამთა მსვლელობაში წარმართულ საქართველოში მთვარის თაყვანისცემისა და მსახურების ადგილს წმინდა გიორგი იკავებს. წმინდა გიორგის თავდაპირველი სახელწოდება „თეთროსანია“, ე. ი. გიორგი თეთრ ცხენზე მჯდომის („ცხენოსნის“) მნიშვნელობით. მოგვიანებით ცხენის კულტის დაქვეითებასთან ერთად თეთრის ეპითეტი (თეთროსანი—ცხენის ნაცვლად) მხროლდ გიორგის დაუმკვიდრდა და იწოდება „თეთრ გიორგიდ“. სულ გვიან კი, ქრისტიანობის გავლენით, გიორგი წმინდანად იქნა შერაცხილი და იწოდება „წმინდა გიორგიდ“, თუმცა წმინდანის თვისებები და ეპითეტები, ქრისტიანული დოგმების მიხედვით, ამ ნამდვილ წარმართულ გმირს, ღვთაებად აღიარებულს, დიდი არაფერი გააჩნია.

ამრიგად, დავიწყებას მიეცა წმინდა გიორგის თავდაპირველი ისტორიული სახელწოდება „თეთროსანი“, რომელიც მას (გენეტიურად მთვარის ღვთაებასთან დაკავშირებულს) როგორც თეთრ ცხენზე, „თეთროსზე“, მჯდომ წარმართულ ღვთაებას ერქვა. კახეთში კი დღემდე შემონახულია მხოლოდ „თეთრი გიორგი“-ს სახელწოდება. საყურადღებოა, რომ წმ. გიორგის ეს უძველესი თავდაპირველი სახელწოდება, ტოპონიმიკური საღმრთო-საკულტო ადგილის სახით, შემონახული აღმოჩნდა იმ მხარეში, სადაც ქრისტიანობას დიდი ხნის მანძილზე ხელი აღარ მიუწვდებოდა მის მოსასპობად. ესაა გამუსულმანებულ საქართველოს შემადგენელ ქობულეთის მიდამოებში, სოფ. ხუცუბანში შემორჩენილი წმინდა გიორგის სახელობის თეთროსანის ნასაყდრალი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი. ლეკოთეა-თეთროსნის საყდარში ოდინდელი ტრადიცია არასოდეს არ უნდა ჩამკვდარიყო. აქ გვიანფოდალურ ხანაშიაც კი დიდხნით გრძელდებოდა ლიტურატურული შემოქმედებითი ადრინდელი ტრადიციები: იწერებოდა, ითარგმნებოდა და იკაზმებოდა წიგნები, უმთავრესად საღმრთო, ზოგჯერ საეროც. თეთროსანი როგორც ძველამოსილი საყდარი და კულტურულ-საგანმანათლებლო ადგილი გურიის მთავრის მულმივი მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ვიდრე იგი ფლობ-

¹³² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 159.

და ამ მხარეს. ჩვენამდის ამის დამადასტურებელ არა ერთ დოკუმენტს
ბოულწევია, რომელთაც ქვემოთ სათანადო ადგილს ვეხებით. ქრის-
ტიანობამ წმინდაგიორგის კულტივერ უარყო: ამიტომ ბუნებრივია,
იგი შეეცადა წმ. გიორგის კულტი ქრისტიანულისადმი შეეფარდებინა:
და გამოეყენებინა.

თეიმურაზ ბატონიშვილი მეტად ჭიკრიფას ცნობას გვაწვდის საქარ-
თველოში წმ. გიორგის კულტის ისტორიული ფესვების გასათვალის-
წინებლად. იგი წერს: „...ვინაიდან განგებულებითაც ზეგარდმოთა.
გიორგიელად წოდებული იგი (ქართველნი) უწინარეს ეამიდან... მე-
ფენი მარადის დროშითა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახეს,
წმ. ამის მთავარ მოწამისა გიორგისასა და ეგრეთვე ყოველთა ზედა
საქურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა და იქნა სახე მისი
შეწყენარებულ პირველ ორდენად ქართველთა სახელმწიფოსა, ქართ-
ველთა... იწყეს და აღაშენეს 365 ტაძარი... სახელსა ზედა წმიდისა ამის
მთავარმოწამისა“.¹³³

როგორც ვხედავთ, წმ. გიორგი უნივერსალურ ღვთაებადაა აღი-
არებული და წარმართულ ღვთაება-გმირს გამოსახავს. წმ. გიორგი
მეომრული გმირული თვისებებითაა წარმოდგენილი. მაგ., წმ. გიორგის
ხატებზე სამეგრელოში ე. თაყაიშვილი ასეთ წარწერას შეხვედრია:
„მხნეო მხედარო ქრისტესო გიორგი“. „მხნეო დიდო მხედარო“,
„მხედართ მთავარო შვიდწილ უძლეველო მოწამეო გიორგი...“ და
სხვ.¹³⁴ გიორგი მესამის სამეფო ბეჭედზე ეწერა: „წმინდაო გიორგი
მოსავი შენი გიორგი, ძალითა შენითა ვძლეე მტერთა ჩემთა.“¹³⁵

წმ. გიორგი თავის წარმოშობით, მსგავსად ქართველთა განმანათ-
ლებელ წმინდა ნინოსა, მცირეაზიელი კაბადოკიელია; მის შესახებ, ან-
ტიკურ სამყაროსა და მცირე აზიაში მრავალი ლეგენდა შემუშავდა, მაგ-
რამ არც ერთ ქვეყანაში ისე ღრმად, მრავალმხრივად და განუსაზღვ-
რელი კეთილშობილური ღვთაებრივი თვისებებით იგი არ შეუმკიათ და
იწამებიათ; როგორც ეს ქართველ ხალხში ძველთაგანვე დამკვიდრდა.
წმ. გიორგი ქართველთა ერთიანობის, ერთვნების გამომხატველ სი-
ნონიმად იქცა — მათი სამშობლო „გეორგიად“ იწოდა. ქართველთა
სახელმწიფო დროშაზე თეთრ. ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი
გამოიხატა და ბეჭედზე გიორგი დაეწერა. ქვეყანა წმ. გიორგის სა-
ხელობის ასეულ საყდრებით გაშენდა და ხატებით მოიკაზმა. ამიტომ
იყო, რომ ხალხი 365 წმ. გიორგის სახ. საყდარზე დალოცვას, ან შეჩ-
ვენება-დაწყევლას, უძლეველად მიიჩნევდა.

ეს მოვლენები, რასაკვირველია, არ შეიძლება შემთხვევითი მიზე-

¹³³ იხ. „ისტორია ივერიისა“, გვ. 18—20.

¹³⁴ იხ. მისი „არქეოლ. მოგზ. სამეგრელოში“, ძვ. საქ-ლო, ტ. III, გვ. 21, 25, 29.

¹³⁵ Н. Кондаков. Описание памятников древности Грузии, гв. 41.

ზებით აიხსნას, მათ, უდავოა, ღრმა ისტორიული საფუძვლები გააჩნია და გვაფიქრებინებს, რომ წმ. გიორგის კულტ-ის აღმოცენება-ჩამოყალიბებაში, სხვა მცირე აზიელ ხალხებზე უფრო მეტად ადრეც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშათ ქართველურ ტომებს.

წმ. გიორგი წარმართულ საქართველოში მთვარის ღვთაების შემცვლელ ღვთაებად გვევლინება, როგორც ეს დაასაბუთა აკად. ივ. ჯავახიშვილმა.¹³⁶

წმინდა გიორგის კულტი, როგორც გარდამავალი ეტაპი მთვარიდან ქრისტიანობაზე საქართველოში, განსაკუთრებით მთიანეთში, ღრმად იყო ფეხგადგმული ხალხურ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ხეცსურეთში წმ. გიორგი ყველა სალოცავთა შორის უპირატესი პატივისცემით სარგებლობდა, იგი მეზრძოლი ღვთაება იყო, იცავდა ხალხს, მის კეთილდღეობას და ჯანმრთელობას.¹³⁷

სვანური მასალები ამ მხრივ ძალზე უახლოვდება ხეცსურულს. ხეცსურეთში წმ. გიორგის მრავალბუნებოვნების 30 ეპითეტია დადგენილი, მაგ., „გიორგი ნაფეშ მამურთალი ანგელოზი“. „მინდვრის წმინდა გიორგი“, „კედლის გორ ზღურბლის ანგელოზი“, „გიორგი ბერძუხას დაარსებული“, „მთას ლალი წვერის ყარაული“, „სანება კარის მეზობელი“ და სხვ.¹³⁸

მეგრული „ჯეგე“ გიორგის, და სვანური „ჯგრაგ“ გიორგის შესატყვისობათა ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ნ. მარმა იგი კომპოზიტად აღიარა და წმინდა გიორგის გამომხატველ ცნებად ჩათვალა.¹³⁹

¹³⁶ ს. მაკალათიას გამოთქმული აქვს არსებითად სწორი მოსაზრება იმის შესახებ, „რომ წარმართულ საქართველოში წმ. გიორგის წინამორბედი ღვთაება მირსა, ან მითრა უნდა ყოფილიყო“ (იხ. მისი „ჯეგე-მისარინის კულტი ძველ საქართველოში“, 1938, გვ. 37). მაგრამ ს. მაკალათიას ჰიპოთეტურ მოსაზრებას, რომ თითქოს წმ. გიორგის კულტი „საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ შემოდის ჩვენში“, ჩვენ ვერ გავიზიარებთ (იხ. დასახ. შრ., გვ. 40). ავტორის აზრით, თითქოს მხოლოდ „საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერებასთან (11—12) სს.) დაკავშირებით ჩვენში მტკიცდება წმ. გიორგის თავეანისცემის რწმენა“ (იხ. დასახ. შრ., 26). მაკალათია ამ შესჯელობისას აწ განსვენებული ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევას იმეორებს (იხ. მაკალათიას დასახ. შრ., გვ. 22). სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ს. მაკალათიას და ივ. ჯავახიშვილის ძირითადი დებულებები წმ. გიორგის კულტის შექმნისა და გავრცელების პერიოდის შესახებ საქართველოში, არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. წმინდა გიორგის კულტ-ღვთაება, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბევრად წინ უსწრებდა ქრისტიანობას, წმ. გიორგის კულტი იმდენად დიდი იყო საქართველოში, რომ ქრისტიანობის ხანაში ქრისტეს კულტს და მის პოპულარობას თუ აჭარბებდა, თორემ არ ჩამოუვარდებოდა.

¹³⁷ И. Худатов, Заметки о Хевсуретии, гв. 91; Г. Радде, Хевсурия и Хевсуры, гв. 101.

¹³⁸ В. Бардавелидзе, Опыт социалистического изучения хевсурских верований, гв. 7—8.

¹³⁹ Н. Марр, О религиозном веровании абхазов, X, В, IV, в. 1, 140.

წმინდა გიორგი ადამიანის სიკეთისათვის და ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი გმირული თვისებებით დაჯილდოებული ღვთაებაა. ქრისტიანობამ ამ ქართულ წარმართულ ღვთაება-გმირს შეუწარმუნა ეს თვისებები და იგი ჩვეულებრივ ფრესკებსა და დროშებზე გამოხატულია თეთრ ცხენზე ამხედრებულ უძლეველ ქაბუჯად, რომელიც მახვილით ებრძვის ბოროტ ძალას, — გველემშას. ცნობილია, რომ ცხენოსანის ფიგურა ყოველთვის გმირ-რაინდს, მხედართმთავარს და მეფეს გამოხატავდა. ვ. ნოზაძე არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს, რომლის საფუძველზედაც იგი „მთვარის ღვთაებას წმინდა გიორგის კულტს უკავშირებს“ და შენიშნავს, რომ თითქოს „წმინდა გიორგის კულტი სწორედ მზის თაყვანებასთანაა გადაბმული“. ¹⁴⁰ მისი აზრით, „მთვარე უფრო ადრე იყო ღმერთი, მისი ღმერთობა უწინარეს მზისა, აიხსნება მთვარის მნიშვნელობით მწყემსი და მონადირე ხალხთათვის; იგი განმტკიცდა განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, სადაც მზე მავნედაც კი ითვლებოდა. მთვარის ეს უპირატესობა მზესთან შედარებით. გამოიხატა მთვარის სქესითაც, მთვარე ღმერთი იყო მამაკაცი, ხოლო მზე იმ ხანაში დედაკაცი. მისი აზრით, „მზის თაყვანისცემა უეჭველია, დაიწყო სასოფლო მეურნეობის ხანაში და ალბათ დარჩა აგრეთვე მთვარის ღმერთობაც.“ ¹⁴¹

ვ. ნოზაძე ცალმხრივად განიხილავს და მეტად შეზღუდულადაც ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ დაკვირვებებს მნათობთა კულტისა და კერძოდ მთვარის, როგორც უზენაეს ღვთაებად დამკვიდრების ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ გარემოს. იგი სავსებით გვერდს უვლის მეტალურგიის როლს და მნიშვნელობას ქართველ ტომებში მნათობთა და კერძოდ მთვარის კულტის შემუშავების საქმეში და ამ უკანასკნელს მხოლოდ მწყემსურ-მონადირული მეურნეობის პრიმიტიულ საფეხურს უკავშირებს, რაც შეცდომაა. ნოზაძის შენიშვნას მხოლოდ იმდენად შეიძლება ჰქონდეს მეცნიერული მნიშვნელობა ამ კამათში, რამდენადაც ივ. ჯავახიშვილი მთვარის ღვთაებიდან წმინდა გიორგის ღვთაებაზე გარდამავალი ისტორიული ხანგრძლივი პერიოდის განხილვისას ქართველ ტომებში არსებულ სხვა ასევე შუალედ (გარდამავალ) ღვთაებაზე სპეციალურად არ ჩერდება: თვით ვ. ნოზაძე ამ საკითხს კი საერთოდ უყუარადღებოდ ტოვებს.

წმინდა გიორგის კულტის ფართოდ გავრცელება საქართველოში, ისე როგორც ამიერკავკასიაში, ბიზანტიაში, ბალკანეთის ქვეყნებში,

¹⁴⁰ ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, გვ. 60. სანტიაგო დე-ჩილი, 1957.

¹⁴¹ იქვე, გვ. 100.

რუსეთში და ბევრ სხვა ადგილას ნიადაგს უქმნიდა და წარმოშობდა მრავალრიცხოვან ლეგენდებს, თქმულებებს, სადაც მოთხრობილი იყო გიორგი კაპადოკიელის ცხოვრება და სასწაულმოქმედებანი.

ჩერ კიდევ პლ. იოსელიანი ფიქრობდა, რომ წმ. გიორგის კულტი ნამოყალიბდა ქართველურ ტომებში, საიდანაც იგი შემდეგში გავრცელდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.¹⁴²

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმული ეს მოსაზრება გ. გოზალიშვილმა გააღრმავა და ახალი მასალებით დაასაბუთა, რომ ეგვიპტური მთვარისეული ლეთაება ტოტ (tot) თავის საწყის აზრობრივ და ფონეტიკურ ფორმას ქართული thve+thve — თვე (მთვარე mtvare), მთვარე, მეგრულ-ქანურ-ლაზური thuta, tula (მთვარე თვე) ეგვიპტურში ეტრუსკული ელემენტის მეშვეობით (რომლებიც მონათესავენია ქართველურ. ტომთა) ლეთაება ტოტას სახით დამკვიდრდა, რომ იგი თავის საწყისს მეგრულ-ქანური ენობრივი მასალიდან ლებულობს, საერთოდ აღიარებულია: «Что имя лунного божества в Египте распространилось именно в той форме, как это имело место в мегрело-чанско-лазском»¹⁴³.

წმინდა გიორგის ეს პოპულარობა სახვით ხელოვნებასა და მხატვრობაზეც დიდ გავლენას ახდენს და წმ. გიორგის პრობლემის მხატვრულ გადაწყვეტას ქართული იკონოგრაფიული ხელოვნება მეტად დიდ ყურადღებას აქცევდა. ერთ-ერთი ამგვარი ყველაზე უძველესი ცდა, რომელმაც დღემდე მოაღწია, არის წებელდის საკურთხევლის კანკელის ფიქალზე გამოხატული წმ. გიორგი, რომელიც რ. შმერლინგის აზრით VIII საუკუნით თარიღდება.¹⁴⁴

თუ როგორ გამოხატავდნენ წმინდა გიორგის ფიგურას ადრეულ ხანაში, ამის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი ცნობილი არქეოლოგის, გრაფინია უვაროვასაგან. გრაფინია უვაროვამ არქეოლოგიური მიზნებით გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა. ამ მოგზაურობას მან მიუძღვნა საყურადღებო გამოკვლევები ორ წიგნად, ამ ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელიც 1891 წ. გამოიცა, ჩვენ ვხვდებით ასეთ ცნობას: «Мы решили сегодня отправиться за 15 верст от Хуло в горное

¹⁴² П. Носеллиани, Краткая история Грузинской церкви, СПб, 1843 გვ. 15.

¹⁴³ Г. Гозалишвили, Два этюда из истории Понта и Каппадокии, Тб 1967, გვ. 25—26.

¹⁴⁴ Е. Л. Привилова, Художественное решение двух композиций «Чудес» Св. Георгия в грузинских росписях зрелого средневековья. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომამბე“, 1963, გვ. 182.

местечко Агара с целью произвести раскопки древней церкви, около которой найден медный образ св. Георгия, который под-
писали мне шакапухе».¹⁴⁵

უეაროვა არაფერს ვეაუწყებს. თუ რა სახისა და სიდიდის იყო წმინდა გიორგის ბრინჯაოს გამოხატულება. აგრეთვე არაფერი ვიცით არც იმის შესახებ, თუ სად ინახება ამჟამად აღნიშნული. უეაროვას ძუნწი ცნობებიდანაც გასაგები ხდება, რომ წმ. გიორგის ფიგურა გველეშაპისა და ცხენის გარეშე უხდა ყოფილიყო გამოსახული და არა ისე, როგორც უფრო მოგვიანებით ხდება მისი ასახვა მხატვრობაში. მაგალითად, განვითარებული ფეოდალიზმის ისეთ ძეგლებში, როგორც ეს წარმოსახულია ხატებისა და საყდრების მონახტულობებზე.¹⁴⁶

აღნიშნულს უნდა ადასტურებდეს ალბულაღის მხატვრული სტილი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, საფიქრებელია, იგი რელიეფურად უნდა გამოხატავდეს მთვარის კულტ-ღვთაებიდან წმ. გიორგის კულტ-ღვთაებაზე თავისებურ გარდამავალ ეტაპს. ამ ძეგლზე გამოხატული უნდა იყოს როგორც წმინდა გიორგი მახვილით, ასევე მთვარე — ახალმთვარის სახით; ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება თუ ადამიანის გამოხატულებით აისახა, იგი პირველ ყოვლისა გვიანი მოვლენაა და წმ. გიორგის კულტ-ღვთაების მეშვეობით მომხდარი ფაქტი უნდა იყოს; ეს ხდება იმ პერიოდში, როცა წმ. გიორგი მთვარის ადგილს დაიკავს. აკად. შ. ამირანაშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ალბულაღიდან ჩამოტანილი რელიეფური ქანდაკების ამ უძველეს ნიმუშს. მისი ვარაუდით აღნიშნული სტილა თითქოს მხოლოდ მთვარის ღვთაებას გამოსახავს.¹⁴⁷ მთვარის ღვთაებასთან ერთად აღნიშნულ ძეგლზე ასევე წმინდა გიორგის კულტ-ღვთაებაც უნდა იყოს ასახული. ისტორიული განვითარების პროცესში მთვარისა და წმ. გიორგის ამ შერწყმულ გამოხატულებას თანდათანობით უნდა ჩამოშორებოდა მთვარის ელემენტები და იგი, წმინდა გიორგი, მთვარის გარეშე, ღვთაება-ადამიანის თეთრონზე ამხედრებული გველეშაპის განგმირველ შუბოსანი გმირის დამოუკიდებელ გამოხატულებად წარმომდგარიყო.

ერთი კი ექვმიუტანლად დასტურდება: ძველი მესხეთი თავისი შემადგენელი სათემოებით (მათ შორის აქარა) უხსოვარი დროიდან ისევე უნდა ყოფილიყო წარმართული სარწმუნოების უმნიშვნელონეაი კერა, პრექრისტაანულ საქართველოში, როგორც საშუალო საუკუნეებში ეს მხარე ქრისტიანული რელიგიის გავრცელების, ასევე ერთ-ერთ ცენტრად იქცა მთელი დანარჩენი საქართველოსა და მისი საზღ-

¹⁴⁵ Граф. У л а р о в а, «Кавказ», Абхазия, Аджария, Шавшети: путевые заметки, часть II, гл. 221.

¹⁴⁶ Е. Л. П р и в в а л о в а, იბ. დასახ. ნაშრომი, გვ. 190. †

ვარგარეთული ცენტრებისათვის; ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამ მხარეს მოწინავეობის საამისო ტრადიცია ისტორიულად არ ჰქონოდა. სოფ. ხუცუბნის თეთროსანის წმ. გიორგის ნასაყდრალი თავდაპირველად მთვარის საღმრთო ტაძარი უნდა ყოფილიყო წარმართულ კოლხეთში (მსგავსად აწყურის თეთრი გიორგის საყდრისა კახეთში), მხოლოდ შემდეგში — მთვარის ღვთაების წმ. გიორგის ღვთაებით შეცვლის ისტორიულ პროცესში — იგი წმ. გიორგის (თეთრი გიორგის სახელობის) თეთროსანის ტაძრად იქცა; წარმართულ სახელშენარჩუნებულმა საყდარმა თეთროსანმა, როგორც ჩვენამდე მოღწეული საბუთებით დავრწმუნდებით, გვიანფეოდალურ ხანაში, ამ მხარის გამუსულმანების შემდეგაც შეინარჩუნა საკმაოდ დიდი გავლენა, როგორც ერთ-ერთმა უძლიერესმა საყდარმა და კულტურულ საგანმანათლებლო ღიღმა კერამ.

წარმართული გაგება თეთრის („თეთრონი“, — „თეთროსანი“) და საზოგადოდ თეთრი ფერი თავისებურ ასახვას წარმართობიდან მხოლოდ ქრისტიანობაზე გარდამავალ თეთრი გიორგისა და სხვა კულტურულღვთაებებში კი არ პოულობენ, არამედ ანალოგიურ მოვლენას რამდენადმე კავკასიის გამაჰმადიანებულ ალბანეთის მკვიდრ ტომებშიც ვხვდებით.

მაგ., «...Слово белый — «софи» — строго придерживаются шарнатам»¹⁴⁸.

კავკასიის ალბანეთის მითიური პირველი კათალიკოსის გრიგორიის შესახებ არსებული გადმოცემების გარდა, კავკასიის ალბანეთის შესახებ დაცულ ერთ-ერთი ისტორიულ წყაროში, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, გრიგორისი წარმოდგენილია ყმაწვილად... «В белой одежде в виде инока»¹⁴⁹. მიცვალებულთა „ცხრა ადლი ტილო“ — სუღარა, ასევე თეთრი ფერისა იყო...

კოლხურ წარმართულ ღვთაებათა — მთვარისა და თეთრი გიორგის სალოცავი ტაძრის თეთროსან-ლევკოთეას სახელის დამკვიდრებაში დიდი როლი უნდა ეთამაშა ღვთაებრივი თეთროსანის — ცხენის კულტის არსებობას ძველ კოლხეთში. ტოპონიმი თეთროსანი, როგორც აღვნიშნეთ, თეთრონიდან მომდინარეა. კოლხურ სინამდვილეში თეთროსნად იწოდებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი სწორედ იმავე შინაარსითა და მნიშვნელობით, როგორც ამას ადგილი აქვს კახეთში აწყურის თეთრი გიორგის სახით.

კოლხურ რელიგიურ-მსოფლმხედველობის ამგვარ დამახასიათე-

¹⁴⁷ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული რელიგიური ქანდაკების უძველესი ნიმუში, საქართველოს მუზეუმის მოამბე XII, 1944, გვ. 127 — 128.

¹⁴⁸ Н. Ямпольский, Древняя Албания, Баку, 1961, გვ. 234.

¹⁴⁹ История Албан Моисея Каганкатвацци. перев. К. Патканяна, С.-Б, 1861.

ბელ ძველთაძველ სინამდვილეს თავისი ნათელი გამოსახულება უნდა ეპოვა მოგვიანებით შექმნილ ქართული ხელოვნების მინიატურულ და მონუმენტურ ისეთ კლასიკურ ძეგლებში, როგორიცაა თეთროსან-ჯრუჟში მოხატულ დავითნთა მინიატურები და სოფ. ლაშხვერის ეკლესიის კედლის მოხატულობა. მათზე ჩვენ სათანადოდ ვჩერდებით წინამდებარე ნაშრომში ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ ზოგიერთ ძეგლთან მიმართებაში მათი შედარებით შესწავლისას და აქ არ შევეხებით.

ამჯერად მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ XIII — XIV ს-ში თეთროსანსა და ჯრუჟში გადაწერილი მოხატულ დავითნთა მთავარი პერსონაჟები — მეფე, დიდებულნი და სარდლები აქ მსგავსად დიდ ქართულ-წარმართ მეომარ ღვთაების, წმინდა გიორგისა, ყოველთვის თეთრონზე ანუ მხოლოდ თეთრ ცხენზე ამხედრებულნი გვევლინებიან; მაგალითად, ცხენოსანთა ბრძოლის მთავარსარდალი ამხედრებულია თეთრ ცხენზე და ცხენი წინა პლანზე დგას (იხ. H. 1665 ხელნაწ., გვ. 205). ცხენოსანთა ომის დროს თავისი სიდიადით აბესალომი ამხედრებული თეთრ ცხენზე ასევე წინა პლანზე დგას (H 1665 ხელნაწ., გვ. 195). იუდეველთა ცხენოსანთა ბრძოლაში მეფენი თეთრ ცხენზე არიან ამხედრებულნი (H 1665, ხელნაწ. გვ. 202 და 205). ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე თეთრ ცხენზე მჭდარი სოლომონის ხევი ბრძოლის დასურათებისას (H 1665, ხელნაწ. გვ. 213.), დავით მეფის ბრძოლისას ასურელების წინააღმდეგ (H 1665 ხელნაწ., გვ. 222). ცხენოსანთა ბრძოლებში, როგორც წესი, მეფე-დიდებულნი და მთავარსარდალნი თეთროსანისა და ჯრუჟის დავითნთა დასურათებით ყოველთვის თეთრ ცხენზე ანუ თეთრ-რამ ცხენზე არიან ამხედრებულნი და გამოხატულნი (იხ. H 1655 ხელნაწ., გვ. 208 და 209). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მეტად საზეიმო და მეფური სიდიადით დავითის გამომგზავრება აბიმელეხიდან და დავითის შეხვედრა იონაფინთან (იხ. H 1665 ხელნაწ., 182 და 227 გვერდები).

ქართული საერო მონუმენტური მხატვრობის ისეთ ძეგლზე, როგორიცაა სოფ. ლაშხვერის (ზემო სვანეთი) ეკლესიის ჩრდილო კედლის გარეგნული მოხატულობა, წარმოდგენილია ამირანის ბრძოლა გველეშაპთან და დევთან. მახვილით შეიარაღებული ამირანი თეთრ ცხენზე — თეთრონზეა ამხედრებული; იქვე ცხენოსნებად გამოსახულნი არიან ბადრი, სეფედავლე და უსუფი. ამ პერსონაჟებს ქართული წარწერები ახლავთ: ქართული ფოლკლორით ამირანიანის მხოლოდ ორი პერსონაჟია ცნობილი. სეფედავლეს სახელი კი მხოლოდ მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“ (XII ს.) არის შემატებული.

იმ დროინდელ კოლხურ წარმართულ-რელიგიურ სახვით ხელოვნებაში საფიქრებელია მრავალგზის უნდა ყოფილიყო ცდა იმისა, რომ

ცოცხლად იკონოგრაფიულად წარმოესახათ და რელიეფურად გაენივთებინათ სცენები როგორც მნათობთა ღვთაების, ასევე წმ. გიორგის თაყვანისცემისა. კერპთაყვანისმცემლობის დროს ამან ხომ პირველად ვაცისა და გაიმის ღმერთ-კერპთა ქანდაკებების აგებაში პოვა გამოხატულება, ბუნებრივია, არქეოლოგიური ძეგლი, ნივთი, ისე როგორც ყოველგვარი მხთი, მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან, რომელმაც ის დაბადა, მაგრამ ისინი აგრძელებენ არსებობას მას შემდეგაც, საუკუნეების მანძილზე, როცა იცვლება მათი წარმოშობა-დაბადების პირობები.

ყოველივე აქ აღნიშნულს არა მხოლოდ არქეოლოგიური, არამედ, როგორც ჩვენ ამაში სათანადოდ დავრწმუნდით, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებიც ეხმაურება და ადასტურებს. საილუსტრაციოდ აქ კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ. ვაჟა-ფშაველას შენიშვნით, ლაშარის, ანუ წმინდა გიორგის, ჯვარს, ფშაველთა რწმენით (რომელშიაც კარგად იყო შემონახული წინაქრისტიანულ-წარმართული შეხედულებანი), შეუძლია დახმარება გაუწიოს ომში გაჭირვებაში ჩავარდნილ ჯარს: „ეხვეწე ლაშარის ჯვარსა“, „ლაშარის ჯვარიც ახსენეს, რომ საყმოს ჰყავდეს მცველადო“ და სხვ., მაგრამ ყოველივე ეს რომ შესძლოს წმინდა გიორგიმ, იგი იარაღით ხელში, ცხენზე ამხედრებული უნდა წარუდგეს ხალხს. ამის შესახებ ფშაურ ფოლკლორზე დაყრდნობით ვაჟა-ფშაველა წერს:

—როცა ომი გვაქვს ქართლის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ლაშითა, —
კაცი რამ ლურჯ-ცხენიანი,—
ამოღებული ხმალითა,
მალღიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა სახით და ჯანითა,
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდი კაეშანითა,
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვცანითა.¹⁵⁰

წმ. გიორგი ქართველთა მცველ-მფარველი უძლეველი მხედარია, წარმართობიდან ღვთაებად აღიარებული, რომელსაც ქრისტიანობამ 365 საყდარი აუგო სალოცავ-სავედრებლად.

წმ. გიორგის კულტი სათანადოდ აისახა ასევე ქართულ უძველეს ზეპირსიტყვიერებაშიც; ამის დამადასტურებელი მასალა ნატურ-მითების სახით საკულტო სიმღერებსა და ფერხისაებშია შემორჩენილი. მაგ., ცნობილია, რომ ფერხისაის ტექსტებს ქართველ ტომებში ძველთაგანვე ძირითადად მონადირული ყოფა-ცხოვრება დაედო საფუძვ-

¹⁵⁰ იხ. ვაჟა-ფშაველა, თხ. ტ. I, გვ. 251.. „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედას“.

ლად, ხოლო შემდეგში მას საზოგადო გმირთა სახეები სცვლის. კერძოდ სვანურ სამონადირეო ეპოსში, „თეთრი მანგური“ და აღმოსავლეთ, თუ დასავლეთ საქართველოს ფერხისაების უმეტესობაში გლოვია დალის მიერ დაღუპულ გმირ მონადირეზე, რომელიც კლდიდან ნაქერ-ნაქერ დროგამოშვებათ ვარდება ძირს. ეს ფაქტი კი ადამიანის დროში არსებობის სიმბოლური გააზრებაა; მაგრამ ჩვენთვის იგი საყურადღებოა წმ. გიორგის 363 ნაწილად დაქრის მითთან დაკავშირებით, რომელიც ემთხვევა დროის აღრიცხვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს—წელიწადის დღეთა რაოდენობას.

წმინდა გიორგის მითიური ცხოვრებიდან ჩვენ ვიცით, რომ მას ბორბალზე აკრავენ და ჭრიან 365 ნაწილად. ქართულ ხალხურ აზროვნებას ტრადიციულად შემორჩენილი ჰქონდა მითიური მონადირის სიკვდილი სწორედ ნაწილ-ნაწილად დაქრისა. ეს ეპიზოდი ისე მტკიცედ იყო ხალხში შესისხლბორცებული, რომ შემდეგ, როცა წმ. გიორგის ბორბალზე ნაწილებად დაჭრის მომენტი შემოიტანა ქრისტიანობამ, ხალხმა წმინდანი დაანაწილა 363 ნაწილად და თითო ნაწილს ეკლესია მიაწერა¹⁵¹. 365 რიცხვის დამკვიდრება უნდა მომდინარეობდეს იმ რწმენიდან, რომ თითოეულ დღეს თავისი მფარველი ვარსკვლავი-ანგელოზი ჰყავს.

ამ ფაქტმა კი თავისებური ასახვა პოვა ზეპირსიტყვიერებაში, — „ლოცვა ნადირობა“, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია, „...სამოცდასამნო ძმანო ვარსკვლავნო, შენ დაიფარე ჩვენი საქონელი ნადირის კბილისაგან“¹⁵². აქ 63 ძმა ვარსკვლავი—363 ვარსკვლავს—ანუ ერთწლიან 365 დღეს ემთხვევა და ხალხის ცნობიერება წმინდა გიორგის და 363 ვარსკვლავს, ანუ 365 წმინდა გიორგის ერთნაირად აღიქვამს.

¹⁵¹ ბ. აბაშიძე, წარმართულ ღვთაებათა საკითხი ქართული ზეპირსიტყვიერების მიხედვით, იხ. „მაცნე“ 1971, ენისა და ლიტერატურის სერია, გვ. 85—86.

¹⁵² იქვე, იხ. „მაცნე“ დასახელებული სერიის გვ. 87.

თ. ა. ვი. VIII. თეთროსანი—ქართული შუასაუკუნეთა სამწიკრ-
ლო-ლიტერატურულ და მხატვრულ-შემოქმედებითი
მოღვაწეობის განახლებული კერა

1. ნასაყდრალი თეთროსანი — ძველი ქართული მწერლობის
თვალსაჩინო კერა

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა თეთროსანის საყდრის დიდ პოპუ-
ლარობასა და გავლენაზე ძველ კოლხეთში მაგრამ ისტორიულ ასპექტ-
ში ამ პრობლემის განხილვა ასევე გარკვეულ მასალას გვაწვდის ჩვენი
იმ მოსაზრების გასამაგრებლად, რომ თუ პრეჟრისტიანულ წარმარ-
თულ კოლხეთში თეთროსანის (ლეგოთეას) საყდარს ასეთი დიდი მი-
სია ენიჭებოდა, არც ქრისტიანობის პერიოდის ფეოდალური ლაზიკი-
სათვის უნდა ჰქონოდა მას მცირე მნიშვნელობა; აღორძინებულ და
გვიან ფეოდალურ საქართველოში. რომ გრძელდებოდა ადრე შემუ-
შავებული ეს ტრადიცია, ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული დო-
კუმენტი და ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც თეთროსანში გა-
დაიწერა, შეითხზა ან მოიხატა. თეთროსანში შესრულებული ყველაზე
უძველესი ძეგლი, რომელიც გადაურჩა დაღუპვას, ესაა იქ გადაწერილი
და მოხატული დავითნი, რომელსაც მკვლევარნი XIII — XVI საუკუ-
ნეთა ფარგლებში ათარიღებენ.

თეთროსანის წმინდა გიორგის სახელობის საყდარი, სადაც H 75
დავითნია გადაწერილი, დანამდვილებით მესხეთის შემადგენელ ქობუ-
ლეთის ქვეყანაში რომ იმყოფებოდა, ამას ადასტურებს საყურადღებო
მინაწერი თეთროსანის ამ დავითნის 262 გვ-ზე, სადაც ვკითხულობთ:
„ათაბაგის ასული ქალბატონი თამარი და მისი ვაჟი ქაიხოსრო“, —
რომლებიც XVI საუკ. ცხოვრობდნენ.¹

წინამდებარე ნაშრომის სათანადო აღვიღს ჩვენ საკმაო წერილო-
ბითი და სხვა ხასიათის მასალა მოვიტანეთ თეთროსანის საყდრის რო-
ლისა და მნიშვნელობის შესახებ ძველ საქართველოში. საზოგადოდ
კი, საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ მტრების შემოსევის შედეგად სა-
ქართველოს ძველი ისტორიული წყაროების დიდი ნაწილი მოისპო,
პირველყოვლისა ეს გამუსულმანებული საქართველოს, კერძოდ აჭა-
რის მხარის შესახებ ითქმის².

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში თეთროსანი იხსენი-
ება, როგორც თვალსაჩინო საკულტო პუნქტი. დ. ბაქრაძე შენიშნავს,

¹ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერების აღწერა, 1946, ტ. 1, გვ. 60—61.

² უნ იცის რამდენი საბუთი ამ მხარის შესახებ სამუდამოდ დაიღუპა მესხეთის
გამუსულმანებასთან დაკავშირებით. პ. უმიკაშვილის ცნობით: „1850 წ-ს ოსმალოზ
საქართველოს თავდაზნაურობა (ბეგები), თავიკაცები, სტამბოლს დაიბარეს და
252

რომ: «Тетросани самая известная церковь в Чуруксу ныне лежащая в развалинах». მას ეკუთვნოდა დიბ. ბაქრაძის ცნობითვე, გურიაში, სოფ. ერკეთში დაცული ხატი: «Образы божьей матери по местному преданию знаменитой церкви Тетросани». კინტირის ხეობის ანუ ჩურუქსუს გამუსულმანების შედეგად ეს ხატი გადმოუტანია ერკეთში რომელიღაც თავდგირიძეს, ამიტომ ქობულეთიდან დღესაც მუსულმანი ქართველები შესაწირად მოდიან აქო.³ ეს ძლევა მოსილი საყდარი დ. ბაქრაძის ცნობითვე «Известен под именем Тетросани и пользуется славою в Чуруксу и во всей Гурнии».⁴

თ. სახოკიას, გურიაში მოგზაურობისას, სოფ. აკეთში, მაცხოვრის ეკლესიაში უნახავს ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი. ეს შესანიშნავი ხატი კი წინათ თეთროსანის საკუთრება ყოფილა და იქიდან თეთროსანის საყდრის დარბევისას გამოუტანია მამუკა თავდგირიძეს და აკეთში დაუსვენებია. სახოკია წერს: „აკეთის მაცხოვრის ეკლესიაში ყველაზე შესანიშნავია პატარა ხატი ღვთისმშობლისა, თვალმარგალიტით შემკობილი. ხატი ადრე, როგორც აქაურები ამბობენ, სვენებულა ჩურუქსუში ცნობილ „თეთროსანის ეკლესიაში, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ ადგილობრივ მაჰმადიანებს დაუნგრევიათ. ეს ხატი გამოქცეულ მამუკა თავდგირიძეს წამოუღია აკეთში“.⁵ სახოკია აქვე განაგრძობს: „ისე სწამთ ამ ხატის სიძლიერე, რომ ადრე ცხენოსანი რომ გაივლიდა მის პირდაპირ, უეჭველად უნდა ჩამომხტარიყო, ელოცნა ეკლესიის წინაშე, თორემ ისე ცხენი ფეხსაც არ მოიცივლიდა“.⁶

გამოუცხადეს, რომ მმართველობას უნდა საგვარეულო სიგელები და ფირმანები გასინჯოსო და ახალი წესისდაგვარად ახალი ფირმანებით შესცვალოსო. ბეგებმა სიხარულით აიღეს მამა-პაპის ქალაღები, საქართველოს მეფეების ბრძებული წერილები, ხვანთქრებიცა და შაჰების ფირმანები და წარადგინეს. მოულოდნენ წყალობას. ოსმალოს მმართველობამ რაკი ეს წერილები გამოსტყუა და თავის არქივში დაჰკეტა, გამოაცხადა თენზიმათის სიტყვები: „ყოველი ქვეშევრდომი იმპერიისა თანაბრად უნდა სწევდეს ხარჯსა, რაც უნდა წოდებრსა და სარწმუნოებრსა იყოსო“.

(იხ. პ. უმიკაშვილის სამაჰმადიანო საქართველო, თბილისი, 1915, გვ. 27).

³ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурнии, გვ. 201.

⁴ იქვე, გვ. 16.

⁵ ამ ხატის თავყანსაცემად ქობულეთიდან ჩამოდიან აკეთში მაჰმადიანი თავდგირიძენი, მოჰყავთ ცხვარი შესაწირად და ეკლესიის კარწინ ჰხოცავენ, როგორც მართმადიდებელნიო. იხ. მოგზაურობანი, გვ. 74.

⁶ არსებობს ასეთი ლეგენდაც: „ქობულეთიდან აკეთში გადმოსულ თავდგირიძეთა წინაპარს კინკებისთვის თეთრი პერანგი წაურთმევია, რომელიც მზეზე შრებოდა. მათ ნაოფლარ პერანგს, ხალხის რწმენით, ვინც სასთუმალს ამოიდებს, ბედნიერიაო, ორსული ქალი, რაც უნდა ირჩებოდეს, განთავისუფლდებაო, ახლაც სჯერათ. როცა ტყეში მიდიან თავდგირიძეთა ოჯახის ჩამომავალს, რასმე „ნაოფლარს“ გამოართმევენ და პერმე თუნდაც ორი ღამე დარჩეს კაცი გარეთ, იმედი აქვს, ავი სული ხელს არ მახლებსო“.

(თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1956, გვ. 77 — 78).

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, თეთროსანის დანგრევა მაჰმადიანთაგან მე-19 ს 50-იან წლებში უნდა მომხდარიყო. მანამდე კი იგი თითქოს მოქმედი ქრისტიანული საყდარი ყოფილა. მე-19 საუკ. 40-იან წლებში აქ დაუსაფლავებიათ დავით გურიელის ასული, რომელიც ცოლად ჰყავდა მაჰმადიან მაქსიმ (სულეიმან) ბეგს თავდგირიძეს და ეს ქალი იყო ღრმა მორწმუნე ქრისტიანი. ზ. ჭიჭინაძე მის შესახებ შემდეგს გვაუწყებს:

„ეს პატიოსანი მანდილოსანი გარდაიცვალა ამ საუკუნის ნახევრის რიცხვებში, იგი დაასაფლავეს ქრისტიანულის წესით ქობულეთის სოფ. გვარას, ხუცუბანს ზევით, თეთროსანის ნაეკლესიარზედ. თეთროსანის დაქცევის მიზეზები მის მეუღლე სულეიმან ბეგს თავდგირიძესაც ეკუთვნის“⁷.

სოფ. ხუცუბნის წმინდა გიორგის ეკლესია თეთროსანიდან ახლა ნანგრევებილა გადარჩენილი. ორი კედლის ნაშთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი (სიგრძე 6,808, სიმაღლე — 6,5 მ.), და ჩრდილო-დასავლეთი (სიმაღლე 4 მეტრი, სიგრძე 2 მეტრი) პერანგშემოძარცვეული ფრაგმენტებილა მხოლოდ გადარჩენილი, და კარგად ემჩნევა, რომ ნასაყდრალი რამდენიმეჯერაა დანგრეული და კვლავ განახლებული. იგი ნაგებია რიყისა და თლილი ქვისაგან არევით. თუ როდის და რა პირობებში უნდა დანგრეულიყო თეთროსანის ტაძარი, ამაზე საყურადღებო ცნობები შემოუნახავს ეამ-გულანის ქრონიკას.

დ. ბაქრაძეს სოფ. ვანის ქედის იოანე ნათლიმცემლის საეკლესიო წიგნში—ეამ-გულანში 1729—49 წწ. ქრონიკონის ფარგლებში უნახავს მინაწერი შემდეგი შინაარსისა: „ამ ქრონიკით დაწერამდი 60 წლის კაცი მე გრიგოლ, 48 წლის წინამძღვარი მხ—ძე, 44 წ-ს გურიელი გ-ი, 41 წლის მამია გურიელი, 26 წლის ხალის ფაშა გამოაზახა ზვანთქარმან 80.000 კაცით, ციხეები დაგვიტეხა, ბათომი ძაშინ წაგვართვა, თეთროსანი აფხაზმა ძაშინ აგვართვა 1 წლით ომით. 20 მწიფობისთვის თოვლი მოვიდა. მფრინველი მოხვა (თუ მოჰყვა), ნახევარი კაცმა ვერ იცნა. ხისა და მიწის ნამუშევარი განაქარვა. ბეჟან დადიანი იმ წელიწადს მოკლა თათარმა ქუძოსს, ესენი ყოველი ამ ქორონისკის დაწერამდი იქმნა⁸. ამგვარი ნგრევა-აოხრებისა და ამ მხარეში თურქეთის

⁷ ზ. ჭიჭინაძე, თავდგირიძეთა გვარის ღალატი და ალი ჟაშა თავდგირიძე. 1896, ახ. სენაკი, გვ. 29.

⁸ იხ. Д. Бахрадзе, Археологическое путешествие по Грузии, გვ. 209. დასტურდება, რომ მე-16 საუკუნეში თეთროსანი ითვლებოდა მოქმედ დიდმნიშვნელოვან საეკლესიო და აულტურულ ცენტრად ამ მხარისათვის. თეთროსანის საყდრის (თუ

გაბატონების შედეგად თეთროსანი-ლევკოთეა სამუდამოდ დაეცა. ხაკედა იგი როგორც უძველესი კოლხურ-ლაზური ტრადიციებიდან უწყვეტად მომდინარე საკულტო-საგანმანათლებლო წარმართულ-ქრისტიანული უდიდესი ტაძარი, კერა. როგორადაც მას სტრაბონი ჯერ კიდევ წარმართობის სტადიაზე ახასიათებდა. თუ რას წარმოადგენდა ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაში კოლხურ-ლაზური კულტურისა, და რელიგიური კულტმსახურების ეს უძველესი კერა, ამაზე ასევე მეტყველებს თეთროსნის მწიგნობრული და მხატვრული შემოქმედებითი მოღვაწეობა: მაგ., აქ XVI საუკუნეში გადაუწერიათ და მოუხატავთ დიდის ოსტატობით დავითნი⁹.

2. თეთროსნის (ა-ი-ი-ი-ი-ი-ი) საყდარში მოხატულ დავითნი
ბავო და მათი ზოგიერთი მონიატურის სურათის არქეოლოგიური
კომპლექსთან მიმართების საკითხისათვის

ლევკოთეა-თეთროსანის საყდარი, როგორც ვრწმუნდებით, იყო არა მხოლოდ ერთ-ერთი უძველესი ქართული საგანმანათლებლო ცენტრისტორიულად და სამწერლობო პუნქტი, არამედ იგი, ირკვევა, ფეოდალურ ეპოქაშიც ამასთანავე ქართული მხატვრული ხელოვნების უაღრესად თვალსაჩინო კერას წარმოადგენდა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს თეთროსანში მოხატული დავითნის მინიატურები. მინიატურული ხელოვნების უძველეს ძეგლად შატბერდის მონასტერში 897 წელს გადაწერილი ადიშის სახარებაა მიჩნეული.

მკვლევართა აზრით ამ სახარების მინიატურების შესრულებას საფუძვლად უდევს ფერწერის ძველი ხერხი და ტრადიცია, რომელიც გვიანი ელინისტური ხელოვნებიდან მომდინარეობს.¹⁰

მონასტრის წინამძღვრად ამ დროისათვის იხსენიება გერმანოზი.

⁹ თეთროსნის დავითნს მოეპოვება ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: ა. „იესუ-ქრისტე მეფე დიდებისაო, აღიდე შენმეირითა ზეგარდმოთა სუფევეითა მაღიდუბელი შენი დედოფალი ათაბეგის ქალი ბატონი თამარი ძე მისი გურიელი ბატონი ქაიხოსრო ორთავე შინა ცხოვრებასა. დაიცივ და მიანიქე სამოთხისა სამუდებელი წმინდათა და რჩეულთა შენთა თანა, ამინ. რომელმან ინება აღწერად წმიდა ესე საულ დავითნი და შემკობად ამისსა, ღმერთმან ახმარნეს დღეგრძელობისა, მორქუმასა და სიმრავლესა შინა ეამთასა, დედოფალსა ბატონსა თამარს და მისის ქაიხოსროს ყმაი შვილი არუევენოს ღმერთმან, ამინ, ამინ, ამინ. (262 გვ.).

ბ. იესო ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი თეთროსნის წინამძღვარი გერმანოზ. ღმერთო, ორსავე ცხოვრებასა შინა დაიცივ და მიანიქე სასუფეველი წმიდათა და რჩეულთა შენთა თანა, ამინ. ვინც მოგვიხსენო ღმერთმან თქვენც მოგიხსენიოს სასუფეველსა მისსა ამინ. (262 გვ.).

თეთროსნის დავითნი გადაწერილია 23X17,5 კალაღზე ნუსხურით და მოიცავს 268 გვ. (144 ფ.) ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის დაზიანებულ ყდაში თავსაკლულია. მოეპოვება 55 მინიატურა ხელნაწერ ფურცლებზე დაწებებული.

¹⁰ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 212

ქართული საერო მინიატურის კლასიკურ ძეგლად ჯრუჭისა და თეთროსნის დავითნთა დასურათებული ხელნაწერებია აღიარებული. „აღნიშნული მინიატურები თუმცა რელიგიური შინაარსის ჩვეულებრივ ტექსტს ასურათებენ, მაგრამ სტილისა და შესრულების მანერით საერო ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენენ“.¹¹ ავტორის დაკვირვებით „მხატვარი, რომელიც ასურათებს ბრძოლების სხვადასხვა ეპიზოდს, ნაკარნახევს დაბადების ტექსტის თხრობით, გვერდს უვლის ქრისტიანული იკონოგრაფიის კანონს. ყველაფერი მას აქვს მოცემული საერო ხელოვნების მხატვრული ტრადიციის მიხედვით... დახვეწილი ოსტატობა, ნახატის სიფაქიზე, ღია გამა, ფერების კონტრასტული დაპირისპირება, მოძრაობის სტილიზაცია, კომპოზიციის წყობის წესი ჩვენი ხელნაწერისა მოგვაგონებს აღმოსავლურ მინიატურებს“.¹²

ჯრუჭისა და თეთროსნის დავითნის დასურათებული ხელნაწერების დათარიღების საკითხზე დღემდე მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა არსებობს.

შ. ამირანაშვილი ჯრუჭის დავითნს (H 1665) XVI ს. პირველი ნახევრით, ხოლო თეთროსნის დავითნს (H 75) XIV ს. ათარიღებს.¹³

ვ. ნ. ლაზარევი თავის სპეციალურ ნაშრომში ორთავე აღნიშნულ დავითნს (როგორც ჯრუჭის, ასევე თეთროსნის მინიატურებს) XIII საუკ. I-ლი ნახევრით ათარიღებს.¹⁴ აწ. განსვენებულმა ირ. სონლულაშვილმა 1945 წ. მეტეხის მუზეუმში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ორი დავითნის მინიატურათა შესრულების დათარიღებისათვის“,¹⁵ სადაც ასაბუთებდა, რომ ორთავე დავითნი XVI ს.-ში უნდა გადაეწერათ. მაგრამ ირკვევა, რომ მინიატურები უფრო ადრეულია, ვიდრე თვით ტექსტი ხელნაწერისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კამათში შ. ამირანაშვილის და ვ. ლაზარევის მოსაზრებანი მეტი დამაჯერებლობით ხასიათდებიან, ოღონდ ორთავე დავითნი როგორც ჯრუჭის, ასევე თეთროსნის ერთი პერიოდის მოვლენაა და XIII საუკუნის პირველი ნახევრით უნდა თარიღდებოდეს, როგორც ამას ვ. ნ. ლაზარევი ამტკიცებს.

ორთავე ეს უნიკალური მნიშვნელობის ძეგლი დიდი ხნით ქართულ ეროვნულ სხვა განძეულობასთან ერთად უცხოეთში იმყოფებოდა. ისინი მხოლოდ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა ქართველ ხალხს და ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ქართულ-

¹¹ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 300.

¹² იქვე, გვ. 302.

¹³ იქვე, გვ. 300.

¹⁴ В. Н. Лазарев, История византийской живописи. т. I, М., 1947, 350.

¹⁵ ნაშრომი არ დაბეჭდილა, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (იხ. Н 75 თეთროსნისა და Н 1665 ჯრუჭისა). მათი მოხატვაც ერთდროულად უნდა მომხდარიყო. ხელოვნების სპეციალისტების დასკვნით, სიუჟეტების კომპოზიციის, შესრულების სტილითა და ხატვის მანერით, ორთავე ეს დავითნი თათქმის ერთნაირია.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული Н 1665 ჯრუჭის დავითნის კომპეტენტური მკვლევარი ლ. შერვაშიძე მაგ., წერს: «Сравнение миниатюр Н 75 с миниатюрами Н 1665 показывает, что манера исполнения лиц, склад лиц, совершенно одинаковы»¹⁶. თეთროსნის დავითნს მოეპოვება მცირე მინაწერი.¹⁷ ლ. შერვაშიძე განაგრძობს: «Сравнение миниатюр Н-1665 и Н 75 показывает, что для миниатюр Н 75 в большей мере характерно выявление активного действия... более характерна передача настроения»¹⁸. ავტორი ამასათანავე დაასკვნის, რომ «Однако, при всей большой близости Н 1665 и Н 75, возможность принадлежности тех и других миниатюр руке одного мастера исключается».¹⁹ ამ დავითნთა მხატვრული სიუჟეტების ძირითადი ნაწილი ძველი და ახალი აღთქმისაგანა აღებული. ეს მინიატურები ბევრად ადრინდელი ისტორიული სინამდვილის გამომხატველია, როგორც ამას საეხსებით მართებულად შენიშნავენ სპეციალისტები, ვიდრე თვით დავითნის ტექსტის მოხატვის დრო, რომელსაც როგორც აღინიშნა, მკვლევარები შ. ამირანაშვილი და ი. სონღულაშვილი და სხვ. XIII—XV საუკუნეთა ფარგლებში ათავსებენ; მაგრამ მსგავს დავითნთა მნიშვნელობაზე, მათში წარმოდგენილ უძველეს მხატვრულ მინიატურებში განსახიერებულ წარმართობის დროინდელი სინამდვილის რამდენადმე რეალისტურად ასახვის შესაძლებლობის შესახებ, მკვლევარი ფ. ბუსლაევი წერს: «

в древне-христианском мире из всех книг вет-
¹⁶ Л. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре. Тбилиси, 1964, გვ. 117.

¹⁷ თეთროსანში მოხატულ დავითნს ასეთი მინაწერი შემორჩენია: „1909 წელსა: 2 კვირობისთვისა წიგნი ესე — სურათებით დავითნი მიეცა ქართულ საისტორიო საზოგადოებას განსვენებულ პეტრე ეპისკოპოსის მოსახსენებლად დ. ა.“ თეთროსნის დავითნის (Н № 75) ხელნაწერს დასასრულს კიდევ ასეთი მინაწერი მოეპოვება: „...ულ ამ ხელნაწერში 55 სურათთა დაცული“. ყველა ეს მინაწერი ახალია და ძნელდება რისზე ვარკვევა. მაგ., ჩვენთვის აუხსნელი რჩება ინიციალის „დ. ა.“-ის ვინაობა, „პეტრე ეპისკოპოსის მოსახსენებლად“ ქართული საისტორიო საზოგადოებისადმი ამ ხელნაწერის გადაცემა კი საფუძველს იძლევა იმისა, რომ გაირკვეს რომელი კუთხიდან მოხვდა ეს ძველი აღნიშნული საზოგადოების ფონდში, ოღონდ დასადგენია თუთი პეტრეს ვინაობა.

¹⁸ Л. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре, Тб., 1964, გვ. 116.

¹⁹ Л. А. Шервашидзе. К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре (миниатюры батальной тематики в Джручской псалтыри). Тб., 1964, გვ. 114—115. ლ. შერვაშიძის მონოგრაფიას თან ერთვის XXXII ტაბულა ჯრუჭისა და თეთროსნის მონასტერში მოხატული დავითნებიდან.

ხოვო ჯავთა სავთე სილთე დეილთე ია უმთე დე ვოობრეჟიე იკა-
ჯალ პსალთერ, კაკ პო სვოეო პროროქოსკო ურთიე იკ ნოვო-
მუ ჯავთუ, თაკ დე პერვენსუოეო სვოეო ურთიე იკ ნოვო-
იტვით დე ბოგოსლუჟიე პერვთ ხრისტიანსკთ იბოქი დე IV ვ.,
კოგდა ბოლა იკონქათელთე ურთიე სავთე ლიტურჟია. პოეოთუ ნადო
პოლაგათ, იტ სავთთ პერვთ ვეოვთ ხრისტიანსთ ვედუ სვოეო ნაქა-
ლო თე იკ დრეუნთსკთ მინიატურ პსალთერი, ვ კოვითეაქს
ჯამეათელთე სოხდოსთ სენოპისუო კათაკობ დე ბარელთეფათ
რანთ სარქოფაგოვთ, კაკ პო სმესთ ეზუქესკთ ფორმთ ს ხრისტიან-
სკთ იდეათ, თაკ დე პო პარელელისმუ იკუდუ სობთიათ დე
პრედსთავლენათ იკ ნოვო დე ვეტოო ჯავთუ». ²⁰

ფეოდალურ ქრისტიანულ დოგმებზე მკვიდრად დამდგარ საქართველოს სინამდვილეში დავითნი, სახარებასთან ერთად, საერთოდ საეკლესიო წიგნთაგან ყველაზე პოპულარული წიგნი იყო. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ მის გადაწერას და მხატვრულ გაფორმებას. ჩვენამდე მოღწეულ ილუსტრირებულ მრავალ დავითნთაგან მხოლოდ აქ დასახელებული ორია სანიმუშო თავისი მდიდარი მინიატურებით.

დავითნის ამ შესანიშნავ მინიატურებში, როგორც სპეციალისტები აღიარებენ, მხატვრული სინამდვილით წარმოდგენილია არა მხოლოდ ფეოდალური ეპოქის, არამედ წარმართობის დროის ბევრ საერო და საკულტო დაწინაურების საგანთა მეტად მდიდარი გალერეა: ქალისა და კაცის ჩაცმულობის, ცხენისა და მეომრის აღკაზმულობის, იარაღთა ნაირსახეობების, საყოფაცხოვრებო საგნების, ავეჯის, საცხოვრებელი ბინების, ნადირობის და სხვ. ამასთან კარგადაა გამოხატული საომარი იარაღები, მეომართა და კულტის მსახურთა ჩაცმულობა-მორთულობა, ცხოველური და მცენარეული სამყაროს სახეობანი და სხვა მრავალი ჩვენთვის საინტერესო დეტალი, რომლებსაც დღეს ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ თეთროსანში მოხატულ დავითნის მინიატურებში წარმოდგენილი ზოგიერთი საომარი და საკულტო-საყოფაცხოვრებო საგნები გარკვეულ მიმართებაში შეიძლება იყოს და ერთგვარ პარალელსაც პოულობდნენ ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ ისეთ საგნებთან, როგორიცაა: ნაწილობრივ ხმლები, ცულები, მძივები, და ზოგი სხვა საგნებისა, რომელთაგან აქ რამდენიმეზე შევჩერდებით.

²⁰ Ф. И. Буслаяев. Сочинение, т. III, Л-д, 1930, гл. V, Письма на имя председателя общ-ва древне-русского искусства, гв. 214.

უძველესი კედლის მოხატულობა შემორჩენილია სვანეთის სასოფლო საყდრებზე — ლაშხვერსა და ჩაქაში, რომლებიც ამირანდარეჯანიანის სიუჟეტისაგანაა აღებული და ხელოვნებამცოდნეთა დაკვირვებით გარკვეულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს დავითნის N 1665 და N 75 მხატვრულ სტილთან, განიციდეს მათ უშუალო ან ტრადიციითა გავლენას (იხ. ლ. შერვაშიძის დასახ. შრომა, გვ. 136—141).

258

დავითნის მინიატურები ქართულ არქეოლოგიურ მასალებთან შედარებითი შესწავლისათვის გამოიყენა პროფ. ბ. კუფტინმა, იგი მხოლოდ ერთ მომენტზე შეჩერდა და აღნიშნა, რომ „...И в цветущую эпоху Грузии прямой меч продолжает бытовать но основным вооружением явно становится сабля“²¹.

აქ აღნიშნულის საილუსტრაციოდ ავტორს მოყავს H 1665 დავითნის 190-ე ფურცელი, საიდანაც ეს სინამდვილე კარგად დასტურდება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, ანალოგიური სწორი ხმლები რკინისა აღმოჩნდა ხუცუბნის სამაროვნებში (იხ. ტაბ. XXI), რაც შეეხება შუბებს და ისრის პირებს, რომლებიც დავითნის მინიატურებშია წარმოდგენილი (მაგ: H 1665, 207, 21შ, 191 გვ-ზე), ასევე თავის ანალოგებს პოულობენ ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ რკინის შუბებსა და ისრის პირებთან (იხ. ტაბ. XXIII). დავითნის (H 1665, ფ. 219) მინიატურის ბრინჯაოს საომარი ცული (მეწინავე მეომარს რომ უპყრია ხელთ) ასევე გარკვეულ შესატყვისობაშია ხუცუბნის სამაროვანში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულთან (იხ. ტაბულა XII), რომლის ტარს, სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია²².

3. თეთროსნის დავითნის საკულტო ფარისა და ხუცუბნის სამაროვანთა საკულტო ძეგლის ერთი პარალელის გამო

ვინაიდან ქრისტიანულთან ერთად თეთროსნის (ასევე ჭრუჭის) დავითნის მინიატურებში წარმოდგენილი სცენები და კომპოზიციები წინაქრისტიანულ ტრადიციებსაც უნდა გამოხატავდეს, სადაც საკმაოდ ასახული ქართველ ტომთა ყოფა-ცხოვრებისა და ბრძოლების კონკრეტული სინამდვილე, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ მასში ასახულიყო კოლხეთის მკვიდრთა გვიანი ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდის იარაღი — საჭურველი და საკულტო დანიშნულების საგნები.

ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ რკინისა და ბრინჯაოს საგნების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარ პარალელს პოულობს თეთროსნის დავითნის მინიატურებში ასახულ. ზოგიერთ საგნებთან.


²¹ Б. А. К у ф т и н. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XII B, თბ., 1944, გვ. 291.

²² იხ. ხუცუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები და მათი აღწერა (აქვე, გვ. 113-114).

მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ერთ საკითხზე გვინდა შევჩერდეთ, კერძოდ, თეთროსანის დავითნის მანიატურებში წარმოდგენილ საკულტო ფარის მსგავსებაზე ხუცუბნის სამაროვანში აღმოჩენილ, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ, საკულტო ნახევარსფეროსთან.

საბრძოლო მრგვალი ფარები მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ მეომარ ქვეით და ცხენოსანთა აღკურვილობის შემადგენელ დიდ კომპონენტადაა აღიარებული. ისინი მრგვალი ფარის უძველეს პარალელებს ხეთური ტიპის ფარებში. პოულობენ, რაც შეეხება მრგვალი ფარის წარმოშობა-სადაურობის საკითხს, ჯერ გადაუქრელად ითვლება ხეთურია იგი თუ ასურული²³.

გ. ჩიტაიას დაკვირვებით, ფარის ეს ფორმა თავისი გენეტიკური საწყისით ხურიტულ-თეშუბ-ხეთურ ეთნიკური წრიდანაა და იბერიულ. ძირითადად ქართველურ-დაღესტნური ტომების მატერიალური კულტურის უძველესი შემადგენელი ელემენტიც შეიძლება იყოს.²⁴ მკვლევარი ამ შემთხვევაში იბერიულ-კავკასიური ტომების ჩაცმულობის (კვინტიანი ფესხაცმლის) ერთ დამახასიათებელ ელემენტზე ამხვილებს ყურადღებას და გამოდის იმ ფაქტიდან, რომ ხეთების ომის ღვთაებას გამოსახულს ზენჯირის ციხე-სიმაგრეზე (მდებარეობს კილიკიის ტერიტორიაზე მცირე აზიაში) კვინტიანი ფესხაცმელი აცვია. მასვე მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში კი ოვალური ფორმის ფარი თავისი სახელურით.




15. ქართული ფარის ნიმუში.

ჯაოს მრგვალი ფორმის შუანაწილამოხნეილი ფარი. ვ. ცისკარიშვილის მართებული აღნიშვნით „ესოდენ ძველი, მთლიანი ბრინჯაოს

გ. ჩიტაიას ამ მოსაზრებას ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ მრგვალ ფარებთან ერთად, არქეოლოგიური მონაცემები უჭერს მხარს; მაგ., სამთავროში აღმოჩენილი მრგვალი ფორმის ბრინჯაოს ფარის უმბოები იმაზე მეტყველებს, რომ ამ ფორმის ფარი ქართველურ ტომებში უძველესი დროიდან, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან ყოფილა ხმარებაში. დაახლოებით ამავე პერიოდისაა სადგ. ბაღიაურის მიდამოებში 1953 წ. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინ-

²³ H. Bonnet, die Waffen der Volker des altenorientis, leipzig, 1926, S 181—201.

²⁴ გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული პარალელები 1, ქართული კვინტიანი ფესხაცმელი, შოამბე, ტ. I, 1940, გვ. 314.



16. სიმხემის ალყა, აბიშელიძის სიკვდილი, მრგვალი ფარების გამოხატულება (11 1665, ხელნაწერი ფურ. 200).

წმინდა გიორგის უძველეს და მოგვიანო გამოხატულებებზე, როგორც წესი, მრგვალი ფარებია წარმოდგენილი, მაგ., წებელდის რელიეფზე (VI საუკ. ბოლო); ასევე მრგვალი ფარია წარმოდგენილი კასტელის ალბომთა სურათებზე. პეომარი მეფე, სარდალი თუ რაინდი სომ ყველგან მრგვალი ფარებითაა წარმოდგენილი.

²⁶ იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1953, 20 X 11, № 299.

მრგვალი ფორმის ფარების უხსოვარი დროიდან გავრცელებას და ამასთანავე ფარის, როგორც საკულტო დანიშნულების სალოცავი საგნის აღიარებას, სხვა მონაცემებთან ერთად, მთელი სიცხადით ადასტურებს თეთროსანისა და ჭრუჭის დავითნთა ზოგიერთი მინიატურა.

ქართულ ენას „ფარ“ ფუძიდან სხვადასხვა შინაარსისა და მნიშვნელობის მრავალი სიტყვა უწარმოებია, რომელთაც საფუძვლად ცვა-ფარვა უდევს. მაგ., ფარისგანაა წარმოებული მფარველობა, მოფარება, კომპოზიტები: ფარ-ხმალი, ქარსაფარი, თავსაფარი, გეოგრაფიული სახელი სამცხეში საფარა; თავშესაფარი, ფარიკაობა და სხვა. საკულტო სავედრებელი რელიგიური შინაარსის ისეთი ცნებები, როგორცაა „მფარველი ანგელოზი“, სავედრებელი: „დამიფარე მე...“ და მრავალი სხვა ცნება, რომელთა ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

ქართულ ენაში ფარისაგან წარმოებულ ესოდენ მრავალრიცხოვან ცნებათა წარმოება იმის მაჩვენებელია, რომ ეს ტერმინი ძველთაძველია და რომ ფარი მართო თავისი პირდაპირი დანიშნულების, როგორც საბრძოლო იარაღის, გარდა დროთა მსვლელობაში ადამიანთა შეგნებაში იქნეს ახალ, საკულტო ძეგლის, დანიშნულებასაც, რომელზედაც ლოცულობდნენ, ვევედრებოდნენ მას, როგორც ადამიანის, მეომრის მცველ-მფარველ საგანს; მეომრის და ასევე საზოგადოდ ადამიანის ჯანმრთელობის საიმედო „მფარველს.“ აქ აღნიშნულს სხვა მასალებთან ერთად კარგად უნდა ადასტურებდეს ხუტუბნის თეთროსანის (ასევე ჭრუჭის) საყდარში მოხატული დავითნის ილუსტრაციები, რომლებზედაც გამოსახულია ფარის წინაშე მუხლმოდრეკით მლოცველი მეომრები. ფარის შესახებ ცნობები ასევე ქართულ უძველეს წერილობით ძეგლებშიცაა დაცული. ამას ადასტურებს „მეფეთა ცხოვრებაში“ პირველი საუკუნის ამბავთა აღწერილობაში მისი მოხსენიება.²⁶ ასევე ვახტანგ გორგასლის ბაყათარ ოსთან ბრძოლის ეპიზოდი;²⁷ პოლიკარპოს ბერძენთა სპასპეტის და ვახტანგ გორგასლის შერკინების ეპიზოდი აღწერილი ჭუანშერის მიერ.²⁸

ფარი ფორმის მიხედვით რამდენიმე სახის ყოფილა — ოთხკუთხა გრძელი ფორმისა, ნუშისფოთლისებური და მრგვალი. ოთხკუთხა ფარის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი ჩელთი ყოფილა, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში ამ ტერმინს დაუკარგავს თავისი ძველი მნიშვნელობა და ჩელთი უხმარიათ ბრტყელი მახვილის ამღნიშვნელადაც.

ს. ორბელიანი განმარტავს — ჩელთი ბრტყელი მახვილია (იხ. ლექსიკონი). საბას ეს ტერმინი ეზეკიელიდან აქვს აღებული. ჩელთს

²⁶ ლეონტი მროველი, მეფეთა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი 1955, გვ. 34.

²⁷ ჭუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იქვე, გვ. 155.




²⁸ იქვე, გვ. 175.

დ. ჩუბინაშვილიც მახვილად მიიჩნევს. ასეთი ახსნა ბუნებრივია, რადგან ლექსიკოგრაფს ეს ტერმინის ორბელიანის ლექსიკონიდან აქვს განმარტებული. ირკვევა, ასევე ფარს სახელად დარაკიც რქმევია. ვეფხისტყაოსანში ვკითხულობთ: „შემოვლო, ახლო შემოყუა მონა სმალ-დარაკიანი“²⁹. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დარაკი ფარის რომელიმე ტიპი, ან სახეობა იყო.

ხევსურეთში ჩაწერილი მოთხრობებით ირკვევა, რომ დარაკი ფიცარისაგან ნაკეთები ფარია. ხის თხელ ფიცარზე გადააკრავდნენ ხარის ტყავს, იგი სიმსუბუქით გამოირჩეოდა, მაგრამ გამძლეობით ლითონისას ვერ შეედრებოდა³⁰.

ძველ საქართველოში ზომის მიხედვითაც განასხვავებდნენ დიდსა და მცირე ფარს. საბას განმარტებით „პელტ—წოდების მცირესა ფარსა“³¹ დ. ჩუბინაშვილი ფარის ასეთ განმარტებას იძლევა: „მრგვალი ფიცარი მეტალისა მეომართა სახმარი მოსაფარებელი“³¹.

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბრძოლო იარაღების ფონდში დაცული ქართული ფარები მართლაც ფორმის მიხედვით მრგვალია. კ. ჩოლოყაშვილი მათ შორის ძირითად ტიპებსაც კი



17. ქართული ფარების ნიმუშები.

²⁹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, ტაეპი 109, გარღამისა ფარი აქ იხსენება 3, 1396 და 1412 ტაეპებში.

³⁰ ეს ცნობა ჩაუწერია ვ. ართილაყვას გიორგი კინქარაულისაგან ს. შატილში 1962 წელს. ამ ცნობის მოწოდებისა და მეტად საყურადღებო ზოგიერთი შენიშვნისათვის მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ. გიორგი იქამად 102 წლის მოხუცი ყოფილა (ესარგებლობ ვ. ართილაყვას ჩანაწერებით).

³¹ ახ. ლექსიკონი.

გამოყოფს და პირველი ტიპის მრგვალი ფარის შესახებ წერს, რომ მასზე სხივთა კონად განლაგებულია ლითონის წვრილი ზოლები, რომლებიც თავს იყრიან ფარის ცენტრში ლითონის გუმბათში, რაც ერთად აღებული მზის სახეს აქმნის“³² (კოლ. №25—25) (1). ავტორის მართებული შენიშვნით, ფარის დამზადება დიდ დახელოვნებას მოითხოვდა. მისი გაკეთება დახელოვნებულ მკედელს შეეძლო. „რკინიდან გრდემლის საშუალებით მკედელი გამოჰკრიდა გირგოლებს და შოლტებს, ფარის რკინის ხიდებს... რკინასა და ტყავს „სახვრეტათი“ დახვრეტდა. ნახვრეტებს დალურსმნავდა და ფარის ზურგიდან ფარის წინა მხარეზე გამოსულ ლურსმნის წვერებს გრდემლზე კვერით დაათარეშებდა. ფარს მკედელი ჯერ გარე პირველ „გირგოლს“ შემოაკრავდა, შემდეგ მეორესა და მესამეს, შუაში კი ოთხკუთხა რკინას—„გუმბათის ხატს“ ჩასვამდა. ამრიგად ფარი ძირითადად მზად იყო“.³³

სიმაგრისათვის ფარს ხიდი უკეთდებოდა, რომელსაც ჯვრის ფორმა ჰქონია.

ფარის წინახედზე ხიდთა შესაყარზე, ანუ ცენტრში გუმბათის ფორმის დანამატს უკეთებდნენ, რომელსაც ხევსურები გუმბათის ვაშლს უწოდებდნენ.

ფარის წრიულ კიდეს შემოვლებული ჰქონია გირგოლი, ხოლო შიგნითა პირს წარმოადგენდა ტყავი, რომელსაც მიმაგრებული ჰქონდა „საბლუჯავი“; ანუ ხელის ჩასავლები. ქართული ფარის დიდი ნაწილი ტყავგადაკრული ლითონის ან ხის ყოფილა. ჰეროდოტეს ცნობით, მოსხვებს, ტიბარელებსა და მოსინიკებს ჰქონდათ პატარა ფარები, აგრეთვე კოლხებს პატარა ტყავისაგან ნაკეთები ფარები აქვთო.

ქსენოფონტის აღწერის მიხედვით, ხალიბებს, ტაოხებს, მაკრონებს და მოსხებს ჰქონიათ ბრტყელი ფარები, რომელზედაც გადაკრული ყოფილა გარეული ნადირის ტყავი, თავისი ბეწვით.

მიუხედავად იმისა, რომ ფართა შესახებ ცნობები საისტორიო წყაროებში უხვად არის წარმოდგენილი, ამ მასალათა მიხედვით ფეოდალურ საქართველოში გავრცელებულ ფართა ფორმების დადგენა ვერ ხერხდება, ამ საქმეში ანგარიშგასაწევია ეთნოგრაფიულ ყოფაში მინიატურებში, კედურ ხელოვნების ძეგლებსა და კედლის მხატვრობაში ასახული მასალის შესწავლა-შედარება.

კედური ხელოვნების ძეგლებში ფართა გამოსახულებანი ჯერ კიდევ X საუკუნიდან გვხვდება, კერძოდ, მრგვალი ფარი უჭირავს ხელი წმინდა გიორგის ლაპილის ხატზე. ეს ხატი ეკლესიისათვის შეუჭირავს

³² კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღი, ფარი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII — ბ, გვ. 228, სურ. I.

³³ იქვე, გვ. 230—231, სურ. 51.


ვარდან ვარდანძეს, სვანეთისა და გურიის ერისთავ-მმართველს. ეს ფარი მრგვალია და საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო.

ფარის ასეთივე გამოსახულებაა შესრულებული ჯუმათის წმინდა გიორგის ხატზეც, რომელიც ერისთავთ-ერისთავის ვარდანძის შეწირულობაა.²⁴

მრგვალი ფარი სხვა ხატებზედაც გვხვდება. კერძოდ, ასეთს ვხვდებით მწვალებელთა ხელში შემოქმედის ხატზე, სადაც ქრისტეს ჯვარცმიდან ჩამოსხნის სცენაა ასახული. გამოსახულებაში ერთ პირს ხელში მრგვალი ფარი გადმობრუნებული უპყრია. ფარის ამ რელიეფურ გამოსახულებაზე გარკვეულად ჩანს ხელის ჩასავლები, ანუ საბლუჯავი²⁵.

ხატს აქვს გვიანდელი წარწერა, რომელშიც გიორგი გურიელი იხსენიება, ეს გიორგი გურიელი 1598—1625 წლებში მთავრობდა.

მრგვალი ფორმის გუმბათოვანი ფარები



18. ქართული ფარების ნიმუშები.

პირველი ათასწლეულის დასაწყისიდანვე ჩანს. (იხილეთ საქართვე-

²⁴ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომკვლელობა, თბილისი, 1959, ტაბულა 163, 164.

²⁵ იქვე, გვ. 137.

ლოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის გამოფენა). აქედან მოკიდებული ასეთი ფორმის ფარები არც XI—XII საუკუნეებში გამოსულა სმარებიდან, ხოლო ჯრუჭისა და თეთროსნის დაკვითების მიხედვით XIII—XV საუკუნეებშიც განავრცობს არსებობას.

ჯრუჭის და თეთროსნის დაკვითებში არსებული ფარები დეკორირებულია და ცენტრში შემოხაზულია წრე, რაც გუმბათის ვაშლის არსებობაზე მიგვითითებს.

მრგვალ და სადა, ცენტრში გუმბათის ვაშლიან ფარებს XVII—XVIII საუკუნეებშიც არ დაუკარგავს თავისი სახე. კერძოდ ასეთი ფარის გამოსახულებებს ვხვდავთ მამუკა მდივნის მიერ დასურათებული ეფფხისტყაოსნის მინიატურებში.³⁶ მხატვარს ერთი მათგანი ხმლის დაკვრით გაქრილი დაუსატავს ტარიელის ბრძოლის ამსახველ სცენაში. ამავე ხელნაწერის მინიატურაში ოთხი ფარის გამოსახულება ფორმით ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვა ფერის საღებავით არის შესრულებული.

ეფფხისტყაოსნის დამსურათებელმა ავთანდილიც ჯვრისებურ, ცენტრში გუმბათიანი პატარა ფარით წარმოსახა. სხვა მეომრის ფართაგან ავთანდილის ფარი ფერით განსხვავდება. მამუკა თავაქარაშვილს ნახევარ ოვალური ფარის გამოსახულებაც აქვს ჩახატული.³⁷ მრგვალ ფარებს ვხვდებით XVIII საუკუნის ფრესკებშიც. ასეთი ფარითაა წარმოდგენილი მამია გურიელი შემოქმედის დიდი ტაძრის ინტერიერის კედლის მხატვრობაზე.

ქართულ ხელნაწერთა მინიატურებში იშვიათად, მაგრამ ნუშისებური ფარები მაინც გვხვდება. ისინი ყველგან ხმალთან ერთად არის წარმოდგენილი და შენიშნულია, რომ ნუშისებური ფარები უჭირავთ წმინდა მეზობლებს — მაგ., პროკოფის და მერკურის, ასევე გიორგის და დიმიტრის³⁸ სალოცავში, საიდანაც ირკვევა, რომ ფარს მდგარს წინა პლანზე მაგიურ საკულტო დანიშნულებას ანიჭებდნენ.

თეთროსნის დაკვითის მინიატურებით დასტურდება ფარის საკულტო მაგიური და სალოცავი დანიშნულება. მაგალითად: კარავში მძინარე ასულის მინიატურაში წარმოდგენილია ორი მეომარი, რომლებიც ფარზე ლოცულობენ.³⁹ წმინდანი მეომრები გიორგი და დიმიტრი ევედრებიან მათ წინაშე კედელზე მიყრდნობილ ორ ფარს,⁴⁰ ხოლო წმინდანი მეომრები პროკოფი და მერკური მათ წინაშე დაყუდებულ ფარებს ევედრებიან.⁴¹

³⁶ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექცია S №599.

³⁷ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექცია, S 5006, ტარიელის შეზობილება დევთან.

³⁸ იხ. H 1665, ფურც. 224 ორივე მხარე.

³⁹ იხ. კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის H 1665.

⁴⁰ ლ. შერვაშიძის დასახ. შრომის XXIII ტაბულა.

⁴¹ იქვე, H 1665. ლ. შერვაშიძის დასახ. შრომის XXXVII ტაბულა.



19. წმინდანი მეომრების პროკოფისა და მერკურის ლოცვა ფარებით.

რაც შეეხება თეთროსნისა და ჯრუჭის დავითნთა სხვა მინიატურებს და მათზე ასახულ მრგვალ ფარებს, გარდა აღნიშნულისა 12-მდე შემთხვევაა ამ ტიპის ფარის გამოჩატვისა.¹²

ამგვარად, მოღწეული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ფარს ძველთაგანვე რალაც მაგიურ-ღვთაებრივ დანიშნულებას მიაწერდნენ. მასზე ლოცულობდნენ, საკულტო და საცხოვრებელ ნაგებობებში თვალსაჩინო ადგილს გამოფენდნენ.

სალოცავის სახითაა წარმოდგენილი ფარი არა მხოლოდ ჯრუჭისა და თეთროსნის დავითნის მინიატურებში, არამედ იგივე დასტურდება ფრესკებშიც, მაგ., მამია გურიელის ფრესკა შემოქმედის დიდი ტაძრიდან. ასევეა წარმოდგენილი მებრძოლნი ფანველების ფრესკაზე. ფანვისის ტაძრის ფრესკებში ყველა მათგანს ფარ-ხმალი მიუწყევია კედელზე და მათ წინაშე ლოცულობენ.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაგვიდასტურა, რომ საქართველოს მკვიდრთ გუმბათოვანი ფარები უტარებიანთ ჯერ კიდევ I ათასწლეულის დასაწყისში, ხოლო 1939 წ. დმანისში მიკვლეულ იქნა ფეოდალური ხანის გუმბათის ვაშლოვანი ფარის ნაწილებიც.

არაა გამორიცხული, რომ ცის თალისებრი გუმბათოვანი ბრინჯაოს ნახევარსფერო, რომელიც სოფ. ხუცუბნის სამაროვანში აღმოჩნდა, გარკვეულ (საკულტო სიმბოლური თვალსაზრისით) მიმართებაში იყოს ქართული მრგვალი ფარის აქ აღწერილ ტიპთან. ქართულ მრგვალ ფართან ამ საგნის გარეგნული მსგავსების გარდა აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ფარის დამზადების წესი, მისი შემადგენელი ნაწილების ღალხში შემონახული სახელწოდებებიც, მაგ., „ფარის რკინის გული“. ფარის—„გუმბათის ხატი“, „ფარის გუმბათი“, „ფარის გირგოლი“, „ფარის რკინის ხიდები“, „ფარის დალურსმნვა“ და მის „გვერდებზე კვერით დაფარეშება“, „გუმბათის ხატის ჩასმა“ და სხვ., რომლებიც თითქო შეესაბამება ხუცუბნის სამაროვანში ნაპოვნ გუმბათოვან მინიატურულ საკულტო ნახევარსფეროს.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ხუცუბნის სამაროვანში აღმოჩენილ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ რამდენადმე ფარისებური ფორმის მქონე მინიატურულ ძეგლს, მის მხატვრულ კომპოზიციას, გუმბათზე შენარჩუნებულ ნახვრეტს — „გუმბათის ხატის ჩასამელს“ (როგორც ეს ფარს მოეპოვებოდა), მის წერტილოვან ხაზებს, რამდენადმე ფარის რკინის ხიდების მსგავსს, მასზე გაბნეულ ლურსმნის თავისებურ წერტილებს, თითქო გრდემლზე იყოს „დაფარეშებული“ და სხვა ზოგ მსგავსებებს, ყოველივე ეს ხომ არ მოგვეცემა საფუძველს

¹² იხ. H 1665. ლ. შერვაშიძის დასახ. შრომის XXX, XXXII, XXXV. II, X, XVI, XVII, XXI, XXIV, XXV და სხვა ტაბულები.

გვეფიქრა, რომ უკვე საკულტო-საეიდრებად ქცეული ტიპის ფარი გარკვეულ კავშირშია მთვარის კულტის ამსახველ ხუცუბნისეულ ბრინჯაოს ნახევარსფეროსთან? ამასთანავე ხომ არ ჰქონდა ფარებს სივრცეში საორიენტაციო ერთგვარი ნიშნები, რომელიც მებრძოლებს უსათუოდ სკირდებოდათ უცნობ ადგილებში ორიენტირებისათვის?!

ფარის საკულტო დანიშნულების გადმონაშთებზე უნდა მეტყველებდეს XX საუკუნეში სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ფაქტი — ეკლესიის კედლის მორთვა ფარებით... ასევე ფეოდალური ტრადიციით ქართული დარბაზის ცენტრალური კედლის მორთვა ფარ-ხმლით, სადაც მთავარი ადგილი სწორედ ფარს ეჭირა.

გუმბათისებრი ფარი უჭირავს მარჯვენა ხელში წმინდა გიორგის და თევდორეს მრავალძალის ეკლესიიდან. (გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომკედლობა, თბილისი, 1959, ილუსტრაციები 36, 37. ხატი X ს. თარიღდება).

ასეთივე ფარი უჭირავს ამხედრებული წმ. გიორგის მიერ მოკლულ დიოკლეტიანეს. მრავალძალის ქედური ხატიდან X ს. (იხ. გ. ჩუბინაშვილის ნაშრ., სურ. 43). გუმბათისებური ფარებია ჩუკულის ქედურ წმინდა გიორგის და თევდორეს კარედ ხატზე. მათ ხელში შუბი და ფარები უჭირავთ. ცის გუმბათოვანი ფარი უჭირავს ხელში წმ. გიორგის ჭუმათის წმინდა გიორგის ორ ხატზე და ორივე XI საუკუნით თარიღდება (იხ. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომკედლობა, სურ. 151).

ასეთივე ფარითაა შეიარაღებული ხონის წმინდა გიორგიც (იქვე, იხ. სურ. 151) და სხვ.

ფეოდალურ საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) ყველა მეომარი როდი ატარებდა ერთგვარი მასალისა და ხარისხის ფარს; აქაც კარგად სჩანდა კლასობრივი მდგომარეობა მეომარ-მოკლაქისა. მაგ., ჯერ კიდევ ალ. მაკედონელის ჯარის ნაწილები იყოფოდა იმის მიხედვით, თუ რა სახის ფარებს ატარებდნენ — „ვერცხლის ფაროსანთა“, „თეთრფაროსანთა“ და „სპილენძის ფაროსანთა“ რაზმებად.⁴³ ფეოდალურ საქართველოში ისეთ გავლენიან პირს, როგორც ლიპარიტი იყო, ოქროთი მოკვდილი ფარიც კი ჰქონია. „ოქროთ მოკვდილსა ფარისა მისგან და მუზარადისა მიერ სხივნი სცვიოდნენ ვითარცა მზისა მიერ“.⁴⁴ მუსასირში მეფე ურანანის სასახლეში ასურელები სარგონის წინამძღოლობით შეიქრენ, გაძარცვეს იგი და აქ ხელში

⁴³ Эллинистическая техника, сборник статей под редакцией акад. И. И. Толстого, 1948, гл. 273.

⁴⁴ მომაქვს გ. ჩოლოყაშვილის დასახ. შრომის მიხედვით, გვ. 251. ქართული ფარის შესახებ ჩვენთვის საჭირო ზოგი მასალა და ჩანახატი (მაგ. სურ. 25) მოგვაწოდა დოც. ვ ა რ ლ ა მ ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა მ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

ჩაუვარდათ სხვათა შორის 6 ოქროს ფარი, 12 ვერცხლის ფარი, რომლებიც მოსართავის სახით ჩამოკიდებული ყოფილა ტაძრის კედლებზე. ქართულ ენაში ოქროს ფარს ცალკე გამომხატველი ტერმინი—ვეშაპანი—რქმევია და იგი ფარის ცალკე სახედ აქვს საბას მიჩნეული. სალოცავ ტაძარსა, საზეიმო დარბაზებსა და სხვა თვალსაჩინო ადგილას ოქროს, თუ სხვა სახის ფარის, ჩამოკიდება ექვი არაა, ფარის საკულტო დანიშნულებაზეც უნდა მეტყველებდეს, რასაც აქ მოტანილი სხვა საბუთებიც ადასტურებენ.

ამდენად, საფიქრებელია, სიმბოლურად მაინც ისინი გარკვეულ მიმართებაში უნდა იმყოფებოდნენ ხუცუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცის თალის გამომხატველ ნახევარსფეროსთან, როგორც საკულტო დანიშნულების საგანთან.

4. თეთროსან-ლევკოთიას ტაძრის აღგილი ქართულ წარმართულ პანთეონში

ქართული წარმართული ღვთაებიდან ოფიციალურ სამეფო პანთეონში არმაზი და ზადენი ბატონდება. მათ სახელს იმკვიდრებს დედაქალაქის ორი დიდი ციხე-სიმაგრე—არმაზციხე და ზადენციხე. ეს ორი ღვთაება წარმოდგენილია ქვეყნის უმთავრეს ღვთაებებად. ქართულ წერილობით წყაროებში, როგორც ვიცით, არმაზ-ზადენის წყვილი ღვთაება გაციისა და გა(იმ)ის წყვილს უპირისპირდება; ამ დაპირისპირებიდან ჩანს, რომ ისინი მათი წინამორბედი ადგილობრივი უძველესი ღვთაებანია. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ამაზე პირდაპირაა მითითებული: „ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი—გაცი და გა“, რასაც სხვა უძველესი წყაროებიც იმეორებენ⁴⁵. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, არმაზისა და ზადენის გარდა, როგორც უმთავრესი ღვთაებებისა, იყვნენ „კერპნი სხვანიცა სამეფონი გაცი და გა“⁴⁶. როგორც ირკვევა, ისინი ერთდროულად იყვნენ აღიარებული და თანაარსებობდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არმაზი და ზადენი სამეფოს დედაქალაქში მესხების (მუშქები) შემოღწევა-გაძლიერების გზით უნდა იყოს დამკვიდრებული და შემოტანილია მათ მიერ ხეთურ-მცირეაზიურ რელიგიურ ტრადიციათა გავლენით⁴⁷, რომელთაც გაციისა და გა(იმ)ის სახით უნდა დახვედროდათ ხალხში ძალზე პოპულარული ადგილობრივი ღვთაებანი. მაგრამ მათზე მძლავრობს და პირველობს არმაზი, რაც კარგად ჩანს არმაზის კერპის აღწერიდან⁴⁸.

⁴⁵ Описание рукописей, II, გვ. 769.

⁴⁶ „ქართლის ცხოვრება“ I, გვ. 106.

⁴⁷ Г. Мелкишивили, К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 317.

⁴⁸ Описание рукописей, II, გვ. 752, 761.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მცხეთაში აღმართული კერპი და მასთან დაკავშირებული სახელები, მთვარის, ვითარცა უმთავრესი მამა ღმერთის, ქართულ სახელს Armas გამოხატავს, რომელიც წარმოებულია ხეთური სახელის arma — ძირისგან⁴⁹. არმას ღვთაების სახელი გავრცელებული იყო ხეთურ-მცირეაზიურ სამყაროში. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში არმა ღვთაებისგან ქართლში უნდა გავრცელებულიყო საყოველთაოდ ცნობილი არმაზი და აქედან კი ადგილის სახელი არმაზციხე, ამით კი, მათივე აზრით, მთვარე ღმერთს ახალი სახელი უმკვიდრდება ქართლში.

ანტიკური ხანის ქართულ-იბერიულ სამეფოში მთვარის ღვთაების სახელის პატივსაცემად განხორციელებული აქ აღნიშნული მოვლენები ძველი ქართული ტრადიციის ბუნებრივი გაგრძელებაა, რომელთა საწყისებიც რამდენიმე ათასწლეულის წინა ეპოქებშია დასაძებნი. გამორკვეულია, რომ ყველგან, სადაც კი ქართველ ტომებს უცხოვრიათ. „მთვარის ვითარცა მთავარ-მეფუის და ღვთაების“ თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს. მთვარის ღვთაების თაყვანისცემის საერთო ქართული წარმართული რელიგია, როგორც ეს გამოკვლეულია, ქართველ ტომებში ძველთაგანვე დამკვიდრებული ყოფილა, გარდა იმისა, რომ ასევე არსებობდა სათემო ადგილობრივ-ტომური კულტ-ღვთაებები.

სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში ისიც კარგადაა დასაბუთებული, რომ სვანური და მეგრული წარმართულ-რელიგიური წესჩვეულებების შესრულების დროს გვიანობამდე შემორჩენილი იყო საერთო ქართული წარმართული ლოცვების ქართულად წარმოთქმა და მისი საერთო წესი და რიგი. მაგალითად, კვირიას თაყვანისცემასთან დაკავშირებულ წესებში, გარდა იმისა, რომ შემორჩენილი აქვთ საერთო ქართული წარმართული ღვთაების რწმენა, საწესო ფერხულის სიტყვებს მეფერხულე სვანები ქართულ ენაზე წარმოთქვამენ. ასევე იქცევიათ მეგრული მეკვლენიც, როცა ისინი საახალწლო სახალხო დღესასწაულის ლოცვებს წარმოთქვამენ არა მეგრულად, არამედ ქართულ ენაზე. ყოველივე ეს, ბევრ სხვა მონაცემებთან ერთად, საფუძველს იძლევა და, ცხადი ხდება, რომ არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, ამასთანავე წარმართობის საერთო ენა და ტერმინოლოგიაც ქართული ჰქონდათ⁵⁰. ამრიგად, ნათლად დასტურ-

⁴⁹ А. И. Болтунова, К вопросу об Армази, ВДИ. № 2. 1949 гв. 237, Г. А. Меликишвили. Напри Урарту, Тб., 1954, гв. 420 — 429 а. ა ფ ა კ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 176—178.

⁵⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 116.

დება, რომ უხსოვარ დროიდან ქართველ ტომებში შემუშავდა მთვარის ღვთაების წარმართულ-რელიგიური, მტკიცედ ჩამოყალიბებული ნორმები ქართულ ენაზე ლოცვა-კურთხევის ერთიანი სისტემის სახით. მათვე მოეპოვებოდათ მთვარის სამლოცველო ერთიან პრინციპზე აგებული ტაძრები, რომელთაგან თეთროსან-ლევკოთეას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა.



ილია ჭავჭავაძის დაკვირვებით, ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონის უდაბლესი საფეხური ცის თაყვანისმცემლობა, ერთღმერთობა მისი ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე. ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე ილიას აზრით ერთღმერთობა მრავალღმერთობამ შესცვალა, მოხდა ცის დიფერენცირება, რომელიც ციურ მნათობთა კულტის, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების თაყვანისცემაში გამოვლინდა.⁵¹ ილიას ისტორიული განვითარების პროცესი მონოთეიზმიდან პოლითეიზმის გზით აქვს წარმოდგენილი, რომელიც ბოლოს მონოთეიზმით მთავრდება.

ი. ჭავჭავაძე გულისყურით ჩერდება საქართველოს ძველი ისტორიის წარმართული მსოფლმხედველობის უაღრესად საყურადღებო საკითხებზე. მითოლოგიის მონაცემთა გამოყენებისა და ქართული სინამდვილის ისტორიულად გაანალიზების გზით იგი წარმოგვიდგენს ქართულ ღვთაებათა პანთეონის ისტორიული განვითარების ძირითად ზერიოდებს და საფეხურებს: ილიას აზრით, „სათავედ პირველდაწყებითი სარწმუნოებისა მიღებულია თვით გარშემოხვეული ბუნება და მისი უშუამავლო, პირდაპირი ზემოქმედება პირველყოფილ ადამიანის გრძნობა-გონებაზედ“, — რომელიც ცისა და ციურ მნათობთა თაყვანისცემაში ვლინდებოდა. ილიას შეხედულებით, „ცის თაყვანისმცემლობა ერთღმერთობას მოასწავებდა... რადგან მრავალღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანაში, პირველყოფილ უღმერთობას მოჰყვა მრავალღმერთობა, სახელდობრ თაყვანისცემა ციურ მნათობთა, მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების“. ამ მრავალღმერთებიდან „ადამიანს დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ წაწევა განვითარების გზაზე, ეიდრე კერპთმსახურებამდე მიღწევდა... ცის თაყვანისმცემელ ადამიანისათვის, თუ ღვთაება იდგა, აზრია, მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს... კერპობა არის ნივთიერად გამოხატულება ღმერთებისა

⁵¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 373 და 377.

და კერპომსახურება კაცობრიობის წარმატებულობას გვიმტკიცებს“⁵².

ილია, ქართული მითოლოგიის მონაცემებსა და „ქართლის ცხოვრების“ ცნობებზე დაყრდნობით, ეხება ღმერთების სამეულობის საკითხს და არკვევს მის რაობას. იგი ასევე ეხება „ჩვენის ღმერთების პანთეონში ბევრი სხვა ღმერთების“, როგორცაა, „გაცის“ და „გაიმის“ მამასახლისობის დროს, — „ზადენის“, „აინინას“. „დაინინას“ და „არმაზის“ მნიშვნელობას. უკანასკნელი ფარნავაზმა აღმართა და ჩააყენა უძველესთა კერპთა—გაცისა და გაიმის შუა“.⁵³

ილიას დასკვნით, „ქართველებს სარწმუნოებრივი წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონოდათ კარგად გარკვეული. უამისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპომსახურება, რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული, წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანისცემისას, მსხვერპლის შეწირვისას და სხვ.“ წარმართული კულტმსახურების სტადიაზე მდგომ „მაშინდელ ქართველებს საკერპო ტაძრები ჰქონიათ, მერე იმისთანა სატაძრო განძითა და ავეჯით, რომ თვითონ ასურელთა მეფენიც კი ამათ მიტაცებასა და წაღებას ჰქადულობენ, რაც პირდაპირ გვეუბნება ამ რიგისა და წესის არსებობას.“⁵⁴ ილია ამ სიმდიდრით განთქმულ წარმართულ საყდარში ალბათ, ლევკოთეას გულისხმობს, რომელიც კოლხეთში მდებარეობდა. დიდი გეოგრაფის სტრაბონის ცნობით, პირველად იგი ფარნაკემ, ხელმეორედ კიდევ პერგამის მეფემ გაძარცვა, და მაინც უმდიდრეს და უგავლენიანეს ტაძრად ითვლებოდა.⁵⁵

ილია ცდილობს კერპომსახურება ქრონოლოგიურად დაათარილოს და დასძინს, რომ „ასე თუ ისე, ცხადია, რომ თუ არ საკუთრივ მეთავე საუკუნიდან ქრისტეს წინათ; მეცხრედან მანაც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპომსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზე მოქცევამდე“.

ამრიგად, ი. ჰავკავაძე შედარებითი მითოლოგიისა და სოციოლოგიის აღიარებული ავტორიტეტების — ლენორმანის, ტეილორის, ლებბოკის და სხვათა საყოველთაოდ ცნობილ გამოკვლევებზე, ქართულ ისტორიულ ძეგლებზე დაყრდნობით, აბათილებს ივ. ჯაბადარის სიყალბეს და ასკვნის: „მაშ რაღას პატრონი გვეუბნება და რამდენჯერმე გვიმეორებს,

⁵² ი. ჰავკავაძე, თხზ. ტ. II, გვ. 373.

⁵³ იქვე, გვ. 377.

⁵⁴ იქვე, გვ. 379—380.

⁵⁵ სტრაბონი, გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ, 1957, გვ 13—20.

ვითომც ქართველებს ისეთი რჯული ქონებოდეთ, რომ მისი არც თავი იცოდნენ, არც ბოლო, ესე იგი უწესო და ჭრიგო იყო.“

წარმართული ქართული პანთეონის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი წყაროები; ძველი ქართული მატრიანეები გვაუწყებენ, რომ წარმართულ საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილ საკერპოს ქანდაკებათა მთელი გალერეაც კი არსებობდა და თვითეული ეს კერპი, კულტად ქცეული, რომელიმე გამოჩენილი მეფის სახელის გამომხატველი იყო. მაგალითად, „არმაზის“ კერპის თაყვანისცემა შემოულია ფარნავაზს, „აინინა“ კერპის — საურმაგს, „დაინინას“ — მირვანს და „ზადენის“ — ფარნაჯომს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ძველი კერპი ღმერთები სამეფო დინასტიების, ან გამოჩენილ მეფეთა ახლით შეცვლასთან ერთად იცვლებოდა ისევე, როგორც ეს ძველ ეგვიპტეში ხდებოდა.

მაგალითად, ლეონტი მროველი არმაზის კერპის აღმართვის გამო გვაუწყებს: „ამავე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი, სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და ამიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“.⁵⁶

წარმართულ საქართველოში, მაგ., მცხეთაში, ღვთაებათა გამოსახულებებს და ქანდაკებებს ამზადებდნენ ლითონისა (სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, რკინა) და ძვირფასი თვლებისაგან: ღვთაება აპურამაზდის გამოსახულება ძველირანულ ხელოვნებაში სიმბოლური ნიშნებით — ფრთოსანი მზის წრის სახითაა წარმოდგენილი.⁵⁷

ხუცუბანში ცის თალით გამოხატული მთვარის ღვთაება, სხვა ასტრალური ნიშნებითურთ, ბრინჯაოს ლითონისაგანაა დამზადებულ-ჩამოსხმული.

ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. III ს. სამარხში აღმოჩნდა რკინისაგან გამოკედილი მამაკაცი, შემკული ოქროს საყურეებით, ყელსამკაულითა და კილიტებით, რომლებიც, როგორც ქსოვილების ანაბეჭდები ამჟღავნებენ, ამ ქანდაკების სამოსელზე ყოფილა დაკერებული.⁵⁸

სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ გარემოს მხატვრულად შემეცნება და მისი რეალისტურად წარმოსახვის იდეა ადამიანს ძალზე შორეულ ისტორიულ ეპოქაში უჩნდება — ჯერ

⁵⁶ „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბ., 1955, გვ. 25.

⁵⁷ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული რელიეფური ქანდაკების უძველესი ნიმუში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XII—B 1944, გვ. 122.

⁵⁸ ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 236.

კიდევ იმ პერიოდში, როცა იგი გამოქვაბულებში ცხოვრობდა. მოღწეულია გამოქვაბულთა კედლებზე მოხატული ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის ნაღრობის გამოხატველი მეტად საინტერესო სცენები, ჭალის ფიგურის გამოხატველი ქანდაკებანი, და ასევე გარემო ბუნებასთან ადამიანის უშუალო ურთიერთობის ბევრი სხვა საყურადღებო მომენტი, რომლებიც გარემოს მხატვრულად აღქმის პირველი ცდის პირველ კლასიკურ ძეგლებს წარმოადგენენ.⁵⁹ პალეოლითის ეპოქაში შემუშავებული ეს მხატვრული ტრადიცია შემდგომ ისტორიულ ეპოქებში ვითარდება. და, კერძოდ, ბრინჯაოს ხანაში, განვითარების ახალ სტადიაში შედის. მაგ., კოლხურ და იბერიულ ბრინჯაოს სარტყლებზე, ცულებზე, ბალთებზე და ბევრ სხვა ოქროსა და ვერცხლის საგანზე შემორჩენილ მხატვრულ სახეებს დღესაც კი განცვიფრებაში მოყვავართ შესრულების მაღალი ტექნიკით, საკმაოდ დახვეწილი და ფაქიზი გამოვლებით.

რაც შეეხება მაგიების კულტ-ღვთაებების მხატვრულად წარმოსახვის ცდებს და პრაქტიკას ხელოვნებაში, ადამიანს იგი უვითარდება ბევრად გვიან, თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ადამიანი უხსოვარ დროიდან აწარმოებდა დაკვირვებას სამყაროზე და მის მთავარ შემადგენელ ელემენტზე — ზეცაზე, ციურ მნათობთა მოძრაობაზე.

არქეოლოგიური ნივთი, ისე როგორც ყოველგვარი მითი, მკიდროდაა დაკავშირებული იმ საზოგადოებასთან, რომელმაც ის შვა. ეს საგნები ხშირად არსებობენ საუკუნეების მანძილზე, რამდენადმე შეუცვლელი ფორმით, როცა ძირფესვიანად იცვლება ისტორიული პირობები. ამ ნივთის წარმოშობისა და ქრებიან თაობები და მათი შეხედულებანი სამყაროზე, თუმცა ყოველგვარი იდეური ვადმონაშთი ბევრად კონსერვატულია და დიდხანს ცოცხლობს ადამიანთა შევნებაში.

კოლხურ წარმართულ სახვით ხელოვნებაში, რომელსაც გვიან ბრინჯაოს ხანაში განვითარების საკმაოდ მაღალი დონისათვის მიუღწევია. დაბადებულა იდეა ცისა და ციურ მნათობთა მხატვრულად წარმოსახვისა იმ ისტორიულ პირობებში, როცა მთვარის ღვთაება და მისდამი თაყვანისცემა გაბატონებული იყო არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივად, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიაც. — უშენებდნენ მთვარეს ტაძარს, ჰქონდათ სატაძრო მეურნეობა და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთვარის ღვთაების იკონოგრაფიული გამოხატულების არა ერთი ცდა უნდა ყოფილიყო და ერთ-ერთ ასეთ უძველეს ცდად ხუცუბანში № 4 სამარხში აღმოჩენილი ძეგლები შეიძლება ვივარაუდოთ.

⁵⁹ З. А. Абрамов, Изображение человека в палеолитическом искусстве Евразии, М., 1966, გვ. 160.

ქართულ-წერილობით წყაროებს მართლაც არა ერთი ცნობა შემო-
უნახავს ქრისტიანობის დამკვიდრებამდე წარმართულ ღვთაებათა
ქანდაკების სახით გამოხატულებებზე. წარმართულ საქართველოში,
ძველ ქართულ მატთანაა წყაროებით, კერპების ქანდაკებათა მთელი
გალერეა იქმნებოდა.

ძველი აღმოსავლეთის ხალხებმა, განსაკუთრებით ეგვიპტელებმა
და ბაბილონელებმა, უალრესად მდიდარი გამოცდილება დააგროვეს
ცისა და ციურ მნათობთა შესწავლის საქმეში. სოფლის მეურნეობის
სხვადასხვა დარგის სწორად განვითარებისათვის ამ ხალხებს სჭირდებოდათ
განესაზღვრათ ნილოსისა და ტიგრ-ევფრატის ადიდების პერი-
ოდები, რომლის განსაზღვრას ისინი აღწევდნენ ციურ მნათობთა მოძ-
რაობის შესწავლის საფუძველზე შედგენილი კალენდარის საშუალებ-
ებით⁶⁰.

ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქართ-
ველურ ტომებს თავისი წვლილი უნდა შეეტანათ ციურ მნათობთა
შესწავლის საქმეშიც და საკუთარი კოსმოგონური კონცეფციაც უნდა
შეემუშავებიათ. ჯერ კიდევ ჰეროდოტემ შენიშნა კოლხებისა და ეგვიპ-
ტელების უმაგალითო სიახლოვე. ამ ორი ხალხის ეს სიახლოვე, რა
თქმა უნდა, თმის, ფერისა და სხვა გარეგნული მსგავსი ნიშნების გარ-
და პირველ ყოვლისა კულტურის სფეროში უნდა დავინახოთ.

ცისა და ციურ მნათობთა შესწავლას ძველი აღმოსავლეთის ხალ-
ხები უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო კი არ ეწეოდნენ, არამედ
ამ ხალხთა საარსებო საშუალებების მოპოვება ბევრად იყო დამოკი-
დებული ამინდის ცოდნასა და წელიწადის დროთა განსაზღვრაზე. ყო-
ველივე ეს საშუალებას აძლევდათ თავის დროზე დაეწყათ ხვნა-თეს-
ვა, აეღოთ მოსავალი, დაემზადებინათ საკვების საზამთრო მარაგი
და სხვ.

ხალხი, რომელიც მიწათმოქმედებას, მეღვინეობას და მესაქონ-
ლეობას მისდევდა, თავისი სამეურნეო ეკონომიური ცხოვრების პი-
რობებით მეტ ინტერესს მთვარისადმი იჩენდა, მთვარეთმცოდნეობას
დიდ ყურადღებას აქცევდა და დროთა განმავლობაში მთვარე მათთვის
უზენაეს ღვთაებად იქცა. მთვარის თაყვანისმცემლობა იმთავითვე
მომთაბარული მესაქონლეობის მიმდევარ ხალხებში უნდა დამკვიდრე-
ბულიყო, რადგან მთვარიან ღამეს მათთვის უალრესად დიდი მნიშვნე-
ლობა ენიჭებოდა. ქართველურ ტომთა ადგილ-საცხოვრისი ძველთა-
განვე შემკული იყო უმდიდრესი საზაფხულო და საზამთრო საძოვრე-
ბით და მესაქონლეობა საუკუნეების მანძილზე წამყვან დარგად ითვ-
ლებოდა, მაგრამ ზეცის, მთვარის კულტი მათში მეტალურგიულმა წარ-
მოებამ დაბადა.

⁶⁰ И. Веселовский, Звездная астрономия древнего Востока, М., 1960.

უფრო მოგვიანებით, ზღვაოსნობის განვითარებასთან ერთად, ქართველურ ტომთათვის, ისე როგორც სხვა ზღვისპირეთის მკვიდრი ხალხებისათვის, განსაკუთრებით საჭირო გახდა ვარსკვლავთმცოდნეობა. ამ დარგის ცოდნას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ზღვაოსნობაში, გაშლილ ზღვაში ადგილსამყოფელისა და მიმართულების განსაზღვრისათვის.

დასასრულ, დროის გაზომვა და დაანგარიშება მხოლოდ ცის მნათობებზე დაკვირვების გზით წარმოებდა. გაანგარიშებისა და გამოთვლის ზუსტად ცოდნის აუცილებლობამ, რომელზეც დამოკიდებული იყო ადამიანის სამეურნეო და საარსებო საშუალებათა წარმოება, განაპირობა კალენდარული სისტემის შექმნა, რომელიც მოითხოვდა გარკვეულ ცოდნას ასტრონომიის დარგში.

ძველი 'შუმერები, ეგვიპტელები, ხეთები ნილოსისა და შუამდინარეთის მკვიდრი ხალხები, მათი ქურუმი-ასტრონომები თავისი დროის 'შესანიშნავი დამკვირვებლები და ამინდის წინასწარმეტყველებიც იყვნენ. ისინი ზოგჯერ ზუსტადაც კი ვარაუდობდნენ მზის ან მთვარის დაბნელებას; ეგვიპტელმა და ბაბილონელმა ქურუმებმა პირველებმა შეიმუშავეს თავისებური კალენდარი, რომელიც ძირითადად მთვარის ფაზების ღრმა ცოდნას ემყარებოდა. ბაბილონ-ასურეთის ძველი კულტურული მემკვიდრეობაა — შეიდდლიანი კვირა, წრის 360 გრადუსად დაყოფა, საათის 60 წუთად, ხოლო წუთის 60 წამად, ერთმანეთისადმი მიმართვა სახელით, მამის სახელითა და გვარით და ბევრი სხვა, რომლითაც საკაცობრიო ცივილიზაცია დიდადაა დავალებული.



კოლხეთის რელიგია, მისი ღვთაებათა პანთეონი არაა ჯერ გამოკვლეული სათანადოდ და საამისო წყაროებიც დღემდე გამოუვლენელი რჩება. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები კოლხურ წარმართულ ღვთაებათა შესახებ თითქმის სდუმან და მხოლოდ იბერიის სამეფო დედაქალაქის მცხეთის და მასში შემავალ მხარეთა წარმართულ-რელიგიური მრწამსისა და სადღესასწაულო რიტუალური წესების აღწერით იფარგლებიან. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორს შემოუნახავს ერთი ასეთი დღესასწაულის აღწერა მცხეთაში არმაზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სადაც „აღივსნეს მთანი დროშებითა და ცრითა, ვითარცა ველნი ყვავილითა“. ქალაქში დილიდანვე ისმოდა

„ხმა ობრისა და საყვირის, გამოვიდა ერი ურიცხვ... და ჭერეთ მეფე არღა გამოსულ იყო“. საგანგებო ცერემონიალური გარემოცვით გამოდის ამ სადღესასწაულო ზეიმზე ასევე დედოფალი — „აჰა მყის გამოვიდა ნანა დედოფალი და ნელიად მოვიდოდა ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფლორცნი თვითოფერთა სამოსლებითა და ფურცლითა და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა“. ⁶¹

„ნინოს ცხოვრებაში“ აღწერილი ეს დიდი საღვთო დღესასწაული „არმაზობა“, დაკავშირებული ჩანს „მცხეთობასთან“, რადგან ირკვევა, რომ არმაზობის წინა დღეს მცხეთაში ურბნისიდანაც ჩამოსულან, „მაშინ დღესა ერთსა აღიძრეს ერნი დიდნი მით ქალაქით (ურბნისით). წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ მცხეთად, მოვაჭრებად სასმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“. ⁶²

მცხეთობა, რომელიც უძველესი წარმართული დღესასწაულია, ეწყობა შემოდგომას — სიუხვისა და ნაყოფიერების მიღების დღეებში. ამ უკანასკნელის განსახიერებად კი მკვლევარნი ვარაუდობენ არმაზ-ზევის XI სამარხში აღმოჩენილ უმშვენიერეს ვერცხლის ქანდაკებას სიუხვისა და ნაყოფიერების ქალღმერთისას. ⁶³

წარმართული დღესასწაულები, როგორც ეს ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ქართველ ტომებში არა მხოლოდ უმთავრესი მამლღმერთის მთვარის ღვთაების პატივსაცემად ეწყობოდა, არამედ, ასევე ლოკალური მნიშვნელობის კულტ-ღვთაებებისადმიც კი, მაგრამ ამის შესახებ უფრო ადრინდელ წერილობით წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სტრაბონს ალბანეთის მაგალითზე, მოეპოვება მთვარის ღვთაების ბევრად ადრინდელი საკულტო სადღესასწაულო წეს-ჩვეულებათა აღწერა (გეოგრაფია XI: 4, 7). ამ აღწერის მსგავსს ქართულ წერილობით წყაროებში, მართალია, არაა შემონახული, მაგრამ როგორც ჩვენ ამაში ზემოთ დავრწმუნდით, სტრაბონის მიერ აღწერილი ეს ალბანურად წოდებული მთვარის კულტმსახურების დღესასწაული როგორც ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მასალებით, ასევე სხვა მონაცემებითაც, სინამდვილეში მთლიანად ეხება და გამოხატავს კახეთის აწყურის თეთრგორგობის დღესასწაულის წეს-ჩვეულებებს, რომელიც სტრაბონის ამ აღწერიდან ოცი საუკუნის გასვლის შემდეგაც კი თითქოს უცვლელადაა შემონახული ხალხის შეგნებაში და ვლინდება თეთრი გიორგის დღესასწაულში. ⁶⁴

აწყურის თეთრი გიორგობის და ხუტუბნის ასევე თეთრი გიორგის,

⁶¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 88—89.

⁶² იქვე.

⁶³ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, თბ., 1955.

⁶⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 50—52.

ანუ თეთროსნის წმინდა გიორგის სახელობის საყდრის დღესასწაულე-
ბი ერთდროულად მთვარის აღსებების დღეს — 14 აგვისტოს იწყებოდა.
ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სტრაბონისეული ლეკო-
თეას საკულტო-სადღესასწაულო წეს-ჩვეულებანი ისეთივე უნდა ყო-
ფილიყო ხუცუბნის თეთროსანშიც, როგორც კახეთის (ალბანეთის)
აწყურის თეთრი გიორგის საკულტო დღესასწაულში დღემდე შემორ-
ჩენილი. როგორც სტრაბონის აღწერით, ასევე ეთნოგრაფიული მასალებ-
ბის მიხედვითაც იბერიასა და კოლხეთში სტრაბონის დროს, ამრიგად
ერთიანი ქართული წარმართული პანთეონია. ესაა უმთავრესი მამა-
ღმერთის მთვარის კულტის ღვთაება, მის პატივსაცემად აგებული ტაძ-
რები, სატაძრო მეურნეობანი და კულტმსახურების ის საერთო წესები,
რომელიც მოეპოვება სტრაბონს და დაცულია ქართულ-ეთნოგრაფიულ
სინამდვილეში. რა თქმა უნდა, სტრაბონის ამ აღწერებში ყველაფერი
ზუსტი როდია, მას შეცდომებიც მოსდის. მაგალითად, როგორც ალბანე-
თის მთვარის — მამღმერთის ღვთაების საყდარი, ასევე ძველ კოლხურ
სამყაროში არსებული ლეკოთეას ანუ თეთროსანის მთვარისა და
წმინდა გიორგის სახელწოდებისა, შეცდომით ორთავე ქალღმერთის
(მდედრობითი სქესის) სამლოცველო ტაძრებადაა მიჩნეული.

თუმცა ქალღმერთის კულტისა და ღვთაებების არსებობა ლიხ-იმე-
რეთსა და შავიზღვისპირა კოლხურ მოსახლეობაში ბერძნულ-რომაულ-
ლი წყაროებით არაერთგზისაა დადასტურებული. მაგალითად, არიანეს
ქალაქ ფაზისში შესასვლელთან ქალღმერთის დიდი ქანდაკება აქვს მი-
ითებული, რომელსაც ხელში საკრავი ეჭირა და ფერხთით ლომების
ფიგურები ეწვა.⁶⁵ ამ ქალღმერთის გამოხატულებას რეას ამსგავსებენ,
რომელიც მცირე აზიის უმთავრეს ქალღმერთად იყო აღიარებული და

⁶⁵ ფლავიუს არიანე მაშინდელ ფოთში აღმართულ ქალღმერთის ქანდაკებას ასე
აგვიწერს: „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთი
ეასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის პეკუს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს.
აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდიასის
ქანდაკება ათენის მეტრონში“.

არიანე ეძებს იაზონის ნაკვალევს და მაშინდელი ტრადიციით „აქ უჩვენებენ
იზგოს. რკინის ღუზის... აქვე მიხევენს მე ქვის ძველი ღუზის ნაჭრები, რომლებიც
უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ არგოს ღუზის ნაშთად. რაიმე სხვა ძველი ია-
ზონის მითებში მოხსენებული, აქ არ იყო“.

ფოთის ციხეს იგი ასე გვიხასიათებს: „თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება
იოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად... ორპაგი თხრილი ერთუ-
ნის კედელს, ორივე ფართოა. წინათ კედლები თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მას-
ზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამოშვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკ-
ველი მისი მაგარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული“ და სხვ.

6. კეკელიძე, — ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961,
გვ. 39—40.

„დიდი დედის“, „დედუფლისა“ და „ღვთის მშობლად“ იწოდებოდა.“

წინააზიურ წარმართულ ღვთაებათა შორის ქართველ ტომთათვის საყოველთაოდ ცნობილ ალაღე, ია, არაღე და ზოგ სხვა ღვთაებებთან ერთად ნანაც იხსენიება.⁶⁷ ეს უკანასკნელი კი ადამიანთა გამრავლების და ნაყოფიერების ღვთაებაა დედობის მნიშვნელობით. წარმართულ ქართულ სამყაროში ნენე, ნანა, ასევე საგალობელი „იაენანა“, თავის იდეურ საწყისებს დედობიდან — დედამთავრულ (მატრიარქატის) ეპოქიდან შეიძლება ღებულობდეს და აგრძელებდეს არსებობას.

ქართული ენობრივი მონაცემებით ნენე, ნანა დედის სინომიმური ცნებაა დია-სთან ერთად.⁶⁸ სახელი ნანა ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიასა და მცირე აზიაში, სომხურ ენაში ასევე «За словом Нана приключается значение мать» — შენიშნავს გრ. კაფანციანი. (იხ. მისი Историко-лингвистические работы, გვ. 290—292). ცნობილია, რომ პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის ცოლს ნანა ერქვა და სხვა, მაგრამ როგორც ალბანეთის (კახეთის), ასევე (კოლხეთის) ლეკოთეა — თეთროსანის ტაძრები სინამდვილეში მთვარის — მამალმერთის (შემდეგ წმინდა გიორგის) ტაძრები იყო და სტრაბონი კი შეცდომით ქალღმერთის ტაძრებად მიიჩნევდა.

⁶⁶ საქართველოს ისტორია. ს. ჯანაშიას რედ., 1946, გვ. 97.

⁶⁷ А. Сванидзе, Материалы по истории алародических племен, 137, გვ. 40.

⁶⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 612. ასევე გ. ჟორდანი, მეხურელნი, გვ. 163—165. Н. Мэрр, Грамматика чанского (лазского), языка, СПб, гв. 172.

ამირანის თქმულებისა და ხუცუბან-თეთროსნის
არქეოლოგიურ ტოპონომიკურ მონაცემთა ურთიერთობის
საკითხისათვის

თავი IX. თქმულების ზოგი მთავარი პერსონაჟი კველ
კოლხურ წარმართულ საყდარ თეთროსანთან მიმართებაში

1. ამირანიანის, ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ლოკა-
ლიზაციისათვის (საკითხის დაყენების წესით)

ქართული საგმირო ეპოსის საგანძურში ამირანიანი, როგორც სიუ-
ჟეტით, ასევე ეპიური პერსონაჟებითა და მათი მოქმედების ფართო ას-
პარეზით, გასაოცრად დიდი მასშტაბის მხატვრული მოვლენაა. ამირა-
ნიანის პერსონაჟების მოქმედების ასპარეზად როდი კმარა ჩვენი სამ-
შობლოს მიწის ზედაპირი, მათი მოქმედება ხშირად ზღვაზე და ზეცა-
შიაც არის გადატანილი. თქმულებაში, მართალია, მეტად გავრცობილია
მოქმედების გეოგრაფიული ასპარეზი, მაგრამ მცირე გამოჩაყლის გარ-
და, არაა მოღწეული კონკრეტული ტოპონომიკური სახელები, რომელზე
დაყრდნობით მოხერხდებოდა ამირანიანის უმთავრეს პერსონაჟთა ად-
გილ-სამყოფელის ან მოქმედების ადგილის გეოგრაფიული სახელების
ადგენა. ზემოაღნიშნული საკითხების მეცნიერულ შესწავლას ამირა-
ნიანის საერთო პრობლემატიკაში კვლევადიების დღევანდელ საფეხურ-
ზე, შეიძლება ითქვას, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება¹.

ჩვენ აქ გვინტერესებს ამირანიანის პერსონაჟთა სამოქმედო ერთი
გეოგრაფიული ადგილის ლოკალიზაცია და მასთან დაკავშირებული
ზოგიერთი პრობლემა, კერძოდ საკითხი: უძველესი გეოგრაფიული
სახელი „თეთროსანი“ (რომელიც, დაახლოებით, 5 კილომეტრითაა და-
შორებული შავი ზღვიდან) რა მიმართებაში შეიძლება იყოს ამირანი-
ნის ტექსტებში დაცულ ბადრის „თეთროსან“ და მოგვიახებით წმინდა
გიორგის კულტან, რომელიც თეთროსზეა ამხედრებული როგორც
წესი და თეთრ გიორგიდ, ანუ თეთროსნად იწოდება.

¹ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წ. II, 1965, გვ. 112—130. მუხარზევის
გვრგვინის მიდამოში ნაშენი ლეგენდარული ბეთლემის ეკლესიიდან ოდნავ მოშორე-
ბით „ამირანის ქობის“ სახელწოდებით ნანგრევებია გადარჩენილი. — ქვის სვეტები
და ქვისეე ღირე-ქობი.

ამირანის პერსონაჟთა სამოქმედო გეოგრაფიული ასპარეზი და სოციალურ-ეთნიკური გარემო იმთავითვე საქართველოს მთელი ტერიტორია და მასზე დამკვიდრებული ყველა სატომო და სათემო უნდა ყოფილიყო. აღნიშნული მოსაზრების უტყუარ მარწმუნებელ საბუთად შეიძლება მიგვეჩინა უძველესი დროიდანვე ამირანის თქმულების მეტ-ნაკლებად გავრცელება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მისი ვარიანტების ნაირსახეობების გასაოცარი სიმრავლე.²

ამდენად, ამირანის ეპოსის შემუშავებაში საქართველოს შემადგენელ სათემო-სატომოებს ისტორიული განვითარების გარიჟრაჟიდანვე აქტიური როლი უნდა ეთამაშათ. სწორედ ამიტომაც ამირანის ქართველოლოგიის უქვირფასესი და დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის ძეგლი ქართული წარმართული მითოლოგიისა და ყოფის მეცნიერულად შესწავლისათვის.

მართალია, ამირანის ეპოსი ქართველურ ტომთა კოლექტიური შე-

² ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამირანის თქმულებას სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, ამჟამად საქართველოში მისი 150-ზე მეტი ვარიანტია ფიქსირებული.

ამ ვარიანტების შეგროვება, და საერთოდ ამირანის ქართული ეპოსის შესწავლა, მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების მიერ — დიდი ამაგი დასდო ამ საქმეს ივ. ჯავახიშვილმა და სხვ., მაგრამ ყველაზე მეტი დამსახურება ამირანის შესწავლაში მაინც მიხილ ჩიქოვანს მიუძღვის. უკანასკნელ ხანებში ამირანის პრობლემისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა შ. ნუცუბიძე. ეს ინტერესი გამოვლინდა როგორც ამ ეპოსის ვარიანტების შესწავლაში, და თქმულების ერთიან ტექსტუალური გამართვის ცდაში, ასევე ამირანის ცალკეული პრობლემის შესწავლაში (შ. ნუცუბიძე, ამირანი; მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I და სხვ.). ამირანის თქმულების შესახებ საყურადღებო გამოკვლევა ეკუთვნის ქართული კულტურის შესანიშნავ პოპულარიზატორს, მკვლევარ ნინო სალიას. მან „ქართველოლოგიის ჟურნალში“ (№ 45—46) გამოაქვეყნა ნარკვევები „ამირან-პრომეთეს პრობლემა“-ს სახელწოდებით. სალიას აზრით, „ამირანის თქმულება ყველაზე უფრო გავრცელებულია მსოფლიოში. იგი ქართული ფოლკლორის ერთ-ერთ საგანძურს წარმოადგენს“. „ამირანის ეპოპეა მიეკუთვნება მსოფლიოს შესანიშნავ ეპიკურ ძეგლთა რიცხვს, როგორცაა „თქმულება გილგამეშზე და პრომეთეს შიით.“

„ქველმა ბერძნებმა, რომლებიც ცდილობდნენ აეხსნათ თავიანთი ტიტანის წარშობის ამბავი, აღიარეს, რომ შესაძლებელია ეს პერსონაჟები შემოტანილი იყო კავკასიიდან. მათ აღიარეს კავკასიაში, კოლხიდაში პრომეთეს შიითის მსგავსი თქმულების არსებობა“. ავტორი ამასთან დაკავშირებით ჩერდება ორეულბის და პარალელების პრობლემებზე და დასძენს, რომ „ისინი ერთი მეორისაგან არ გამომდინარებენ, მათ თავიანთი ქვეყნების საკუთარ წინამძღვარი, თავიანთი განსაკუთრებული სოციალური და მხატვრული საფუძველი აქვს“ (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, '21 მარტი).

მოქმედების ხელთუქმნელი ძეგლია, მაგრამ ყამთა სრბოლაში, განსაკუთრებით IV ს-დან, ქრისტიანობის მიღების შემდეგ მან უდავოდ მრავალი ცვლილება განიცადა წარმართობასთან ბრძოლაში და მნიშვნელოვნად დაზიანდა. თქმულებაში ქართული ტოპონიმიკური მონაცემები მკირე რაოდენობითაა მოღწეული (მაგ. მოღწეულია, კავკასიის მალალი მთები, შავი ზღვა, ალგეთი და კიდევ რამდენიმე ტოპონიმი). დღეისათვის ამირანის მკვლევართა შორის ტექსტში დაცული ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის ირგვლივ პრინციპულად განსხვავებული შეხედულებებიც კი შემუშავდა. მაგ., შ. ნუცუბიძეს თქმულებაში დაცული ტერმინი „იგრი“ გაიგივებული აქვს „ეგრისთან“, საქართველოს ზღვისპირეთთან³. სოლო მ. ჩიქოვანის აზრით, ამირანიანის „იგრი ბატონი“ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში ნახსენებ „ვიგრს“ მოგვეგონებსო. „ვიგრი“ ძველად „ვეშაპს“ ნიშნავდა, სოლო უფრო მოგვიანებით — „კროკოდის“⁴ — წერს ჩიქოვანი.

ამირანის სამოქმედო გეოგრაფიული ასპარეზის გარკვევასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ თქმულებაში მრავალჯერ მოხსენიებული „თეთრონი“⁵. იგი როგორც ირკვევა, ყველგან ცხენის მნიშვნელობითაა ნახსენები. მაგრამ ამირანიანის თეთრონი ჩვეულებრივი ცხენი როდია, არამედ ღვთაებრივი, ფანტასტიური რაშ-ცხენი.

რაკი ჩვენ სათანადო არგუმენტებით დავრწმუნდით, თუ რაოდენ დიდი იყო ცხენის როლი და დანიშნულება წარმართული კოლხეთის სინამდვილეში, ბუნებრივად ისმის საკითხი ცხენის კულტის გავლენის და მნიშვნელობის შესახებ ქართულ მითოლოგიაში. ქართული მითოლოგიის უბადლო ძეგლად ამირანიანი ითვლება იმ სახითაც კი, როგორადაც მას ჩვენამდე მოუღწევია ამირანიანის ტექსტში დაცული ადგილები თეთრონის შესახებ მრავალმხრივ საყურადღებოა. ჩვენ იგი პირველ ყოვლისა, გვიანტერესებს გეოგრაფიულ სახელსა და ნასაყდრალ „თეთროსანთან“ მიმართებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხუცუბნის „თეთროსანი“ როგორც მთვარისა და თეთრი გიორგის ღვთაებათა წარმართული ტაძარი, ამირანიანის თეთრონთან გარკვეულ დამოკიდებულებაში შეიძლება იმყოფებოდეს, როგორც საკულტო გეოგრაფიული სატაძ-

³ „ამირანი“, შ. ნუცუბიძის რედაქციით და წიხასიტყვაობით, გვ. XXI.

⁴ იხ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, გვ. 89. მართლაც. ქართლის ცხოვრებაში დაცული „ვიგრი“ -- „ვიგრის ტყავი“ ფარზე გადაკრული გამძლე ტყავის მნიშვნელობით იხმარება (იხ. „ქართლ. ცხ.“ ანა დედოფლის ნუსხა,“ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 101), მაგრამ თუ რა კავშირი აქვს მას ამირანიანთან ეს საკითხი ჩვენის აზრით გადაუჭრელი რჩება.

⁵ მაგალითად ამირანიანის ტექსტის პროფ. შ. ნუცუბიძის გამოცემაში „თეთრონი“ 11-ჭეგრაა მოხსენიებული. ესენია: გვ. 96, 97, 98, 99 (ორჯერ), 100, 110 (ორჯერ), 111 (ორჯერ) და 112.

რო წარმართული ადგილი. „თეთროსანი“—თეთრი გიორგის—თეთრ ცხენზე ამხედრებული „ცხენოსანის“ სინონიმური ცნებაა და შესაძლოა იგი თეთრონიდან მომდინარეობდეს.

3. ზომი რამ ამირანის: თქმულუბის მითაჲრ პერსონაჲთა შესახებ

ამირანიანის პერსონაჲებიდან აქ თქმულების ორი უმთავრესი მოქმედი გმირი გვანტერესებს, ესენია: ამირანი და ბადრი. ამირანი და ბადრი იმ სახით, როგორაც ისინი თქმულებაშია წარმოდგენილი, ინტერესს იწვევს იმ ტოპონიმიკურ და არქეოლოგიურ მონაცემებთან დაპირისპირებით, რომლებიც ხუცუბნის მიდამოებში იქნა მიკვლეული.

ხუცუბნის ისტორიულ-ტოპონიმიკური მასალის შედარებით შესწავლით, ვფიქრობთ, ამ ორი გმირის თავდაპირველი ადგილსამყოფი და სამოქმედო ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის დაახლოებითი ლოკალიზაციისათვის თითქო ერთგვარი საფუძველი მოიპოვება.

თქმულებიდან ვიცით, რომ ამირანი, ყამარას მოტაცებასთან დაკავშირებით ბადრის მიმართავს და სთხოვს:

„ბადრო, მათხოვე თეთრონი,
ზღვაში გავიღე ნგრევითა“.

მაშასადამე, დასტურდება, რომ მითიური აქტი ამირანისადმი თეთრონის თხოვებისა დაახლოებით ზღვის პირას, ზღვის სტიქიის მახლობელ მიდამოებში უნდა მომხდარიყო. ე. ი. ადგილსამყოფი თეთრონისა და ბადრის — ზღვისპირეთია. ჩვენი ვარაუდით, შეიძლება ეს იყოს „თეთროსანი“, კინტრისის ხეობა — ციხისძირი — ქობულეთის მიდამოები.

თუ ასეთი ვარაუდი დასაშვებია, მაშასადამე ქობულეთ-ციხისძირი, ქაჯეთის ციხის⁶ მიდამოს გეოგრაფიული გარემო, ხმელი, ცა და წყალი, ბადრისა და თეთრონის, „თეთროსანთან“ ნავარაუდევ ადგილმყოფობისა გამო (და სხვა მომენტებითაც, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით) ქცეულა ამირანის, ამ მითიური გმირის, ლეგენდარულ საგმირო საქმეთა მოქმედების ერთ-ერთ ასპარეზად. აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ ასახელებს ამირანტას მთას⁷. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში „ამირან-მთადაა“ აღიარებული და ასეთად მიჩნეულია კავკასიონის ფასის მთა.

⁶ შ. რუსთაველს თავის „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა მოქმედებისათვის შემთხვევით არ უნდა აერჩია სწორედ ქაჯეთის ციხე, ეს ტრადიცია, უდავოა, უაღრესად შორეულია და შესაძლოა კოლხეთში, ამირანის მითთან ერთად ჩამოყალიბებულიყო.

⁷ შტრ. აპ. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 219, შენიშვნა 30, ა. ურუშაძის გამოცემა.

4. ბადრისა და მთვარის იმიჯოლოგიისათვის ამირანიანი

საკიროა აქვე შევეხთ ამირანიანის ტექსტში დაცულ „თეთრონის“ პატრონის, ეპოსის ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟის, ბადრის, პიროვნებას.

ცნობილია, რომ თქმულების განსხვავებულ ვარიანტებში ბადრი, უსუპი და ამირანი ზოგან ძმებად, ზოგან ბიძაშვილებად და ზოგან ძმად-ნაფიცებადაა წარმოდგენილი.

ბადრი ამირანიანის ერთ-ერთი თვალსაჩინო გმირია, შემკული გმირისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, რომელსაც თან ერთვოს მისი გარეგნული სილამაზე და მომხიბვლელობაც.⁸

თქმულების ბევრი ადგილიდან ირკვევა, რომ ბადრი თავისი მშვენიერებით მთვარეს ედრება და ხშირად მის სინონიმადაცაა წარმოდგენილი.⁹ მაგალითად:

„ძმამ ძმისა შავი ღღისათვის
ბადრმა აისხა აბჯარი.

ბადრი მთვარისა ისრებმა
ბნელეთსა დასცა თავჯარი.

ბადრმა უსწორო ომშია
სიკედილი ნახა საჯარი“. (იხ. გვ. 15 და სხვ.)

ერთ ადგილს ბადრის სახე მთვარესთანაა გაიგივებული, მაგ.,

„უზის უსუპსა მზის სხვი
ბადრსა კი სახე მთვარისა“. (იხ. გვ. 127)

ან კიდევ:

„ქვეყნისკენ გზასა მოვნახავთ,
მივხედოთ ბადრსა მთვარესა“. (იხ. გვ. 106)
„სხივი ბადრისა მთვარისა“. (იხ. გვ. 129 და სხვ.)

ბადრი (უსუპთან ერთად) ჩვეულებრივ კაცის ნაშიერად არაა მიჩნეული.

„თუმცა ბადრი და უსუპი,
ბენია კაცთა გვარისა,
ორივეს აზის ნიშანი
ზეცისგან ნაბოძვარისა“. (იხ. გვ.129),

⁸ თუმცა ცნობილი მკვლევარი პროფ. მ. ჩიქოვანი უარყოფს ამ ფაქტს, როცა იგი წერს: „ბადრში მეომრის ტიპი არ არისო...“ (იხ. „ლიტერატურული ძიებანი“ ტ. 11, 1944, პროფ. მ. ჩიქოვანის წერილი, გვ. 71).

⁹ ივ. ჯ ა ჯ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 151.

ბადრი მარტო მიწიერ და ჩვეულებრივ მოკვდავად კი არა, ზეციურისგან „ნაბოძვარ“ არსებადაა მიჩნეული. ამირანიანში საკუთარ სახელად მიჩნეული „ბადრი“, ქართულ ენას ყოველთვის მთვარესთან სინონიმური მნიშვნელობით განუყრელ კავშირში აქვს გააზრებულნი: — „ბადრი მთვარე“, „მთვარე გაბადრულიყო“ და სხვ. ჩვეულებრივი გამოთქმებია დღესაც. ეს მდგომარეობა მით უმეტეს საყურადღებოა, რომ „თეთრონი“ და „ბადრი“ თქმულებაში ერთმანეთთან განუყრელია. ბადრი თავის ყველა საგმირო საქმეს თითქმის ყველა შემთხვევაში თეთრონზე ამხედრებული ჩადის.

5. მხუთუნანავი ყამარის მამა (ტაროსის ღვთაება),
ყმინდა ელია და ჯადოსნური თას-ჯამები

ქართულ ეპოს ამირანიანში ყამარ ქალის მამა უძლველ მებრძოლადაა წარმოსახული. თქმულებით ყამარ ქალის მამისა და ამირანის შერკინება ალბათ საბედისწერო აღმოჩნდებოდა ამირანისათვის, ქალს რომ საქმრო არ აერჩია და მამის სიძლიერის საიდუმლოება არ გაეცა. ჩვენთვის საყურადღებოა ეპოსისეული ფაქტი, რომლის მიხედვითაც ამირანისა და ყამარქალის მამის ბრძოლის ასპარეზად კოლხეთის დაბლობები, შავიზღვასპირეთი გვესახება. ლეგენდით აქვე უნდა დაღუპულიყო ამირანის სიმამრის ურიცხვი ლაშქარი სიმამრითურთ.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული მაინც ვარაუდია და იგი დამატებით არგუმენტაციას საჭიროებს. ამათგან შევჩერდებით ზოგიერთზე.

მზეთუნახავი ყამარი მიუვალ, ცასა და დედამიწას შუამდგომ კოშკში ცხოვრობს, მისი მამა ხელმწიფეა, მეფობს ზღვის მეორე ნაპირზე. ამირანის მიერ დამორჩილებული დევი ამირანს ასწავლის მზეთუნახავ ყამარის ადგილსამყოფელს: — „ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანო“.

ამირანს ყამარის მოსატაცებლად ბრძოლების გადატახა უხდება ყამარის მამასა და მის ლაშქართან, ოომელიც ქაჯებისა და ეშმაკებისაგან შედგებოდა. ყამარის მამა, ამირანის ეპოსის მიხედვით, ტაროსის ღვთაებაა, მის გამგეობაშია ცა და ღრუბლები, სეტყვა-ხოშაკალა, ჰექა-ქუხილი, მენის ტეხვა და ქარბუქი. ტაროსის ღვთაებად ელია ითვლება, მის დღესასწაულს ელიობას 20 იკლისს მართავდნენ. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ მითოლოგიურ წმინდა ელიაზე ხუცუბანსა და მის მეზობელ სოფლებში შემონახულია როგორც დამახასიათებელი ფოლკლორული მასალა, ასევე ტოპონიმიკური სახე-

ლები. აქ არსებობს ელიას ციხის ნანგრევები და ტოპონიმი ელიას მთა რომელიც წმინდა ადგილადაა მიჩნეული. მათ შესახებ დაცულია მრავალი თქმულება-გადმოცემანი და საყურადღებო ფოლკლორული მასალა. აქ მოგვაქვს მხოლოდ ერთი ფრაგმენტი.

ელიას მთა მალაო, წმინდა ელიას სახლკარო,
რას იბურები ღრუბლებში, მაშინებ „ვერ გადახვალო“¹⁰
ჩაჩუტად სიო მოგზაუნე ყურში ჩამძახის „ტყვე ხარო“,
წმინდა გიორგი მწყალობს და გული მიივიის ჩახვალო.
ველარ დამიქერ, თუ გინდა თავს ზისხვა გადამაყარო,
ელქექით. ქექა-ქუხილით, რომ შეძრა მთელი სამყარო,
თოვლში ბურქები ჩახერგო, თავს სეტყვა გადამაყარო,
ხოშ-კაკლით, თოვლის ზევეებით, სავალი გზები დაფარო.¹⁰

ყამარის მამა, როგორც ტაროსის ღვთაების წმ. ელიას სინონიმი, დაცემირებულია ზღვასთან. კერძოდ საქართველოს ზღვისპირეთის იმ მიდამოებთან, სადაც ჩვენ „ელიას მთასა“ და „თეთროსანს“ ეხვდებით. მოტანილ მონაცემებთან ერთად ამ მოსაზრებას განამტკიცებს ხუცუბუნის სამარხებში ნაპოვნი არქეოლოგიური საკულტო ძეგლები, პირველ ყოვლისა ბრინჯაოს ნახევარსფეროზე ასახული ასტრალური ნიშნები და მათი მიმართება ამირანიანის კოსმიურ-ასტრალურ თას-ჯამებთან.

ამირანიანში თასი, ჯამი ასტრალურ კოსმიურ ელემენტებადაა წარმოსახული და ციურ მნათობთა სინონიმებადაა მიჩნეული. მათი მემკვიდრეობით მყარდება წონასწორობა სამყაროში. მათი აგების წესის აღრევა არღვევს წესრიგს და სიმშვიდეს, იწვევს ყოვლისმომცველ ქაბტუხილს, სასტიკ ომს ამირანსა და ყამარის მამას შორის; ზეცაში ღმერთქალ ყამარის კოშკში შეჭრილი ამირანი თხოვნით მიმართავს ყამარქალს, რათა გაჰყვეს დედამიწაზე; უკანასკნელი თანხმდება, ოღონდ მოითხოვს დააცალოს მნათობთა სინონიმური მნიშვნელობის ამ თას-ჯამთა გარკვეული წესრიგით განლაგება. ამირანი თხოვს ყამარქალს, ნება დართოს დაეხმაროს მას თასების განლაგებაში. ყამარქალისაგან იგი ღებულობს ამის თანხმობას, ოღონდ აფრთხილებს ამირანს, რომ ეს თას-ჯამები წესრიგის დაცვით განლაგებინა. იმის გამო, რომ ამირანმა ვერ შესძლო თასების წესით განლაგება, ატყდება საშინელი ქარიშხალი, ე. ი. ირღვევა სამყაროს წონასწორობა. ეს თას-ჯამები ზეციურ სივრცეში უწყესრიგოდ აირ-დაირივნენ და სამყაროში გაიფანტნენ. რაც საფუძველი ხდება იმისა, რომ მეხისმტეხელ ელიამდე მიეღწია ყამარქალის მოტაცების ამბავს.

ამირანიანის აქ წარმოდგენილ ფაბულას. სადაც თას-ჯამების გან-

¹⁰ სოფ. ხუცუბანი, 1944. 15 აგვისტო. ჩაწერილია ჩვენს მიერ, მთქმელი მურად ვასაძე, 67 წ. მოხუცი. იგი ცოტათი განსხვავებული ვარიანტია სოფ. ქაქუთში ჩაწერილისაგან (იხ. სიხარულიძის ტოპონიმია, წ. 11, გვ. 110).

ლაგების წესი წარმოგვიდგება სამყაროს წონასწორობის კოსმიურ წესრიგის დამდგენად, სავარაუდოა, უნდა შეესაბამებოდეს და თითქო გამოხატავდეს კიდევ ხუცუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცის თალი თავისი ასტრალური ნიშნებით, დიდი და მცირე მნათობებით, რომელთა მოძრაობისა და განლაგების წესრიგი თითქო განსაზღვრავდა წელიწადის დროთა ცვლას და ბუნების მოვლენათა კეთილ და ბოროტ სტიქიებში გამოვლენას.

ამირანიანის მთელი ეს მითიური კონცეფცია, ასტრალურ თას-ჯამთა ამბებთან დაკავშირებული, საფიქრებელია, გარკვეულ მიმართებაში უნდა იყოს ასაკობრივად ამირანის დროინდელ ხუცუბნის ძეგლის შემადგენელ ელემენტებთან. ხუცუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს თასისებრი ნახევარსფერო, რომელსაც ასევე საკულტო იკონოგრაფიული ნივთის გამოხატულება აქვს, სავარაუდოა, გარკვეულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს ამირანის თქმულებებთან.

ამდენად ამირანიანის ასტრალური იდეა და კონცეფცია, საფიქრებელია, ხუცუბნის ამ ძეგლში თავის ნივთიერ ერთგვარ გამოხატულებას უნდა პოულობდეს.

6. ამირანიისა და იპელოგის (ტოპონიმ „ნამჰელო“) დაგოკიდეაუღუუვისათვის

ხუცუბნის მიდამოებში, თეთროსანის მახლობლად, ჩვენ წავაწყდით მეორე ტოპონიმიურ სახელს, რომელიც განამტკიცებს აქ გამოთქმულ მოსაზრებას ამირანიისა და მისი მოქმედების გეოგრაფიის შესახებ, და იძლევა შესაძლებლობას რამდენადმე ახალი არგუმენტის წამოყენებისათვის, რომელსაც ქართული წარმართობის მეცნიერულად შესწავლისათვის მცირე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს; ასეთი სახელია „ნამჰელო“, „ნამჰედლები“.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ამირანიანის შესახებ, არ ეყარება მარტო ტოპონიმიკას, უმთავრესად და პირველ რიგში ისინი განმტკიცებულია იმ არქეოლოგიური გათხრის შედეგად მოპოვებული ნივთიერი ძეგლებით, რომელიც ხუცუბანში ტარდებოდა XIX ს-ის 70-იანი წლებიდან მოკიდებული.

ნასაყდრალ თეთროსანის მახლობლად, მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირას, დაუძლია ვრცელი გეოგრაფიული ადგილი „ნამჰელო“, იგივე „ნამჰედლების“ სახელწოდებით.

„ნამჰელო“ ისე როგორც „თეთროსანი“, „ცეცხლაური“, „დაგვა“

და ბევრი სხვა უძველესი გეოგრაფიული სახელები უნდა იყოს ამ მხარისა. ისინი შექმუშავებულია კოლხეთში არსებული მეტ-ლურგიული წარმოების მლიდარი ტრადიციების საფუძველზე, რომლითაც ქართველური ტომები სახელმწიფოეკილი იყვნენ უცხო ქვეყნებშიაც კი. ტოპონიმიკური სახელი „ნამკედლო“ ჩვენ გვიანტერესებს ამირანის მთავარი გმირის. — ამირანთან მიმართებით.

ლითონის დამუშავების საქმე და მკედლობა, როგორც ცნობილია, ძლიერ გავლენას ახდენდა საზოგადოების სულიერი და რელიგიური მსოფლმხედველობრივი სისტემის შემუშავებაზე. რაკი მკედლობის საქმე საქართველოში უხსოვარი დროიდან იყო განვითარებული, საკვებით ბუნებრივია, რომ იგი ფართოდ აისახა ამირანის თქმულებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკოსის ეს უმთავრესი პერსონაჟი დროდადრო თვითონაა მკედელი, მონაწილეობს ლითონის დამუშავებაში და ხშირად მკედელ ოსტატებს თვითონ ენაცვლება და ამხნევებს.

მონადირე ამირანი, სვანური გადმოცემით, იმავე დროს მკედელიცაა.

თქმულების მიხედვით, მკედელი ამირანიანში მთავარი გმირის ამირანისადმი ხან მტრისა და ხანაც მეგობრის როლში გვევლინება. მკედლები ამირანს ერთ შემთხვევაში თუ საიმედო იარაღს უკეთებენ და ეხმარებიან, სხვა შემთხვევაში ამირანის შეურიგებელი მტრები არიან¹¹. კლდეზე მიჯაჭვულმა ამირანმა რომ თავი ვერ გაინთავისუფლოს, ყოველწლიურად, დიდხუთშაბათობით, მკედლები გრდემლზე უბრად ჩაქუჩის ურტყამენ და გაწყვეტამდე გაცვეთილ ჯაჭვს ისევ მკვიდრად ამაგრებენ. სვანური თქმულებით, ამირანი თვითონ სპილენძისაა და მას შეუძლია აიტანოს ჰედვა და მკედელიც სკედს ამირანს.¹²

ხალხში გავრცელებული საერთო ტრადიციით, მკედლები, როგორც აღვნიშნეთ, დიდხუთშაბათს, აღდგომის წინა კვირაში, ასრულებდნენ მიღებულ წესს გრდემლზე უბრად ჩაქუჩის დარტყმის სახით. თუშური გადმოცემით კი ეს წესი ქრისტესშობის ღამეს სრულდებოდა. პროფ. მის. ჩიქოვანის აზრით, თუშთაგან ამ წესის ღამით შესრულება „ქრისტიანიზმის გავლენის შედეგს წარმოადგენს და უფრო ახალი ჩანს“.¹³ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუშური გადმოცემაში დაცულია არა ახალი, არამედ სწორედ უძველესი ტრადიცია ლითონის ღამით დამუშავებისა, რაც ასტრალურ-რელიგიურ, კერძოდ. მთვარის კულტთან დაკავშირებული რიტუალური წესის დადასტურება უნდა იყოს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს რაკის მკედლობაში დადასტურებული ეთნოგრაფიული სინამდ-

¹¹ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, ობილისი, 1947, გვ. 192.

¹² იქვე, გვ. 194.

¹³ იქვე, გვ. 195.

ვილე, მაგ., ნ. რეხვიაშვილი წერს: „ეს რიტუალი, ისე როგორც რკანის დაწორებით დამუშავების საქნარი, რატომღაც დამე იწყებოდა“¹¹.

ჩვენი აზრით, რადგანაც თქმულება და მისი მთავარი გმირი ამირანი მკედლობასთან მეტად მჭიდროდ დამოკიდებულებაშია წარმოდგენილი და რაკი მკედლობისა და მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კუთსედ უმთავრესად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ითვლება. ამიტომ ახრია გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მეტალურგიული დაბა, „ნამ-ქედლო“ ერთგვარ კავშირში იყოს ამირანის ეპოსთან.¹⁵

მკედლობა და მეტალურგია, როგორც ეს უკვე დამტკიცებულად ითვლება, ცის კულტის შექმნასთან არამც თუ უმჭიდროეს კავშირშია. არამედ მისი (ამ კულტის) შემოქმედითაა. ქართულ ენაში შემონახული „ცის მოქედვა ვარსკვლავებით“ უძველესია, წარმართული პერიოდის ქართველურ ტომთა კოსმოგონური კონცეფციის შემადგენელი ელემენტია: ამ ცნებას გააჩნია წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობაც. ქართული წარმართული კალენდარი, ციურ მნათობთა, პირველ რიგში მთვარის მოძრაობის კანონების იმდროინდელ ცოდნას, ახსნას ემყარებოდა, როგორც ჩვენ ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

¹¹ ნ. რეხვიაშვილი, მკედლობა რკანში, თბ., 1958, გვ. 162.

უძველესი ტრადიციით სამკედლო წმინდა ადგილად ყოფილა მიწიერი, მკედელი ზოგჯერ ზეკაური ბუნების არსებად. „სარკინეთის მკედლობას ჰყავდა თავისი მღვანელები ღვთაება და არსებობდა მისდამი განკუთვნილი დღე. როდესაც სამკედლოში საგანგებო რიტუალი სრულდებოდა“ (იბ. იქვე, „მკედლობა რკანში“, გვ. 174).

¹⁵ ხუცუბნიდან არც თუ დიდად დაშორებული მაქაბელი იარაღების წარმოებით სახელგანთქმული ცენტრი იყო ფეოდალურ საქართველოში.

მაქაბელი საომარი იარაღების ერთი უმნიშვნელოვანესი სამარეწველო ბაზა და არსებული უნდა ყოფილიყო ძველ საქართველოში. საფიქრებელია, ეს ტრადიციები მეტ-დ შორეულ წარსულში შემუშავდა იქ და განაგრძობდა არსებობას ფეოდალურ (და გვიან ფეოდალურ) საქართველოში. ამ მხარის თურქთა მიერ დაპყრობისა და 1878 წ-ს თურქთაგან გამოსხნის შემდეგაც განაგრძობდნენ აქ იარაღის წარმოებას. ზ. კიკინაძე ვკ: უწყებს: „ძველად მაქაბელში განთქმული იყო საომარი იარაღების კეთების ოსტატობა მათელს საქართველოში... ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ ოსმალეთში (იხ. მესხეთ-ჭავჭავთისის გათათრება, თბილ., 1906, გვ. 12). ასევე განაგრძობს ზ. კიკინაძე: „მაქაბელის იარაღს ქებით მოიხსენიებენ მეზღაპრენი თავიანთ ზღაპრებში, მეჭირიანი და მელექსენი“ (იქვე, გვ. 12). აღნიშნულს გარდა ვანსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცნობა იმის შესახებ, რომ „იარაღისათვის საჭირო რკინა, ტყვია, ფოლადი, თითბერი, სპილენძი და თუჯი აქვე მაქაბელში გამოჰყავდნენ“. აქ იღო ყველა მადნებია. მაქაბელებისაგან ეს ხელობა ლაზებს შეუსწავლიათ და გაუფრთხილებიათ ლაზისტანში (იხ. ზ. კიკინაძე, მესხეთ-ჭავჭავთისის გათათრება, თბ., 1905, გვ. 14). ამირანის ხმლის ვაქედის ლეგენდა გააკვირველი არ იქნება ასეთ პირობებში, როცა მისი წრთობის დროს „ცა ჰქუხდა, მიწა იფროდა. სამკედლო ექანებოდა, მკედლები, მექედლები ერთმანეთს ეფარებოდა“ და სხვ. რომ ხალხთა ამგვარ რწმენას „სამკედლოებით“ დაფარული ქობულეთის ქვეყნის სინამდვილესთან დაეკავშირებია, მკედრი საფუძვლები მოეპოვება.

მეტალურგია, მკედლობა და მისი დარგები უხსოვარი დროიდან იკიდებს ფეხს კოლხეთში. მის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, უმთავრესად ჭოროხის აუზში. ეს გარემოება ქართველურ ტომთა არა მარტო ბიბლიური კონცეფციისადმი დაპირისპირებული კოსმიური კონცეფციის შემუშავებაში ვლინდება, არამედ ქართველურ სატომო სახელშიაც კი აღიბეჭდება. აკად. ნ. მარის დაკვირვებით, რკინა — კინა, ლაზების — კანების სატომო სახელწოდებად იქცევა.¹⁶

ჩვენს ყურადღებას აქ იპყრობს ისევე გეოგრაფიული სახელი „ნამკედლები“, იქ სამარხებში აღმოჩენილი რკინის ზოდები, სხვადასხვა ახის იარაღებთან ერთად და ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემები „ნამკედლოს“ შესახებ. ყველა ამ მონაცემით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნამკედლო ძველ კოლხეთში მეტალურგიული კულტურის ერთ-ერთი საყურადღებო ცენტრთაგანი უნდა ყოფილიყო.

რაკი ყველა მონაცემით ირკვევა, რომ თქმულება ამირანისი უნდა შექმნილიყო ქართველური ტომების მიერ მეტალურგიული კულტურის გარკვეულ საფეხურზე, უფრო ზუსტად, ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გარდამავალ პერიოდში, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თქმულების უმთავრეს გმირთა დამოკიდებულება ცისადმი და ციურ მნათობთადმი. როგორც დავრწმუნდით, მეტალურგიულმა წარმოებამ შექმნა სწორედ ცის მნათობთა კულტი და, ბუნებრივია, თქმულების უმთავრესი პერსონაჟები ამ კულტისადმი ერთგვარ მიმართებასა და კავშირში უნდა გამოვლინებულიყო. მართლაც ირკვევა, რომ თქმულების უმთავრესი გმირი ამირანი უმთავრესი მნათობის, მზის განსახიერებად გვევლინება. თუ ქართველურ ტომთა ყველა ენაში თქმულების გმირს ამირანი ჰქვია, აფხაზები მას „ბრსკილს უწოდებენ. „ბერ-ბერ“ — „ბარ“ სუმერულ ენებში მზეს ნიშნავს და ქართველურ ენებშიაც ასეთივე მნიშვნელობა მიუღია. აქედან წარმოებულად სთვლიან არსებითად წარმართულ, ხოლო ქრისტიანობის დროს შემონახულ „ბარბარობას“ — მზის დღესასწაულს, ნ. მარის აზრით. ამირანი (აფხაზურად „ბრსკილად“ წოდებული) მზის განსახიერებაა¹⁷. მაგრამ მზეს აფხაზურად ვინაიდან „ამრა“ ეწოდება, ნ. მარის აზრით, თვით სახელი ამირანი «Представляет Абхазское название солнца... этот солнце-герой, изобразитель огня, священного или по греческой версии, его похититель с неба тесно связан своей судьбой с кузней, в частности с Абхазским культом Кузнии»¹⁸.

ამირანის კავშირი მკედელთან და მკედლობასთან კარგადაა ცნობილი.

¹⁶ Н. Марр. Яфетические элементы. I, гл. 141—142.

¹⁷ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლეთაბა-ბარბარ), თბილისი, 1941, გვ. 117—119.

¹⁸ Н. Я. Марр. Предисловие к «Амраи», 1932, гл. II (Осетинский эпос).

¹⁹ Н. Марр, О религиозн. веров. абхазов, «Христ. Восток», Т. IV, гл. 144.

ამირანის (იგივე პრომეთეს) ადგილსამყოფი, ძველბერძნული წყაროებით, მისი მიჯაჭვის ადგილი კოლხეთია, კავკასიონის სამხრეთი ფერდობი, აფხაზეთის მიდამოებში.

ახ. წ. II საუკუნის ავტორი არიანე თავის მოგზაურობაში შავი ზღვის გარშემო პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად ასახელებს მდ. კოდორის შესართავიდან დანახულ კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს. იგი წერს: „მდ. ჰიპოსიდან დაწყებული ასტელეფამდე და დიოსკურიაამდე ჩვენ ვხედავთ კავკასიონის მთას, რომელიც სიმაღლით წააგავს ყველაზე მეტად კელტურ ალპებს. გვიჩვენებს ერთ-ერთი მწვერვალი კავკასიონისა — სტრობილი, რომელზედაც მითის მიხედვით, ზევსის ბრძანებით პრომეთეოსი იქნა მიჯაჭვული ჰეფესტოს მიერ“.

ესქილეს ტრაგედიითაც პრომეთე მიჯაჭვულია სკევითიაში, კავკასიის მთაზე. „მიჯაჭვული პრომეთე“ ხომ იგივე „მიჯაჭვული ამირანია“.

ქართული ფოლკლორი ამირანის ზოგიერთ პერსონაჟს, — ამირანს და მის თანამებრძოლებს კოლხეთის ზღვისპირეთს უკავშირებს.

„ამირან ძალს რო გიმატა,
მე რაით შემეცოდები,
ზღვას აქათ აზა დაგიქვრს,
ზღვას იქათ გაეხეტები“.

ამირანიანისა და ხუცუბნის არქეოლოგიური და ტოპონიმიკური მონაცემების შესწავლა, ვფიქრობ, საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის: „ნაძქედლო“, ისე როგორც „თეთროსანი“ და „ელეას მთა“, „ცეცხლაურთან“ და „დაგვასთან“ ერთად ხომ არ უნდა იმყოფებოდეს გარკვეულ კავშირში ამირანის თქმულებასთან, მის მთავარ პერსონაჟებთან?

საქართველოში ამირანის სახელს შრავალი ადგილი უკავშირდება, რომელთაც თვით თქმულებაში ვერ ვხვდებით. მაგ., ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჭავჭავთში „ახალქალაქს ზევით არის ამირანის გორა. მტკვრის სამხრის კედელზედ“.²⁰ ამირანის გორის სახელწოდებითა ასევე ცნობილი მესხეთში ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე ახალციხის მახლობლად დაცული ადგილი, რომელსაც ახლა „თავშან-თაფას“ ეძახიან.²¹ მყინვარწყვერის მიდამოებში, ბეთლემის მახლობლად ამირანის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმიცა „ამირანის ქოხი“. ყაზბეგის მცხოვრებნი კი თითქო ახლაც მიუთითებენ ამირანის მიჯაჭვის ადგილს, რომელსაც „ამირანის მთას“ ეძახიან. მესხეთ-ჭავჭავთში დაცული თქმუ-

²⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1947, გვ. 131.

²¹ ამ გორის მიდამოებში თითქო უხსოვარი დროიდან მდგარა ამირანის კერპი, რომელსაც ივ. გვარამაძის ცნობით, წარმართი ქართველები თითქო თაყვანს სცემდნენ და ლოცულობდნენ (იხ. И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. 25, Тифлис, 1898, გვ. 31—32). ეს ადგილები — ახალქალაქისა და

ლების მიხედვით, ამირანი თითქოს მისივე სახელობის გორის ძირს ყოფილა მიჯაჭვული, რომლის კარი სამ (თუ ერთ) წელიწადში ერთხელ იღებოდა და კვლავ იხურებოდა.²² სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამირანის მითოლოგიური თქმულება წარმოშვა იმ ტომთა ისტორიულ-გეოგრაფიულმა გარემომ თავის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომლებიც ძველთაგანვე მთიან ქვეყანაში ცხოვრობდნენ.²³ თქმულებითვე ამ ქვეყანას ასევე თავისი ზღვაც უნდა ჰქონოდა ამირანის მოქმედების ასპარეზად.

ძველი ბერძნული ლიტერატურული ტრადიციით, პრომეთესთან ერთად ძველთაგანვეა ცნობილი ამირანის სახელი. ბერძენი მწერალი, აპოლონიოს როდოსელი კარგად იცნობს ამირანის თქმულებას და თავის „არგონავტიკაში“ კავკასიის მთებში ამირანის მიჯაჭვის ადგილსაც გვანიშნებს. ეს ადგილი კი სტუმართმოყვარე შავ (პონტოს ექსინიონ) ზღვასთანაა დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში ამირანიანის პერსონაჟთა მოქმედების გეოგრაფიულ გარემოსთან ქართული წარმართობის ზოგიერთი საკითხის და ხუცუბან-თეთროსნის არქეოლოგიური და ტოპონიმიკური მონაცემების დაკავშირება ბუნებრივ მოვლენად გვეჩვენება.

ამირანიანის იღვურ-მსოფლმეჭველობრივი მრწამსი ალამიანის რელიგიურ უნიტოზავ ძალსაგან განთავისუფლებინათვის
შეუპოვარი ბრძოლაა

სოციალურ-ეკონომიური გარემო, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა და ჩამოყალიბდა ამირანის ეპოსი, ხასიათდება ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გარდამავალი პერიოდით. ამირანიანის გმირები „იმ

ახალციხის ამირანის გორები არქეოლოგიურად შეისწავლა ტარიელ ჩუბინიშვილმა (იხ. მისი „ამირანის გორა“—მასალები მესხეთ-ჭავჭავთის უძველესი ისტორიისათვის, თბ., 1963), ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჭერ კიდეე ძვ. წ 111 ათწლეულში ამ მხარეში მტკვარ-არაქსის შუამდინარეთში მცხოვრები მესხური ტომები საკმაოდ დაწინაურებული ყოფილან ლითონის დამუშავების დარგში: ამირანის გორაზე აღმოჩნდა ნაიხლართა და ნსრფლარების მთელი კომპლექსი, სამაროვნებში, ლითონთან ერთად, დიდი რაოდენობის კერამიკა, სამკაულები და სხვ.

²² მის. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 338.

²³ შ. ამირანიანის ვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., ქართველურ ტომთა ძველთაძველი ტრადიციით, რომელმაც თავისი ასახვა ფოლკლორულ მასალებში პოვა, ამირანი და მისი სახლ-კარი ეველგანაა საძებარი, ქართული მიწა-წყლის შემადგენელ ყველა კუთხეში, იქნება იგი მთა თუ ზარი. აი საამისო ერთი ნიშნებიც:

„უორანო, ქალის ბოლოსა
რად არ ჩაველ თვალია,
ამირანისა სახლ-კარის
თუ არსად ჩანდა კვალია“.

(იხ. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქგვ. 100).

საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნის, სადაც ადამიანი კი არ ბატონობს წარმოების პროცესზე, არამედ წარმოების პროცესი ადამიანზე²⁴. იმ დროს ადამიანი შებოქილია რელიგიური ცრუმორწმუნეობით, რომელიც არსებითად მისი საკუთარი ტვინის ნაწარმოები იყო.²⁵

საზოგადოებრივი ცხოვრების ტომური გაერთიანებების ამ საფეხურზე ბევრი წინააღმდეგობანი, ხელშეშლელი ბუნებრივი და სოციალური ფაქტორები მოქმედებდნენ: ხშირი ეპიდემიები, სტიქიური უბედურებანი, სივიწროვე და შიმშილი, რაც თან ახლდა საზოგადოების განვითარების მაშინდელ დაბალ დონეს. ცხოვრებას კიდევ უფრო ართულებდა და ამძიმებდა მუდმივი შიში ბოროტი სულებისა და ღემონთა წინაშე, რომელთაგან ღაცვას ადამიანი ფიქრობდა მარჩიელობით, წყევლა-ლოცვითა და ავგაროზით. ყოველი ნაბიჯი და მოქმედება უკიდურესობამდე იყო რეგლამენტირებული კულტის მსახურთაგან. არც ერთი დიდი ღონისძიება არ დაიწყებოდა ორაკულთა და მაგიურ ძალთა გამოკითხვა-თანხმობის (კერემონიალის გარეშე) დამწერლობა მაშინ არ არსებობდა, ზეპირი ლოცვა, არაკი, ლეგენდა, საგალობელი და მითი ხალხის მენსიერებაში ილექებოდა საუკუნეებით და თაობიდან თაობებს ასე გადაეცემოდა.

ამირანიანი მითოლოგიური საგმირო ეპოსია და მასში როგორც ყოველგვარ მითოლოგიაში, კ. მარქსის გენიალური მითითებით, წარმოდგენილია ადამიანის მისწრაფება ბუნებაზე წარმოსახვაში ბატონობისადმი — «Мифология преодолевает, подчиняет и формирует силы природы воображении и при помощи воображения она исцеляет. следовательно, с действительным господством над этими силами природы»²⁶.

ამირანიანში, როგორც მითოლოგიურ საგმირო ეპოსში, ასახულია მისი შემქმნელი ტომების დაუცხრომელი მისწრაფება ბუნებაზე გაბატონებისაკენ და ეს მაღალადამიანური ლტოლვა მიყვანილია ღმერთმებრძოლობის იდეამდე. ეს იდეა ესქილემ (525 — 456) და ლუკიანე სამოსატელმა (125 — 200) მოგვიანებით, ლიტერატურულად გადაამუშავეს; ამ ძეგლებზე დაყრდნობით, კ. მარქსმა ღმერთმებრძოლობას დადებითი შეფასება მისცა კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლის გრძელ გზაზე.²⁷

მარქსი წერს: „საბერძნეთის ღმერთებს, რომლებმაც ერთხელ უკვე ტრაგიკულად მიიღეს სასიკვდილო ჭრილობა ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეში“, ხელმეორედ მოუხდათ კომიკურად მომკვდარიყვნენ ლუკიანეს „საუბრებში“.“²⁸

²⁴ კ. მარქსი, კაპიტალი, 1-ლი ქართული გამოცემა, გვ. 47.

²⁵ იქვე, გვ. 567.

²⁶ იხ. კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა, რუს. გვ. 25.

²⁷ კ. მარქსი, ღმერთმებრძოლობის შესახებ, გვ. 15.

²⁸ იქვე.

ესკილემ თავის ტრაგედიებში, კერძოდ, „მიჯაჭვულ პრომეთეში“ დადმოგვცა თუ როგორ მოსტაცა ცეცხლი ტიტანმა პრომეთემ ზევსს ადამიანთა საკეთილდღეოდ, ხოლო განრისხებულმა ზევსმა პრომეთე კლდეზე მიაჯაჭვა და მიღჩინა გულ-ღვიძლის მკორტნელი არწივი; პრომეთე კაცობრიობის ბედნიერების, მისი კეთილდღეობისათვის შეუღრეკლი მებრძოლი გმირია და კ. მარქსის თქმით, „ყველაზე კეთილშობილი წმინდანია და წამებული ფილოსოფიურ კალენდარში“.²⁹

ლუკრაციუსი აღფრთოვანებული სიტყვებით აქებდა მატერიალისტ ეპიკურეს, რადგან ამ უკანასკნელმა გააბათილა რწმენა ღმერთებისადმი: „როცა ქვეყნად ადამიანის ცხოვრება რელიგიის სიმკაცრით საშინლად დამძიმდა და შეიზღუდა, როცა რელიგია ზეციდან იქუხებოდა და მრისხანებით ემუქრებოდა მოკვდავთ, მაშინ (ბერძენმა) მოკვდავმა ვაეკაცმა პირველად გაბედა, აიხედა ზევით და წინააღმდეგობა გასწია. ის, რომელიც ვერ შეაერთო ვერც ღმერთების ტაძარმა, ვერც ელემ და ვერც ჰეკა-ქუხილმა“ და სხვ.³⁰

თავის საღოქტორო დისერტაციაში („განსხვავება დემოკრიტეს ნატურ. ფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურ. ფილოსოფიას შორის“) კ. მარქსი წერდა: „პრომეთეს აღიარება“—აშკარად გეტყვი: „მეგაზრებით ყველა ღმერთები“ — არის ფილოსოფიის საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი წარმონათქმები მიმართული ყველა ზეციური და მიწიერი ღმერთების წინააღმდეგ, რომლებიც არ სცნობენ ადამიანის თვითშეგნებას უზუნაეს. ღვთაებად. მის გვერდით არავითარი ღვთაება არ უნდა იყოს. მაგრამ საბრალო მშიშარებს, რომლებიც ზეიმობენ ფილოსოფიის მდგომარეობის მოჩვენებითი გაუარესების გამო სახელმწიფოში, იგა იმასვე უმეორებს, რაც პრომეთემ უთხრა ღმერთების მსახურ ჰერმესს: „აწ ქექმარიტად. უყოყმანოდ, ბირდაპირ. გეტყვი: მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე. უმჯობესია მონა ვიყო, მამ ამ კლდის, ვიდრე მაცნე, ერთგული ანგელო-სი შამა ზევსისა“.³¹

ამ შეგნებით ადამიანი. საკუთარ ღირსებას უზუნაეს ღვთაებად აღიარებდა, ყველა ზეციური და მიწიერი ღმერთების წინააღმდეგ გალაშქრება კი უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობის იდეური მოვლენა იყო:—აჯანყება იმ ყოვლისმომხვევი ღმერთებისა და მათი მსახურების წინააღმდეგ. რომლებმაც ადამიანს თავიანთი უმკაცრესი, რეგლამენტირებული რელიგიური დოგმებით ჩაუხშვეს თვითშეგნების უნარი, საშინლად დაამძიმეს მათი ცხოვრება, შებოქეს, დაიმონეს და ყოველქვა-

²⁹ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ანტიურობის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 2.

³⁰ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, წერილები, გვ. 170.

³¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ანტიურობის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 2.

რი თვითმოქმედების ძალები მოუსპეს. და აი ეს ამხედრება უმაგალი-
თოდ პროგრესული მოვლენა იყო. პრომეთე—ამირანი პირველი იმალ-
ლებს ხმას ღმერთების წინააღმდეგ, ესარჩლება ადამიანებს, იხსნის მათ
ღვთიური ძალების მონობისაგან და გზას გაუკაფავს ადამიანურ თვით-
შეგნებას, მის შემოქმედებით ძალებს არსებობისათვის ბრძოლაში.

რკინის მეტალურგიას, რკინის იარაღების წარმოებას და გამოყენე-
ბას ამ ბრძოლაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა; იმი-
ტომ, რომ ადამიანის სამსახურში რკინის ჩაყენებამ ფ. ენგელსის
სიტყვებით რომ ვთქვათ, „რევოლუციური როლი შეასრულა ისტორია-
ში“.²² სწორედ ამით იყო გაპირობებული პრომეთე — ამირანისეული,
ზეციდან ცეცხლის მოტაცება, მისი მიწაზე ჩამოტანა და ადამიანის სამ-
სახურში ჩაყენების ნამდვილი შინაარსი; ამიტომაც ისინი ხალხების
მიერ აღიარებულია ყველაზე კეთილშობილ წმინდან-წამებულებად,
ღმერთების მსახურ პერმისისადმი მიჯაჭვული პრომეთეს შთამავონე-
ბელი პასუხი — „მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე“, —
ანდა, იმავე შინაარსის მრწავასი მხატვრულ ზმად თქმული — „ცოცხალ
მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი“, — ადამიანის
თვითშეგნებისა და თავისუფლების, თვითგამორკვევისა და თვით-
მოქმედების ჩაუქრობელ ღაღადისად დარჩება. იგი მოწოდებაა მონო-
ბის, სილაჩრისა და გულის ამრევი მლიქვნელობის წინააღმდეგ; ამირანი
მონური უღლის დამსხვრევისათვის იბრძვის. მას ვერ აკრთობს ვერც
ზეციური ღმერთები და ვერც ამქვეყნიური ბოროტი და სტიქიური
ძალები; მღვებთან და გველეშაპებთან ამირანის ბრძოლა ღრმა სოცია-
ლურ და იდეურ შინაარსთან ერთად, საკუთარი ხალხის ტირან დამპყ-
რობთა წინააღმდეგ შეურიგებლობის სულისკვეთებით ხასიათდება.
ამირანის ბრძოლას ბაყ-ბაყდევებთან სამკედრო-სასიცოცხლო ხასიათი
აქვს, აქ დაზავება გამორიცხულია. სვანური ვერსიით, ამირანთან ერთად
გველეშაპი მზეს ჩაყლაპავს და მზეც ამიტომ ბნელდება, მაგრამ ამი-
რანმა აღმასის დანით გველეშაპს გვერდი გამოსჭრა, გზა გაუკაფა
დატყვევებულ მზეს და მასთან ერთად გამოვიდა გველეშაპის მუც-
ლიდან. ეს ვაჟკაციური ბრძოლა ამირანისა სინამდვილეში, ბრძოლაა
ბოროტებისა და სიბნელის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, სი-
ნათლისა და კაცთა ბედნიერებისათვის.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ბერძნული „მიჯაჭვული პრომე-
თეს“ თქმულება, ქართული ამირანიანიდან მომდინარეობს.²³

²² ვ. მ. არქსი და ფ. ენგელსი, რჩეულ წერილები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 374.

²³ შ. ნუცუბიძემ თავის კაპიტალურ ნაშრომში — ქართული ფილოსოფიის
ისტორია (იხ. ტ. I, გვ. 373—379) ერთხელ კიდევ მოგვცა მეცნიერული დასაბუთებ-
ამ მოსაზრებასა.

ძველი ბერძნული და კოლხური სამყაროს ეკონომიური. პოლიტიკურ-კულტურული კავშირ-ურთიერთობანი არა მხოლოდ ამირან-პრომეთესთან დაკავშირებით, არამედ მრავალ სხვა შემთხვევაშიც პოულობს დადასტურებას. მაგალითისათვის აქ კოლხეთში, აიეტის სამეფოში არგონავტების მოსვლის ამბავი შეიძლებოდა დაგვესახელებია, რომლის ციკლიდანაც ევრიპიდემ (480 — 306 წწ.) შექმნა ცნობილი ტრაგედია „მედეას“ სახით.³⁴

ამირან-პრომეთეში წარმოდგენილი ღმერთებბრძოლის—ღმერთების წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, თავდაპირველად ძველ აღმოსავლურ სუმერულ ეპოსში—გილგამეშიანში მოიბოვება, რომელიც ძვ. წ. მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში შეიქმნა. დამახასიათებელია, რომ ორთავე ეპოსში გილგამეშიანსა და ამირანიანში ღმერთებთან ბრძოლის მიწეზად ზეციური ცეცხლის მოტაცებაა. ორივე მიზნის მისაღწევად იყენებს ღმერთ-ქალს, ცეცხლის მფლობელი ღმერთის ასულს—გილგამეშიანში ღმერთქალ იმტარს, ამირანიანში კი ყამარ-ქალს³⁵. გილგამეშიანში ამარცხებენ ცეცხლის მფლობელს, ცეცხლოვან ხარს, მაგრამ მიწაზე ცეცხლის ჩამოტანას მისი გმირები ვერ ახერხებენ. ამირანი კი დიდი ბრძოლით აღწევს ამ მიზანს—მას მიწაზე ჩამოყავს ცეცხლოვანი ყამარი. უმაგალითო ბრძოლა ამირანსა და ზეცის ბატონ ელიას შორის, რომელსაც მიემხრობა ზეცისა და მიწის ყველა სტიქიონი და ზესთაბუნებრივი სხვა ძალები, ამირანის გამარჯვებით მთავრდება. ამდენად, ამირანიანში, როგორც მოგვიანებით შექმნილ მითიურ ეპოსში, შემდგომი განვითარება ჰპოვა გილგამეშიანში ცეცხლის გამო წამოწყებულმა ბრძოლამ.

ამირანიანის სოციალურ შინაარსს, გვაროვნულ-ტომური საზოგადოებიდან კლასობრივზე გარდამავალი ხანა შეესაბამება ისე, რომ იგი ბევრად გვიანი პერიოდის ძველია გილგამეშიანთან შედარებით, მაგრამ ყველაზე უძველესი სხვა დღემდე ცნობილ მითოლოგიურ საგმირო ეპოსთაგან. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ ამირანიანში შემდგომგანვითარება ჰპოვა იდეამ ზეცაურ-ღმერთური ცეცხლის მიწაზე კაცთა სასარგებლოდ ჩამოტანისა.

ცეცხლის მოპოვებას და გამოყენებას კაცობრიობის ისტორიულ

³⁴ თ. შ ი ქ ე ა ძ ე. ქართველი ტომების და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსზ. განყ-ის მოამბე, 1960, № 2.

³⁵ ასეთი ფორმალური და ზოგჯერ იდეური მსგავსება-დამთხვევანი. ჩვენს აზრით, ვერ იძლევა მკვიდრ საფუძველს იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს ამირანიანში განვითარებული იდეები გილგამეშიანიდან მომდინარეობდა, „ქართველმა ტომებმა ვაღმოიღეს იგი სუმერებისაგან“. ამ მხრივ საყურადღებოა: უფროსი ელა. ძველ-ისლანდიური სიმღერები ღმერთებსა და გმირებზე (გერმანულიდან თარგმნა გ. კალანდაძემ, თბ., 1971).

განვითარებაში მთელი რიგი საფეხურები და ეტაპები მოეპოვება. კაცობრიობა ცეცხლს, რასაკვირველია, ბევრად ადრე იყენებდა, ვიდრე გილგამეშიანი და ამირანიანი შეიქმნებოდა. მაგრამ ცეცხლის გამოყენება, როგორც პირველ. ისე მეორე და მესამე შექმნევაში, ე.ი. ვიღამეშიის ეპოსის წინა ხანაში, გილგამეშის დროს, ანუ ძვ. წ-მდე მესამე ათასეულსა და ამირანიანის 'მეთხზვის, ანუ მეორე და პირველი ათასეულის მიჯნაზე, რასაკვირველია, საფუძვლიანად განსხვავდებოდა ურთიერთისაგან. ამ განსხვავებათა ხარისხი და ახალი თვისებრიობა თავის გამოხატულებას პოულობდა ცეცხლის გამოყენებაში საწარმოო ძალთა განვითარების მიზნით, რაც ლითონის სამეურნეო და საომარი იარაღების დამზადების განვითარებაში. ვლინდებოდა³⁰. ბუნებრივია, რომ ცეცხლის გამოყენება წარმოებაში გვიანი მოვლენაა.

თუ გილგამეშიანი ადრეული ბრინჯაოს ხანის სულიერი კულტურის ანგლაა, ამირანიანში განვითარებულ ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გარდამავალი საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია. მოცემული. ესაა პერიოდი, როცა რკინის სადნობ ლუმელებში მაღალი ტემპერატურით მიღებული ხარისხოვანი რკინის შენადნობთა წრთობის პრაქტიკა იველ კოლხურ სამყაროს მკვიდრ ქართველურ ტომებში ფართო გავრცელებას აღწევს. აღნიშნულს ძველ ბერძნულ ლიტერატურულ წყაროებთან ერთად კარვად ადასტურებს რკინის სადნობი ქურა-ლუმელების არქეოლოგიური აღმოჩენები ქობულეთის სანახებში.

ამირანიანის მოქმედების ასპარეზი, რა თქმა უნდა, საქართველოა (და მთელი კავკასია). იგი მეტნაკლებადაა დაკავშირებული ქართულ-კავკასიური სამყაროს შემადგენელ ნაწილებთან. ამირანის პერსონაჟები, როგორც დაგრწმუნდით, ორგანულად არიან დაკავშირებული ქართველი ტომებით დასახლებულ არქაულ კოლხეთთან, მის ლითონმწარმოებელ ტომებთან, რომლებიც ტერიტორიულად ზღვის სანაპიროებთან, ასევე მთიან ადგილებში იყვნენ განსახლებული და მკვიდრო ეკონომიურ, და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ძველ აღმოსავლურ ბერძნულ კულტურულ სამყაროსთან.

ძველი კოლხეთი ლითონის სხვადასხვა სახეობათა — ოქროს, ვერცხლის, თითბერის, სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების დიდი

³⁰ მსოფლიოს უძველესი ეპიური პოემის გილგამეშის შედარება ქართულ ამირანიანთან მრავალმხრივია საყურადღებო. ორივე ძველი აღმოსავლეთის სამყაროშია შექმნილი. — «На характер героев как божеств Солнца и Луны указывает связь в изобразительном искусстве Гильгамеша со львом, а Энкиду — с быком (бык — луниное животное в шумерской мифологии)» — მაშინ როცა ქარ კიდევ არ იყო შექმნილი ღვთაებათა პანთეონის ერთიანი სისტემა, ყოველი ტომი თავიანთ სკემდა თავის ადგილობრივ მფარველ ღვთაებას, (იხ. შიოს ი. Гильгамеш, перевод с акадского И. М. Дьяконова, М. — Л, 1961, გვ. 128).

ცენტრი იყო ძველ სამყაროში და ბუნებრივია, ხელოსნობის ეს დარგი მკვიდრი მოსახლეობის უფართოეს ფენებს (მიწათმოქმედებსა და მეცხოველეობის დარგებთან ერთად) ოდითგანვე იზიდავდა და ითრევდა. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ კოლხი მეტალურგების ეს ტრადიცია დიდხანს არსებობდა მთელ დასავლეთ საქართველოში. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ რაჭა-ლეჩხუმი, საჩხერე, ჭიჭიროხის ხეობა და სხვა ცენტრები. მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ზირველ რიგში მეტალურგიული ხელოსნობა უნდა ყოფილიყო ის მკვიდრი საფუძველი საქართველოს შემადგენელ კოლხეთის იმ ეკონომიური ძლიერებისა, რომელზეც მრავალგზის იუქვებიან ანტიკური სამყაროს გამოჩენილი მოღვაწეები.

ყოველგვარი მითოლოგიური ეპოსი საერთოდ და, მათ შორის, ამირანიანთა წარმოდგენს ადამიანის მისწრაფებას ბუნებაზე ზატონებისადმი, ბუნების ძალების წარმოსახვითს დამორჩილებაში, არსებითად ეს იყო ადამიანის საწარმოო დაბალი დონის, მისი ჩამორჩენილობისა და ბუნების ძალების დამოკიდებულებისადმი პასიური იდეური პროტესტი და არა ფაქტიური ბრძოლა მისი შეცვლისათვის, რაც მას არც შეეძლო მაშინ.

მაგრამ ეს პროტესტი მიყვანილი ღმერთმებრძოლობის იდეამდე, ამირანიანში წარმოვიდგება დიდ შემართებად და შემოქმედებით რეალურ ძალად პროგრესის გზაზე დამდგარ ადამიანთა მოდგმისათვის. ამირანის ეპოსი ამდენად საფუძველშივე უპირისპირდება იმდროინდელ რელიგიურ წარმოდგენებს და ამ წარმოდგენებით შემუშავებულ ბუნების ძალებისადმი მონურად დამორჩილების იდეას. რომელსაც წარმართული კულტის მსახური ქურუმები, ასტროლოგები და პოროსკოპები უქადაგებდნენ წარმართულ საყდართა მსახურთ, და მასზე დაფიციებულ მორწმუნეთა ფართო ფენებს.

არსებითად, ამირანიანის ეპოსი გვეკვლინება იდეურ თოჯინივით წარმართულ რელიგიური ცრურწმენის წინააღმდეგ: ობიექტურად იგი უპირისპირდება ქურუმთა კასტის მიერ შემუშავებულ დოგმებსა და კოსმოგონურ მცდარ წარმოდგენებზე დაყრდნობით შეთხზულ ყოველგვარ იკონოგრაფიულ ძეგლებს და საკულტო სალოცავებს; ქურუმთა კასტის ამოცანას კი ყოველთვის წარმოადგენდა შეეგუებია და მოერიგებია ხალხური ეპოსი რელიგიასთან.

მითი ბერძნული სიტყვაა — ესაა თქმულებანი ღმერთებზე, ან გმირებზე. ძველი ბერძნული ფოლკლორი აღსავსეა მითოლოგიით. კ. მარქსის დახასიათებით „ბერძნული მითოლოგია არა მარტო არსენალია ბერძნული ხელოვნებისა, არამედ მისი ნიადაგიც“ (К. Маркс и Ф. Энгельс. соч. Т. 12, გვ. 736—737). ბერძნულ უძველეს ხელოვნებას და ლიტერატურას, კერძოდ ტრაგედიებს და მხატვრობას, მი-

თოლოგია უდევს საფუძვლად; იგია ამასთანავე თავისებური წყარო ისტორიისა, ამდენად მითოლოგია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ანტიკური კულტურის.

ფრანგი მსახიობის და რეჟისორის ჟან ვილარის მართებული აღნიშვნით, ქემპარიტად რომ „ბედნიერია ის ერი, რომელსაც ოდესღაც მითები შეუქმნია, მითი გამოხატავს ამ ხალხის სულს, მის ძველ რელიგიას, ცნობიერებას; როდესაც ეს მითები ქრება, ანლის შექმნა უკვე აღარ შეიძლება. მითი ამბავია, რომელიც მეტნაკლებად ყველამ იცის: პოეტმა — ვიდრე ლექსს დაწერდეს, მხატვარმა — სურათის შექმნამდე, მკვლევარმა — პიესის შექმნამდე და სპექტაკლის დადგამამდე. „ვი საერთაშორისო ენაა, ბრწყინვალე და ნათელი ენა; ამიტომაცაა, რომ პირველქმნადობის ამ დვრიტისაკენ მიბრუნება თანამედროვე ლიტერატურაში ფრიალ ნიშანდობლივი მოვლენაა, რაც თეატრშიც ღრმად უნდა აისახოს. ამავე დროს ეს გამოსახავს ჩვენი საუკუნის გაუცნობიერებელ, ჩვენი ცხოვრების მისწრაფებას საკუთარი მითის შექმნისაკენ. მოხდება თუ არა ეს, ამას...“³⁷ მომავალი აჩვენებს.

ქართველი ერი, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ერთ-ერთი უბედნიერესი ერთგანია. მას უხვად მოეპოვება ძისი უძველესი ისტორიის ამსახველი საგძირო ეპოსი და მითი, რომლებიც ათეული საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა; ისინი წარმოადგენენ ამოუწურავ საგანძურს ქართველი ხალხის ეროვნული ერთობისა და მისი მოწინავე კულტურის დასამკვიდრებლად. ამირანიანს მათ შორის პირველი ადგილი განეკუთვნება. სწორედ ამიტომ შევჩერდით მასზე კოლხეთის შორეულ ისტორიასთან დაკავშირებით.

ანტიკური ხელოვნება და ეპოსი ისტორიაში განუმეორებელი მოვლეებია. „მაგრამ სიძნელეს იმის გაგება კი არ წარმოადგენს, — წერს ჯ. მარქსი, — რომ ბერძნული ხელოვნება და ეპოსი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ფორმებთანაა დაკავშირებული, სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძობინებენ და გარკვეული აზრით ნორმის და მიუწვდომელი ნიშნუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“;³⁸ მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მითები და ლეგენდები ადამიანთა ისტორიაში სხვა როლსაც თამაშობდნენ — სამწუხაროდ, უარყოფითს.

ცნობილია, რომ რელიგიურ-ფანატიკურ ომებს, ქურუმ-პოროსკოპთა „განაჩენებს“, ბნელ რიტუალურ მავნე წეს-ჩვეულებებს, ინკვიზიციას და სხვა ცრურწმენებს მილიონობით უდანაშაულო ადამიანები შეუწირავს. ამგვარ ცრუმორწმუნეობას ნიადაგი მეცნიერებამ გამოაცა-

³⁷ იხ. გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 24 მარტი.

ჯ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 296.

ლა. მხოლოდ ბიოლოგიის, ასტრონომია-ასტროფიზიკის, ატომისტიკისა და მეცნიერების სხვა დარგების განვითარებით დასამარტად მცდარი კოსმოგონური ფანტაზიები და მითები ღმერთების ყოვლისშემძლეობაზე; ისე რომ „დროსა და სივრცის გარეშე მყოფნი არსებანი, რომლებიც ხუცობამ შექმნა და რომელნიც კაცობრიობის უმეცარი და დაბეჩავებული მასის წარმოსახვაში არსებობენ, აკადმყოფური ფანტაზიაა, ფილოსოფიური იდეალიზმის ფანდებია, უვარგისი საზოგადოებრივი წყობილების უვარგისი პროდუქტებია“.³⁹

მითოლოგიაში საზოგადოდ და კერძოდ ქართულ მითოლოგიაში საქმე გვაქვს თვით ბუნების ძალების ჩაწუდომა-დაშორჩილებისაკენ ადამიანურ სწრაფვასთან.

სოფ. ხუცობანში აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსის (რომელიც ასაკობრივად თითქმის ემთხვევა ამირანის მითიურ ამბის შეთხზვას) ტოპონიკური, ფოლკლორული, თუ ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებით წარმართული საკულტო ძეგლებისა და სხვა ხასიათის მასალების გულდასმით მოძიებისა და შესწავლას გზით ისტორიულ პირველ წყაროებზე დაყრდნობით გარკვეულ ასპექტსა და მიმართებაში ამირანიანთან მათი შეჯერებით, ვცადეთ მიტი სიცხადე შეგვეტანა ლეგენდარული კოლხეთის დაბინდული ისტორიის ზოგიერთ მოვლენათა გაშუქების საქმეში. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული სინამდვილის, ფაქტის, ან მოვლენის კომპლექსურ-მეთოდური პრინციპებით შესწავლას, ვფიქრობ, იმდენად ცხადი, უდავო და გვერდშეუვლელია საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის, რომ ამ საკითხზე მსჯელობა აქ ზედმეტიც შეიძლება იყოს.

ამირანის ეპოსი, მისი საგმირო-განმათავისუფლებელი მაღალი იდეალები უძველესი დროიდან, რუსთაველის ვეფხისტყაოსნის მსგავსად ვდიდეს სამსახურს უწევდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის დაცვისა და მოწინავე მაღალი კულტურის შექმნა-განვითარების საქმეს. მაგ., XIX ს. მეორე ნახევარში სახელოვან თერგდალეულთა აკაკი წერეთლისა და სხვათა შემოქმედებაში ამირანი მკვდრეთით აღდგა, მიჯაჭვული ამირანის საგმირო ეპოსი სიუჟეტურად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას დაუკავშირეს, ამირანის მიერ ჯაჭვის აწყვეტა იწინასწარმეტყველეს, იგი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან საქართველოს გამოხსნის ღღედ ზღიარეს. ამრიგად ამირანის უძველესობა ცარიზმთან ხალხთა მასების ბრძოლის დიად შამოძრავებელ ძალად შოგვევლინა.

აკაკი წერეთელი თავის ისტორიულ პოემა „თორნიკე ერისთავში“

³⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 229.

საპერძნეთიდან დაბრუნებულ ძლევამოსილ ქართველთა ჯარის ლაშქარულს ასეთი პოეტური გააზრებით წარმოგვიდგენს:

— „აკეკასიის მაღალ კედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი,
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჭაქვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!
სიხარულით შეეცლება
იმღები ხნის გასაჰირი.“

ამრიგად, დიდმა აკაკიმ ლეგენდარული ამირანი, საგმირო-მიჯაჭვული ეპოსის მთავარი გმირი, გააცოცხლა. ცარიზმის შავბნელ მჩაგველ ძალებთან მეტრძოლი ქართველი ხალხი, მთელი საქართველო მიჯაჭვული ამირანის სინონიმად მიიჩნია და იწინასწარმეტყველა, რომ მოკა დრო და თავს აიშვებს, იმ ჭაქვს გასწყვეტს გმირთა გმირიო. ამირანი სხვა ისტორიულ პერიოდებშიაც ერის ეხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა, უფუნქციოდ არასოდეს არ რჩებოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს დიდი ეროვნული საგმირო ეპოსი ქართველურ ტომთა, ქართველი ხალხისა და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ერთიანი უწყვეტი პროცესის განუყოფელი თანამგზავრია მისი ისტორიული განვითარების თითქმის ყველა ძირითად ეტაპსა და საფეხურზე.

მეორე ასევე დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც აქ უნდა გაკეთდეს, უკავშირდება წინამდებარე ნაშრომში სათანადოდ არგუმენტირებულ და თავის დროზე სტრაბონის მიერ აღწერილ სიმღიდრით სახელგანთქმულ ლეკოთეას (იგივე თეთროსანის). ადგილსამყოფელის ლოკალიზაციას და მასთან დაკავშირებულ რიგ მოვლენებს: ლაპარაკია იმ სახელგანთქმულ წარმართულ ტაძარ თეთროსან-ლეკოთეაზე, რომელიც მოგვიანებით ქრისტიანობაზე გარდამავალ წმინდა გიორგის (თეთრი გიორგის) სახელმძაბარებელი ხდება და სტრაბონის დროიდან მოკიდებული ისტორიული განვითარების უაღრესად რთულ პირობებში (ნგრევების, შემოსევების, თურქთა ასწლოვანი ბატონობის ბარბაროსულ ვითარებაში) მეტ-ნაკლებად ვიდრე ჩვენს დრომდე რამდენადმე ინარჩუნებდა თავის სახეს, — როგორც ქართული უქველესი საკულტო-საეკლესიო ერთ-ერთი ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. სოფ. ხუცუბნის თეთროსანის (წარმართული ლეკოთეას) ტაძრის დიად საგანმანათლებლო კულტურულ ტრადიციებზე ნათლად მეტყველებს თეთროსანის ტაძარში შემუშავებული უნიკალური მხატვრული და სალიტერატურო დიდებული ძეგლები, რომელთაგან XIII—XV საუკუნეებში თეთროსანში გადაწერილი და მოხატული დავითნია აღსანიშნავი. ამ ძეგლზე ჩვენ საკმაო საბუთიანობით გვაქვს მსჯელობა

წინამდებარე ნაშრომში ამ დავითნის მინიატურების მხატვრული ელემენტების მოტანისა და მათი შედარებითი შესწავლით სუკუბნის არქეოლოგიურ ძეგლებთან ისტორიული პარალელების გავლებით.

თეთროსან-ლევკოთეას ლოკალიზაციის პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებულმა კვლევა-ძიების მთელმა კომპლექსმა, როგორც ამაში გულისხმობიერი მკითხველი დარწმუნდება, ვფიქრობ, ცხადად დაგვიანება, რომ ხდება წარმართულ რელიგიური ძველთაძველი კოლხური სახელგანთქმული ტაძრის ტრადიციების არა მოსპობა ახალი ქრისტიანული ოელოგიის შემოსვლა-დამკვიდრებასთან დაკავშირებით — არამედ წარმართობიდან ქრისტიანობაზე გარდამავალი ღვთაებების, პირველყოფლისა წმინდა გიორგის (თეთრი გიორგის) ქრისტიანობასთან შეგუება, მისი გაქრისტიანება. სწორედ ამ გზით წარმართულ საყდართა კულტურის კერების არა მოსპობა-განადგურება ხდებოდა, არამედ მათი შეგუება ქრისტიანობასთან, რითაც იგი ახალ პირობებში ძველთაძველი ოდინდელი კულტურის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება.

საქართველოს ისტორიის უძველეს, შეიძლება ითქვას რამდენაღვე ლეგენდარულ პერიოდს ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა, მაგრამ ამ დარგშიც თერგდალეულებმა გამოიჩინეს თავი. მათ ბერძნულ-ქართული მითებისა და საგმირო ეპოსთა შესწავლა-დაპირისპირების გზით შეთხზეს მეტად საყურადღებო მხატვრული და ისტორიული ნაწარმოებები, კერძოდ მეღვა-არგონავტებისა და იგივე პრომეთე-ამირანის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკი წერეთლის დამსახურება.

თერგდალეულები ქართველი ხალხის უძველეს ისტორიას, მის ეთნოგენეზისს, უაღრესად დიდ შემეცნებით და გამათვითცნობიერებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხის მასების პატრიოტული სულსკვეთებით, მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით აღზარდის თვალსაზრისითაც. ქართული ფეოდალური და ბურჟუაზიული მკვდარი ისტორიოგრაფიით საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი კლდე-ოქალურ-სახელმწიფოებრივი ვიწრო ჩარჩოებით იზღუდებოდა.

თერგდალეულები ძველი აღმოსავლეთისა და მსოფლიო ისტორიის საერთო ფონზე დიდის გულისხმიერებითა და ინტერესით სწავლობდნენ ქართველი ხალხის უძველეს ისტორიას, მის კულტურას, ყოფაცხოვრებას, საზოგადოებრივ წყობილებას. ოსტატურად იყენებოდნენ შედარებითი მეთოდის საფუძველზე ქართულ ლინგვისტურ, ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ვითოლოგიურ მასალებს მდიდარ წყარო-

ბით წყაროებთან შეჭერებისა და გაანალიზებით ახლებური და სწორი ნეცნიერული დასკვნების გაკეთებისათვის.⁴⁰

დიდმა ილიამ საქართველოს ისტორიის ნიპილისტ-გამყალბებელთან ივ. ჯაბადართან და ქართული ისტორიული წყაროების ფალსიფიკატორ სომეხ ცრუ მეცნიერებთან გამძაფრებულ კამათში თავის უკვდავ „ი ისტორიასა“ და „ქვათა ლაღადში“ ჩამოაყალიბა და შეიძლება ითქვას პირველად განავითარა რამდენადმე მწყობრი, არსებითად ახალი რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის საკვანძო პრობლემებზე. ამ გამძაფრებულ კამათში ჩაება ნიკო ნიკოლაძეც, მან თავისი გაზეთის „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებიდან (ნაროდნს) ჯაბადარს სხვათა შორის ისიც უსაყვედურა, რომ „რა საჭირო იყო ამოდენა დროსა და ენერჯიის შელევა იმისთანა მკვლარი საგნისადმი, როგორც საქართველოს ძველი ისტორიააო“, და კაცი, „თუ მაინც და მაინც მოსცდება, კიდევ მეთერამეტე და მეცნარამეტე საუკუნის ისტორია საქართველოსი მიეტოვება, რომ გამოიძიოს და გამოარკვიოსო“. ილია ჭავჭავაძემ მკაცრად გაილაშქრა ნ. ნიკოლაძის ამ მცდარი შეხედულების წინააღმდეგ. საქართველოს ძველი ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საჭიროების გამო ნიკოლაძის საპასუხოდ ილია სწერს: „მაშ, ხელი უნდა ავიღოთ, რაღა მთელს ორი ათას რუაას წლის ისტორიაზე? როგორ? — კითხულობს ილია, — სხვა საუკუნეები-ღა რათ უნდა მიგვაფუჩეჩებინონ, რაკი ჩვენის ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი! ორში ერთი, ან ის სხვა საუკუნეები სულ არ ყოფილან, ან ყოფილან და ყოფნადაც არ ღირებულან, თორემ რა სათქმელია, სამი ათასი წლის ისტორიაში მარტო ორის უკანასკნელი საუკუნის აე-კარგიანობა გვეპატიება რომ იკვლიო და იცოდეო.“⁴¹

ილია ჭავჭავაძეს უაღრესად საყურადღებო შეხედულება მოეპოვება ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხებზე. იგი ქართველთა მონათესავედ მიიჩნევს კავკასიის მკვიდრ ზოგიერთ ხალხებს. რომელთაც გარკვეული ადგილი უჭირავთ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის ისტორიაში. ილიას დაკვირვებით „უძველეს საუკუნეებში ქართველს ტომთაგან, რომელსაც იქ უცხოვრია, ყველაზე უძლიერესი ყოფილა ერთი თემი სახელად „ნაირი“.⁴² მართლაცდა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, როცა ი. ჭავჭავაძე ამ სტრიქონებს წერდა, მეცნიერება უმაგალითოდ წინ წავიდა, მაგრამ ილიასეული ზოგი დაკვირვებანი დღესაც საგულისხმოა.

⁴⁰ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი, თბ., 1972.

⁴¹ ი. ჭავჭავაძე, ტომი 11, გვ. 409—410.

⁴² იქვე, გვ. 339.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში შემზადდა მკვიდრი მეცნიერული საფუძვლები საზოგადოდ საქართველოს ისტორიისა და კერძოდ მისი უძველესი და ძველი ისტორიის მეცნიერული სიღრმით შესწავლისათვის: ის დიდი მასშტაბის არქეოლოგიური, საენათმეცნიერო, ეთნოგრაფიული და ფოლკლორულ-მეგროვებითი მუშაობა, რაც 30-იან წლებიდან გაჩაღდა ჯერ ენიძვისა და შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეთაურობით, სხვა მომიჯნავე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ხორციელდება, თავისი დიდი შედეგებით ხასიათდებიან.

დიდი ილია ისტორიული ეპოქის, გარდასულ ეპოქა თაობების ღვაწლის მეცნიერულად შეფასებას, მის სწორად გაგებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: ამ საპატიო საქმეს ილია ქეშმარიტი მეისტორიეს, როგორც გამკითხველი კაცის დიდ მისიად მიიჩნევს და დასძენს, რომ „ყველა დროს თავის ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მართო ჩინებულ კაცებისა, ქეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა... ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“⁴³—დაასკვნია ილია.

ისტორიის ფილოსოფიის ეს უდაო ქეშმარიტება თუ ძალაში რჩება განსხვავებულ ისტორიულ ეპოქათა და ხალხთა ცხოვრების მეცნიერულად გაანალიზებისათვის, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ადრეულ ეპოქათა მეცნიერულად აღდგენისათვის ეკისრება.

საგმირო მითოლოგიური თქმულება ამირანზე, რომელსაც მსოფლიო უძველეს ფოლკლორისტიკაში გილგამეშის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. (ბერძნული პრომეთე ხომ ქართული ამირანის ორეულადაა აღიარებული), საქართველოს უძველესი ისტორიის ამოურწყავი ენციკლოპედიაა ქართველ ტომთა ფსიქიკური წყობის, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამოხატველი, მისი ხალხის ნებისყოფის სიმტკიცის—ღმერთმებრძოლობის იდეამდე მისული საოცარი ვაკეცური შემართებისა და ქედუხრელობის სიმბოლოა. ამირანი რკინის მეტალურგიაში ყველაზე მეტად დაწინაურებულ ქართველ ტომთა: ძლიერების და გამარჯვების, მისი უპირატესობის (ხალიბური რკინა-ფოლადით) ერთგვარი ზეიმის გამოხატულებაა. იგი ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ წამებული უკეთილშობილესი გმირთა გმირია, რომელიც ბნელი ძალების მიერ კავკასიის მაღალ მთებზეა მიჯაჭვული. მაგრამ უკვდავი და ქედუხრელია, რომელიც დღედღეზე ელოდება ჯაჭ-

⁴³ ი. ქავკასიძე, ტ. II, გვ. 345—346.

ვის აწყვეტას, ბნელი ძალების დათრგუნვას და სამარადისო სამართლიანობის აღდგენას.

ამირანი ქართველურ ტომთა — კოლხურ-იბერიულ და მათი მოძმე ხალხების — დიდ მასულდგმულზედ ძალად, მათი საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საუკუნოვან ბრძოლებში ხალხის, ერის გამობრძმედის უძლეველ ძალად გვევლინება იგი ქართველი ხალხის ნებისყოფის გამოჰქედვის, მისი რაინდული სულისკვეთებისა და ჩასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია, რომელიც თავისებურ გაგრძელებას მოგვიანებით ქართულ ლიტერატურულ ისეთ კლასიკურ ძეგლებში პოულობენ, როგორიცაა ამირან-დარეჯანიანი (უშუალოდ) და შოთა რუსთაველის გენიალური ვეფხისტყაოსანი. როგორც ამირანიანი, ასევე ამ ნაწარმოებთა მთავარი გმირები ყოველგვარი უსამართლობისა და რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ და ხალხთა მეგობრობის, კაცთა სიკეთისათვის თავგამოდებული მებრძოლი არიან. თუ რუსთაველი შუასაუკუნეებრივ ქრისტიანულ რელიგიური ცრურწმენის ბატონობის პირობებში უჯანყდება ადამიანის შემბოჰყავ და ადამიანზე გაბატონებულ ცრუმორწმუნეობრივ რელიგიურ დოგმებს და იგი რენესანსის დიადი იდეების პირველ მქადაგებლად გვევლინება, ამირანი წარმართობის ეპოქის ქართველურ ტომებში გაბატონებულ კულტ-ღვთაებათა ყოვლის მომცველობისა და შემბოჰყავ ბნელი ძალების წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის ბედნიერებისათვის ჭეშმარიტი მებრძოლი გმირია.

ამირანი ქართველ ხალხს უძლეველობის ძალას მატებდა ბნელ ძალებთან და უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლებში თავისი განვითარების ყველა ისტორიულ საფეხურებსა და ეტაპებზე. ამირანის საგმირო-მითოლოგიური ეპოსი თერგდალულებზეა, დიდმა აკაკიმ, მკვდრეთით აღადგინეს რუსეთის ცარიზმის—ამ ურჩხულის დამხობისა და საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო დიად განმათავისუფლებელ ბრძოლებში. ამირანი XIX — XX საუკუნეებშიაც ქართველი ხალხის ძალისა და ძლიერების, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების სიმტკიცისა და უძლეველობის ფენიქსისებრ მარადიულ სიმბოლოდ რჩება.

ამირანის საგმირო მითოლოგიური ეპოსი ქართველ ტომთა ყოფაცხოვრების იმ პერიოდის ამსახველია, როცა ეს ტომები გვიანი ბრინჯაოდან გადადიან რკინის წარმოებაზე და რკინის მეტალურგიული კულტურა ბატონდება.

ამირანი ისტორიული პიროვნებაა თითქო, ქართველ ტომებში მოქმედია და ტომთა მიერ გაიდვალეზულ ისტორიულ გმირსა ჰგავს

შსგავსად გილგამეშისა და სხვ.⁴⁵ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ-საგმირო გადმოცემების მეცნიერულად შესწავლამ მკვლევარნი მართებულად მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ რეალურ-ისტორიული პიროვნებები დროთა სრბოლაში არაერთი ქცეულა მითოლოგიურ პერსონაჟებად. მაგალითად, როგორცაა კოპალა, პირქუში, პირკული, და ასევე მგელა ჯაბუშანური, გახუ ჩორმეშიონი, ანუ მეგრულაური და სხვ. ისინი წარმოადგენენ მთიანეთის ამ მხარეში გაღმერთებულ ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე გამოჩენილი გმირები იყვნენ.⁴⁶

საქართველოს ისტორიის აქ განხილული კონკრეტულ-ისტორიული მასალისა და მოვლენების გაანალიზება ვფიქრობ საფუძველს იძლევა საქართველოს ისტორიაში ძველი და ახალი კულტურის ერთმანეთში უწყვეტი (თავისებურად გადამუშავებული) გადასვლა-განგრძობის, ძველისა და ახლის, წარმართულ-ანტიკურის და ქრისტიანობის ერთგვარი სინთეზის, ანუ კულტურულ-ისტორიული განვითარების უწყვეტობის შენარჩუნების კანონზომიერება შეგვეჩინოს. და მართლაც, ძველი კოლხეთის ერთი ლოკალური ხეობისა და სოფლის ისტორიული კონკრეტული მასალით სოფ. ხუცუბანში აღმოჩენილი კოლხური კულტურის არქეოლოგიური მონაცემების განზოგადობისა და შესწავლის საფუძველზე ვრწმუნდებით, თუ რაოდენ გამძლე-ნი, უწყვეტ გენეტიურ კავშირსა და მთლიანობა-ერთობლიობაში რჩებიან ისტორიული მოვლენები და ტრადიციები ურთიერთთან საუკუნეთა მანძილზე; ისტორიულ-კულტურული განვითარების მრავალ-

⁴⁵ მაგ., ი. დიკონოვი წერს: «Как мы теперь знаем, Гильгамеш, повидимому был исторической личностью-жрецом и военным вождем Урука, жившим около 2800—1700 г. до н. э. Гильгамеш рано стал представляться божественным героем». Эпос о Гильгамеше перевод с акадского И. М. Дьяконова. М.—Л. 1961, გვ. 130. საფიქრებელია, რომ ამირანიც ასევე, ისტორიული პირია, შემდეგში ხალხისგან აღწეებული და ღვთაებრივ გმირად აღიარებული.

⁴⁶ О ч и а у р и Т. А., Опыт изучения этнической истории горцев Восточной Грузии по мифологическим сказаниям. Автореферат, Тб., 1969. ავტორის დასკვნით «Поскольку конкретный материал позволяет составить представление о создании сказаний мифологического характера и выяснить, что начало преданиям заложено в реальной действительности, мы можем подойти с этим же, мерной к древнейшим сказаниям — преданиям об общинно-племенных божествах, а изучив их—более смело судить об отдельных сторонах скрытых за подобными преданиями исторических событий и быта». (იხ. გვ. 6—7), ყოველივე აქ აღნიშნული, პირველყოვლისა და ყველაზე მეტად, ამირანის საგმირო მითოლოგიურ ეპოსის შესახებ იტყვის, რომელიც ქართველურ ტომთა ცხოვრებას ასახავს მისი განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვან პერიოდში—უკლასო, თემური წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ პერიოდში.

საუკუნოვან გრძელი და უძნელესი ქართველიებით აღსავსე გზაზე გარკვევით დასტურდება მკვიდრი ავტოქთონური კოლხურ-იბერიული მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული განვითარების ერთობლიობა, რაც უპირველეს ყოვლისა, საწარმოო ძალების უწყვეტ განვითარებაში ვლინდება. ამასთანავე შეინიშნება იდეური მსოფლმხედველობრივი ტრადიციების ერთიანობისა და ასევე მისი უწყვეტობის მეტნაკლები სისრულით შენარჩუნება. რომ საწარმოო ძალების განვითარებისა და წარმოებითი ახალი ურთიერთობის შესაბამისობით აღმოცენებული საზოგადოებრივი კლასები და მათი ბრძოლა, რომლებიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციათა ცვლილებებში ვლინდებოდა, კი არ სპობდა ამ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციათა უწყვეტობას, არამედ ახალი კონკრეტული პირობების შესაბამისად ამდიდრებდა შას, ახალი შინაარსით ავსებდა და მის ერთგვარ მოდერნიზირებას ახდენდა ⁴⁷.

⁴⁷ საგულისხმოა, რომ რევოლუციამდე და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას კოლექტივიზაციის გატარებამდე საქართველოში მეტ-ნაკლები სრულყოფით და უწყვეტობით შემონახული ძველთაძველი ხალხურ-სიტყვიერებითი ტრადიციები შედარებით კარგად შემონახული იყო. ისინი ზოგჯერ თავის საწყისებს მარტო ქართული სინამდვილიდან კი არ იღებდა, არამედ ძველ-აღმოსავლურ, და ძველი დასავლეთის მეზობელ ხალხთა ურთიერთობის შედეგად იყო შექმნილი, ხოლო მათ მოგვიანებით ნაციონალური სამოსი და შინაარსი შეიძინეს. ყოველივე ეს თავისებურ ასახვას ლიტერატურულ ძეგლებში პოულობდა და ამას ვერ სპობდა ეამთა სრბოლანი. მაგრამ ხალხური ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმიკური თუ სხვა ხასიათის მასალა, რომელთა ფიქსირება ჭე.რ კიდევ ვერ მოხერხდა, კრიზისი მათ არსებობას შეექმნა კერძო საკუთრების ინსტიტუტისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობისათვის მკვიდრი საფუძვლების მომზადებასთან ერთად. მაგრამ ისინი არ გამქრალან აღმავალი ურბან-ნიშნის ვითარებაში, ახალ ისტორიულ პირობებში, — ელექტრიფიკაციისა, ანტირელიგიური კომპანიებისა და კოლექტივიზაციის ეპოქაში სოფლად და ქალაქად. ჩვენ-თაობის და პირველ რიგში საისტორიო დარგთა მუშაკების ამოცანაა: ჩვეუფიქრდეთ ამ გარემოებას ღრმად და დაეხსნოთ ამოცანები მშობლიური ისტორიისათვის ამ მასალების შეკრების, მათი სრულყოფით გადარჩენისა და მომავალი თაობებისათვის შემონახვისათვის, ვიდრე ეს დიდი ეროვნული განმძიმ-მემკვიდრეობა მოისპობოდეს, უკვალდ გაქრებოდეს.

თ ა ვ ი X. ქართული წარმართული კალენდრის ზოგიერთი საკითხი ხუცუბნის არქეოლოგიური მონაცემების სინათლეზე

1. ბრინჯაოსაგან დამზადებული ცის თაღის გამოხატვლი ნახევარფარი და წარმართულ-ქართული კალენდრის საკითხი

ხუცუბნის არქეოლოგიურ ძეგლთა შორის აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცის თაღის გამოხატულება მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ასტრალური ნიშნით, რომელთა საერთო რაოდენობა 200-მდე აღწევს, გადადის უსასრულობაში. ეს ძეგლი სხვა მასალებთან ერთად ყურადღებას იპყრობს უძველესი ტრადიციების მქონე ქართულ-წარმართულ კალენდართან კავშირის თვალსაზრისით. ჩვენ აქ მხოლოდ ამ კავშირის ნათელსაყოფ ზოგიერთ მომენტებზე შეჩერებით დავკმაყოფილდებით.

ანალოგიური ძეგლი (ცის თაღის გამოხატულებისა) ხუცუბნის სამაროვნებში ჩვენამდე ბევრად ადრე გასული საუკუნის 80-იან წლებში კაიკაციშიღისა და კომაროვს უპოვნიათ კიდევ ორი ცალი (იხ. თანდართული ანგარიშები); ამასთან ერთად დადგინდა ისიც, რომ მათი დამზადება ხდებოდა ყალიბში ბრინჯაოს გამდნარი მასის ჩამოსხმით. ხოპ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარ ნახევარფაროებს საკულტორიტუალურ ფუნქციებთან ერთად კულტის მსახურ ქურუმთათვის გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა?

ეს პრაქტიკული ფუნქცია, საფიქრებელია, პირველ ყოვლისა, ციურ მნათობთა მოძრაობის შესწავლაზე დამყარებული, ქართულ-წარმართული კალენდარის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ-სამეურნეო მიზნებით გამოყენებაში მდგომარეობდა.

კალენდარი და ასტრონომიული მეცნიერება ბუნების მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვების, ადამიანის არსებობისათვის ბრძოლის, მისი შრომითი პრაქტიკის განზოგადების და დაგროვილი ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემის გზით შემუშავდა. ასტრონომიის საფუძვლების ცოდნა, რომელიც განუყრელად იყო დაკავშირებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან — ფ. ენგელსის განსაზღვრით — „ბასოლუტურად აუცილებელი ხდება მეჭოგე და მიწათმოქმედი ხალხებისათვის“¹. ასტრონომიული მეცნიერების შინაარსს კი ძველად კალენდარის შედგენა წარმოადგენდა.

ასტრონომიული მეცნიერების აკვანი ძველ აღმოსავლეთში დაირწა. მაგ., ეგვიპტის სინამდვილეში სოფლის მეურნეობის გონივრულად წარმართვა მდ. ნილოსის ადიდება-რეგულირებასთან შესაბამისობაში

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტია, თბ., 1954, გვ. 189.

ხდებოდა და ამას ადამიანები ბუნების მოვლენებზე, უმთავრესად მნათობთა მოძრაობაზე დაკვირვება-შესწავლის გზით ასორციელებდნენ. ადამიანთა არსებობისათვის საჭირო ეს წმინდა სამეურნეო-ეკონომიური მოვლენები დროთა მსვლელობაში ღვთაებრივ-რელიგიურ წმიდათაწმიდა საქმედ იქცევა. განვითარების დაბალ დონეზე ადამიანი მართალია უშუალოდ განიცდიდა პლანეტების მოძრაობით გაპირობებულ დღე-ღამისა და წელიწადის დროთა ცვლას, რომელზეც არავითარი ძალის ზემოქმედება არ შეიძლება და ადამიანი იმთავითვე იძულებული იყო, რათა მთელი თავისი ყოფა-ცხოვრება, სამეურნეო პრაქტიკული მოღვაწეობა შეეფარდებინა დროთა ამ სეზონური ცვლისადმი, მაგრამ ყოველივე ამის განცდა (და ასევე მოქმედება) მექანიკური იყო და მიზეზობრივად აუხსნელი რჩებოდა.

ღრისა და ღამის, ისე როგორც წელიწადის დროთა ცვალებადობასთან სამეურნეო საქმიანობისა და მოგზაურობისათვის აუცილებელი შრომის პირობების შეფარდების საჭიროება უძველესი დროიდანვე აიძულებდა ადამიანს დაკვირვებოდა, შეესწავლა ციური მნათობები და მოვლენები. სწორედ ამიტომ ასტრონომია, როგორც ციურ მნათობთა შემსწავლელი მეცნიერება წარმოადგენს ყველაზე უძველეს მეცნიერებას, იგია პირველი მეცნიერება, რომელმაც ყველაზე უადრეს მთელი სიცხადით შეაგნებინა ადამიანს, რომ ბუნებაში არაფერი შემთხვევით არ ხდება, და ის, რაც სამყაროში ხორციელდება, წარმოადგენს კანონზომიერ მოვლენას.

ასტრონომიული მეცნიერების წინამორბედებად შუამდინარეთისა და ეგვიპტის ქურუმები გვევლინებიან. ბერძენი ფილოსოფოსები, არაბი მოგზაურ-გეოგრაფები ასევე შესანიშნავი ასტრონომ-დამკვირვებლებიც იყვნენ.² ასტრონომია, როგორც მეცნიერება ციურ მნათობთა შესახებ არასოდეს განზე არ მდგარა მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური და რელიგიური იდეებისაგან; ეს სინამდვილე-ყველაზე უფრო მკვეთრად შუასაუკუნეებისა და აღორძინების ეპოქაში გამოვლინდა.³ ამიტომ ასტრონომიის როლი ასევე დიდია მეცნიერებასა და რელიგიას შორის ბრაზილში, რელიგიაზე მეცნიერების გამარჯვების დიად საქმეში.

შუასაუკუნეების საღათას ძილისაგან გამოღვიძებულმა კაცობრიობამ აღორძინების პერიოდში დასძლია პაპიზმის სულიერი დიქტატურა, მკვდრეთით აღადგინა ანტიკურობა, მისი მეცნიერება და ხელოვნება. ახალმა დრომ დაარღვია ძველი სამყაროს ბევრი ცრურწმენანი და პირველმა ამოაჩინა დედამიწა. ყოველივე ეს, ფნგელსის სიტყვებით

² Фламарьон, История неба, 1875, гл. 51, Санкт-Петербург.

³ E. Boll Stern Glaube und Sternung, Leipzig, 1918, гл. 83.

რომ ვთქვათ, იყო ყველაზე უდიდესი რევოლუცია, რომელიც კოლესმე განუცდია დედამიწას.¹

ძველი და შუასაუკუნის ასტრონომიული ცოდნა ვერ გამოირჩევა ცენტრისტულ თვალსაზრისს, ე. ი. დედამიწა მამინ მიაჩნდათ უძრავად. სამყაროს ცენტრში მოქცეულად; პლანეტების დახლართულ მოძრაობათა ახსნა მათთვის დიდ და გადაულახავ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ანტიკური სამყაროს უდიდესი ბერძენი მოაზროვნე არისტოტელე (384—326) ასტრონომიული დაკვირვების გზით მიიხიდა იმ დასკვნამდე, რომ დედამიწა ისე, როგორც ზეცა მრგვალია და თავისუფლად იმყოფება სივრცეში. მისაზე აზრით, ზეცა და დედამიწა გარკვეულ მიმართებაშია ერთმანეთთან. — „ქვევით“ სამყაროს ცენტრი — დედამიწა, „ზევით“ კი გარსშემორტყმული ზეციური სფერო — ეფიროთა და ციური მნათობებით. მაგრამ ამასთანავე იგი აწყდებოდა წინააღმდეგობას — ბურთისებური დედამიწისაგან, რომელიც სამყაროს ცენტრში იმყოფება, როგორ ხდება, რომ დედამიწის მოპირდაპირე მხარეზე, ანუ „ქვევით“ მყოფი ადამიანები და საგნები არ ვარდებიან და არ იფანტებიან სივრცეში? ამ წინააღმდეგობას საფუძველი გამოაცალა, შეარიგა, შესაბამისობაში მოიყვანა და მწყობრად ჩამოყალიბებული გახადა ისევ არისტოტელეს მოძღვრებამ იმის შესახებ, რომ თითქოს ყველაზე უმძიმესი სხეულნი, როგორც წესი, მიისწრაფიან ცენტრისკენ და ამ გზით წარმოიშობა ბურთისებური მასა დედამიწისა, მას თანმიმდევრობით ემატება უფრო მსუბუქი ელემენტები ბოლოს წყლისა და ჰაერის სახით ფენებად და ა. შ. მისი აზრით, ყველაზე თხელი და მსუბუქი მასალისაგან შესდგება ციური მნათობები. იქ, სადაც მთავრდება მიწიერი ელემენტი, მის ირგვლივ მოძრაობენ ციური მნათობნი მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების სახით. მიწა კი უძრავია, იმყოფება სამყაროს ცენტრში. არისტოტელეს ამ კონცეფ-

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XIV, გვ. 416.

² სამყაროს წარმოშობაზე ბერძენთა მკვლევარებმა შეიმუშავებული თეოგენური წარმოდგენა მწყობრად ჩამოყალიბდა პესიოდესთან (ძვ. წ. VII ს.), რომლის მიხედვით, პირველად გაჩნდა ქაოსი და მიწა, მიწამ დაბადა ურანი და პონტი ანუ ცა და ზღვა. ქაოსიდან კი დაიბადა ლამე და სიმავე, რომელთა შეუღლებიდანაც გაჩნდა ნათელი ფერი და ნათელი ღღე. ზევსმა, როგორც უზენაესმა მბრძანებელმა, ზეცა დაიბრუნა, ხოლო მისმა ძმებმა — პოსეიდონმა — წყლის სტიქია და აიდამ კი — მიწისქვეშა სამყარო, ტიტან იაფეტოს შვილი პრომეთე კი იქცა ადამიანთა მოღვმის მეთაურად და მათთვის ციური ცეცხლი მოიტაცა, რისთვისაც ის აწამეს. ბევრად უფრო ადრე, ხუთი ათასი წლის წინათ შემუშავებული ძველ-აღმოსავლური თეოგენია, რომელშიც ბიბლიაში მოგვიანებით ჰოვა ასახვა, შეიქმნა პირველად მითებისა და ლეგენდების სახით სუმერების გენით (Μυθολογικαίαι εἰσηγήσεις, 1961, გვ. 232—233).

ციას დასრულებული სახე მისცა პტოლომეოსმა თავის ნაშრომში („ალმაგესი“ ახ. წ. 130), რომელიც საუკუნეებით ბატონობდა.

დაეუბრუნდეთ პირველქმულს — კალენდარის საკითხს, რომელიც ამგვარ ასტრონომიულ ცოდნას ეყრდნობოდა. ცნობილია, რომ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად დროის აღრიცხვის საკიროება ისტორიულად აუცილებელი გახდა. პირველად ძველი აღმოსავლეთის დაწინაურებული ხალხები, განსხვავებული ხერხებით და საშუალებებით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეწევიან დროის განსაზღვრას ბუნების და საზოგადოების სხვადასხვა მოვლენების შესწავლაზე დაფუძნებით. ისინი დაკვირვებას აწარმოებდნენ არა მხოლოდ მთვარის ფაზებზე, მზისა და ვარსკვლავთა მოძრაობაზე, რომ განესაზღვრათ წელიწადის დროის ცვლილებები, არამედ აღრიცხავდნენ ამასთანავე სოციალურ-ეკონომიურ და სამხედრო პოლიტიკურ უმნიშვნელოვანეს ამბებსაც, ასევე ახდენდნენ დროის აღრიცხვას დიდი ომების, ეკონომიური და რელიგიური (მითიურ-ლეგენდარული) ან სხვა ისტორიული მნიშვნელობის დაუვიწყარ მოვლენათა და ამა თუ იმ დიდ პიროვნებათა ზეობასთან დაკავშირებით. ამ გზით განვითარების ადრეულ საფეხურზე იქმნებოდა მრავალრიცხოვანი ადგილობრივი (ლოკალური) კალენდრები, რომელთა უნიფიცირების გზით მოგვიანებით დროის აღრიცხვის ერთიანი ხალხური (ეროვნული) კალენდარი ყალიბდებოდა. ეს უკანასკნელიც კი ყოველთვის არ ეყრდნობოდა ასტრონომიული მეცნიერების საფუძვლებს და უმეტესად მათი კალენდარული გაანგარიშებანიც არაზუსტი და შეცდომის შემცველი იყვნენ. მაგრამ დროთა სრბოლაში, მსხვილი სარწყავი მიწათმოქმედებისა და ზღვაოსნობის განვითარების საფუძველზე მათემატიკური და ასტრონომიული ცოდნის გაღრმავებამ, დამწერლობის შემუშავებამ, სახელმწიფო და საეკლესიო (ქურუმთა) იერარქიულ-ბიუროკრატიული (დესპოტური) აპარატის წარმოშობა-გაძლიერებამ, საქალაქო ცხოვრების — ხელოსნობისა და ვაჭრობის გაფართოებამ ცივილიზებულ ძველი აღმოსავლეთის ხალხებს შესაძლებლობა მისცა მკვიდრ მეცნიერულ საფუძვლებს მოკლებული, შედარებით პრიმიტიული — ლოკალური კალენდარი შეეცვალათ ასტრონომიულ მაშინდელ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული ახალი კალენდრით.

მზის მოძრაობის წლიური ციკლის დადგენა ძველად უძნელდებოდათ, ამიტომ წელიწადს მთვარის მოქცევაზე აგებდნენ. მთვარის კალენდრით წელიწადში 12 თვეს და თვეში 21 დღეს ანგარიშობდნენ. მთვარეს და თვეს ძველად ერთი და იგივე ცნებით გამოხატავდნენ. მაგ. ეგვიპტურ იეროგლიფებში „თვე“ დახატული მთვარის სინონიმია. ძველ ბერძნულ ისე, როგორც ქართულ, რუსულ და ასევე ზოგ ევრო-

პულ ენებშიაც მთვარისა და თვის აღსანიშნავად ანალოგიური ცნებები იხმარებოდა.

ეგვიპტელებმა ნილოსის ადიდების ზუსტი დროს განსაზღვრისა და მისი სამეურნეო მიზანდასახულებათა გამოყენება-რეგულირების მიზნით, ციურ მნათობებზე გულდასმითი და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შენიშნეს, რომ ნილოსის ადიდების დაწყებას თან ემთხვეოდა ჰორიზონტზე კამკამა ვარსკვლავის, ანუ სირიუსის გამოჩენა მზის ამოსვლის წინ.⁶ ამიერიდან თავიანთი კალენდარი ეგვიპტელებმა ვარსკვლავ სირიუსის მოძრაობის მიხედვით შესცვალეს, რომელმაც საფუძველი დაუდო შემდგომ დიდ სამეცნიერო აღმოჩენებს.

ამ ახალი კალენდარით წელიწადი ასევე 12-თვიანია, მაგრამ თვით-ული თვე 30 დღეს შეიცავს და თვეები 3 ათდღიან კვირად ნაწილდება.

კალენდარის მეთვალყურეობა, ისე როგორც გადაუდებელ სამუშაოთა და ხალხისაგან გადასახადთა აკრეფის ვადების გამოცხადება ქურუმებს ჰქონდათ მინდობილი, რომლებიც ასევე სახელმოხვეჭილი ასტროლოგებიც იყვნენ.

მზის წელიწადის მიხედვით დროს ანგარიში მხოლოდ ქურუმებს შეეძლოთ მისი სიძნელისა გამო, ხალხი მოკლებული იყო მის ცოდნას, რასაც ქურუმები ბოროტად იყენებდნენ და კალენდარი მათ ხელში ექსპლოატაციის, მოსყიდვისა და გადაბირების დიდ საშუალებად იქცა. უოველივე ეს რაკი საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას, თავისი რეფორმით მას ბოლო მოუღო რომის დიქტატორმა იულიუს კეისარმა.

ამ რეფორმის საფუძველზე წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღეს და დღის ერთ მეოთხედს შეადგენდა. მართალია იულიუსის მიერ შემოღებული ახალი კალენდარი ეგვიპტელთა მიერ აღმოჩენილ სირიუსის (სოტიური) წელიწადს ეყრდნობოდა, მაგრამ კეისარის რეფორმამ წესრიგში მოიყვანა იგი და ბოლო მოუღო დროის აღრიცხვაში ზოგიერთ შეცდომებს; კალენდარის ამგვარი გაუმჯობესებით მან კაცობრიობას უდაოდ სარგებლობა მოუტანა. ძველი წელთაღრიცხვის 44 წელს, კეისარის დაბადების თვეს მისი დამსახურებისა და მტერზე გამარჯვების სახსოვრად კენტილისის ნაცვლად ივლისი უწოდეს. ძვ. წ. 45 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შედის იულიუსის მიერ შემოღებული კალენდარი.

რომაული კალენდრის თვეების სახელწოდებანი შემუშავებულია რომაელთა ღმერთების—„იანუსის“, „ფებრუუსის“, „მარსის“ „მაიანს“, „იუნონას“, ასევე გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო

⁶ ს ი რ ი უ ს ი — დამის ცის ყველაზე ნათელი ვარსკვლავია, რომლის გამოცხადებითაც იწყება წელიწადის ყველაზე ცხელი დრო. ბერძნებმა, ეგვიპტელების შემდეგ სირიუსის თავიანთი საცემად მსხვერპლის შეწირვა დაიწყეს, რათა ადამიანებზე. ცხოველებზე და ნათესებზე სიცხეს არ ემოქმედა დამღუპველად (ახ. Мифологический словарь, М., 1961, გვ. 223).

მოღვაწეების—„იულიუსის“ და „ავგუსტუსის“ სახელთა „უკვდავსა-ყოფად“. თვეთა დანარჩენ სახელებს რომაელები უცვლელად სტოვე-ბებს და რომაული კალენდარიც ამ სახით თანდათანობით გავრცელდა ბევრ მოწინავე ქვეყანაში. საქართველოში იგი VI საუკუნიდან იკაფავს გზას. მაგრამ დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ ძველი ქართული წარმართული კალენდარი და თვეთა ძველი ქართული სახელწოდებანი რომაული სახელებით შეეცვალათ.

ქართული წელთაღრიცხვის სამი სისტემა არსებობდა — „დასაბამითგან“, „ქრისტეთა“ და „ქორონიკონით“, ქვეყნის გაჩენას (ანუ „დასაბამითგან“) ქართველები ახალ წელთაღრიცხვამდე 5604 წელს ანგარიშობდნენ და ეს თარიღი მათ ნაციონალურ ერად ქონდათ მიჩნეული.

უძველესი ქართული კალენდარი მთვარის მოძრაობის ანგარიშზე იყო დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობამ ყველაზე უფრო მძაფრი იერიშები წარმართული კალენდარის წინააღმდეგ მიიტანა, მისი მოსპობა მაინც ვერ შესძლო. ეს კარგად ჩანს ქართული ასტრონომიული ტრაქტატებიდან.⁷ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში მოეპოვება მეტად ძვირფასი ცნობები ქართული კალენდარის შესახებ: ჩვენ აქ ქართული ხელნაწერი ასტრონომიული ტრაქტატებიდან მხოლოდ ზოგიერთი საკითხი გვაინტერესებს და ისიც ჩვენს ძეგლთან დაკავშირებით.

ქართული ასტრონომიური ხელნაწერებიდან აკად. კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული A-65 ხელნაწერი საყურადღებოა არა მხოლოდ ქართული კალენდარის თვალსაზ-


⁷ კ. კეკელიძე, ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი, ენიშკის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 87.

⁸ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია X—XII და XIII საუკუნეების ასტრონომიული ტრაქტატები (პირველი წარმოდგენილია A ფონდის №3მ ხელნაწერით, ხოლო მეორე ამავე A ფონდის №65 ხელნაწერით, მესამე ამავე ფონდის (A) №85 ხელნაწერით). ამ უკანასკნელის ავტორი იოანე შეფთელია. შავთელისეულ ძეგლზე დაყრდნობით მარი ბროსე წერდა: „საოცრად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ქართველებმა 1283 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომლებმაც 1582 წელს აიძულა პაპი გრიგორი XIII გაეწორობინა რომაული კალენდარი. რაჟ შეეხება სულხან-საბას ასტრონომიულ დაკვირვებებს, იგი თავის ნათელ გამოხატულებას პოჟლომს საბას დიდებულ ლექსიკონში; აქ ასტრონომიის რომელი ერთი საკითხი ვნებავთ, რომ ავტორი ამომწურავად არ ჩერდებოდას.“

ქართული კალენდარის ღრმა ცოდნისა და მეცნიერულად მისი გამოყენების იშვიათი მაგალითია ვახუშტი ბატონიშვილის კალენდარი. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, თემურაზ ბატონიშვილის შრომებში მთვარის (ქართული) კალენდარისა და ციკლასაკის გამოსანაგარიშებელ ძვირფას ცნობებს ვხვდებით. აქ აღარ შეეჩერდებით იმ ფაქტზე, რომ დავით აღმაშენებელი ასტრონომიის შესანიშნავი მცოდნე იყო და სამეფო სასახლესთან თითქმის პლანეტარიუმი ჰქონდა მოწყობილი. ამ დარგში დილა ასევე ვახტანგ VI-ის მემკვიდრეობა. ეს ნაშრომები სპეციალურ შესწავლას მოითხოვენ, ამიტან აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მხოლოდ რამდენიმე საკითხი.

რისით, არამედ ასევე მხატვრული ძვირფასი მინიატურებითაც ამ ასტრონომიული ტრაქტატის ტექსტი ორიგინალური, ქართულია, რომელიც 1188 წლითაა დათარიღებული.

ტრაქტატის ტერმინოლოგია და ზოდიაქოს ნიშნების სახელები ქართულადაა მოყვანილი და ასევე არაბულად, ოღონდ ქართული ტრანსკრიპციით, მაგრამ ტრაქტატის „ტექსტი ეკვს გარეშეა. არაბულიდან ნათარგმნი არ არის“⁹, ასტრონომიული ტრაქტატი, რომელიც ზოდიაქოს ნიშნების გამოხატულებებს შეიცავს, ყველაზე უფრო ძველია ამავე ტიპის, დღემდე ცნობილ დათარიღებულ არაბულ, სპარსულ ხელნაწერთა შორის; იმავე დროს სტილისტური თვალსაზრისით შესრულების ტექნიკური ვირტუოზულობითა და სიფაქიზით მას განკერძოებული ადგილი უჭირავს. სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ X—XIII სს. საქართველოში უკვე არსებობდა ობსერვატორიები და კუთხმზომი ასტრონომიული ხელსაწყოებიც მოეპოვებოდათ.¹⁰



20. შუის საათი სოფ. დოღსუანიდან, XI ს.

ციური მნათობები — მზე და მთვარე ახდენენ სადღელამისო თვალსაჩინო ადგილმონაცვლეობას, ანუ ისინი ყოველდღიურად „ამოდიან“

⁹ შ. აშირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 228.

¹⁰ გ. გორგოზიანი, ობსერვატორიები და კუთხმზომი.. X—XIII სს საქ-ში, აბასთუშის ობსერვატორიის ბიულეტენი, № 40, 1971.

თ. ჟორდანიას ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში მოეპოვება A—65 ხელნაწერის აღწერა (იხ. გვ. 59—65). მინაწერებიდან ირკვევა, რომ ეს ხელნაწერი ვახტანგ VI ხელთ იმყოფებოდა, რომ იგი თან წაუღია რუსეთში. ტრაქტატში წარმოდგენილია ნარკვევი მთვარის ფაზებზე გრაფიკული გამოსახულებით (იხ. ხელნაწერის 36ა—35! გვ.). თ. ჟორდანიას შენიშვნით: «Очевидно в XII в. имели правильное представление о фазах луны».

და „ჩადიან“. მთვარე ამ სადღეღამისო მოძრაობით ერთი თვის განმავლობაში ასწრებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ადგილის გადანაცვლებას ციურ ვარსკვლავთა შორის, ხოლო მზეს ანალოგიური ადგილგადანაცვლებისათვის ესაჭიროება ერთი წელი. ისინი ამასთანავე იცვლიან თავისი ამოსვლისა და ჩასვლის ადგილს და ასევე თავის საშუაღღო სიმაღლეს წელიწადის სხვადასხვა დროში. გზას, რომელსაც ვარსკვლავიერ ცაზე მზე წლის განმავლობაში გაივლის, ეკლიპტიკა ეწოდება, ხოლო გასავლელ გზაზე მდებარე თანავარსკვლავედებს კი ზოდიაქო, ანუ „ზოდიაქოს სარტყელი“. იგი 12 ნაწილად იყოფა და თვითუფლს ცალკე ნიშნით გამოსახავდნენ. თვითუფლ ამ ნიშანზე კი მზე თავისი წლიური მოძრაობის პერიოდში ერთი თვის მანძილზე იმყოფება. ქართული ასტრონომები XII ს. იცნობდნენ არა მარტო დროის ძირითად ერთეულებს, არამედ ისეთ მოვლენებსაც, როგორც არის ეკვატორის ეკლიპტიკასთან დახრა, ანუ მზისა და მთვარის დაბნელებათა პერიოდულობა.

ამავე ასტრონომიულ ტრაქტატში წარმოდგენილია ქართული კალენდრის მეტად საყურადღებო მონაცემები — მთვარის ამოსვლისა და ჩასვლის დროს ჩვენებით ზოდიაქოს ნიშანთა გამოხატულებასთან ერთად. საბას განმარტებით ზოდიაქო „არიან სახელნი და ნიშანნი, რომელთა თვეთა მიითვალავს მზე“. ზოდიაქური წელიწადი იწყებოდა მარტის თვით და მიდიოდა ასეთი თანმიმდევრობით:

დასაწყ. დასასრ.

1. ვერძი (არაბ. ჰამლი) — 21 მარტს — 20 აპრილი
2. კურო (თავრი) — 21 აპრილს — 21 მაისი
3. მარჩბივი (ტყუბი, ჯავზა) — 22 მაისს — 21 ივნისს
4. კირჩხიბი (სარატანა). — 22 ივნისს — 22 ივლისი.
5. ლომი (ასად) — 23 ივლისს — 2 აგვისტო.
6. ქალწული (სუბულა) — 3 აგვისტოს — 22 სექტემბერი.
7. სასწორი (მიზანი) — 23 სექტემბერს — 22 ოქტომბერი.
8. ღრიანკალი (აყრაბ) — 23 ოქტომბერს — 21 ნოემბერი.
9. მშვილდოსანი (ყავს) — 22 ნოემბერს — 21 დეკემბერი.
10. თხისრქა (ჯადი) — 22 დეკემბერს — 19 იანვარი.
11. წყლის საქანელი (დალე) — 20 იანვარს — 18 თებერვალი.
12. თევზი (პუთი) — 19 თებერვალს — 20 მარტი¹¹.

ქართული ასტრონომიული მსგავსი ტრაქტატების სიმრავლე XI—XII საუკუნეების საქართველოში, რომლებსაც ჩვენამდე მოუღ-

¹¹ იხ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—65, 33. 352—372.
თვითუფლ თვეს თან ახლავს მისი პოროსკოპული გაზომვა ამ თვეში დაბადებული ბედის შესახებ.

წევია, მეტყველებენ მეცნიერების ამ დარგის ეროვნულ ქართულ ნადავზე აღორძინების შესახებ; ასტრონომიული მეცნიერების საერთო მაშინდელმა მონაპოვარმა კი, სპეციალისტების საყოველთაო აღიარებით თავისი ნათელი ასახვა პოვა გენიალური ქართველი მკვლევარის შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში (ამაზე დაწერილებით ქვემოთ).

წარმართული ქართული კალენდარის სხვა ვერსიით ასევე ვიცით, რომ ახალი წელი იწყებოდა 23 აგვისტოს და მას „თთუეი -- ახალწლისაი“ ეწოდებოდა: წლის დანარჩენ 11 თვესაც საკუთარი სახელები ჰქონდა და ისინი იწყებოდა თვის სხვადასხვა რიცხვებით.¹²

აი ეს სხვაობა და სახელები:

ქართული წარმართული კალენდრის თვეთა სახელები	რომაულ თვეთა სახელებთან შესატყვისობაში	
	იწყებოდა:	გრძელდებოდა:
1 თთუეი ახალწლისა და	22 აგვისტო	22 სექტემბერი
2 სთვლისა და	23 სექტემბერი	22 ოქტომბერი
3 ტირისკნისისა და	23 ოქტომბერი	21 ნოემბერი
4 ტირისიდინისა და	22 ნოემბერი	21 დეკემბერი
5 სარწყუნისისა და	22 დეკემბერი	19 იანვარი
6 ასპნისა და	20 იანვარი	18 თებერვალი
7 მიპრაკანისა და	19 თებერვალი	20 მარტი
8 იგრიკისა და	21 მარტი	20 აპრილი
9 ვარდობისა და	21 აპრილი	21 მაისი
10 თიბისა და	22 მაისი	21 ივნისი
11 ქუელთობისა და	22 ივნისი	23 ივლისი
12 არდადეგისა და	23 ივლისი	23 აგვისტო

წარმართულ თვეთა სახელები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ წარმართული ასტრალური ხასიათის დღესასწაულები უმთავრესად მზისა და მთვარის საკულტო-რიტუალურ სამსახურთან, ზეიმთან და პურობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

საბა ორბელიანის განმარტებით. (რომელიც ბერძნულ-რომაულ ტრადიციებს ემყარებოდა) ზოდიაქოთა რკალები, სარტყელი, ანუ ცის

¹² ეს ტრადიცია, თვის სახელების წარმოება მთავარი საკულტო დღეების სახელსაგან, პ. ინგოროვას მართებული შენიშვნით, წარმართული ხანიდან გაღმოვიდა ქრისტიანულ ეპოქაშიც. ასე — დღეობა იოანეს შობისა 24 ივნისს, აქედან „ივანობის-თვე“, დღეობა „კვირიკობა“ — აქედან „კვირიკობის თვე“, დღეობა „მარიამობა“ — აქედან „მარიამობის თვე“, დღეობა „ენკენია“ — აქედან „ენკენის-თვე“. დღეობა „გიორგობა“ — აქედან „გიორგობის-თვე“ ქრისტეს შობა — აქედან „ქრისტეს შობის“-თვე (იხ. პ. ინგოროვას ნაშრომი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XII, 1931—1932, თბ., 1933, გვ. 261—262).

წრე 12 ნაწილად იყო დაყოფილი და თვითეულს ეწოდებოდა: 1. ვერძი, 2. კურო, 3. ტყუბი, 4. კირჩხიბი, 5. ლომი, 6. ქალწული, 7. სასწორი, 8. ღრიანკალი, 9. შვილდოსანი, 10. თხის რქა, 11. წყლის საქანელი, 12. თევზი (ძველად ასევე გვხვდება: ვაცი (თხის რქა), მეუღლე (სასწორი). მერწყული (წყლის საქანელი), მარჩბივი (ტყუბი).



21. ძველი არაბული ზოდიაქო.

საბა¹⁵ ორბელიანი ბუნობას კი ასე განმარტავს: „ბუნობა არს რადლე და ღამე გასწორდება მარტსა და სეკდემბერსა შინა. ხოლო მოქცევასა დღისასა და მოკლებასა ივნისის თთუესა და დეკემბერსა მოკლებასა ღამისა, ნაბუნობა ეწოდების“ (საბა)¹⁵.


ჩვენთვის აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ „თთუეი“ ახალწლისა წარმართულ ქართული კალენდარით დაახლოებით აგვისტოს შუარიცხვებში იწყებოდა და წელიწადის იგივე ფევე და დაახლოებით იგივე რიცხვები წარმართულ საქართველოში მთვარის ხატობისა და ღღესასწაულისათვის იყო დადგენილი.

აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოკვლეული აქვს სოფ. აწყურის „თეთრი გიორგობისა“, სოფ არბოს „გერისთაობის“, რაჭაში სოფ. სორში „ნაციხურობის“ და სხვ. ღღესასწაულებში დაცული მთვარის. ღღთაების თაყვანის საცემად მოწყობილ საგანგებო წარმართულ ღღესასწაულთა გადმონაშთები.

თეთრი გიორგობის ღღესასწაული „14 აგვისტოს მწუხრის ეამს იწყება და მთელ ღამეს გასტანს. თეთრგიორგობაში ღამის თევას უმ-

¹⁵ ასევე იხ. ქართული განმარტებითი ლექსიკონი—„ბუნობა“.

თავრესი მნიშვნელობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა¹⁴. რაც შეეხება სოფ. არბოში დაცულ გერისტაობის დღესასწაულს, იგი აგრეთვე 14—15 აგვისტოს იწყება, რომელსაც „თავი გერისტაობა“ ჰქვია. 1-ლ და მეორე სწორზე ე. ი. 21—22 აგვისტოს და 28—29 აგვისტოს აგრეთვე მეორდება დღესასწაული. გამოირკვა, რომ კოლხეთშიც სოფ. ხუცუბანში თეთროსნობის დღესასწაული, ანუ თეთრი გიორგობა, მთვარის ხატობა იმავე წესითა და რიგითსრულდება, როგორც იბერიის სანახებში ჰქონდა ამას ადგილი.



22. ბუნიობის გრაფიკული გამოსახულება

თეთრი გიორგობის და თავი გერისტაობის დასაწყისი, ე. ი. 14—15 აგვისტოს მთვარის აღმოსვლის დღეა, „მთვარე ამ დროს სრულია, ხოლო სწორზე მთვარე შესამე მეოთხედშია, ხოლო სწორის-სწორზე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება. ერთი სიტყვით სწორის უქმობა მთვარის მეოთხედობაზე არის დამყარებული“¹⁵.

ამრიგად ქართული წარმართული კალენდარი: ახალი წლის დასაწყისის, „თთუეი ახალწლისადმი“ მთელი რიგი დღეები და ღამეები ყოფილა მიძღვნილი მთვარის ღვთაების სადღესასწაულოდ. შემდეგში ქრისტიანობამ ახალი წელი დეკემბრის ბოლოს დაამკვიდრა და იგი ქრისტეს შობის დღეს დაუკავშირეს.

¹⁴ ივ. ჭავჭავაძის ი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 48.

¹⁵ იქვე, გვ. 49—50.

არანაკლებ საინტერესოა წარმართული ახალი წლის მომდევნო თვე „თთუყესაველისაჲ“. რომელსაც საქართველოს ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება; იგი იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ წარმართულ საქართველოში დაწინაურებული მეტალურგიის გვერდით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე მევენახეობას.

ვეხახის მრავალი ჯიშის მეცნიერული შესწავლისას ივ. ჯავახიშვილს ყურადღება მიუქცევია სადადეგოს ჯიშისათვის, რომელიც იმერეთსა და გურიაში ახლაცაა დაცული. „უკანასკნელი სიტყვა უქვევლია წელიწადის დასაწყისს უნდა ნიშნავდეს. ამნაირად სადადეგო ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელია, რომელიც წელიწადის დამდეგისათვის უკვე მწიფე იყო ხოლმე. ცხადია, რომ აქ წელიწადის დასაწყისად იანვარი კი არა, არამედ ენკენისთვე უნდა იგულისხმებოდეს. მაშასადამე სადადეგო ისეთი ყურძნის სახელი ყოფილა, რომელიც 1-ლი ენკენისთვისათვის უკვე საკმელად ვარვოდა, ე. ი. რომელიც ადრეული იყო“¹⁶. რაკი წარმართულ თვეთა აღრიცხვით ახალი წელი 23 აგვისტოდან, 29 ენკენისთვემდე (ანუ სექტემბრამდე) გრძელდებოდა, ბუნებრივია, ვაზის სადადეგო ჯიში მაშინ გავრცელებული ყოფილა და მისი ეს სახელიც უდავოდ წარმართობის დროინდელია.¹⁷

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „არდადეგი არს, რა მკათა თვეში მზე ლომზე შევალს. მის გამოსვლამდე—ოცდაათნი დღენი“ (იხ. ლექსიკონი). ივ. ჯავახიშვილი ემყარება რა საბაას ამ განმარტებას, შენიშნავს, „არდადეგი იმ დროსა და მზის მდგომარეობას ეწოდება, როდესაც მზე „ლომში შევა გამოსვლამდის“, — ანუ 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე დროს უდრის“¹⁸. ხალღურ წარწერებში მზეს „არდი“ ეწოდება. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, მზეს ქართულად ასევე ოდესლაც „არდი უნდა რქმეოდა“¹⁹.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. III, გვ. 495.

¹⁷ იქვე, გვ. 471.

საქართველოში კალენდარული გამოთვლის სექტემბრის ციკლით ანგარიში თუ როდენ გამოქვეყნდა და ხანგრძლივ განაგრძობდა არსებობას. ამას ადასტურებს XVIII ს. ქართულ ისტორიულ ზოგიერთ დოკუმენტზე შემორჩენილი სექტემბრის ციკლით და არა იანვრის ციკლით — (როგორც ეს წესადაა მიღებული) შედგენის ფაქტი (იხ. მ. ჩხაკაძის მოხსენების — „ქართული კალენდარული გამოთვლების ერთი სახეობა XVIII საუკუნის დოკუმენტების მიხედვით“, — თეზისები, დაიბეჭდა თბილისის სასულიერო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის III სამეცნიერო სესიის თეზისების კრებულში, 1970, გვ. 6—7.


¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 121.

¹⁹ „არდადეგი“. მისივე აზრით, ამდენად კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი „არდი“ მზეს ნიშნავს, „დეგი“ კი დადგომას — „მზის დადგომას“ „კირჩხიბზე“. დღევანდელი გაგებით „არდადეგი“ ხომ ზაფხულის კანიკულების გამომხატველია, უმთავრესად ივლის-აგვისტოსში.

ზოდიაქოს თანავანსკვლავდთა ნიშნები ქართული
ასტრონომიული ტრაქტატის 1188 წლის ხელნაწერის მიხედვით



ვერძი




კურო.






კრახიბი



ლომი



ქალაქი




სანუორი



ღრინკალი



მეილოხანი





წყლის სავანელო



თევზი

ამრიგად, დღის სახელი თავდაპირველად შვის სახელი ყოფილა, როგორც ცაზე შვის სრბოლის დროს მანძილის გამოშხატველი სახელი. ქართული და ასევე ბაბილონური ძველი წარმოდგენით, ცას ორი გახცალკე-ვებული კარი ჰქონდა შვისა და მთვარის ამოსვლისა და ჩასვლისათვის. დღის დასაწყისს ძვ. ქართულშიაც ცისკარი ეწოდებოდა, ხოლო დღის დასასრულს მ წ უ ხ რ ი. რომელიც დაწუხვის, ანუ დახურვის გამოშხატველია და ცხადია, აქაც ცის კარის „დაწუხვა“, დახურვა იგულისხმება. „ჩვენი წინაპრების წარმოდგენით დღის დადგომა და დასრულება ცის კარებთან იყო დაკავშირებული, მაშინდელი რწმენით ცას ორი კარი უნდა ჰქონოდა“.²⁰ შვის ამოსვლის წინამორბედ ანუ სადილე ვარსკვლავს. აფროდიტე ანუ დილა ერქვა. ეს სახელწოდება ბაბილონურადაც დილაა. ივ. ჯავახიშვილი აყენებს კითხვას, რომ ქართული სახელი დილა აფროდიტეს იმავე ბაბილონურ სახელ დილასთან ხომ არ არის დაკავშირებული და თავდაპირველად დილის ცისკარს, სადილე ცისკარი ჰომ არ ეწოდებოდა?²¹

ეგვიპტურ მითოლოგიაში მზე ზეცისა და დედამიწის შვილდაა წარმოდგენილი. რომელიც ყოველდღურად იღუპება და ხელასლად იბადება.

«В Египте, наряду с широко распространенным мифом об Осирисе олицетворявшем ежегодное увядание и весенний расцвет природы, существовал не менее популярный миф, в котором отразились древнейшие народные воззрения о ежедневной гибели и новом рождении солнца, сына земли и неба... В египетских мифах солнце, как и Осирис, не погибает, а совершив свой жизненный путь, вновь попадает в утробу матери-неба и странствует внутри нее до Нового восхода»²².



23. ჩინური ზოდიაქო მედალზე გამოსახული.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 148.

²¹ იქვე, გვ. 150.

²² И. Г. Лившиц, Новый вариант мифа о рождении и гибели солнца. сб. «Вестник древней истории» 1948 г., т. 3(25) гл. 184.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქართული წარმართული კალენდრის გადმოცემა საერთოდ. იგი გვაინტერესებს მხოლოდ ჩვენს ძველთან მიმართებაში. ამიტომ ჩვენ დანარჩენ თვეთა წარმართული სახელების ანალიზს აქ არ გამოვუდგებით.

საქართველოში უხსოვარი დროიდანაა შემუშავებული ცოდნა მთვარის ასაკის გამოანგარიშების სისტემის შესახებ. რასაც კარგად მოუღწევია ჩვენამდე.²³ რ. ერისთავს მიუქცევია ყურადღება ფშავ-ხევსურეთში ამ დარგში დაცული გამოცდილებისათვის. იგი წერს: „დეკანოზს და ხევისბერს რომ კითხოთ მთვარე რამდენი დღისაა, სწორ პასუხს იმწამსვე მიიღებთ“²⁴. შეიძლება გადაქრით ითქვას, რომ არა მარტო ხევისბერისა და დეკანოზისაგან, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დაკვირვებულ მოხეტიაგან დღესაც შეიძლება სწორი პასუხის მიღება.

ამასთანავე არანაკლებ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართული წარმართული შვიდეული აგრეთვე მთვარისა და ციურ მნათობთა სახელების გამომხატველი იყო ნაცვლად დღეს გაბატონებულ ებრაულ-ქრისტიანულ შაბათზე დამყარებული დღეების სისტემისა. საბას თავის ლექსიკონში შეუტანია შვიდეულის ძველი მწკრივი და მათი სახელები. საბას ცნობით „ქართულად შაბათისა სახელი არს კრონოსისა, კვირიაკისა — მზისა და საუფლო ორშაბათისა — მთოვარისა, სამშაბათისა — ერემისა, ოთხშაბათისა — ერმისა, ხუთშაბათისა — აფროდიტისა, პარასკევისა დიოსისა დღეა“ (იხ. ლექსიკონი — შაბათი).

შვიდეულის ეს სახელები და მწკრივი საბას „ქართულად“ მიაჩნია. ცნობილია, რომ ძველი აღმოსავლეთი უხსოვარ დროიდან იცნობს შვიდეულის სისტემას, სადაც ასევე შემუშავდა შვიდეულის დღეთათვის მნათობთა სახელების მიკუთვნება. ანტიკურმა სამყარომ ეს ცოდნა ძველი აღმოსავლეთიდან მიიღო და შემდეგ გააღრმავა იგი, როგორც ეს გამოკვლეული აქვთ გინცელს, ბოკლს და როშერს. საბას ლექსიკონში ქართულად მიჩნეული შვიდეულის უმრავლესობა, მზისა და მთვარის სახელთა გარდა, აღმოსავლური და ბერძნულია. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ქართული შვიდეულის დღეების ეს სახელები იმ დროს უნდა იყოს შეთვისებული, როდესაც ბერძნებს თავიანთი შვიდეულის დღეთა მნათობიერი სახელების სისტემა ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ ჰქონდათ.

წარმართულ საქართველოში გაღმერთებული ჰყავდათ რა ცის მნათობები მთვარე, მზე, და სხვა ცთომილები, შვიდი მნათობის სახელი დაარქვეს კვირის დღეებსაც. ეს სახელები ხომ დღესაც დაცულია და ყოველდღიურ ხმარებაშია ქართველურ ენებში — ქანურ-მეგრულში,

²³ Пл. Носеллиани. Описание древностей города Тифлиса, 1866, гл. 191.

²⁴ «Записки» Кавказское отд. Геогр. общества, т. III, гл. 18.

და სვანურში. მეგრულად, მაგალითად, კვირას — „ბეაშხა“, ანუ მზის დღე ჰქვია, ორშაბათს — „თუთაშხა“, ანუ მთვარის დღე. სამშაბათს: მეგრულად ჰქვია „თახაშხა“; ქანურად „კიკინაჩხა“, რაც მარსის დღეს ნიშნავს (ომიანობის ღვთაების), ხუთშაბათს — ცაშხა, ანუ ცის დღე და სხვა.²⁵

ასტროლოგები ამტკიცებდნენ რა ზეციურ მოვლენათა და ციურ მნათობთა ჩარევას და მის გადამწყვეტ როლს ყველა იმ საქმეში, რაც დედამიწაზე ხორციელდება, ამასთანავე ასაბუთებდნენ, რომ თითოეული ციური მნათობი ბატონობს ყოველი კვირის თითოეულ დღეზე, ლითონის ამა თუ იმ სახეობაზე და ა. შ., მათი აზრით, მაგ. მზე განაგებდა — კვირას, მთვარე — ორშაბათს, მარსი — სამშაბათს, მერკური — ოთხშაბათს, იუპიტერი — ხუთშაბათს, ვენერა — პარასკევს, სატურნი — შაბათს; მნათობები ასევე ბატონობდნენ ლითონებზე — მაგ., მზე — ოქროზე. მთვარე — ვერცხლზე, ვენერა — ალუმინზე, მარსი — რკინაზე, იუპიტერი — სპილენძზე, სატურნი — ტყვიანზე, მერკური — სინდისზე. თითოეულ აქ დასახელებულ მნათობს ასევე საკუთარი ფერი შეესატყვისებოდა. მაგ., მზეს — ყვითელი, მთვარეს — თეთრი, ვენერას — მწვანე, მარსს — წითელი, იუპიტერს — ცისფერი, სატურნის — შავი, მერკურს — გარდამავალი ფერები. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ასევე ცნებების „თთუისა“, „მთოვარისა“ და „მთვარის“ ურთიერთდამოკიდებულებების საკითხი.²⁶

ცნობილია, რომ მეგრულსა და ქანურში მთვარეს „თუთა“ ეწოდებოდა, რაც ამავე დროს თვესაც აღნიშნავს. სამწერლობო ქართულში მთვარეს აღნიშნავდა ტერმინი „მთოვარე“, ხოლო თუ ძველი ქართულით „თთუი“ „თუედ“ იწერებოდა, ვინაიდან ორი ერთნაირი თანხმოვნის („თთ“) ერთად შეთავსება ქართულში უჩვეულო მოვლენაა. ამიტომ ტერმინი „თუი“-ს უძველესი გამოხატულება „თუე“ შეიძლება ყოფილიყო. ირკვევა, „თუთე“ დროთა განმავლობაში „თუედ“ ქცეულა, რადგან თვეს ცნებას დაუკავშირდა მნათობის აღმნიშნავი ტერმინი, ენას მიმღებია, — „მთოვარე“ გამოუყენებია. მაშასადამე, ქართულ

²⁵ პირველად ამ პრობლემას ყურადღება აქად. ნ. მარმა შიაქცია (იხ. Н. Марр, Древне-грузинско-русский словарь. К-1-2, 1913, გვ. 10.

და ასევე ივ. ჯავახიშვილის „ქართვ. ერის ისტ“. წ. I, 1913 წლის გამოცემა გვ. 5. 1928 წლის ივ. 122, ი. ყიფშიძის გამოკვლევა უნივერსიტეტის „მოამბის“ № 1-ში : გ. 3 და სხვ. სვანურ ენობრივ მასალებზე დაკვირვებით, ამ კვლევაში თავისი წვლილი შეიტანა ვ. თოფურიამ (იხ. მისი გამოკვლევა „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ანბანში“, „მიმოხილველი“ 1, 2—18 გვ.). გ. ბარდაველიძე ფიქრობდა, რომ წარმოდგენა შვიდ მნათობ ღვთაებაზე დაკავშირებულია მთვარის კალენდარის ცალკეულ დღეებთან, რომელიც აღრეკლასობრივ საზოგადოებაში უნდა შემუშავებულიყო. (იხ. საქართველოს ეთნოგრაფიის მასალები, თბილისი, 1959, გვ. 169).

²⁶ Г. А. Гурев, Астрология и религия, М. 1940. გვ. 38.

ენას და მის კილოკავებს იშვიათი სიზუსტით შემოუნახავს მთვარის მოძრაობაზე დამყარებული წარმართული ქართული კალენდარი. ცნობილია, რომ ამავე კალენდარზე იყო დამყარებული წელთაღრიცხვაც და წელთა დანაწილება თვეებად და ა. შ. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ქართულ კალენდარში მთვარემ მოგვიანებით თვის მნიშვნელობა მიიღო. ანალოგიურ მოვლენებს შევხვდებით რუსულ, ზოგიერთ ევროპულ და აღმოსავლურ. ენებშიც.

ბერძნებს აღმოსავლეთიდან მიღებული შვიდეულის სისტემა უნდა გადაემუშავებინათ ელინიზმის ხანაში, ხოლო ელინიზმზე ბევრად ადრე ქართული შვიდეული უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა. ისტორიულად იგი ჩვენში უნდა ჩასახულიყო ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარების გვიან საფეხურზე.²⁷

ქართულ სამწერლობო ენაში ძველთაგანვე დამკვიდრებული შვიდეული ცრს და ციურ მნათობთა, კერძოდ, მთვარის კულტის გადმონაშთია.

ძველი აღმოსავლეთას ხალხთა მიერ შვიდეულის სისტემის შემუშავებაში კოლხეთის მკვიდრ მოსახლეობას თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებია. ამ მოსაზრებას ქართველურ ენებში დაცული შვიდეულის სახელებთან ერთად ადასტურებს ახალი მთვარის გამოჩენისას ძველთაგანვე შემორჩენილი ზოგიერთი ჩვევა. მაგ., სამეგრელოში, რომლის შესახებაც ი. ქობალია იუწყება: „ახალგაზრდა დედა თავის ვაჟიშვილს ჰაერში ისროდა, თითქოს მას ღვთაებებს ავედრებდო“ და ბავშვის გასართობად შემდეგ ლექსს იმეორებდა: „თუთა, თახა, ჭუმა, ცა, ვობი, საბატენი ბჟა“. ქობალიას ცნობითვე, ეს სიტყვები პირველი გაკეთილი ყოფილა ჩვილი ბავშვისათვის დასასწავლად სავალდებულო.²⁸

მეგრულ-ქანურ ენაში დაცულ შვიდეულთა სახელებში და ქობალიას მიერ უწყებულ ჩვეულებაში ისაა საყურადღებო, რომ შვიდეულის მნათობი — ღვთაებების სახელებზე დედა ბავშვს ენას ადგმევინებს, ავედრებს მას ღვთაებას. 7 რიცხვი საერთოდ მაგიურ რიცხვად იყო შერჩეული. სწამდათ, რომ არსებობდა 7 სფერო, შვიდი სასწაული, 7 დღიანი კვირა და სხვ.

შვიდეული იწყება ქართული წარმართული უმთავრესი ღვთაების მთვარის სახელით — „თუთა“-თი. როგორც ირკვევა ორშაბათი მთვარის ღვთაების საკულტო სადღესასწაულო უქმე დღე იყო ისე, როგორც ეს ქანურში „ერკინაჩხა“ ცის ან რკინის დღეს აღნიშნავდა.²⁹

²⁷ Дж. И. Оннанш, Из истории древнейших верований Грузии (Сванский цикл праздников «Муркваноба — Каприноба». Автореферат, Тб., 1969).

²⁸ ეს ცნობა ქობალიას 1913 წლის 5 აგვისტოს ივ. ჭავჭავაძისათვის მიუწოდებია და იგი ჭავჭავაძის მოპყავს ქართველი ერის ისტორიაში, წ. 1, გვ. 108.

²⁹ Н. Я. Марр, «О религиозных верованиях» журн. «Христианский Восток», 1915 г. кн. IV, гл. 133

ამასთანავე ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ის განპარტებანი, რომელიც საბა ორბელიანს შემოუანახავს თავის ლექსიკონში მნათობ სულიერების ცაზე განლაგებისა და მათი დედამიწისაგან დაშორების შესახებ. საბას ცნობით, „მოთვარე არის უქვემოესა ცასა ზედა, რომელ ცასა მას ეწოდების კირანო“. რაც შეეხება შვიდეულის შემადგენელ დანარჩენ მნათობთ ისინი თანდათან მოშორებით იმყოფებან. შვიდეულის უკანასკნელი მნათობია კრონოსი — „არს მეშვიდესა ცასა ზედა“ (იხ. ლექსიკონი). ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილი ცის თაღების და მისთვის დამახსიათებელი ასტრალური ნიშნების გამოხატულებანი ბრინჯაოს ნახევარსფეროზე, ძველი კოლხური კოსმოგონიის, კალენდარული და ასტრონომიული აზროვნების გარკვეული ღონის გამოხატველი ძველი უნდა იყოს და სათანადოდ დაკავშირებული ყველა აქ აღძრულ პრობლემებთან.

კოსმიური აზროვნების გამოხატველ საკულტო ნივთიერ ძეგლებს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მატერიალური კულტურის სფეროდან სხვადასხვა მხატვრულ ქმნილებათა სახით მოუღწევია. მათი გამოხატულებანი, როგორც წესი, თიხისა და ლითონის თასებზე, ლარნაკებზე, ბარელიეფებზე და მის მსგავს ნივთებზეა ამოტვიფრული. მაგალითად, თრიალეთის ყორღანულ სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის თასზეა გამოხატული რიტუალური სიუჟეტები.

სპეციალისტების აზრით უძველესი ეპოქების რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი იდეა უძველესმა ლარნაკებმა — ვაზური ხელოვნების ტიპის ძეგლებმა — თიხისა და ლითონის მოხატულ ლარნაკთა ლითონის ქურკლებმა შემოგვინახა — «...Вазовая живопись сохранила нам это», — «В основе космического мировоззрения лежит осознание в извращенной, ложной анимистической форме производственного значения плодоносящих сил и сезонных явлений в природе — света и тепла, смены зимы и лета и осознание зависимости человека от них»³⁰.

ქართული წარმართული კალენდრის ზოგიერთი საკითხის აღძვრამ და განხილვამ ჩვენს ძეგლთან მიმართებაში დაგვარწმუნა, რომ ზეცისა და ციურ უმნიშვნელოვანეს მნათობთა კულტის დაკვირვებამ მეტა-ლურგის დარგში დაწინაურებულ კოლხეთის უძველეს მკვიდრ ქართველ ტომებში აღრითგანვე ჰპოვა ასახვა არა მარტო ქართულ კალენდარში, არამედ მის ხელოვნებაში, ენაში და მატერიალური კულტურის (საკულტო დანიშნულების) არქაულ ძეგლებში, რომლის ერთ-ერთ დამახასიათებელ საგანს კინტირის ხეობაში აღმოჩენილი ცის თაღის გამოხატველი უძველესი ჩვენი ძეგლი უნდა წარმოადგენდეს. ირკვევა,

³⁰ В. И. Равдоникас, Элементы космических представлений в образах паскальных изображений. «Советская Археология», IV, 1937, сс. 12—13. 31.

...სტად აღიარებულ ზეცას და ციურ მნათობთა მოძრაობის შესწავ-
ლას საქართველოში დადი ტრადიცია მოეპოვებოდა. აქ აღნიშნულს
კარგად ადასტურებს ასევე ქართული ასტრონომიული ტრაქტატები.

კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაც-
ული XI—XII სს. ასტრონომიული თხზულებებიდან ჩვენს ყურადღებას
აქაც იპყრობს A ფონდის №65 ხელნაწერი (XII ს). აღნიშნული ასტრო-
ნომიული ტრაქტატის 181—192 გვერდებზე მოცემულია ზოდიაქოს—
12 თანავარსკვლავედის ჩანახატები. მასში ასევე წარმოდგენილია 30
სექტორად დაყოფილი ორმაგი წრე (მთვარის მოქცევა კალენდრით)
და ცის თალზე მოძრავი უმთავრესი პლანეტების მოცულობის და დედა-
მიწიდან მათი დაშორების მანძილის განსაზღვრის ცდა; ერთეულად კი
მზიდან დედამიწამდე მანძილია მიჩნეული. აქვე მოცემულია თვითუ-
ლის მიახლოებითი სიდიდის ზომისა და ამ დაშორების მანძილის
ცხრილიც.

პლანეტები შვიდ ცაზე ასეთი თანმიმდევრობითაა განლაგებული:
მთვარე, უტერიდი. მთიები, მზე, მარსი, მუშთარი, და ზოპალი; მთვარე
აქაც „უქვემოესსა ცაზეა“ წარმოდგენილი, როგორც ამას საბა ორბე-
ლიანი მიუთითებს.

ცხრილში დასახელებულ მნათობთა სიდიდე დედამიწის მოცულო-
ბასთან შეფარდებითაა წარმოდგენილი. ეს შეფარდება ზოგჯერ უახ-
ლოვდება მეცნიერულ ქვემარტებას. მაგ., მთვარის მოცულობის შესა-
ნებ ავტორის გამოანგარიშება, რომ ის დედამიწის 1/39 უთანაბრ-
დება, მართალია, ზუსტად ვერ ასახავს სინამდვილეს, მაგრამ საგრძობ-
ლად უახლოვდება, რადგან ახლანდელი ასტრონომიული ზუსტი მეც-
ნიერული დაანგარიშებით, ეს შეფარდება 1/49-ს ეთანაბრება.

ხელნაწერის 360-ე ფურცელზე ავტორი მთვარის მოძრაობის ფა-
ზებზე საკუთარ დაკვირვებას ნახაზებში წარმოგვიდგენს. ამ ნახაზები-
დან ირკვევა, რომ ავტორს მთვარის ორბიტი წრეწირის მსგავსად აქვს
გააზრებული. იგი წრეს ჰყოფს 30 თანაბარ სექტორად. თვითეულ სექ-
ტორში აღრიცხულია მთვარის ამოსვლის და ჩასვლის ზუსტი დრო. ამ
ცხრილიდან და ჩანახაზ-შენიშვნებიდან ჩანს, რომ „ავტორს სწორად
აქვს წარმოდგენილი მთვარის მოქცევისა და დაცხრომის მიზეზები.“³¹

რაც შეეხება მოტანილ ცხრილში აღნუსხულ მზისა და პლანეტების
განლაგებას დედამიწისაგან მათი დაშორების მანძილების მიხედვით,
დიდად არ ეწინააღმდეგება ასტრონომიის მეცნიერულ მიღწევებს. ამ
განლაგებათა სწორად ასახვას ისახავს მიზნად ცის სფეროს ნუმერაცია.
ავტორი, მართალია, ამ განლაგების მანძილებს რიცხვებში ვერ გამოსა-

³¹ დ. ც ხ ა კ ი ა, ქართველთა და ახლო აღმოსვლეთის ხალხთა არითმეტიკა და
აღგებრა ასტრონომიული ლიტერატურის ქართულ ძეგლებში, 1949, გვ. 339.
ა. რანზაძის სახ. თბ. მათემატიკის ინსტ-ის შრომები, ტ. XVII.

წავს, მაგრამ განსაკუთრებული მნაშენელობისაა XII ს-ის ავტორის ის მიხვედრა, რომ იგი „პლანეტების დედამიწამდე მანძილის შედარებას ახდენს დედამიწის მზემდე მანძილის მიხედვით.“ ეს უკანასკნელი ერთეულად შემოულიათ (რასაც ახლა ასტრონომიული ერთეული ეწოდება). ამ ერთეულის შემომღებად და პლანეტების სისტემაში მისი საშუალებით მანძილების პირველ გამზომელად ახლა კოპერნიკს თვლიან მაგრამ... XII საუკუნის ქართული შრომიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ გაზომვას კოპერნიკამდე აწარმოებდნენ.³²

*

*

შოთა რუსთაველის გენიალურ ვეფხისტყაოსანში ღრმააზროვან მხატვრულ-პოეტური ხერხებით აისახა და არსებითად თავისი კეთილი ადგილი ჰპოვა ციურმა დიდმა და მცირე მნათობებმა—მზემ, მთვარემ და ვარსკვლავებმა — „ზეციურ ძალთა დასის“ მთელმა ამ კომპლექსმა.

რუსთაველს ნათლად აქვს წარმოდგენილი მნათობთა მოძრაობით წარმოქმნილი „ძალნი ზეციურნი“ და ზეციურ ამ ძალთა გავლენა დედამიწაზე. ირკვევა, რომ რუსთაველი კარგად იცნობდა არა მხოლოდ თავისი დროის ასტრონომიულ მოწინავე ფილოსოფიურ დოქტრინებს, არამედ იგი ღრმადაა ჩახედული მეცნიერების ამ სფეროშიაც და თავისი დიდი პოეტური ალლოთი, ბრძნული მიხვედრებითა და შორს კერეთით ზოგჯერ უსწრებს დროს, ეპოქას და ამ დარგშიაც რენესანსის დიდი იდეების მოწოდებათა სიმადლეზე დგას.

მას შემდეგ, რაც ძველ აღმოსავლურ — ქალდეურ-ეგვიპტურ-ბაბილონური სამყაროდან ასტროლოგიის, ანუ ე. წ. ვარსკვლავთმცოდნეობის ცენტრი ანტიკურ საბერძნეთსა და რომში გადაინაცვლებს, იგი უანდათანობით რამდენადმე თავს აღწევს რელიგიურ აშკარა ცრუმორწმუნეობრივი დოგმების უკიდურეს შეზღუდულობას და აღორძინების გზაზე დამდგარ ანტიკურ ფილოსოფიურ მიმდინარეობებთან დაკავშირება-შერწყმის გზით ეს დარგი, ანუ ვარსკვლავთმცოდნეობა, განვითარების ახალი, შედარებით უფრო პროგრესული გზით წარიმართება. კოსმოგონიისა და ასტროლოგია-ვარსკვლავთმცოდნეობის ამგვარი ახლებურ-ფილოსოფიური გააზრებიდან რუსთაველის ეპოქაში დიდი გავლენით სარგებლობდა ნეოპლატონური მიმდინარეობა, რომელსაც გენიალური მკვლევარი შესანიშნავად იცნობდა სხვა მაშინდელ ფილოსოფიურ-ასტრონომიულ შეხედულებებთან ერთად. ყოველივე აქ აღნიშნული კი თავისებურადაა ასახული ვეფხისტყაოსანში. შევჩერდეთ ფაქტებზე:

³² დ. ცხაკაია, ქართველთა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა არითმეტიკა და აღგებრა ასტრონომიული ლიტერატურის ქართულ ძეგლებში, 1949, გვ. 338

შორეულ მხარეებში ხანგრძლივად გამგზავრების წინ ავთანდილი-ერთგულ ყმას შერმადინს აკისრებს თავის მოვალეობებს. შერმადინი კი თან წაყოლას და განუყრელი ყმობით სამსახურს სთავაზობს მარტოდ მიმავალ პატრონს. ავთანდილი კი არწმუნებს შერმადინს:

„განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს. თუნდა ასი:
მარტობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი.“(165)

ავთანდილის ღრმა რწმენით ამქვეყნიურ ყოველგვარ საქმეს რაკი ზეციური ძალები, ანუ „ცისა ძალთა დასი“ განაგებს, ამიტომ თუ განგება, ანუ ეს დასი მას დაიფარავს, მარტობა არაფითარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ასაბუთებს, რომ სწორედ ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა ერთგული ყმის თან წაყოლას — „ერთი იყოს. თუნდა ასი“.

ავტორის ამგვარი რწმენა-მსოფლგაგება უფრო რელიგიურადაა თქმული ავთანდილისავე პირით პოემის სხვა ადგილს. მეკობრეებთან რაინდის გმირული შემართებითა და გამარჯვებით აღტაცებულ ვაჭრებს ავთანდილი თავმდაბლურად განუმარტავს და თავის ამ გამარჯვებას ზეციური ძალების წყალობად თვლის.

— „ყმამან უთხრა: მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა.
ვისგან ძალნი ზეციერინი გააგებენ აქა ქმნადსა“.

ქაჯეთის ციხის ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მიერ აღძვისას ქაჯთა მხედრობაზე თავს დატეხილი უბედურების შესახებ — დიდ სისხლისღვრაზე, ზეცა და ციურნი. ძალნი იუწყებოდნენ თითქო და ამ ბრძოლას რუსთაველი ასე აგვიწერს:

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღეთისა:
კრონოს, წყრომით შეხედულმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გადაბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადაადლა ჯარი მკედრისა“.

რუსთაველი სხვა შემთხვევაშიაც გვაუწყებს მრგვალო ცის რისხვაზე და წერს:

„მითხრა: „ღმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წა-
მოგრაგნა“.

ამრიგად. ქაჯთა ლაშქარზე გამწყრალ მნათობ კრონოსის—ამ ბორბლებისა და უბედურების ეპითეტის გამოჩენით „გადაბრუნდა ბორბალი და სიმრგვალე ცისა“ და, როგორც იტყვიან, ზეცამ მათ მეხი დააყარა; და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა რუსთაველისევე თქმით: — „მათ სამთა შვიდნი მნათობნი „ჰფარვენ ნათლისა სვეტითა.“

ამრიგად, ბრძოლის ბედი ქაჯეთის ციხის ალებისას ხამი ვმირის სა-

ხარგებლოდ „ცისა ძალთა დასს“, „ზეციური ძალებს“ — „შვიდნი მნათობის“ მფარველ ძალებს გადაუწყვეტია. ეგვე შეიძინი მნათობია მართობაში მყოფ ავთანდილის შემწე და მფარველი ყველა განსაცდელში ტარიელის შესაყრელად გასვლის დღიდან ვიდრე ქაჯთა ლაშქრის განადგურებამდე. ამიტომ ავთანდილი ამ შვიდ მნათობს სახობო ლოცვად ვედრებით მიმართავს სათითაოდ (იხ. 837, 839, 840, 958, 959, 960, 961)— მზეს, მთვარეს, ზუალს (ანუ სატურსს), ჭუშთარს (ანუ იუპიტერს), მარიხს (ანუ მარსს), ასპიროზს (ანუ აფროდიტეს), ოტარიდს (ანუ მერკურსს);³³ და როცა მნათობთა სათითაოდ განლაგებითა და ასტროლოგიურად ამოკითხვით რწმუნდება ამ ციური ძალების წყალობასა და მისდამი მხარდაჭერაში, დაჯერებული ღრმა რწმენით ამბობს:

„აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიანი:
მზე, ოტარიდი, მუშთარი, და ზუალ ჩემთვის ბნდებიანი,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმედ მყვებიანი,
მას გაავონენ, რანიცა ცეცხლი უშრეტნი მდებიანი“ (965).

განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ, ავთანდილი თავის ბედს მთვარეს აღარებს და დასძენს, რომ როგორც შენ მზე ასევე მე ჩემი მზე — თინათინი. ხან გამლევს და ხან გამავსებსო. პოემაში ეკითხულობთ:

„მო, მთვარეო, შემებრალე, ვილევნი და შენებრ ვმკლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ
ვწვლდები.“

ვმირი, მთვარეს, როგორც მიჯნურთა მესაიდუმლეს ასევე უზიარებს თავის მაღალ განცდებს სატროფოსადმი და ევედრება:

— „მას უამბენ სჯანი ჩვენი რა მქარს ანუ როგორ ბნდები,
მოლი, უთხარ ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.“

აი, როგორ წარმოგვიდგება ავთანდილის ლოცვად ვედრება, მისი გულთამხილობა და მესაიდუმლოება მნათობთა მიმართ, შეურყეველი რწმენა ზეციური ძალისა და მთელ მის შემადგენელ „ცისა ძალთა დასისადმი“.

ბიბლიის ტექსტები ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი წყაროთაგანია. მასში ასევე არაერთგზის ვხვდებით მსჯელობას მნათობთა კულტისაგან მომდინარე ზეციურ ძალებზე და „ცისა ძალთა დასის“ შესახებ.

„თაყვანი სცეს ყოველთა ძალთა ზეცისათა“, იქვე 4 მცდეთა 23,5 ნათქვამია: „უკმევდეს... მზესა და მთვარესა და მნათობთა და, ყოველსა

³³ გ. ი. მ. ე. და შვილი, ზოგი რამ რუსთაველის შვიდი მნათობის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 4, 1950, გვ. 265.

ძალსა ცისასა“. იქვე წინასწარმეტყველება იერემიას 8,2 ვკითხულობთ: „განახმენ იგინი წინაშე მზისა და წინაშე მთოვარისა, და წინაშე ყოველთა ვარსკულავთა, და წინაშე ყოვლისა მხედრობისა ცისასა, რომელნი შეიყვარნეს“³⁴. მხედრობა ცისა სხვა შემთხვევაში „ცისა ძალთა და სისა“ და „ყოველნი ვარსკულავნის“ მნიშვნელობითაც იხმარება.

აქ ძალნი ზეცისანი საზოგადოდ ციურ მნათობთა მნიშვნელობით, ხოლო უფრო ზუსტად რუსთაველის ზეირ ხობთა შესხმულ შვიდ მნათობთა მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, რომელთაც ძველად ხალხები ააყვანს სცემდნენ და ღვთაებად აღიარებდნენ.

ეგვევ ტრადიცია და წარმოდგენა ამ ზეციურ ძალებზე ასტროლოგიური წინასწარმეტყველების ელემენტებითურთ ახალ აღთქმაშიაც გრძელდება. აღნიშნულს ადასტურებს, მაგ., მთ. 24, 29, სადაც ნათქვამია — „ხოლო მეყსეულად შემდგომად კირისა მისას მათ ღღეთისა მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი და ვარსკულავნი გადმოცვივენ ზეცით და ძალნი ცათანი შეიძრნენ“.

ან კიდევ მრ. 13, 24, 25 „... და ვარსკულავნი ზეცით გარდამოცვივენ, და ძალნი, რომელი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ“³⁵.

ქრისტიანობამ ახალი აღთქმით ძველი წარმართული ტრადიციიდან მომდინარე „ზეციურ ძალთა“ ღვთაებრიობის რწმენა, ირკვევა, კი არ უარყო, არამედ შეუგუა ახალ რელიგიურ სისტემას, გადაზარდა იგი ერთი ღმერთის რწმენაში და ზეციური ძალნი ვარსკულავთა (მნათობთა) მნიშვნელობით გაგებულნი, ზეციურ წმინდანებად. — ანგელოზებად აღიარა. მთელი ამ შეგუებისა და გადაზარდის მრავალსაუკუნოვან პროცესებს საფუძვლად დაედო ნეოპლატონიკური შეხედულებანი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შემუშავდა. ეს მოძღვრება აღიარებს ერთის უფლებას, ერთის გამგებლობას სამყაროში და ყოველივეს ერთი ღმერთის — მონოთეიზმის პრინციპებისადმი დაქვემდებარებულად მიიჩნევს. ამდენად ამ მოძღვრებით ზეციური ძალნი და მნათობნი არ შეიძლება იყვნენ ქვეყნად ყოვლის გამგებლნი, ეს ფუნქცია ენიჭება მხოლოდ ერთს. — ღმერთს.

რუსთაველის მსოფლმხედველობრივი სისტემა თუ ერთის მხრივ აღიარებს „ზეციურ ძალთა“ და „ცის ძალთა ღასის“ ყოვლისშემძლეობას და ამბობს: „მარტობა ვერას მიზამს, მცავეს თუ ცისა ძალთა და სი“, — იგი ამასთანავე ხარკს უხდის თავისი ეპოქის რელიგიურ მოთხოვნებს და ნეოპლატონიზმისაგან მომდინარე ზეციურ ძალთა ამ ყოვლისშემძლეობას ასევე ერთი ღმერთის — ყოვლის შემოქმედისა და ყოვლისშემძლეობით ხსნის. რუსთაველი ამის შესახებ წერს:

³⁴ ესარგებლობ ძველი აღთქმის 1884 წლის გამოცემით.

³⁵ იხ. ახალი აღთქმა, თბ., 1963, გ. მთაწმინდელის რედაქციის მიხედვით გამოცემული.

.....მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერი გავებენ აქა, ქმნადსა,
იგი იქმან ყველაქასა, იღუმალსა, ზოგსა, ცხადსა;
სამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწვეადსა“.

ამრიგად, თვით ზეციურ ძალთა ანუ მნათობთა ყოველი მოქმედება, თვით ავთანდილისავე რწმენით, მბრძანებელი ერთი ღმერთის განგებით ხორციელდება, და მნათობთა ზეციური ძალნი ამ ქვეყნიურ ცხოვრებასა და გარემოზე გავლენას ახდენენ ღმერთის განგებით, რომ მნათობები თვითონვე არიან ამ ერთი ღმერთის მორჩილნი. ამგვარი რწმენა და შეხედულება პოემის სხვა ადგილსაცაა გამოთქმული, მაგ., ასმათისა და ტარიელის საუბარში ნესტანის გატაცებაზე:

„მითხრა: „ღმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით
წამოგრაგნა“ (572)

ამრიგად, რუსთაველისათვის ზეციური ძალნი მნათობები არ არიან ყოვლისშემძლენი, ისინი ღმერთის მორჩილნი არიან, რაც საფუძველშივე განსხვავდება ძველ ასტროლოგიურ-ფატალისტურ რწმენა-შეხედულებათაგან და ნეოპლატონიზმიდან მომდინარეობს, რომელმაც უარყო ზეციურ ძალთა, მნათობთა ყოვლისშემძლეობა და იგი მხოლოდ ერთს—ღმერთს გადააკისრა.

ასტროლოგები მნათობებში გაღმერთებულ ნიშნებს ხედავდნენ, რომელთა განლაგებას (დროში მათი მოძრაობის შედეგად მომხდარ ამ განლაგებათა ცვალებადობას) განიხილავდნენ როგორც ღვთაებრივ შთაგონებულს და დაწერილს.³⁶ ამოცანის მთელი სირთულე მათ მიერ ამ წერილთა სწორად ამოკითხვაში მდგომარეობდა.³⁷ ამდენად ასტროლოგია სინამდვილეში მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძველებს, ეწინააღმდეგებოდა მკითხაობაში, ემყარებოდა ცრუმეცნიერულ, ფატალისტურ რწმენას და იქამდე ვერ ეგუებოდა როგორც პტოლემეაოსისა და არისტოტელეს სისტემებს, ასევე ნეოპლატონიზმის მონოთეისტურ შეხედულებებს.³⁸

ამიტომ იყო, რომ ასტროლოგები მკაცრად დაუპირისპირებდნენ ნეოპლატონიზმის ფილოსოფიურ დოქტრინას: მაგრამ დროთა ვითარებაში ამავე ფილოსოფიური დოქტრინის შემარჩებლობის საფუძველზე ასტროლოგიისა და მონოთეიზმის წინააღმდეგობათა მორიგება ხდება. მაგალითად, ქრისტიანობა ასტროლოგიაში იმთავითვე თუ შეუთრეგებელ წარმართულ მკრეხელობასა და აშკარად ყალბ მრწამსს ხედავდა და ამიტომაც მკაცრად ილაშქრებდა მის წინააღმდეგ, ისტორიულ განვითა-

³⁶ Ф. Зелинский. Из жизни людей, Т. III, гл. 395.

³⁷ იქვე, გვ. 398.

³⁸ Franz Cumont, Astrology und Religion, გვ. 103.

რებაში თანდათანობით, კომპრომისული ურთიერთდათმობით, ამ ორი შეურიგებელის მორიგება ხდება.

ქრისტიანულ შუასაუკუნეებში ზეციურ ძალებს, მნათობთ წაერთვა ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობა, ისინი მხოლოდ დამაკავშირებელ ძალად გამოცხადდა ადამიანებსა და ერთ ღვთაებას — ღმერთს შორის.³⁹

რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში, ამრიგად გენიალურად ასახა როგორც ძველი ქართული წარმართული რწმენა-შეხედულებანი „ზეციურ ძალებზე“ და „ცის ძალთა დასზე“, ანუ ციურ მნათობებზე (მათ ყოვლისშემძლეობაზე), ასევე შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ საქართველოში გაბატონებული მონოთეისტური რწმენა, ერთი ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე და „ზეციურ ძალთა“ მოქმედება ღმერთის ნებისყოფის პროდუქტად მიიჩნია.

რუსთაველმა ამით ასახა ისტორიული სინამდვილე, რეალობა, რასაც მაშინდელ საქართველოში აღიარებდნენ, მაგრამ იგი მხოლოდ ამ ისტორიული სინამდვილის ასახვა-გადმოცემით არ დაკმაყოფილებულა. რუსთაველი როგორც რენესანსის დიდი მესიტყვე შეუდარებლად მალა დგას თავისი ეპოქის გაბატონებულ რელიგიურ და სხვა ოფიციალურ იდეებსა და შეხედულებებზე და არსებითად უპირისპირდება კიდევ მათ. რუსთაველს მოეპოვება სამყაროს ქმნადობის საკუთარი კოსმოგონური თეორია, და ასევე ასტრონომიული ღრმა შეცნირული დაკვირვებანი, რომლებიც სპეციალური შესწავლის საგანია და ჩვენი კვლევის ფარგლებს შორდება.

მონღოლ-თათართა შემოსევებმა საქართველოში დიდი ხნით შეაჩერა ასტრონომიული მეცნიერების განვითარება. იგი მხოლოდ XVIII საუკუნეში განახლდა და აღორძინდა სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ისა და ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მეშვეობით. ამ ხნის განმავლობაში კი ევროპასა და აზიაში ასტრონომიული მეცნიერება დიდი სისწრაფით ვითარდებოდა.

1543 წელს გამოქვეყნდა ნიკოლოზ კოპერნიკის წიგნი „ციურა სფეროების გარემოცვის შესახებ“, რომლითაც უძრავი იქნა მოძღვრება გეოცენტრიზმზე ანუ სამყაროს ცენტრში უძრავად მყოფ დედამიწის წარმოდგენაზე და დასაბუთდა მზის სისტემის აგებულების სწორი სურათი. ამის საფუძველზე მომავალი ლახვარი ჩასცეს რელიგიურ და თეოლოგიურ მცდარ შეხედულებებს სამყაროში დედამიწის განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც გეოცენტრულ მცდარ კონცეფციას ემყარებოდა, ხოლო მას შემდეგ რაც ნიუტონმა (1642—1727) მსოფლიო მიზიდულო-

³⁹ ე. ხ. ი. თ. ბ. აძე, ავთანდილის „ძალნი ზეციერი“, იხ. მაცნე, I. 1968. ვ. 50-51-ე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტ იაგო-დე ჩილი, 1957.

ზეს კანონი აღმოაჩინა და ციური მექანიკის საიდუმლოებანი ამოხსნა, ასტრონომიული მეცნიერების განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო. ამასთანავე XVII საუკუნეში დაიწყო ტელესკოპის გამოყენება. რამაც ადამიანს საშუალება მისცა უფრო კარგად დაკვირვებოდა ციურ სხეულებს. XIX საუკუნის 90-იან წლებში კი პირველად განსაზღვრეს მანძილები ვარსკვლავებამდე. ჩვენს საუკუნეში მოხდა ისეთი დიდნიშვნელოვანი აღმოჩენები, როგორც არის ვარსკვლავთა სისტემის — გალაქტიკის სტრუქტურის გამოკვლევა, მისი ბრუნვა, მეტაგალაქტიკური მანძილების ძალების განსაზღვრა და სხვა.

ჩვენს დღეებში მოხდა უდიდესი მოვლენები — მთვარეზე ადამიანის ასვლა და მთვარის გრუნტის ჩამოტანა დედამიწაზე.

საბჭოთა კავშირში დიდად განვითარდა ასტრონომია. საქართველოში, აბასთუმნის მახლობლად მთა ყანობილზე 1930-იან წლებში დაარსდა ობსერვატორია. ეს იყო სსრ კავშირის პირველი მთის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

შუასაუკუნეთა ეპოქისათვის ასტრონომიული მეცნიერების დაწინაურების საქმეში განსაკუთრებული ადგილი ულოლბეგის სამარყანდულ სამეცნიერო სკოლას განეკუთვნება, რომელიც ჯერ კიდევ სამყაროს გეოცენტრულ სისტემას ემყარებოდა. აღმოსავლურ ასტრონომიული ცოდნის გაცნობას და გავრცელებას საქართველოში ასევე დიდი ინტერესით ეპყრობოდნენ. საქართველოშიაც ასევე იცოდნენ დროის ძირითადი ერთეულების განსაზღვრა, აკვირდებოდნენ ეკლიპტიკისა და ეკვატორის დახრის ცვალებადობას, მზისა და მთვარის დაბნელების მომენტებს და სხვ.

ასტრონომიაში ეკვატორის სიბრტყესა და ეკლიპტიკის (დედამიწის ორბიტის სიბრტყეს) შორის არსებული კუთხის გამოთვლას უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რასაც მზეზე შუადღისას დაკვირვების გზით ახდენდნენ. ამ მიმართულებით სხვა ძველ გამოჩენილ ასტრონომებთან ერთად საყურადღებო დაკვირვებები მოეპოვება ულოლბეგს. მასვე მოკეპული აქვს წელიწადის დროთა ცვალებადობის შესაბამისად ბუნობის წერტილების თანდათანობით გადაადგილება ეკლიპტიკაზე. ულოლბეგმა თავის ობსერვატორიაში შეადგინა ვარსკვლავთა კატალოგი და 1018 ვარსკვლავის მდებარეობა განსაზღვრა, რომელსაც ჰიპარქეს კატალოგის შემდეგ პირველხარისხოვანი მნაშენელობა აქვს. ამ კატალოგს ეწოდა „ზიჯ-ე ჯადიდ-ე გურგანი“, ანუ ახალი გურგანული ცხრილი.⁴⁰ ულოლბეგის „ზიჯის“ ტექსტი ქართულად ითარგმნა ვახტანგ VI-ის მიერ („ვარსკვლავთმრიცხველობა თათრულიდამ ნათარგმნი მეფე ვახტანგისაგან“) (მეფე ვახტანგ VI-ის ეს თარგმანი ქართული ხელნაწერების ინსტიტუტშია დაცული), საიდანაც ნათლად

⁴⁰ რ. კიკნაძე, ულოლბეგი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, თბ., 1968.

მტკიცდება, რომ საქართველოში დიდ ინტერესს ყოველთვის იჩენდნენ ასტრონომიული აზროვნებისადმი. ვახტანგ VI-ს ულოლბეგის „ახალი გურგანული ცხრილების“ გარდა ქართულად უთარგმნია ასევე ხასირ ელ-დინ-ტურის „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“, „ქმნილების ცოდნის წიგნი“, ანუ ასტრონომიული ნაშრომი, „ჰაიაიად“ წოდებული. ასევე უთარგმნია ასტრონომიული სახელმძღვანელო და სხვა. ვახტანგ VI სტამბურად დასაბეჭდად მოუმზადებია ულოლბეგის „ზიჯის“ ქართული თარგმანი.

ულოლბეგის „ზიჯის“ ქართულ თარგმანში მოტანილია მსოფლიოს 244 ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები (ე. წ. ქალაქის „გრძედი და განედი“), რომელთა შორის თბილისიცაა დასახელებული. თავის მხრივ ვახტანგ VI კიდევ 450-მდე პუნქტს გრძედს და განედს უმატებს ევროპულ წყაროთაგან მის მიერ გამოკრებილი მასალების საფუძველზე (იხ. ულოლბეგის, „ზიჯის“ თარგმ., გვ. 112).

XVIII საუკუნის დამდეგს საქართველოში დამზადდა ვახტანგ VI-ის ასტრონომიული, უაღრესად საინტერესო ხელსაწყო — „ვახტანგის ასტროლაბად“ წოდებული⁴¹ (იხ. სურ.). ვახტანგ VI. ვახუშტი ბატონიშვილის და საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რაოდენ დაწინაურებული იყო და დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში ასტრონომიული ცოდნისა და კალენდრის საკითხებისადმი XVIII საუკუნის დასაწყისისათვის. რომელიც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელება იყო და არასოდეს არ ჩამქრალა.

საქართველოში უხსოვარ დროიდან დამკვიდრებულა დროის სამოცობითი დაყოფის პრინციპით უკიდურესად და უზუსტესად დანაწევრებული სახელები, რამაც თავისი ნათელი ასახვა ენაშიაც პპოვა. საბა ორბელიანი ამის შესახებ თავის ლექსიკონში წერს:

„წამი აქვს ყამსა ერთსა სამოცი, წამსა ერთსა წუთი სამოცი, წუთსა ერთსა კესი სამოცი, კესსა ერთსა მასი სამოცი, მასსა ერთსა არდი სამოცი, არდსა ერთსა მეყი სამოცი, მეყსა ერთსა წენი სამოცი. წინსა ერთსა ვაწე სამოცი, ვაწესა ერთსა ბლისი სამოცი. ბლისსა ერთსა წინი სამოცი და ესე არს ცის მზომელობათა რიცხვი ხარისხთანი“.

⁴¹ „ვახტანგ VI ასტროლაბი“ დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში (იხ. ფეოდორი განყოფილების ფონდი A. — 1541). ასტროლაბი დამზადებულია თითბერისაგან, იგი შემკულია ქართული წარწერებით, თვით ჩარჩო და მასში ჩალაგებული შვიდი ფირფიტით. ორთავე მხრიდან ასტროლაბის წარწერიდან ჩანს, რომ იგი ვახტანგს ეკუთვნოდა. მისი დამზადების სიფაქიზე და მაღალი ტექნიკა განციფრებას იწვევს. ეს შეგლი მაჩვენებელია იმისა, თუ რაოდენ შორს იყო წასული და რა დიდი ტრადიციები უნდა ჰქონოდა საქართველოში ე. წ. ვარსკვლავთმცოდნეობას. (იხ. ვ. გიორგოზიანი, XVIII ს. ქართული ასტროლაბი, აბასთუმნის ასტროლიზ ოპერაცტორია. ბიულეტენი № 32).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხუცუბნის სამაროვნებში ნაპოვნი ცის თალის გამომხატველად წოდებული ბრინჯაოს ასტრალური ნიშნებით მოხატული ძეგლი იყო ასტრონომიისა და კალენდრის შესწავლის ხელსაწყო იარაღი, რომელიც

კვანძების აღნიშვნა		კვანძების აღნიშვნა	
სიღრმე	სიგანე	სიღრმე	სიგანე
1	1	1	1
2	2	2	2
3	3	3	3
4	4	4	4
5	5	5	5
6	6	6	6
7	7	7	7
8	8	8	8
9	9	9	9
10	10	10	10
11	11	11	11
12	12	12	12
13	13	13	13
14	14	14	14
15	15	15	15
16	16	16	16
17	17	17	17
18	18	18	18
19	19	19	19
20	20	20	20
21	21	21	21
22	22	22	22
23	23	23	23
24	24	24	24
25	25	25	25
26	26	26	26
27	27	27	27
28	28	28	28
29	29	29	29
30	30	30	30
31	31	31	31
32	32	32	32
33	33	33	33
34	34	34	34
35	35	35	35
36	36	36	36
37	37	37	37
38	38	38	38
39	39	39	39
40	40	40	40
41	41	41	41
42	42	42	42
43	43	43	43
44	44	44	44
45	45	45	45
46	46	46	46
47	47	47	47
48	48	48	48
49	49	49	49
50	50	50	50
51	51	51	51
52	52	52	52
53	53	53	53
54	54	54	54
55	55	55	55
56	56	56	56
57	57	57	57
58	58	58	58
59	59	59	59
60	60	60	60
61	61	61	61
62	62	62	62
63	63	63	63
64	64	64	64
65	65	65	65
66	66	66	66
67	67	67	67
68	68	68	68
69	69	69	69
70	70	70	70
71	71	71	71
72	72	72	72
73	73	73	73
74	74	74	74
75	75	75	75
76	76	76	76
77	77	77	77
78	78	78	78
79	79	79	79
80	80	80	80
81	81	81	81
82	82	82	82
83	83	83	83
84	84	84	84
85	85	85	85
86	86	86	86
87	87	87	87
88	88	88	88
89	89	89	89
90	90	90	90
91	91	91	91
92	92	92	92
93	93	93	93
94	94	94	94
95	95	95	95
96	96	96	96
97	97	97	97
98	98	98	98
99	99	99	99
100	100	100	100

25. ულოღბევის „ზიჯის“ თბილისური ნუსხა. ქალაქთა კოორდინატები, მარჯვენა მწკრივში ქვემოდან მეორე სტრიქონში წარმოდგენილი საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

პ. წ. I ათასწლეულის მიჯნით თარიღდება და შეიძლება გამოხატავდეს ქართველი ტომების ძველთაძველ დაინტერესებას ასტრონომიითა და კალენდრის საკითხებით: ამდენად ასტრონომიის საკითხებით დაინტერესებას ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში, საფიქრებელია, თავისი შორეული და მეტად დიდი ტრადიციები უნდა მოეპოვებოდეს.



26. ვახტანგ VI ასტრონომიული ხელსაწყო ე. წ. სტროლაბი (ასტროლაბი) ქართული წარწერებით, დამზადდა თბილისში XVIII ს. 1-ლ მეოთხედში.

ასტრონომიული ცოდნის საფუძვლებზე დამყარებულ ვარსკვლავთმრიცხველობას კოლხეთისათვის, ისე როგორც სხვა ზღვისპირა უძველესი ხალხებისათვის, უალრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ზოვასნობის განვითარებისათვის, ზღვაზე და სმელეთზე გზის გაკვლევისა და სწორად ორიენტირებისათვის, ირკვევა, კოლხებს წინაპართაგან დანატოვარი კირბები და სამოგზაურო რუკებიც ჰქონდათ და ინახავდნენ მათ ფირფიტებზე გაკეთებულ თავიანთ წინაპრების ჩანაწერებთან ერთად.⁴²

ანტიკური მწერლების, მაგ., სტრაბონის ცნობით, კოლხები შავ ზღვაზე გაბატონებული ტომები და შესანიშნავი მეზღვაურები იყვნენ, რომელთა მდიდარი ტრადიცია შემდგომი ყველაზე უკეთ კოლხთა მემკვიდრე ლაზურ-ჰანურმა ტომებმა გააგრძელეს. ციურ მნათობთა კულტზე მინდობილ კოლხებს ზღვის ათვისება და ზღვაზე გზის გაკაფვა ძალიან შორეულ ეპოქებში მოუხდათ სხვა ზღვისპირეთელი ხალხების მსგავსად. კოლხებს ამაში ხელს უწყობდა მნათობთა კულტზე დამყარებული საკუთარი რელიგიაც.

ცნობილი ნორვეგიელი ეთნოგრაფი ტურ ჰეიერდალი თავის ნაშრომში „მოგზაურობა „კონ-ტიკით“ მისივე გმირული ექსპერიმენტის საფუძველზე გადმოგვცემს, თუ რა პირობებში უნდა შესძლებოდათ ამხრეთ ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას წყნარი ოკეანის გადაკურვა პერუდან აღდგომის კუნძულებამდე ტივებით, ამ კუნძულის პოლინეზიელთა მოდგმის ხალხებით დასახლება და პერუს კულტურის მიტანა აღდგომის კუნძულებზე.

ტურ ჰეიერდალის აზრით, ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროს მცხოვრები უძველესი, იქამდე პირველყოფილი ხალხები, მკვიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ წყლის სტიქიასთან და ამიტომ იცოდნენ მისი ისეთი თავისებურებები, რომლებზედაც ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს. მისი აზრით „პირველყოფილ ხალხებს ზღვებზე და ოკეანეებზე უფრო სწორი შეხედულება ჰქონდათ, ვიდრე ჩვენ.“⁴³ აღამიანი აქ ბუნებრივ ალღოს და პრაქტიკულ ცოდნას უფრო ემყარებოდა. ვიდრე მეცნაურების საფუძველს. ზღვებსა და ოკეანეებზე მოგზაურობისათვის მათ უდიდეს დახმარებას უწევდა ციური მნათობები და მათი მოძრაობის ცოდნა. ანუ ასტრონომია. ტურ ჰეიერდალის ცნობითვე ხშირად, რამდენიმე დღის განმავლობაში, უცვლელი რჩებოდა „კონ-ტიკის

⁴² აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის გამოცემა, გვ. 228 — 229 და 279—282.

⁴³ ტ. ჰეიერდალი, მოგზაურობა „კონ-ტიკის“ ტივით პერუდან პოლინეზიამდე, თბ., 1957, გვ. 153.

ნიმართულება მიუხედავად ტალღების მიმართულების ცვალებადობისა. ...ასეთ ვითარებაში „ღამეებით მორიგეს შეეძლო მშვიდად მკდარიყო კაიუტის კარებში და თვალყური ედევნებინა ვარსკვლავებისათვის, თუ ვარსკვლავთჭრებულები იცვლიდნენ თავის მდგომარეობას ცაზე, მაშინ იგი უნდა გასულიყო და გამოერკვია, ხომ არ შებრუნებულა ნიჩაბი, ანდა შეეცვლილა ქარის მიმართულება. ჩვენ თვითონ გვიკვირდა, რა ადვილი იყო ტივის მართვა ვარსკვლავების მიხედვით, ძველი პოლინეზიელები დიდებული მეზღვაურები იყვნენ... ისინი ოკეანის რუკას ნაზავდნენ მრგვალი საბოთლე გოგრის გარსზე, ზოგიერთ სხვა კუნძულებზე კი დაწვრილებით რუკებს აკეთებდნენ... პოლინეზიელები იცნობდნენ ხუთ მნათობს, რომლებსაც ისინი მოხეტიალე ვარსკვლავებს უწოდებდნენ და განასხვავებდნენ მათ უამრავი ვარსკვლავებისაგან, რომელთაც მათს ენაში 300-მდე სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა. მიკუთვნებული. ძველ პოლინეზიაში კარგმა ზღვაოსანმა მტკიცედ იცოდა, ცის რომელ ნაწილში ამოდის ესა თუ ის ვარსკვლავი წლის სხვადასხვა დროის განმავლობაში. მათ იცოდნენ, რომელი ვარსკვლავები აღწევდნენ ზენიტს ამა თუ იმ კუნძულზე და ამ კუნძულებს უწოდებდნენ იმ ვარსკვლავების სახელებს.

პოლინეზიელებმა არა მარტო იცოდნენ, რომ ვარსკვლავიანი ცა უზარმაზარ მბრწყინავ კომპასს წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ბრუნავს, არამედ მათ ისიც ესმოდათ, თუ რამდენად ჩრდილოეთით, ან სამხრეთით შეაღწიეს ზღვაოსნებმა¹⁴.

კოლხეთის მკვიდრი ტომები, რომლებიც მიჯრით ცხოვრობდნენ შავი ზღვისპირეთში ტრაპიზონიდან დაწყებული ვიდრე ტუაფსეს მიღგამ ადგილებამდე, ექვი არაა, რომ სხვა ზღვისპირეთელ ხალხებზე და მათ შორის პოლინეზიელებზე ნაკლებ არ უნდა ყოფილიყვნენ დაოსტატებულინი ზღვიანე მოგზაურობის საქმეში. ბერძნული ლეგენდები, მართალია, ბერძენ პირატ არგონავტელთა მოგზაურობაზე მოგვითხრობენ კოლხეთში, მაგრამ ანტიკურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობების გამტკიცების საქმეში შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ათვისებაში ასევე არანაკლები როლი ძველ კოლხურ ზღვაოსნურ დიდ ტრადიციებს უნდა შეესრულებინათ.

მნათობთა კულტის წარმართულ რელიგიური მრწამსი კოლხურ ტომებში, როგორც დავრწმუნდით, იმდენად ღრმად იყო გამჭდარი, რომ მან თავისი გამოხატულება შეიდულოს სახელებშიაც კი პოვა ლაზურ-ჭანურ ენაში. მნათობთა კულტმსახურება ხელს უწყობდა მათზე დაკვირვებას, შესწავლას და გამოყენებას სამეურნეო, მათ შორის სამოგზაურო. მიზნებისათვის. ამიტომ კოლხებს პოლინეზიელებზე ნაკლებ არ

¹⁴ ტ. ჰეიერდალი, მოგზაურობა „კონ-ტიის“ ტივით პერუდან პოლინეზიამდე. იბ. 1957, გვ. 138.


უნდა სცოდნოდათ, რომ ვარსკვლავებიანი ცა ნამდვილად უზარმაზარი მბრწყინავი კომპასია ზღვაზე მოძრაობისათვის. მათ ასევე კარგად უნდა სცოდნოდათ ცის თუ რომელ ნაწილში იმყოფებოდა ან ამოდის ესა თუ ის ვარსკვლავი და რა ადგილი უნდა გადაინაცვლოს მან წელიწადის სხვადასხვა დროის მიხედვით. ისინი მოძრავი ვარსკვლავების გარდა ასევე განასხვავებდნენ უძრავ ვარსკვლავებს და სხვა.

როცა ამ თვალსაზრისითა და ასპექტით განვიხილავთ ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილ ცის თალისა და მისი ასტრალური 450-იანი (ორივე მხრიდან 900) ნიშნის გამომხატველ ძეგლს, იბადება კითხვა — ზღვაოსნობის ძველთაგანვე მიმდევარი კოლხეთის მკვიდრნი ხომ არ იყენებდნენ მას ასევე ზღვაზე მოგზაურობის დროს საორიენტაციო კომპასის (რუკის) მსგავს დანიშნულების საგნად? თუ ამ მოსაზრების სათანადო სხვა დამამტკიცებელი საბუთებიც მოიძებნება და დამტკიცდება, რომ ცის კულტის მსახურება და ვარსკვლავთმრიცხველობა მკვიდროდ იყო დაკავშირებული ზღვაოსნობის საქმესთან კოლხურ სინამდვილეში, მაშინ შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ხუცუბნის სამაროვნებში აღმოჩენილი ეს ძეგლი, ხომ არ არის ნამდვილად ის ხელსაწყო, რომელსაც იყენებდნენ კოლხი მეზღვაურები შორეულ მოგზაურობაში?*


ხუცუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნახევარსფეროსადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა ცნობილმა ასტრონომმა, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. თევზაძემ. ამ ძეგლის გულდასმით შესწავლის საფუძველზე მკვლევარი არსებითად იზიარებს ჩვენს მოსაზრებებს და თავის დასკვნას იგი შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებს. გ. თევზაძე წერს:

„პროფ. ა. იოსელიანმა, 1970 წ. ოქტომბერში გადმომცა კინტრიშის ხეობის სოფ. ხუცუბნის სამარხებში მის მიერ მოპოვებული ბრინჯაოსაგან დამზადებული ნახევარსფეროს ფოტოსურათები, ჩანახაზები საერთო ფორმისა და კირილში. ა. იოსელიანის აზრით ეს საგანი უნდა წარმოადგენდეს ცის თალის — გლობუსის გამოხატულებას, რომელიც თარიღდება ძ. წ. I ათასწლეულის მიჯნით.


* ხმელთაშუაზღვის ქვეყნებისა და კერძოდ იტალიის ზღვის სანაპიროს ფსკერი — ესაა ძველი ხალხების ისტორიის ცოცხალი ფურცლები, სადაც წყლისა და ქვიშის ფენებში პოულობენ ნივთების ნაშთებს და მასთან ჩაძირულ ტვირთებს. ამ რამოდენიმე წლის წინ ასევე სოხუმთან, ზღვის ფსკერზე აღმოჩნდა მარმარილოს სტელა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ რომის მიდამოებში ზღვისპირა ადგილთან ფსკერზე უპოვიათ უძველესი ხელსაწყო, რომელსაც იყენებდნენ მზის, მთვარისა და სხვა პლანეტების მოძრაობის განსაზღვრისა და დედენისათვის. ამდენად ხუცუბანში აღმოჩენილ ძეგლს შესაძლოა თავისი პარალელებიც კი მოეძოვოს. (იხ. ვაზ. „Вечерний Тбилиси“ 1972 წ. 29 აგვისტოს № 203. გვ. 4. „Музей на дне моря». В. Жарников, Рим).



1



2



3

27. სოფ. ხუტუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცის თაღის გამოხატულებანი ასტრალური ნიშნებით.

დღეისათვის ცნობილია უძველესი გლობუსები, რუკები, რომლებიც გაკეთებული იყო ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე და რომლებიც ამ დროისათვის წარმოადგენდნენ ცის შესწავლისათვის შესანიშნავ დამხმარე ხელსაწყოებს. მაგალითად, არქიმედის (287—212 ძ. წ.) ცის გლობუსი. ამ გლობუსზე შეინიშნება ვარსკვლავედების ლომის, კიბორჩხალის, ქალწულის, საქანელის და სხვათა კონფიგურაციები. ცალკეული ვარსკვლავები აქ არაა აღნიშნული, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ დროს ასტროლოგიური თვალსაზრისით მიწიერ ცხოვრებაზე ციური ვაჯღენა გამომდინარეობდა არა ცალკეული ვარსკვლავებიდან, არამედ თანავარსკვლავედებიდან.

კინტრიშის ხეობის სამაოჯვენებში ნაპოვნი ნახევარსფეროს ფოტოსურათებიდან და ნახატებიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს ნახევარსფეროზე გეომეტრიულადაა განლაგებული ნახევარკალების მიყოლებით, ზოლ-ზოლად, ზევიდან ქვევით, მოქედელ ვარსკვლავთა გამოსახულებანი. ვარსკვლავთა ასეთი განლაგება, თუმცა არ გვაძლევს ვარსკვლავთა ქეშმარიტ კონფიგურაციებს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ მოცემულია ცის თალი ემბლემატურად.

ნახევარსფეროს ხუფზე ცენტრის მახლობლად გაკეთებულია ნახევრეტი, რომელშიაც ჩამაგრებული უნდა ყოფილიყო ძვირფასი ქვა — თვალი. მოპოვებული ლითონის ეს ნახევარსფერო შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს ცაზე მთვარის უმაღლესი მდებარეობის სიმბოლურად ამსახველ ნახევარგლობუსს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მოვიტანოთ შემდეგი გაანგარიშება:

როგორც ცნობილია, მთვარის ზენიტური Z — მანძილი მისი ზედა კულმინაციის დროს გაითვლება ფორმულით: $Z = \alpha - \delta \text{ \& } \text{სადაც } \delta \text{ \& } \text{(მთვარის დახრილობის კოორდინატია)}$.

α ადგილის განედია. კინტრიშის ხეობისათვის $\alpha = 42^\circ$,

კოორდინატი $\delta \text{ \& } \text{—მთვარის დახრილობა} = 27^\circ$

საიდანაც

$$Z = 42^\circ - 27^\circ = 15^\circ.$$

ნახევარსფეროს ხუფზე ნახევრეტის მდებარეობის გაზომვით მივიღეთ, რომ ის ნახევარსფეროს ცენტრიდან — ზენიტიდან გადახრილია დაახლოებით 16° -ით, რაც შეესაბამება ჩვენს ტერიტორიაზე მთვარის ხილულ ზენიტურ მანძილს, მისი უმაღლესი მდებარეობის დროს.

ამრიგად, კინტრიშის ხეობის სოფელ ხუცუბნის სამარხებში მოპოვებული ბრინჯაოსაგან დამზადებული ეს საგანი შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ცაზე მთვარის უმაღლესი მდებარეობის ემბლემატურად გამომსახველ ნახევარსფეროდ⁴⁵.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

8—10 1971 წ. ⁴⁵

პროფესორი გ. თევზაძე

ასეთია სინამდვილე, რომელსაც ანგარიში არ შეიძლება არ გაეწიოს.

⁴⁵ ავტოგრაფი ამ წერილისა დაცულია ჩვენს პირად არქივში.

2. მნათობთა კულტის საფუძველზე აღმოსაშენებელი ჰოროსკოპიული ასტრომედიცინური მარბურ-ღუალისტური თეორიებისა და პრაქტიკის ზოგიერთი გადაონაშთი ქართულ ტომებში

ძველ აღმოსავლეთში თანდათანობით ყალიბდება რწმენა, რომ ყოველი ადამიანის სიკოცხლე, მისი გარეგნობა, შესაძლებლობა, ბედი და უბედობა, დამოკიდებულია მნათობთა იმ განლაგებაზე, რომელიც მათ ეჭირათ მისი დაბადების საათში.

ასტროლოგების მოძღვრებით, ადამიანის დაბადების მომენტში, მის მომავალ ბედზე უაღრესად დიდი გავლენა აქვს ეკლიპტიკის ამომავალ წერტილს. ამ წერტილს კი ვარსკვლავთმრიცხველებმა უწოდეს ჰოროსკოპი, ამიტომ იყო რომ ბერძნები ხშირად ასტროლოგიას ასევე უწოდებდნენ ჰოროსკოპიას. ჰოროსკოპები ადამიანის დაბადების მომენტში ციურ მნათობზე დაკვირვებით აღგენდნენ თავის წინასწარმეტყველებას მის მომავალზე. ისინი ამით არ იფარგლებოდნენ და ასევე ხშირად მეფის დავალებით სახელმწიფოს ბედზედაც კი აღგენდნენ საგანგებო ჰოროსკოპებს.

ძველ აღმოსავლურ სამყაროში ჰოროსკოპია (ასტროლოგია) ჩაისახა და განვითარდა უმეტესად ქალდეელების ქვეყანაში, საიდანაც ფართოდ გავრცელდა ეგვიპტეში და აქედან საბერძნეთში, რომში, ბიზანტიასა და არაბეთის ქვეყნებში.⁴⁶ იგი ასევე გავრცელდა კავკასიასა და ქართველ ტომებში ქართული ასტრონომიული ტექსტებიდან ეს კარგად ჩანს.

მთვარის კულტი თავის გამოხატულებას წინასწარმეტყველებათა იმ სერიაშიც პოულობდა, რომლითაც დაკავშირებული იყო მთვარის დაბნელებასთან; მაგ., ბოლასკოში აღმოჩენილი ხეთების სამეფო სარჩივო ფირფიტების ერთ-ერთ უძველეს დოკუმენტში აღნუსხულია ის შედეგები, რომლებიც შეიძლება მთვარის დაბნელებას მოყოლოდა. იმის კვალობაზე. თუ მთვარის რომელ დღეს ხდებოდა ეს დაბნელება, იცვლებოდა მისი შედეგებიც. ასე მაგ., მთვარის დაბნელება თუ მეოცე დღეს ხდება, სამეფოდან განდევნილი მეფის ვაჟი დაბრუნდება და მამის ტახტს დაიკავებს. თუ მთვარე მეექვსე დღის ოცდამეერთე დღეს დაბნელდა, სამეფო ჯარის ნაწილი დაიღუპება, ხოლო მეშვიდე დღის ოცდამეერთე დღეზე მთვარე თუ დაბნელდება, მეფეს მთელი ჯარი ამოუწყდება. მეოცე დღეზე მთვარის დაბნელება მეფის სიკოცხლის აღსასრულზე მიუთითებს. აღნიშნულ და რიგ სხვა წინასწარმეტყველებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობა მთვარის ფაზას განეკუთვნებოდა.⁴⁷

⁴⁶ Frīdrieh, aus dem chethischen Schrifttum. H.—2, გვ. 27-29 Leipzig. 1922.

⁴⁷ Никольский И. Документы хозяйственной отчетности древн. эпохи халдеев, из собрании И. Лихачева. ДВ, III, С.-Петербург, 1908, 12.

აქ წარმოდგენილ მთვარის ასტროლოგიურ კალენდარში, თუ ხეტების სამეფო სასახლის დინასტიურ და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ამსახველ მოვლენებზეა მსჯელობა, ირკვევა, რომ ხალხსაც ასევე მთვარის საკუთარი ასტროლოგიური კალენდარი ჰქონია, სადაც ხალხის ყოფაცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი მოვლენები ყოფილა ასახული.

მცირე აზიის ხალხებში მთვარის კულტის ელემენტთა ძთელი კომპლექსი თავისებურ მსგავსებას და ანალოგიებს პოულობს ქართველ ტომებში ძველთაგანვე ფეხმოკიდებულ მთვარის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებთან, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა შემუშავებულიყო პირველად იგი, ჯერ დაუდგენელი რჩება.

ასტროლოგი — ჰოროსკოპები თავიანთი აფსურდული „მეცნიერების“ პრესტიჟის ერთადერთ დასაცავ არგუმენტად მისი, როგორც თითქოსდა „მეცნიერების“ ზღაპრულად დიდ სიძველეზე მიუთითებდნენ. მაგალითად, დიოდორე სიცილიელის დამოწმებით, ხალხებს მიაჩნდათ, რომ ამ „მეცნიერების“ ჩასახვის დღიდან ალექსანდრე მაკედონელის გამეფებამდე 47300 წელი იყო გასული, გიპარხის აზრით კი, „ვარსკვლავთმრიცხველობის მეცნიერებას“ 270 000 წლის ისტორია აქვს, ხოლო პლინი ფიქრობდა, რომ მისი ისტორია ზღაპრულად დიდი რიცხვით — 720 000 წლით განისაზღვრება.

ასტროლოგია (ჰოროსკოპია) მოითხოვდა ასტრონომიული ფაქტების შედარებით მაღალ ცოდნას. ამიტომ მას ჩვენ ვერ შევხვდებით ისეთ ხალხებში, რომლებიც ჯერ კიდევ სრულებით ვერ ერკვეოდნენ ციურ მნათობთა მოძრაობის საფუძვლებში, აფრიკის ზანგებისა და ინდიელებისათვის ამერიკაში, იმის გამო რომ მოკლებული იყვნენ ასტრონომიული ელემენტების ცოდნას, ამიტომ ასტროლოგია—ჰოროსკოპიაც უცნობია; სამაგიეროდ ეს დარგი ფართოდ განვითარდა ძველ აღმოსავლეთში—შუამდინარეთსა და ეგვიპტეში, განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ქალდეველ ტომებში და, საფიქრებელია, აქედან ძველი კოლხეთის მკვიდრთა შორის იგი ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.⁴² ასტროლოგია განუყრელადაა დაკავშირებული რელიგიური მსოფლმხედველობასთან.

ნიწევიაში აღმოჩნდა აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ლურსმული დამწერლობის თიხის ფილები, (ფირფიტები, VII ს. ძვ. წ.), რომლებიც

⁴² სტრაბონი ქალდეველებსა და ხალიბებს შორის იგივეობის ნიშანს სვამს და კატეგორიულად გვაუწყებს, რომ „ახლანდელ ხალდეველებს ძველად ხალიბებს ეძახდნენ... მათი კეთილდღეობა მადნეულის წარმოება. ახლა რკინის მადანს აძუშავენენ. წინად ასევე ვერცხლისას, ზღვისპირა კლდოვან ვიწრო მთებში“ (იხ. გეოგრაფია X:1, 19—20). ხალიბები კი კოლხური სამყაროს მეტალურგიული კულტურის ერთ-ერთ წამყვან ტომადაა აღიარებული.

ძვირფასი დოკუმენტებია ქალდეველ პოროსკოპთა წინასწარმეტყვე-
ლების გასარკვევად.

თიხაზე აღბეჭდილი ასტროლოგიური ფირფიტები ბაბილონში ხმა-
რებაში ყოფილა ჭერ კიდევ სარგონ I-ის დროს, ძვ. წ. VIII ს. და ამ
ფირფიტებს ხშირად მიმართავენ რჩევისათვის. გადარჩენილია ძვ. წ.
VII ს. სარგონ II-ის მეფობის დროს დამზადებული თიხის ფირფიტები,
რომლებზეც ძ. წ. XII ს. ტექსტებია გადმოტანილი; ნათლად დასტურ-
დება, რომ ეს დარგი ძველ აღმოსავლეთში მართლაც უხსოვარი დროი-
დან ყოფილა განვითარებული. მაგალითად, ერთ-ერთ ფირფიტაზე აღ-
წერილია მთვარისა და მზის თავისებურ ურთიერთ მიმართებათა ასეთი
შედეგები — როცა მზე და მთვარე სწორად დგას — ქვეყანა ბედნიე-
რია, ხალხი უზრუნველყოფილია, მეფე შეურყევლად ზის ტახტზე და
ა. შ.; მთვარის დაბნელება ამგვარ წარწერიან თიხის ფილებზე საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ისეთ უბედურ მოვლენებთანაა დაკავშირებული,
როგორც წყალდიდობა, მოუსავლიანობა და შიმშილი, ომი მეფეთა
შორის, ეპიდემიები და სხვა უბედურებანია.

ასტროლოგ-პოროსკოპები მსოფლიოს ანთროპოგეოცენტრულ, არ-
სებითად რელიგიურ კონცეფციას ემყარებოდნენ. პირველი ასტროლო-
გები ამიტომ კულტის მსახური ქურუმები იყვნენ. მათ ერთ-ერთ უმ-
თავრეს ფუნქციას შეადგენდა კალენდრის რეგულირება, ამიტომ ციურ
მნათობებზე დაკვირვება მათ პირდაპირ რელიგიურ-სამსახურებრივ
მოვალეობას და დიდ საზრუნავს შეადგენდა. ამიტომ ძველი აღმოსავ-
ლური წარმართული საყდრები მოწოდებულნი იყვნენ იმისათვისაც,
რომ ასტრონომიული დაკვირვებანი ეწარმოებინათ სათანადოდ მოწყო-
ბილ ობსერვატორიებში. ამ დაკვირვებას კი ქურუმები ეწეოდნენ თა-
ვიანთი რელიგიური ცრუმეცნიერული ტრადიციებიდან, რაც აბაკო-
ლებდა ასტრონომიული მეცნიერების განვითარებას.⁴⁹

არისტოტელესა და პტოლომეოსის მიერ სრულყოფილად ჩამოყა-
ლიბებული ანთროპოგეოცენტრისტული მსოფლმხედველობა, რომე-
ლიც ბევრად ადრე მუშავდებოდა და 2000 წლის განმავლობაში თითქ-
მის შეურყევლად ბატონობდა; შეეგუა ხალხურ ასტროლოგიას, ანუ
ვარსკვლავთმრიცხველობას, რომელიც ქურუმების და კულტის მსა-
ხურთა ხელში ხალხზე ზემოქმედების (და მათი დამონების) დიდ სა-
შუალებად იყო გამოყენებული. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ადამიანთა
ბედი, დამოკიდებულია ზეციური მოვლენებისაგან, რომ ციურ მნათობ-
თა განლაგებით შეიძლება განესაზღვრათ და ეწინასწარმეტყველათ ადა-
მიანთა ცხოვრება. ამგვარ შეხედულებათა წყაროდ ძველთაგანვე წელი-
წადის დროთა ცვალებადობით — მზისა და ციურ მნათობთა მოძრაობის
ადამიანის არსებობაზე, მის ეკონომიურ ცხოვრებაზე დიდი გავლენით

⁴⁹ Zinne, Die astrologische... :reifeicherheit, Berlin, 1932.

(მაგ., ეგვიპტელთა მიერ ნილოსის ადიდების ფაქტის ვარსკვლავ სირიუსის გამოჩენა-მდგომარეობასთან დაკავშირებით და სხვა) იყო გაპირობებული. მიწიერი და ზეციური მოვლენების ამგვარი მჭიდრო კავშირის იდეაზე დაყრდნობით, ბოლოს და ბოლოს მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ციური მოვლენები წარმოადგენენ ქვეშაირთ მიზეზებს ყოველივე ამქვეყნიურისას, რომ მნათობთა ურთიერთვანლაგება და მოძრაობა განსაზღვრავს ყოველგვარ მოვლენას როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძველ აღმოსავლურ ქალდეურ ასტროლოგიას სრულებითაც არ გააჩნდა თუნდაც გარეგნული მეცნიერულ იერი, რომელიც მოგვიანებით აშკარად ახასიათებდა ბერძნულ ასტროლოგიას და მის სამსახურში ჩამდგარ მეცნიერ ადამიანთა საქმიანობას. ანიტომ ბერძენ მეცნიერთა ღვაწლით ასტროლოგიამ სულ სხვა მიმართულება მიიღო, ძან თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს არისტოტელეს მოძღვრებაში მიაღწია. მაგრამ არისტოტელეს ყოფილმა მოწაფემ თეოფრასტემ სცადა ხალღური ასტროლოგიის მორიგება ბერძნულთან, თუმცა, გარკვევით უხდა ითქვას, რომ ბერძნული ასტროლოგია განვითარდა ქალდეურის გავლენით და მის მიერ დაგროვილი დიდი გამოცდილების საფუძველზე: ისე რომ, მოგვიანებითაც კი რომის პირველი იმპერატორები აშკარად უქერდნენ მხარს პოროსკოპ-ასტროლოგებს, დაახლოებულნი იყვნენ მათთან. მაგ., იმპერატორმა ტიბერიუსმა უბრძანა მასთან დაახლოებულ ასტროლოგ ტრაზილს შეედგინა პოროსკოპები იმპერიის ყველა გავლენიან პირებზე იმ მიზნით, რომ დროზე გასწორებოდა მათ, რათა არ შეცილებოდნენ იმპერატორის ტახტს.⁵⁰ რომში, იქამდე სპეციალური ინსტიტუტიც კი არსებობდა ე. წ. ფეციალის სახით, (ლათ. ქურუმთა კოლეგია), რომელთაც ეკისრებოდა გაეშუქებინა ღვთიურ-რელიგიური წესებით როგორც ომის გამოცხადება, ასევე სამშვიდობო დაზავება. ირჩევდნენ ამ თანამდებობაზე მულმივად დიდი ოჯახებიდან და გამოჩენილი პიროვნებებიდან. ქურუმები სახელმწიფოში ელჩებად ითვლებოდნენ და შეუხებელნი იყვნენ. ომის გამოცხადებას და დაზავებას მთელი ცერემონიალები ახლდა თან, რომლითაც არწმუნებდნენ ხალხს, რომ მათი ომი სამართლიანია. ქურუმთა კოლეგიები რომის გარდა იმპერიის ბევრ სხვა ადგილებშიც არსებობდნენ. ანალოგიურ სამსახურს მაჰმადიანური კულტის მსახურნი თემურლენგსაც უწევდნენ.

ასტროლოგ-პოროსკოპების მცდელობითვე იქმნება ფსევდომეცნიერული ასტრომედიცინა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას და ავადმყოფობას ცრუმნათობთა ზემოქმედებით განსაზღვრავდნენ. მაგ., ჰიპოკრატე ფიქრობდა, რომ ციურ მნათობთა მოძრაობის ე. წ. „კრიტიკულ დღეებს“ გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ჯან-

⁵⁰ Mayer, Handbuch der Astrologie, Jena 1881.

მრთელობაზე. კერძოდ მთვარის დიდი გავლენით ხსნიდნენ ადამიანის ისეთ დაავადებას, როგორცაა მცირეწლოვანის ე. წ. მომთვარვა, მძინარ მდგომარეობაში „მთვარეული“ ადამიანის საშიშ ადგილზე სულა. ასევე ქალთა წესს და სხვ., მაგრამ ასტროლოგიური მედიცინა ამით არ იფარგლებოდა, იგი უფრო შორს მიდიოდა და ადამიანის ტანის შემადგენელ უმთავრეს ორგანოთა მარეგულირებლად და ჭანმრთელობის განმსაზღვრელად ციურ უმთავრეს მნათობთა და ზოდიაქოს თანავარსკვლავედის მიიჩნევდნენ. მაგ., ასტრომედიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მზე ბატონობს ადამიანის თავზე, მთვარე ადამიანის მარჯვენა ხელზე, ვენერა — მარცხენაზე, იუპიტერი — კუჭზე და ა. შ.⁵¹



28. ასტროლოგიური სქემა — ადამიანის სხეულთა ნაწილების დამოკიდებულებაზე ზოდიაქოს შეადგენელ თანავარსკვლავედებთან.

თითო სახელთაგან სენტა და გეუმითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად ბოროტად იგუემების“ (მთ. 4, 24).
დასაგლეთ საქართველოს ბარის და განსაკუთრებით მთის რაიონე-

წარმართულ საქართველოში მთვარის ავადმყოფობის გამო-სახატავად შწერლობის გზით განმტკიცებული ყოფილა ტერმინი „ციხად-ცისად გუემული“⁵² რაც ბერძნულ სკლენიამომენოს. ანუ ლათინურ „ლუნატიკურ“ („მთვარეულს“) შეესატყვისებოდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ოთხთავის შესაბამისი ადგილის უძველესი თარგმანი — „უფალო შეიწყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების“ (მთ. 17, 15), ან კიდევ „მოპგვრიდეს მას

⁵¹ Лемани, История суверия и волшебства, 1901 г. З. А. Панекук. Астрология и ее влияние на развитие астрономии (Журн. «Мироведение» № 1, 1933 г.).

⁵² „ლიტერატურული გაზეთი“ 1962, 2 ნომბერი, № 45, გვ. 3—4, პ. ბერძნის წერილი „რა საბუთი გვაქვს...“

ბის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული მსგავსი მასალის შესწავლამ საყურადღებო ვითარება წარმოგვიდგინა. კერძოდ სვანეთში მთვარის კულტთან დაკავშირებულ წარმართულ-რელიგიურ სისტემაში დუალისტური კონცეფციის დამადასტურებელი ძვირფასი მასალა გამოვლინდა. მაგ., ამ რამდენიმე წლის წინათ ღვთაებრივ-რიტუალური შინაარსი ჰქონდა სვანის ნათქვამს: „ადამიანის ავი და კარგი მთვარიანს არისო, კარგ მთვარიანს ფეხი სკეთისაკენ უდგასო. მთვარის გარდა ყველაფერი ფუჭი ყოფილაო. უმთვაროდ ნუ ვისის რა სჯერაო“, და სხვა მისთანანი. დანარჩენი ქართველი ტომების მსგავსად, სვანები „ბედნიერსა“, ანუ „კარგს“, და „უბედურს“, ანუ „ცუდ“, მთვარეს არჩევდნენ. ქალს რომ საეშუა დაებადებოდა, მას (ბავშვს) დალოცავდნენ — კარგი მთვარისა იყავიო. შენა მთვარით გახარებულისთვის შენი დედ-მამაო. ხოლო ბავშვს მშობლებს ეუბნებოდნენ — „დაბადების გამჩენს (ეს ბავშვი) ბედნიერი მთვარისა გაეხადოს“. ქორწილის დამეს ნეფე-დედოფლის დალოცვის ჩვეულებრივი ფორმულა იყო: „ადამიანის გამჩენს ბედნიერ მთვარეზე ვისც ნეყაროს (იმ პირებდად) თავად თქვენ გაეხადათო“. ახლად ჯვარდაწერილებს ულოცავდნენ — „ბედნიერ მთვარეზე ყოფილისთვის თქვენი შეყარაო“. როდესაც ქალი კარგ კაცს მისთხოვებოდა და კარგ ოჯახში შევიდოდა, მეზობლები იტყოდნენ — „ბედნიერ მთვარისა ყოფილხარ, ისეთი ბედ-იღბალი მოგცემიაო“. ხოლო, როცა ახლად გათხოვილ ქალს ქმარს უწუნებდნენ, მას ეტყოდნენ — „დახრაკული მთვარისაკ, რა ცუდ ადამიანზე გათხოვილხარო“. მკვდარ შვილზე დედა მოსთქვამდა — „ქალებო, ჩემისთანა საბრალო მთვარისა ვინმე — ადამი იქნება?!“

დუალისტური კონცეფცია „ბედნიერი“, ანუ „კარგი“ და „უბედური“ ანუ „ცუდი“ მთვარის შესახებ ამ მნათობას განახლებასთან, დაღვასთან, საზოგადოდ მისი ფაზების ცვლასთან დაკავშირებით იყო შემუშავებული. „კარგსა“ და „ცუდ“ მთვარეს სვანები ამ მნათობის ფაზების მიხედვით არჩევდნენ და თავის სამეურნეო და სხვაგვარ საყოფაცხოვრებო საქმეებს მათთან შეფარდებით აწესრიგებდნენ. ზოგადად ახალი მთვარე „კარგ“, ხოლო ძველი მთვარე „ცუდ“ მნათობად ითვლებოდა.

ა. ახალი მთვარე ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მთვარე თავის ზრდისა და მატების ფაზაში, მცენარეების, ცხოველების, ადამიანთა (ბავშვები), საერთოდ ყველაფრის ზრდასა და მატებას იწვევს. საჯსე მთვარე არც მატულობს, არც კლებულობს — სავსე მთვარის დღეებში დაწყებული საქმეც ასევე არც მატულობს და არც კლებულობს, ამ დროის ნახელარი, მთვარის მსგავსად, სავსე და სრულია. ძველი მთვარე კლებულობს და ილევა, ძველ მთვარეზე დაწყებულ საქმეს გამძლეობა არა აქვს; ამ დროის ნახელარი ნაკლულოვანი და უბარაქოა.

ბ. მიწის მეურნე სვანი ხვნა-თესვას ახალ მთვარეზე იწყებდა, ო ნა-

ესი იხარებს და გაიზრდება. საესე მთვარის დღეებში სვანი აკეთებდა ყველაფერს ისეთს, რისი სისავსეც სურდა; ჰურეულის საცაჲ კიდობნებს პირველად საესე მთვარეზე ხსნიდა და მოსავლის ხარჯვას ამ დროს იწყებდა — დანაკლისი არ გამეზრდება.

გ. ახალ მთვარეზე სვანი პირველად არ გახსნიდა ახალი მოსავლით საესე კიდობანს და მოსავლის ხარჯვას არ დაიწყებდა — მოსავლის დანაკლისი გაიზრდება.⁵³

გურული და აქარელი გლეხი ხეს დღესაც ახალ მთვარეზე არ მოქრის, რადგან ძველ მთვარეზე მოქრილი ხე უფრო გამძლე იქნება, მას ჰია არ ქამსო.⁵⁴

მთვარის მიმართ ამგვარი მაგიური დამოკიდებულება რთულ რელიგიურ წესებში გადაიზარდა დუალისტური კონცეფციის ზეგავლენისა, ყველგან ქართველ ტომებში და, კერძოდ სვანებშიც, ახალი მთვარისა და მისი მეოთხედების თაყვანისცემა განვითარდა, მთვარის ფაზებთან დაკავშირებული დღეობები დაწესდა.⁵⁵ მაგალითად, თავი ნაციხურობის უქმობა მთვარის მეოთხედის, ანუ ახალი მთვარის თაყვანისცემას ემყარებოდა. რაკი ქართულ წარმართულ მსოფლმხედველობაში მთვარის ღვთაებას ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა, ბუნებრივია საგანგებო გულსკურით სწავლობდნენ. მთვარეს მის სხედასხვა ფაზაში, მის გველენას ტაროსზე, ადამიანის ბედზე და სხვ. კერძოდ, მთვარის ხატის მსახურებს ევალეობდათ კიდევ მთვარის კალენდარისა და მისი ანგაიონის კარგად ცოდნა. რაფ. ერისთავის ცნობით, ფშავის და ხევსურის ბერსა და დეკანოზს რომ ჰკითხავდით მთვარე რამდენი დღისაა, იმჴამსვე მიიღებდით სწორ პასუხსო.⁵⁶ რევოლუციამდელ საქართველოში არამარტო თუშ-ფშავ-ხევსურეთში, არამედ მთელ საქართველოში, და განსაკუთრებით კი კოლხეთის მხარეში თითქმის ყველამ იცოდა და ბევრმა ხანში შესულმა ახლაც კარგად იცის მთვარის ასაკის გამოანგარიშება, ახალი მთვარის დანახვისთანავე წარმოთქვამს ლოცვას, და მისი მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრავს ტაროსს.

მთვარის ფაზების ცვლასთან დაკავშირებული რელიგიურ-მაგიური წესებისა და დღესასწაულების ანარეკლი შემონახულია ქართულ ფოლკლორშიც. დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ჩვენ შევხვდით ახალი მთვარის გამოჩენასთან დაკავშირებული მაგიური ლოცვებისა და

⁵³ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, მსალეები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, გვ. 60—61.

⁵⁴ ს. შითაიშვილის ნაამბობი, მახარაძის რაიონი ს. ჭუმათი. ჩაწერილია 1957 წელს, 107 წლის მოხუცისგან ვ. ართილაყვას მიერ.

⁵⁵ ამ დღეობათა აღწერა და ანალიზი მოცემულია ივ. ჭავჭავაძის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 46—52.

⁵⁶ Р. Эристави. О тушино-пшаво-хевсурах, Кавказское отделение Русского географического общества. гв. 18.

მლოცველის მოქმედების მთელ რიგ ვარიანტებს. აქ მათი გაწილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, ოღონდ მოვიტანთ სოფ. ხუცუბაში შემორჩენილ ზალხურ შელოცვას. ახალი მთვარის გამოჩენასთან დაკავშირებით:

„მთვარე ვნახე ნებასა
ჩვენსა გახარებასაო,
მტერის ამოვღებასა
და მოყვრის აშენებასაო.
— მთვარე რა მოჰიტანე?
— ტანი მრთელი, გული მრთელი
ხელსაქნარი ხვავრიელი“.

ახალ მთვარესა და მლოცველს შორის ამ გასაუბრების შემდეგ, ზალხში შემორჩენილი ზნე-ჩვეულებით, მლოცველი ზეზე უნდა ახტეს, სამჯერ, განწყობილი მხიარულად. ისე რომ ახალ მთვარეს თვალს არ ამორებდეს, შემდეგ კი უნდა შეხედოს ცეცხლს, ან ბრჭყვიალა ბეჭედს და ბოლოს სთქვას: „სე ვულთბილად და ბეჯითად მამყოფეო.“⁵⁷

ქართულ ფოლკლორში ასევე აისახა მზისა და მთვარის უკიდურესობის შესახებ ამგვარი წარმოდგენა.

„რა საღმობას შევესწარიო
მთვარისასა და მზისასა,
ერთმანეთსა პირის კოცნით
ამბავს კითხავენ გზისასა“.⁵⁸

მნათობთა თაყვანისცემა, ისტორიულად, პირველ რიგში აყენებდა მთვარისა და მზის კულტს. მზის ღვთაების სახელების შედარებამ ქართულ, კავკასიურ და სუმერულ სახელებთან ყველა ამ სახელისათვის საერთო ძირის არსებობა გამოაქვინა და ამასთანავე ნათელი გახადა, რომ სიტყვა ბარბარე თავდაპირველად „მნათობთა-მნათობის“ აღმნიშვნელი ღვთაების ეპითეტი უნდა ყოფილიყო.⁵⁹

საკულტო პოეზიაში მთვარე მზეს ეცილება პირველობაში —

„ნათელმა მთვარემა ბრძანა,
ბევრად მე ვკობივარ მზესა“.

ზალხური რწმენით, მზე და მთვარე ცოცხალ არსებად—მთვარე მამაკაცად, ხოლო მზე დედაკაცადაა წარმოდგენილი. მზე იტყვის:

„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა“.

⁵⁷ ჩემი დღიურები და მასალები. ჩაწერილი ხუცუბანში. მზოცვან მურად ვასაქის დადმოცემა.

⁵⁸ ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 66.

⁵⁹ ვ. ბარდუელიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. (ღვთაება-ბარბარე), თბილისი, 1941, მისივე იმავე სათაურით მასალები საქს. ეთნოგრაფიისათვის V, 1951, გვ. 52.

ან კიდევ: „მზე დაწვა და მთვარე შობა.“⁶⁰

საკულტო პოეზიაში მზესა და მთვარესთან ერთად მოციქციმე ვარსკვლავებსაც თავისი ადგილი აქვს მიჩნეული:

„მზე დედა ჩემი,
მთვარე—მამა ჩემი,
მოციქციმე ვარსკვლავები
და და მამა ჩემი“⁶¹.

იგივე შინაარსისაა „ანანას“ ზღაპარში შემონახული ფრაგმენტი:

„მზეო — დედავ, მამავ — მთვარევ,
ვარსკვლავებო, — ჩემო მზეო“.

ქართველ ტომებს, ისე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ტომებს, ღრმად სწამდათ, რომ მთელი ქვეყნის, ისე როგორც ყოველი ცალკეული ადამიანის ბედს მისი „ბედის ვარსკვლავზე“ და „მთვარეზე დაბადების“ საათი განსაზღვრავდნენ, მისი ცხოვრებაც ისე აეწყობოდა, თუ „რომელ და რა ვარსკვლავზე, ან რომელ და რა მთვარეზე იყო იგი დაბადებული“.

ამგვარ შეხედულებათა ანარქიკლს ჩვენ, როგორც ვრწმუნდებით, ვხვდებით ქართულ ფოლკლორში, წერილობით ძეგლებსა და ასევე საისტორიო ანალებშიაც კი. წერილობით წყაროებში დატულია აღწერა და გულდასმითი გადმოცემა იმისა, თუ რომელ წელს, დღესა და სათაზე რა უჩვეულო ხასიათის მოვლენებს ჰქონდა ადგილი ზეციურ სამყაროში; ხალხის ღრმა რწმენით სხვადასხვა ცთომილების მოულოდნელი გამოჩენისას, მზისა და მთვარის დაზნელებისას. კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენისას ან ვარსკვლავთცვენის გახშირების შედეგადაც შეიძლება წინასწარ გაირკვეს რა უბედური, თუ ბედნიერი შემთხვევაა მოსალოდნელი ღვთიური ცოდვის, ან მადლის გამრავლებით. ქართული წერილობითი ძეგლებისაგან აქ ორზე შევჩერდებით.

1. ასტრონომიული ტრაქტატის A—65-ს ზოდიაქოს გამოხატულებებს თან ახლავს ნარკვევი ხალხთა და სამეფოთა ბედ-იღბალზე. მაგ. 367 გვერდზე ნათქვამია, რომ „რუსეთისა ქვეყნისადმი კეთილვანწყობილებას იჩენს ზოდიაქი მშვილდოსანი“.

2. ფარსადან გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში მაშინდელი ასტროლოგიური შეხედულებანი სათანადოდ აისახა. აქ ნათქვამია: „ცის თორმეტი ბურჯები და მათი სახელები ეს არის და სრულ ცასა და ქვეყანასა დღე-ღამე ეს ოცდაოთხჯერ გარშემოუელიან და ყოველ საწუთროთ საქმის მორთვა, და მოსავალი ღმერთს ამათით უბრძანებია და მუნეჯიმთათვის უსწავლებია მზე და მთუ(არის) ამაღლება-დადაბლება, ხან დღის სიდიდე და ხან ღამის სიდიდე, ხან სიცხე

⁶⁰ ქ. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, 1938 წ., გვ. 48.

⁶¹ თ. რაზიქაშვილი, ხალხური ზღაპრები, კახეთში შეკრებილი, 1909, გვ. 53.

და სან სიცივე. ჩასხება (sic), შობა, სიკვდილი, დღეთ სიგრძე და სიმოკლე, ბედი, და უბედობა, კჭუა, ცნება და შემცდრობა, სილაშაზე და სიგონჯე, ავი და კარგი, ნაშობთა და იძვრისთ საქმე ცის ტარებასა აქეს უწინ“.

ფარსადან გორგიჯანიძის შეხედულებით, რომელიც იმ დროს საყოველთაოდ გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრს უნდა ასახავდეს, „ყოველს მთვარეში შვიდი ავი დღე არის, რომე პირას საქმის ქმნაში არ ვარგა, სამსა მთვარისსა, ცამეტსა, თექვსმეტსა, ოცდაერთსა, ოცდაოთხსა, ოცდახუთსა...“ განხორციელებული საქმე და სხვ.⁶²

3. ისტორიკოსი ბაგრატ ბატონიშვილი, რომელიც განიცდის პროვიდენციალიზმის დიდ გავლენას, თავის „ახალ მოთხრობაში“ არა ერთხელ გადმოგვცემს ანალოგიური მოვლენების შესახებ ცნობებს, მაგ. იგი წერს: „წელსა 1816, სექტემბერს 19, იქმნა საკვირველება ესე... ღამესა მეშვიდე საათზე აღმოვიდა მზე ჩვეულებისამებრ აღმოსავლეთზედა და პირისპირ მზისა აღმოვიდა, ერთი მზე სხვა მსგავსი მისი და დაჰსდგა პირისპირ მზისა და თანა აღმოჰყვა მას შვიდნი ბრწყინვალენი ვარსკვლავნი... ესე მზე და ვარსკვლავნი იდგნენ საათნახევრასა ცაზედ განუტობილნი... ხოლო ამის ყოფის შემდგომად გაჰქრა მზეცა და ვარსკვლავნიცა. მრავალნი ფილოსოფოსნი და ვარსკვლავთ-მრიცხველნი განკვირებულ არიან და ვერ რისა შემტყობნი თუ რა სა მოასწავებს გამოჩენა ესე, ან რაი მოხდების ქვეყნად დაჰსძებნეს მრავალთა ძველთა წერილთა შინა და ვერა ჰპოვეს ესე გვარჯ მზისა და ვარსკვლავთა გამოჩენა, რომელიცა დაამტყიცეს ესრეთ, რომელ არსო გამოჩენა ესე“.⁶³

ბაგრატ ბატონიშვილის გადმოცემითვე მომდევნო 1817 წლის „იანვრის 16, ღამეს. სამშაბათს (7 საათზე) გამოჩნდა დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარეს საშუალ ვარსკვლავი ერთი დიდი ვითარცა მთვარისა ტოლი... „იმავე წლის“ იანვრის 22, ღამეს ორშაბათს საათსა 6 გამოჩნდა ვარსკვლავი კუდიანი სამხრეთის მხარესა... სხვე აქენდა მსგავს ინდოურის ქათმისა, მამლის მსგავსი თავი ება. სანკტ-პეტერბურგს ვიხილე ესე თვალთა“, — წერს ბაგრატ ბატონიშვილი.⁶⁴ „წელსა 1814 აგვისტოს, ღამესა, ცისკრისა ჟამსა აღმოვიდა ვარსკვლავი ერთი ცეცხლის მსგავსი ხილვითა... ხოლო ამის შემდგომად ამავე ღამესა აღმოვიდნენ ორნი ვარსკვლავნი, ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით ცეცხლის მსგავსნი, რომელთაცა აქენდათ კუდნი გრძელნი მსგავსნი კომეტისა და დაახლოებულთა ურთიერთისადმე მიაბჯინეს თავი ერთმანეთსა და იდგნენ ესენი ჟამ რაოდენიმე, ხოლო ამათგან იხილ-

⁶² ფარსადან გორგიჯანიძე, ქართულ-არაბული ლექსიკონი ვ. ფუთურძის გამოც. თბ., 1941, გვ. 27—28.

⁶³ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 152.

⁶⁴ იქვე, გვ. 153.

ვებოდა ცვლილება სხვათა და სხვათა ფერთა და სახელ მოუთხრობენ ბრძენნი ამისათვის ვითარმედ არა ოდეს უამს არ გამოჩენილიყოს ამგვარი ვარსკვლავი და არცა წერილთა შინა იხილვების. ხოლო გამოჩენა ესე იქმნა ქალაქსა პეტერბურგს. ესე ყოველივე ქემშარიტი არის. ნაცილი ნურვისს გგონიათ“,⁶⁶ — გვარწმუნებს თითქო დაქვეებული ავტორი. ბაგრატ ბატონიშვილს ანალოგიური შინაარსის ცნობები მოაქვს რუსეთის გაზეთებიდან და დეპეშათა სააგენტოებიდან. მაგ., იგი წერს: „სევერნი გაზეთში“ შაბათისაში ეწერა (რიცხვში 72) წელს 1818, სექტემბრის 7, სმოლენცკის ლუბერხიაში... ჩაძოვარდა ჰაეოიდან ქვა ეოთი, რომელიცა ჩაერქო მიწაში“. ⁶⁶ ან კიდევ: „წელსა ამასვე 1818, ოქტომბრის 28 იწერებთან ქალაქის აღრესით, — გვეუწყათ ბუხარეცკით 19 ოქტომბერს, 10 საათზედ ლამისასა ცითგან ერთი საკურველი ნათელი გაჩნდა... რომელიც ცით ჩამოვარდნილს ვარსკვლავს გვანდა და იზრდებოდა თანდათან და აქვენდა კული გრძელი“ — და იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველივე ეს სწორია, ავტორი უმატებს. „კურიელიცა, რომელიცა მოვიდა 20 ამ თვეს იასიდამ, მასაცა ესე განცხადება ენახა მუნ ნამდვილად“ და ამიტომ ეჭვი აქ აღნიშნულში არავის შეგუპართო.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბაგრატის მეთოდი — მნათობთა მოულოდნელი გამოჩენის და მათი განლაგების თავისებურ, ყოველად საოცარ მოძრაობათა აღწერის. შემდეგ, იგი ახდენს განსჯას და გამორკვევას იმისა, თუ რას მოასწავებდა ეს ზეციური მოვლენა მიწიერთათვის. ამის გამოსარკვევად, როგორც წესი, ფილოსოფოსნი და ვარსკვლავთმრიცხველნი იკრიბებოდნენ და განსჯიდნენ. ისტორიკოსის ცხოვრებით ასეთი რამ მომხდარა, მაგ., 1816 წ. 19 სექტემბრის ზეციურ უჩვეულო მოვლენების გასარკვევად, მაგრამ „მრავალნი ფილოსოფოსნი და ვარსკვლავთმრიცხველნი განკვირვებულ არიან და ვერრისა შემტყობნი, თუ რაისა მოასწავებს გამოჩენა ესე ან რაი მოხდების ქვეყნად“. მათ ძველი წიგნებიც შეუძოწმებიათ, მაგრამ რაკი მსგავსნი რამ მათში ვერაფერი უნახავთ — „ღაამტყიცეს ესე, რომ, პირველ არსო გამოჩენა ესა“.⁶⁷ სხვა ცნობებზე აქ აღარ შევჩერდებით. ყოველივე ზემოთქმულიდან მტკიცდება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნემდე შემორჩენილი ვარსკვლავთმრიცხველობის, ანუ ასტროლოგიურ-ჰოროსკოპიული ეს ტრადიციები ძველთაძველია. იგი თავის საწყისებს, მართალია, ძველ აღმოსავლურ სამყაროსაგან ღებულობს, მაგრამ მას, როგორც ჩვენ ამაში არგუმენტებით დავრწმუნდით, ასევე თავისი საკუთარი, კოლხურ-იბერიული ქართული მკვიდრი ნიდავაი და მდიდარი ტრადიცია მოეპოვება.

⁶⁶ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 145.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ იქვე, გვ. 152.

ქართული არქეოლოგიის სათავეებთან

თავი XI. არქეოლოგიური გათხრების ისტორიისათვის
საქართველოში. პირველი ღონისძიება არქეოლოგიური
მეცნიერული ტრადიციების აღდგენისათვის XIX ს. 30-იანი
წლების საქართველოში და საარქივო დოკუმენტები
არქეოლოგიური გათხრების შესახებ მცხეთასა
და ხუტუბანში XIX ს-ის მეორე ნახევარში

მოკლე ისტორიული მიმოხილვა და არქეოლოგიური შესავალი

ქართული არქეოლოგიის და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის მეცნიერული ისტორია საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყება. ის, რაც მანამდე იყო გაკეთებული და ახლადწამოწყებული ამ მიმართულებით, ალა-მაჰმად-ხანისა და თურქ-დამპყრობთა გამანადგურებელმა შემოსევებმა მოსპო. მტერმა დასწვა სამეფო სასახლე თბილისში; სხვა უძვირფასეს ეროვნულ განძეულობასთან ერთად ცეცხლმა შთანთქა ის არქეოლოგიურ-ანტიკვარული, ძველთაძველი კოლექცია, რომელიც საბა ორბელიანისა და თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, სამეფო სასახლეში იყო დაცული.¹

საქართველოს რუსეთთან შეერთებით, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, ხელსაყრელი პერიოდი დაიწყო ქართველი ერის მატერიალური კულტურის დაცვის საქმეში. ქვეყნის ევროპული გზით განვითარების ფართო ასპარეზზე გამოსვლა და საქართველოს საზღვრების მუსულმანურ ურდოთაგან მტკიცედ დაცვა, ხალხისათვის ნანატ-

¹ საქართველოს ისტორიის ნივთიერი კულტურის ძეგლთა მეცნიერული აღწერის, გაზრებისა და მათი დაცვის პირველ შესანიშნავ ცდას საბა-სულხან ორბელიანისა და ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებში ვხვდებით. მაგ., საბა ვატკიანის მუზეუმის დათვლიერებისას კარდინალს ეუბნება: „ბატონის (ვაატანგ VI. ა. ი.) სალაროში იყო კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიც მინახავს“ (იხ. მისი „მოგზაურობა ევროპაში“, 1940, გვ. 38). საბასა და ვახუშტისეული ეს ცდა დაინტერესი შემდგომში იქამდე გაზრდილა და გაღრმავებულა, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, „მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა, — კერპთმსახურებისა ეამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი და რომელნიმე რკინისა საქურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად, იხილებოდეს სალაროსა და შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა ალა-მაჰმადხან ყაჟარისა წაწყმედილ იქმნა“.

რი მშვიდობის დამყარებას მოასწავებდა; ამიერიდან რუსეთისა და საქართველოს მოწინავე პროგრესულ მოღვაწეთა ერთობლივი მისწრაფებით მტერთაგან დაცული და ხელშეუხებელი გახდა ქართული მატერიალური კულტურის, არქიტექტურისა და ხელოვნების ყველა ის ძეგლი, რომლებიც მტრის პარზაროსულ შემოსევებს გადაურჩა. დაიწყო ქვეყნის არქეოლოგიურად შესწავლა.

ქართული არქეოლოგიის ისტორიისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XIX ს-ის 30-იან წლებში რუსეთიდან გამოგზავნილ საინსტრუქციო დოკუმენტს, რომელშიაც პირველადაა გამახვილებული ყურადღება არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობისადმი საქართველოს სინამდვილეში. 70-იან წლებიდან კი მცხეთის გათხრების მასალებს დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიისათვის და კერძოდ ზოგიერთ იმ გაუგებრობათა გაფანტვისათვის, რასაც დღემდე აქვს ადგილი საქართველოს და ამიერკავკასიის არქეოლოგიის ისტორიის შესწავლაში. მაგ. ზოგი მკვლევარი გვერდს უვლის და სავსებით უგულვებელყოფს XIX ს-ის თითქმის მთელ მანძილზე ქართველ ისტორიკოს-არქეოლოგთა მონაწილეობას მხარის არქეოლოგიურად შესწავლის საქმეში და იზღუდება მხოლოდ ა. დ. ერიცივის და ად. ბერეეს დამსახურებათა გაზვიადებულად წარმოჩენით, რომელთა საქმის გამგრძელებლად, მოგვიანებით ნ. მარი და ი. ორბელია დასახელებული². ავტორი ეხება რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობას, რომელიც თბილისში ჩატარდა და ასევე გვერდშევილია ყრილობის მოსამზადებელ კომისიაში ქართველ მეცნიერთა დიდი შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობა, ამ საქმის ისეთი მოღვაწეების საქმიანობა როგორც დ. ბაქრაძე, დ. ფურცელაძე, წილოსანი, ე. თაყაიშვილი და სხვ. იყვნენ.

სინამდვილეში აქ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში არქეოლოგიური გათხრებისა და ძეგლების დაცვა-პატრონობის საქმეს ჯერ იდეე 1837 წლიდან სათავეში უდგება საქართველოს/სტატისტიკური კომიტეტის უწყება (ისე, როგორც ეს რუსეთში იყო) კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სამოქალაქო საქმეთა გუბერნატორის თავად ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილის მეთაურობით, რომლის ირგვლივ 20-მდე მოღვაწე ერთიანდებოდა.

1837 წლის 14 ივლისს საქართველოს სტატისტიკურ კომიტეტს საგანგებოდ განუხილავს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ცირკულარი იმის შესახებ, რომ რუსულ სიძველეებზე აკად. კეპლენის მიერ შედგენილ რუსეთის ყველაზე უფრო

² Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, 1949, гл. 5—7.

ცნობილი ყორღანებისა სია (აღწერა) შევსებული და გამდიდრებულ იყო ფილიყო შესაბამისი ადგილობრივი ქართული არქეოლოგიური მასალებითა და ცნობებით. ამ სხდომაზე ფალავანდიშვილს აღუნიშნავს, რომ კეპენის მიერ შედგენილ ყორღანთა სიაში საქართველოდან არც ერთი მაგალითი არაა მოტანილი «Но история грузинского царства столь мало известная ученому свету и столь много любопытная по одной даже старине его существования. — во всяком случае займет страницы достопамятности в общей статистике русского государства и его истории»³. სტატისტიკური კომიტეტი მიზნად ისახავს ქართულ სიძველეთა შეგროვებისა და დაცვის საქმეში ჩააბას მაშინდელი საქართველოს თითქმის ყველა მოწინავე და თანამდებობის მქონე პირნი (იხ. თანდართული დოკუმენტი № 1, 2, 3).

ამასთანავე რუსეთიდან გამოგზავნილი ზემოდასახელებული ცირკულარისა და კეპენის მიერ შედგენილ ყორღანთა აღწერილობის საფუძველზე საქართველოს საოლქო-სტატისტიკურ კომიტეტს თავის მხრივ ახალი დოკუმენტი ე. წ. «Выписка из списка известнейшим курганам в России» თითქო ახალი ვარიანტი შეუდგენია⁴ (იხ. №2 დოკუმენტი გვ. 371—374).

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტატისტიკური კომიტეტი თავის წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს — სენატორს, გენერალ-ლეიტენანტს თავად ერისთავს, სტატსკი სოვეტნიკს — ჩილიაევს (ჭილაშვილს) და სხვ. უგზავნის „...Краткие извлечения из этих экземпляров и просить их об открытии возможными средствами и описании всего того, что только может относиться к Грузинской древности“⁵. სსენებული დოკუმენტი სხვა მასალებითურთ, რომელსაც ამოწმებს ნ. ფალავანდიშვილი, ასახავს არქეოლოგიური მეცნიერების პირველ ნაბიჯებს ჩვენს სინამდვილეში. იგი მთავრდება მოწოდებით: «Очнемся же и выскажем что нам известно»... — თორემ გაივლის წლები და შთამომავლობას მოესპობა შესაძლებლობა მოპოვებისა «тех сведений для приобретения которых мы отнимаем у него возможность»⁵.

ეს ამონაწერი დაეგზავნათ თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლებს, მაზრის უფროსებსა და სხვა თანამდებობის პირთ. ცარიზმის ადგილობრივმა მოხელეებმა პასუხი დაუყოვნებლივ, მაგრამ მეტად ზერელედ და ზოგადი ხასიათისა გასცეს სტატისტიკურ კომიტეტს. ჩვენ აქ სამაგალითოდ მოვიტანთ მთის ხალხების მმართველის 1837 წ. 24 ოქტომბერს გამოგზავნილ განმარტებას, რომელიც ტიპიურია. მას ხელს თავადი ავალიშვილი აწერს. იქ ნათქვამია: «во временной мнѣ

³ საქ. ცენტ. სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონ. 12, საქ. 5433, ფურ. 5—7. (იხ. დანართი № 1, გვ. 369).

⁴ იქვე.

⁵ იქვე, საქ. 6932, ფურ, 25—28.

дистанции ничего не возможно собрать насчет истории грузинского царства». (იხ. საბ. № 3, გვ. 374—375).

საბედნიეროდ მსგავსმა „ინფორმაციებმა“ ადგილებიდან, გული არ გაუტეხა სტატისტიკურ კომიტეტს და მის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებს, როგორც ჭილაშვილი და სხვები იყვნენ. დასტურდება, რომ აქ მოტანილი დოკუმენტის ბაზაზე გარკვეული ხასიათის მუშაობა მაინც მიმდინარეობდა და მკვიდრი ნიადაგი მზადდებოდა იმისათვის, რომ ამიერკავკასიასა და საქართველოში არქეოლოგიური მუშაობისათვის შესაფერისი პირობები შექმნილიყო.

ამ მიზნით მეფისნაცვლის სახელზე სათანადო დოკუმენტი შეუდგენია სტატისტიკური კომიტეტის თვალსაჩინო მოღვაწეს ა. ჭილაშვილს ჭერ კიდეც XIX საუკუნის 50-ან წლებში. აი რას წერს ამის შესახებ 1871 წლის 8 ოქტომბერს ბერკე კავკასიის სამეფისნაცვლოს მცხეთაში დაწყებული გათხრებისათვის საქირო თანხების მიღებასთან დაკავშირებით: «Для начала археологических работ на Кавказе испрашивается сумма в 2т. руб., т. е. та самая, какая испрашивалась у Кавказского отдела Русского географического общества г-р. Соллогубом, в декабре 1856 г. по поводу записи М. Е. Чиляева о необходимости местных археологических изысканий»⁸. ამრიგად, დასტურდება, რომ XIX ს. 30-იანი წლებიდან ვიდრე 50-იანი წლების ჩათვლით, საქართველოსა და ამიერკავკასიაში არქეოლოგიური ძეგლების დაცვა-პატრონობას და გათხრების საქმეს ცნობილი ქართველი მოღვაწენი ხელმძღვანელობდნენ.

ძველი სამყაროს კულტურულ-ეკონომიურ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმული წინააზიის ერთ-ერთი შესანიშნავი ქალაქისა და პოლიტიკურ-სტრატეგიული პუნქტის, მცხეთის სიძველეთაღმე მეცნიერული ინტერესი მთელი თავისი ცხოველმყოფელობით ჭერ კიდეც 1867 წელს იღვიძებს, ამოკვეთილ ბერძნულ წარწერიანი ლოდის შემთხვევით (გზის სამუშაოების დროს) აღმოჩენის შედეგად. იგი 75 წლით თარიღდება და თვით წარწერა კი ასეა გადმოქართულებული:

„თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა და დომიციანე კეისარმა, სებასტოსეს ძემ იბერთა მეფეს მიჰრდატს ფარსმანის ძეს, კეისარის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს ეს ზღუდე გაუმაგარეს.“ ამ მოკლე წარწერის ბევრისმოქმელმა შინაარსმა შუქი მოჰფინა იბერიის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებას, მის ურთიერთობას რომთან და სხვ.; მცხეთაში ამ წარწერიანი ქვის აღმოჩენამ ერთხელ კიდევ ცხადყო ქართველი მოღვაწის მ. ჭილაშვილის დაბეჭდვითი მოთხოვნის მეცნიერული საფუძვლიანობა მცხეთის, და საერთოდ სა-

⁸ იხ. საქ. ცენტ. ისტორიული არქივი, ფონ. 5, საქმე 2087.

ქართველოს, არქეოლოგიურად შესწავლის შესახებ, რის გამოც იგი ჯერ კიდევ 1856 წელს, როგორც ჩვენ ამაში დავრწმუნდით, მეფის მთავრობას ოფიციალურად მიმართავდა ხარჯების გაღების გამო.

XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან მცხეთის მიდამოებში გზატკეცილისა და შემდეგ რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებულ მიწის სამუშაოების დროს უძველეს საპაროვანთა გათხრების შედეგად, სამარხისებულ ინვენტართა შორის ოქროს ნივთებიც იქნა აღმოჩენილი. მხარის არქეოლოგიურად შესწავლის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო. გათხრების საქმეს მცხეთაში, და საზოგადოდ საქართველოსა და ამიერკავკასიაში კვლავინდებურად სათავეში სტატისტიკური კომიტეტი და მისი მაშინდელი ხელმძღვანელი (მთავარი რედაქტორი) ზეილიცი უდგება.⁷

ზეილიცი 1871 წლის 7 ივნისს მოახსენებს კავკასიის მეფისნაცვალს იმის შესახებ, რომ გასათხარი ადგილები მცხეთაში დააზუსტა და ამ საქმის ზედამხედველობა მიანდო ბაიერს; იგი მეფისნაცვალს თხოვს საჭირო თანხების გამოყოფას, რაც 11 ივლისისათვის მიიღო კიდევაც და საქმეს შეუდგა.⁸ მალე (1872 წ.) მიზანშეწონილად იქნა ცნობილი თბილისის საგუბერნიო არქეოლოგიური კომიტეტის ჩამოყალიბება, რომლის თავმჯდომარეობა დაეკისრა ად. ბერქეს. ამიერიდან ამავე კომიტეტის საქმეებს, ზეილიცის ნაცვლად, ბერქე და ბარონ ნიკოლაი წარმართავენ. ამავე პერიოდში, მეფისნაცვლის ნებართვის მიღების საფუძველზე, არქეოლოგიური სამუშაოებით დაინტერესებული ქართველი ინტელიგენციის ბირთვის ინიციატივით ყალიბდება კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც კავკასიის მუზეუმთან თანამშრომლობით და ადგილობრივი ინტელიგენციის დარაზმვით დიდ და ცხოველყოფილ მუშაობას აჩაღებს საქართველოსა და ამიერკავკასიის არქეოლოგიურად შესწავლისათვის. ეს საზოგადოება არსებითად ბერქესეული ოფიციალური უწყების ანტიპოლია.

1873 წლის 9 დეკემბერს შედგა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების პირველი შეკრება, სადაც მოხსენება წაიკითხა ა. ბერქემ თემაზე: «Кавказ в археологическом отношении».

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ დაარსდა 1873 წელს. ამ საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ პლ. იოსელიანი და დიმ. ბაქრაძე. საზოგადოება მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლთა დაცვა-პატრონობას, არამედ

⁷ საქ. ცენტ. არქივი, ფონ. 5, საქ. 2087, ფურ. 1.

⁸ იქვე, ფურ. 9. ამრეად ბაიერი მიიღო მცხეთაში ზეილიცმა და არა დ. ბაქრაძემ, როგორც კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების აქტიურმა წევრმა, რადგან ეს საზოგადოება მაშინ არც არსებობდა. ეს უზუსტობა უნდა გასწორდეს.

მათ მეცნიერულად შესწავლას და შთამომავლობისათვის საჭირო ნივთიერი ძეგლების შექმნასაც კი. საზოგადოება თავისი მიზანდასახულებით ეროვნულ პატრიოტულ საქმეს ემსახურებოდა. მისმა მესვეურებმა გამოიკვლიეს მთელი რიგი ძველი და შუასაუკუნეების ქართული კულტურის ძეგლები, საზოგადოებამ ასევე დიდი მუშაობა ჩაატარა მებნუთე საარქეოლოგო ყრილობის, რომელიც თბილისში 1881 წ. გაიმართა, მომზადებისათვის. ყრილობას ესწრებოდნენ რუსეთიდან ჩამოსული ა. ცაგარელი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ა. ხახანაშვილი, ა. უვაროვთან, დ. ანუჩინთან, რ. ვირხოვთან, ი. ტოლსტოისთან, ვ. ტიზენაუსთან და სხვ. ერთად.

XIX ს. 80-იანი წლიდან ახალი კურსი იქნა აღებული კავკასიათმცოდნეობაში; ხელაღებით უგულვებელყოფილი იქნა ადგილობრივი ელემენტებისა და საზოგადოების როლი და მონაწილეობა საქართველოს და კავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეში და იგი მთლიანად ცარიზმის დიდმპყრობელური მიზნების შემადგენელ ელემენტად იქცა. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა როგორც 1881 წ. თბილისში გამართულ არქეოლოგთა V ყრილობაზე წარმოთქმული გრაფ. უვაროვის შესავალი სიტყვა, ისევე პროფ. ილოვაისკის და სხვათა გამოხვედრები, რომელთაც დიდმა ილიამ თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცა. აკაკი წერეთელმა კი საქართველო კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს შეაღარა, რომელსაც გულს ყვავე-ყორნები უკორტნიდა და რწმენა გამოსთქვა: რომ მოვა დრო და ჯაქვს აიწყვეტს ამირანი, გაჯაჭვული საქართველოც განთავისუფლდება; მაგრამ ერის მეთაურების ამ დიდებულმა სიტყვებმა ხელი არ შეუშალა ცარიზმის სატრაპებს, რათა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება გაეუქმებიათ და 1881 წლიდან იგი აკრძალეს.

1873 წ. ბერუე, როგორც აღინიშნა ამბობდა, რომ გათხრების მოწყობის საკითხი პირველად აღძრა გრ. სოლოგუბმა, 1855 წ. 8 დეკემბერს მ. კილაშვილის მიერ გეოგრაფ. საზოგ. კავკასიის განყოფილების საერთო კრებისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მაგრამ ეს უშედეგოდ დარჩაო. გავიდა 15 წელი და 1870 წ. მცხეთა-თბილისის მიდამოებში რკინიგზის მშენებლობის დროს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა ძველი საფლავები. 1871—72 წწ. ჩატარდა გათხრები, რაც წარმატებით დაგვირგვინდა. ასეთივე გათხრები ჩატარდა ლორის საპრისტავოში, 1873 წ. ურბნისში და სხვ.⁹

1873 წლის ივნისიდან არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფართოვდება, ისახება ახალი ამოცანები. ამაზე

⁹ Общество любителей Кавказской археологии кн. I, 1875, გვ. 17.

ნათლად მეტყველებს დოკუმენტი, რომელსაც ად. ბერჟე უდგენს ბარონ ნიკოლაის.

ბერჟე მოითხოვს მცხეთაში წამოწყებული არქეოლოგიური სამუშაოების გაფართოებას ორი მიმართულებით: — 1. ურბნისის გათხრებისა და 2. სასომხეთში ბაგრევანის გათხრების მოწყობას. ურბნისის გათხრების ხელმძღვანელობისათვის ბერჟე დ. ბაქრაძეს, ხოლო ბაგრევანის გათხრებისათვის ერიცოვს უწყვედა რეკომენდაციას და ხარჯებისათვის მთავრობისაგან 650 მანეთს მოითხოვდა.¹⁰

მეფის მთავრობა უფრთხილდებოდა ხარჯებს და ამითაც ამუხრუჭებდა არქეოლოგიური გათხრების საქმეს, რომელიც მართალია აღმავლობით დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე მინელდა და ომის დროს კი სულ ჩაკვდა.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მცხეთაში აღმოჩენილი მასალებით დაინტერესებულან პეტერბურგში, და დიდი მთავრის, მეფისნაცვლის მიხეილის დავალებით, 1873 წლის დასაწყისში ბერჟეს პეტერბურგში გაუგზავნია მცხეთაში აღმოჩენილი სიძველენი.¹¹ საბუთებით ისიც მტკიცდება, რომ ბაიერნისათვის ფულადი ჯილდოც მიუციათ თავისი მინერალოგიური ნუმისმატური და სხვ. კოლექციების (რომლებიც 300 ფუთს აღემატებოდა) ვენის მომავალ გამოფენაზე წასაღებად. ამაზე ბერჟე შუამდგომლობდა ბაიერნს 1872 წ. 23 დეკემბერს ბარონ ნიკოლაის წინაშე.¹² მან ეს საგნები წაიღო, მაგრამ თუ რა ბედი ეწვია მათ შემდეგში, ჩვენთვის უცნობია, საქართველოს ისინი დღემდე არ დაბრუნებია.



განვითარების საკუთარი ისტორია აქვს არა მხოლოდ ქართულ არქეოლოგიას, არამედ ჩვენთვის საინტერესო ქართული სოფლის—ხუცუბნის არქეოლოგიურად შესწავლის ისტორიასაც. იგი გასული საუკუნის 70-იან წლების ბოლოდან იწყება და დაკავშირებულია რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომში აჭარის გამოსხნასთან თურქთა მფლობელობიდან; როგორც ჩვენს მიერ მოტანილი დოკუმენტური მასალებით დასტურდება, იმ ძნელ დროს და პირობებში ცხოველმყოფელი ინტერესი ხუცუბნის სამაროვანთაღმე გამოუჩენიათ ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ: გ. წერეთელი, ე. თაკაიშვილი, გ. კაიკაციშ-

¹⁰ საქ. ცენტ. სახ. არქივი, ფონ. 5, საქ. 2087, ფურ. 47—49.

¹¹ საქ. ცენტ. სახ. არქივი, ფონ. 5, 2087, ფურ. 44—45.

¹² იქვე, ფურ. 34. ამრიგად მცხეთაში აღმოჩენილი ბაიერნისეული არქეოლოგიური მასალის მნიშვნელოვანი (და ვიტყვით საუკეთესო) ნაწილი გაზიდული იქნა საქართველოდან როგორც მეფის რუსეთში, ასევე ევროპაში.

ვილი, მ. გურიელი. კომაროვი და სხვ. (იხ. თანდართული დოკუმენტები: გვ. 392—395).

ჩატარებული კვლევა-ძიებით და დოკუმენტური მასალებით ისიც მტკიცდება, რომ ამ ერთი სოფლის არქეოლოგიურად შესწავლის ისტორია თუ ამოდენა მასალის მომცველია და ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა ამოდენა გარჯისა და ზრუნვის საგანიც გამხდარა, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება ჩვენთვის ქართული არქეოლოგიური მეცნიერების მთლიანი ისტორიის დასაწერად რამდენი ასეთი (და ბევრად უფრო დიდი) ობიექტი უნდა იქნეს შესწავლილი.¹³

როგორც დავრწმუნდით, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას და ძეგლების დაცვას საქართველოში ჯერ კიდევ XIX ს. 30-იან წლებიდან მიექცა რამდენადმე ყურადღება. ამას ადასტურებს ახლადმიკვლეული საარქივო დოკუმენტები — პეტერბურგიდან გამოგზავნილი ინსტრუქციითა და ადგილობრივი ანგარიშების სახით, რომელთა ერთი ნაწილი თან ერთვის წინამდებარე ნაშრომს.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რა პირობებში დაიწყო და რა საფუძველზე აღმოცენდა მეცნიერულა არქეოლოგია რუსეთის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოში, საჭიროა, მოკლედ მიინც, მიმოვიხილოთ რუსეთში საისტორიო მეცნიერების ამ ახალი დარგის. — არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები და მდგომარეობა XIX ს. 30—80-იან წლებში; ცნობილია, რომ საქართველოში მეცნიერების ამ დარგის განვითარება XIX ს. წარმართებოდა რუსეთის გავლენით ადგილობრივ და რუს მეცნიერთა ერთობლივი შრომით.



ცნების „არქეოლოგიის“ განსაზღვრას პირველად დიდ ბერძენ ფილოსოფოსთან პლატონთან (ძვ. წ. IV ს.) ვხვდებით, ხოლო არქეოლოგიური ძეგლებისა და მონაცემების სამეცნიერო მიზნებით გამოყენება შედარებით ბევრად ადრე უცდიათ როგორც ძველ აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთშიაც, მაგ., ისტორიის მამა, ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.), არქეოლოგიურ მასალებს პირველად იყენებდა თავის ისტორიულ ნაშრომებში. ჰეროდოტემ რიგი არქეოლოგიური ძეგლებისა თვითონვე

¹³ ცდა ქართული არქეოლოგიის ისტორიის კონტურების მოხაზვისა მოცემულია (მართალია, სქემატურად) საქართველოს არქეოლოგიის ზოგად კურსში. ქართული არქეოლოგიის ისტორიის საკითხს ეხება გ. ლომთათიძის ნაშრომებში—მაგ., „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“. ასევე თაყაიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში, თბ., 1966, გვ. 100—117. მაგრამ სამწუხაროდ ისინი მოკლებულია დოკუმენტურ ბაზას.

აღწერა პირველად, მაგ., ხეოფსის პირამიდა და გამოიყენა იგი იმ დროს ცნობილ სხვა ხასიათის არქეოლოგიურ მასალებთან ერთად. ასევე დიდი წარსული აქვს გათხრით არქეოლოგიასაც. მას მეცნიერების ამ დარგის ისტორიკოსები ბაბილონის მეფეთა ცხოვრების გამორკვევით გატაცებული ტახტის მემკვიდრის ნაბონიდეს სახელს უკავშირებენ და მის მცდელობად მიიჩნევენ, რომელმაც გათხარა მამა-პაპათა საფლავები მათი ცხოვრების მომთხრობ წარწერიანი ქვების აღმოჩენის მიზნით. პარტახად ქცეულ სამეფოს უძველეს პალატთა გათხრები ნაბონიდმა დიდის სიფრთხილითა და მონღომებით აწარმოვა, რითაც დასაბამი მიეცა გათხრით არქეოლოგიას, როგორც პირველ ცდას.

შუა საუკუნეებში, ძველი სამყაროსა და ანტიკურობის ბევრ სხვა უკვდავ დიდებულ ტრადიციებთან ერთად, დიდი ხნით დავიწყებას მიეცა ასევე არქეოლოგიაც. მას ქრისტიანობა უპირისპირდებოდა, არსებითად კრძალავდა და მხოლოდ რენესანსის ეპოქაში იგი კვლავ იწყებს აღდგენას; მაგრამ დიდხანს, ვიდრე არქეოლოგია სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდებოდა, ევროპის სამეფო სასახლეთა ანტიკვარულ და მათი ვიწროდ შეზღუდულ ე. წ. „კუნსტკამერულ“ შინაარსის მუზეუმის ჩარჩოებს ვერ შორდებოდა.

რუსეთში არქეოლოგიურ ნივთთა შეგროვება, დაცვა და მათდამი სახელმწიფოებრივად პატრონობა იმპერატორ პეტრე I-ის სახელთანაა დაკავშირებული. მის 1718 წ. 13 თებერვლის ბრძანებაში ამის შესახებ აღნიშნულია:

«Также, ежели кто найдет в земле или в воде какие старые вещи, а именно, каменья необыкновенные, не такие, какие у нас ныне есть, или такие, де зело велики, или малы перед обыкновенным, также какие старые надписи на камнях, железе или меди, или какое старое, необыкновенное ружье, посуду и прочее все, что зело старо и необыкновенно-такоеж бы приносили, за что будет довольная дача»¹⁴.

ამ ბრძანებით, არსებითად, საფუძველი ეყრება რუსულ არქეოლოგიას და საერთოდ არქეოლოგიურ ნივთთა სახელმწიფოებრივად დაცვა-პატრონობას და მისდამი მეცნიერული ინტერესების გაღვივებას. პეტრე პირველი 1721 წლის 16 თებერვალს აქვეყნებს მეორე ბრძანებას, რომელიც ციმბირში შენიშნულ ოქროს ნაკეთობათა, განძებსა და იმ მხარეში დაცულ სხვა სიძველეებს ეხებოდა. — იქ ნათქვამია: «Курьезные вещи, которые находятся в Сибири, покупать сибирскому губернатору, или кому где принадлежит, настоящею ценою и не переплавлявая, приохлаять Берг и мануфактур-коллегию, а в уной потому же не переплавлявая об оных докладывать его величеству»¹⁵.

¹⁴ ПСЗ (I собр.) т. V, № 3159.

¹⁵ Там же, т. VI, № 3738.

პეტრე I-ის ამ ბრძანებათა ქმედითი ძალა სიძველეების დასაცავად მოქალაქეთა დაინტერესებასა და მათს დაჭილღობაშია.

პეტრე I-ი კარგად იცნობდა ევროპას, იქაურ მუზეუმებს და არაა გამორიცხული, რომ ევროპის მოწინავე გამოცდილებათა გადმონერგვით იგი ცდილობდა ნიადაგი შეემზადებინა რუსეთში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის.

XVIII საუკუნეში რუსეთის არქეოლოგიურად შესწავლაში წამყვანი ადგილი ციმბირს ეკირა. შავი ზღვისპირეთი მაშინ თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა; ამ მხარის რუსეთთან შემოერთების შემდეგ (რაც XVIII ს. 70—80-იან წლებში განხორციელდა) რუსეთის არქეოლოგიური მეცნიერების აღმავლობის ახალი პერიოდი იწყება.

ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წ. ხელშეკრულებისა და ყირიმის შემოერთების. (1783 წ.) შემდეგ ინტერესი ამ ლეგენდარული მხარის არქეოლოგიურად შესწავლისადმი უმაგალითოდ იზრდება.

შავი ზღვის ჩრდილო და აზოვის სანაპიროებზე, დნეპრის სანაპიროებიდან მდ. დონამდე და ყუბანამდე — მთელი ჩრდილო კავკასიის თვალუწვდენელ ველებზე, ისტორიის მამის პეროდოტეს ცნობით, ცხოვრობდა ირანული მოდგმის ტომები (სკვითები), ისინი ერთგვარ კონტაქტში იყვნენ ბერძნულ კოლონიებთან; სკვითებმა შექმნეს დიდი კულტურა, რომელთაც გააჩნდათ ეთნიკური ერთობა — ენისა, ატარებდნენ ერთნაირ ტანსაცმელს, ლოცულობდნენ ერთ ღმერთზე, ატარებდნენ ერთნაირ იარაღს, ცხენის აღკაზმულობას და ცხოვრობდნენ ერთ ტერიტორიაზე კომპაქტურად; ისინი დიდად დახელოვნებული იყვნენ ოქროს და ვერცხლის ჰედურ ხელოვნებაში, მათი მეზობლები იყვნენ დასავლეთით კიმერიელები და თრაკიელები, აღმოსავლეთით სავრომატები (სარმატები). მისდევდნენ მომთაბარულ მეჭოგურ ცხოვრებას, ხელოსნობას და მიწათმოქმედებას. წამდათ საიქიო ცხოვრება. საფლავში პეროდოტეს ცნობით „მეფეებს“ მხოლოდ ოქროს ატანდნენ, უშენებდნენ დიდ ყორანებს; XVIII-ის ბოლოს და XIX ს. მანძილზე აწარმოეს დიდი გათხრები როგორც სპეციალისტებმა, ასევე განძის მოჭვარულებმა, ოქროს მოპოების მიზნით. გაითხარა ოქროთი მდიდარი ისეთი სამარხები, როგორიცაა კულ-ობა, ჩერტომლიკი, სულოხო „ხუთი ძმა“, „შვიდი ძმა“ (მიწაყრილი მაღალი ყორანებისა) და სხვ.¹⁶ უკანასკნელად ამ მხარეში ელიზავეტინსკის სადგურის ბოლოს გათხრები 1954 წელსაც მიმდინარეობდა. სკვითები ძვ. წ. VII საუკუნეში კარგად იყვნენ ცნობილი, მათ დაამარცხეს დარიოსი და სხვ., ხოლო ათასი

¹⁶ А. С. Амальрик, А. Л. Монгайт, В поисках исчезнувших цивилизаций, М. 1959, гл. 30—31.

წლის შემდეგ ქრებიან ისტორიის ასპარეზიდან. ყოველივე ამის შესწავლას დიდი ინტერესით მიჰყევს ხელი რუსმა არქეოლოგებმა.¹⁷

1807 წ. ითარგმნა რუსულად არქეოლოგიური სახელმძღვანელოები: «Руководство к познанию древностей» ფრანგულიდან; არქეოლოგობენ-ლუი მილენის (1759—1818) შრომა (1816 წ. I-ლი ტომი, ხოლო 1817 წ. II ტომი) «Ручная книга древней классической словестности, содержащая археологию» უშენბუგისა (1743 — 1820). ამ ნაშრომებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ მეცნიერების ამ დარის შემდგომი აღმავლობისათვის.

XVIII ს-ის ბოლოდან და XIX საუკუნის დასაწყისიდან არა ციმბირის ყორღანები, არამედ შავიზღვისპირეთის ძეგლები იქცნენ უმთავრესად არქეოლოგთა კვლევა-ძიების ობიექტად. გათხრებს აწარმოებდნენ არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ მოყვარულნიც, მაგ., გენერალი ვანდერვეიდი, გენერალი განგებლიძე (1819 წ.), პოლკ. პაროკინი (1817), ფლოტის უფროსი პატინიოტი (1821) და ა. შ.¹⁸

შემთხვევით ნაპოვნი ნივთები როგორც განძის გამთხრელთა, ასევე არქეოლოგთა ნაპოვნი საგნები მალე თავს იყრის ამ მხარეში ახლადდაარსებულ მუზეუმებში (1806 წ. ნიკოლაევში, 1811 წ. ფეოდოსიაში, 1825 წ. ოდესაში, 1826 წ. ქერჩში). სწორედ ესენი გვევლინებიან ჰვენ რუსეთის იმპერიაში პირველ არქეოლოგიურ მუზეუმებად.¹⁹

ნაპოლეონის „უძლეველ“ არმიაზე რუსეთის გამარჯვებამ გაზარდა რუსი ხალხის თვითშეგნება, მისი სიყვარული ისტორიისადმი. ხალხში გაიზარდა სიყვარული რუსული სიძველეებისადმი.

1820-იანი წლებიდან ივანე სტემპკოვსკის (1784 — 1832) მეთაურობით იწყება პირველი მეცნიერული არქეოლოგიური კვლევა-ძიება (ჩანაწერებითა და ჩანახატებით) ყირიმის მხარეში, რომელსაც წინათ უმეტესად განაქმამძიებელი შემთხვევითი პირები ეწეოდნენ.

1823 წელს ივანე სტემპკოვსკი უდგენს დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს ნოვოროსიისკის გუბერნატორს მ. ვორონცოვს—„Мысли относительно изыскания древностей в Новороссийском крае». ამ ბარათის ავტორი პირველად იძლევა მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას არქეოლოგიის მნიშვნელობის შესახებ, აფასებს ამ სახის ნივთთა რაობას ისტორიისათვის და სახავს იმპერიაში არსებულ სიძველეთა დაცვა-პატრონობისა და მეცნიერების სამსახურში მათი ჩაყენების გზებს. ამ შესანიშნავ მოღვაწეს შემდეგში მრავალი ღირსეული გამგარ-

¹⁷ И. А. Стемпковский, Мысли относительно изыскания древ. в Новороссийском крае, «Отечественные записки» № 81. СПб, 1827. გვ. 43.

¹⁸ К. К. Герц, Историческое обозрение археологических исследований на Таманском полуострове, СПб, 1898.

¹⁹ Ю. Марти, 100 летие Керченского музея. Керчь, 1926.

ძელებელი გამოუჩნდა. არქეოლოგიური მეცნიერება რუსეთში მალე კვლევა-ძიების მეცნიერულ გზას დაადგა.

ნიკოლოზ I-ის მეფობაში ქვეყნდება პირველი ბრძანებულება რუსეთის ისტორიის სიძველეთა დაცვის შესახებ. გამოქვეყნდა ასევე გამოკვლევა «Древности Босфора Киммерийского, хранящиеся в императорском музее Эрмитажа», ა. აშიკისა (ქერჩის მუზეუმის დირექტორი²⁰). ეს ნაშრომი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით 1854 წელს ქვეყნდება სამ ტომად რუსულ და ფრანგულ ენებზე. მაგრამ ყირიმის ომთან დაკავშირებით დიდი ხნით ჩაკვდა მთელი ეს შესანიშნავი წამოწყება; მუზეუმები დაიხურა, ხოლო მათი მდიდარი კოლექციების ერთი ნაწილი დარბეული და გატაცებული იქნა ყირიმში შემოჭრილ ინგლის-საფრანგეთის მარბიელი ჯარების მიერ.

არქეოლოგიური ნივთების შეგროვება და შესწავლა რუსეთში მართალია XVIII საუკუნიდან დაიწყო, მაგრამ არქეოლოგიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება XIX ს-ის მეორე ნახევარში ხორციელდება. იგი უშუალოდაა დაკავშირებული პირველი რუსი გამოჩენილი არქეოლოგების ა. სპიცინის, ბ. ფარმაკოვსკის, ვ. გოროდცევის და სხვათა სახელებთან. რუსულ ლიტერატურაში, ბერძნულ-რომაულ დიდ კულტურულ ტრადიციებთან მიმართებაში, კარგადაა შედარებით შესწავლილი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროები, კერძოდ სკვითური კულტურა²¹. რაც შეეხება შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს, რომელიც კოლხური კულტურის აკვანია, რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებითად შეუსწავლელი რჩებოდა. მხოლოდ ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ შესწავლო ბოლო მოეღო ამ დიდი ჩამორჩენისათვის, თუმცა ამ პრობლემის სრულყოფილ შესწავლას, რა თქმა უნდა, დიდად აბრკოლებს ის, რომ ძველი კოლხეთის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი თურქეთის მფლობელობაშია და საბჭოთა მეცნიერებს ხელი არ მიუწვდებათ მისი შესწავლისათვის.

საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მკვიდრი მეცნიერური საფუძვლები XIX ს. პირველ და მეორე ნახევრის მიჯნაზე ეყრება ქართველი მოღვაწეების ფალავანდიშვილის, პლ. იოსელიანის, მ. ჭი-

²⁰ ПСЗ. сбор. Т. II, № 1613, т. XXII, № 21992.

²¹ И. Брошник и др., Сокровища Скифских царей, М. 1967; Вопросы скифосарматской археологии, Сборн. Изд. АН СССР, 1954; Г. А. Цветаев, сокровища причерноморских курганов. М. 1968.

ლაშვილის, მელვინეთუხუცესის მიერ²². ბაიერნი ამ საქმის გამგრძობია მხოლოდ. რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის ჩატარებამ თბილისში 1881 წელს უაღრესად გაზარდა ინტერესი საქართველოს და ამიერკავკასიის არქეოლოგიურად შესწავლისათვის. დ. ბაქრაძე, დ. წილოსანი, გ. წერეთელი, დ. ფურცელაძე, ე. თაყაიშვილი და სხვ. დიდი გაცემით და სიყვარულით კიდებენ ხელს საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლის საქმეს.

კავკასიის არქეოლოგიურმა ძეგლებმა ყურადღება არსებითად მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიპყრო. სწორედ აქედან იწყება ცოტად თუ ბევრად სისტემატური გათხრითი არქეოლოგიური და სადაზვერვო იიებითი მუშაობა. ჯერ კიდევ 1859 წ. ფ. ბაიერნმა სამეცნიერო მიზნებით იმოგზაურა მდ. არაქსის და იგდირის ზემო დინების სანახებში. ამ მხარის უძველესი ძეგლების გასაცნობად.²³ გასულ საუკუნეშივე მკვლევარებმა შენიშნეს, რომ სომხეთში ბაიერნის მიერ წამოწყებული მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალები ანალოგიებს კავკასიის მათი ფერდობებზე სულ უფრო მეტად პოულობდა და განსაკუთრებით ეს ამკარა გახდა «После раскопок в древних; могильниках Маринфельда и Сартичале в 60-ых годах, в начале семидесятых (1872 г.) предприняты были работы в случайно открытом Самтарвском кладбище; вслед за этим Г. А. Филимонов (1877 году) произвол расследования в могильниках при Стефан-Цмннде (близ Казбека) и Кобана, а также предпринята у В. Милером археологическую экскурсию в область р. Терека, можно считать естественным продолжением предшествовавших разысканий». იმდროინდელი მკვლევარები კულტურის ამ ერთიანობას მიხვდნენ იმ მცირე მასალითაც კი, რასაც მაშინ კავკასიის არქეოლოგიურად შესწავლის დაბალი დონით ჰქონდა ადგილი, მაგრამ მათ შეცდომით იგი მთლიანად ბერძნულ კულტურად აღიარეს და გაკვირვება გამოთქვეს, როგორ მოხდა «Как глубоко на восток от Боспора

врезалась греческая цивилизация и как она здесь, у острогов

²² მელვინეთუხუცესი ჩვენში გათხრითი არქეოლოგიის პიონერადაა აღიარებული. მართლაც, მან XIX ს. 50-იან წლებში (1852 წ.) ერთგვარი დაზვერვითი სამუშაოება ჩატარა უფლისციხეში, სადაც ცოტა რამ სასიხვიც იპოვა. ეს ცნობა ემყარება ბროსენადმი მიწერილ თვით მელვინეთუხუცესის პირად ბარათს, ხოლო რაც შეეხება მონაპოვარ ნივთებს ამ გათხრის შედეგად, ან სხვა რამ ამ გათხრებზე დამყარებულ დოკუმენტურ მასალებს, არც ერთს და არც მეორეს ჩვენამდე არ მოუღწევია. წარმოდგენილი დოკუმენტებით კი მტკიცდება, რომ ამ საქმეს ჩვენში ხელი მოკიდეს ბევრად ადრე XIX ს. 30-იანი წლებიდან.

²³ А. А. Пучинь, *Донсторическая археология Кавказа*. журн. Мин. нар. просв. 1884, январь, гз. 262.

²⁴ Мат. по археологии № 13. Древности южной Грузии. Курган Карагодеушых как материалы для бытовой истории прикубанского края в IV—III вв. до р. х. исследование А. Ланпо-Данилевского, Санктпетербург, 1854, гз. 24.

Кавказского хребта сталкивалась, но не сливалась с варварскою цивилизацией шедшею с Востока».²¹ ამ ამბების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი დრო გავიდა, აღმოჩნდა უმდიდრესი არქეოლოგიური ძეგლები და სხვ., რომელთა ჩამოთვლაც კი შორს წავიყვანდა. მთელი ამ აღმოჩენათა მარქსისტულ-ლენინური მეთოდით შესწავლამ პეცნიერების ამ დარგს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა.

ეს მოკლე არქეოლოგიურ-ისტორიული ექსკურსი იმიტომ გაეთ-და აქ, რომ უფრო ნათელი გახდეს ის ისტორიული პირობები, რომ-ლებმაც მოამზადეს ნიადაგი ქართული არქეოლოგიური მეცნიერების შექმნისათვის.

საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ჩვენ აქ მოგვაქვს, იმაზედაც ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ შენელებულია ცარიზმის კოლონი-იდ ქცეულ საქართველოში ინტერესი ისტორიული ძეგლებისა და ეროვნული სიძველეებისადმი. მაგრამ ეს არ ითქმის ხალხზე და ხალხის მოწინავე შვილებზე, რომელნიც კმნიდნენ ისტორიას და იღვწოდნენ ქართველი ერის ისტორიის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის გადარჩენისა და დაცვისათვის და მეცნიერული კვლევა-ძიების ობი-ექტად გადაქცევისათვის.

მცხეთის გათხრების შესახებ აქ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ჩვენამდე არაა მოღწეული მცხეთის გათხრების დღიურები. ირკვევა, დღიურები ბაიერნს საერთოდ არ უწარმოებია. აქ მოტანილი დოკუმენტები ერთ-გვარად მათ მაგივრობას სწევს და შუქს ფენს ასევე მცხეთის გათხრე-ბის ისტორიას. ბაიერნმა მცხეთის გათხრებზე გამოაქვეყნა საგაზეთო წერილები. ასეთებია «Исследование древних гробниц близ Мцхета, произведенное Байерном летом 1871 г. (იხ. გაზ. «Кавказ». 1872, № 7—8). ხოლო «Кавказ» — იხ. № 110—ში გამოქვეყნდა Д=Ф=П=ს წერილი» Новые Мцхетские раскопки натуралиста Байерна (ასევე იხ. СБ СВ О. Кавк., Т 1—II.).

მოგვიანებით მცხეთის გათხრებზე ევროპულ პრესაში ასევე პერიოდულად იბეჭდება ბაიერნის წერილები. — 1. Baur Fr; die Ausgrabungen von Scmthawro im jahre 1872 MACW, 1877. B. IV 2 Bauern Fr. Untersuchungen über die ältesten Craäber und Schatzfunde in Kaukasien, herausgegeben und mit einem Vorwort versehen von B. Virchnw, ZFE, 1885, Supplement. ამ წერილების ზოგიერთ მცდარ, ყოვლად მიუღებელ დებულებებზე აქ არ შევჩერდებით, იგი თავის დროზე ჭერ კიდევ ილია ქაეკვაძემ ამხილა.

რაც შეეხება ბაიერნის მოღვაწეობას კავკასიის მუზეუმში, იგი გან-ხილულია გ. ჟორდანიას ნაშრომში (იხ. კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951, გვ. 69—81), მაგრამ აქ მცხეთის გათხრებზე საერთოდ არა-ფერია თქმული.

. აქ საარქივო დოკუმენტების მხოლოდ ერთი ნაწილი ქვეყნდება ამ კერად იმ სახით, როგორადაც ეს საბუთები ჩვენამდეა მოღწეული: ვასწორებთ აშკარა შეცდომებს, რომლებიც მცდარ პუნქტუაციასთან ერთად თან ახლავს და ახასიათებს ზოგიერთ დოკუმენტს. რიგით სულ 20 საბუთი წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და არა-ჰეოგრაფიაში მიღებული წესების დაცვით.

მართალია, საბუთების ერთი ნაწილი არაა სათითაოდ დასათაურებული (დატოვებული აქვს დედნისეული სათაური), მაგრამ მათაც საერთო განმაზოგადებელი სათაური მოეპოვება. დანარჩენ საბუთებს კი სათითაოდ საკუთარი სათაური მოეპოვება.

ჩვენი ეს ცდა ქართულ არქეოგრაფიაში პირველია; დღემდე არქეოლოგიური გათხრების ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალა არავის გამოუქვეყნებია სათანადო მოკლე არქეოგრაფიული შესავალით და ბუნებრივია ეს პირველი ცდა უნაკლო არ იქნება.

არქეოგრაფიული შესავალი და თვით დოკუმენტური მასალის ერთი ნაწილი მართალია შორდება ხუცუბნის გათხრებს, და ზოგ შემთხვევაში საქართველოს ფარგლებსაც კი, მაგრამ ესენი იმგვარი ექსკურსებია, რომლებიც არსებითადაა დაკავშირებული იმ კვლევა-ძიებასთან, რომელიც ჩვენ ამ ნაშრომში გვაქვს წარმოდგენილი.

საარქივო დოკუმენტები არქეოლოგიური •
 ბათუმის ისტორიისათვის საქართველოში

დანართი პირველი, საარქივო დოკუმენტები XIX ს. 30-იანი წლების
 საქართველოში არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობისა და მათი
 შესწავლის შესახებ

№ 1. 1837 წლის იელისის 14. საქართველოს სამოქალაქო გუბერ-
 ნატორის თ. ნ. ფალავანდიშვილის ინფორმაცია შინაგან საქმეთა სა-
 მინისტროს ცირკულიარის გამო საქართველოს საოლქო სტატისტიკუ-
 რი კომიტეტისადმი აკადემიკოს კეპენის მიერ შედგენილ რუსეთის
 ცნობილ ყორღანთა სიების შევსების შესახებ ადგილობრივი ქართული
 მასალებით.

В Грузинский Областной Статистический Комитет

С л у ш а л и:

Циркулярное предписание Г. Министра Внутренних дел от
 25 февраля сего года за № 137-м, сообщенное господину пред-
 седателю сего комитетов при отношении статистического отдела
 совета министерства от 9 марта за № 177-м о пополнении
 местными сведениями списка известнейшим курганам в России,
 составленного русским антикварием г. Кеппеном и о содействии
 к собранию сведений по сему предмету, не менее многих других
 заслуживающему внимание любителей отечественной старины.
 При чем рассматривали и присланные 5 экземпляров списка
 курганам. Предъявив все это статистическому комитету, госп.
 председатель изволил предложить, что из курганов, — исчисленных
 г-м Кеппеном, ни одного нет в Грузии; следовательно прислан-
 ные списки, казалось-бы, должны быть только приобщены к де-
 лу: но история Грузинского царства, столь мало известная уче-
 ному свету и столь много любопытная по одной даже старине
 его существования, — во всяком случае займет страницы досто-
 памятности в общей статистике русского государства и его ис-
 торич. Чтоб совершить этот долг и для того, чтоб раскрыть на-
 чало народного существования, следить вернее течение его гра-
 жданственности, объяснить эпохи быта его, может быть важные,
 но неверные, — весьма бы полезно было нам, мимо документа-
 льных фактов, обратиться и к исследованию памятников, курган-
 нов, сопок, даже к исследованию нумизматики Грузин-
 ской (т. е. Грузинского монетословия) и в их безмолвном, так
 сказать, свидетельстве искать объяснения происшествий и лиц,
 укрывавшихся до ныне из виду летописцев. Заботливость нашего
 благодетельного правительства — о распространении необходи-
 мых познаний — возлагает лестную обязанность на всех особен-
 24: ა. იოსელიანი 369

по на членов статистического комитета, облеченных в исключительное звание соревнований общим пользам, — изыскивать искомые данные в этих памятниках древности. — Местные начальники частей управления само собой принадлежат уже к числу избранных — трудящихся для общей пользы; и потому можно полагать с полною уверенностью, что и из них никто не откажется быть участником в археологических розысканиях; или по крайней мере в собрании сведений, относящихся до истории Грузии. А потому — ПОЛОЖИЛИ: из присланных 5-ти экземпляров списка Г. Кеппена, препроводить для образца (в отношении расположения названий антиков) к г. г. членам — корреспондентам сего комитета: сенатору, генерал-лейтенанту князю Эриставу, статскому советнику Чиляеву, статскому советнику фон-Шульцу и надворн. советнику Шопену, — а к другим г. г. членам-корреспондентам и местным начальникам Грузии, краткие извлечения из этих экземпляров и просить их об открытии возможными средствами и описании всего того, что только может относиться к Грузинской древности. Непременные члены надеются, что каждый труд, каждый успех в этом деле, будет сообщен ему, чтоб в свое время свидетельствовать пред господином министром внутренних дел о тех, которые особенно отличат себя в сем деле. — Об всем этом донести Его В. Пр.-ву госп. министру, сообщив всем членам и начальникам по надлежащему.

Генерал-лейтен. К. Эриставу	№ 65.
Статскому Совет. К. Туманову	№ 66.
Ильинскому,	№ 67.
Фон-Шульцу	№ 68.
Чиляеву	№ 69.
Надворн. советн. Шопену	№ 70.
Г. Тер-Гукасову	№ 71.
Архимандриту Феодосию	№ 72.
Полковнику Фрейенду	№ 73.
Подполковн. князю Бебутову	№ 74.
Тарханову	№ 75.
Гв. Ротмистру кн. Багр.-Мухранскому	№ 76.
Тит. совет. князю Цицианову	№ 77.
Предводителям дворянства	
Тифлисскому	78.
Горийскому	79.
Душетскому	80.
Телавскому	81.
Сигнахскому	82.
Управляющему горск. народами	83.
Тифлисскому Полицмейстеру	84.
Душетскому исправнику	85.

Тифლისსკომუ ისპრავნიკუ	86.
Окრუჟნიმ ჩაჩალინიკამ	
Гორიისკომუ	87.
Тელავსკომუ	88.
Сигნახსკომუ	89.
Еლისავთპოლსკომუ	90.
Главным приставам	
Борчалинსკომუ	91.
Казахსკომუ	92.
Шамшадильსკომუ	93.
Бамბაკო-Шურაგელსკომუ	94.
Г. г. неперемнным членам	
Губერнსკომუ предводителю	95.
Вице-губернатору	96.
Губернსკომუ прокурору	98.
Инспектору врачебного упр.	99.
Директору училищ	100.
Протоиерею Иоселианову	101.
Канцелярские записки	
В Синодальную контору	97.
Горийსკომუ окრუჟნომუ ჩაჩალნი.	102.
ЦГИА ГССР, фонд. № 16, д. 5433, л. л. 5—7.	

№ 2. 1937 წლის 27 ივლისი. აკადემიკოს კეპენის¹ მიერ რუსულ-ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებიდან ამოკრებილი ცნობები რუსეთის ცნობილ ყორღანებზე მოწოდებითურთ, ნ. ფალავანდიშვილის მიერ ადგილებზე დაეგზავნათ მიმართვით ანალოგიური ძეგლების აღრიცხვის, დაცვისა და მეცნიერულად შესწავლის შესახებ.

Выписка. Из списка известнейшим курганам в России.

В числе памятников прошедших времен курганы, могилы или сопки нашего отечества, заслуживают особенное внимание. Многие из них имеют свои названия, свою историю; о них существуют предания; наружный вид и внутреннее содержание этих могил, или сопок, бывают различны, и собрание сведений, до них относящихся, конечно пригодилось бы для историков.

Бабы курганы. Так по словам академика Фалька, в бывшей Екатеринбургской провинции называли в его бытность, большие насыпи, между тем как малые именовались просто могилами, — существует-ли и ныне еще это различие в названиях.

Большой курган. В трех верстах от острова Хоршицы, близ Днепра.

¹ კეპენი პეტრე ივანეს ძე (1793—1864) აკადემიკოსი, მკვლევარი სლავიანური კულტურისა, ავტორი ისტორიულ-არქეოლოგიური მრავალი ნაშრომისა — ბრწყინვალე ბიბლიოგრაფი, ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა (1845 წ.). და სხვ.

Волотовы могилы. В древней Российской Индографии (sis) изд. Новиковым, 1773 в 8. на стр. 43-й), упоминается о Волотовой могиле при устьи реки Быстрой Мечи, которая впадает в Дон с правой стороны, в 8-ми старых или 11, нынешних вершнтах ниже Лебедяни, в Тамбовской губернии. Подробная карта России на западном берегу Дона, между Лебединою и устьем Красивой Мечи, показывает селение Волотово. О Волотовом городище, недалеко от р. Саза, упоминается в той-же Индографии на стр. 176, а о речке Волоте на стр. 120-й. Есть и другие места в России, носящие названия, которые происходят от слова Волот, и пр., что замечено уже Ходаковским, — Волото-могила, или так называемая Гостомыслова могила на Волотовом поле, близ Новгорода, при Волховцы. Эта могила раскопана в Марте месяце 1821 года Ходаковским, который нашел в ней две челюсти лошадиные, две челюсти собачьи, две неизвестного зверка и птичью голову, несколько пар птичьих ног, часть широкого ребра и сосновые уголья. Все это лежало в разных местах сопки, которая была насыпана на равной земле, что доказывал слой чернозема, под нею находившийся, точно такой же толщины (вершка в два) как и вне сопки. Когда Ходаковский, с коим я сам из Новгорода ездил в Волотовой могиле, стал раскапывать эту сопку, она уже была меньше других по близости находящихся курганов, и Ходаковский полагал, что вершина ея могла быть употреблена при построении близ оной в 1352 году каменной церкви. В исторических разговорах о древностях Великого Новгорода (М. 1808. 4, на стр. 8-й) говорится, что Новгородцы, по любви к последнему своему князю, или Посаднику Гостомыслу, выносили на его могилу, каждый из своего дому, по горсти земли, и таким образом насыпали тот высокий холм. Но Ф. И. Круг замечает, что Гостомысл не принадлежит к Русской истории и что время исключить из нея такие сказания.

Предметы, найденные в этой могиле, доказывают, что как прочие северные сопки, так и эта, вероятно были насыпаны древними Руссами. о сожжении коих в кораблях говорит Арабский писатель Ибн. — Фазалан, находившийся в 921 году по Р. X. при посольстве Халифа Мухтедира к царю Болгарскому.

Ермакова могила. В Ремезовой летописи сказано, что Калмыцкий Свята (князь) Албай, в 1650 г.. рассказывал, как его в юности вылечили землею Ермаковой могилы, как он с горстью этой земли всегда побеждал неприятелей и проч.

Игорева могила. В Лаврентьевском списке Несторовой летописи, под 6433 (т. е. 945) годом указано: И погребен бысть Игорь; есть могила его у Искор — стена града в деревьях и до сего дне. Бандтке, в сочинении своем о языческой религии древней Польши, говорит, что тут разуметь должно Искоростень в Окружном уезде Вольинской губернии (Вестн. Евр. 1823, № 3.

стр. 210). На подробной карте (ч. IX, л. 27) это место показано на левом берегу Ужа при дороге, ведущей из Авруча в Житомир и названо Искорость.

Концы. Это одно из названий, которые в Тверской губернии даются земляным могильным насыпям. Так же курганы называются и баттарейми и западиями. Употребляются ли все эти названия в других местах России, и где именно.

Кулодаг (не Кюль-оба ли, т. е. зольной холм) близ Керчи в Крыму. Это та самая могила, в которой найдено много достопримечательных вещей, помещенных в 1835 году в Эрмитаже Е. И. В.

Мячковский курган находится в 30 верстах от Москвы, по Коломенской дороге, при реке Москве, недалеко от деревни Становой, у Воровского перевоза, почему он называется также и Воровским курганом. Он воспет Мерзляковым, в Вестнике Европы 1805 года академик Фальк, в 1768 г., на этом кургане, коего вышина по его мнению составляла бы сажень, видел столб грубо вытесанный из песчаного камня. Теперь на нем находится только деревянный крест. Г. Г. Калайдович и Максимович говорят, что между простолудинами есть гредание, будто бы здесь некогда стояла церковь. Уже Фальк полагал, что Мячковский курган мог быть жертвенником и свидетельствует о том, что по близости оного находились следы окопа и вала (См. ниже, в статье: Прикашиков курган). Вверху, у креста и в некотором расстоянии, находится несколько ямич, образованных, как кажется, недавно. Земля в них очень черная, наполненная разрушившимся органическими, железными и марганцовыми частицами; если толкнешь ногою, то в кургане отдается гул. В Троицын день, посвященный памяти почивших, стекается на кургане множество окрестных жителей и проводит время в ликованиях.

Фальк I, 56. — Макаров, в Вестн. Евр. 1820, № 20, стр. 306 и 307. — К. Калайдовича Письма об археологических исследованиях в Рязанской губернии (М. 1825. 8) стр. 59. — Максимовича, Путешественные записки о Московской губернии в Новом магазине естествен. истории и пр. Ив. Двигубского М. 1825, ч. I, стр. 156.

Олегова могила. В Несторово время она была видима близ Овруча, Волынской губернии, где и ныне ее показывают.

Карамзин (1.196) упоминая об этой могиле, говорит: Поле служило тогда кладбищем и для самых князей владетельных, в высокий бугор над могилою, единственным Мавзолеем.

Царево городище. Так русские называют бугор, вышиною в 10 сажень, находящейся к югу от реки Иртыша, среди низкого лега. У татар он известен под именем Кысым Тура (Девичий город). По общему преданию, этот бугор — памятник какого то забытого века — расыпан руками девичьими, для жилища царского. Есть и другое место сего имени, на восточном берегу

Иртыша, в двух перстах от Искера, где ныне село Преображенское и где погребена какая-то ханская дочь, увезенная любовником и вместе с ним убитая людьми отца ея.

Шведская могила, на поле знаменитой Полтавской битвы. Изображение этой могилы находится при путешествии в Молдавию, Валахию и Сербию Д. К. Б. (Дм. Бантыт — Каменского), изданном в Москве 1810 г. в 8, стр. 52.

Представив здесь то, что мне удалось узнать о разных курганах, я осмеливаюсь обратить на этот предмет внимание просвещенных читателей сей статьи, и в то же время прошу их об исправлении и дополнении этого списка. Такие сведения должны почитаться общественным имуществом, и оставлять их непечатаемыми почти столь же непростительно, как и раскапывать могилы по безсовестной корысти или по одному только легкомысленному любопытству. Как дни минувшие, так и самые могилы принадлежат истории, и только достойные ее служители в праве обследовать прах некогда одушевленный; чернь-же да не шевелит даром костями родителей и прах возвращенный земле, да покоится в мире, и да не подвижет ни один муж костей человека, может быть, праведного (4. Царств XXIII, 18). Уже иностранцы напоминают о том, что пора нам внимательнее посматривать на наши курганы, что пора не пренебрегать находками, в оных делаемыми, и печатать об них известия. Очнемся же и выскажем, что нам известно о предмете домашнем. Не станем лишать потомств тех сведений, для приобретения которых мы отнимаем у него возможность.

Из списка, напечатанного в 1837 году в С-Петербурге с дозволения цензуры, —

Тифлис, июля 27 дня 1837 года.

Гражданский Губернатор Князь Н. Палавандов.

Верно: Надворный советник — подпись.

ЦГИА ГССР, фонд. № 16, д. 5433, л. 9.

№ 3. 1937 წლის ოქტომბრის 24. მთის ხალხების მმართველი თავადის მთავარ ავალიშვილის რაპორტი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თავად ნიკოლოზ ფალავანდიშვილისადმი მისდამი მინდობილ მხარეში ყორღანთა ან მსგავს სიძველეთა არ არსებობის შესახებ.

Его сиятельству

Грузинскому Гражданскому Губернатору Господину Действительному Статскому Советнику и Кавалеру князю Николаю Осиповичу Палавандову.

Управляющего Горскими народами по
Армии майора князя Авалова.

Р а п о р т

На предписание Вашего Сиятельства от 27-го июля за № 83 с изъяснением циркулярного предписания господина министра внутренних дел от 25-го февраля сего года за № 137-м, сообщенного господину председателю Статического комитета при отношении статического отделения Совета министерства от 9-го марта за № 1770 о пополнении местными сведениями списка известнейшим курганам в России составленного русским антикварием г. Кеппенем, и о содействии в собрании сведений по сему предмету не менее многих других заслуживающему внимание любителей отечественной старины; причем рассматривали и присланные 5 экземпляров списка курганам, предъявлено все это Статическому Комитету; Господни председатель изволил предложить, что из курганов, исчисленных г. Кеппенем, ни одного нет в Грузии, следовательно присланные списки казались бы должны быть только приобщены к делу, но история Грузинского царства, столь мало известная ученому свету и столь много любопытного по одной даже старине его существования во всяком случае, займет страницы достопамятности в общей статистике русского государства и его истории; Вашему Сиятельству почтеннейше честь имею донести, что во вверенной мне дистанции ничего невозможно собрать насчет истории Грузинского царства и не оттого как в оной дистанции не имеется из почетных старшин и жителей ученых людей от которых бы можно было собрать вышеизъясненные сведения.

Майор князь Авалов.

№ 2073, 24 октября 1837 года, д. Квешеты.

ЦГИА ГССР, фонд № 16, д. № 5433, л. 13.

№ 4. 1837 წლის დეკემბრის 30 დღეშეთის ისპრავნიკის რაპორტი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ფალავანდიშვილისადმი დუშეთში რაიმე სიძველის არ არსებობის შესახებ.

Его сиятельству
Грузинскому Гражданскому Губернатору, Господицу Действительному Статскому Советнику и кавалеру князю Николаю Осиповичу Палавандову

Душетского земского исправника

Р а п о р т

Ваше Сиятельство, от 27 июля настоящего года за № 35 изволили предписать мне, исследовать по журналу Грузинского Областного Статистического комитета о памятниках, кургана,

сопках и о самой нумизматики Грузинской, и что будет открыто донести.

Во исполнение этого предписания Вашего Сиятельства, я предпринимал все тщательнейшие меры дознания лично от старожилых во ввереном мне уезде жителей, но никаких древностей, курганов и прочего не открылось. О чем Вашему Сиятельству и имею честь донести.¹

Исправник — подпись
№ 2150, декабря 30 дня, 1837 года. Душет.

ЦГИА ГССР, фонд № 16, д. 5433, л. 15.

დანართი მორა. საარქივო დოკუმენტები საქართველოს ძველი
დედაქალაქის მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ

დოკუმენტები დაკულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (იხ.
